avtoris stili daculia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ნიკოლოზ გობეჯიშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
არქეოლოგიის მიმართულება

კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთმიმართების საკითხი სამარხ-კონსტრუქციათა და დაკრძალვის წესის მიხედვით

დისერტაცია

არქეოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი,
თსუ ასოცირებული პროფესორი — მარინე ფუთურიძე

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

შინაარსი

ანოტაცია 4

შესავალი (კვლევის აქტუალობა, საგანი და ამოცანები) 6

თავი I. კოლხური და ყობანური კულტურების კვლევის დღევანდელი მდგომარეობა და მისი პრობლემური საკითხები 13

თავი II. კოლხური და ყობანური კულტურების ლოკალიზაციისა და ქრონოლოგიის საკითხები 22

§1. კოლხური და ყობანური კულტურების ლოკალიზაცია 22

§2. კოლხური და ყობანური კულტურების ქრონოლოგიის საკითხი 24

თავი III. კოლხური და ყობანური კულტურების სამარხ-კონსტრუქციათა ანალიზი 27

§1. კოლხური კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა ანალიზი 27

§2. ყობანური კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა ანალიზი 51

თავი IV. დაკრძალვის წესი და მისი ანალიზი კოლხურ და ყობანურ კულტურებში 73

§1. დაკრძალვის წესი კოლხურ კულტურაში 73

§2. დაკრძალვის წესი ყობანურ კულტურაში 104

თავი V. კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთმიმართების საკითხი სამარხ-კონსტრუქციათა და დაკრძალვის წესის მიხედვით 129

დასკვნა 152

დანართი 160

დანართი I. კოლხური და ყობანური კულტურების სამარხ-კონსტრუქციათა ტიპების სტატისტიკური მონაცემები 161

I. 1. კოლხური კულტურის სამარხთა-კონსტრუქციათა ტიპების სტატისტიკური მონაცემები 161

I. 2. ყობანური კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა ტიპების სტატისტიკური მონაცემები 164

დანართი II. კოლხურ და ყობანურ კულტურათა ძეგლების ქრონოლოგიური სქემები 167

დანართი III. კოლხური და ყობანური კულტურების სამარხ-კონსტრუქციათა ძირითადი ტიპების გავრცელების რუკები 169

დანართი IV. კოლხური და ყობანური სამარხეული ძეგლების კატალოგი 177

IV. 1. კოლხური კულტურის ძეგლები 177

IV. 2. ყობანური კულტურის ძეგლები 276

ბიბლიოგრაფია 347

ტაბულების აღწერილობა 354

ტაბულები 357

ანოტაცია

კავკასიის რეგიონში ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში ჩამოყალიბებას იწყებს მრავალი კულტურული არეალი. სამხრეთ კავკასიაში ეს პერიოდი დაკავშირებულია კოლხური, სამთავროს, იორ-ალაზნისპირეთის, განჯა-ყარაბაღის და სხვ. არქეოლოგიური კულტურების არსებობასთან. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, აქ ყალიბდება ყუბანისპირეთის, ყობანის და კაიაკენტ-ხოროჩოის სახელით ცნობილი არქეოლოგიური კულტურები. კოლხური და ყობანური კულტურების სასაზღვრო ზოლი ძირითადად კავკასიონის ქედს მიუყვება, რომელიც ბუნებრივ ბარიერს წარმოადგენდა არა მარტო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, არამედ წინარე და მომდევნო ეპოქებშიც. ამდენად, არ არის გასაკვირი ის დიდი სიახლოვე, რომელიც კავკასიის ორივე მხარის მოსაზღვრე რეგიონებში შეინიშნება.

კოლხური და ყობანური კულტურების პრობლემურ საკითხთა წრიდან ერთ-ერთი ყველაზე რთული და სადაო მათი იდენტობის პრობლემა რჩება. ამის შესახებ დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა მეცნიერებაში, რისი უპირველესი მიზეზიც, ვფიქრობთ, ის არის, რომ სისტემური ხასიათის კვლევა და ამ კულტურების ყველა კატეგორიის ძეგლთა კომპარატიული კონტექსტით შესწავლა არ ჩატარებულა.

კოლხური და ყობანური კულტურების შესწავლა მათი მრავალფეროვანი მატერიალური კულტურის ძეგლთა სრულად და სისტემურად გააზრების გარეშე შეუძლებელია. ის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის წამყვანი მნიშვნელობის არტეფაქტების – თიხის ნაკეთობათა, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის მასალათა გვერდით, კულტურის სხვა ელემენტების სპეციალურ კვლევასაც მოითხოვს. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან ელემენტს სამარხი კონსტრუქციები და დაკრძალვის წესი წარმოადგენენ, რომლებზე დაყრდნობითაც შევეცადეთ გვეჩვენებინა ის ძირითადი საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები, რომლებიც კოლხური და ყობანური კულტურების გავრცელების ტერიტორიაზე შეინიშნება.

Annotation

In the second half of the II millennium and the beginning of I millennium BC several archaeological cultures were formed on the modern territory of Caucasus region. In south Caucasus this period is linked with the archaeological cultures of Colchis, Samtavro, Iori-Alazani, Ganja-Karabakh and etc. As for the North Caucasus, Koban, Kaiakent-Khorochoy and Prikuban archaeological cultures were distributed there. The first one included the western side of the North Caucasus (basin of river Kuban), Koban culture its central part - the south of Stavropol Kray, Karachay - Cherkessia, Kabardino - Balkaria, Ossetia, Ingushetia and the largest part of the territory of modern Chechnya, and Kaiakent - Khorochoy – eastern part of Chechnya and Daghestan.

One of these cultures - Colchian culture was distributed on one of the most extensive areas. It covered the south-eastern part of Krasnodar district (in Russian Kray), on the modern Georgian territory: Abkhazia, Samegrelo, Guria, Imereti, Adjaria, Svaneti, Racha regions and the northern part of Tskhinvali region. This archaeological culture was also spread in the North-Eastern seashore of modern Turkey. In addition to these areas, Elements of Colchian culture are found in eastern and southern parts of Georgia, in the Shida Kartli and Meskheti regions and in the Borjomi gorge.

Analysis of the burial constructions and funerary customs of Colchian and Koban cultures enables to discuss about the interrelation or possible identity of mentioned ones basing on burial evidences. The main goal of the dissertation topic is to provide all kind of information from the burial sites of these archaeological cultures for their comprehensive study and comparative evaluation.

შესავალი

დღეისათვის კოლხური და ყობანური კულტურების იდენტობის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა კავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემატიკაში. ამ საკითხმა გარკვეულწილად პოლიტიკური ელფერიც კი შეიძინა ბოლო წლების მანძილზე, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. შესაბამისად, დღეისათვის საკმაოდ დაგროვდა ის ნაშრომები, რომლებიც ამგვარი წინასწარ მოტივირებული თვალსაზრისის არქეოლოგიური არგუმენტებით "გამაგრებას" ცდილობენ. სამწუხაროდ, ამ მხრივ ქართველ სპეციალისტთა მიერ კარგად დასაბუთებული პოზიცია და პუბლიკაციები ცალსახად მცირეა. ამის გამო ისტორიული რეალობა, რომელიც მხოლოდ ამ ორი კულტურის არქეოლოგიური მასალების კვლევის შედეგად შეიძლება აღდგეს, საგრძნობლად გვიანდება. ეს იმ დროს, როცა კოლხური და ყობანური კულტურების იდენტობის, მათი ურთიერთმიმართების საკითხების კვლევას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ კოლხური, არამედ ზოგადკავკასიური ისტორიული რეალობის რეკონსტრუქციისათვის. ამ საკითხებზე პასუხის გაცემას ქართველი მკვლევარების მიერ ამჟამად ბევრად აბრკოლებს ის, რომ ყობანური კულტურის ძეგლები (როგორც ძველი გათხრების, ისე ახალი) და ხშირად უახლესი რუსულენოვანი პუბლიკაციებიც ქართველი მკვლევრებისათვის ხელმიუწვდომელი რჩება. ყოველივე ამან გვიბიძგა სპეციალურად გვეკვლია კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთმიმართების საკითხი, მათი კულტურული იდენტობის დადგენის თვალსაზრისით, რასაც ამჯერად მხოლოდ ერთი კატეგორიის არქეოლოგიური მასალის – სამარხ-კონსტრუქციათა და დაკრძალვის ტრადიციის კუთხით შევეცადეთ.

კოლხური და ყობანური კულტურების იდენტობის კვლევის გაჭიანურებას, სუბიექტურთან ერთად, თავისი ობიექტური მიზეზებიც გააჩნია. მათი მრავალფეროვანი და მდიდარი მასალები, ასევე სხვადასხვა ტრადიცია, იმდენად რთულია შესწავლილ იქნეს ერთი რომელიმე მკვლევარის მიერ, გამომდინარე მისი მასშტაბურობიდან, რომ იგი საჭიროებს მიზანმიმართულ და კოორდინირებულ კვლევითი სამუშაოს ჩატარებას.

კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთმიმართების შესწავლას მკვლევრები ყოველთვის იწყებდნენ ერთი რომელიმე კონკრეტული მასალის, ძირითადად ლითონის ნაწარმის მიხედვით. ამის გამო, ამ კულტურათა იდენტობის დადგენა ან უარყოფა მხოლოდ ერთი ტიპის მასალის მიხედვით, რასაკვირველია, შეუძლებელს ხდის პრობლემის გადაწყვეტას.

ცხადი ხდება, რომ ეს საკითხი შესაძლებელია სრულად და ღრმად გაშუქდეს მხოლოდ და მხოლოდ ამ კულტურის/კულტურების უკლებლივ ყველა კომპონენტის ჩართვისა და შესწავლის შემთხვევაში. სხვამხრივ ყველა თვალსაზრისი მხოლოდ ცალმხრივად გააშუქებს პრობლემას და ვერ მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში უნდა შესწავლილ იქნას მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალათა სრული სპექტრი თანმიმდევრულად, კვლევის სხვადასხვა ეტაპზე, რომლის შემდეგაც გვექნება სრული სურათი თუ რა ხასიათის საერთო და განმასხვავებელ თავისებურებებთან გვაქვს საქმე. მიგვაჩნია, რომ ამ ორი კულტურული ფენომენის მხოლოდ კომპლექსური შესწავლითაა (დაკრძალვის წესი, სამოსახლოთა ტიპები და სხვა არქეოლოგიური მასალა) შესაძლებელი მათი ურთიერთმიმართებითი პრობლემის გადაჭრა.

ერთი ნაშრომის ფარგლებში ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების ირგვლივ კვლევის ჩატარება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ ჩვენი სურვილია თანმიმდევრულად, ეტაპობრივად განვიხილოთ მათი თითოეული ელემენტი.

ამჯერად, კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთმიმართების შესწავლის თვალსაზრისით ავიღეთ მხოლოდ ერთი კომპონენტი – დაკრძალვის წესი და მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი სამარხი-კონსტრუქციები.

აღნიშნული ელემენტები არქეოლოგიურ კულტურათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, განმსაზღვრელი ფაქტორია, თუმცა არა ერთადერთი, რადგან თუ მოვიყვანთ მაგალითებს არცთუ ისე შორეული წარსულიდან, ან თანამედროვეობიდან, საკმაოდ ხშირად სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს მსგავსი, ხოლო ერთი ეთნიკური ერთობის მქონეთ დაკრძალვის წესისა და სამარხი-კონსტრუქციების მოწყობის სხვადასხვაგვარი ტრადიცია გააჩნიათ. ეს თვალნათლივ სწორედ კავკასიის პოლიეთნიკური რეგიონის მაგალითზე ჩანს, როდესაც კონფესიური ერთობის მიუხედავად, ქართველთა ზოგიერთი ეთნოგრაფიული ჯგუფი, კულტურის სხვადასხვა ელემენტების მიხედვით (სამოსახლოები, თავდაცვითი ნაგებობები, ტანისამოსი,

საკვები და სხვ.) უფრო მჭიდრო კავშირს ჩრდილოეთ კავკასიის მოსაზღვრე ეთნიკურ ერთობებთან ამჟღავნებს, ვიდრე მონათესავე ჯგუფებთან.

აღნიშნული საერთო მომენტები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის არ არის გასაკვირი, რადგან ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები მათ შორის მჭიდრო კავშირს განაპირობებდა, რაც საერთო კულტურული ელემენტების წარმოქმნით სრულდებოდა. ამავდროულად, ეს ოროგრაფიული მრავალფეროვნება ხელს უწყობდა დამოუკიდებელი მახასიათებლების ჩამოყალიბებას, რაც ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მცირე ტერიტორიას ფარავდა. სწორედ ამითაა განპირობებული ის სხვაობები, რომლებიც თვალში საცემია არა მარტო ეთნოგრაფიულ ჯგუფებს, არამედ თვით მათ შორის არსებულ მიკროკულტურულ ერთეულებს შორის. ამისი ნათელი მაგალითია დაღესტნის ტერიტორია, სადაც 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით დაფიქსირებულია 121 ნაციონალური თუ ეთნიკური ჯგუფი (www.e-dag.ru), რომელთა ტერიტორიული დისპერსია, არცთუ იშვიათად, ერთი სოფლის მასშტაბითაა დადასტურებული.

თანამედროვე ეპოქასთან შედარებით, როცა გლობალიზაციის პროცესს მთელი მსოფლიო აქვს მოცული, ადრეულ ეპოქაში, განსაკუთრებით კი საკვლევ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, მსგავსი კულტურული მრავალფეროვნება გაცილებით უფრო მასშტაბური იქნებოდა, რაც არქეოლოგიურ მასალაშიცაა ასახული. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ძველი ბერძენი გეოგრაფის, ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის სტრაბონის (ძვ.წ. 64/63 – ახ.წ. 24 წწ.) ცნობა ქალაქ დიოსკურიაზე: "ხოლო თვით დიოსკურია არის საწყისი იმ ყელისა, რომელიც კასპიისა და პონტოს შუაშია და საერთო სავაჭრო ადგილი მის ზემოთ და მახლობლად მცხოვრები ტომებისათვის. [ერთთა აზრით] ქალაქში თავს იყრის 70 ტომი, ხოლო მეორენი ამბობენ, რომ 300-იო, (ესენი არაფრად ზრუნავენ სიმართლისათვის), ყველა [ტომი] განსხვავებულ ენაზე [ლაპარაკობს], რადგან დაფანტულობის გამო შეურევლად ცხოვრობენ თავისი სიამაყისა და ველურობის მიზეზით. უმეტესობა არიან სარმატები, ხოლო ყველანი კავკასიელები არიან. ესაა, რაც შეეხება დიოსკურიას" [სტრაბონის „გეოგრაფია". ცნობები საქართველოს შესახებ. 1957, XI, 2, 16].

ეთნოკულტურული მრავალფეროვნება, რომელიც სტრაბონს აქვს დამოწმებული, ჩვენს საკვლევ პერიოდს არ განეკუთვნება, თუმცა ნათლად ასახავს კავკასიის რეგიონის მდგომარეობას ძვ.წ. I – ახ.წ. I საუკუნეებში. ამის მიუხედავად, არაა გამორიცხული მსგავსი სიტუაცია რამდენიმე ასეული წლით

ადრეც არსებულიყო, რისი დამადასტურებელიცაა ძველი ასურული თუ ურარტული ცნობები კავკასიაზე. ისინი შესაძლოა ნაწილობრივ მაინც ხსნიდნენ იმ პრობლემატურ საკითხს, თუ რას უნდა უკავშირდებოდეს ის მრავალფეროვნება, რომელიც დასავლეთ ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის სამარხეულ ძეგლებზეა დადასტურებული.

საინტერესო იქნება ციტატის მოყვანა ასურეთის მეფის ტიგლათ-ფილესერ I-ის (ძვ.წ. 1114–1076 წწ.) წარწერიდან, რომელშიც მისი ჩრდილოეთით მოწყობილ ლაშქრობაზეა საუბარი: "გადავედი მდინარე ევფრატზე. თუმეს, თუნუბეს, თუალის, ქინდარის, უზულას, უნზამუნის, ანდიაბეს, ფილაქინის, ათურგინის, ქულიბარზინის, შინიბირნის, ხიმუას, ფაითერის, უირამის, შურურიას, აბაენის, ადაენის, ქირინის, ალბაიას, უგინას, ნაზაბიას, აბარსიუნის, დაიაენის ქვეყნების მეფეებმა, სულ ნაირის ქვეყნების 23 მეფემ, შეკრიბეს თავიანთ ქვეყნებში თავისი ეტლები და ჯარები და ბრძოლისა და ომისათვის გამოემართნენ. ჩემი თავზარდამცემი იარაღის სიშმაგით თავს დავატყდი მე მათ. ღვთაება ადადის ნიაღვრის მსგავსად აღვასრულე მათი მრავალრიცხოვანი ჯარების განადგურება. მათი მეომრების გვამები მიმოვფანტე... მთების მწვერვალებსა და მათი ქალაქების მახლობლად. მათი 120 შეჯურვილი ეტლი ბრძოლაში ხელთ ვიგდე. ნაირის ქვეყნების 60 მეფეს, მათთან ერთად, რომელნიც მათ დასახმარებლად მოვიდნენ, ჩემი შუბით ზემო ზღვამდე მივსდიე. მათი დიდი ქალაქები დავიპყარ, მათი ნადავლი, მათი ქონება, მათი სარჩო–საბადებელი წამოვიღე..." [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970: 365].

მიუხედავად იმისა, რომ ტიგლათფილესერ I-ის წარწერის ზემოთ მოყვანილი მოკლე ციტატა არ ასახავს ჩვენს საკვლევ რეგიონს, მიმდებარე რაიონებისაგან განსხვავებული სიტუაცია კოლხური და ყობანური კულტურების გავრცელების არეალში არ უნდა ყოფილიყო. კერძოდ, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ტერიტორიულ-ტომობრივ გაერთიანებათა მრავალრიცხოვნობა და სიჭრელე, შესაძლოა მთელი კავკასიის რეგიონისათვის ყოფილიყო დამახასიათებელი. ასურული წყაროების გვერდიგვერდ, ურარტული ცნობებიც სამხრეთ კავკასიის ტომობრივ გაერთიანებათა მრავალფეროვნებაზე მეტყველებენ.

ცალკეულ მიკროკულტურულ ჯგუფებს შორის ასეთი იზოლაცია დამოუკიდებელ ნიშან-თვისებათა ფორმირებას უწყობდა ხელს, რაც არქეოლოგიურ მასალასა და კულტურის სხვადასხვა ელემენტებზეც იქნა

ასახული. მათ შორის დაკრძალვის წესსა და სამარხი-კონსტრუქციების მოწყობის ტექნიკაზე. კავკასიის რეგიონიდან სწორედ კოლხური და ყობანური კულტურის არეალი გამოირჩევა ოროგრაფიული მრავალფეროვნებით, რაც ამ კულტურათა სამარხეული ძეგლების განხილვისას, ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ფაქტორი უნდა გახდეს.

კოლხური და ყობანური კულტურების დაკრძალვის წესზე და სამარხი-კონსტრუქციების თაობაზე მსჯელობა ჩვენ მრავალრიცხოვანი სამარხეული ძეგლების დეტალური აღწერისა და მათი ერთ ნაშრომში თავმოყრის მცდელობის ფონზე გვექნება. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ძეგლების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ ზოგადი დახასიათებისა და მოკლე აღწერილობის სახითაა წარმოდგენილი, რაც მნიშვნელოვანწილად ართულებს მათ დეტალურ ანალიზსა და საერთო მოცემულობაში ატრიბუციას.

სამეცნიერო ლიტერატურის გარდა, ყობანური კულტურის შემთხვევაში ჯერჯერობით ხელმიუწვდომელია საარქივო მასალა და არქეოლოგიური გათხრების ანგარიშები, ხოლო კოლხური კულტურის შემთხვევაში ამ ცნობების გაანალიზება მთელ რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული.

პირველ რიგში, ეს ეხება ძეგლებზე შესწავლილი კონკრეტული სამარხების ქრონოლოგიას. ჩვენ შევეცადეთ გამოგვეყო მხოლოდ ის ძეგლები, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო ნაწილობრივ განსაზღვრულია, ან, ზოგადად საკვლევ პერიოდს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას განეკუთვნება. მეორე მხრივ, ხშირად საარქივო მასალა მოკლებულია ილუსტრაციებს, რაც კიდევ უფრო ართულებს მათ ანალიზს. შესაბამისად, ჩვენს საკვლევ თემაში ვერ ვიმსჯელებთ აღნიშნული ძეგლების ვერც სამარხ-კონსტრუქციებსა და ვერც დაკრძალვის წესზე. ეს ეხება როგორც ახლადშესწავლილ, ასევე ადრე გათხრილ ძეგლებს, რომელთა ნაწილი ელის სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მათი დეტალური აღწერილობა სპეციალურად მიძღვნილ თავში არ გვექნება, კოლხური და ყობანური ძეგლების დაკრძალვის წესის ანალიზისას, მოკლე მიმოხილვით შევეხებით მათზე დადასტურებულ დაკრძალვის წესს, თუმცა სხვა ძეგლებთან ურთიერთმიმართების საკითხის დეტალური ანალიზი შეუძლებელი იქნება.

როგორც უკვე აღინიშნა, საკვლევი საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით, გარკვეულ სიძნელეებს ვაწყდებით ამ კულტურათა სამარხეული

ძეგლების ქრონოლოგიის განსაზღვრის კუთხით. ეს მრავალი ფაქტორითაა გამოწვეული. ამას, პირველ რიგში, განაპირობებს ძეგლთა ზუსტი დათარიღების არარსებობა. კოლხური და ყობანური სამარხეული ძეგლების დიდი ნაწილი არქეოლოგიურად იმ დროსაა შესწავლილი, როცა არ არსებობდა ის ძირითადი ტექნიკური საშუალებები, რომელთა გამოყენება დღეს არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს აუცილებელია. საერთოდ, ათეული წლების წინ შემუშავებული ქრონოლოგიური სქემები საკმაოდ მოძველებულია და ძირითადად, არქეოლოგიურ კულტურათა რომელიმე ელემენტს (კერამიკას, ლითონს) ემყარება, თუმცა მიახლოებითი ქრონოლოგიის განსაზღვრისათვის დღემდე გამოყენებაშია და შეუცვლელ მეთოდს წარმოადგენს. ფაქტიურად, არც კოლხური და არც ყობანური კულტურების გავრცელების ტერიტორიაზე, მცირე გამონაკლისების გარდა (ყობანი, ურეკი) არ მოიძებნება ძეგლი, რომელიც რადიოკარბონული მეთოდით იქნებოდა დათარიღებული, ხოლო სადაც გამოყენებულია დათარიღების მსგავსი მეთოდი, მონაცემების სანდოობა ეჭვქვეშ დგება, რადგან კვლევა ჩატარებულია რამდენიმე ათეული წლის უკან.

ყობანური კულტურის ქრონოლოგიზაციის კუთხით, ძეგლების საერთო კონტექსტში მოქცევა პირველად ე. კრუპნოვმა სცადა, რომლის ირგვლივაც შემდგომში ვ. კოზენკოვამ იმუშავა და თავის პუბლიკაციებში მოცემული აქვს ყობანური კულტურის დასავლური და აღმოსავლური ძეგლების სრული ქრონოლოგიური ჩარჩო. კოლხური კულტურის ძეგლებთან დაკავშირებით, ძეგლთა ქრონოლოგიზაციის კუთხით საკმაოდ საინტერესო კვლევები აქვთ ბ. კუფტინს, დ. ქორიძეს, ო. ჯაფარიძეს, გ. გობეჯიშვილს, ი. ვორონოვს, თ. მიქელაძეს, ლ. ფანცხავას, რ. პაპუაშვილს, ნ. სულავას, ბ. ტეხოვსა და სხვ. ჩვენს ნაშრომში სპეციალურად არ შევჩერდებით ქრონოლოგიის საკითხებზე, რადგან ამ პრობლემატიკის ირგვლივ ერთი ჩამოყალიბებული აზრი არ არსებობს და რომელიმე ქრონოლოგიური სქემის შერჩევა სხვადასხვა არქეოლოგიური მასალის გაანალიზების გარეშე შეუძლებელი იქნება. ჩვენი საკვლევი ნაშრომი კი მიზნად არ ისახავს ამ პრობლემური საკითხის გადაჭრას. სწორედ ამიტომ, ჩვენ ორივე არქეოლოგიური კულტურის კონკრეტული ძეგლის განხილვისას, იმ ქრონოლოგიურ სქემას დავეყრდნობით, რომელიც ძეგლზე არქეოლოგიური სამუშაოების ჩამტარებელს, ან მათზე სპეციალური პუბლიკაციის ავტორს ექნება შემუშავებული.

კოლხური და ყობანური კულტურების სამარხეული ძეგლების განხილვისა და მათი ანალიზის გარდა, ნაშრომში მოცემული იქნება სტატისტიკური მონაცემები. სტატისტიკურად დამუშავებული იქნება მხოლოდ ის ძეგლები, რომელთა შესახებაც დეტალური აღწერილობა გაგვაჩნია, რადგან ზოგადი ცნობების მიხედვით რაიმე სტატისტიკური კვლევა შეუძლებელია. თუმცა დაკრძალვის წესისა და სამარხი-კონსტრუქციების ზოგადი სტატისტიკური მონაცემების დამუშავების დროს, ორივე კულტურის ძეგლები სრული სახით გვექნება გაანალიზებული.

თავი I

კოლხური და ყობანური კულტურების კვლევის დღევანდელი მდგომარეობა და მისი პრობლემატური საკითხები

კოლხური და ყობანური კულტურების (თუ კოლხურ-ყობანური კულტურის) პრობლემურ საკითხთა წრიდან ერთ-ერთი ყველაზე რთული და სადავო მათი იდენტობის პრობლემა რჩება. ამის შესახებ დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა მეცნიერებაში, რისი უპირველესი მიზეზიც, ვფიქრობთ, ის არის, რომ სისტემური ხასიათის კვლევა და ამ კულტურების ყველა კატეგორიის ძეგლთა კომპარატიული კონტექსტით შესწავლა არ ჩატარებულა. როგორც ჩანს, ურთიერთგააზრების გარეშე მხოლოდ რომელიმე ერთი ტიპის მასალის საკვლევად ცალ-ცალკე აღება, თუნდაც ისეთი მნიშვნელოვანის როგორიცაა ლითონის ან კერამიკის ნიმუშები, არ არის მართებული პრინციპი ამ საკითხის გადაჭრისათვის.

კოლხური და ყობანური კულტურების პრობლემა არა მხოლოდ სხვადახვა ქვეყნების სამეცნიერო პოტენციალის და მასალების კარგ კოორდინირებას მოითხოვს, არამედ საკითხისადმი კომპლექსურ მიდგომასაც.

კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთმიმართების საკითხი დიდი ხანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას. ბრინჯაოს ხანის ამ მნიშვნელოვან კულტურულ ერთობებზე საინტერესო კვლევები აქვთ წარმოებული ბ. კუფტინს, ე. კრუპნოვს, ა. იესენს, ა. კრუგლოვს, ვ. კოზენკოვას, ო. ლორთქიფანიძეს, თ. მიქელაძეს, მ. ბარამიძეს, ლ. ფანცხავას, ლ. სახაროვას, რ. პაპუაშვილს, ჯ. აფაქიძეს, ნ. სულავას, ს. რეინჰოლდსა და სხვებს.

ამ კულტურათა შესწავლის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია დღეს. ყოველი ასპექტი ამ პრობლემური საკითხისა, რომელიც კოლხურ და ყობანურ კულტურებს (თუ კოლხურ-ყობანურ კულტურას) ეხება, შესასწავლი, კომპლექსურად გასააზრებელი და გადაუდებლად გამოსაცემია.

კოლხური და ყობანური კულტურების შესწავლა მათი მრავალფეროვანი მატერიალური კულტურის ძეგლთა სრულად და სისტემურად გააზრების გარეშე შეუძლებელია. ის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის წამყვანი მნიშვნელობის

არტეფაქტების – თიხის ნაკეთობათა, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის მასალათა გვერდით, ტორევტიკის და სხვა ტიპის ნიმუშების სპეციალურ კვლევასაც მოითხოვს. სწორედ მთელი ამ მრავალფეროვანი ტიპის არტეფაქტების ურთიერთმიმართებითი თვალთახედვით და მასშტაბურად შესწავლა (აუცილებლად პოლიტიკისაგან დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად) არის იმის გარანტია, რომ კოლხური და ყობანური კულტურების მთავარი შინაარსი, როგორც დამოუკიდებელი თუ ერთიანი ფენომენისა, გაირკვეს და ნათლად დასაბუთდეს საბოლოოდ.

კავკასიის სიძველეთა მიმართ ინტერესი XIX საუკუნეში გაჩნდა, ხოლო XX საუკუნის პირველი ნახევარი გადამწყვეტი ეტაპი გახდა კავკასიის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლთა კვლევის თაობაზე.

ჩრდილო კავკასიის ძეგლების ცნობილმა მკვლევარმა ევგენი კრუპნოვმა გამოჰყო ის ოთხი კულტურული არეალი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას და დასავლეთ ამიერკავკასიას მოიცავდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. ესენია: ყუბანისპირეთის, ყობანის, კაიაკენტ-ხოროჩოისა და კოლხეთის კულტურები. ამ უკანასკნელს იგი უწოდებდა კოლხეთის, და არა კოლხურ კულტურას, ალბათ იმ მიზეზის გამო, რომ ამ კულტურის შემქმნელ ხალხში მხოლოდ ქართულ ეთნიკურ ერთეულს არ ხედავდა.

ჩვენ ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ დასავლურ-ქართულ (კოლხურ) და ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში გავრცელებულ კულტურებზე, რომელიც ყობანურის სახელითაა ცნობილი. ბევრჯერ აღნიშნულა ამ კულტურებს შორის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, რომელთა წარმოჩენით ხდებოდა მსჯელობა ამ კულტურათა მატარებელი ტომების წარმოშობასა თუ ეთნიკურ კუთვნილებაზე. ფაქტია, რომ საერთო ნიშნები მათ შორის უფრო სჭარბობს, რაც მჭიდრო კავშირსა და გარკვეულწილად შესაძლო ეთნიკურ სიახლოვეზეც მეტყველებს.

უაღრესად პრობლემური რჩება აღნიშნული ორი წრის ძეგლების ერთ კულტურად თუ მათი დამოუკიდებელ, მაგრამ ერთმანეთთან ახლოს მდგარ კულტურებად, მოაზრების პრობლებაც. აქ მკვლევართა შორის არა მარტო აზრთა სხვადასხვაობაა, არამედ საკმაოდ მერყევი ვარაუდებიცაა გამოთქნული. ეს სწორედ ის საკითხია, რომელიც მხოლოდ სპეციალურად წარმართული სისტემური კვლევის შედეგად შეიძლება დასაბუთთდეს.

დღეისათვის, კოლხურ და ყობანურ (თუ კოლხურ-ყობანური) კულტურათა ურთიერთმიმართების შესწავლის პრობლემატიკაში იკვეთება შემდეგი საკვანძო საკითხები, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და მათი გადაჭრა მნიშვნელოვანია. ამ პრობლემურ საკითხებს ჩვენ ასე ჩამოვაყალიბებდით:

1. *ამ კულტურათა გენეზისი.*

2. *მათი ქრონოლოგიური ჩარჩოს შემუშავება.*

3. *კოლხურ და ყობანურ კულტურათა ლოკალური ვარიანტების და თითოეული მათგანის ძეგლების სინქრონიზაციის საკითხები.*

4. *მათ შორის საერთო და განმასხვავებელი ნიშნების სრული ნუსხის დიფერენცირება.*

5. *ამ ორი კულტურული წრის მატერიალური კულტურის ძეგლთა, პირველ რიგში კერამიკისა და ლითონის ნაკეთობათა, კომპარატიული ანალიზი.*

6. *კოლხური და ყობანური კულტურების გეოგრაფიული ურთიერთკვეთისა და შეხების წერტილების რეგიონების მიხედვით გამოყოფა.*

7. *სხვადასხვა ქვეყნების ბიბლიოთეკებსა თუ არქივებში შენახულ ლიტერატურასთან და მუზეუმებში დაცულ არქეოლოგიურ მასალასთან წვდომა.*

სანამ შევეხებოდეთ ძირითად საკითხს, მოკლე აქცენტს გავაკეთებთ კოლხური და ყობანური კულტურის გენეზისის პრობლემებზე, და მასთან დაკავშირებულ იმ ზოგად შეხედულებებზე, რომელიც ჩრდილო კავკასიელ მკვლევრებს შორისაა გავრცელებული.

ყობანური კულტურის ძირითადი კერა დღევანდელი ჩრდ. ოსეთის ტერიტორიაა, საიდანაც ის გავრცელდა დასავლეთის და აღმოსავლეთის მიმართულებით, სადაც ამ კულტურის ლოკალური ვარიანტები გამოიყო [Козенкова, 1981: 29]. ყაბარდო-ბალყარეთისა და, გარკვეულწილად, ყარაჩაი-

ჩერქეზეთის ტერიტორიაზე გავრცელდა ყობანური კულტურის დასავლური ვარიანტი, ხოლო ჩეჩნეთ-ინგუშეთში – აღმოსავლური.

ყობანური კულტურის წარმოშობის პრობლემა დღესაც მწვავედ დგას, რასაც ხშირად რუსული პოლიტიკური სუბიექტურობისთვის სასარგებლო საფუძვლადაც იყენებენ. დიდია განსხვავება დასავლეთის, რუს და კავკასიელ არქეოლოგთა შეხედულებებს შორის, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ. ბოლო პერიოდში მომრავლდა ოსი მკვლევარების ნაშრომები ყობანის კულტურაზე, რომლებიც მასში ირანულ საფუძველს ეძებენ, ერთ-ერთ დამამტკიცებელ საბუთად კი მოჰყავთ ცხოველსახოვანი სტილი, რომელიც აქ ირანული წრის არსებობის დამადასტურებელ შედეგად მიაჩნიათ. 2005 წელს ქ. ნალჩიკში გამოცემულ ნაშრომში რ. ტილოვი ყობანური კულტურის ზოომორფული სტილისა და სხვა ელემენტების მომხრობით, ასკვნის, რომ ყობანური კულტურის შემოქმედი ტომები თურქულ და გერმანულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნოდნენ [Тилов, 2005: 10]. ამ ყველაფერს კი იგი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ "ყობანელთა" შთამომავლები არიან დღევანდელი ყარაჩაი-ბალყარელები, რომელთა ენის მეშვეობითაც იხსნება "ყობანური კულტურის ბევრი საიდუმლო".

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა, მაგრამ შინაარსობრივად განსხვავებული, ჩეჩენ და ინგუშ მკვლევარებს შორისაც, მათი უმრავლესობა ყობანური კულტურის შემქმნელ ეთნიკურ ბირთვად, ნახურ ენაზე მეტყველ ტომებს მიიჩნევს. ეს მოსაზრება, გარკვეულწილად ემყარება იმ ფაქტს, რომ ნახურ ენაზე მეტყველი ჯგუფები უძველესი დროიდან სახლობდნენ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, რასაც ქართული საისტორიო წყაროების მოშველიებითაც ამყარებენ. კერძოდ, "ქართლის ცხოვრებაში" დაცულ ლეგენდას კავკასიის სხვადასხვა ხალხთა წარმოშობისა და განსახლების არეალის თაობაზე.

საკმაოდ ხშირად შევხვდებით ციტირებას "ქართლის ცხოვრებიდან", განსაკუთრებით კი აღნიშნულ მონაკვეთზე: "ხოლო კავკასიათა ჩრდილოთ არა იყო ხუედრი თარგამოსისა, არამედ არცა იყო კაცი კავკასიასა ჩრდილოთ; და უმკჳდრო იყო ქუეყანა იგი კავკასიითგან ვიდრე მდინარემდე დიდად, რომელი შესდის ზღუასა დარუბანდისასა. ამისთჳს გამოიყვანნა მრავალთა გმირთაგან ორნი გმირნი, ლეკან და კავკასი. და მისცა ლეკანს ზღჳთგან დარუბანდისათ

ვიდრე მდინარემდე ლომეკისა, ჩრდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთისად. და მისცა კავკასის ლომეკის მდინარითგან ვიდრე დასასრულადმდე კავკასისა, დასავალით" [ქართლის ცხოვრება, თავი I]. მსგავსი თემებით, თუ ისტორიული ცნობებით აპელირება, მათი სათანადო გააზრებისა და ანალიზის გარეშე მართებული არ არის და შესაბამისად, მიღებული დასკვნებიც სანდო ვერ იქნება.

ზემოთ განხილული მაგალითების ფონზე ჩანს, რომ ჩრდილო კავკასიელ მკვლევართა ნაშრომები საკმაო ტენდენციურობით გამოირჩევა. მათი დიდი ნაწილი საკუთარი ეთნოსის პოზიციებიდან მსჯელობს და ამ კულტურის სხვადასხვა ელემენტების ახსნას, ხშირად ლინგვისტური, ეთნოგრაფიული თუ სხვა მეცნიერული თუ არამეცნიერული მეთოდებით ცდილობს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მსგავსი ტენდენციურობა არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ სამხრეთ კავკასიელ მკვლევრებშიც არ წარმოადგენს იშვიათობას, რომლისგანაც შესაძლოა არც ქართველი არქეოლოგები, თუ ისტორიკოსები ვიყოთ დაცული.

ცნობილი არქეოლოგი ევგენი კრუპნოვი, იმ დროისთვის მის ხელთ არსებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე მსჯელობდა კოლხურ და ყობანურ კულტურებს შორის განმასხვავებელ და საერთო მომენტებზე [Крупнов, 1957: 59]. იგი განმასხვავებლი ნიშნების სიმრავლეს უსვამდა ხაზს და საერთო მომენტების სიმცირეზე მიუთითებდა:

*"**დასავლეთ საქართველოში ძირითადად გვხვდება ორმოსამარხები და ქვევრსამარხები, ხოლო ქვასამარხები იშვიათობაა**. ასევე, კერამიკის ფორმები და ორნამენტი განსხვავდება ყობანურისაგან, იშვიათად გვხვდება მაღალი აბზინდები, დიდი საკინძები, სპირალისებური ხელის რგოლები, საიდაყვეები და სხვა. ჩრდილო კავკასიაში კი არ გვხვდება თოხები, ტყავის საჭრისები და წალდები."*

ამავდროულად, ე. კრუპნოვი აღნიშნავდა, რომ კოლხეთის კულტურა მაინც სიახლოვეს იჩენს ყობანის და ყუბანისპირეთის კულტურებთან სამეურნეო-კულტურული ასპექტით. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ე. კრუპნოვის შეხედულებით, რომელსაც ძნელია არ დაეთანხმო, თერგის, ყუბანისა და

რიონის აუზის მკვიდრნი ძვ. წ.-ის I ათასწლეულის შუახანებამდე ერთ ენობრივ ჯგუფს, იბერიულ-კავკასიურს განეკუთვნებოდნენ [Крупнов, 1957: 64].

კოლხური და ყობანური კულტურების წარმოშობის თაობაზე სხვადასხვა შეხედულებებიდან, კრუპნოვის მოსაზრება ყობანური კულტურის ადგილობრივ წარმოშობასთან დაკავშირებით, ეჭვს ნაკლებად იწვევს, თუმცა ამ პრობლემის გადაწყვეტა დღემდე ვერ მოხერხდა.

არადამაჯერებელი ჩანს ყობანში გავრცელებული ბრინჯაოს ცულის პროტოტიპის ძებნა ქვის ცულებში, რომლის მეშვეობითაც ზოგიერთი მეცნიერი უწყვეტი კულტურული განვითარების არსებობის დამტკიცებას ცდილობს. ე.წ. "პიატიგორსკის" ტიპის ცულები, რომლებიც ქვისგანაა დამზადებული, საეჭვოა იყოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ცულის პროტოტიპი, რადგანაც ბრინჯაოს ცულები გვიანდელი ბრინჯაოს ხანის პერიოდზე გაცილებით უფრო ადრე იყო გავრცელებული. თუმცა, ამ ქვის ცულებს შესაძლოა ჰქონოდათ უფრო საკულტო ან საზეიმო-რიტუალური დანიშნულება, ან დასაშვებია საბრძოლოც, მაგრამ სამეურნეო საქმიანობაში მათ არ გამოიყენებდნენ.

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ყობანში გავრცელებული ცულის სახეობა უპირატესად დასავლეთ ამიერკავკასიაშია წარმოდგენილი, მაშინ როცა ჩრდილოეთ კავკასიაში, ყობანის სამაროვნის გარდა, მათი აღმოჩენის მხოლოდ ერთეული შემთხვევებია ცნობილი (სერჟენ-იურტისა, ტერეზეს, კლინ-იარი III-ის სამაროვნები, ჟემთალას განძი).

ყველა სამარხი, თუ განძი, სადაც აღნიშნული ცულია აღმოჩენილი, ყობანური კულტურის ადრეულ საფეხურს, კერძოდ, ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისს ან I მეოთხედს განეკუთვნება და საერთოდ უცნობია ძვ.წ. I ათასწლეულის შუა პერიოდის ძეგლთათვის. კოლხური კულტურის არეალისთვის ბრინჯაოს ცულები კი ძვ.წ. VII-VI საუკუნეების მიჯნით და შედარებით მოგვიანო პერიოდით დათარიღებულ ძეგლებზეც გვხვდება. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კოლხურ კულტურაში რკინის ფართოდ ათვისების ხანაში დიდი ოდენობით იჩენენ თავს რკინისაგან დამზადებული ცულები, რომელთა პროტოტიპებსაც სწორედ ბრინჯაოს კოლხური ცულები უნდა წარმოადგენდნენ.

რაც შეეხება კერამიკულ ნაწარმს, ყობანური კერამიკა მჭიდრო კავშირს არ ავლენს წინამორბედი ხანის კერამიკულ მასალასთან, თუმცა როგორც ფიქრობენ, გარკვეული კავშირი შეინიშნება ზოგადად ფორმის მიხედვით.

მეცნიერთა ნაწილი ვერ ხედავს ასევე კავშირს კოლხურსა და ყობანურ კერამიკას შორის და საერთო მომენტებად მარტო იარაღს, მცირე პლასტიკის ნიმუშებს, სამკაულსა თუ დეკორს მიიჩნევს [Reinhold, 2003].

ყობანური კულტურის წარმოშობა შუა ბრინჯაოს ეპოქის ლოკალური კულტურული წრიდან, რომელსაც ა. სკაკოვი პირობითად უწოდებს დიგორულს, გარკვეულწილად შეიძლება ეჭვს იწვევდეს, რადგან ამ ეპოქის ლიმიტირებული რაოდენობის მასალა, არა თუ ყობანურ კულტურასთან, არამედ ერთმანეთთანაც არცთუ ისე ძლიერ მსგავსებას ავლენს. ა. სკაკოვის მიერ პირობითად "დიგორიულად" წოდებული კულტურა, მისი აზრით მოიცავდა არა მარტო დღევანდელ ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიას, არამედ რაჭას, ბალყარეთსა და სვანეთის ნაწილს [Скаков, 2001: 188-196].

ლითონის პროდუქცია ზოგადად, და ასევე მხატვრული ხელოსნობის მრავალფეროვანი ნიმუშები, სწორედ ის მასალაა, რომელიც ყველაზე აშკარა იდენტურობას ამჟღავნებს კოლხური და ყობანური წრის კულტურის ძეგლებს შორის და რომელზე დაყრდნობითაც მკვლევართა ერთი ნაწილი უშვებს კიდეც მათი ერთ კულტურად მოაზრების შესაძლებლობას [Панцхава, Сулава, Папуашвили, 2003: 102].

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მხატვრული ლითონის სპეციალურად კვლევა ის ასპექტია, რაც უდავოდ საგანგებო ყურადღებას საჭიროებს ჩვენს მიერ დასმული საკითხის გადაჭრის საქმეში. ამ მასალათა შორის საგანგებო ღირებულების მქონეა სიტულები. სიტულები კოლხური და ყობანური კულტურების ერთ-ერთი სიმპტომატური და მრავალმხრივ საყურადღებო მასალაა, რომელიც ნათელს ფენს გვიან ბრიჯაოს ხანის მხატვრულ ხელოსნობის განვითარების რთულ პროცესს. ჩვენი აზრით, ლითონის ჭურჭლის საგანგებოდ შესწავლას მნიშვნელობა აქვს კოლხური და ყობანური კულტურების ერთიანობის ან მათი დამოუკიდებელ კულტურულ ფენომენებად მიჩნევის საკითხის გარკვევისათვისაც.

ამ თვალსაზრისით ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ კოლხური და ყობანური კულტურების მრავალ საერთო და საინტერესო ნიმუშთა შორის ყურადღებას იპყრობს საკმაოდ დახვეწილი და ორიგინალური ბრინჯაოს სიტულები. მათი არეალი ფართოა, მაგრამ ძირითადი ცენტრი მათი დისტრიბუციისა მაინც ცენტრალური კავკასიაა, განსაკუთრებით კი დღევანდელი რაჭის, ლეჩხუმის, ისტორიული დვალეთის, ოსეთის და ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორია.

კოლხურ-ყობანური სიტულები გაცილებით შორსაც არის აღმოჩენილი, რაც მათ პოპულარობასა და სავაჭრო-ეკონომიკური დანიშნულებით გამოყენებასაც მოწმობს. ამის დამამტკიცებელია ამ სიტულების მსგავსი მოყვანილობის ჭურჭლის ნიმუშთა აღმოჩენა უკრაინასა და თურქეთში, არარატის მთის ძირას [საქართველოს არქეოლოგია, 1959: 220].

ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ტორევტიკის ნიმუშები საკმაო მრავალფეროვნებით ხასითდებიან და კოლხურ და ყობანურ კულტურებში ისინი ლითონის დამუშავების დიდ ტრადიციასა და განვითარების მაღალ დონეზე მიგვითითებენ.

აქ მხოლოდ ზოგადად აღვნიშნავთ, რომ ტორევტიკის ნაწარმის ზოგიერთი ტიპი კოლხურ და ყობანურ კულტურებში განვითარების შედარებით უფრო გვიანდელ ეტაპზე ჩნდება და რკინის ფართოდ ათვისების ხანაში მათი წარმოება ცალკეულ რეგიონში პიკსაც კი აღწევს. საქმე გვაქვს ლითონის ჭურჭლის ისეთ სახესთან, რომელიც ქართულ ენაში "სარწყულის", ხოლო ლათინურში "სიტულის" სახელითაა დამკვიდრებული. ქართული სახელწოდება გაცილებით უფრო ფართო დატვირთვის მქონეა, ამიტომ ყურადღება გამახვილებულია მის ლათინურ შესატყვისზე – "სიტულაზე", რომელიც ზუსტად ასახავს მასალის ტიპს. ამასთანავე, ეს ტერმინი საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში აქტიურად ფიგურირებს და მისი გამოყენება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც მიზანშეწონილი ჩანს.

გვიანი ბრინჯაოს ხანის თითქმის ყველა სახის სიტულების დიდი ნაწილი სამარხეული მასალიდან მომდინარეობს, გაცილებით იშვიათად კი განძებიდან. რადგან ჩვენ კარგად არ ვიცნობთ გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კოლხური და ყობანური კულტურების სამოსახლოებს, ამიტომ სიტულების აქ აღმოჩენის ფაქტი, ჯერჯერობით, არაა ცნობილი ან არ არსებობს ცნობა ამის თაობაზე. ალბათ უფრო მართებული იქნება, თუ ამ ორი კულტურის სიტულები სამომავლოდ ყოველთვის ერთმანეთთან კონტექსტში და ერთად იყოს გაანალიზებული და არა ცალ-ცალკე, რადგან ასე უფრო გამართლებული იქნება საერთო თუ განმასხვავებელი ნიშნების გამოყოფა და აღწერა ამ კატეგორიის მასალაში.

ყობანური კულტურის მასალა ძირითადად რუსეთის მუზეუმებშია დაცული, მსგავსად თლიას სამაროვნისა, ხოლო რაჭის მთიანეთის, კერძოდ კი ბრილის მასალა, ჯერჯერობით, გამოუქვეყნებელი და ძირითადად მიუწვდომელი

რჩება. სიტულების სრულყოფილად კვლევა მთელი აუცილებლობით მოითხოვს რუსულენოვან სამეცნიერო სივრცეში გამოსული სტატიებისა და იქაურ მუზეუმთა ფონდებში დაცული მასალების გაცნობას, რომელიც ბოლო სამ ათწლეულში დაგროვდა. ამიტომ, ასეთი დაბრკოლების გამო, ვთვლით, რომ ეს დეფიციტი მომავალ ხელსაყრელ შემთხვევებში, აუცილებლად შეივსება ახალი მონაცემებით და, შესაბამისად, უფრო დააკონკრეტებს და გაამდიდრებს იმ ტიპოლოგიურ ჯგუფებს, რომლებზეც ჩვენ ამჟამად ვმუშაობთ. ყოველივე ეს დაგვეხმარება თვალი გავადევნოთ ტორევტიკის განვითარების ეტაპებს გვიანიბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხურ და ყობანურ კულტურებში, ასევე, ბრინჯაოს ჭურჭლის სხვადასხვა სახეებს შორის ერთმანეთთან კავშირს, ფორმათა მსგავსებებსა და მათ ჩამოყალიბებას.

როგორც ვხედავთ, კოლხური და ყობანური კულტურების პრობლემატიკაში სადავო და ზოგჯერ პოლარულად განსხვავებული პოზიცია ბევრია. ამ საკითხების გარკვევის და რეალური ისტორიული სურათის აღდგენის საუკეთესო საშუალებას შექმნის კავკასიელი, უცხოელი და რუსი მკვლევრების არა მხოლოდ ნაშრომთა დროულად ხელმისაწვდომობა, ასევე კავკასიის, ევროპისა და რუსეთის (დღეისათვის ეს ხდება ძირითადი პრობლემა) მუზეუმებში დაცულ უმდიდრეს კოლექციებზე მუშაობა, არამედ აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე მკვლევარების მიერ ამ რთული პრობლემატიკის კოორდინირებული კვლევა. სწორედ მსგავსი მიდგომის შედეგად გახდება შესაძლებელი კოლხური და ყობანური კულტურების ყველა სადავო თემატიკის ობიექტური განხილვა და გარკვეულწილად სუბიექტური პოზიციების გამორიცხვა, რაც საკმაოდ აძნელებს ჭეშმარიტების დადგენას.

მიუხედავად რეგიონში შექმნილი რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციისა, მიგვაჩნია, რომ სამეცნიერო დარგები და მათ შორის არქეოლოგიაც, არ უნდა იყოს შეზღუდული გარკვეული პოლიტიკური კონიუნქტურული ჩარჩოებით და არქეოლოგიური მასალა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მკვლევრისათვის, რაც პრობლემატიკის მრავალი ასპექტით ანალიზსა და ობიექტური დასკვნების გაკეთებას შეუწყობს ხელს.

თავი II

კოლხური და ყობანური კულტურების ლოკალიზაციისა და ქრონოლოგიის საკითხები

კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთმიმართების საკითხის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათი საერთო და განმასხვავებელი ელემენტების სრულ შეჯერებას, რაც ჩვენი თემის მთავარ ამოცანას არ წარმოადგენს, თუმცა საჭიროდ ჩავთვალეთ მოგვეყვანა იმ ელემენტთა მოკლე მიმოხილვა, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ამ კულტურათა ძირითადი მახასიათებლების გამოყოფა. ამ კუთხით ასევე საინტერესოა მათი გავრცელებისა და ქრონოლოგიის საკითხები, რომლებიც საკმაოდ პრობლემატურია და ერთიანი შეხედულება აღნიშნული თემის ირგვლივ არ არსებობს.

§1. კოლხური და ყობანური კულტურების ლოკალიზაცია

კავკასიის რეგიონში ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში ჩამოყალიბებას იწყებს მრავალი კულტურული არეალი. სამხრეთ კავკასიაში ეს პერიოდი დაკავშირებულია კოლხური, სამთავროს, იორ-ალაზნისპირეთის, განჯა-ყარაბაღის და სხვ. არქეოლოგიური კულტურების არსებობასთან. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, აქ ყალიბდება ყუბანისპირეთის, ყობანის და კაიაქენთ-ხოროჩოის სახელით ცნობილი არქეოლოგიური კულტურები.

პირველი მათგანი ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ მხარეს მოიცავდა, ყობანური კულტურა მის ცენტრალურ ნაწილს – თანამედროვე სტავროპოლის მხარის სამხრეთს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ოსეთის, ინგუშეთის ტერიტორიებს მთლიანად და ჩეჩნეთის უდიდეს ნაწილს, ხოლო

კაიაქენთ-ხოროჩოისა – ჩეჩნეთის აღმოსავლეთ ნაწილსა და დაღესტნის ტერიტორიას.

ზემოთ ჩამოთვლილი კულტურებიდან ერთ-ერთ ყველაზე ვრცელ არეალს კოლხური კულტურა მოიცავს. იგი ფარავდა დღევანდელი კრასნოდარის მხარის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, აფხაზეთს, სამეგრელოს, გურიას, აჭარას, თანამედროვე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, სვანეთს, რაჭას, ცხინვალის რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილსა (დვალეთი) და იმერეთს (ტაბ. I). აღნიშნული ტერიტორიების გარდა, კოლხური კულტურის ელემენტები მიკვლეულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში, ძირითადად შიდა ქართლში, ბორჯომის ხეობასა და სამცხეში.

ყობანური კულტურის არეალში პირველად ე. კრუპნოვის მიერ იქნა გამოყოფილი ლოკალური ვარიანტები. იგი ეყრდნობოდა იმ განსხვავებებს, რომელიც თავს იჩენდა არქეოლოგიურ მასალაში, სამოსახლოთა ტიპებსა და დაკრძალვის წესში. სწორედ ამ სხვაობათა მიხედვით ყობანური კულტურა დაიყო ცენტრალურ, დასავლურ და აღმოსავლურ ვარიანტებად. ასეთი დაყოფა მომდევნო წლებში ფართოდ დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში [Крупнов 1960: 178].

ყობანური კულტურის დასავლური ვარიანტი მოიცავდა დღევანდელი ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიებსა და სტავროპოლის მხარის სამხრეთ ნაწილს. აღმოსავლური ვარიანტი ფარავდა ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორიებს, ხოლო დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორია მოქცეულ იქნა ცენტრალურ ვარიანტში (ტაბ. I).

როგორც ვხედავთ, კოლხური და ყობანური კულტურების სასაზღვრო ზოლი ძირითადად კავკასიონის ქედს მიუყვება, რომელიც ბუნებრივ ბარიერს წარმოადგენდა არა მარტო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, არამედ წინარე და მომდევნო ეპოქებშიც.

არ არის გასაკვირი ის დიდი სიახლოვე, რომელიც კავკასიის ორივე მხარის მოსაზღვრე რეგიონებში შეინიშნება. ეს ჯერ კიდევ შუაბრინჯაოს ხანაში, ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევარშია თვალშისაცემი. მაგალითად, ბრილის სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის სამარხეული ძეგლები, ინვენტარის მხრივ მჭიდრო კავშირს ავლენენ ჩრდილოკავკასიურ კულტურასთან, განსაკუთრებით კი დიგორში (დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის სამხრეთ-

დასავლეთის მთიანი მხარე) მიკვლეული მატერიალური კულტურის ძეგლებთან [საქართველოს არქეოლოგია 1959: 115].

მსგავსი სიტუაციაა თლიას სამაროვანზეც, რომელიც აგრეთვე ე.წ. სასაზღვრო ზოლში მდებარეობს. ამ ძეგლების მჭიდრო კავშირი ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნებთან გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაშიც თვალშისაცემია, რაც ყობანური კულტურის ელემენტთა ფართო გავრცელებით აღინიშნება. ეს არქეოლოგიურ მასალასთან ერთად, დაკრძალვის წესსა და სამარხი-კონსტრუქციების მოწყობის ტექნიკაშიც თვალშისაცემია. ამის მიუხედავად, ჩვენ რუსულენოვან მკვლევართაგან (ე. კრუპნოვი, ვ. კოზენკოვა) განსხვავებით არ გვაქვს ამის დამამტკიცებელი არანაირი საბუთი, რომ ბრილისა და თლიას სამაროვნები ყობანური კულტურის ძეგლებად მივიჩნიოთ, რადგან ყობანური კულტურის ცალკეულ ელემენტებთან მსგავსება არ ნიშნავს მათი აღნიშნული კულტურის გავრცელების არეალში მოქცევას.

§2. კოლხური და ყობანური კულტურების ქრონოლოგიის საკითხი

კოლხური და ყობანური კულტურების ქრონოლოგიის საკითხი, როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, საკმაოდ პრობლემური თემაა და ამიტომ, ჩვენ შევეცდებით მოვიყვანოთ ის ძირითადი შეხედულებები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაშია გავრცელებული.

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ჯერ კიდევ სადავოა, როგორც კოლხური, ასევე ყობანური კულტურისათვის დადგენილი ზედა და ქვედა ქრონოლოგიური საზღვრები. ამას სწორედ თანამედროვე მეთოდიკით შესრულებული დათარიღების არარსებობა განაპირობებს და დღემდე ორივე კულტურის ქრონოლოგიური ჩარჩო მიახლოებითი ქრონოლოგიის საფუძვლებს ემყარება.

კოლხური კულტურის ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად ზოგადად ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარია მიჩნეული, ხოლო ქვედა საზღვარი ექცევა ძვ.წ. VII–VI საუკუნეებს შორის პერიოდში, როცა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ბერძნული პოლისების დაარსება იწყება. სწორედ ძვ.წ. VI

საუკუნე მიაჩნდა ე. გოგაძეს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ბოლო საფეხურად. საერთოდ, იგი ამ კულტურის დასკვნით სტადიას ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებს შორის პერიოდში აქცევდა [გოგაძე, 1980: 597].

შედარებით რთული სიტუაციაა ყობანურ კულტურასთან მიმართებაში. დაუდგენელია წინარეყობანური და ყობანური კულტურების გარდამავალი პერიოდი. შემოთავაზებულია სხვადასხვა ქრონოლოგიური სქემები, რომელთა მოკლე მიმოხილვა საინტერესო იქნება.

პირველი ფუნდამენტური კვლევა ყობანური კულტურის ძეგლების ქრონოლოგიზაციის კუთხით ჩატარებული აქვს ე. კრუპნოვს. მის მიერ გამოყოფილია ამ კულტურის განვითარების სამი ძირითადი ეტაპი:

1. ადრეყობანური, როდესაც ის იწყებს ფორმირებას.

2. განვითარებული პერიოდი.

3. სკვითური ხანა, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიის ძეგლებზე თვალშისაცემია სკვითური ელემენტები.

ზოგადად, ყობანური კულტურის ქრონოლოგიური ჩარჩო ე. კრუპნოვს ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულით – ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისსა და ძვ.წ. I ათასწლულის შუახანებს შორის პერიოდში აქვს მოქცეული [Крупнов, 1960].

ე. კრუპნოვის ქრონოლოგიური სქემა მოგვიანებით ვ. კოზენკოვამ განავითარა. მის მიერ გამოყოფილია ყობანური კულტურის 4 ძირითადი ეტაპი: პროტოყობანური (ძვ.წ. XIV-XII სს.), ადრეყობანური (ძვ.წ. XII-X სს.), კლასიკური (ძვ.წ. X-VII სს.) და სკვითური პერიოდი (ძვ.წ. VII-IV სს.) [Козенкова, 1996].

ყობანური კულტურისა და კერძოდ ყობანის სამაროვნის ფუნქციონირების პერიოდი ძვ.წ. XIII-VI საუკუნეებს შორის აქვთ მოქცეული გ. კოზაკსა და ს. რაინჰოლდს [Kossack, 1983; Reinhold, 2007].

გ. კოზაკს თავისი ქრონოლოგიური სქემა დიდწილად ფიბულათა ტიპოლოგიის მიხედვით აქვს განსაზღვრული, მსგავსად ნ. სულავასი, რომელიც ამ კულტურის ადრეულ ეტაპად ძვ.წ. IX საუკუნეს მიიჩნევს [სულავა, 2005; სულავა, 2006].

აღნიშნული ქრონოლოგიური სქემების გათვალისწინებით, ჩვენ შეგვიძლია მოკლე მიმოხილვა გავაკეთოთ ყობანური კულტურის ქრონოლოგიური ჩარჩოსი. ამ კულტურის საწყისი ეტაპი ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულითაა განსაზღვრული და კოლხურ კულტურასთან შედარებით "ახალგაზრდაა". ქვედა ზღვარი ძვ.წ. VI–V საუკუნეების მიჯნაზე მოდის, როცა ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში სტეპების კულტურათა ზეგავლენა თავის პიკს აღწევს.

თავი III. კოლხური და ყობანური კულტურების სამარხ-კონსტრუქციათა ანალიზი

§1. კოლხური კულტურის სამარხთა კონსტრუქციის ანალიზი

კოლხური კულტურის საკმაოდ ფართო არეალში სამარხთა კონსტრუქციები ტიპოლოგიური მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. შესწავლილი სამარხეული ძეგლები, თუკი ამ კულტურის ფართო დისტრიბუციასთან მიმართებით ვიმსჯელებთ, ჯერჯერობით შედარებით მცირე რაოდენობით არის აღმოჩენილი (ტაბ. II). მიუხედავად ამისა, მოკვლეული მასალის მიხედვით, შესაძლებლობა გვაქვს გამოვყოთ სამარხთა კონსტრუქციების შემდეგი ძირითადი ტიპები:

1. ორმოსამარხები, რომელთაც მარტივი კონფიგურაცია აქვთ.

2. ქვაყრილით დაფარული მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხები.

3. ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხები.

4. ქვაყრილით დაფარული სამარხები, რომელთა კიდეებიც ქვებითაა შემოწყობილი.

5. ხის ფიცრებით კონსტრუირებული სამარხები.

6. სამარხი-ორმოები.

7. ქვაყუთები.

8. ოსუარიუმები.

9. ყორღანული სამარხები.

I. *მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხები.*

ორმოსამარხები კოლხური კულტურის არეალში, სამარხის სხვა ტიპებთან შედარებით, საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას ფარავენ. ფორმის მიხედვით შეიძლება 3 ძირითადი ქვეტიპის გამოყოფა:

1. *ოთხკუთხედთან მიახლოებული.*

2. *წრიული.*

3. *ოვალური.*

I ქვეტიპის მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხებს გააჩნიათ ოთხკუთხედთან მიახლოებული მოყვანილობა. ისინი წარმოდგენილი არიან შემდეგ სამაროვნებზე: თლია, გუადიხუ.

უნდა აღინიშნოს, რომ თლიაზე (ცხინვალის რეგიონი) შესწავლილი მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხების ასრსებობა არ არის ერთი კონკრეტული მონაკვეთით შეზღუდული და ისინი სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდს მიეკუთვნებიან. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჩვენს მიერ განხილული 294 სამარხიდან, მხოლოდ 113 სამარხის მეშვეობითაა შესაძლებელი მათ ტიპოლოგიურ კუთვნილებაზე საუბარი. 181 სამარხი, რომლებიც ბ. ტეხოვს თლიას სამაროვნისადმი მიძღვნილ ნაშრომებში აქვს აღწერილი, დეტალურ მონაცემებს არ შეიცავენ და სამარხთა კონსტრუქციის საკითხზე მსჯელობა საკმაოდ რთულია. ეს შესაძლოა მათი დაზიანებითაც ყოფილიყო გამოწვეული.

თლიას სამაროვანზე ოთხკუთხედთან მიახლოებული ფორმის მარტივი კონფიგურაციის მხოლოდ 3 სამარხია ცნობილი (№№ 290, 296, 330). №290 სამარხი სიგრძეში 1,2 მეტრს, ხოლო სიგანეში 0,74 მეტრს აღწევდა [Техов, 1985: 43], რაც შეეხება №330 სამარხს, მისი სიგრძე 1,05 მეტრს და სიგანე 1,5 მეტრს

შეადგენდა. ჩვენს ხელთ არსებული ასეთი მწირი ინფორმაციით თლიას სამაროვნის ამ ქვეტიპის სამარხების შესახებ რაიმეს თქმა შეუძლებელია.

გუადიხუს სამაროვანზე (აფხაზეთი) 91 სამარხი იქნა გამოვლენილი. ქრონოლოგიური თვალსაზრისით ადრეულ ჯგუფს მ. თრაფშმა 32 სამარხი მიაკუთვნა, რომელთა ასაკიც ძეგლის გამთხრელმა ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებს შორის პერიოდში მოაქცია, ხოლო დანარჩენი 59 სამარხი მოგვიანო პერიოდით, ძვ.წ. V-II საუკუნეებით დაათარიღა [Трапш, 1969: 19]. 32 სამარხიდან ოთხკუთხედთან მიახლოებული მოყვანილობა 17 სამარხს ჰქონდა (№№ 1(4), 2(5), 7(10), 8(11), 9(12), 10(13), 11(14), 12(15), 13(55), 19(61), 24(71), 25(72), 26(73), 29(77), 30(78), 31(79), 32(80)).

№1(4) სამარხი მიწის ზედაპირიდან 0,50 მეტრის სიღრმეზე იყო გაჭრილი და ოთხკუთხა ფორმის, კუთხეებმომრგვალებულ ორმოსამარხს წარმოადგენდა, რომლის წაგრძელებული ნაწილი აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე მდებარეობდა [Трапш, 1969: 20]. №2(5) სამარხის სიღრმეც 0,5 მეტრს შეადგენდა. სიგრძე – 1,8 მეტრი, სიგანე – 0,9 მეტრი. ორიენტირებული იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. ასეთივე მიმართულება ჰქონდა №7(10) სამარხსაც [Трапш, 1969: 20]. №9(12) და №19(60) სამარხები სიგრძეში 2 მეტრს აღწევდნენ, რაც მცირედით აღემატება სხვა სამარხებს.

გუადიხუს ოთხკუთხედთან მიახლოებული ფორმის ორმოსამარხების საშუალო სიგრძე 1,9 მეტრს შეადგენდა, ხოლო სიგანე კი 0,8 მეტრს. ყველა მათგანი წაგრძელებული ნაწილით აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე იყო ორიენტირებული.

გუადიხუს სამაროვანზე სხვადასხვა ტიპის სამარხები ჯგუფებად იყვნენ დაყოფილი, რომელთა შორის მანძილი 4-30 მეტრს შორის მერყეობდა. თვითონ სამარხებს შორის დაშორება 0,5-1 მეტრს შეადგენდა [Трапш, 1969: 20].

მიუხედავად იმისა, რომ სამარხები ერთმანეთის სიახლოვეს იყვნენ გაჭრილი, ერთმანეთს არასდროს კვეთდნენ, რაც მათ შორის დროის მცირე მონაკვეთსა და შესაძლოა მიწისზედა კონსტრუქციებზე მიუთითებდეს, რომელთა კვალი არ შემორჩენილა.

თლიასა და გუადიხუს აღნიშნული ქვეტიპის სამარხებს შორის კონსტრუქციის მხრივ კავშირი არ შეინიშნება. გუადიხუზე შესწავლილი ორმოსამარხები თლიას სამარხებზე გაცილებით უფრო გრძელია, ხოლო

სიგანეში კი ჩამოუვარდება. ამავდროულად, გასათვალისწინებელია მათ შორის დიდი ტერიტორიული დაშორებაც, რაც შესაძლოა გამორიცხავდეს პიდაპირ კავშირებს.

II ქვეტიპის სამარხებს მომრგვალო, წრიული მოყვანილობა აქვთ. მათი არეალი შედარებით უფრო ფართოა და მოიცავს შემდეგ სამაროვნებს: გაგრა, ჯანტუხი, წითელი შუქურა, ურეკი, გუადიხუ.

გაგრის სამაროვნის 78 სამარხიდან წრიული მოყვანილობა 19 სამარხს ჰქონდა. ესენია 1980 წელს შესწავლილი 17 (№№ 6, 7 9, 11, 17, 19, 20, 22, 24, 26, 36, 38, 40, 43, 44, 45, 46, 20, 22, 24, 26, 36) და 1984 წელს გამოვლენილი 2 სამარხი (№52, №53), რომელთა საშუალო დიამეტრი 0,7 მეტრს შეადგენდა.

ჯანტუხის სამაროვანზე აღნიშნული ტიპის მხოლოდ ერთი სამარხია მიკვლეული, რომელიც კოლექტიური სამარხი-ორმოს ქვეშ იყო მოქცეული და მისი ფართობი 1 $მ^2$-ს შეადგენდა (ტაბ. XIV, 3). სამარხეული ინვენტარის მიხედვით გ. შამბა ამ სამარხს ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით ათარიღებს [Шамба, 1990: 8].

წითელ შუქურაზე ოვალური ფორმის ორმოსამარხთა რაოდენობა 19-ს აღწევს (№№ 33(46), 42-ა(61), 52(74), 52-ა(75), 53(76), 54-ა(79), 56-ა(85), 66-ა(99), 70(107), 71(108), 73(110), 74(111), 75(112), 75-ა(114), 75-ბ(115), 76(118), 76-ა(120), 77(123), 95(141)). აქ II ქვეტიპის სამარხების საშუალო დიამეტრი 0,7-0,8 მეტრს შორის მერყეობდა. ხშირ შემთხვევაში მათი ძირი ზღვის წვრილი კენჭებით იყო მოფენილი. რაც შეეხება გუადიხუს, აქ, წრიული მოყვანილობის 15 ორმოსამარხია გამოვლენილი, რომელთა საშუალო დიამეტრი 0,5-0,6 მეტრს აღწევდა. ყველაზე მცირე ზომისანი №4(7) და №27(75) სამარხები იყვნენ და მათი დიამეტრი 0,4 მეტრს შეადგენდა [Трапш, 1969: 43].

წითელი შუქურას №17(59) და №23(70) სამარხთა დიამეტრი კი 0,7 მეტრი ყოფილა და ამ მაჩვენებლით სხვა სამარხებს აღემატებიან. როგორც ვხედავთ, გუადიხუს სამაროვნის წრიული მოყვანილობის ორმოსამარხებს, წითელ შუქურასთან შედარებით უფრო მცირე ზომა ახასიათებთ და მათთვის უცნობია სამარხთა ძირის კენჭებით მოწყობის ტრადიცია.

ურეკის სამაროვანზე, სადაც, საერთო ჯამში, 69 ინდივიდუალური სამარხი არის გამოვლენილი, ძეგლის გამთხრელს ერთ კონტექსტში აქვს მოცემული წრიული, ოვალური და არასწორი ოვალის ფორმის სამარხების მოკლე

აღწერილობა [მიქელაძე, 1985: 10-13], რომელთა დიამეტრი 1 მეტრს არ სცილდებოდა. მხოლოდ №68 სამარხის შემთხვევაში, 1,8 მეტრის სიღრმეზე მიკვლეულ სამარხის ორმოს, 2,25 მეტრის სიგრძის დიამეტრი ჰქონდა, რაც მკვეთრად განსხვავდება ურეკის სამაროვნის სხვა სამარხებისაგან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წრიული ფორმის ორმოსამარხები ურეკის სამაროვნის ინდივიდუალურ სამარხებს შორის დომინირებდნენ.

III ქვეტიპის ორმოსამარხებს ახასიათებთ ოვალური მოყვანილობა. დადასტურებულია შემდეგ ძეგლებზე: თლია, გაგრა, წითელი შუქურა, კისტრიკი, ურეკი. ამ ქვეტიპის ორმოსამარხები, როგორც ვხედავთ, შედარებით უფრო მრავალრიცხოვან ძეგლებზეა წარმოდგენილი.

თლიას სამაროვანზე ამ ქვეტიპს მხოლოდ №266 სამარხი განეკუთვნება, რომელიც მიწის ზედაპირიდან 2,36 მეტრის სიღრმეზე ყოფილა გაჭრილი (ტაბ. VIII, 4) [Техов, 1980: 45].

რაც შეეხება გაგრის სამაროვანს, აქ მსგავსი მოყვანილობის 8 სამარხი იქნა შესწავლილი (№№ 4 (1980 წ.), 5 (1980 წ.), 17 (1980 წ.), 25 (1980 წ.), 32 (1980 წ.), 50 (1984 წ.), 55 (1984 წ.), 57 (1980 წ.)).

გაგრის №4 (1980 წ.) სამარხის სიღრმე 1,05 მეტრს, სიგრძე 1,7 მეტრს, ხოლო სიგანე – 0,7 მეტრს შეადგენდა და ორმოს წაგრძელებული ოვალის მოყვანილობა ჰქონდა [Бжания, 1991: 10].

წაგრძელებული ოვალის მოყვანილობის ყოფილა გაგრის №5 (1980 წ.) სამარხიც, თუმცა წინა სამარხთან შედარებით მომცრო ზომისა (სიგრძე – 1 მეტრი, სიგანე - 0,6 მეტრი) (ტაბ. X, 2) [Бжания, 1991: 10]. №17 (1980 წ.) სამარხის სიგრძე 1,75 მეტრს, სიგანე კი 0,6 მეტრს აღწევდა და ამით ახლოს დგას №4 (1980 წ.) სამარხთან [Бжания, 1991: 13]. №57 (1980 წ.) სამარხი 0,55 მეტრის სირღმეზე აღმოჩნდა და მისი სიგრძე 1,85 მეტრს, ხოლო სიგანე 0,7 მეტრს შეადგენდა და მასაც წაგრძელებული ოვალის მოყვანილობა ჰქონდა (ტაბ. X, 6).

სიგრძეში 2 მეტრი, ხოლო სიგანეში 0,7 მეტრი იყო გაგრის სამაროვნის №32 (1980 წ.) სამარხი [Бжания, 1991: 15] და ამ კუთხით ის სხვა ოვალური მოყვანილობის ორმოსამარხებს გაცილებით აღემატება.

როგორც ვხედავთ, გაგრის სამაროვნის მარტივი კონფიგურაციის მქონე ორმოსამარხთა III ქვეტიპის სამარხები მცირერიცხოვნობისა (10,25 %) და

ფორმის ერთგვაროვნების მიუხედავად, ზომების მხრივ მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

წითელ შუქურაზე ოვალური ფორმის ორმოსამარხები აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის 112 შესწავლილი სამარხიდან ოვალური მოყვანილობა 83-ს გააჩნია (74,1%) (№№ 1-7, 9, 10, 11, 12(13), 13(14), 14(15), 15(16), 16(17), 17(19), 18(20), 19(21), 20(22), 21(23), 22(24), 23(25), 24(31), 25(34), 26(35), 27(36), 28(37), 29(38), 30(39), 31(44), 32(45), 33-ა(47), 34(48), 35(51), 36(52), 37(53), 38(55), 39(56), 40(57), 41(59), 42(60), 43(62), 44(63), 45(64), 46(65), 50(69), 51(70), 54(77), 56(84), 57(86), 58(87), 59(89), 60(90), 61(91), 62(92), 65(95), 66(97), 67(101), 68(102), 69(106), 72(109), 78(124), 80(126), 81(127), 82(128), 83(129), 84(130), 85(131), 86(132), 87(133), 88(134), 89(135), 91(137), 93(139), 96(142), 97(143), 98(144), 99(145), 100(146), 101(147), 102(148), 103(151), 104(152)).

სიგრძეში 2 მეტრს, ხოლო სიგანეში 0,8 მეტრს აღწევდა წითელი შუქურას №11 სამარხი, რომელიც მიწის ზედაპირიდან 1,1 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა და წაგრძელებული ნაწილით მიმართული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ. სამარხის ძირი ზღვის წვრილი კენჭებით ყოფილა მოფენილი. ზუსტად ანალოგიური მოყვანილობისა და ზომისა იყო №12(13) სამარხიც [Трапш, 1969: 91-92].

წითელი შუქურას სამაროვანზე სამარხთა უმეტესობას 1,7-1,8 მეტრის სიგრძე ჰქონდა. საერთო ჯამში კი, სამარხთა საშუალო სიგრძე 1,8-2 მეტრს, ხოლო სიგანე 0,7-0,8 მეტრს შორის მერყეობდა და საკმაოდ ერთფეროვანნი იყვნენ. ორიენტირებულნი ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე ყოფილან და მათ დიდ ნაწილს ძირი ზღვის წვრილი კენჭებით ჰქონდა მოწყობილი, რომელიც, სავარაუდოდ, მიცვალებულთათვის საგების ფუნქციასაც ასრულებდა.

ეს უკანასკნელი წესი წრიული მოყვანილობის ორმოსამარხებზეც ვრცელდება და თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ წითელი შუქურას სამაროვანი შავი ზღვის სანაპირო ზოლში მდებარეობს, ზღვის კენჭებით სამარხთა ძირის მოწყობა გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ეს დიდ ფიზიკურ შრომას არ მოითხოვდა.

წაგრძელებული ოვალის მოყვანილობა ჰქონდათ კისტრიკის ნამოსახლარზე გამოვლენილ ჩაშვებულ და ურეკში შესწავლილ ზოგიერთ ორმოსამარხსაც. ამ უკანასკნელი ძეგლის ოვალური მოყვანილობის სამარხებზე

მსჯელობა თითქმის შეუძლებელია, განსხვავებით კისტრიკის ნამოსახლარისაგან, რომელიც აფხაზეთში, გუდაუთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. აქ, 1980 წელს წარმოებული სამუშაოების დროს, ერთი სამარხი გამოვლინდა. ის №25 თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, 30 სმ-ის სიღრმეზე იყო გაჭრილი და წაგრძელებული ოვალის მოყვანილობა ჰქონდა. სიგრძე 1 მეტრს, ხოლო სიგანე 0,5 მეტრს აღწევდა [Бжания, 1982: 12].

ორმოსამარხები, რომელიც ჩვენ I ტიპად გამოვყავით და რომელთა ფორმის დადგენა ვერ მოხერხდა, ან მათი აღწერილობა სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის მოცემული, საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას ფარავენ: აფხაზეთს, სამეგრელოს, იმერეთს, რაჭასა და ისტორიულ დვალეთს (დღევანდელი ცხინვალის რეგიონის ჩრდილოეთი ნაწილი).

პირველ რიგში, აღსანიშნავია თლიას სამაროვანი, რომელზეც სამარხები რამდენიმე იარუსად იყვნენ განლაგებული. ზედა იარუსის სამარხებს, ხშირ შემთხვევაში, დაზიანებული ჰქონდათ წინარე პერიოდის სამარხები. ეს ფაქტი სამარხთა ფორმებისა და ზომების დადგენისას დიდ წინააღმდეგობას ქმნის და სამარხთა მოყვანილობისა და ზომების დადგენა შესაძლოა ამ ფაქტორის გამო იყო შეუძლებელი.

თლიას მსგავსად, მრავალიარუსიანი იყო ბრილის სამაროვანი, სადაც ხშირ შემთხვევაში ასევე ძნელია სამარხ-კონსტრუქციებზე მსჯელობა. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ორმოსამარხები, ზემოთ ჩამოთვლილ სამაროვნებს გარდა, გავრცელებული იყო შემდეგ ძეგლებზე: ბრილი, ყულანურხვა, წითელი შუქურა, გაგრა, შუბარა, სოხუმის მთა, პალური, ქორეთი, გორაძირი.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე კოლხური კულტურის ძეგლებიდან უდავოდ გამოსარჩევია სოფ. ყულანურხვას მახლობლად მიკვლეული სამაროვანი, რომელიც გუდაუთის რაიონში მდებარეობს, ქ. გუდაუთას ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარეების გუდოუსა და დახუართას შორის მდებარე შემაღლებებზე. ამ ტერიტორიაზე 1948 და 1951-52 წლებში არქეოლოგიურ სამუშაოებს მ. თრაფში ახორციელებდა. ყველა სამარხი მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხს წარმოადგენდა და მიწის ზედაპირიდან არცთუ დიდ სიღრმეზე მოშავო ფერის თიხნარ ფენაში იქნა მიკვლეული, რაც აგრარული სამუშაოების დროს მათ დაზიანებას იწვევდა.

სამარხი №1 (ტაბ. XI, 1) მამაკაცს ეკუთვნოდა. მისი სიღრმე ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან 30სმ-ს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან 20-სმ-ს შეადგენდა, რაც რელიეფური პირობების გამო იყო გამოწვეული. სამარხის სიგანე 80სმ-ს, ხოლო სიგრძე 2 მეტრს შეადგენდა. სამარხთა ფსკერი დაფარული იყო ფხვნილის მსგავსი კირით [Трапш, 1962: 15]. შედარებით მომცრო ზომისა იყო №2 სამარხი, რომელიც სიგრძეში 1,7 მეტრს, ხოლო სიგანეში 1 მეტრს აღწევდა. №3 სამარხი №1-საგან სამხრეთ-დასავლეთით 4 მეტრის მოცილებით იყო გაჭრილი. სამარხის სიღრმე ჩრდ-დას-ის მხრიდან 30სმ-ს, ხოლო სამხ-აღმ-ის მხრიდან კი 18 სმ-ს შეადგენდა (ტაბ. XI, 2). №5 სამარხი №2 სამარხიდან ჩრდილოეთით 7 მ-ში იყო მოთავსებული და ზომებით №1 სამარხს ოდნავ აღემატებოდა (სიგრძე – 2 მეტრი, სიგანე – 1 მეტრი). სიგრძეში 2 მეტრს, ხოლო სიგანეში 1,5 მეტრს შეადგენდა №6 სამარხი. №10 სამარხის ზომები ყულანურხვას სხვა სამარხებს ბევრად აღემატებოდა. ის სიგრძეში 3 მეტრს, ხოლო სიგანეში 2,5 მეტრს აღწევდა. თუ მ. თრაფშის ცნობებს გავითვალისწინებთ, ყულანურხვას №10 სამარხი კოლხური კულტურის მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხთა შორის ყველაზე მასშტაბურია და ანალოგიები სხვა ძეგლებზე არ ეძებნება.

გორაძირის სამაროვანზე (საჩხერის მუნიციპალიტეტი) 1968 წელს 4 ორმოსამარხი გამოვლინდა. ყველა მათგანი დაზიანებული, ხოლო ინვენტარი არეული იყო. სამარხები ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდ იყვნენ განლაგებული. მათი სიღრმე არ იყო დიდი, რადგან ინვენტარი თავს მიწის ზედაპირიდან 0,3-0,5 მეტრის სიღრმეზე იჩენდა. სამარხთა ზომების დადგენა მხოლოდ ინვენტარის გავრცელების მიხედვით მოხერხდა.

გორაძირის №1 და №4 სამარხები თითქმის იდენტური ზომისა იყვნენ. №1 სამარხი სიგრძეში 2 მეტრს, ხოლო სიგანეში 1,3 მეტრს შეადგენდა, ხოლო №4 სიგრძეში 2 მეტრსა და სიგანეში 1,5 მეტრს აღწევდა. განსხვავებული იყო მათი დამხრობა, №1 სამარხი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ხოლო №4 ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ იყო მიმართული, №2 და №3 სამარხები სიგრძეში 1,25 მეტრს უახლოვდებოდნენ და სიგანეც თითქმის იდენტური ჰქონდათ (0,75-0,8 მეტრი) [გოგაძე, დავლიანიძე, 1981: 8].

გორაძირის სამაროვანზე ძეგლის გამთხრელებმა კოლხური კულტურისთვის დამახასიათებელი კრემაციული სამარხი-ორმოების

გავრცელებაც არ გამორიცხეს, თუმცა სამაროვანზე ორმოსამარხთა ცუდი დაცულობა ამ საკითხის ბოლომდე გადაჭრის შესაძლებლობას არ იძლევა.

შუბარაში (სოხუმის მუნიციპალიტეტი) საგზაო სამუშაოების დროს ორი სამარხი დაზიანდა. 1974 წელს აღნიშნულ სამარხებზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, დაკრძალვის წესისა და სამარხთა ტიპების განსაზღვრა ვერ მოახერხა [Бжания, 1975: 452-453]. შუბარა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის პირველი ძეგლია, რომელიც აფხაზეთის მთიანეთში გამოვლინდა.

სოხუმის მთა ქ. სოხუმს ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ეკვრის და წარმოადგენს მდ. ჰაქე-ფსისა და ბესლეთის წყალგამყოფ ქედს. მისი საერთო ფართობი დაახლოებით 1 კმ^2-ია. არქეოლოგიური გათხრები აქ 1951 წელს ჩატარდა ალ. კალანდაძის ხელმძღვანელობით. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას სოხუმის მთაზე მიკვლეული №1 სამარხეული კომპლექსი მიეკუთვნება. იგი მარტივი კონფიგურაციის მქონე ორმოსამარხს წარმოადგენდა, რომლის ინვენტარიც მიწის ზედაპირიდან 0,80 მ-ის სიღრმეზე იჩენდა თავს, შავად შეფერილ თიხნარის ფენაში [კალანდაძე, 1953: 24].

კოლხური კულტურის სხვა ძეგლებზე, სადაც მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხებია გამოვლენილი, ჩვენ დეტალურ მონაცემებს არ ვფლობთ, რაც აქ გავრცელებული I ტიპის სამარხების ანალიზს საკმაოდ ართულებს.

როგორც ვხედავთ, I ჯგუფში გაერთიანებული სამარხები შედარებით მარტივი კონფიგურაციით ხასიათდებიან და მათი არეალი არ არის შეზღუდული მხოლოდ ერთი კონკრეტული რეგიონით. აღნიშნული ტიპის სამარხების გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს კოლხური კულტურის განვითარების თითქმის ყველა ეტაპს და არაა ლიმიტირებული განსაზღვრული მონაკვეთით, თუმცა შესამჩნევია სხვაობა რეგიონებს შორის. მაგალითად, აფხაზეთისა და გურიის ტერიტორიებზე მიკვლეული წრიული ფორმის ორმოსამარხები საერთოდ არ გვხვდება თლიას სამაროვანზე. სხვაობა ამ კუთხით, მარტო ორ, ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულ რეგიონებს შორის კი არა, თვითონ ერთი რეგიონის შიგნითაა თვალში საცემი. წითელი შუქურას, ჯანტუხის, ურეკისა და გუადიხუს წრიული ფორმის სამარხებს ანალოგიები უშუალოდ მათსავე გავრცელების რეგიონშიც კი არ მოეპოვებათ.

ეს ფაქტი შეიძლება ადგილობრივ თავისებურებაზე მიანიშნებდეს, რომელიც მხოლოდ ცენტრალური კოლხეთისა და აფხაზეთის გარკვეული

ნაწილისათვის დამახასიათებელ ლოკალურ მოვლენას წარმოადგენდა. ამ საკითხზე გადაჭრით მსჯელობა დღესდღეობით შეუძლებელია, რადგან არქეოლოგიური კუთხით თითქმის შეუსწავლელია კოლხური კულტურის გავრცელების საკმაოდ დიდი ნაწილი და, შესაბამისად, სანამ სამარხ-კონსტრუქციათა განვრცობის სრული სურათი ხელთ არ გვექნება, წრიული მოყვანილობის ორმოსამარხთა ლოკალურ ვარიანტად მიჩნევა უმართებულო იქნებოდა.

II. *ქვაყრილით დაფარული მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხები.*

მეორე ტიპის ქვეშ ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხები გვაქვს გაერთიანებული, რომლებიც კოლხური კულტურის სამ ძეგლზეა დადასტურებული.

პირველ რიგში, გამოსარჩევია აჭარაში, ხუცუბანში მიკვლეული 8 სამარხი, რომლებშიც კრემაციის წესი იქნა დამოწმებული. №1 სამარხის (ტაბ. XXI, 2) ორმოს კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის მოყვანილობა გააჩნდა. დაფარული იყო რიყის ქვებისაგან შემდგარი ყრილით. №2 სამარხს (ტაბ. XXI, 3) კი არასწორი ოთხკუთხა მოყვანილობის ორმო ჰქონდა, რომელსაც ზემოდან ქვაყრილი ფარავდა [იოსელიანი, 1973: 111]. კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის მოყვანილობა ახასიათებდათ №5, №6 და №8 სამარხებსაც, ხოლო არასწორი ოთხკუთხედისა – №3, №4 და №8 სამარხებს.

აღნიშნული სამარხების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხუცუბნის სამაროვნის სამარხები ოთხკუთხა მოყვანილობასა ყოფილან და ქვაყრილიც ოთხკუთხედთან მიახლოებული ფორმისა ჰქონდათ. როგორც აღინიშნა, ისინი რიყის ქვებისაგან შედგებოდნენ, რომელთა მოპოვება ახლომდებარე მდინარეთა ხევებიდან უნდა მომხდარიყო, რადგან სამაროვანი მდ. კინტრიშისა და ურიის ღელეს შესართავთანაა განთავსებული.

ქვაყრილით იყო დაფარული ერგეტა I-ზე (ნააკარდამუ) მიკვლეული ერთადერთი ინდივიდუალური, №1 სამარხიც. ის 1,25 მეტრის სიღრმეზე ყოფილა

მოწყობილი და წარმოადგენდა ინდივიდუალურ სამარხს, რომელიც მოქცეული იყო მცირე ზომის ქვებისაგან შემდგარი ყრილის ქვეშ [Микеладзе, 1981: 46].

კოლხური კულტურის გავრცელების დასავლეთ რეგიონებში ინდივიდუალურ სამარხთა კონსტრუირების მსგავსი მეთოდი სხვაგან არსადაა დადასტურებული. სამაგიეროდ, აღნიშნული ტიპის 5 სამარხი გვხვდება თლიას სამაროვანზე (№№ 32, 55, 75, 215ა, 305). სამწუხაროდ, ჩვენ მოკლებული ვართ დეტალურ მონაცემებს აღნიშნულ სამარხთა კონსტრუქციებისა და კონკრეტულად, ქვაყრილის მოწყობის ტექნიკისა და ფორმის თაობაზე.

თლიას სამაროვნის ქვაყრილით დაფარულ ორმოსამარხთა მიმართება ხუცუბნისა და ერგეტა I-ის სამაროვნებთან ბუნდოვანია, რადგან არ გაგვაჩნია საკმარისი მონაცემები რაიმე ტიპის კავშირის არსებობაზე. გასათვალისწინებელია ის დიდი ტერიტორიული დაშორებაც, რომელიც თლიასა და ხუცუბან-ერგეტა I-ს შორის არსებობს. მიუხედავად ტიპოლოგიური ერთგვაროვნებისა, ყურადსაღებია ყველა დეტალი, რომელიც სამარხ-კონსტრუქციებს ახასიათებთ და რომელიც სამივე სამაროვნის შემთხვევაში არ გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში.

II. *ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხები.*

მეორე ტიპისაგან განსხვავებით, შედარებით უფრო ლიმიტირებულია მესამე, ქვებით შემოწყობილ ორმოსამარხთა გეოგრაფიული არეალი და ისინი მხოლოდ თლიას, ააგსტისა და გაგრის სამაროვნებზე გვხვდება.

თლიას სამაროვანზე მსგავსი ტიპის 43 სამარხია შესწავლილი (№№ 14, 16ბ, 40ბ, 85, 92, 93, 99, 102, 125, 132, 135, 136, 142, 145, 147, 158ა, 160, 165, 167, 168, 170, 180, 183, 190, 194, 200, 212, 227, 231, 232, 234, 243, 256, 259, 261, 265, 267, 276, 277, 306, 311, 318, 322), რაც ჩვენ ნაშრომში მოყვანილი სამარხების საერთო რაოდენობის 14%-ს შეადგენს. მათი მოყვანილობისა და ზომების თაობაზე ცნობები მწირია, თუმცა №85 სამარხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათ ძირითად ნაწილს ოთხკუთხა ფორმა ჰქონდა [Техов, 1981: 33-34].

რაც შეეხება გაგრის სამაროვანს, აქ 1980 წელს გათხრილი №28 სამარხი წაგრძელებული ოვალის მოყვანილობისა იყო (სიღრმე – 1,45 მეტრი, სიგრძე – 1,8 მეტრი, სიგანე – 0,75 მეტრი). უინვენტარო სამარხს კიდეებზე კირქვის 4 კაჭარი შემოუყვებოდა (ტაბ. X, 3) [Бжания, 1991: 14-15].

თლიასა და გაგრის ძეგლები კოლხური კულტურის არეალის ორ საპირისპირო მხარეს მდებარეობენ. თლია მთიან, ხოლო გაგრა ზღვისპირა ზოლშია მოქცეული. მიუხედავად იმისა, რომ ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხები ორივე ძეგლზე დასტურდება, მათ შორის შეინიშნება რადიკალური სხვაობა სამარხთა მოყვანილობის, დაკრძალვისა და მათ შორის სამარხეული ინვენტარის კუთხითაც.

IV. *ქვაყრილით დაფარული სამარხები, რომელთა კიდეებიც ქვებითაა შემოწყობილი.*

მეოთხე ტიპს განეკუთვნებიან ქვაყრილით დაფარული სამარხები, რომელთა კიდეებიც ქვებითაა შემოწყობილი. ისინი მხოლოდ თლიას სამაროვანზეა მიკვლეული. აქ, ამ კატეგორიას 37 სამარხი მიეკუთვნება (№№ 12, 21, 49, 54, 71, 90, 104, 105, 139, 187, 195, 197, 209, 215ა, 228, 230, 235, 249, 250, 251, 258, 261, 262, 272, 273, 279, 294, 299, 310, 312, 314, 315, 317, 319, 325, 329, 332).

ქვაყრილი, II ტიპის სამარხების მსგავსად რიყის ქვებისაგან იყო შედგენილი. გამოიყენებოდა სხვადასხვა ზომის, მათ შორის წვრილი ქვებიც. სამარხებს აქაც ოთხკუთხედის მოყვანილობა ჰქონდათ. მაგრამ არის გამონაკლისი შემთხვევებიც. მაგალითად, №228 სამარხს მომრგვალო ფორმა გააჩნდა და სხვადასხვა ზომის რიყის ქვებით იყო შემოწყობილი და დაფარული [Техов, 1980: 39].

თლიას სამაროვანზე ქვაყრილით დაფარული და ქვებით შემოწყობილი სამარხები სამაროვნის 12,5%-ს შეადგენენ და პროცენტული მაჩვენებლით ოდნავ ჩამოუვარდებიან III ტიპის სამარხებს.

V. *ხის ფიცრებით კონსტრუირებული სამარხები.*

მეხუთე ტიპის ქვეშ ხის ფიცრებისაგან შეკრული სამარხები გავაერთიანეთ. ყველა მათგანი გამოვლენილია თლიას სამაროვანზე. 4 სამარხის (№№ 129, 293, 300, 301) კონსტრუირებისას მხოლოდ ხის მასალა ყოფილა გამოყენებული, ხოლო №№ 216, 240, 253 სამარხების შემთხვევაში ხის ფიცრებთან ერთად, სამარხის კონსტრუირებისას ქვის მასალაც იყო ჩართული. ზემოთ ჩამოთვლილი სამარხები ერთმანეთისაგან მოყვანილობისა და ზომის მიხედვით მცირედით განსხვავდებოდნენ.

№129 სამარხს კვადრატული მოყვანილობა ჰქონდა და სიგრძეში 0,8 მეტრს, სიგანეში კი 1,1 მეტრს შეადგენდა (ტაბ. V, 3) [Техов, 1985: 19-20]. №293 სამარხის სიგრძე 1,3 მეტრს აღწევდა, ხოლო სიგანე – 0,95 მეტრს. სამარხი ოთხკუთხა ფორმისა იყო. მის ფორმას იმეორებენ №300 და №301 სამარხებიც.

სამარხის ეს ტიპი თლიას სამაროვნისათვის დამახასიათებელი ლოკალური მოვლენაა და სამაროვანზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხთა მხოლოდ 2,4 %-ს შეადგენენ, რაც თლიაზე დადასტურებულ სხვა ტიპის სამარხების პროცენტულ რაოდენობას დიდად ჩამოუვარდება.

VI. *კოლექტიური სამარხი-ორმოები.*

კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ, შეიძლება ითქვას, რომ ეტალონურ სამარხ-კონსტრუქციას კოლექტიური სამარხი-ორმო წარმოადგენს. მათი არეალი ფართოა და ფარავს კოლხური კულტურის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას. მათი ძირითადი ნაწილი თავმოყრილია კოლხეთის დაბლობში, აფხაზეთის ტერიტორიაზე და წარმოდგენილია შემდეგ სამაროვნებზე: ერგეტა I, ეგრეტა II, ერგეტა III, ერგეტა IV, დღვაბა, ურეკი, ნიგვზიანი, ცაიში, მუხურჩა, პალური, ფიჩორი, ჯანტუხი, მერხეული.

კოლექტიური სამარხი-ორმოები ორ ძირითად ქვეტიპად იყოფა:

I ქვეტიპს მიეკუთვნება ის კონსტრუქციები, რომელშიც მიცვალებულთა ოსტეოლოგიური მასალის განმარხება სამარხი-ორმოს მთელ პერიმეტრზე ხდებოდა, ხოლო **II ქვეტიპის** შემთვევაში ამისთვის სპეციალური საძვლე ორმო იყო გამოყოფილი.

ფორმის მიხედვით, სამარხი-ორმოები არსებობდა:

1. *ოვალური.*

2. *წრიული.*

3. *კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის მოყვანილობის.*

1. *ოვალური ფორმის* სამარხ-ორმოებს განეკუთვნება ერგეტა I-ის (ტაბ. XV) 3 (№№ 3, 5, 6), ერგეტა II-ის (ტაბ. XVI) 2 (№№ 1, 2), ერგეტა III-ის (ტაბ. XVII, 1) (№2), ერგეტა IV-ის 2 (№№ 1, 3), ჯანტუხის, ფიჩორის, ურეკის №1, ნიგვზიანის №1 და დღვაბის სამაროვანზე შესწავლილი ორივე სამარხი-ორმო.

2. *წრიული ფორმის* სამარხ-ორმოთა კატეგორიას განეკუთვნება ურეკის №2, ერგეტა I-ის (ტაბ. XV) 5 (№№ 1, 2, 4, 7, 9), ერგეტა III-ის (ტაბ. XVII) 1 (№1) სამარხი-ორმო.

3. *კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის ფორმისა* იყო ერგეტა I-ის №9 (ტაბ. XV) [მიქელაძე... 1991: 9], ნიგვზიანის №2 [მიქელაძე, 1985: 71], ერგეტა III-ის №4 [მიქელაძე... 2004: 37] (ტაბ. XVII, 2) სამარხი-ორმოები. ცალკეულ შემთხვევებში სამარხი-ორმოების ფორმის შესახებ ინფორმაციას სამეცნიერო ლიტერატურაში ვერ ვხვდებით (პალური, მუხურჩა), რაც გამორიცხული არ არის, რომ ძეგლის დაზიანებითაც იყოს განპირობებული. ამდენად, მათი ფორმის შესახებ მსჯელობა შეუძლებელია.

კოლექტიური სამარხი-ორმოების თავისებურ კატეგორიას განეკუთვნება ბრილის სამაროვანზე მიკვლეული "**ქვის ფიცრებით გამართული სპეციალური მოედანი**". აქ ცალკეული კომპლექსების გამოყოფა ხშირ შემთვევაში შეუძლებელი გამხდარა. გ. გობეჯიშვილის მოსაზრებით, აღნიშნულ მოედანს,

რომლის ძირიც ქვის ფილებით ყოფილა მოფენილი, ხის მასალისაგან შედგენილი გადახურვა უნდა ჰქონოდა, რომელიც ზემოდან მიწით ყოფილა დაფარული [საქართველოს არქეოლოგია, 1959: 190].

ლარილარის სამაროვანი, რომელიც ბრილის მსგავსად მთიან ზოლში, მესტიის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, დიდ კავშირს ავლენს ბრილის სამაროვნის კოლექტიურ სამარხებთან, მაგრამ დათარიღებულია შედარებით უფრო მოგვიანო ხანით [ჩართოლანი, 1968].

კოლექტიური სამარხი-ორმოები, როგორც ვხედავთ, საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას ფარავდნენ. მათი გავრცელება არ იყო შეზღუდული ოროგრაფიული ნიშნით და გვხვდება როგორც დაბლობში, ასევე მთიან ზოლში. მათი კონსტრუირების საკითხი საკმაოდ პრობლემატურია და მისი გადაწყვეტა არ შეადგენს საკვლევი თემის მიზანს, თუმცა ორიოდე სიტყვით შევეხებით ამ საკითხს.

პირველ რიგში, თვალში საცემია სხვაობა მთისა და ბარის კოლექტიური სამარხების კონსტრუქციაში. ბრილის სამაროვანზე დადასტურებული ქვით მოწყობილი ძირი, სრულიად უცხოა კოლხეთის დაბლობისა და აფხაზეთის ძეგლებისათვის. თუმცა, არის საერთო ნიშნებიც. ხის კონსტრუქციის კვალი, რომელიც ბრილშია დადასტურებული, გვხვდება კოლხეთის დაბლობზე დღვაბის სამაროვნის №2 სამარხ-ორმოშიც (ტაბ. XX, 2) [Микеладзе, 1995: 41-42]. სხვა შემთხვევაში მსგავსი პარალელების გავლება, სამარხ-კონსტრუქციათა ცუდი დაცულობის გამო, შეუძლებელია.

კოლხეთის დაბლობზე შესწავლილი კოლექტიური სამარხი-ორმოების ნაწილს ქვებისაგან შედგენილი ყრილი ფარავდა. ქვაყრილიანი იყო ერგეტა I-ის (ნააკარდამუ), ნიგვზიანის სამაროვნის უკლებლივ ყველა და პალურში გამოვლენილი სამარხი-ორმო.

კოლექტიური სამარხი-ორმოები ზომის მიხედვით არაერთგვაროვნებით ხასიათდებიან. გვხვდება როგორც მომცრო, ასევე საშუალო და დიდი ზომის სამარხები. ზოგიერთი სამარხი-ორმო თავისი მასშტაბურობით გამოირჩეოდა. მაგალითად, ერგეტა I-ის (ნააკარდამუ) №5 სამარხი-ორმოს ფართობი 54 მ^2-ს შეადგენდა (ტაბ. XV) [Микеладзе… 1982: 32].

კოლექტიურ სამარხ-კონსტრუქციათა მასშტაბი გარკვეულწილად, ალბათ, მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის (გვარის, თემის, ტომის...) რიცხოვნობაზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული, თუ, რა თქმა უნდა, გარკვეულ ინციდენტთან

(ომი, ეპიდემია...) არ გვაქვს საქმე. სამარხი-ორმოების ქრონლოგიური ჩარჩო, ზოგადად, ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებითაა განსაზღვრული [გოგაძე, 1980: 597], თუმცა არაა გამორიცხული მათი შედარებით უფრო ადრეულ ან მოგვიანო პერიოდში გამოყენებაც.

VII. *ქვაყუთები.*

მეშვიდე ტიპის სამარხთა კატეგორიას ქვის ფილებისაგან შეკრული სამარხები, ე.წ. ქვაყუთები წარმოადგენენ. კოლხური კულტურის არეალში ისინი მხოლოდ ბრილისა და თლიას სამაროვნებიდანაა ცნობილი.

ქვაყუთების კონსტრუირებისას გამოყენებულია როგორც მასიური ქვის ფილები, ასევე მცირე ზომის ჩანართებიც. ასეთი შედგენილკედლებიანი ქვაყუთები ორივე სამაროვანზეა დაფიქსირებული.

ბრილის სამაროვანზე ქვაყუთების საშუალო სიგრძე 1,2 მ-ს, სიგანე – 0,7 მ-ს, ხოლო სიმაღლე 0,6 მ-ს აღწევდა. სამარხთა ნაწილს ძირი მიწის, ხოლო ნაწილს მოფილაქნებული ჰქონდა [საქართველოს არქეოლოგია, 1959: 197].

რაც შეეხება თლიას სამაროვანს, აქ ქვაყუთის მსგავსი კონსტრუქციის მქონე 19 სამარხია გამოვლენილი (№№ 22, 128, 141, 156, 176, 221, 263, 127, 171, 172, 173, 193, 220, 221, 236, 245, 246, 247, 270), რომლებიც ჩვენს მიერ განხილული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხთა 6,1%-ს შეადგენენ. მათი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი დაზიანებული იყო, თუმცა შედარებით უკეთ დაცული ქვაყუთების მეშვეობით, შესაძლებელია მათ ზომებსა და მოყვანილობაზე მსჯელობა.

თლიაზე გვხვდება როგორც მოზრდილი, მთლიანი ფილებისაგან შეკრული, ასევე შედგენილი, შედარებით მომცრო ზომის ფილების მეშვეობით კონსტრუირებული ქვაყუთები. მაგალითად, №22 ქვაყუთის (ტაბ. IV, 1) კედლები შეკრული იყო 4 მთლიანი ფილისაგან. ძირი მოფილაქნებული იყო 3 წვრილი და მოგრძო ფიქლის კეცის მეშვეობით. სამარხის გადასახურად კი გამოუყენებიათ ქვის ორი მოზრდილი ფილა [Техов, 1980: 17].

№128 სამარხი სიგრძეში 1,2 მეტრს, სიგანეში კი 0,3 მეტრს აღწევდა. შეკრული იყო მცირე ზომის ფილებისაგან და გადახურვაც მსგავსი ქვებითვე ჰქონდა მოწყობილი (ტაბ. V, 2) [Техов, 1985: 19-20]. კვადრატული მოყვანილობისა იყო თლიას სამაროვნის №141 სამარხი, რომლისგანაც მხოლოდ დასავლეთის კედელი შემორჩენილა. ქვაყუთი შედგენილი იყო ვერტიკალურად ჩაწყობილი კეცებისაგან [Техов, 1981: 10]. მისგან განსხვავებით №193 სამარხის ქვაყუთს წაგრძელებული ფორმა ჰქონდა (სიგრძე – 1,3 მეტრი სიგანე – 0,75 მეტრი, სიმაღლე – 0,20 მეტრი), რომლის გვერდითა კედლები წვრილი ქვებისაგან იყო შეკრული [Техов, 1985: 30-31].

თლიას სამაროვანზე გამოვლენილი ქვაყუთებისაგან რადიკალურად განსხვავდება №247 სამარხი, რომელიც ბ. ტეხოვის აზრით, თავის დროზე ის ხის ფიცრებით უნდა ყოფილიყო გადახურული, რომელთა თავზეც რიყის ქვებისაგან შედგენილი ყრილი იყო მოწყობილი [Техов, 1985: 37].

კონსტრუქციის მხრივ საინტერესოა №263 სამარხი (ტაბ. VIII, 3). ქვაყუთი, რომლის სიგრძე 0,8 მეტრს, ხოლო სიგანე 0,5 მეტრს შეადგენდა და კვადრატთან მიახლოებული მოყვანილობა ჰქონდა, გადახურული იყო ფილაქვებისაგან შედგენილი მასიური წყობით [Техов, 1981: 16-17]. ზუსტად იგივე ზომისა იყო №270 სამარხის ქვაყუთიც (ტაბ. IX, 1). მიუხედავად იმისა, რომ მასაც ქვის ფილების წყობა ფარავდა, თვალში საცემია სხვაობა კონსტრუირების მეთოდის კუთხით. №270 ქვაყუთის კედლებს გარედან მცირე ზომის ქვები შემოუყვებოდა [Техов, 1981: 48], რომელთაც კედლების გამაგრების ფუნქცია უნდა ჰქონოდათ. მსგავსი მეთოდი ხშირია ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ძეგლებზეც.

ჩვენი აზრით, ეს შემთხვევები სამარხთა კონსტრუირებისას მხოლოდ ტექნიკურ დეტალს უნდა წარმოადგენდნენ ქვაყუთის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

თლიას სამაროვნის ქვაყუთები ქრონოლოგიური კუთხით სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნებიან და, როგორც აღინიშნა, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხთა შედარებით მცირე რაოდენობას შეადგენენ, რაც გამორიცხავს ამ ტიპის სამარხთა დომინანტურ როლს, რომელსაც ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, კაიაკენტ-ხოროჩოის არქეოლოგიურ კულტურასა და ყობანური კულტურის ცენტრალურ და დასავლეთის რაიონებში თამაშობენ.

თვალში საცემია სხვაობა თლიასა და ბრილის ქვაყუთებს შორის. პირველ რიგში, ეს მათ მასშტაბზეა საგრძნობი. ბრილის სამაროვნის ქვაყუთებთან თავისი ზომით შედარებით ახლოს დგას თლიას №128 სამარხი. მაგრამ რაც შეეხება სხვა სამარხებს, არათუ ამ ორ ძეგლს შორის, არამედ უშუალოდ თლიას სამაროვანზეც არ გვხდება მათი კონსტრუირების ზუსტი მეთოდი.

როგორც ჩანს, ქვაყუთების გამართვისას, მოსახლეობას ერთი მტკიცედ განსაზღვრული წესი არ ჰქონდა შემუშავებული.

კოლხური კულტურის არეალში აღნიშნული ტიპის სამარხების ოროგრაფული შეზღუდულობა აშკარაა. ეს არ არის გასაკვირი, რადგან ქვაყუთების მოსაწყობად აუცილებელი მასალა (კეცები/ფილები) ყველგან როდი გვხვდება. თვალს თუ გადავავლებთ ჩრდილოეთ კავკასიას, ქვაყუთები იქ ძირითადად მთიან და მთისწინა ზოლშია წარმოდგენილი. დასავლეთ ამიერკავკასიაში ისინი გვხვდება ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე (ბორჯომის ხეობა), მაგრამ უცნობია აფხაზეთისათვის, სადაც ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევრიდან მოყოლებული, ვიდრე ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევრამდე დოლმენები იყო გავრცელებული. ამიტომ ქვაყუთების არარსებობა ცოტა არ იყოს გასაკვირია. არქეოლოგიური კუთხით შეუსწავლელია სვანეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნები და, შესაბამისად, ამ მხარეზე მსჯელობა დღესდღეობით შეუძლებელია.

VIII. *ოსუარიუმები.*

კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ და კავკასიის რეგიონისათვის უნიკალურ სამარხის ტიპს ოსუარიუმები წარმოადგენენ. ოსუარიუმები მხოლოდ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზეა მიკვლეული (ეშერა, ვერეშჩაგინის გორა, წითელი შუქურა, პრიმორსკოე, ზვანდრიფში). კოლხური კულტურის ჩრდილო-დასავლეთ არეალში ისინი მოზრდილი ზომის კერამიკულ ჭურჭელს წარმოადგენდნენ, რომლებიც სამარხთა მოსაწყობად ამოღებულ ორმოებში სპეციალურად ჩადგმულ ქვის ფილაზე პირქვე თავსდებოდნენ.

აფხაზეთში, სოხუმის მუნიციპალიტეტის სოფ. ეშერაში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამი ოსუარიუმია აღმოჩენილი.

პირველი ოსუარიუმი მონაცრისფრო-მოშავო ფერის თიხისაგან დაუმზადებიათ. ზედაპირი ქვიშანარევი და შავად ნაპრიალები ჰქონდა. ზედაპირზე დატანილი იყო ნაჭდევები, რომლებიც სამკუთხედის ფორმის ორნამენტს ქმნიდნენ. შიდაპირი პარალელური ხაზებით იყო დაფარული, რაც მისი დამზადებისას ჩარხის გამოყენებაზე მიუთითებს [Иващенко, 1935: 63]. ოსუარიუმის სიმაღლე 1 მ-ს შეადგენდა, საშუალო სისქე – 1 სმ-ს. ყელის დიამეტრი – 40 სმ-ს, ძირის დიამეტრი – 25 სმ-ს; ყველაზე ფართო ნაწილში კი დიამეტრი 80-85 სმ-ს აღწევდა.

მეორე ოსუარიუმი მოწითალო-მოყვითალო თიხისაგან იყო დამზადებული და მსხვილი ქვიშის დიდი ოდენობით მინარევს შეიცავდა. შიდაპირი გლუვი და მოწითალო ფერის, ხოლო ზედაპირი შავად ნაპრიალები ჰქონდა. ზედაპირზე დატანილი იყო დაშტრიხული და წიწვოვანი ორნამენტი. კერამიკული ჭურჭლის კედლის სისქე 0,5 სმ-ს აღწევდა, რომლის ზომისა და ფორმის დადგენა, მისი ფრაგმენტულობის გამო, ვერ მოხერხდა. რაც შეეხება მესამე ოსუარიუმს, ის მოყვითალო თიხისაგან დაუმზადებიათ. შიდაპირი გლუვი და მონაცრისფრო ფერის, ხოლო ზედაპირი შავად ნაპრიალები ჰქონდა, ზედ დატანილი ნაჭდევი ორნამენტით. კედლის ეცის სისქე შეადგენდა 0,5 სმ-ს.

კედლების სისქისა და კერამიკულ ფრაგმენტთა რაოდენობის მიხედვით, ჩანს, რომ პირველ ოსუარიუმთან მიმართებაში დანარჩენი ორი შედარებით მომცრო ზომისანი იყვნენ [Иващенко, 1935: 64].

სოფ. ეშერას მახლობლად, ვერეშჩაგინის გორაზე, კიდევ ერთი ოსუარიუმი აღმოაჩინა ბ. კუფტინმა 1934 წელს. აღნიშნული ოსუარიუმი ადრე შესწავლილების მსგავსად, ქვის ფილაზე პირქვე იყო მოთავსებული. კერამიკული ჭურჭლის ქვედა ნაწილი, სახნავი მიწის ქვეშ იყო მოქცეული, რის გამოც დაზიანებულა. მას ოვალური მოყვანილობა ჰქონდა. სიმაღლე – 67,2 მ. ყელის დიამეტრი – 22 სმ. ძირის დიამეტრი – 24 სმ. კედლის სისქე არ აღემატებოდა 0,7-0,8 სმ-ს. კარგად არ იყო გამომწვარი და საკმაოდ მყიფე იყო [Куфтин, 1949: 180-181].

სოფ. ეშერას მიდამოებში გამოვლენილი ოსუარიუმები ერთმანეთს ძალიან ჰგვანან მოყვანილობით, თუმცა, როგორც ჩანს, მათი დამზადების ერთიანი ტექნიკა არ არსებობდა, რადგან სხვადასხვა ფერისა და შემცველობის

თიხისაგან ყოფილან გამოყვანილი. ეშერასა და ვერეშჩაგინის გორის ოსუარიუმებთან მიმართებაში საინტერესოა წითელი შუქურას ოსუარიუმების განხილვა, რომლებიც სხვა ტიპის სამარხთა გვერდით თანაარსებობდნენ.

წითელი შუქურის ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებით დათარიღებულ 104 სამარხს შორის 8 ოსუარიუმს წარმოადგენდა. ესენია №№47(66), 48(67), 49(68), 55(80), 79(125), 90(136), 92(138), 94(140) სამარხები. საინტერესოა მათი მოწყობის ტექნიკა. ყველა მათგანი მოთავსებული ყოფილა პირქვე, თითქმის ერთ სიღრმეზე (მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,2-1,3 მეტრი), წრიული მოყვანილობის ორმოებში, რომელთა დიამეტრი 0,7-0,9 მეტრს შორის მერყეობდა. №48 (67) სამარხის ოსუარიუმი იმდენად იყო დაზიანებული, რომ მის თაობაზე მსჯელობა შეუძლებელია. რაც შეეხება დანარჩენ 7 სამარხს, საინტერესო იქნება მათი მიმოხილვა, რადგან მიუხედავად ფორმათა ერთგვაროვნებისა, საკმაოდ განსხვავდებიან კერამიკული ჭურჭლის დამზადებისას გამოყენებული მასალისა და ორნამენტის მიხედვით:

№47(66) სამარხის ოსუარიუმი უორნამენტო ჭურჭელს წარმოადგენდა, რომელსაც მოწითალო-მონაცრისფრო შეფერილობა და თხელი კედელი ჰქონდა.

№49(68) სამარხის შემთხვევაში, ჭურჭელს მოწითალო-მონაცრისფრო შეფერილობა ჰქონდა. იყო თხელკედლიანი, უორნამენტო და საკმაოდ ცუდად გამომწვარი.

№55(80) სამარხის ოსუარიუმად მოწითალო-მონაცრისფრო, თხელკედლიანი და ოდნავ პირგადმოშლილი ორყურა ჭურჭელი ყოფილა გამოყენებული.

№79(125) სამარხში ორნამენტირებული ოსუარიუმი, ზღვის წვრილი კენჭებისგან მოწყობილ ორმოს ძირზე პირქვე იყო მოთავსებული [Трапш 1969: 136-137].

სამარხი №90(136). თხელკედლიანი ოსუარიუმი (სისქე - 8 მმ), ბრტყელი ძირით. შემონახული ნაწილის სიმაღლე – 60 სმ, მუცლის დიამეტრი – 40-45 სმ, ძირის დიამეტრი – 14 სმ. [Трапш, 1969: 141].

№92(138) სამარხში მონაცრისფრო-მოწითალო ფერის ორნამენტირებული ოსუარიუმი პირქვე იყო ჩადგმული. შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე – 80 სმ, პირის დიამეტრი – 22 სმ, მუცლის დიამეტრი – 60 სმ [Трапш, 1969: 143].

№94(140). სამარხში ორნამენტირებული ოსუარიუმი პირქვე იყო მოთავსებული. მონაცრისფრო შეფერილობის, ცუდად გამომწვარი. შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე – 60 სმ, მუცლის დიამეტრი – 50 სმ, ძირის დიამეტრი – 20 სმ. კედლის სისქე – 5 მმ. (ტაბ. XII, 4) [Трапш, 1969: 144].

როგორც ვხედავთ, წითელი შუქურას სამაროვანზე ყველა ოსუარიუმი დაზიანებული იყო, თუმცა უკეთესად დაცული ნიმუშებით თუ ვიმსჯელებთ, ისინი თანაბარი მოცულობისა უნდა ყოფილიყვნენ. მათი ნაწილი ორნამენტირებული, ხოლო ნაწილი უორნამენტო იყო. გვხვდება როგორც კარგად, ასევე ცუდად გამომწვარი კეცით. ოსუარიუმების შესაქმნელად გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის თიხა, რაც მ. თრაფშის მიხედვით, შესამჩნევი ყოფილა მათ ფერზე.

წითელი შუქურას, ეშერას, ვერეშჩაგინის გორას ოსუარიუმთა აგებულობის, დამზადების ტექნიკისა და გაფორმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება დავუშვათ ის ფაქტი, რომ აღნიშნული ჭურჭლის დამზადება სპეციალურად მიცვალებულთა დაკრძალვის პროცესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, თუმცა ხელაღებით მანამდე მათი სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების უარყოფაც არ შეიძლება.

ოსუარიუმის ტიპისანი არიან გაგრის სამაროვანზე მიკვლეული კერამიკული ჭურჭლის ნიმუშები, რომელთა თაობაზეც საუბარი დაკრძალვის წესისადმი მიძღვნილ თავში გვექნება, რადგან, ჩვენი აზრით, ისინი ეშერის, ვერეშჩაგინის გორის, წითელი შუქურას, პრიმორსკოესა და ზვანდრიფშის ოსუარიუმებისაგან განსხვავებით, სამარხ-კონსტრუქციის დამოუკიდებელ ტიპს არ წარმოადგენენ.

ოსუარიუმების გეოგრაფიული არეალი, როგორც უკვე ითქვა, თანამედროვე აფხაზეთის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილს მოიცავს. მათი უმეტესობა მიკვლეულია შავი ზღვის სანაპირო ან მიმდებარე ზოლში და არ გვხვდება აფხაზეთის მთიან ნაწილში.

საკმაოდ პრობლემატური საკითხია, თუ რას შეიძლება უკავშირდებოდეს ოსუარიუმების მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელება. მიუხედავად მათი დისპერსიის მცირე მასშტაბისა, ოსუარიუმების მიხედვით აფხაზეთის ტერიტორიაზე რაიმე ლოკალური ვარიანტის გამოყოფა არ იქნებოდა სწორი, რადგან აღნიშნული ტიპის სამარხები არ თამაშობენ დომინანტურ როლს ამ

რეგიონის გვიანბრინჯაო-ადრერკინის სამარხთა შორის. პირიქით, აფხაზეთისათვის დომინანტურია მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხები (წრიული და ოვალური მოყვანილობის), რომლებიც კოლხური კულტურის სხვა რეგიონებშიც (გურია) არანაკლები რაოდენობითაა წარმოდგენილი.

IX. *ყორღანული სამარხები.*

კოლხური კულტურისათვის უნიკალურ ძეგლს წარმოადგენს გორაძირის სამაროვანი, რომელიც საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის სამხრეთ-აღმოსავლეთით 2 კმ-ის მოშორებით მდებარეობს. აქ გამოვლენილ იქნა 3 ყორღანული სამარხი. სამარხის ეს ტიპი ფართოდაა გავრცელებული ყობანური კულტურის არეალში, ხოლო კოლხური კულტურისათვის ის მხოლოდ აღნიშნულ ძეგლზეა დადასტურებული.

გორაძირის №1 ყორღანული სამარხის ყრილი წრიული მოყვანილობისა იყო, დიამეტრი – 10-12 მეტრს შორის მერყეობდა. ყრილის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 1-1,2 მეტრს აღწევდა და შედგენილი იყო მიწისა და მომცრო ზომის ნაგლეჯი ქვებისაგან [გოგაძე, დავლიანიძე, 1981: 5]. დასაკრძალავი ორმო ყორღანის ცენტრალურ ნაწილში იყო მოთავსებული და ოვალური მოყვანილობა ჰქონდა (სიგრძე – 2 მეტრი, სიგანე – 1,3 მეტრი). ორმოს ძირი ჩრდილოეთ მხარეს მიწის ზედაპირიდან 0,5 მეტრის, სამხრეთ მხარეს კი 0,7 მეტრის, ყორღანის თავიდან კი 1,15-1,6 მ სიღრმეზე დაფიქსირდა. ორმოს სამხრეთ და აღმოსავლეთ მხარეებზე 4 დიდი ლოდი იყო მოთავსებული [გოგაძე, დავლიანიძე, 1981: 6].

№2 ყორღანი №1-დან სამხრეთით 30 მეტრის მანძილზე მდებარეობდა. მისი დიამეტრი 11-12 მეტრი, ხოლო ყრილის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 0,5-0,6 მეტრი იყო. შედგებოდა ძირითადად მიწისა და მცირე რაოდენობით ნაგლეჯი ქვებისაგან [გოგაძე, დავლიანიძე, 1981: 7]. რაც შეეხება №3 ყორღანულ სამარხს, ის დაზიანებული იყო. კამერაში შეინიშნებოდა ხის დანახშირებული ნაშთები [გოგაძე, დავლიანიძე, 1981: 7], რაც შეიძლება ხის მასალისაგან მოწყობილი გადახურვის არსებობით აიხსნას.

გორაძირის სამაროვნის ყორღანულ ყრილებს წრიული მოყვანილობა ჰქონდათ. მათი მოწყობისას გამოყენებული იყო როგორც მიწა, ასევე სხვადასხვა ზომის ქვები. ყველაზე დიდი ყორღანის (№2) დიამეტრი 11-12 მეტრს შორის მერყეობდა, შედარებით მცირე ზომის იყო №1 ყორღანული სამარხი, რომლის ყრილის სიმაღლეც მიწის ზედაპირიდან 1-1,2 მ-ს აღწევდა. კამერის მოწყობისას, სამარხში მიკვლეული ნახშირის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არ არის გამორიცხული ხის კონსტრუქციების არსებობა.

ზემოთ მოყვანილი სამარხები წარმოადგენენ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ ძირითად ტიპებს. როგორც ვხედავთ, ამ კულტურის გავრცელების საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე სამარხთა კონსტრუირების ერთი განსაზღვრული წესი არ ყოფილა გავრცელებული. ზოგიერთი ტიპის გარდა, შეუძლებელია ცალკეული რეგიონისათვის დამახასიათებელი სამარხი-კონსტრუქციის სახეობაზე მსჯელობა.

დასავლეთ ამიერკავკასიაში, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, შესაძლებელია გამოიყოს ის ძირითადი ტიპები, რომლებიც ლოკალურ თავისებურებას წარმოადგენენ. ესენია აფხაზეთში მიკვლეული ოსუარიუმები, თლიას სამაროვანზე გამოვლენილი IV, V ტიპის სამარხები და ქვაყუთები, რომლებიც მხოლოდ ბრილისა და თლიას სამაროვნებზე გვხვდება. ქვაყუთების შემცველი ძეგლების გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისინი მხოლოდ მთიანი რეგიონისათვის დამახასიათებელ სამარხ-კონსტრუქციას წარმოადგენენ, თუმცა მხოლოდ ორი სამაროვნის მიხედვით შეუძლებელია ამ საკითხზე მკვეთრი დასკვნების გაკეთება, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები სწორედ ქვაყუთების გავრცელების ოროგრაფიულ პრინციპზე მიუთითებენ.

აშკარად ლოკალური მოვლენაა ხის მასალით კონსტრუირებული სამარხები და ქვაყრილით დაფარული სამარხები, რომელთა კედლებიც ქვებითაა შემოწყობილი. ორივე მათგანი მხოლოდ თლიას სამაროვნის მასშტაბითაა წარმოდგენილი და არ გვხვდება სხვა ძეგლზე.

IV ტიპის სამარხები სამაროვნის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხთა 12,5 %-ს შეადგენენ, ხოლო V ტიპის სამარხები მხოლოდ 1,4%-ს. რაც არ წარმოადგენს იმ პროცენტულ რაოდენობას, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა თლიას სამაროვნის გამოყოფა კოლხური კულტურის ერთიანი

სისტემიდან და ამ კულტურის ლოკალური ვარიანტის, ან სხვა კულტურის ძეგლად მიჩნევა. მხოლოდ სამარხ-კონსტრუქციათა მიხედვით თლიას სამაროვნის ატრიბუციის საკითხი უმართებულოდ მიგვაჩნია.

კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი კოლექტიური სამარხი-ორმოები თუ დასაკრძალი მოედნები მხოლოდ თანამედროვე კოლხეთის დაბლობის დასავლეთი ნაწილისა და აფხაზეთის აღმოსავლეთ მხარისათვისაა არათუ ნიშანდობლივი, არამედ შიძლება ითქვას, რომ დომინანატური ტიპიც. თუმცა ოროგრაფიული პრინციპი ნაწილობრივ არ შეინიშნება, რადგან ამ ტიპის სამარხებს დაბლობი ზონის გარდა ვხვდებით მთიან მხარეშიც, პირველ რიგში ბრილისა (რაჭა) და შედარებით მოგვიანო პერიოდის ლარილარის სამაროვნებზე (სვანეთი).

რაც შეეხება ყორღანულ სამარხებს, მიგვაჩნია, რომ მათი მხოლოდ ერთ ძეგლზე, თანაც მცირე ოდენობით მიკვლევა არ კმარა რაიმე სახის დასკვნების გაკეთებისათვის. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის ცნობილი ძეგლებისა და შესწავლილი სამარხების ფონზე, ისინი საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილად გამოიყურებიან.

კოლხური კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა განხილვისას, შეინიშნება, რომ არათუ კოლხური კულტურის მთელ პერიმეტრზე, არამედ ცალკე აღებულ სამაროვნებზე, ხშირ შემთხვევაში სამარხთა მრავალი ტიპია წარმოდგენილი. ეს სხვაობა შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო მიკროკულტურული, სოციალური, კონფესიური ან სხვა რაიმე სახის მახასიათებელთა არაერთგვაროვნებით, რომლებზეც საუბარი კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი დაკრძალვის წესისამდი მიძღვნილ თავში გვექნება.

§2. ყობანური კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა ანალიზი

ყობანური კულტურის არეალი კოლხური კულტურის მსგავსად საკმაოდ ფართო ტერიტორიას მოიცავს, თუმცა აქ გამოვლენილი სამარხეული ძეგლების რაოდენობა დასავლეთ ამიერკავკასიასთან შედარებით გაცილებით უფრო დიდია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მრავალრიცხოვნობის მიუხედავად, კოლხური კულტურისაგან განსხვავებით, სამარხ-კონსტრუქციათა შედარებითი ტიპლოგიური მცირერიცხოვნობით ხასიათდება. ყობანური კულტურისათვის დამახასიათებელი სამარხ-კონსტრუქციათა ძირითადი ტიპები შეიძლება შემდეგნაირად გამოვყოთ:

1. მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხები.

2. ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხები.

3. ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხები.

4. სამარხი-აკლდამები.

5. ქვაყუთები.

6. ყორღანული სამარხები.

7. კრომლეხით შემოსაზღვრული სამარხები.

I. *მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხები.*

ორმოსამარხი ყობანური კულტურის ყველაზე ვრცლად დისპერსირებულ სამარხის ტიპს წარმოადგენს. კოლხური კულტურისაგან განსხვავებით, აქ არ

ვხვდებით წრიული მოყვანილობის სამარხებს და მხოლოდ ორი ქვეტიპის გამოყოფა შეიძლება:

1. *ოვალური.*

2. *სწორკუთხა მოყვანილობის.*

I ქვეტიპის ორმოსამარხები წარმოდგენილია შემდეგ ძეგლებზე: ყიზილ-ყალა (2 სამარხი) და კომაროვო. ყიზილ-ყალის სამაროვნის (ყარაჩაი-ჩერქეზეთი) ოვალური მოყვანილობის სამარხთა თაობაზე ზუსტი ინფორმაცია ჩვენ არ მოგვეპოვება [Алексеева, 1982: 10]. კომაროვოს სამაროვანზე კი, რომელიც დღევანდელი ოსეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს, საერთო ჯამში 10 ოვალური კონფიგურაციის მქონე ორმოსამარხი გამოვლინდა. სამარხები რიგებად განლაგებული და ერთმანეთისაგან 10-15 მეტრის მანძილით დაშორებული ყოფილან. მათი სიღრმე მიწის ზედაპირიდან 0,8-1,3 მეტრს შორის მერყეობდა [Абрамова, 1974: 195-204]. სამარხთა ასეთი განლაგება შესაძლოა მიწისზედა კონსტრუქციის არსებობით აიხსნას, თუმცა ამ უკანასკნელის კვალი ძეგლზე არ დადასტურებულა.

II ქვეტიპის მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხები მიკვლეულია კლინ-იარი III-ის, ყიზილ-ყალისა (7 სამარხი) და ისტი-სუს სამაროვნებზე.

კლინ-იარი III-ზე წარმოდგენილია 172 ორმოსამარხი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ მარტივი კონფიგურაციის, სწორკუთხა მოყვანილობის ორმოსამარხი იყო [Белинский, 2004: 15].

ყიზილ-ყალაზე გამოვლენილ II ქვეტიპის ორმოსამარხთა თაობაზე მსჯელობა ოვალური მოყვანილობის ორმოსამარხთა მსგავსად შეუძლებელია. რაც შეეხება ისტი-სუს (ჩეჩნეთი, გუდერმესის რაიონი), აქ 19 სამარხიდან სამარხ-კონსტრუქციათა მოყვანილობის დადგენა მხოლოდ 4 (№№10, 11, 12 (ტაბ.), 13) შემთხვევაში გამხდარა შესაძლებელი. სამარხებს მიწისზედა კონსტრუქციის არავითარი კვალი არ ეტყობოდათ და მათი უმეტესობა მიწის ზედაპირიდან საკმაოდ დიდ სიღრმეზე მდებარეობდა.

ისტი-სუს სამაროვანზე (ტაბ. XXVII, 1) სამარხთა საშუალო სიღრმე მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 1 მეტრს შეადგენდა. სამარხთა ორმოების საშუალო

სიღრმე კი 0,5 მეტრი იყო. უშუალოდ სამაროვნის ტერიტორიაზე ახ.წ. I საუკუნეში სამოსახლო ყოფილა მოწყობილი, რომლის კულტურული ფენებიც სამაროვანს ზემოდან ფარავდა, რასაც გამოუწვევია სამარხთა გარკვეული ნაწილის დაზიანება [Артамонова-Полтавцева, 1950: 22].

ისტი-სუს სამაროვნის გეგმის შესწავლისას ო. არტამონოვა-პოლტავცევამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სამაროვანზე სამარხები თავიანთი განლაგებით რამდენიმე ჯგუფს ქმნიდნენ. I თხრილში ერთ ჯგუფად იყვნენ გამოყოფილი №№ 1, 2, 5, 6 და №8 სამარხები, ხოლო მეორე ჯგუფად – №№ 3, 4 და № 7 (ტაბ. XXVII, 2). II თხრილში (1938 წლის გათხრები) კი ერთ ჯგუფს № 11 და № 13, ხოლო მეორეს №№ 14, 18 და № 19 სამარხები ქმნიდნენ. სამარხთა ეს ჯგუფები დაახლოებით 7-8 მეტრის დიამეტრის მქონე ფართობს მოიცავდნენ, რომელთა შორის მანძილი 4 მეტრს შეადგენდა. განცალკევებით მდებარე სამარხები ერთმანეთისაგან ამავე მანძილით, 4-5 მეტრით ყოფილან დაცილებული.

ზემოთ აღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით ო. არტამონოვა-პოლტავცევამ გამოთქვა მოსაზრება პატარა ყორღანული ყრილების არსებობაზე, რომლითაც სამარხები უნდა ყოფილიყო დაფარული [Артамонова-Полтавцева, 1950: 22-23]. მიუხედავად ძეგლის გამთხრელის ამგვარი მოსაზრებისა, ჩვენ არ გვაქვს უფლება გადაჭრით ვისაუბროთ ყორღანული სამარხების არსებობაზე, რადგან სამარხთა გარკვეული ნაწილის ერთ ჯგუფად კონცენტრაცია, შესაძლოა აქ დაკრძალულ ინდივიდთა ნათესაობრივ კავშირზე მიუთითებდეს. ამავდროულად, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ყობანური კულტურის არეალში ერთი ყორღანული ყრილით დაფარული რამდენიმე სამარხი არცერთ ძეგლზე არაა დადასტურებული.

მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხების უდიდესი ნაწილის ფორმის შესახებ ინფორმაციას სამეცნიერო ლიტერატურაში ვერ ვხვდებით, თუმცა მათი არეალი ფართოა და მოიცავს შემდეგ ძეგლებს: ყობანი, ნიკოლაევსკი, სერჟენ-იურტი, ფსედახი, ზემო ჩეგემი, გუნდელენი, ზაიუკოვო, ქვემო ქურფი, ბაქსანი, ნალჩიკი, ტერსკი, აბუ-ყაბაკი, “მებელნაია ფაბრიკა”, ბერეზოვკა I, ბელორეჩენსკი, ულუბაღანალი და სხვ.

მარტივი კონფიგურაციის მქონე ორმოსამარხების გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩო არაა შეზღუდული ერთი კონკრეტული მონაკვეთით და

ამ კულტურის განვითარების ყველა საფეხურზეა წარმოდგენილი. თუმცა, ძეგლების დიდი ნაწილი, რომელზეც სამარხის ეს ტიპია დაფიქსირებული, ყობანური კულტურის მოგვიანო საფეხურს განეკუთვნება.

II. *ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხები.*

მოგვიანო ეტაპის ძეგლებზეა დადასტურებული სამარხის მეორე ტიპი – ქვაყრილით დაფარული მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხები. მათი არეალი ძირითადად ყობანური კულტურის აღმოსავლურ ვარიანტს მოიცავს, თუმცა წარმოდგენილია დასავლურ ვარიანტშიც. პირველ რიგში, გამოსარჩევია მუჟიჩისა და ნესტეროვსკაიას სამაროვნები, სადაც სამარხის ეს ტიპი დომინანტურ როლს თამაშობს.

მუჟიჩის სამაროვანზე (ტაბ. XXVIII) ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხები ტიპოლოგიური ერთგვაროვნებით ხასიათდებიან. ისინი, როგორც წესი, მიწის ზედაპირიდან 0,2-1 მეტრის სიღრმეზე იყვნენ მოწყობილი (იშვიათად უფრო ღრმად), ხოლო ზემოდან ქვაყრილით დაფარული. ყრილი ხშირად რამდენიმე იარუსისაგან შედგებოდა (1-დან 7-მდე). ზოგიერთი სამარხი ყრილის გარეშე იყო, თუმცა მათი არარსებობა სამეურნეო სამუშაოების შედეგად დაზიანებას უნდა უკავშირდებოდეს [Мунчаев, 1963: 201].

სამარხთა ქვაყრილებს ძირითადად მართკუთხა, კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედისა და ოვალური მოყვანილობა ჰქონდათ. მაგალითად, ოთხიარუსიანი ოვალური მოყვანილობის ქვაყრილი ფარავდა №52/116 სამარხს, რომელიც სიგრეში 3 მეტრს, ხოლო სიგანეში 1,8 მეტრს აღწევდა. სამარხის ორმოს სიგრძე კი ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე 2,2 მეტრს, ხოლო სიგანე 1,9 მეტრს შეადგენდა [Мунчаев, 1963: 173]. ოთხიარუსიანი ყრილით იყო დაფარული №67/131 სამარხიც, რომლის ზედა იარუსი მიწის ზედაპირიდან 0,29 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა და მომრგვალო მოყვანილობა ჰქონდა (სიგრძე - 2,1 მეტრი, სიგანე – 2,35 მეტრი). №52/116 სამარხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამარხთა ორმოები ზომებით მათ თავზე მოწყობილ ქვაყრილებზე შედარებით უფრო მცირე მასშტაბისანი ყოფილან. ეს წესი

ნაწილობრივ ვრცელდება იმ სამარხებზეც, რომელთა ორმოების კონტურები არ იკითხებოდა. თუმცა, არის გამონაკლისი შემთხვევებიც. №79/143 სამარხის ოვალური ფორმის ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე ორიენტირებული ქვაყრილის სიგრძე 1,3 მეტრი, ხოლო სიგანე 0,95 მეტრი იყო. სამარხის ორმოსაც ოვალის ფორმა ჰქონდა, თუმცა ზომებში (სიგრძე – 1,2 მ. სიგანე – 1 მ.) არ ჩამოუვარდებოდა ქვაყრილს [Мунчаев, 1963: 193].

როგორც ჩანს, მუჟიჩის სამაროვანზე სამარხების გაჭრისა და მათში მიცვალებულთა მოთავსების შემდეგ, ისინი შედარებით უფრო მოზრდილი ქვაყრილით უშუალოდ ორმოების ზედაპირზევე იფარებოდნენ, რაზეც მიგვანიშნებს სხვადასხვა ზომის ქვების ოსტეოლოგიურ მასალაზე ზემოდან აღმოჩენის ფაქტები, რასაც საკმაოდ ხშირად მიცვალებულთა ძვლებისა და სამარხეული ინვენტარის დაზიანება მოჰყვებოდა.

ნესტეროვსკაიას სამაროვანი მდებარეობს ინგუშეთში, სუნჟის რაიონის სტანიცა ნესტეროვსკაიას მახლობლად, მუჟიჩიდან დაახლოებით 40 კმ-ის დაშორებით. სამაროვანი მოთავსებული იყო მდ. ასას მარცხენა ნაპირზე, სადაც მოწყობილი ყოფილა კარიერი. კარიერზე მიმდინარე სამუშაოებისას, რომლის ფართობიც დაახლოებით 0,5 ჰა-ს შეადგენდა, ძეგლის საკმაოდ დიდი ფართობი განადგურდა. სამაროვნის გადარჩენილი ნაწილი (დაახლოებით 500მ^2) 1938-40 და 1946 წლებში ითხრებოდა ე. კრუპნოვის მიერ [Крупнов, 1960, 401]. შესწავლილ იქნა 53 სამარხი, რომელთა უმრავლესობა ქვაყრილით დაფარულ ორმოსამარხს წარმოადგენდა (40 ერთეული), ხოლო მცირე ნაწილი – ყორღანულ ყრილში გაჭრილ სამარხებს (13). ორმოსამარხები მარავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ. მათი დიდი ნაწილი რიყის ქვებისაგან შემდგარი მცირე ზომის ყრილით იყო დაფარული [Крупнов, 1960: 403]. ნესტეროვსკაიას სამარხებიდან გამოსარჩევია №8 კოლექტიური ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხი. ქვაყრილს მართკუთხედის ფორმა ჰქონდა და წაგრძელებული ნაწილით ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იყო ორიენტირებული. რაც შეეხება უშუალოდ სამარხის ორმოს, ის შემოწყობილი იყო დიდი ზომის ქვებით. სამარხი სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ იყო მიმართული და სიგრძეში 1,23 მეტრს, ხოლო სიგანეში 0,78 მეტრს აღწევდა. სამარხის ძირი დაფარული იყო ხრეშით, რომელიც თიხნარ ნიადაგზე ყოფილა მოყრილი. [Крупнов, 1960: 406]. ნესტეროვკაიას სამაროვანზე გვხვდება ოვალური მოყვანილობის ქვაყრილებიც. მაგალითად, №28 სამარხს ოვალური ფორმის ქვაყრილი ფარავდა და უშუალოდ

სამარხის ორმოსაც ოვალური მოყვანილობა ჰქონდა. სამარხის სიგრძე 1,8 მეტრს, სიგანე კი 1 მეტრს შეადგენდა [Крупнов, 1960: 411].

ნესტეროვსკაიასა და მუჟიჩის სამაროვნებზე სამარხ-კონსტრუქციათა იდენტური ტიპების გავრცელება აქ დაკრძალულ ინდივიდთა ახლო კულტურულ კავშირებზე მიუთითებს, რაც გასაკვირი არაა, თუ გავითვალისწინებთ მათ ერთმანეთთან ახლო გეოგრაფიულ მდებარეობას (მდ. ასას ხეობა, ინგუშეთი).

თანამედროვე ოსეთის ტერიტორიაზე ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხები არ არის ცნობილი. სამაგიეროდ, ისინი გვხვდება ყობანური კულტურის დასავლურ ვარიანტში, სადაც მსგავსი კონფიგურაციის სამარხები გამოვლენილია აულ ყუმუშთან და "მინერალნიე ვოდის" სამაროვანზე.

ყუმუშის ქვაყრილიანი სამარხი დაკრძალვის წესით რადიკალურად განსხვავდება ნესტეროვსკაიას, "მინერალნიე ვოდისა" და მუჟიჩის სამარხებისაგან, თუმცა დათარიღებულია ერთი პერიოდით, ძვ.წ. VI-V საუკუნეებით [Алексеева, 1982: 11].

ყუმუშის სამაროვანზე ყრილის სიმაღლე 0,35-0,40 მეტრს აღწევდა და ქვებისაგან იყო შედგენილი, რომელთა დიდი ნაწილიც ყრილის აღმოსავლეთ ნაწილში იყო კონცენტრირებული. სამარხი კამერა ქვებით გადაფარულ ჩვეულებრივ ორმოს წარმოადგენდა. მისი მოგრძო ნაწილი ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე იყო ორიენტირებული და სიგრძეში 1,40-1,50 მ, სიგანე კი 1-1,10 მეტრს შორის მერყეობდა [Алексеева, 1982: 11]. რაც შეეხება "მინერალნიე ვოდის" სამაროვანს, 1952 წელს შესწავლილი 4 სამარხიდან, II ტიპის მხოლოდ ერთი სამარხი არის წარმოდგენილი (№4), რომელიც დაზიანებული ყოფილა. აქ მცირე ზომის ქვაყრილი სამარხის ძირიდან 1 მ-ის სიმაღლეზე დაფიქსირდა [Егоров, 1955: 57].

მიუხედავად იმისა, რომ ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხები ყობანური კულტურის დასავლეთ არეალშიც გვხვდება და ქრონოლოგიური კუთხით ნესტეროვსკაიასა და მუჟიჩის სამაროვანთა სინქრონულია, ის მაინც აღმოსავლეთისათვის, კერძოდ თანამედროვე ინგუშეთის ტერიტორიისათვის დამახასიათებელ და დომინანტურ სამარხის ტიპს წარმოადგენს. გასათვალისწინებელია ის დიდი ტერიტორული დისტანცია, რომელიც ამ სამაროვნებს ერთმანეთისაგან აშორებთ. მხოლოდ ყუმუშისა და "მინერალნიე ვოდის" ერთეული სამარხების მეშვეობით, შეუძლებელია რაიმე კავშირზე საუბარი, თან ჩვენს მიერ განხილულ სამარხთა მოწყობის ტექნიკისა და

ზომების მხრივ, თვალში საცემია სხვაობა ამ ერთი კულტურის ორი ლოკალური ვარიანტის ძეგლებს შორის.

III. *ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხები.*

ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხები წარმოდგენილია ულუბაღანალის სამაროვანზე (ყარაჩაი-ჩერქეზეთი) [Ковалевская, 1984: 41], თუმცა ცნობები მის შესახებ იმდენად მწირია, რომ რაიმე დასკვნების გაკეთება შეუძლებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამარხის კიდეებზე ქვების შემოწყობა დადასტურებულია ნესტეროვსკაიას სამაროვანზეც, სადაც ქვაყრილით დაფარულ ორმოსამარხთა ნაწილს ქვებით ამოყვანილი კედლები ჰქონდა. ასეთია №8 სამარხი, რომლის რიყის ქვებისაგან შედგენილი კედლების სისქე 0,35 მეტრს აღწევდა [Крупнов, 1960: 406]. №9 სამარხს კი, რომელსაც რიყის ქვებისაგან შემდგარი მართკუთხედის ფორმის ქვაყრილი ფარავდა, კედლები 0,5 მეტრის სიღრმეზე ასევე რიყის ქვებით ჰქონდა შემოწყობილი. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ტიპის სამარხები ფართო ტერიტორიული გავრცელებით არ ხასიათდებიან და მხოლოდ ერთ ძეგლზეა დადასტურებული (ულუბაღანალი), თუმცა სხვა ტიპის სამარხებსაც იშვიათად, მაგრამ კედლების გასწვრივ მაინც შემოუყვებოდათ ქვების წყობა (ნესტეროვსკაია). ამ უკანასკნელთა ცალკე ტიპად გამოყოფა მართებულად არ მივიჩნიეთ, რადგან ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მხოლოდ რამდენიმე ერთეულის სახით გვხვდებიან.

IV. *სამარხი-აკლდამები.*

სამარხი-აკლდამები დღესდღეობით ყობანური კულტურის ორ ძეგლზე, ზემო რუთხასა (ოსეთი) და ტერეზეს (ყარაჩაი-ჩერქეზეთი) სამაროვნებზეა დადასტურებული. ორივე ძეგლი ყობანური კულტურის ადრეულ საფეხურს

განეკუთვნება და სხვა ანალოგიები ამ კულტურაში არ მოეძებნება. როგორც ზემო რუთხას, ასევე ტერეზეს სამაროვნებზე აღნიშნული ტიპის სამარხები რიყის ქვითაა ნაგები.

ტერეზეს სამაროვანი, რომელსაც 1977-78 წლებში სწავლობდა ვ. კოზენკოვა, ყარაჩაი-ჩერქეზეთის მალოკარაჩაევსკის რაიონის სოფელ ტერეზეს სამხრეთით მდებარეობს. აქ ორი კოლექტიური სამარხი-აკლდამა გამოვლინდა, რომლებიც მოზრდილი ბრტყელი ქვებისაგან იყვნენ ნაგები. მათ კვადრატული ფორმა ჰქონდათ და სიგრძესა და სიგანეში დაახლოებით 6 მეტრს აღწევდნენ.

ტერეზეს №1 სამარხი-აკლდამის ძირი მოსწორებული იყო და 10 სმ-ის სისქეზე ცეცხლის ზემოქმედების კვალი ეტყობოდა. სამარხის ცენტრში კვადრატული ფორმის ბრტყელი ქვა იყო მოთავსებული, რომელიც ვ. კოზენკოვამ პრიმიტიულ სამსხვერპლოდ მიიჩნია. ადამიანის ძლიერ დამწვარი ძვლები პატარა წრიულ ორმოებში იყო მოთავსებული, რომელთა დიამეტრი 15-20 სმ-ს შორის მერყეობდა [Козенкова, 2004: 149-155].

ტერეზეს №1 და №2 სამარხი-აკლდამებისაგან რადიკალურად განსხვავდება ამავე სამაროვანზე მიკვლეული №3 სამარხი (ტაბ. XXXII), რომელიც მოწყობილი იყო კრემაციული სამარხი-აკლდამებიდან დასავლეთით, დაახლოებით 16 მ-ის მოშორებით. სამარხი გადახურული იყო სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვის ფილებით. მოგრძო ნაწილით ორიენტირებული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სიგრძე – 2,15 მ. სიგანე – 1,85 მ. კედლების სიმაღლე 0,95 მ-დან 1,1 მ-ზე მერყეობდა. სამარხის ძირი (მიწის ზედაპირიდან 2,13 სმ-ის სიღრმეზე) მოწყობილი იყო 3-4 სმ სისქის ქვის ფილებით. ჩრდილოეთის მხრიდან კედლის სისქე 0,6-0,65 მ-ს შეადგენდა და მოწყობილი იყო რიყის ქვების სამი რიგის წყობით [Козенкова, 2004: 62]. დასავლეთი კედელი კი შედგენილი ყოფილა მხოლოდ ერთი რიგის წყობით და სისქეში 0,30-0,45 მ-ს შორის მერყეობდა. აღმოსავლეთის მხრიდან კი კედლის სისქე 0,7-0,8 მ-ს აღწევდა [Козенкова, 2004: 63].

რაც შეეხება ზემო რუთხას სამაროვანს (ოსეთი), არქეოლოგიური გათხრების დროს იქ ძვ.წ. X-VIII სს-ის ქვით ნაგები სპეციალური საკრემაციო კონსტუქცია დაფიქსირდა, რომელიც თავისებურ კოლექტიურ სამარხს წარმოადგენდა. ოსტეოლოგიური მასალის მიხედვით, სამარხში 50-მდე სანახევროდ კრემირებული ინდივიდი იყო დამარხული [Кривицкий... 1976:131].

სამწუხაროდ, სამეცნიერო ლიტერატურაში ზემო რუთხას აღნიშნული სამარხი-აკლდამის თაობაზე დეტალური ინფორმაცია არ გვხვდება, რაც ართულებს მის სხვა ძეგლებთან მიმართებაში განხილვას. მიუხედავად ამისა, თვალნათლივ შესამჩნევია კავშირი ტერეზეს სამაროვნის №1 და №2 სამარხ-კონსტრუქციებთან.

დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, სამარხ-კონსტრუქციათა ეს ტიპი ფართოდ არ ყოფილა გავრცელებული. შეიძლება პარალელების გავლება სამხრეთ კავკასიის მთიანეთის სამარხეულ ძეგლებთან, კერძოდ, ბრილის აკლდამასთან (რაჭა), თუმცა ამგვარი შედარებისთვის საკმარისი მონაცემები არ მოგვეპოვება. აქვე აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი ჩვენი საკვლევი პერიოდით არაა დათარიღებული და შედარებით უფრო ადრეულ ძეგლს წარმოადგენს. კოლხური კულტურის სამარხ-ორმოებთან კი კონსტრუქციის მხრივ, არავითარი კავშირი არ შეინიშნება, თანაც კოლხური ძეგლები უფრო მოგვიანო პერიოდითაა დათარიღებული.

V. *ქვაყუთები.*

ყობანური კულტურის დამახასიათებელ სამარხ-კონსტრუქციას ე.წ. ქვაყუთები შეადგენენ. გეოგრაფიული კუთხით მათი არეალი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას ფარავს, ძირითადად კი ყობანური კულტურის ცენტრალურ და დასავლურ ვარიანტებს. აღმოსავლეთისათვის (ინგუშეთი, ჩეჩნეთის დიდი ნაწილი) კი სამარხის ეს ტიპი სრულიად უცხო მოვლენას წარმოადგენს, თუმცა ქვაყუთები ყობანური კულტურის მომიჯნავე კაიაკენტ-ხოროჩოის არქეოლოგიური კულტურის (ჩეჩნეთის აღმოსავლეთი ნაწილი, დაღესტანი) სამარხთა დომინანტურ სახესხვაობას შეადგენენ.

ქვაყუთები, ფორმის მიხედვით, შეიძლება სამ ძირითად ქვეტიპად დაიყოს:

1. *წაგრძელებული.*

2. *კვადრატთან მიახლოებული.*

3. *ტრაპეციის მაგვარი.*

I ქვეტიპის ქვაყუთები გავრცელებულია შემდეგ ძეგლებზე: ყობანი, ელკუში, ბერეზოვკა III, ინდუსტრია I, სულტან-გორა III, ტამგაციკი.

პირველ რიგში, აღსანიშნავია ყობანის სამაროვანი (ტაბ. XXIII–XXV), სადაც მიცვალებულებს ქვიშაქვის დამუშავებული ფილებისაგან შეკრულ ქვაყუთებში მარხავდნენ. ფილების სისქე საშუალოდ 12-15 სმ-ს შორის მერყეობდა. სამარხთა სიგრძე საშუალოდ 1,2 მეტრს აღწევდა, ხოლო სიგანე – 0,7 მეტრს. ქვაყუთები დაფარული ყოფილან იმავე ტიპის ფილებით, რომლებიც სამარხთა კედლებს წარმოადგენდნენ [Уварова, 1900: 9-11]. სამრხებს აგებდნენ როგორც მასიური, ასევე შედარებით მომცრო ზომის ფილებისაგან (სამარხი №1 (9)) (ტაბ. XXIII).

ელკუშის სამაროვანზე გამოვლენილი ქვაყუთი თავისი მასშტაბით გამოირჩეოდა. მისი ზომა იყო 2 X 1 მეტრზე და სხვა სამარხებისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა. განსხვავებული იყო მისი მიმართულებაც. ამ სამარხის მოგრძო ნაწილი დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე იყო ორიენტირებული [Погребова, 1970: 108]. მსგავსი სიდიდის ქვაყუთები ყობანური კულტურის სხვა ძეგლებისათვის უცნობია. წაგრძელებული მოყვანილობის ქვაყუთები დომინირებდნენ ტამგაციკის სამაროვანზეც (ყარაჩაი-ჩერქეზეთი) [Алексеева, 1971: 59].

1971 წელს ქ. კისლოვოდსკიდან სამხრეთით 3კმ-ში მდებარე დასახლების ინდუსტრიის ტერიტორიაზე, საერთო ჯამში 7 ქვაყუთია შესწავლილი, რომლებიც მიწის ზედაპირიდან 20-30 სმ-ის სიღრმეზე მდებარეობდნენ და ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში უნდა ყოფილიყვნენ გაძარცული. №1 სამარხში, ინვენტარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქალი უნდა ყოფილიყო დამარხული. ქვაყუთის ზომები იყო 0,8 X 1,2 მეტრზე, სიღრმე 0,45 მ. სამხრეთი და დასავლეთი კედლები ერთი მთლიანი ფილებისაგან ყოფილან შედგენილი, ხოლო ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლები ორ-ორი შედარებით მოკლე ფილებისაგან (ტაბ. XXXV, 2). №1 სამარხისაგან განსხვავებით №3 ქვაყუთის ყველა კედელი მთლიანი ფილებისგან იყო შედგენილი, წაგრძელებული ნაწილით ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე მიმართული (ტაბ. XXXVI, 1). ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლები ერთი მცირე ზომის ფილით იყო დაკავშირებული, რაც ერთგვარ მომრგვალებულ კუთხეს ჰქმნიდა. ფილების

სისქე 8-10 სმ-ს შეადგენდა. გადახურვა ასევე ფილებისგან შედგებოდა, რომელიც სამარხში აღმოჩნდა ჩაქცეული. კომბინირებული წყობისა იყო №6 სამარხის კედლები – ქვედა ნაწილში ფილების ვერტიკალური წყობითა და ჰორიზონტალურად დაწყობილი ფილების ზედა რიგით. ფილების სისქე ამ შემთხვევაშიც 8-10 სმ-ს აღწევდა (ტაბ. XXXVI, 4).

როგორც ვხედავთ, სამაროვან ინდუსტრია I-ის შესწავლილ მონაკვეთში მხოლოდ ქვაყუთებია წარმოდგენილი, რომლებიც კონსტრუქციისა და დაკრძალვის წესის მიხედვით თითქმის ერთმანეთის მსგავსი არიან. გვხვდება როგორც ვერტიკალურად დაწყობილი ფილებისგან მიღებული ქვაყუთის კედლები, ისე კომბინირებული, ორი რიგის წყობისგან შედგენილი კედლები, სადაც ქვედა წყობა ვერტიკალურადაა განთავსებული, ხოლო ზედა – ჰორიზონტალურად.

საინტერესო ძეგლს წარმოადგენს ქ. კისლოვოდსკიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 6 კმ-ის დაშორებით მდებარე სულთან-გორა. 1966 წელს ა. რუნიჩმა სულტან-გორა III სამაროვანზე 2 ქვაყუთი შეისწავლა. №1 ქვაყუთი წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული იყო სამხრეთ-დასავლეთ – ჩრდილო-აღმოსავლეთის ხაზზე (ტაბ. XXXVIII, 1) [Виноградов, 1976: 46].

1976-1980 წლებში სულთან-გორაზე ნ. ჩლენოვას მიერ გაითხარა მასიური დაუმუშავებელი ქვის ფილებისგან ნაგები კონსტრუქცია-ღობე (9,8 X 10,8 მ.) (ტაბ. XXXVII, 3), რომლის მოგრძო ნაწილიც დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე იყო მიმართული. დასავლეთ კედელი ვერტიკალურად დაყენებული ქვის ფილების ორი რიგისგან იყო ფორმირებული, ჩრდილოეთ კედელი კი ერთი რიგის მსგავსი ფილებისაგან, რომელთაც ზემოდან მცირე ზომის ფილების რამდენიმე რიგი ეწყოთ, ხოლო გასამაგრებლად ძირზე გარეთა მხრიდან დიდი ზომის ქვები ჰქონდა შემოწყობილი [Членова, 1981: 120]. აღმოსავლეთ კედელი ასევე ქვის ფილების ორი რიგის წყობით იყო ამოყვანილი [Членова, 1977: 100]. კონსტრუქციის სამხრეთ კედელი ძლიერ იყო დაზიანებული და წყობის დადგენა ვერ მოხერხდა. ამ კონსტრუქციის შიგნით კი 4 სამარხი იყო მოწყობილი. მიცვალებულებს დიდი ქვის ფილებისაგან შეკრულ ქვაყუთებში მარხავდნენ, რომელთაც, როგორც დიდი, ისე მომცრო ზომის ფილებითა და რიყის ქვით ხურავდნენ. ორ ქვაყუთს პატარა ფილების რამდენიმე წყობისგან შემდგარი ოვალური წრე უვლიდა გარს, ზომით 2,7X3მ და 2,6X3,2 მ-ზე. ორი ასიმეტრული ფორმის ქვაყუთი კი სამხრეთ და აღმოსავლეთ კედლებთან იყო მოწყობილი.

სულთან-გორას აღნიშნული კონსტრუქციის შიგნით მოქცეული ქვაყუთები შესაძლოა საოჯახო განსასვენებლებს წარმოადგენდნენ, რომელთაც მათი დაცვის მიზნით, სპეციალურად მოწყობილი კონსტრუქციის შიგნით ათავსებდნენ. სულთან-გორას სამაროვანი ნ. ჩლენოვას ძვ.წ. VI საუკუნით აქვს დათარიღებული. ეს ქრონოლოგია დამყარებულია ქვაყუთებში აღმოჩენილ სკვითური ტიპის იარაღსა და კავკასიური წარმოშობის სამკაულზე [Членова, 1977: 101]. მიუხედავად იმისა, რომ ძეგლი შედარებით მოგვიანო პერიოდისაა, თვალში საცემია კავშირი IV ტიპად გამოყოფილ სამარხ-აკლდამებთან, რომლებიც ყობანური კულტურის ადრეულ საფეხურზე გვხვდება. თუმცა, ეს საერთო მახასიათებელი მხოლოდ მასიური კონსტრუქციის კუთხით შეინიშნება და სხვა ელემენტების მხრივ სულთან-გორასა და იგივე ტერეზეს სამაროვანს შორის კავშირი არ ჩანს.

II ქვეტიპის, კვადრატულთან მიახლოებული მოყვანილობის ქვაყუთები აღმოჩენილია ადაიდონის, ისპრავნაიას, ინდუსტრია I-ის, ელკუშის, სულთან-გორა I-ის, ტამგაციკის, ულუბაღანალის, ბერეზოვკა I-ის სამაროვნებზე.

ადაიდონის ოთხიარუსიანი სამაროვანი ოსეთში, ალაგირის რაიონის სოფლების ცმისა და ქვემო ზარამაგის სიახლოვეს მდებარეობს. ძეგლის დათარიღებასთან დაკავშირებით ჰ. ჩშიევის მიერ შემოთავაზებულია შემდეგი ქრონოლოგიური ჩარჩო, რომელიც ძირითადად სამარხეულ ინვენტარს ემყარება: I და II იარუსის სამარხები – ძვ.წ. XIV-XII საუკუნეები, III იარუსი – ძვ.წ. XI-VI სს, ხოლო მეოთხე იარუსისა ძვ.წ. V–IV საუკუნეები [Чшиев, 2008]. როგორც ვხედავთ, ჩვენი საკვლევი პერიოდის სამარხები მესამე იარუსზე იყვნენ მოქცეული. ამ პერიოდის ქვაყუთების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი დაზიანებული იყო, ხოლო შედარებით უკეთესად დაცული სამარხების საშუალო ზომა 1,20 X 1,10 მეტრს შეადგენდა. ამ კუთხით ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ყობანის სამაროვნისაგან, რომლისგანაც ადაიდონის სამაროვანი დაახლოებით 45-50 კმ-ის მანძილითაა დაშორებული. ეს კი არ წარმოადგენს ისეთ დიდ მანძილს, რომ ასეთი სხვაობები კულტურულ დიფერენციაციაზე მიანიშნებდეს.

კვადრატული მოყვანილობის ქვაყუთთა შემცველი ძეგლების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი კონცენტრირებულია ქ. კისლოვოდსკსა და მის შემოგარენში. უშუალოდ ქ. კისლოვოდსკში მდებარეობენ ძეგლები ინდუსტრია I და კლინ-იარი III, ხოლო მისგან 6-7 კმ-ის დაშორებით სულთან-გორისა და ბერეზოვკის I, II, III, IV, V და VI სამაროვნები.

ინდუსტრია I-ის სამაროვანზე მხოლოდ ერთ სამარხს (№2) ჰქონდა კვადრატთან მიახლოებული მოყვანილობა. ის დიდი ზომის ფილებისგან ყოფილა შეკრული. მისი ზომებია 1-1,2 მეტრზე. დასავლეთ და აღმოსავლეთი კედლები ერთი მთლიანი ფილისგან შედგებოდნენ, რომელთა სისქე 8-15 სმ-ს შორის მერყეობდა. სამხრეთი კედელი ორი ფილისგან იყო შეკრული. ჩრდილოეთი კედელიც მსგავსად უნდა ყოფილიყო მოწყობილი, რომლისგანაც მხოლოდ ერთი ფილა ყოფილა შემორჩენილი (ტაბ. XXXV, 3).

ელკუშის სამაროვანზე (ყარაჩაი-ჩერქეზეთი) 1969 წელს შესწავლილი 9 სამარხიდან, 8 მასიური ქვის ფილებისგან შეკრულ ქვაყუთს წარმოადგენდა, რომელთა დიდ ნაწილსაც სწორედ კვადრატულთან მიახლოებული ფორმა ჰქონდა. ისინი როგორც წესი ზემოდანაც ქვის ფილებით ყოფილან გადახურული. მათი საშუალო ზომა იყო 1,2 X 1,5 მეტრზე, ხოლო სიღრმე 0,80 მეტრი. მიმართული იყვნენ ძირითადად ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, თუმცა მცირე განსხვავებებიც შეიმჩნეოდა [Погребова, 1970: 108]. ბერეზოვკა I-ზე გათხრილი 36 სამარხიდან, ორის გამოკლებით, ყველა მასიური ფილებისაგან ნაგებ ქვაყუთებს წარმოადგენდა, რომლის სიგრძე და სიგანე, №12 სამარხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 1 მეტრს არ აღემატებოდა და კვადრატული ფორმისა იყო. ბერეზოვკა I-ის ქვაყუთები არცთუ დიდ სიღრმეზე იყვნენ მოწყობილი. ზოგიერთი მათგანი სამეურნეო სამუშაოების დროსაც კი იჩენდა თავს [Виноградов, 1976: 41].

ქ. კისლოვოდსკიდან დასავლეთით, 30 კმ-ის დაშორებულ ულუბაღანალის სამაროვანზე ქვაყუთების ორი სხვადასხვა მეთოდით კონსტრუირების ფაქტია დადასტურებული: 1) ოთხი ვერტიკალურად მდგარი ფილისგან შეკრული ქვაყუთები და 2) ქვაყუთები შერეული, ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მყოფი ქვის ფილების წყობით [Ковалевская, 1984: 41].

ყობანური კულტურის დასავლეთით გავრცელების ბოლო პუნქტში – ისპრავნაიას სამაროვანზე, მხოლოდ კვადრატთან მიახლოებული ფორმის ქვაყუთები გვხვდება (ტაბ. XXXIX-XL). აქ შესწავლილი 14 სამარხი ძვ.წ. IX–VI საუკუნეებით არის დათარიღებული [Козенкова… 1980: 195 – 280]. სამარხები მიწის ზედაპირიდან 1-2 მეტრის სიღრმეზე მერყეობდნენ. ქვაყუთების კედლები 4 (№№1, 2, 5, 9, 11-13 სამარხები) ან 6 ფილით (№№ 4, 6, 7 სამარხები) იყო შემოწყობილი. ზოგიერთ შემთხვევაში ქვაყუთი მცირე, 25 X 30 სმ-ზე ზომის ფილებით იყო აწყობილი და ამავე ზომის ფილებით გადახურული. ზოგიერთი ქვაყუთის

ფილათა შეერთების ადგილები არცთუ კარგად იყო ფიქსირებული, ამიტომ სამარხის გასამაგრებლად, ფილებს გარედან სხვადასხვა სიდიდის ქვები ჰქონდათ შემოწყობილი (სამარხები №№ 1, 4, 11-13).

სამარხთა გაჭრისას გარკვეული დისტანცია დაცული ყოფილა, რადგან სამარხები ერთმანეთისგან 2-3 მეტრით არიან დაშორებული. მხოლოდ ორჯერაა ფიქსირებული ქვაყუთების ერთმანეთზე მიდგმის ფაქტი. პირველ შემთხვევაში ეს იყო მოზრდილი ადამიანის სამარხი (№4), რომელსაც გვერდზე მინიატურული №5 ქვაყუთი ჰქონდა მიდგმული, პატარა ბავშის ძვლებით. მეორე შემთხვევაში კი №11 და №12 სამარხები ერთმანეთს კუთხეებით ეხებოდნენ. №11 უფრო ადრეული აღმოჩნდა, რადგან №12 სამარხის (ტაბ. XL, 1) მოწყობისას იგი დაზიანებულა.

ქვაყუთების გამართვის პროცესში სამარხთა ძირის მოწყობისას, უპირატესობა გრუნტის იატაკს ენიჭებოდა. მხოლოდ №12 (ტაბ.) სამარხის შემთხვევაში, სამარხის ძირი მცირე ზომის ფილებით იყო მოფენილი. საინტერესო დეტალი დაფიქსირდა №6 სამარხის (ტაბ. XXXIX, 3) გათხრისას. მისი ზედაპირი რიყის ქვით იყო მოყრილი. სხვა მსგავსი ფაქტი ისპრავნაიას სამაროვანზე არ დასტურდება, თუმცა მსგავსი წესი ფართოდ იყო გავრცელებული გვიან ბრინჯაო – ადრე რკინის ხანის კავკასიონის ქედის ორივე მხარეს.

ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითებით რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება შეიძლება. პირველ რიგში, ე. კრუპნოვის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც წაგრძელებული ფორმის ქვაყუთები ყობანის ცენტრალური, ხოლო კვადრატული ფორმის ქვაყუთები დასავლური ვარიანტისთვის იყო დამახასიათებელი, ახალი აღმოჩენების ფონზე შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს, თუმცა II ტიპის ქვაყუთთა შემცველი ძეგლების უმრავლესობა სწორედ ამ კულტურის დასავლეთ ნაწილშია კონცენტრირებული.

III ქვეტიპის ქვაყუთი ასევე ერთ ძეგლზე, უჩქულანის სამაროვანზეა დადასტურებული, თუმცა მის თაობაზე დეტალური ინფორმაცია სამეცნიერო ლიტერატურაში არ გვხვდება [Алексеева, 1982: 13].

როგორც ვხედავთ, ქვაყუთები, კოლხური კულტურისგან განსხვავებით საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში. აქ მათი კონსტრუირების მრავალი ხერხი იყო გავრცელებული.

ქვაყუთებს აგებდნენ როგორც მასიური ქვიშაქვის ფილებისგან (ყობანი, ადაიდონი, ელყუში, ულუბადანალი, სულთან გორა III, ბერეზოვკა IV, ბერეზოვკა III, ისპრავნაია...), ასევე მცირე ზომის ფილების გამოყენებითაც (ადაიდონი, ინდუსტრია I). არცთუ იშვიათად ქვაყუთის კონსტრუირებისას გამოყენებული იყო სხვა ტიპის მასალაც.

ყობანისა და ადაიდონის სამაროვნებზე მიკვლეულია ქვაყუთის ტიპის სამარხთა კიდევ ერთი განსხვავებული სახეობა, რომლებიც დაუმუშავებელი ფილაქვებითაა კონსტრუირებული, თუმცა მსგავსი ტიპის სამარხებზე მსჯელობა მხოლოდ იმ მწირი ინფორმაციის მიხედვით შეიძლება, რომელიც მოიპოვება სამეცნიერო ლიტერატურაში.

კავკასიის რეგიონისთვის უნიკალური სამარხი-კონსტრუქციაა გამოვლენილი სამაროვან სულთან-გორა I-ზე. აქ შესწავლილ იქნა კვადრატთან მიახლოებული ფორმის კონსტრუქცია (9,8 X 10,8 მ.), რომელიც ქვის ფილებითა და დიდი ზომის რიყის ქვებით იყო აგებული. მის შიგნით 4 სამარხი იყო მოწყობილი, რომელთა კონსტრუირებისას გამოყენებული იყო დიდი ქვიშაქვის ფილები. აქ შეიძლება პარალელების გავლება ტერეზესა და ზემო რუთხას სამარხ-აკლდამებთან, თუმცა სულთან-გორის კონსტრუქციის სამშენებლო მასალა მათგან არსებითად განსხვავდება და უნდა წარმოადგენდეს ნაგებობას, რომელშიც ერთი გვარის წარმომადგენელთა სამარხები იყო მოწყობილი.

VI. *ყორღანული სამარხები.*

ყობანური კულტურისათვის დამახასიათებელ კიდევ ერთ სამარხის ტიპს წარმოადგენენ ყორღანული სამარხები, რომლებიც თავს შედარებით მოგვიანო ეტაპზე იჩენენ.

თანამედროვე ყაბარდო-ბალყარეთისა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიებზე – ზაიუკოვოს, გიჟგიდისა და კამენომოსტის სამაროვნებზე, გამოვლენილია ყორღანული ყრილის ქვეშ მოქცეული ქვაყუთები. სამარხთა კონსტრუირების ზუსტი დეტალები ჩვენთვის უცნობია, თუმცა ვიცით, რომ ზაიუკოვოს სამაროვანზე ყორღანული ყრილები ძირითადად ქვებისაგან

შედგებოდნენ [Чеченов, 1960: 183]. რაც შეეხება გიჟგიდის სამაროვანს, აქ გამოვლენილ ყორღანული ყრილის ქვეშ მოქცეული ქვაყუთები მცირე ზომის ქვის ფილებით ყოფილან ნაგები. ი. ჩეჩენოვისა და ვ. ვინოგრადოვის მიერ ეს ძეგლი ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით იქნა დათარიღებული [Чеченов, 1960: 35-36]. ქვაყუთების ყორღანული ყრილის ქვეშ მოქცევის ტრადიცია შეიძლება სამარხ-კონსტრუქციათა მოწყობის ადგილობრივი და შედარებით გვიან შემოსული ტრადიციების შერწყმის მცდელობას უკავშირდებოდეს. მსგავსი ტიპის სამარხები სხვა ძეგლებზე დადასტურებული არაა და მას ყობანური კულტურის დასავლური ვარიანტის ერთი კონკრეტული რეგიონით განსაზღვრული ლოკალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

საინტერესოა ყარაჩაი-ჩერქეზეთის ზელენჩუკის რაიონის ტერიტორიაზე, კარაბაშევოს ძვ.წ. VI-V საუკუნეების მიჯნით დათარიღებულ სამაროვანზე მიკვლეული ერთი ყორღანული სამარხი. მისი ყრილის სიმაღლე 1 მეტრს აღწევდა, ხოლო დიამტერი 5-6 მეტრს შორის მერყეობდა. ყრილი ძირითადად ქვებისაგან შედგებოდა, სადაც დიდი ლოდებიც კი იყო შერეული. ლოდები ყრილის ქვეშ, მიწის ზედაპირზეც აღმოჩნდა. სამარხი კამერა მოწყობილი იყო ცენტრში და გვერდები ფილაქვებით ჰქონდა შემოწყობილი, ხოლო ძირი – რიყის ქვებით [Алексеева, 1982: 12].

ყორღანული სამარხები ასევე წარმოდგენილია თანამედროვე ოსეთის, ინგუშეთისა და ჩეჩნეთის ტერიტორიებზე. აღსანიშნავია შემდეგი სამაროვნები: მუჟიჩი, ნესტეროვსკაია, ანი-ირზო, ბოისი-ირზო, მოზდოკი და სხვ.

ანი-ირზოსა და ბოისი-ირზოს სამაროვნები, რომლებიც ქ. ურუს-მარტანის (ჩეჩნეთი) სიახლოვეს მდებარეობენ, მხოლოდ ყორღანული სამარხებით არიან ცნობილი. ანი-ირზოზე შესწავლილი 8 ყორღანული სამარხიდან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამაროვანზე სამარხებს არცთუ ისე დიდი ზომის ყრილით ფარავდნენ. მათი სიმაღლე 0,5 – 1 მეტრს შორის მერყეობდა, ხოლო ყველაზე დიდი ყორღანების (№2 და №4) დიამეტრი 7 მეტრს აღწევდა [Вертепов, 1902: 55-56]. ბოისი-ირზოზე გ. ვერტეპოვს თაღისებური ფორმის რამდენიმე ასეული ყორღანი დაუფიქსირებია. მის მიერ გათხრილი სამარხებიდან გამოსარჩევია №11 ყორღანი, რომლის ყორღანული ყრილი თიხნარისა და ქვაყრილის რამდენიმე ფენისაგან შედგებოდა. უშუალოდ სამარხის ორმოს თავზე კი თიხნარი ფენა მოუქცევიათ [Вертепов, 1903: 90]. სამწუხაროდ, ძეგლების ადრეულ პერიოდში გათხრის გამო საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჩვენთვის უცნობია, რაც

ყობანური კულტურის მოგვიანო ეტაპის სხვა ძეგლებზე დადასტურებულ ყორღანულ სამარხებთან პარალელების გავლების საშუალებას მოგვცემდა.

ანი-ირზოსა და ბოისი-ირზოს სამაროვნებისაგან განსხვავებული სიტუაციაა მუჟიჩისა და ნესტეროსვკაიას ძეგლებზე. მუჟიჩის სამაროვანზე ორი, ხოლო ნესტეროვსკაიაზე ერთი ყორღანი არის გამოვლენილი.

მუჟიჩის №84/148 ყორღანული სამარხი ნეკროპოლისის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში იყო მოქცეული (ტაბ. XXIX). ჰუმუსოვანი ფენის ქვეშ მას ძირზე კრომლეხი შემოუყვებოდა. ყორღანის დიამეტრი ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 10,5 მეტრს, ხოლო დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე კი 12 მეტრს აღწევდა. ყორღანის საშუალო სიმაღლე 1,15 მ იყო. ყრილი შედგებოდა მიწის, თიხის, კენჭნარისა და რიყის ქვებისაგან.

აღსანიშნავია, რომ კენჭნარი ყორღანის მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ყოფილა კონცენტრირებული და მისი კვალი სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში არ შეინიშნებოდა. ყორღანის ცენტრში 1,5 მეტრის სიღრმეზე გაჭრილი იყო სამარხის ორმო, რომელსაც ოთხკუთხედის მოყვანილობა ჰქონდა. დაზიანებული სამარხის ორმოს სიგრძე 3 მეტრს, ხოლო სიგანე 1,9 მეტრს შეადგენდა [Мунчаев, 1963: 193-195]. №84/148 სამარხის მსგავსად სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში იქნა მიკვლეული №88/152 ყორღანული სამარხი, რომელსაც ზემოდან ოთხიარუსიანი მასიური ქვაყრილი ფარავდა. ზედა ფენა მომრგვალო ფორმისა იყო და მისი დიამეტრი 6 მეტრს აღწევდა [Мунчаев, 1963: 196].

მუჟიჩის სამაროვანზე ყორღანული სამარხების განცალკევებით კონცენტრაცია შესაძლებელია მათში დაკრძალულ ინდივიდთა სოციუმის სხვა წევრებიდან გამოყოფის მცდელობას წარმოადგენდეს. სამარხთა დაზიანება არ გვაძვლევს მათი მოწყობის ტექნიკის დეტალურად განხილვის საშუალებას. არ უნდა გამოვრიცხოთ ის ფაქტი, რომ ყორღანული ტიპის სამარხების არსებობა და თან მათი სხვა სამარხებისაგან განცალკევებით კონცენტრაცია, განსხვავებული კულტურული კუთვნილებისა თუ სოციალური სტატუსის ინდივიდთა სამარხ-კონსტრუქციებად მოვისაზროთ.

მუჟიჩის სამაროვნისაგან რადიკალურად განსხვავდება ნესტეროვსკაიას სამაროვანზე მიკვლეული ყორღანული ყრილი. ის წარმოადგენდა ჰუმუსოვანი ფენის ქვეშ მოქცეულ რიყის ქვებისგან შედგენილ ფენას, რომლის სისქეც 0,5 – 0,7 მეტრს შორის მერყეობდა. ქვაყრილის შემდეგ მოდიოდა ღორღოვანი ფენა.

სწორედ ამ ყორღანული ტიპის ყრილში და მის ქვეშ 13 სამარხი იქნა გამოვლენილი: №№ 15, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 36, 37, 38, 39, 40. ყველა მათგანი დაზიანებული ყოფილა და მათი მოყვანილობისა და ზომების თაობაზე მსჯელობა შეუძლებელია.

საკმაოდ რთულია ამ ყორღანული ყრილის ატრიბუციის საკითხიც. არაა გამორიცხული ჩვენ საქმე საოჯახო განსასვენებელთან გვქონდეს, სადაც ერთი გვარის, ან ერთმანეთთან ნათესაობრივად დაკავშირებული ინდივიდები იმარხებოდნენ. თუმცა, დასაშვებია ისიც, რომ აქ დაკრძალულთა შორის ნათესაობრივი კავშირი საერთოდაც არ არსებობდა. უნდა გამოვრიცხოთ სოციალური ფაქტორი, რადგან სამარხეული ინვენტარი სხვა სამარხებთან მიმართებაში საკმაოდ ერთფეროვანია და ხშირია ყორღანულ ყრილში გამოვლენილ სამარხთა შორის უინვენტარო და "ღარიბული" სამარხები. მაგალითად, №38 სამარხში მიცვალებულს მხოლოდ თიხის ქოთანი ჰქონდა ჩატანებული [Крупнов, 1960: 413-414].

ამრიგად, ჩვენს მიერ მიმოხილული სამაროვნების მიხედვით, შეიძლება ვთქვათ, რომ ყორღანული ტიპის სამარხის არსებობა, თუნდაც მცირე რაოდენობით, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ისინი განსხვავებული დაკრძალვის წესის მქონე კულტურული წრიდან აღწევენ ამ არეალში და ერთ სამაროვანზე სხვა კულტურული, კონფესიური თუ სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა დაკრძალვა წინააღმდეგობას არ ქმნიდა.

VII. *კრომლეხით შემოსაზღვრული სამარხები.*

მუჟიჩის სამაროვანზე ასევე გვხვდება კრომლეხები, რომელიც ცალკე, დამოუკიდებელ ტიპში გავაერთიანეთ. მათ სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე ეკავათ. 4 შემთხვევაში (სამარხები №8, 30, 48, 50) კრომლეხები წრიული ფორმისანი იყვნენ და დიამეტრი საშუალოდ 5,5 მეტრი ჰქონდათ. კრომლეხები რიყის ქვის წყობით ყოფილან შედგენილი. №№10, 12, 23, 38 და №40 სამარხების შემთხვევაში, მათ ნახევარწრიული კრომლეხები ერტყათ გარს, რომლებიც რიყის

ქვათა მხოლოდ ერთი რიგის წყობით იყვნენ კონსტრუირებული. ორ შემთხვევაში ერთი კრომლეხის შიგნით ორი სამარხი იყო მოწყობილი (№56-57 და №65-66).

კრომლეხით შემოსაზღვრულ სამარხთა შორის აღნიშვნის ღირსია ზემოთ განხილული №84/148 ყორღანული სამარხი, რომელსაც ძირში ჰორიზონტალურად ჩადგმული დიდი ბრტყელი ქვებისაგან შედგენილი კრომლეხი შემოუყვებოდა. მსგავსი ფაქტი არათუ მუჟიჩის სამაროვანზე, არამედ მთელი ყობანური კულტურის სივრცეში უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს.

მუჟიჩის სამაროვნის №78/142 სამარხის კრომლეხი სხვებისაგან გამოირჩეოდა თავისი მასშტაბით. მისი დიამეტრი ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 8,1 მეტრს აღწევდა და შედგენილი იყო ერთ რიგად ჩაწყობილი ქვებისაგან. სამარხის ორმო მის ცენტრალურ ნაწილში 0,45 მ-ის სიღრმეზე ყოფილა ჩაჭრილი და მას ორიარუსიანი ქვაყრილი ფარავდა, რომელიც სიგრძეში 3 მეტრს, ხოლო სიგანეში 1,5 მეტრს შეადგენდა [Мунчаев, 1963: 190]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კრომლეხით შემოსაზღვრულ სამარხთა და მათ შორის №78/142 სამარხის თავზე მოწყობილი ქვაყრილები ზომებითა და მოყვანილობით არ განსხვავდებიან სხვა სამარხებისაგან.

კრომლეხით შემოფარგლული ერთი სამარხი გამოვლენილია ინგუშეთშივე, ნესტეროვსკაიას სამაროვანზე, რომელიც მუჟიჩიდან დაახლოებით 40 კმ-ის დაშორებითაა მიკვლეული და მის სინქრონულ ძეგლს წარმოადგენს [Мунчаев, 1963: 202]. №51 სამარხს ნახევარწრიული ფორმის მქონე კრომლეხი საზღვრავდა, რომელიც მიწის ზედაპირიდან 0,2-0,3 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა. ის მოწყობილი იყო საშუალო ზომის რიყის ქვებით, რომელიც ჰორიზონტალურად და ვერტიკალურადაც ქვების 3 რიგის წყობით იყო შედგენილი. მას დაზიანების აშკარა კვალი ეტყობოდა, რადგან ჩრდილოეთის მხარე მორღვეული ჰქონდა, ხოლო ქვები გაფანტული იყო. წრის დიამეტრი არ აღემატებოდა 4 მ-ს. აღნიშნული კონსტრუქციის შიგნით რიყის ქვებისაგან ოვალური ფორმის სხვა წრე იყო შედგენილი, რომელიც შედარებით მოგრძო ნაწილით აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე იყო მიმართული. რაც შეეხება უშუალოდ სამარხის ორმოს, მისი ზედაპირი ოვალური კონსტრუქციის ქვეშ, 0,8 მ-ის სიღრმეზე დაფიქსირდა და მასაც ოვალური ფორმა ჰქონდა. მისი სიგრძე 1,8 მ-ს, ხოლო სიგანე 0,6 მ-ს შეადგენდა [Крупнов, 1960: 415-416].

როგორც უკვე ითქვა, მუჟიჩის სამაროვანზე არის შემთხვევები, როდესაც ერთი კრომლეხის შიგნით ორი სამარხია მოწყობილი. ეს საკმაოდ საინტერესო შემთხვევაა და მას დეტალურად შევეხებით.

№56/120 და №57/121 სამარხების შემთხვევაში ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია მათი შემომსაზღვრელი კრომლეხის ზომის თაობაზე, რადგან მისგან მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი, კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთი მხარე ყოფილა შემორჩენილი [Мунчаев, 1963: 181]. თუმცა, შემორჩენილი ნაწილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კრომლეხი ქვების ერთი რიგის წყობით უნდა ყოფილიყო კონსტრუირებული. რაც შეეხება უშუალოდ სამარხებს, ორივე მათგანი ერთ დონეზე, მიწის ზედაპირიდან 0,6 მეტრის სიღრმეზე ყოფილა გაჭრილი და სამიარუსიანი ქვაყრილი ფარავდათ. მაგრამ არის მთელი რიგი სხვაობები. კერძოდ, №56/120 სამარხის თავზე მოწყობილი ქვაყრილი ოვალური ფორმისა იყო და სიგრძეში 1,8 მეტრს, ხოლო სიგანეში 1,6 მეტრს აღწევდა, ხოლო №57/121 სამარხის მართკუთხედის მოყვანილობის ყრილი სიგრძეში 2,1 მეტრი, სიგანეში 1,1 მეტრი და წაგრძელებული ნაწილით მიმართული იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე, განსხვავებით №56/120 სამარხისგან, რომელიც ორიენტირებული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ [Мунчаев, 1963: 181].

ზემოთ დაფიქსირებული, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო სხვაობები მიგვანიშნებს რამდენიმე საინტერესო დეტალზე. პირველ რიგში, თვალში საცემია, რომ მიუხედავად ტიპოლოგიური ერთგვაროვნებისა, მთელი რიგი ელემენტები (სამარხთა ზომები, მოყვანილობა, კონსტრუირების მეთოდი) საკმაოდ განსხვავდებიან არა მარტო ერთ სამაროვანზე, არამედ ერთი კრომლეხის შიგნით მოწყობილ სამარხებშიც. ამ სხვაობათა განმაპირობებელ ფაქტორთა შორის, ვფიქრობთ გამორიცხული უნდა ყოფილიყო დაკრძალულთა ეთნიკური, კონფესიური თუ სოციალური კუთვნილება, რადგან ერთი კრომლეხის შიგნით მოქცეულ სამარხებში ეჭვს არ იწვევს, რომ დამარხული უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან ნათესაობრივად დაკავშირებული ინდივიდები. ამ კუთხით საინტერესოა №65/129 და №66/130 სამარხები. ორივე მათგანი ოთხიარუსიანი ქვაყრილის ქვეშ ყოფილა მოქცეული და გარშემო წრიული ფორმის კრომლეხი შემოუყვებოდათ. №65/129 სამარხი კრომლეხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში იყო მოქცეული, ხოლო №66/130 სამარხი მის ცენტრში [Мунчаев, 1963: 188], რაც შესაძლოა ამ უკანასკნელის შედარებით ადრეული

პერიოდით მოწყობაზე მიუთითებდეს. სამარხთა შორის მოყვანილობის მიხედვით სხვაობა აქაც თვალში საცემია.

მუჟიჩის სამაროვანს თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ კრომლეხები ძირითადად ქვაყრილით დაფარულ ორმოსამარხებს საზღვრავენ. სამარხეული ინვენტარი კრომლეხიან და უკრომლეხო სამარხებში მათში დაკრძალულ ინდივიდთა სოციალურ დიფერენციაციაზე არ მიგვანიშნებს. ის, რომ №56/120-57/121 და №65./129-66/130 სამარხებთან მიმართებაში საქმე გვაქვს საოჯახო სამარხ-კონსტრუქციებთან, უდავოა, თუმცა კრომლეხთა დიდი ნაწილი ერთ სამარხს საზღვრავდნენ, მათ შორის ყორღანულსაც (№84/148).

ნესტეროვსკაიას სამაროვნის ერთადერთი კრომლეხიანი №51 სამარხის კავშირი მუჟიჩის კრომლეხიან სამარხებთან აშკარად შეიმჩნევა, თუმცა შედარებით უფრო მომცრო ზომისაა. მუჟიჩის კრომლეხებისა და ნესტეროვსკაიას ერთი კრომლეხიანი სამარხის მიხედვით რაიმე საკითხზე გადაწყვეტით მსჯელობა უმართებულო იქნებოდა. მიუხედავად ამისა, კრომლეხების ასეთი შეზღუდული გეოგრაფიული გავრცელება მიგვანიშნებს მათ ლოკალურ ხასიათზე და ამავდროულად ნესტეროვკაიასა და მუჟიჩის სამაროვნებზე დაკრძალულ ინდივიდთა ახლო კულტურული კავშირის შესაძლებლობაზე, რამაც ასახვა სამარხ-კონსტრუქციათა მოწყობის საქმეშიც ჰპოვა.

ყობანური კულტურის სამარხეული ძეგლების შესწავლამ გვიჩვენა, რომ არა მარტო ყობანური კულტურის ლოკალურ ვარიანტებს, არამედ თითქმის ყველა ძეგლს სამარხის მისთვის დამახასიათებელი დომინანტური კონსტრუქცია გააჩნია. ყობანური კულტურის ადრეულ საფეხურზე დამოწმებული სამარხი-აკლდამები (ტერეზე, ზემო რუთხა) თავისი ტიპით გამოირჩევა ყობანური კულტურის სხვა ძეგლებისაგან და ფართო გეოგრაფული გავრცელება არ ახასიათებთ.

რაც შეეხება სამარხ-კონსტრუქციათა სხვა ტიპებს, ლოკალურ ვარიანტებსა და თვით ერთი ლოკალური ჯგუფის შიგნით ძეგლებს შორის ამ კუთხით სხვაობა მრავალი ფაქტორით (მიკროკულტურული, სოციალური, კონფესიური და სხვ.) შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. არ უნდა გამოვრიცხოთ ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებიც, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ოროგრაფიული მარავალფეროვნებით

ხასიათდება და რომელთაც სამარხ-კონსტრუქციათა მოწყობის საქმეში ერთ-ერთი დომინანტური როლი უნდა ეთამაშა.

თავი IV

დაკრძალვის წესი და მისი ანალიზი კოლხურ და ყობანურ კულტურებში

§1. დაკრძალვის წესი კოლხურ კულტურაში

კოლხური კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა შესწავლისას თვალნათლივ გამოჩნდა სამარხთა მრავალფეროვნება, რომელიც ამ კულტურის დისპერსიის ტერიტორიას ახასიათებდა. დაკრძალვის რიტუალის განხილვისას აშკარად ჩანს, რომ კოლხური კულტურისათვის ეს ელემენტიც არაერთგვაროვნებით გამოირჩევა. დაკრძალვის რიტუალი, ზოგადად, მრავალ ასპექტს მოიცავს, რომელთა სრული სახით აღდგენა რიგ შემთხვევებში შეუძლებელია, თუმცა შევეცდებით გამოვყოთ ის ძირითადი ელემენტები, რომლებიც ნიშანდობლივია კოლხური კულტურისათვის.

კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ დაკრძალვის წესს ჩვენ განვიხილავთ სამარხ-კონსტრუქციებთან მიმართებაში და მასზე მსჯელობა სამარხთა ძირითადი ტიპების მიხედვით გვექნება.

I – *მარტივი კონფიგურაციის სამარხები:*

ა) *ოთხკუთხა ფორმის ორმოსამარხები.* როგორც აღინიშნა, ორმოსამარხთა ეს ქვეტიპი თლიასა და გუადიხუს სამაროვნებზეა გამოვლენილი.

თლიას სამაროვანზე შესწავლილ ოხთკუთხა მოყვანილობის 3 სამარხში მიცვალებულები სქესისდა განურჩევლად, მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში მოუთავსებიათ (№330 სამარხი დაზიანებული იყო და პოზის დადგენა ვერ მოხერხდა), №290 სამარხში თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ,

ხოლო №296 სამარხში, რომელიც ქალს ეკუთვნოდა, ჩრდილოეთისაკენ [Техов, 1980: 39]. როგორც ვხედავთ, მცირე განსხვავების მიუხედავად, ამ ქვეტიპის სამარხებში თითქმის ერთგვარი წესია გავრცელებული.

გუადიხუს სამაროვნის მსგავსი ტიპის უკლებლივ ყველა სამარხში ცეცხლის კვალი შეინიშნებოდა და ოსტეოლოგიური მასალა თითქმის მთლიანად იყო დაშლილი. სწორედ ამის გამო, უმეტეს შემთხვევებში მიცვალებულთა პოზის დადგენა ვერ ხერხდება.

გუადიხუზე დაკრძალვის წესზე მსჯელობა I ქვეტიპის მხოლოდ 6 სამარხის მეშვეობითაა შესაძლებელი (№№ 8(11), 9(12), 11(14), 24(71), 25(72), 29(77)). არქეოლოგიური მასალით, რომელიც აღნიშნულ სამარხებშია აღმოჩენილი, ძნელია მიცვალებულთა სქესის განსაზღვრა. თუმცა ამ ფაქტორს, როგორც ჩანს, დაკრძალვის წესში არ ჰქონია განსაკუთრებული როლი. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ ოთხკუთხედის მოყვანილობის ყველა სამარხში, სადაც ოსტეოლოგიური მასალა შედარებით უკეთესად იყო დაცული, უკლებლივ ყველა ჩონჩხი ზურგზე, გაშოტილ პოზაში მოთავსებული, თავით დასავლეთის მხარეს მიმართული დაფიქსირდა.

საინტერესოა გუადიხუს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხებში ინვენტარის, პირველ რიგში კი კერამიკული ნაწარმის გადანაწილების პრინციპი. №8 (11) სამარხში (ტაბ. XIII, 1), რომელიც მამაკაცის კუთვნილება უნდა ყოფილიყო, თიხის ქილა და რკინის ცული სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, თავის ქალის სიახლოვეს მოუთავსებიათ, ხოლო რკინის აკინაკი მარცხენა ხელის მიდამოებში. ფეხებთან კი რკინის ორი შუბისპირი იყო მოთავსებული [Трапш, 1969: 19].

თიხის ქოთანი თავის ქალის სიახლოვეს იყო ჩადგმული გუადიხუს №24(71) სამარხშიც, რომელშიც ინვენტარის მიხედვით, მდედრობითი სქესის წარმომადგენელი დაუმარხავთ (ტაბ. XIV, 1). №11(14) სამარხში (მამაკაცის) კი თიხის ქოთანი მიცვალებულის მარჯვენა ფეხთან მოუთავსებიათ, ხოლო შუბისპირი თავის ქალასთან (ტაბ. XIII, 2) [Трапш, 1969: 31-32]. ანალოგიური სიტუაციაა №29(77) სამარხშიც (ტაბ. XIV, 2), რომელშიც ასევე მამაკაცი უნდა ყოფილიყო დაკრძალული.

როგორც ვხედავთ, გუადიხუს სამაროვანზე ოთხკუთხედთან მიახლოებული მოყვანილობის ორმოსამარხები დაკრძალვის წესით ერფეროვანნი არიან, რასაც ვერ ვიტყვით სამარხებში ინვენტარის გადანაწილების წესზე. თიხის ჭურჭელს

ხან მიცვალებულის თავთან, ხან კი ფეხის მიდამოებში ათავსებდნენ. ამავე პრინციპით ხდებოდა საბრძოლო იარაღის გადანაწილებაც.

ის ფაქტი, რომ გუადიხუს სამაროვნის აღნიშნული ქვეტიპის ყველა სამარხში დიდი ოდენობით ნახშირი და ნაცარი დაფიქსირდა, მიგვითითებს მიცვალებულთა ნაწილობრივ და არა სრულ კრემაციაზე, რადგან ოსტეოლოგიური მასალა სამარხთა ნაწილში დაცული იყო. მიცვალებულებს, სავარაუდოდ, გაჭრილ ოთხკუთხედის ფორმის ორმოებში ზურგზე, გაშოტილ პოზაში ათავსებდნენ და მათი კრემირება მხოლოდ ამ პროცედურების შემდეგ, უშუალოდ სამარხში ხდებოდა. ცეცხლის ზემოქმედების კვალი არ ეტყობოდა ინვენტარის უდიდეს ნაწილს, რაც გვავარაუდებინებს, რომ მათი სამარხებში განთავსება გარდაცვლილ ინდივიდთა კრემირების შემდეგ ხდებოდა.

ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ მიცვალებულთა დაკრძალვის წესით გუადიხუსა და თლიას ოთხკუთხედის მოყვანილობის მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხები რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პირველ შემთხვევაში მიცვალებულებს ზურგზე, გაშოტილ პოზაში, თავით დასავლეთისაკენ ათავსებდნენ, ხოლო თლიაზე – მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ან ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებულებს.

გუადიხუს სამაროვანზე დადასტურებული კრემაციის ტრადიცია უცნობია თლიას სამაროვნისათვის, სადაც მიცვალებულთა ინჰუმაციის წესია გაბატონებული. თუმცა, სამარხთა მნიშვნელოვან ნაწილში აქაც გვხვდება ნახშირის ჩანართები. ეს, სავარაუდოდ, ცეცხლთან დაკავშირებულ გარკვეული სახის რიტუალს უნდა უკავშირდებოდეს, რომლის სრული სახით რეკონსტრუირება თითქმის შეუძლებელია.

ბ) *წრიული ფორმის ორმოსამარხები.* წითელი შუქურას სამაროვანზე მსგავსი ტიპის 19 ორმოსამარხიდან დაკრძალვის წესის ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან ოსტეოლოგიური მასალა ფრაგმენტირებულად ან საერთოდ არ იყო მოღწეული. სამარხთა გარკვეულ ნაწილში არ გვხვდება ნივთიერი მასალაც (№№53(76), 56-ა(85), 74(111)), ხოლო ნაწილში ის მხოლოდ კერამიკული ჭურჭლის სახით ყოფილა წარმოდგენილი (№№42-ა(61), 52-ა(75)).

აღსანიშნავია, რომ წითელი შუქურას არქეოლოგიური მასალის შემცველ სამარხებში, ინვენტარის მოთავსება ყოველთვის ცენტრალურ ნაწილში ხდებოდა.

მაგალითად, №42-ა(61) სამარხში, რომელშიც შემორჩენილი იყო ადამიანის თავის ქალისა და ხერხემლის ძვლის ნაშთები, კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები სწორედ სამარხის ცენტრალურ ნაწილში ყოფილა მოქცეული [Трапш, 1969: 116]. მსგავსი სიტუაცია დაფიქსირდა №52(74) სამარხშიც, რომლის ძირზეც მოუწყვიათ ზღვის წვრილი კენჭებისაგან შედგენილი საგები. ოსტეოლოგიური მასალიდან შემორჩენილი იყო მხოლოდ თავის ქალისა და ხელის ძვლის ფრაგმენტები [Трапш, 1969: 123-124].

სამარხის ზღვის წვრილი კენჭებით მოწყობა წითელი შუქურას წრიული მოყვანილობის ორმოსამარხთა დამახასიათებელი ელემენტია, რომელთა მოპოვება უშუალოდ ძეგლის სიახლოვეს უნდა მომხდარიყო, რადგან წითელი შუქურას სამაროვანი სწორედ შავი ზღვის სანაპირო ზოლში მდებარეობს.

წითელი შუქურას სამაროვნის წრიული ფორმის სამარხებში მ. თრაფში მეორადი დაკრძალვის რიტუალს ვარაუდობდა, რის საფუძველსაც მას ძვლოვანი მასალის ფრაგმენტულობა და სამარხთა ზომები აძლევდა. თუმცა, იმ მონაცემებით, რაც ჩვენ გაგვაჩნია, ამის როგორც მტკიცება, ასევე გადაჭრით უარყოფა შეუძლებელია.

შესაძლოა, წითელი შუქურას იდენტურ დაკრძალვის წესთან გვქონდეს საქმე ურეკის სამაროვანზე გამოვლენილ ინდივიდუალურ სამარხებშიც, რომელთაგანაც აშკარად მამაკაცის კუთვნილებაა 7 სამარხი, ქალის – 24, ბავშვის – 2. დანარჩენ სამარხებში თუ რომელი სქესის წარმომადგენელი იყო დაკრძალული, ამის შესახებ მსჯელობა ძნელია, რადგან ინვენტარი მხოლოდ კერამიკული ჭურჭლით, ან მათი ფრაგმენტებით ყოფილა წარმოდგენილი [მიქელაძე, 1985: 14].

შეიძლება დავუშვათ, რომ ურეკისა და წითელი შუქურას წრიული ფორმის ორმოსამარხებში კერამიკული მასალის დომინირება საერთო მოვლენაა. მიუხედავად იმისა, რომ ურეკის სამაროვანი, წითელი შუქურას მსგავსად ზღვისპირა ზოლში მდებარეობს, მისთვის უცნობია სამარხის ძირის კენჭებით მოწყობის ტრადიცია.

დაკრძალვის მეორადი წესი გვხვდება გაგრის სამაროვნის წრიული მოყვანილობის ორმოსამარხებშიც (19 სამარხი), თუმცა შეინიშნება მთელი რიგი სხვაობები. პირველ რიგში, გამოსარჩევია ის ფაქტი, რომ II ქვეტიპის უკლებლივ ყველა სამარხში ოსტეოლოგიური მასალა არეულ მდგომარეობაში დაფიქსირდა. სამარხთა ნაწილში მიცვალებულის თავის ქალა სხვა ძვლებისაგან

განცალკევებით იყო მოქცეული და თიხის ჭურჭელი ფარავდა. მაგალითად, №9 სამარხში თიხის მცირე ზომის ჭურჭლით გადაფარული თავის ქალა სამარხის დასავლეთ კუთხეში ყოფილა მოქცეული [Бжания, 1991: 11]. №17a სამარხში ჭურჭლის პირის დიამეტრი, რომლის ქვეშაც თავის ქალა იყო მოთავსებული, 19 სმ-ს შეადგენდა [Бжания, 1991: 13]. განსაკუთრებით აღსანიშნია №20 სამარხი. მისი ძირი მოფენილი იყო წვრილი ბრტყელი კენჭებით. სამარხში ორი თავის ქალა და მათ შორის არეულ მდგომარეობაში მყოფი ძლიერ ფრაგმენტირებული ძვლები აღმოჩნდა [Бжания, 1991: 13]. გაგრის სამაროვნის წრიული ფორმის სამარხებიდან ინვენტარი მხოლოდ 2 მათგანში, №7 და №53 სამარხებში დაფიქსირდა, ხოლო 17 უინვენტარო სამარხს წარმოადგენდა.

გაგრის სამაროვნის №20 სამარხში დადასტურებული სამარხის ძირის კენჭებით მოწყობის ტრადიცია და მეორადი დაკრძალვის წესი, წითელი შუქურას ამავე ქვეტიპის სამარხებში პოულობს ანალოგიებს, თუმცა განსხვავდება მთელი რიგი ელემენტებით, კერძოდ, კერამიკული ჭურჭლით მიცვალებულის თავის ქალის დაფარვის ჩვეულებით, რომელიც კოლხური კულტურის არეალის სხვა ძეგლებზე არ არის დადსტურებული.

ჯანტუხის სამაროვანზე, სადაც კოლექტიური სამარხი-ორმოს მიკვლეულ სამარხში მხოლოდ ადამიანის კბილები და ფრინველის ძვლები იყო შემორჩენილი [Шамба, 1990: 8], საკმაოდ რთულია დაკრძალვის წესის თაობაზე მსჯელობა. მაგრამ არ უნდა გამოვრიცხოთ წითელი შუქურასა და ურეკის სამაროვნებზე დადასტურებული დაკრძალვის მსგავსი ტრადიციის არსებობა, რადგან ძეგლზე მიკვლეული ოსტეოლოგიური მასალის შემორჩენილ ნაწილს კრემირების კვალი არ ეტყობოდა.

გაგრის, წითელი შუქურას, ურეკის, ჯანტუხის წრიული მოყვანილობის ორმოსამარხებისაგან განსხვავებული დაკრძალვის წესია გავრცელებული გუადიხუს სამაროვანზე.

გუადიხუს 15 სამარხიდან (№№3(6), 4(7), 5(8), 6(9), 14(56), 15(57), 16(58), 17(59), 18(60), 20(65), 21(68), 22(69), 23(70), 27(75), 28(76)) მიცვალებულთა ინჰუმაციის წესი არცერთ მათგანში არ დაფიქსირებულა. აქ სრული კრემაციის წესი იყო გაბატონებული. მაგალითად, №21(68) სამარხში (ტაბ. XIII, 3) ნახშირის ჩანართებთან და ნაცარში არეული ორი ათეული ძვლის დამწვარი ფრაგმენტი აღმოჩნდა. ოსტეოლოგიურ მასალაზე ზემოდან მოთავსებული იყო: თიხის

სასმისი, ბრინჯაოს კონუსური ფორმის ზარაკი და 15 პასტის მძივი [Трапш, 1969: 37].

ანალოგიური სიტუაციაა №23(70) სამარხშიც (ტაბ. XIII, 4). აქ, ძვლოვან მასალაზე, რომლის ფრაგმენტებიც ნახშირსა და ნაცარში იყო არეული, ზემოდან მოთავსებული იყო: ბრინჯაოს ხატისუღელი, 2 ბალთა, ზარაკი, ბეჭედი, სამაჯურის ფრაგმენტი, რკინის 3 შუბისპირი და დანა [Трапш, 1969: 38-39]. №21(68) სამარხი ინვენტარის მიხედვით ქალის, ხოლო №23(70) სამარხი საბრძოლო იარაღის დიდი ოდენობით შემცველობის გამო, მამაკაცის კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს. ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ გუადიხუს სამაროვნის აღნიშნული ქვეტიპის სამარხებში მიცვალებულების დაკრძალვა სქესის მიხედვით არ უნდა ყოფილიყო შეზღუდული და იმარხებოდნენ როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესის წარმომადგენლები.

საინტერესოა გუადიხუს სამაროვანზე მიცვალებულთა დაკრძალვის წესი. №18(60) სამარხში, რომლის დიამეტრიც 0,6 მეტრს შეადგენდა, ცეცხლის ზემოქმედების ქვეშ ნამყოფი ძლიერ ფრაგმენტირებული ძვლები, ნაცარსა და ნახშირთან ერთად, ერთ გროვად იყო კონცენტრირებული. მათზე ზემოდან მოუთავსებიათ ბრინჯაოს 3 სამაჯური, ფიბულა და თიხის ქოთანი, რომლისგანაც მხოლოდ პირის ნაწილი იყო შემორჩენილი [Трапш, 1969: 35]. აღნიშნული სამარხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მიცვალებულთა კრემირება უშუალოდ სამარხის ორმოში არ ხდებოდა, რადგან წინააღმედ შემთხვევაში, ისინი არეულ მდგომარეობაში არ იქნებოდნენ.

როგორც ჩანს, ძვლოვანი მასალის ნაწილი, რომელიც კრემაციის პროცესის შემდეგ რჩებოდა, თავსდებოდა წრიული ფორმის ორმოში და მხოლოდ ამ პროცესის დასრულებისას, ზემოდან ეწყობოდა სამარხეული ინვენტარი, კერძოდ, კერამიკული ნაწარმი, საბრძოლო-სამეურნეო იარაღი (მამაკაცებს) თუ სამკაულთან დაკავშირებული ნივთები.

ჩვენს მიერ განხილული გაგრის, წითელი შუქურას, გუადიხუს, ურეკისა და ჯანტუხის წრიული მოყვანილობის ორმოსამარხები საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ ყოველი სამაროვნის შიგნით, II ქვეტიპის სამარხებს დაკრძალვის ერთგვაროვანი წესი ახასიათებთ. მიუხედავად გარეგნული, სამარხ-კონსტრუქციების მხრივ მსგავსებისა, სხვადასხვა მახასიათებელთა მიხედვით, ამ ქვეტიპის სამარხთა შემცველი სამაროვნები

აშკარად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. განსაკუთრებით კი გუადიხუ, რომლისთვისაც დამახასიათებელი კრემაციის წესი სხვა ძეგლთათვის უცნობია. ამ სხვაობათა განმაპირობებელ ფაქტორთა შორის უნდა გამოვრიცხოთ გეოგრაფიული და კულტურული მომენტი, რადგან გუადიხუსა და წითელი შუქურას სამაროვნები აფხაზეთში, კერძოდ კი ქ. სოხუმის მიდამოებში მდებარეობენ და ასეთი მცირე მანძილით დაშორებული სამაროვნები შეუძლებელია სხვადასხვა კულტურის მატარებელ ინდივიდთა კუთვნილებად მივიჩნიოთ.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სხვაობა დაკრძალვის წესში რწმენა-წარმოდგენათა არაუნიფიცირებით იყო განპირობებული, რადგან დაკრძალვის ტრადიცია პირდაპირ კონფესიურ მსოფლმხედველობასთან არის დაკავშირებული, იშვიათად კი სოციალურთანაც, თუმცა ჩვენ ამ ტიპის სამარხებში სოციალურ ფაქტორს ვერ ვხედავთ, რადგან მოპოვებული არქეოლოგიური მასალა თითქმის ერთგვაროვანია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხუთივე სამაროვანზე (გაგრა, წითელი შუქურა, გუადიხუ, ჯანტუხი, ურეკი) მხოლოდ წრიული ფორმის მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხებს როდი ვხვდებით. ეს კიდევ ერთხელ გამორიცხავს მიკროკულტურული და მითუმეტეს ეთნიკური კუთხით სხვაობას, თუმცა ამ უკანასკნელზე მსჯელობა საკმაოდ პრობლემატურია, განსაკუთრებით კი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში.

გ) მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხთა III ქვეტიპის - *ოვალური ფორმის ორმოსამარხთა* გავრცელების ტერიტორია მოიცავს წითელი შუქურას, გაგრისა და თლიას სამაროვნებს. თლიას შემთხვევაში ამ ქვეტიპის მხოლოდ ერთი სამარხია ცნობილი (№266). ის მამაკაცის კუთვნილებას წარმოადგენდა, რომელიც მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ მიმართული დაუმარხავთ. სამარხი შეიცავდა ნახშირის ჩანართებს, თუმცა კრემაციის წესი არაა დადასტურებული. მიცვალებული ხის მასალისაგან სპეციალურად მოწყობილ სარეცელზე ყოფილა მოთავსებული [Техов, 1980: 45], რომლის კვალი თლიას სამაროვნის სამარხთა დიდ ნაწილში შეინიშნება. ამ კუთხით, საინტერესოა ბრილის სამაროვანი, სადაც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხთა ნაწილში მათი ძირი არყის ქერქით უნდა ყოფილიყო მოფენილი [საქართველოს არქეოლოგია, 1959: 197].

ბრილისა და თლიას სამაროვნებზე აღნიშნული წესი მხოლოდ ორმოსამარხებზე არ ვრცელდება და ის სხვადასხვა ტიპის სამარხებშიცაა დამოწმებული, რაც კოლხური კულტურის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში სამარხთა მოწყობისა და მიცვალებულთა დაკრძალვის პროცესში საერთო მახასიათებლებზე მიგვანიშნებს.

გაგრის სამაროვანზე გამოვლენილი ოვალური მოყვანილობის 8 ორმოსამარხი დაკრძალვის წესის მხრივ რადიკალურად განსხვავდებიან თლიას სამაროვნისაგან. მიცვალებულები ძირითადად ზურგზე, გაშოტილ პოზაში მწოლიარენი განისვენებდნენ. გამოსარჩევია №5 (1980 წ.) (ტაბ. X, 2) სამარხში დადასტურებული დაკრძალვის წესი. აქ ოსტეოლოგიური მასალა არეულ მდგომარეობაში იყო, ძვლებისაგან განცალკევებით მოთავსებული იყო თავის ქალა, რომელიც სახით აღმოსავლეთისაკენ ყოფილა ორიენტირებული. მის ჩრდილოეთით თიხის ჭურჭელი პირქვე იყო ჩადგმული, რომელიც მცირე ზომის მეორე თავის ქალას ფარავდა. სამარხეულ ინვენტარს მხოლოდ ბრინჯაოს ისრისპირი შეადგენდა [Бжания, 1991: 10].

ზემოთ განხილული სამარხის შემთხვევაში, წრიული მოყვანილობის ორმოსამარხთა ნაწილის მსგავსად, სავარაუდოდ, შესაძლოა, საქმე ერთდროულად მეორადი და წყვილადი დაკრძალვის წესთან გვქონდეს, რომლის სრული სახით რეკონსტრუირება ფაქტიურად ვერ ხერხდება. შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ სამარხში მიცვალებულთა ხორცგაცლილი ძვლები მოათავსეს და ერთი მიცვალებულის თავის ქალა მცირე ზომის კერამიკული ჭურჭლით დაფარეს. დაკრძალვის მეორადი წესი გაგრის სამაროვანზე, შეიძლება ითქვას, რომ დომინანტურია, რადგან ძეგლზე გამოვლენილი 78 სამარხიდან 59 სამარხშია დადასტურებული, რომელთა თაობაზეც დაწვრილებით VIII ტიპის სამარხ-კონსტრუქციებზე, ოსუარიუმებზე გავრცელებული დაკრძალვის ტრადიციაზე განხილვისას შევეხებით. მიცვალებულის ძვლები არეული იყო III ქვეტიპის №25 სამარხშიც, რაც შესაძლოა ასევე მეორადი დაკრძალვის წესს უკავშირდებოდეს [Бжания, 1991: 14].

რაც შეეხება გაგრის სამაროვნის ოვალური მოყვანილობის სხვა ორმოსამარხებს, აქ, როგორც უკვე ითქვა, დაკრძალვის ერთგვაროვანი წესია გავრცელებული. საინტერესოა დაკრძალულ ინდივიდთა თავით რომელიმე მხარეს ორიენტირების ტრადიცია. 1980 და 1984 წლებში გათხრილ №50, №55 და №57 სამარხებში მიცვალებულები თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, №4

სამარხში ჩრდილო-დასავლეთისაკენ, ხოლო №17 სამარხში სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ყოფილან მოქცეული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაგრის სამაროვნის ოვალური მოყვანილობის ორმოსამარხები ინვენტარული მასალის სიმწირით გამოირჩევიან, უმეტეს შემთხვევაში კი (№№ 4, 25, 32, 50, 55, 57 სამარხები) საერთოდ არ ვხვდებით ნივთიერ მასალას.

წითელი შუქურას სამაროვანზე ოვალური ფორმის ორმოსამარხების ძირი კენჭოვანი ფენით ყოფილა დაფარული, და, ამ მხრივ წრიული მოყვანილობის ორმოსამარხთა წესს იმეორებს. ხშირ შემთხვევებში მიცვალებულის ძვლები სამარხში მთლიანად იყო დაშლილი, რაც დაკრძალვის ტრადიციის აღდგენის საშუალებას არ იძლევა. საკმაოდ რთულია მამაკაცთა და ქალის სამარხთა გამოყოფა. მიცვალებულებს ხელ-ფეხმოკეცილებს, უპირატესად მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებულებს ათავსებდნენ.

წითელი შუქურას სამაროვანზე გამოვლენილი სამარხეული ინვენტარი ძირითადად კერამიკული მასალისაგან შედგებოდა, თუმცა ვხვდებით საბრძოლო იარაღს, სამკაულთან დაკავშირებულ ნივთებს და სხვ. მაგალითად, №1 სამარხში, რომელშიც ქალი უნდა ყოფილიყო დაკრძალული, მიცვალებულს თან ჩატანებული ჰქონდა: 2 მძივი (სარდიონის და პასტის), ქილის ფორმის ქოთანი (მოთავსებული იყო თავის ქალის წინ), ფრაგმენტირებული რკინის ფიბულა, ბრინჯაოს ჯიხვის მინიატურული ქანდაკება და საკინძის თავი (ტაბ. XII, 1) [Трапш, 1969: 83]. №2 სამარხში კი, სადაც მამაკაცი თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული დაუკრძალავთ, თავის ქალის წინ მოთავსებული ყოფილა ორი შუბისპირი (ტაბ. XII, 2).

წრიული ფორმის ორმოსამარხთა მსგავსად, ჩვენს მიერ განხილული III ქვეტიპის სამარხები ერთი სამაროვნის შიგნით დაკრძალვის წესის შედარებითი ერთგვაროვნებით ხასიათდებიან. სხვადასხვა ძეგლები კი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებიან. დაკრძალვის წესის მხრივ საერთო ელემენტები შეიმჩნევა თლიასა და წითელი შუქურას სამარხთა ნაწილში, კერძოდ, ეს მიცვალებულთა ხელფეხმოკეცილ, მარჯვენა გვერდზე, სპეციალურად მოწყობილ საგებზე მოთავსებას ეხება. წითელი შუქურას შემთხვევაში ეს საგები კენჭებით, ხოლო თლიაზე ხის მასალით ყოფილა მოწყობილი, მსგავსად ბრილის

სამაროვნისა, სადაც, როგორც უკვე აღინიშნა, სამარხის ძირების მოსაწყობად არყის ქერქი გამოუყენებიათ.

ორმოსამარხთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა ტიპის შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია, ხშირ შემთხვევაში დაზიანებული, ან შემთხვევით აღმოჩენილი ყოფილა, რის გამოც დაკრძალვის წესზე მსჯელობა ხშირ შემთხვევებში შეუძლებელია.

ბრილის სამაროვანზე, ინჰუმაციურ ორმოსამარხებში ძირითადად მდედრობითი სქესის წარმომადგენლები იყვნენ დაკრძალული. დაფიქსირებულია მიცვალებულთა წყვილადი დაკრძალვის წესი, როდესაც ერთ სამარხში ქალი და მამაკაცი ერთად იყვნენ დამარხული. მიცვალებულები ძირითადად ხელფეხმოკეცვით ყოფილან მოთავსებული [საქართველოს არქეოლოგია, 1959: 196-197].

ბრილის სამაროვნისაგან განსხვავებით, აფხაზეთში, ყულანურხვაზე შესწავლილ ორმოსამარხებში მიცვალებულებს ზურგზე, გაშოტილ პოზაში ათავსებდნენ.

მოპოვებული არქეოლოგიური მასალისა და დაკრძალვის წესის მხრივ საინტერესოა ყულანურხვას №1 სამარხი (ტაბ. XI, 1), რომელიც მამაკაცის კუთვნილებას წარმოადგენდა. მიცვალებული მოუთავსებიათ ზურგზე, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ზღვის მხარეს ორიენტირებული. თავი ოდნავ აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა გადახრილი, ხოლო ხელები სხეულის გასწვრივ გაშვერილი. სამარხეული ინვენტარი დიდი რაოდენობით შეიცავდა ბრინჯაოს სამკაულსა და პასტის მძივებს, ბრინჯაოს 5 კოლხურ ცულს, რომელთაგან ერთ-ერთის ყუას ძაღლის ფიგურა ამკობდა [Трапш, 1962: 14-17]. სამარხის ძირი დაფარული იყო ფხვნილის მსგავსი კირით, რაც შესაძლოა დაკრძალვის რიტუალს უკავშირდება, კერძოდ, წითელი შუქურას სამარხთა ძირის კენჭებით მოწყობის მსგავს ტრადიციას. №1 სამარხის მსგავსად თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ იყო მოქცეული №12 სამარხში ზურგზე, გაშოტილ პოზაში დაკრძალული ინდივიდი [Трапш, 1962: 27].

ყულანურხვას ინჰუმაციურ სამარხებში დადასტურებული დაკრძალვის ტრადიციის მსგავსი წესი სოხუმის მთის ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებულ ერთადერთ ორმოსამარხშიც გვხვდება. აქ, მიცვალებულის ძვლები საკმაოდ ცუდად ყოფილა დაცული. მ. თრაფშის ცნობით, რომელიც ამ

სამარხს თხრიდა, მიცვალებულს თავით აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული, გაშოტილი, ზურგზე მწოლიარე პოზა ჰქონია. სამარხეული ინვენტარი შედგებოდა 3 კოლხური ცულის, ცალყურა დოქის, კოჭობისა და ბრინჯაოს სამაჯურისაგან [კალანდაძე, 1953: 25]. მიცვალებულის თანმხლები ინვენტარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა, აღნიშნულ სამარხში მამრობითი სქესის წარმომადგენელი ყოფილიყო დაკრძალული.

ყულანურხვას სამაროვანზე გამოსარჩევია №4 და №10 სამარხები. №10 სამარხში მამაკაცის ჩონჩხთან ერთად, ცხენის ძვლებიც დაფიქსირდა [Трапш, 1962: 27], ხოლო №4 სამარხში მხოლოდ ცხენი ყოფილა დამარხული [Трапш, 1962: 21-23]. ცხენის თავის ქალის ადამიანთან ერთად დამარხვის ფაქტი გვხვდება თლიას სამაროვნის №68 სამარხში [Техов, 1985: 11], როდესაც ცხენის თავის ქალა მიცვალებულის სხეულზე ზემოდან მოუთავსებიათ. მხოლოდ ცხენის თავის ქალა დაფიქსირებულია თლიას №215a [Техов, 1980: 36] და წითელი შუქურას №8 სამარხში [Трапш, 1969: 90].

კავკასიის რეგიონში დადასტურებული მიცვალებულის ცხენთან ერთად დაკრძალვის ფაქტი, სავარაუდოდ, სკვითურ ზეგავლენას უნდა უკავშირდებოდეს, თუმცა დამოწმებულია ისეთ ძეგლებზეც, რომლებიც შედარებით უფრო ადრეული პერიოდისაა. მაგალითად, ტერეზეს სამაროვნის №3 სამარხი-აკლდამა, სადაც სამარხი-აკლდამის შესასვლელთან მოწყობილ კამერაში ცხენის ჩონჩხი იქნა დაფიქსირებული. აღნიშნული სამარხი ვ. კოზენკოვას მიერ ძვ.წ. VIII ს-ის II ნახევრითაა დათარიღებული [Козенкова, 2004: 137].

კოლხური კულტურის არეალში კი ტერეზეს სინქრონულ ძეგლებზე მსგავსი ფაქტი არაა დაფიქსირებული და შეიძლება ითქვას, რომ გარდაცვლილი ინდივიდის ცხენთან ერთად დაკრძალვის ჩვეულება ამ კულტურისათვის ფართოდ გავრცელებულ მოვლენას არ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ხშირია ცხენის აღკაზმულობასთან დაკავშირებული ნივთების მიცვალებულთათვის ჩატანების შემთხვევები, განსაკუთრებით კი კოლხური კულტურის შედარებით მოგვიანო ეტაპის ძეგლებზე.

ორმოსამარხებში, რომლებიც კოლხური კულტურის სამარხეულ ძეგლებს შორის ყველაზე გავრცელებულ ტიპს წარმოადგენდნენ (სამარხთა საერთო რაოდენობის 20,4 %), როგორც დავინახეთ, დაკრძალვის ორი ძირითადი წესია

გავრცელებული: **ინჰუმაციური** და **კრემაციული** (სრული ან ნაწილობრივი კრემაციით).

ზოგიერთ შემთხვევაში ერთმანეთთან ტერიტორიულად ახლო მდებარე და თვით ცალკე აღებულ ერთ ძეგლზეც კი ინჰუმაციისა და კრემაციის წესი თანაარსებობს (ბრილი), რაც ნაწილობრივ გამორიცხავს მიკროკულტურულ თუ სოციალურ სხვაობას და ჩვენი აზრით რწმენა-წარმოდგენათა უნიფიცირებული სისტემის არარსებობით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რაც სხვა ტიპის სამარხებში დადასტურებული დაკრძალვის წესის შემთხვევაშიცაა შესამჩნევი.

II – *ქვაყრილით დაფარული მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხები.*

II ტიპის სამარხთა შემცველი ძეგლები (ხუცუბანი, ერგეტა I, თლია) დაკრძალვის წესით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ხუცუბნის სამაროვანზე, სადაც ქვაყრილით დაფარული 10 ორმოსამარხი იქნა გამოვლენილი, მიცვალებულთა ძვლები არცერთ მათგანში არ დაფიქსირებულა და დიდი ოდენობით მიკველული ნახშირის ნაშთი კრემაციის წესის გავრცელებაზე მიუთითებს.

სამარხთა ფორმითა და ინვენტარის განლაგებით თუ ვიმსჯელებთ, ხუცუბნის სამაროვანზე მიცვალებულები თანმხლებ ნივთებთან ერთად ზურგზე, გაშოტილ პოზაში უნდა მოეთავსებინათ და მხოლოდ ამის შემდეგ, სამარხშივე მოეხდინათ მათი კრემირება. ჩატანებული ინვენტარის მიხედვით, შესაძლებელია მამაკაცებისა და ქალთა სამარხების დიფერენცირება. მამაკაცთა სამარხებში დიდი რაოდენობით იყო წარმოდგენილი საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, ხოლო ქალთა სამარხებში სამკაული, კერძოდ კი მძივები. მაგალითად, №5 სამარხის შემთხვევაში მდედრობითი სქესის წარმოადგენელს თან ბრინჯაოს რგოლები, სამაჯური, 40-მდე სარდიონის მძივი და კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები ჰქონია ჩაყოლებული [იოსელიანი, 1973: 111-112].

ხუცუბნისაგან განსხვავებით ინჰუმაციურია სამაროვან ერგეტა I-ზე გამოვლენილი ერთადერთი ინდივიდუალური სამარხი. მიცვალებული, რომელიც მამაკაცი უნდა ყოფილიყო, მოუთავსებიათ მოხრილ მდგომარეობაში, თავით

სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული. ინვენტარი შედგებოდა კერამიკული ჭურჭლისაგან, ცუდად დაცული ბრინჯაოს შუბისპირისა და მძივებისაგან [Микеладзе… 1981: 46].

ერგეტა I-ის №1 სამარხის მსგავსად, თლიას სამაროვანზე მიკვლეული ქვაყრილით დაფარული მარტივი კონფიგურაციის მქონე 5 სამარხიდან (№№ 32, 55, 75, 215a, 305), ყველა მათგანში ინჰუმაციის წესი დაფიქსირდა. №32 სამარხში მამაკაცი ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ მიმართული განისვენებდა, ხოლო №55 სამარხში კი, მიცვალებული იდენტურ პოზაში, ოღონდ თავით აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული დაუკრძალავთ [Техов, 1980: 20]. №75 სამარხი ქალის საკუთრება იყო და იგი მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული დაუმარხავთ. რაც შეეხება №305 სამარხს, მიცვალებული აქ თავით დასავლეთისაკენ მოქცეული ყოფილა.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ტიპის სამარხები დაკრძალვის წესის მხრივ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, რაც, პირველ რიგში, მიცვალებულთა თავით რომელიმე მხარეს დახრის ტრადიციაშია თვალშისაცემი. ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხებიდან გამოსარჩევია №215a სამარხი, რომელიც №214 სამარხის ქვეშ იყო მოქცეული. ყრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ცხენის თავის ქალა, ხოლო მისგან აღმოსავლეთით – ცხვრის ძვლები. ბ. ტეხოვის მიხედვით, ცხოველის ოსტეოლოგიურ მასალას კავშირი არ ჰქონდა სამარხთან, რომელშიც ორი ერთმანეთზე დამარხული ადამიანის ჩონჩხი გამოვლინდა [Техов, 1980: 36].

№215a სამარხში ცხვრის ძვლების აღმოჩენა აღაპის რიტუალთან უნდა იყოს დაკავშირებული, ხოლო ცხენის თავის ქალის მიკვლევის ფაქტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმეორებს წითელი შუქურასა და ყულანურხვას სამაროვნებზე დადასტურებულ ჩვეულებას. მაგრამ ამ შემთხვევაში ცხენის ოსტეოლოგიური მასალა უშუალოდ სამარხში კი არა, არამედ მის თავზე მოწყობილ ყრილში მოუთავსებიათ.

ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხების შემცველ სამაროვნებს თვალს თუ გადავავლებთ, დავინახავთ, რომ ტერიტორიულად ძალზედ დაშორებული ერგეტა I და თლია, უფრო მეტ კავშირს ამჟღავნებენ ერთმანეთთან, ვიდრე ახლო მყოფი ხუცუბანი და ერგეტა I. ხუცუბანში დაფიქსირებული მიცვალებულთა კრემაციის ტრადიცია უცნობია თლიასა და ერგეტა I-ის ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხებისათვის. დაკრძალვის წესის მხრივ ის

ყველაზე ახლო კავშირს აფხაზეთში, გუადიხუს სამაროვნის ოთხკუთხედთან მიახლოებული მოყვანილობის მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხებთან ამჟღავნებს, თუმცა არქეოლოგიური მასალის მიხედვით, შედარებით უფრო ადრეული პერიოდის ძეგლს უნდა წარმოადგენდეს.

III – *ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხები.*

ქვებით შემოწყობილ ორმოსამარხებში გავრცელებული დაკრძალვის წესის თაობაზე მსჯელობა თლიას, გაგრისა და ააგსტის სამაროვანთა მეშვეობითაა შესაძლებელი.

თლიას სამაროვანზე შესწავლილი III ტიპის 43 სამარხი დაკრძალვის წესის მხრივ ძირითადად იმეორებს წინა ტიპის სამარხებისათვის დამახასიათებელ ტრადიციას. თუმცა, არის სხვაობაც. მაგალითად, №14 სამარხში, რომელიც შედარებით ადრეული პერიოდითაა დათარიღებული, 4 მიცვალებულის ჩონჩხი დაფიქსირდა.

აღნიშნული სამარხი, სავარაუდოდ საოჯახო, კოლექტიურ სამარხს წარმოადგენდა, თუმცა ოჯახის ყველა წევრი როდი იკრძალებოდა ერთი და იმავე წესის მიხედვით. მიცვალებულთა თავით ამა თუ იმ მხარეს ორიენტირების ერთი წესი, როგორც ჩანს, თლიას სამაროვანზე მკაცრად განსაზღვრული არ უნდა ყოფილიყო.

კოლექტიურ სამარხს წარმოადგენდა №40b სამარხიც [Техов, 1981: 31], მაგრამ აქ მიცვალებულთა ძვლები არეული, ერთ გროვად კონცენტრირებული იყო და დაკრძალვის წესზე საუბარი ძნელია. წყვილადიყოფილა №322 და №99 სამარხები. ამ უკანასკნელში მამრობითი და მდედრობითი სქესის წარმომადგენლები ერთად, მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილნი, თავით დასავლეთისაკენ დაუმარხავთ. №267 სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში თხის ჩონჩხი გამოვლინდა [Техов, 1981: 48], რაც სავარაუდოდ მიცვალებულის სახელზე გაკეთებულ მსხვერპლშეწირვას უნდა უკავშირდებოდეს, რაც თლიას სამაროვანზე არცთუ ისე იშვიათად გვხვდება.

თლიას ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხებიდან სამარხეული ინვენტარით აშკარად გამოირჩევა №85 სამარხი (ტაბ. IV, 2). მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული, ხის მასალისაგან მოწყობილ სარეცელზე დაუკრძალავთ. თავის ქალის ქვეშ აღმოჩნდა ბრინჯაოს ბეჭედი. თავის ქალის პირდაპირ მოთავსებული იყო ბრინჯაოს ცული, რომლის პირთანაც ჩადგმული იყო ძლიერ ფრაგმენტირებული სიტულა. აღნიშნულ სიტულაში დაფიქსირდა ქერის ნაშთი. მიცვალებულს კისერზე ხატისუღელი ჰქონია გაკეთებული. კისრის არეშივე გაიწმინდა სარდიონის 24 მძივი. წელზე ბრინჯაოს სარტყელი ჰქონდა შემოვლებული, რომლის შესაკრავი აბზინდა მარჯვენა მუხლს ზემოთ იყო მოთავსებული. მარცხენა ხელის სხივის ძვალსა და მენჯს შორის რკინის აკინაკი და რკინისავე პატარა დანა დაფიქსირდა, ხოლო მარცხენა ფეხის ბარძაყის ძვალთან – 3 რომბისებური ბალთა და სალესი ქვის ნატეხი. მარცხენა ბეჭის ძვალზე დადებული იყო ფიბულა. სამარხს მთელ სიგრძეზე კვეთდა მიცვალებულზე ზემოდან მოთავსებული ბრინჯაოს ფირფიტებით შემოკრული კვერთხი [Техов, 1981: 33-34].

აშკარაა, რომ №85 სამარხის შემთხვევაში საქმე საზოგადოების სოციალურად დაწინაურებული ფენის წარმომადგენლის განსასვენებელთან გვაქვს, რაც პირველ რიგში სამარხში მოთავსებულ კვერთხზე და მრავალრიცხოვან ნივთიერ მასალაზეა შესამჩნევი, მათ შორის საბრძოლო იარაღზეც. მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაკრძალვის წესითა და სამარხი-კონსტრუქციის მოწყობის კუთხით №85 სამარხი არაფრით განსხვავდება ინვენტარის შედარებით მცირე ოდენობით შემცველი ამავე თუ სხვა ტიპის სამარხებისაგან. ყოველივე ეს არ გვაძლევს იმის მტკიცების უფლებას, რომ ორმოსამარხების ქვებით შემოწყობა მხოლოდ სოციუმის მაღალი ფენის წარმომადგენელთა დაკრძალვის შემთვევაში ხდებოდა.

თლიას სამაროვნის III ტიპის სამარხთა აბსოლუტური უმრავლესობა ინდივიდუალურ განსასვენებელს წარმოადგენდა, რომლებშიც მიცვალებულები უპირატესად მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილნი, თავით ძირითადად ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებულნი დაუკრძალავთ. თუმცა, იშვიათად მაინც გვხვდება ინდივიდთა თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ და დასავლეთის მხარეს მოქცევის შემთხვევები.

თლიასაგან განსხვავებული დაკრძალვის წესი გვხვდება გაგრის სამაროვნის ქვებით შემოწყობილ №28 (1980 წ.) სამარხში, ხოლო ააგსტის (ტაბ. XI, 3) ერთადერთ სამარხში დაკრძალვის წესის თაობაზე მსჯელობა, მისი დაზიანების გამო შეუძლებელია. გაგრის №28 (1980 წ.) სამარხში მიცვალებული მოუთავსებიათ ზურგზე, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ ორიენტირებული. ორივე ხელი იდაყვში მოხრილი; მარცხენა მუცლის არეში, ხოლო მარჯვენა მკერდზე მოთავსებული ჰქონდა [Бжания 1991: 14-15]. სამარხი არ შეიცავდა ინვენტარს.

ინვენტარის არარსებობა ან მისი სიმწირე, ზოგადად, გაგრის სხვა ტიპის სამარხებსაც ახასიათებთ და ამ მხრივ სამარხის ეს ტიპი არ წარმოადგენს გამონაკლისს.

III ტიპის სამარხეული ძეგლების განხილვიდან ჩანს, რომ სამარხ-კონსტრუქციათა სხვა ტიპების მსგავსად, კოლხური კულტურის გავრცელების ორი ერთმანეთის საპირისპირო უკიდურესი პუნქტებიდან, სამარხთა მოწყობაში საერთო ელემენტების არსებობის მიუხედავად, დაკრძალვის წესი რადიკალურად განსხვავებოდა. ზემოთ განხილულ ქვებით შემოწყობილ ორმოსამარხებს აქვთ ერთი საერთო დამახასიათებელი ნიშანიც. კერძოდ, სოციალურ ფაქტორს, თლიას №85 სამარხს თუ არ ჩავთვლით, სავარაუდოდ, არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა.

IV – *ქვაყრილით დაფარული სამარხები, რომელთა კიდეებიც ქვებითაა შემოწყობილი.*

კოლხური კულტურის არეალში IV ტიპის სამარხები მხოლოდ თლიას სამაროვნიდანაა ცნობილი, სადაც მათი საერთო რაოდენობა 37 ერთეულს შეადგენს.

მიცვალებულებს თანმხლებ ინვენტართან ერთად ძირითადად მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში მარხავდნენ, თავით უპირატესად ისევ ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებულებს.

თლიას №104 სამარხში მიცვალებული, რომლის სქესის დადგენა ვერ მოხერხდა, მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მოუთავსებიათ. როგორც ჩანს, მიცვალებულის რომელიმე გვერდზე დასვენება, მის სქესზე ყოველთვის არ იყო დამოკიდებული, რადგან №105 სამარხში მდედრობითი სქესის წარმომადგენელი მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული დაუკრძალავთ. №249 სამარხის (ტაბ. VII, 4) ძირი ბრტყელი ქვებით მოუწყვიათ, რომელზეც მიცვალებულის დასავენებლად სარეცელი ყოფილა დაგებული [Техов, 1980: 41]. სამარხში დაფიქსირებული ნახშირი, სხვა სამარხების მსგავსად, ცეცხლთან დაკავშირებული რიტუალის ჩატარებაზე უნდა მიუთითებდეს, რომლის კვალიც მიცვალებულთა ოსტეოლოგიურ მასალაზე არ შეინიშნებოდა, რაც აღნიშნული რიტუალის სამარხში მიცვალებულის მოთავსებამდე შესრულებაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

IV ტიპის სამარხებში ვხვდებით წყვილადი დაკრძალვის შემთხვევებსაც. ასეთია, მაგალითად, №258 და №210 სამარხები. №258 სამარხში, რომელშიც მამაკაცი და ქალი ყოფილან დამარხული, ორივე მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომრეობაში მოუთავსებიათ – მამაკაცი თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი დასავლეთისაკენ [Техов, 1985: 39].

თლიას სამაროვნის ზოგიერთ სამარხში მიკვლეულია წითელი ოქრას კვალიც, რაც შესაძლოა, გარკვეული სახის რიტუალთან ყოფილიყო დაკავშირებული. ქვაყრილით დაფარული და ქვებით შემოწყობილი სამარხებიდან წითელი ოქრას განსაკუთრებით დიდი რაოდენობა დაფიქსირდა №262 სამარხში, რომელიც მამაკაცის კუთვნილებას წარმოადგენდა (ტაბ. VIII, 2) [Техов, 1980: 44]. როგორც ჩანს, აღნიშნული წესი ფართოდ გავრცელებულ მოვლენას არ წარმოადგენდა.

დაკრძალვის წესის მხრივ თლიას IV ტიპის სამარხებისაგან გამოსარჩევია №№ 230, 272, 314, 329 სამარხები, რომლებშიც მიცვალებულები ზურგზე მოუთავსებიათ, მუხლის არეში ძლიერ მოკეცილი ფეხებით. №329 სამარხში ადამიანის ჩონჩხის სამხრეთით მოქცეულ ორ ქვის ფილაზე წვრილფეხა საქონლის ძვლები იყო მოთავსებული.

საერთოდ, თლიას სამაროვანზე ხშირია სამარხებში ცხოველის (უპირატესად ცხვრის) ძვლების მიკვლევის ფაქტი, რაც აღაპის რიტუალის შესრულებაზე მიუთითებს, როდესაც გარდაცვლილი ადამიანის პატივსაცემად

საქონელი იკვლებოდა და მისი დაკრძალვის შემდეგ ადაპის რიტუალი სრულდებოდა. სავარაუდოა, რომ ის მოსახლეობა, რომელსაც ეკუთვნოდა თლიას სამაროვანი, ძირითადად მეცხვარეობით იყო დაკავებული და, შესაბამისად, ცხვარი წარმოადგენდა იმ ცხოველს, რომლის შეწირვაც ყველაზე ხშირად ხორციელდებოდა. მაგალითად, №49 სამარხში დაფიქსირდა ცხვრის მთლიანი, დაურღვეველი ჩონჩხი, რომელიც მიცვალებულის ფეხებთან ყოფილა მოთავსებული [Техов 1981: 31].

თლიას სამაროვნის რამდენიმე სამარხში (№№ 150, 186) გვხვდება ცხვრის კოჭების მოთავსების შემთხვევა, რომელთაც შესაძლოა ამულეტის ფუნქცია ჰქონდათ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს კოლხური კულტურის გავრცელების მთიან ზოლში ცხვრის კულტის არსებობას და მის დიდ როლს მიცვალებულთა დაკრძალვის პროცესის რიტუალურ ნაწილში.

IV ტიპის სამარხები, მიუხედავად იმისა, რომ სამარხი-კონსტრუქციების მხრივ განსხვავდებიან თლიას სხვა სამარხებისაგან, ეს დაკრძალვის წესის კუთხით არ შეიმჩნევა და შეიძლება ითქვას, რომ მიცვალებულთა დაკრძალვის ტრადიცია და სამარხეული ინვენტარი ტიპურია თლიას სამაროვნისათვის. საერთოდ, თლიას სამაროვანი სხვა ძეგლებისაგან სწორედ სამარხ-კონსტრუქციათა ტიპების მრავალფეროვნების ფონზე, დაკრძალვის წესის შედარებითი ერთგვაროვნებით ხასიათდება.

V – *ხის ფიცრებით შეკრული სამარხები.*

თლიას სამაროვანზე შესწავლილ ხის ფიცრებით კონსტრუირებულ სამარხებს არც კოლხური და არც ყობანური კულტურის არეალში ანალოგიები არ მოეპოვებათ. მიუხედავად ამისა, თვალს თუ გადავავლებთ ორივე კულტურის სამარხეულ ძეგლებს, შევნიშნავთ, რომ ხის მასალა სხვა ტიპის სამარხთა კონსტრუირებისას ფართოდ ყოფილა გამოყენებული როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში.

თლიას სამაროვანზე ხის მასალა სამარხთა კონსტრუირების გარდა, დაკრძალვის პროცესშიც საკმაოდ ხშირად იყო ჩართული. როგორც სამარხთა

სხვადასხვა ტიპების განხილვისას შევამჩნიეთ, მიცვალებულებს ხშირად ხის მასალისაგან მოწყობილ სპეციალურ სარეცელზე ათავსებდნენ (მსგავსად ბრილის სამაროვნისა).

ამავდროულად, სამარხების უმრავლესობა დიდი ოდენობით ნახშირის შემცველია, რაც ასევე მეტყველებს მიცვალებულთა დამარხვის პროცესში ხის გამოყენებაზე, რომელიც ცეცხლის ზემოქმედების შედეგად ნახშირის ჩანართების სახით იყო შემორჩენილი. მიცვალებულის დაკრძალვის პროცესში ცეცხლის გამოყენება, რაზეც აღნიშნული ფაქტი მიანიშნებს, ტერიტორიულად ახლოს მდებარე ძეგლებზეცაა დადასტურებული, მათ შორის ყობანისა და ბრილის სამაროვნებზე.

ცეცხლის გამოყენების მიუხედავად, თლიას სამაროვნის ყველა სამარხი ინჰუმაციურია და მათ შორის ხის მასალით შემოკრული სამარხებიც. №129 სამარხში დაკრძალული ყოფილა ორი მიცვალებული. ორივე მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული [Техов 1985: 19-20]. წყვილად სამარხს წარმოადგენდა №301 სამარხიც. ოთხკუთხედის მოყვანილობის ფიცრებით შემოზღუდულ ორმოში ორი ჩონჩხი იქნა მიკვლეული, ორივე მამრობითი სქესისა. მიცვალებულები მოთავსებული იყვნენ მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებულნი. №293 ინდივიდუალურ სამარხში კი მიცვალებული თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული განისვენებდა, ხოლო №300 სამარხში - ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიმართული.

როგორც ჩანს, სამარხ-კონსტრუქციათა და დაკრძალვის წესის მიხედვით კავშირის მიუხედავად, მიცვალებულთა თავით რომელიმე მხარეს მოქცევის ერთი დადგენილი წესი არ შეინიშნება. ამ კუთხით ხის მასალით კონსტრუირებული სამარხები სხვა ტიპებისაგან გამონაკლისს არ შეადგენენ და ეს წესი თლიას სამაროვანზე ფართოდ გავრცელებული მოვლენაა.

VI – *კოლექტიური სამარხი-ორმოები.*

კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი დაკრძალვის წესის განხილვისას, ყველაზე პრობლემატურ საკითხს კოლექტიური სამარხი-ორმოების

ატრიბუციის თემა წარმოადგენს. როგორც ზემოთ აღინიშნა, მათი ძირითადი ნაწილი თავმოყრილია კოლხეთის დაბლობში, თანამედროვე სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის რეგიონებში: ერგეტა I, ეგრეტა II, ერგეტა III, ერგეტა IV, დღვაბა, ურეკი, ნიგვზიანი, ცაიში, მუხურჩა, პალური, ფიჩორი, ჯანტუხი, მერხეული.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლი მოქცეულია ძვ.წ. VIII-VI სს-ის ქრონოლოგიურ ჩარჩოში. ძვ.წ. X–V საუკუნეებს შორისაა განსაზღვრული ბრილის "ქვის ფიცრებით გამართული სპეციალური მოედნის" ფუნქციონირების პერიოდი [საქართველოს არქეოლოგია, 1959: 190].

ბრილის სამაროვნის აღნიშნულ მოედანზე მოწყობილ სამარხებში რამდენიმე ინდივიდი იყო დაკრძალული, რომელთაც თანმხლებ ინვენტართან ერთად უტარებდნენ კრემაციას. ოსტეოლოგიური მასალა საკმაოდ ცუდად და ფრაგმენტული სახით იყო მოღწეული, რაც შეუძლებელს ხდიდა მიცვალებულთა სქესის განსაზღვრას. სამარხეული ინვენტარის ანალიზის შედეგად კი გ. გობეჯიშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კრემაციის წესით აღნიშნულ კოლექტიურ "დასაკრძალავ მოედანზე" მხოლოდ მამრობითი სქესის წარმოამდგენლების დაკრძალვა უნდა მომხდარიყო [საქართველოს არქეოლოგია, 1959: 191].

ბრილის სამაროვანზე გავრცელებული კრემაციის წესი დადასტურებულია კოლხეთის დაბლობის V ტიპის სამარხებით წარმოდგენილ შემდეგ ძეგლებზე: ნიგვზიანი, ურეკი, ჯანტუხი, მერხეული, ფიჩორი, პალური.

ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლებზე დაკრძალვის წესის დადგენა ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი გამხდარა, რადგან ძვლოვანი მასალა ძლიერ ფრაგმენტირებული და ერთმანეთში არეული იყო. ჯანტუხის კრემაციული სამარხი-ორმოს ოსტეოლოგიური მასალაც (ადამიანისა და ფრინველის ძვლები) ქაოტურად იყო მიმოფანტული და არეული. მსგავს სიტუაციაში დაფიქსირდა სამარხეული ინვენტარიც. ორმოს ძირზე 5 სმ-ის სისქის კირქვის ფილა იყო მოთავსებული (0,6X1,30 მ.), რომლის გვერდებსაც დამუშავების კვალი ეტყობოდათ. გ. შამბას მოსაზრებას თუ გავითვალისწინებთ, ის სამსხვერპლოს ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო [Шамба, 1990: 11]. ფილის ქვეშ ნაწილობრივ დამწვარი და ფრაგმენტირებული ადამიანისა და ფრინველის ძვლები აღმოჩნდა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჯანტუხის სამაროვნის აღნიშნული სამარხი-ორმო, თავისი ზომებიდან გამომდინარე საოჯახო ან საგვარეულო "აკლდამას" წარმოადგენდა, რომელშიც პერიოდულად ათავსებდნენ მიცვალებულთა კრემირებულ ძვლებს, ან ადგილზე უტარებდნენ კრემაციას.

მერხეულის სამაროვანზე კი ცეცხლის კვალი სამარხეულ ინვენტარსაც ემჩნეოდა, რაც მიცვალებულთა კრემაციის წესის უშუალოდ სამარხში ჩატარებას უსვამს ხაზს, თუმცა მ. ბარამიძე მერხეულზე მხოლოდ ნაწილობრივი კრემაციის წესის არსებობას მოისაზრებს, კერძოდ, მეორადი დაკრძალვის წესს, მიცვალებულთა ხორცგაცლილი ძვლების ცეცხლში გატარებით [ბარამიძე, 1977]. ანალოგიური სიტუაციაა ურეკის, ნიგვზიანისა და პალურის კოლექტიურ სამარხ-ორმოებშიც. აქ მიცვალებულთა ცეცხლის ძლიერი ზემოქმედების ქვეშ ნამყოფი ფრაგმენტირებული ძვლები სამარხებში არეულად იყო მიმოფანტული. სამარხეული ინვენტარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღნიშნულ ძეგლებზე მსგავსი წესით ორივე სქესის წარმომადგენლების დაკრძალვის ტრადიცია უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

საინტერესოა, თუ რა ფაქტორს და რა პერიოდს შეიძლება უკავშირდებოდეს მიცვალებულთა კრემაციის ასეთი ფართო გავრცელება. მეორადი დაკრძალვის წესი, სამარხი-ორმოების გარდა, გაგრის, ურეკის, ხუცუბნის, გუადიხუს და ჯანტუხის ინდივიდუალურ სამარხებშიც გვხვდება, რომელთაგან კრემაციის წესის არსებობა მხოლოდ ხუცუბანზე და გუადიხუზეა დადასტურებული. კრემაციის წესი, კოლხური ძეგლებიდან ყველაზე ადრე ბრილის სამაროვანზეა დამოწმებული, სადაც ის დაახლოებით ძვ.წ. X ს-დან მკვიდრდება. კოლხეთის დაბლობსა და აფხაზეთში მიკვლეულ ძეგლებზე კი ის მხოლოდ ძვ.წ. VIII საუკუნიდან იწყებს გამოჩენას [გოგაძე, 1980: 596-597].

შეიძლება ითქვას, რომ კრემაციის ასე ფართო გავრცელებიდან გამომდინარე, კოლხური კულტურისათვის ის არ წარმოადგენს უცხო, "იმპორტირებულ" მოვლენას, არამედ აღმოცენებულია ადგილობრივ საფუძველზე, მაგრამ სრულებითაც არაა გამოსარიცხი მეზობელი ან წინარე კულტურების გარკვეული ზეგავლენაც. ყობანურ კულტურაში მსგავსი წესი კოლექტიური სამარხების შემცველ მხოლოდ ორ ძეგლზეა (ტერეზე, ზემო რუთხა) დადასტურებული და როგორც გეოგრაფიული, ასევე ქრონოლოგიური კუთხით არ წარმოადგენს ფართოდ გავრცელებულ ტრადიციას.

კოლექტიური სამარხი-ორმოები, რომლებზეც არაა დადასტურებული კრემაცია, მაგრამ ახასიათებთ მეორადი დაკრძალვის წესი, გვხვდება კოლხური კულტურის შემდეგ ძეგლებზე: მუხურჩა, ცაიში, დღვაბა, ერგეტა I, ერგეტა II, ერგეტა III, ერგეტა IV.

დაკრძალვის წესის სრული სურათის აღდგენა ამ ძეგლებზეც შეუძლებელია. უმეტეს შემთხვევაში დაკრძალულ ინდივიდთა რაოდენობის დადგენაც კი ვერ ხერხდება. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია ცალკეული კომპლექსების გამოყოფა. ზოგჯერ კი ნივთები და ოსტეოლოგიური მასალა ისეა არეული, რომ მათი იდენტიფიცირება ვერ ხერხდებოდა. თუ როგორ უნდა მომხდარიყო გარდაცვლილ ინდივიდთა კოლექტიურ სამარხ-ორმოებში მოთავსება, ამის შესახებ ძეგლთა ცუდი დაცულობის გამო რაიმეს მტკიცება ფაქტიურად გამორიცხულია.

საინტერესოა სამარხ-ორმოებში ინვენტარის განლაგების პრინციპი. ძეგლების უმეტეს ნაწილზე მიცვალებულთა თანმხლები ნივთები სამარხ-ორმოთა ძირზე უსისტემოდ იყვნენ მიმოფანტული და კომპლექსების გამოყოფა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ინვენტარის ნაწილი სამარხ-ორმოთა კიდეებში, ძირიდან შედარებით მაღლა იჩენდა თავს, რის გამოც, მაგალითად, ერგეტა II-ის №4 სამარხ-ორმოში რ. პაპუაშვილმა არ გამორიცხა ინვენტარის სპეციალურად გამოყოფილ მერხზე მოთავსება ან კედელზე ჩამოკიდება [პაპუაშვილი, 1999: 5].

კოლექტიური სამარხი-ორმოების გავრცელება შესაძლოა რაიმე მასშტაბურ მოვლენას უკავშირდებოდეს (ომი, ეპიდემია). ამის სასარგებლოდ მეტყველებს ერგეტა I-ის №3 სამარხი-ორმო. აქ მიწის ზედაპირიდან 1 მ-ის სიღრმეზე სამარხის დასავლეთ ნაწილში ერთმანეთზე დაწყობილი ადამიანის რამდენიმე ათეული თავის ქალა დაფიქსირდა. მაშინ როცა სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში ძირითადად ლულოვანი ძვლების ფრაგმენტები ყოფილა მოქცეული [Микеладзе… 1982: 90]. ამ შემთხვევაშიც ძეგლის ცუდი დაცულობის გამო, რაიმეს მტკიცება შეუძლებელად მიგვაჩნია.

კოლხური კულტურის კოლექტიურ სამარხთა გავრცელების რუკას თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ რომ მათი უმეტესობა თავმოყრილია ე.წ. ცენტრალურ კოლხეთში, თანამედროვე სამეგრელოს, გურიის ტერიტორიაზე და აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში. მათი არეალი ასევე მოიცავს მთიან რეგიონებსაც (რაჭა, სვანეთი). აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ

გეოგრაფიული კუთხით, ორმოსამარხების შემდეგ ის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ სამარხის ტიპს წარმოადგენს.

VII – *ქვაყუთები.*

კოლხური კულტურის არეალიდან აღნიშნული ტიპის სამარხები მხოლოდ ბრილისა და თლიას სამაროვნებზეა დამოწმებული. ბრილის სამაროვანზე ქვაყუთებში ძირითადად მამაკაცები იმარხებოდნენ, მოხრილ მდგომარეობაში. ერთ-ერთ ქვაყუთში დაფიქსირდა ქალისა და კაცის წყვილადი დაკრძალვის ფაქტიც [საქართველოს არქეოლოგია, 1959: 196-197].

რაც შეეხება თლიას სამაროვანს, აქ მსგავსი ტიპის 19 სამარხში (№№ 22, 128, 141, 156, 176, 221, 263, 127, 171, 172, 173, 193, 220, 221, 236, 245, 246, 247, 270), რომლებიც ჩვენს მიერ განხილული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხთა 6,1%-ს შეადგენენ, უპირატესად მამრობითი სქესის წარმომადგენელთა დაკრძალვა ხდებოდა, იშვიათად კი ქალებისა და ბავშვებისაც. ქვაყუთებში მათ ძირითადად მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით უმეტეს შემთხვევებში ჩრდილოეთის მხარეს ათავსებდნენ.

№22 ქვაყუთი (ტაბ. IV, 1), რომელიც თლიას სამაროვნის ადრეული პერიოდის სამარხთა რიცხვს მიეკუთვნება, მოზარდის განსასვენებელს წარმოადგენდა. ის მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთის მხარეს მოქცეული დაუკრძალავთ [Техов, 1980: 17]. №263 სამარხში კი მცირეწლოვანი ბავშვის ჩონჩხი დაფიქსირდა, რომელიც მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული იყო მოთავსებული. ხელები იდაყვში ჰქონდა მოკეცილი და წინ გაშვერილი, ხოლო ფეხები ძლიერ მოკეცილ მდგომარეობაში ჰქონდა. მიცვალებულის ყბის ქვეშ 3 მძივი აღმოჩნდა. სამხრეთ კედელსა და ქვედა კიდურებს შორის მოთავსებული იყო ჰორიზონტალურად დადგმული ქვის ფილა, რომელზეც ზოომორფულყურიანი სასმისი იყო ჩადგმული. თეძოს არეში რკინის სატევრისპირი აღმოჩნდა. მიცვალებულს მარჯვენა ხელსა და ფეხზე ბრინჯაოს

რგოლები ჰქონდა გაკეთებული. ხელებთან ბრინჯაოს ცული იყო მოთავსებული. ჩონჩხის ქვეშ შეინიშნებოდა საგების კვალი და ნახშირი [Техов, 1981: 16-17].

ზოგადად, ნახშირი ქვაყუთის ტიპის სამარხების უმრავლესობაში იქნა დაფიქსირებული, რაც სხვა ტიპის სამარხთა მსგავსად, მიცვალებულის დაკრძალვამდე ცეცხლთან დაკავშირებული რიტუალის შესრულებაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

მიცვალებულთა ქვაყუთებში დაკრძალვა, მიუხედავად იმისა, რომ მათი კონსტრუირება სხვა ტიპის სამარხებთან შედარებით მნიშვნელოვან ფიზიკურ და მატერიალურ დანახარჯებს მოითხოვდა, ამა თუ იმ ინდივიდის სოციალურ სტატუსზე არ იყო დამოკიდებული და, როგორც აღვნიშნეთ, არც სქესობრივი ნიშნით სხვაობაზე.

ქვაყუთი ყობანური კულტურის არეალისათვის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სამარხი-კონსტრუქციაა და, შესაძლოა, თლიასა და ბრილის სამაროვნების შემთხვევაში საქმე ჩრდილოეთ კავკასიიდან მომდინარე კულტურულ ზეგავლენასთან გვქონდეს.

ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ ეს ძეგლები (ბრილი, თლია) კავკასიის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთებზე, ჩრდილოეთ კავკასიისაკენ მიმავალი სტრატეგიული გზების სიახლოვესა და ამავდროულად, კოლხური და ყობანური კულტურების შეხების ეპიცენტრში მდებარეობენ.

VIII – *ოსუარიუმები.*

ოსუარიუმი მიცვალებულის ძვლების სათავსს ეწოდება. კოლხურ კულტურაში აღნიშნული ტიპის სამარხები დადასტურებულია ეშერის, ვერეშჩაგინის გორის, წითელი შუქურას, პრიმორსკოეს, ზვანდრიფშის ძეგლებზე.

ბ. კუფტინი, რომელიც სოფ. ეშერას მიდამოებში აწარმოებდა არქეოლოგიურ სამუშაოებს, იქ გამოვლენილ სამარხებში მეორადი დაკრძალვის წესს ვარაუდობდა. კერძოდ, მისი მოსაზრებით, მოზრდილი ადამიანის სხეული აღნიშნულ კერამიკულ ჭურჭელში, მათი ზომებიდან გამომდინარე, ვერ მოთავსდებოდა და ადგილი უნდა გვქონდეს მეორადი დაკრძალვის წესთან,

როდესაც ოსუარიუმებში მხოლოდ მიცვალებულის ხორცისაგან განთავისუფლებული ძვლების მოთავსება ხდებოდა [Куфтин, 1949:181].

დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შესწავლილ ოსუარიუმებში, ინვენტარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ორივე სქესის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ დაკრძალული. მაგალითად, აშკარად მამაკაცის კუთვნილებას წარმოადგენდა ვერეშჩაგინის გორაზე, ბ. კუფტინის მიერ შესწავლილი სამარხი, რომლიდანაც მოპოვებული არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილი იყო ბრინჯაოს კოლხური ცულით, ბრინჯაოსავე სატევრისპირითა და ხატისუღლით, ბრინჯაოსა და რკინის შუბისპირებითა და ბრინჯაოს 31 ერთეული მძივით [Куфтин, 1949: 180-181].

ეშერას ოსუარიუმებიდან გამოსარჩევია №1 სამარხი, რომელშიც ოსტეოლოგიური მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ორი ინდივიდი დაუმარხავთ [Иващенко, 1935: 59]. ამავდროულად, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს რომ აღნიშნულ ოსუარიუმში, სხვა სამარხების მსგავსად, ოსტეოლოგიური მასალა არეულ მდგომარეობაში იყო, ბ. კუფტინის მოსაზრება მეორადი დაკრძალვის წესის არსებობის თაობაზე, ეჭვქვეშ არ უნდა იდგეს. დაკრძალვის აღნიშნული ტრადიციის მხოლოდ თანამედროვე აფხაზეთის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში გავრცელება ხაზს უსვამს მათ, როგორც კოლხური კულტურის ლოკალურ მოვლენას.

წითელი შუქურას ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებით დათარიღებულ 104 სამარხს შორის 8 ოსუარიუმს წარმოადგენდა. ესენია №№ 47(66), 48(67), 49(68), 55(80), 79(125), 90(136), 92(138), 94(140) სამარხები. დაკრძალვის წესის მხრივ აღნიშნული სამარხები არ განსხვავდებიან ოსუარიუმების შემცველი სხვა ძეგლებისაგან. გვხვდება როგორც არქეოლოგიური მასალის შემცველი, ასევე უინვენტარო ოსუარიუმები.

წითელი შუქურას სამაროვანზე გამოვლენილი ორმოსამარხების ნაწილთა ძირი, როგორც აღვნიშნეთ, კენჭებით იყო მოწყობილი. მსგავსი წესი გამოყენებული ყოფილა ოსუარიუმთა მოსათავსებლად გაჭრილი ორმოების შემთხვევაშიც. მაგალითად, წითელი შუქურას №79(125) სამარხში ოსუარიუმი სწორედ ზღვის წვრილი კენჭებისგან მოწყობილ საგებზე პირქვე იყო მოთავსებული. სამარხი უინვენტარო აღმოჩნდა და მასში მხოლოდ ადამიანის თავის ქალისა და ხელის ძვლის ფრაგმენტები იყო შემორჩენილი. მის

სამხრეთით ასევე პირქვე დაყენებული მცირე ზომის თიხის ქოთანი გამოვლინდა [Трапш, 1969: 136-137].

სამარხეული ინვენტარის მხრივ, გამოსარჩევია წითელი შუქურას №94(140) სამარხი. ოსუარიუმში მიცვალებულის ძვლის ფრაგმენტების გარდა, გამოვლინდა: ბრინჯაოს ფირფიტოვანი ორკაპა, შუბისპირი და ბრინჯაოსავე კოლხური ცული, ზედ დატანილი გრავირებული ორნამენტით [Трапш, 1969: 144].

სამარხეული ინვენტარის მიხედვით, წითელი შუქურას აღნიშნული სამარხები არ განსხვავდებიან ამავე სამაროვნის I ტიპის სამარხებისაგან, რაც მათ შორის კულტურულ სხვაობას უნდა გამორიცხავდეს. სოციალური დიფერენციაციაც, ოსუარიუმებში და ორმოსამარხებში დაკრძალულთა შორის არ არის შესამჩნევი, რადგან ხშირია მიცვალებულის თანმხლები ნივთების არარსებობა როგორც ოსუარიუმებში, ასევე ორმოსამარხებშიც.

საინტერესოა მიცვალებულთა ოსუარიუმებში მოთავსების ტრადიციის დამკვიდრება. ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობისას აუცილებლად ცალკე უნდა იქნას განხილული აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გამოვლენილი გაგრის სამაროვანი. აღნიშნულ ძეგლზე 78-დან 59 შემთხვევაში სამარხებში დაკრძალულ ინდივიდთა ოსტეოლოგიური მასალა არეულ მდგომარეობაში იყო დაფიქსირებული, რომელთა ნაწილს, უპირატესად კი მიცვალებულთა თავის ქალას, მცირე ზომის კერამიკული ჭურჭელი ფარავდა. აღნიშნული სამარხების თაობაზე მსჯელობა ჩვენ მარტივი კონფიგურაციის მქონე ორმოსამარხების შემთხვევაში გვქონდა, რადგანაც ისინი არ წარმოადგენენ სამარხ-კონსტრუქციის დამოუკიდებელ ტიპს და სამარხებში აღნიშნული ჭურჭელი მხოლოდ მიცვალებულთა ძვლების დამარხვის შემდეგ თავსდებოდა.

გარდა მეორადი დაკრძალვის წესით დამარხვის ფაქტებისა, გაგრის სამაროვანზე ვხვდებით ოსუარიუმებსაც. ასეთია 1979 წელს შესწავლილი №1 და №3 სამარხები. №1 ოსუარიუმი ადამიანის ერთ გროვად კონცენტრირებულ ძვლებს ფარავდა [Бжания, 1991: 8], ხოლო №3 სამარხში მოზრდილი ჭურჭელი პირქვე იყო ჩადგმული. იგი მიცვალებულის ძვლებს ფარავდა, რომელთა ქვეშ თავის ქალა იყო მოთავსებული. სამარხეული ინვენტარი მხოლოდ თავის ქალასთან გაწმენდილი ბრინჯაოს ორი საკინძისაგან შედგებოდა [Бжания, 1991: 8-9].

გაგრის აღნიშნული ოსუარიუმები ფორმათა სიმარტივით ხასიათდებიან, რაც, თუ გავითვალისწინებთ ამ სამაროვნის კოლხური კულტურის ადრეული

პერიოდით დათარიღებას [Бжания, 1991], შესაძლებელობა გვაქვს ისინი სხვა ძეგლებზე მიკვლეული მსგავსი ტიპის სამარხ-კონსტრუქციათა პროტოტიპებად მივიჩნიოთ.

საერთოდ, როგორც აღვნიშნეთ, ოსუარიუმებში შესრულებული მეორადი დაკრძალვის წესი გაგრის სამაროვანზე საკმაოდ ხშირად გვხვდება და პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ეშერას, წითელი შუქურას, პრიმორსკოეს, ზვანდრიფშისა და ვერეშჩაგინის გორას ძეგლებზე დადასტურებულ მიცვალებულის დაკრძალვის ტრადიციასთან.

ოსუარიუმების შედარებით ვიწრო გეოგრაფიული გავრცელება და მათი სხვა ტიპის სამარხ-კონსტრუქციებთან ერთად აღმოჩენის შემთხვევები (გაგრა, წითელი შუქურა) მიგვანიშნებს, რომ სამარხის აღნიშნული ტიპი თვით აფხაზეთის ტერიტორიაზეც არ წარმოადგენს დომინანტურ სახესხვაობას. წითელი შუქურას სამაროვნის მიხედვით, მიცვალებულთა ოსუარიუმებში დაკრძალვის ტრადიციის მატარებელი ჯგუფი საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენდა, რომელთა სხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან გვერდიგვერდ დაკრძალვა წინააღმდეგობას არ ქმნიდა.

IX – *ყორღანული სამარხები.*

IX ტიპის სამარხები კოლხური კულტურის ძეგლებიდან მხოლოდ გორაძირის სამაროვანზეა მიკვლეული, თუმცა არ არის გამორიცხული მომავალში მათი სხვა ძეგლებზეც გამოვლენის შესაძლებლობა, ამიტომ ყორღანული ყრილის ქვეშ მოქცეული სამარხების, როგორც ლოკალური მნიშვნელობის მქონე მოვლენაზე საუბარი არ შეიძლება.

გორაძირის სამაროვანზე გამოვლენილი 3 ყორღანული სამარხიდან უკლებლივ ყველა გაძარცვული და დაზიანებული ყოფილა, ხოლო ოსტეოლოგიური მასალა და ინვენტარი არეულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ძეგლის გამთხრელებმა, რომელთაც იგი ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებს შორის პერიოდით დაათარიღეს [გოგაძე, დავლიანიძე, 1981: 21], არ გამორიცხეს ყორღანული ყრილის ქვეშ მიცვალებულთა კოლექტიური სამარხის არსებობა,

თუმცა სამარხთა ცუდი დაცულობის გამო რაიმეს მტკიცება, შეუძლებელი ყოფილა [გოგაძე, დავლიანიძე, 1981: 7].

გორაძირის სამაროვნის მიხედვით, ძნელია ყორღანულ სამარხებში გავრცელებული დაკრძალვის წესის თაობაზე მსჯელობა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმავე სამაროვანზე სინქრონულად ორმოსამარხების არსებობის ფაქტს, შესაძლოა ამ ტიპის სამარხებში მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ოჯახის წევრები ყოფილიყვნენ დაკრძალული.

კოლხური კულტურის არეალში გავრცელებული დაკრძალვის წესზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს ცალკეული დეტალები, რომლებიც ამ კულტურის სამარხეულ ძეგლებზე, სხვადასხვა ტიპის სამარხებში გვხვდება და მათი განხილვა სამარხის რომელიმე ტიპთან მიმართებაში არ იქნებოდა მართებული.

პირველ რიგში, შევეხებით წყვილადი დაკრძალვის წესს, როდესაც ერთ სამარხში ორი მიცვალებულია მოთავსებული. მსგავსი წესი, რამდენადაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მხოლოდ მთიან ზოლში, თლიასა და ბრილის სამაროვნებზეა დადასტურებული. თლიას სამაროვანზე, საერთო ჯამში 6 წყვილადი სამარხი გამოვლინდა (№№ 16a, 18, 41, 99, 109, 301), ხოლო ბრილში კი მხოლოდ ერთი. საინტერესოა, რომ წყვილადი დაკრძალვის წესი გვხვდება სხვადასხვა ტიპის სამარხებში და სამარხის ერთ რომელიმე ტიპზე არ არის დამოკიდებული.

წყვილადი სამარხები საოჯახო განსასვენებლებს წარმოადგენდნენ, რომლებშიც მიცვალებულთა დაკრძალვის სხვადასხვა ტრადიცია იყო გავრცელებული. ზოგიერთ შემთხვევაში ერთი ინდივიდის ძვლები დაზიანებული, ან მიხვეტილი იყო სამარხის სხვადასხვა ნაწილში, რაც შედარებით გვიან გარდაცვლილი ადამიანის დამარხვისას მისი მთლიანობის დარღვევით, ან ადგილის გამოსანთავისუფლებლად ადრე გარდაცვლილი ადამიანის ძვლების ერთად თავმოყრით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. წყვილად სამარხებში გვხვდება როგორც ერთი სქესის წარმომადგენელთა (თლიას №301 სამარხი), ასევე შერეული დაკრძალვის (თლიას №№ 41, 99 სამარხები) ფაქტები. ბრილის სამაროვანზე წყვილადი დაკრძალვა შესრულებული იყო ქვის ფილებისაგან კონსტრუირებულ სამარხში, ხოლო თლიას სამაროვნის ქვაყუთებში, რომლებიც

მრავალჯერადი დაკრძალვისთვის ხელსაყრელ სამარხ-კონსტრუქციებს წამოადგენენ, მსგავსი შემთხვევები არაა დადასტურებული.

წყვილადი დაკრძალვის დროს მიცვალებულებს ათავსებდნენ უპირატესად მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში. დაკრძალვის წესის მხრივ საინტერესოა თლიას სამაროვნის №90 სამარხი, რომელსაც ქვებით შემოწყობილი და დაფარული კონსტრუქცია ჰქონდა. აქ დაკრძალული იყო ორი მიცვალებული; ერთი მოზრდილი ადამიანი, ხოლო მეორე – მცირეწლოვანი ბავშვი. მოზრდილი ადამიანი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული. ფეხებმოკეცილი ბავშვი მოზრდილი ადამიანის ნეკნებზე ისე დაუსვენებიათ, რომ მარჯვენა ხელი მის ქვეშ ჰქონდა მოქცეული [Техов, 1985: 12]. დაკრძალვის მსგავსი წესი, რომელიც გარდაცვლილი დედისა და მისი მცირეწლოვანი შვილის განსასვენებელს უნდა წარმოადგენდეს, კოლხური კულტურის სხვა ძეგლებზე შესწავლილ სამარხებში დამოწმებული არ არის.

თუ რას შეიძლება უკავშირდებოდეს ერთ სამარხში ორი მამრობითი სქესის წარმომადგენლის დაკრძალვის ფაქტები, მიგვაჩნია, რომ თლიას სამაროვნის მსგავსი წესის მქონე №301 სამარხის შემთხვევაში, რომელშიც მამრობითი სქესის ორი ინდივიდი მოთავსებული ყოფილა მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული; საქმე უნდა გვქონდეს ერთი ოჯახის წარმომადგენელთა განსასვნებელთან, როდესაც ოჯახის ორი მამრობითი წევრი ერთ დროს გარდაიცვალა და მათი დაკრძალვაც სწორედ ერთ სამარხში მოხდა.

კოლხური კულტურის გავრცელების ვრცელ ტერიტორიაზე გამოვლენილ სამარხეულ ძეგლებში იშვიათობას წარმოადგენს ერთ სამარხში სამი მიცვალებულის დაკრძალვის შემთხვევა. მსგავსი წესი მხოლოდ თლიას სამაროვნის №141 სამარხში (ქვაყუთი) გვხვდება. სამარხში დაფიქსირდა 3 ჩონჩხი – ერთი მოზრდილისა და ორი ბავშვის. ბავშვები დაკრძალული ყოფილან მოზრდილი ადამიანის ფეხებთან; ერთი მარცხენა, ხოლო მეორე მარჯვენა გვერდზე; ერთმანეთისაკენ სახით მიმართულნი. მოზრდილი ადამიანის ჩონჩხი მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე სპეციალურად მოწყობილ საგებზე ყოფილა მოთავსებული. [Техов 1981: 10]. როგორც აღინიშნა, ეს სამარხი, რომელშიც ქალი თავის მცირეწლოვან შვილებთან ერთად უნდა ყოფილიყო

დაკრძალული, კოლხური კულტურის სამარხეული ძეგლებისთვის უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს.

ასეთივე უნიკალურია თლიას სამაროვნის №14 სამარხი, რომლის კედლებიც ქვებით იყო შემოწყობილი და ზემოდან ნახშირმოყრილი. სამარხში 4 ჩონჩხი აღმოჩნდა. პირველი მიცვალებული მოხრილ მდგომარეობაში ქვის დიდ ფილაზე იყო დასვენებული და თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული. თავის ქალა ქვების ზეწოლისგან ყოფილა გაჭყლეტილი. ამ ჩამოწოლილ ქვებზე ზემოდან ცხვრის თავის ქალა იყო მოთავსებული. თავის ქალის ჩრდილოეთით ჩადგმული იყო ბრინჯაოს ფართოყელიანი ბადია. მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა: ბრინჯაოს სარტყელი, სამაჯური სპირალურად დახვეული ბოლოებით, წითელი სარდიონის 18 მძივი. მეორე მიცვალებულის ჩონჩხი, რომელიც სახით დასავლეთისაკენ იყო ორიენტირებული, დიდი ფილის ქვეშ დაუკრძალავთ. მის ინვენტარს მხოლოდ ბრინჯაოს სატევრისპირი შეადგენდა. აღნიშნული ქვის ფილის აღმოსავლეთით მესამე ინდივიდის თავის ქალა აღმოჩნდა, რომლის სხეულის დიდი ნაწილი ფილის ქვეშ ყოფილა მოქცეული. მეოთხე მიცვალებულის თავის ქალა პირველი ჩონჩხის ფეხებთან დაფიქსირდა და მისი ინვენტარი 10 რომბისებური ბრინჯაოს ბალთისაგან შედგებოდა [Техов, 1980: 15].

თლიას სამაროვნის კოლექტიურ სამარხთა კატეგორიას, რომელშიც 7 ინდივიდი იყო დაკრძალული, მიეკუთვნება №98 სამარხიც. აქ 4 დაზიანებული და 3 შედარებით უკეთესად დაცული ჩონჩხი გამოვლინდა. მიცვალებულები ერთმანეთზე ზემოდან დაუსვენებიათ; მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებულნი. ჩონჩხებისაგან დასავლეთით 2 თავის ქალა, ხოლო ჩრდილოეთით ასევე 2 თავის ქალა აღმოჩნდა [Техов, 1980: 25].

როგორც აღვნიშნეთ, ყველა სამარხი, რომელშიც ერთზე მეტი მიცვალებული იყო დამარხული, საოჯახო განსასვენებლებს უნდა წარმოადგენდნენ, რომლებშიც ერთდროულად დაღუპულ ან დროის გარკვეულ მანძილზე გარდაცვლილ ინდივიდებს მარხავდნენ.

როგორც დავინახეთ, კოლხური კულტურის არეალი საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სამარხეული ძეგლებითაა წარმოდგენილი, თუმცა მისი გავრცელების მასშტაბთან შედარებით, მაინც მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი. დაკრძალვის წესი სამარხ-კონსტრუქციათა

მსგავსად, არაერთგვაროვნებით და მრავალფეროვნებით ხასიათდება. კოლხური კულტურის ძეგლთა საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს დაკრძალვის ერთი დადგენილი წესი არა აქვს და ცალკეულ სამაროვნებზე ის ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ტიპებითაა მოცემული, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ჩვენ ერთი ძეგლისათვის დომინანტური სამარხი-კონსტრუქცია და დაკრძალვის წესი გვაქვს წარმოდგენილი.

ჩვენს მიერ განხილული ძეგლების მიხედვით, შეიძლებოდა ცალკეული რეგიონებისათვის დომინანტური დაკრძალვის წესის გამოყოფა, თუმცა ინვენტარული მასალისა და კულტურის სხვა ელემენტების განხილვის გარეშე, მხოლოდ სამარხ-კონსტრუქციებსა და დაკრძალვის წესზე დაყრდნობით მოვერიდეთ ლოკალური ვარიანტების გამოყოფას.

§2. დაკრძალვის წესი ყობანურ კულტურაში

ყობანური კულტურის სამარხი-კონსტრუქციები კოლხური კულტურისაგან განსხვავებით ტიპოლოგიური სიმწირით გამოირჩევიან და შესაბამისად ეს დაკრძალვის წესზეც შესამჩნევია. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილისათვის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში დომინანტურია ინჰუმაციის წეს-ჩვეულება, თუმცა გვხვდება მიცვალებულთა კრემაციის ტრადიციაც, მაგრამ არა ისე მასშტაბურად როგორც, ეს დასავლეთ ამიერკავკასიისათვის არის დამახასიათებელი.

დაკრძალვის წესის ძირითადი მახასიათებლები, კოლხური კულტურის მსგავსად, სამარხ-კონსტრუქციათა ძირითადი ტიპების და ქვეტიპების მიხედვით გვექნება განხილული.

I – *მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხები.*

1. I ქვეტიპის, *ოვალური მოყვანილობის ორმოსამარხები* მიკვლეულია ყიზილ-ყალასა (ყარაჩაი-ჩერქეზეთი) და კომაროვოს (ოსეთი) სამაროვნებზე. ძვ.წ. VI საუკუნით დათარიღებულ ყიზილ-ყალაზე დაკრძალვის წესის დადგენა ვერ მოხერხდა, რადგან მიცვალებულთა ძვლები, სამარხეული ინვენტარი და ცხენის კბილები სამარხებში უსისტემოდ მიმოფანტული ყოფილა [Алексеева, 1982: 10]. ეს ფაქტი შესაძლოა მეორადი დაკრძალვის წესით აიხსნას, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მწირი ინფორმაცია ამის მტკიცების საშუალებას არ გვაძლევს. ცხენის კბილების აღნოჩენის ფაქტი კი შეიძლება მიუთითებდეს, როგორც მიცვალებულისთვის ცხენის ჩაყოლების ფაქტზე, ასევე კბილების ამულეტის ფუნქციით გამოყენებაზეც; მსგავსად ცხვრის ასტრაგალებისა, რომლებიც მრავლადაა მიკვლეული როგორც ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის, ასევე ჩრდილო-დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხეულ ძეგლებზე.

ყიზილ-ყალის სინქრონულ კომაროვოს სამაროვანზე დაკრძალვის ინჰუმაციური წესი ყოფილა გაბატონებული. მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ მოხრილ მდგომარეობაში. მამაკაცებს მარჯვენა, ხოლო ქალებს მარცხენა გვერდზე ათავსებდნენ, თავით უმეტესად სამხრეთისაკენ ორიენტირებულებს. სამარხეული ინვენტარი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. იარაღ-სამკაულის გარდა, უკლებლივ ყველა სამარხში 3-4 კერამიკული ჭურჭელი ყოფილა მოთავსებული. აღსანიშნავია, რომ №4 სამარხში მიცვალებულს, რომელიც ხელფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე მწოლიარე და თავით სამხრეთისაკენ ორიენტირებული იყო, თავთან ჩადგმულ კერამიკულ ჭურჭელში ცხვრის ძვლები ჰქონდა ჩაწყობილი [Абрамова, 1974: 195]. ცხვრის ძვლები კერამიკული ჭურჭლის სიახლოვეს №5 სამარხშიც აღმოჩნდა. ეს ფაქტი, შესაძლოა, გარდაცვლილი ადამიანის სახელზე დამზადებულ საკვებთან იყოს დაკავშირებული.

კომაროვოს სამაროვანზე ცალკეულ შემთხვევებში (№8 სამარხი) ნახშირიც იქნა მიკვლეული. ეს, სავარაუდოდ, დაკრძალვის პროცესში ცეცხლის გამოყენებაზეც მიანიშნებს, თუმცა კრემაციის წესი აქ არ ყოფილა დადასტურებული, რადგან ოსტეოლოგიურ მასალაზე მისი ზემოქმედების კვალი არ შეიმჩნეოდა [Абрамова, 1974].

2. *სწორკუთხა ფორმის ორმოსამარხები.* II ქვეტიპის სამარხები წარმოდგენილია ყობანური კულტურის შემდეგ სამაროვნებზე: ყიზილ-ყალა, ბელორეჩენსკი და ისტი-სუ.

პირველ რიგში, აღსანიშნია, რომ ყიზილ-ყალას სწორკუთხა მოყვანილობის სამარხები ე. ალექსეევას მიხედვით, დაკრძალვის წესის მხრივ არაფრით განსხვავდებოდნენ ოვალური მოყვანილობის ორმოსამარხებისაგან [Алексеева, 1982: 10].

ყიზილ-ყალას მსგავსად, ყობანური კულტურის დასავლურ ვარიანტში მდებარეობს ბელორეჩენსკის სამაროვანი, რომელიც გამოვლენილია ქ. კისლოვოდსკის ჩრდილო-აღმოსავლეთ გარეუბანში. პირველი არქეოლოგიური სამუშაოები აქ 1969 წელს ვ. ვინოგრადოვმა ჩაატარა და 4 სამარხი გათხარა. უკლებლივ ყველა სამარხში მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებულნი. №2 სამარხში (ტაბ. XXXV, 1) მიცვალებული ხელ-ფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიმართული განისვენებდა. კერამიკული

ჭურჭელი მას ფეხებთან ჰქონდა მოთავსებული, ხოლო რკინის შუბისპირი თავის ქალის გასწვრივ [Виноградов, 1976: 49]. 1977 წელს აქ 7 ორმოსამარხი გაითხარა, ყველა სწორკუთხა ფორმისა, რომელთა სიღრმე 0,2-0,8 მეტრს შორის მერყეობდა. 5 სამარხი ერთმანეთის მიყოლებით იყო გაჭრილი. ისინი არასწორ რიგს ქმნიდნენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ იყვნენ ორიენტირებულნი, მცირე გადახრით სამხრეთის მიმართულებით.

ბელორეჩენსკის სამაროვნის ერთი სამარხის გარდა, რომელშიც მიცვალებულის ჩონხის ძლიერი ფრაგმენტულობის გამო, დაკრძალულის პოზის განსაზღვრა ვერ მოხერხდა, ყველა სამარხში დაკრძალვის ერთგვაროვანი წესი ყოფილა გაბატონებული; მამაკაცებს მარჯვენა, ხოლო ქალებს მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში ათავსებდნენ. 1977 წელს ბელორეჩენსკში გამოვლენილი შვიდივე სამარხის თავზე, მიწის ზედაპირიდან 0,3 – 0,4 მეტრის სიღრმეზე დამტვრეული კერამიკისა და ძვლის ფრაგმენტები ყოფილა მიმოფანტული, რაც ს. დუდარევმა სააღაპო რიტუალის მანიშნებლად მიიჩნია [Дударев, 1978: 117]. აღნიშნული სამარხები ძეგლის გამთხრელის მიერ მიცვალებულთა თანმხლები ინვენტარის საფუძველზე ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით არიან დათარიღებული [Дударев, 1978: 118].

ისტი-სუს ინჰუმაციურ სამარხებში კი, რომელიც ყობანური კულტურის აღმოსავლეთ ნაწილში, კერძოდ კი ჩეჩნეთში, გუდერმესის რაიონში მდებარეობს, მიცვალებულებს, როგორც წესი, მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე მარხავდნენ, იშვიათად კი მარცხენაზე. №1 სამარხში მიცვალებული მარჯვენა მხარეს, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული მოუთავსებიათ. ჩონჩხი, რომლის ძვლები ცუდად იყო დაცული, მუხლისა და თეძოს არეში ყოფილა მოხრილი. თავის ქალა, ტანისა და ხელის ძვლები გადაადგილებული აღმოჩნდა. მიცვალებულის ზურგთან მოთავსებული იყო დიდი ზომის ჭურჭელი, რომელმაც მხოლოდ ფრაგმენტების სახით მოაღწია [Артамонова-Полтавцева, 1950: 25]. №2 სამარხი ბავშვს ეკუთვნოდა, რომლის ჩონჩხიც მარჯვენა გვერდზე იყო მოთავსებული, მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული. ძვლები ძლიერ დაზიანებული, ხოლო თავის ქალა გაჭყლეტილი იყო. მიცვალებულის წინ ორი ძლიერ ფრაგმენტირებული ჭურჭელი ჩაუდგამთ. თავის ქალასთან და მარცხენა ხელის ფალანგაზე ბრინჯაოს ბეჭდები აღმოჩნდა. სამარხეული ინვენტარი ასევე შეიცავდა აქატის მძივებსა და რკინის ფიბულას. ინვენტარის მხრივ ბავშვი მდედრობითი სქესის წარმომადგენელი უნდა

ყოფილიყო. ნივთიერი მასალის შემცველი სამარხების გარდა, ისტი-სუს სამაროვანზე გვხვდება უინვენტარო სამარხიც (№3).

ისტი-სუს სამაროვანზე მიცვალებულთა რომელიმე გვერდზე მოთავსება, კომაროვოს მსგავსად დამოკიდებული უნდა ყოფილიყო მათ სქესზე. მაგალითად, №12 სამარხში (ტაბ. XXVII, 3) მდედრობითი სქესის წარმომადგენელი ხელ-ფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული დაუსვენებიათ. თავის ქალის პირისპირ ჩადგმული ყოფილა თიხის ბადია, რომელიც ცხვრის ძვლებს შეიცავდა. მარცხენა ხელის ქვემოთ, მუცლის არეში ცხვრის თავის ქალა და ძვლები იქნა გამოვლენილი. თვითონ ხელთან კი მოთავსებული იყო პასტის მძივები და ბრინჯაოს სპირალისებური საკიდი [Артамонова-Полтавцева, 1950: 34]. ცხვრის ძვლების აღმოჩენა, რომელიც აღაპის რიტუალს უნდა უკავშირდებოდეს, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ისტი-სუზე დაკრძალულ ინდივიდთა კულტურულ სიახლოვეს მოსახლეობის იმ ჯგუფთან, რომელსაც ეკუთვნოდა კომაროვოს სამაროვანი.

ისტი-სუს №№ 4, 5, 7 და №15 სამარხებში მიცვალებულები ზურგზე, გაშოტილ მდომარეობაში იყვნენ მოთავსებული. სამარხებში ინვენტარი იარაღ-სამკაულით, კერამიკული ნაწარმითა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებით იყო წარმოდგენილი, მათ შორის ბავშვებისა და მოზარდთა სამარხებშიც.

როგორც ვხედავთ, კერამიკული ჭურჭელი ისტი-სუს სამაროვნის თითქმის ყველა სამარხშია მიკვლეული, მაგრამ მათი გადანაწილების ერთიანი წესი არ ყოფილა შემუშავებული, თუმცა უმეტესწილად მიცვალებულთა სიახლოვეს იდგმებოდა.

სამწუხაროდ, ყიზილ-ყალას სამაროვნის თაობაზე ცნობების სიმწირის გამო, შეუძლებელია მასა და ისტი-სუს სამაროვანს შორის რაიმე პარალელის გავლება. სამაგიეროდ, სახეზეა კავშირი ბელორეჩენსკის სწორკუთხა მოყვანილობისა და კომაროვოს I ქვეტიპის ორმოსამარხებთან, კერძოდ, კერამიკული ნაწარმის სიჭარბისა და დაკრძალვის რიტუალის მხრივ. მაგრამ ისტი-სუს სამაროვნისათვის დამახასიათებელი მიცვალებულთა გაშოტილი პოზა, არც ბელორეჩენკისა და არც კომაროვოს ძეგლებზე არ გვხვდება. ისტი-სუსა და კომაროვოს სამაროვნების განხილვისას, ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ორივე ძეგლი ყობანური კულტურის დასკვნითი მონაკვეთით, ძვ.წ. VI საუკუნითაა დათარიღებული [Артамонова-Полтавцева, 1950: 20].

მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხები, რომელთა ფორმის შესახებაც ცნობები არ მოიპოვება, ყობანური კულტურის მთელ პერიმეტრზეა გავრცელებული და დაკრძალვის ინჰუმაციური წესია გაბატონებული. ყველაზე ადრეული ძეგლები ყობანისა და სერჟენ-იურტის სამაროვნებია. ყობანის ორმოსამარხები მძარცველური გზით გათხრების გამო თითქმის მთლიანად დაზიანდნენ და მათ შორის გავრცელებულ დაკრძალვის წესზე მსჯელობა შეუძლებელია [Уварова, 1900].

სერჟენ-იურტის სამაროვანზეც სამარხთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაზიანებული ყოფილა. მიცვალებულებს ძირითადად მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე ათავსებდნენ. №24 სამარხი, რომელიც ინვენტარის მხრივ გამოირჩეოდა სხვებისაგან, მამაკაცის კუთვნილებას წარმოადგენდა. იგი მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში იყო დასვენებული, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მოქცეული [Козенкова, 1970: 115]. ჩონჩხის ქვეშ შეინიშნებოდა ხის ფრაგმენტები, რომელიც შესაძლებელია სარეცლის ფუნქციას ასრულებდა.

როგორც ვხედავთ, სხვა ძეგლებისაგან განსხვავებით (კომაროვო), სადაც მიცვალებულთა რომელიმე გვერდზე მოთავსება მათი სქესის მიხედვით იყო განსაზღვრული, სერჟენ-იურტზე ეს წესი არ არის დამოწმებული [Козенкова, 1969]. სერჟენ-იურტის სამაროვანზე სამარხთა მოწყობის პროცესშიც გარდაცვლილ ინდივიდთა არც სქესსა და არც სოციალურ სტატუსს, სავარაუდოდ, არ ენიჭებოდა დიდი მნიშვნელობა.

მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხებში დადასტურებულია წყვილადი დაკრძალვის შემთხვევებიც. მაგალითად, ფსედახის სამაროვნის (ინგუშეთი, მალგობეკის რაიონი) №1 სამარხში ორი მიცვალებული დაუკრძალავთ [Козенкова, 1986: 139], ორივე მარჯვენა გვერდზე, ხელის მტევნების სახის არეში მოქცევითა და თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებით. ფსედახის სამაროვანზე დადასტურებულია გარდაცვლილი ადამიანის მარცხენა გვერდზე მოთავსების შემთხვევაც (№6 სამარხი), მაგრამ, ზოგადად, ძეგლზე მიცვალებულთა თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მოქცევის ტრადიცია დომინირებდა, მათ შორის №6 სამარხშიც.

ფსედახის სამაროვანზე სამარხეული ინვენტარის სიმცირის ფონზე, სჭარბობდა კერამიკული ჭურჭელი, რომელიც უპირატესად გარდაცვლილი

ადამიანის თავის სიახლოვეს თავსდებოდა. გამორჩეულია №3 სამარხი, რომელიც 25-30 წლის ქალის საკუთრება იყო და ინვენტარული მასალის სიუხვით გამოირჩეოდა, რომელთა შორის ყველაზე დიდი რაოდენობით სამკაული იყო წარმოდგენილი [Козенкова, 1986: 140]. აღნიშნულ სამარხში კერამიკის ფრაგმენტები მიცვალებულს ხელის არეში ჰქონდა მოქცეული, რომელთა ზემოთ, მკერდის გასწვრივ ცხვრის ძვლების ფრაგმენტები აღმოჩნდა.

სამარხებში ცხვრის ოსტეოლოგიური მასალა, როგორც უკვე აღინიშნა, კომაროვოს სამაროვანზეც დადასტურდა, სადაც ის, ჩვენი აზრით, მიცვალებულის სახელზე დამზადებულ საკვებს უნდა უკავშირდებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ფსედახის №3 სამარხში მიკვლეული ცხვრის ძვლები ჭურჭელში არ იყო მოთავსებული, ის მაინც აღაპის ნარჩენს უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც მიცვალებულს თან აყოლებდნენ. ცხვრის გარდა, №7 სამარხში ღორის თავის ქალაც აღმოჩნდა, რომელიც მიცვალებულის თავის ქალის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩადგმული კერამიკული ჭურჭლის სიახლოვეს ყოფილა მოთავსებული [Козенкова, 1986: 143].

თიხის ბადიაში იყო მოქცეული ცხვრის ძვლები ქვემო ჯულათის (ყაბარდო-ბალყარეთი) ძვ.წ. VI საუკუნით დათარიღებულ №91 სამარხში, რომელშიც ორი მიცვალებული განისვენებდა – ორივე მოხრილ მდგომარეობაში და ერთმანეთისაკენ სახით მიმართული [Абрамова, 1974: 204]. ქვემო ჯულათის სამაროვანზე ადრეული რკინის ხანის კიდევ ერთი სამარხია (№84) გამოვლენილი, რომელშიც მდედრობითი სქესის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო დაკრძალული. იგი მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე მოუთავსებიათ, თავით სამხრეთისაკენ ორიენტირებული.

აღსანიშნავია, რომ ქვემო ჯულათის ადრეული რკინის ხანის ორივე სამარხში ქალები მარჯვენა გვერდზე იყვნენ დასვენებული, მაშინ, როცა მამაკაცი მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ. ეს ფაქტი მიანიშნებს, რომ ყობანური კულტურის მთელ არეალში მიცვალებულთა რომელიმე გვერდზე დამარხვის ერთი მეთოდი არ იყო გავრცელებული და მათი რეგულირება ცალკეული მიკროკულტურული ჯგუფის შიგნით უნდა მომხდარიყო, თუმცა ერთ კონკრეტულ სამაროვანზეც საკმაოდ ხშირად არ გვხვდება მსგავსი განსაზღვული წესი.

რაც შეეხება ფსედახის, ისტი-სუს, კომაროვოსა და ქვემო ჯულათის ძეგლებზე სამარხებში შინაურ ცხოველთა ძვლების მიკვლევის ფაქტს, ეს

მიანიშნებს ადგილობრივ მოსახლეობას შორის მესაქონლეობის, კერძოდ მეცხვარეობისა და მეღორეობის განვითარებაზე და მათ დიდ როლზე ყობანური კულტურის მატარებელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც კარგად აისახა მათ მიერ დატოვებულ არქეოლოგიურ მასალასა და მათ შორის მიცვალებულთა დაკრძალვის წესშიც.

ორმოსამარხებით იყვნენ წარმოდგენილი შემდეგი ძეგლები: ნიკოლაევსკი, ზემო ჩეგემი, გუნდელენი, ზაიუკოვო, ქვემო ქურფი, ნალჩიკი, ტერსკი, აბუ-ყაბაკი, "მებელნაია ფაბრიკა", ბერეზოვკა I, ულუბაღანალი. ამავდროულად, ერთეული სამარხები გვხვდება ყობანური კულტურის მთელ პერიმეტრზე. ყველა აღნიშნულ ძეგლზე, შესწავლილ ორმოსამარხებში ინჰუმაციის წესია გაბატონებული, თუმცა მათი აღწერილობა არ გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში. რიგ შემთხვევებში ეს მათი შემთხვევითი აღმოჩენითა და დაზიანებით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ძეგლის მძარცველური გათხრების გამო არის გამოწვეული (ნიკოლაევსკი). მათი ქრონოლოგიური ჩარჩო საკმაოდ ფართოა და მოიცავს ძვ.წ. I ათასწლეულის დამდეგიდან, ვიდრე ძვ.წ. VI–V საუკუნეებამდე პერიოდს.

II – *ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხები.*

II ტიპის, ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხები გვხვდება ყობანური კულტურის განვითარების უკანასკნელ საფეხურზე და ძირითადად ძვ.წ. VI-V საუკუნების მიჯნითაა დათარიღებული. სამარხის აღნიშნული ტიპის არეალი მოიცავს ყობანური კულტურის აღმოსავლურ ვარიანტს, თუმცა წარმოდგენილია ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის დასავლეთ მხარეშიც (ყუმუში, მინერალნიე ვოდი). პირველ რიგში, გამოსარჩევია მუჟიჩისა და ნესტეროვსკაიას სამაროვნები (ინგუშეთი, სუნჟის რაიონი), სადაც სამარხის ეს ტიპი დომინანტურ როლს თამაშობს.

მუჟიჩის სამაროვანზე დაკრძალვის წესი სამარხ-კონსტრუქციათა მსგავსად ერთგვაროვნებით ხასიათდება. მიცვალებულები, როგორც წესი, მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში განისვენებდნენ, თავით სამხრეთ-

დასავლეთისაკენ ორიენტირებულნი [Мунчаев, 1963: 201]. სამარხთა ნაწილში დიდი ოდენობით ნახშირი დაფიქსირდა, როგორც მათ შიგნით, ასევე ზემოდან მოწყობილ ქვაყრილებშიც. ეს ფაქტი დაკრძალვის პროცესში ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებულ გარკვეული სახის რიტუალზე უნდა მიუთითებდეს, თუმცა ოსტეოლოგიურ მასალაზე ცეცხლის კვალი არ შეიმჩნეოდა. №8/72 სამარხში მამრობითი სქესის წარმომადგენელი მარჯვენა გვერდზე, ოდნავ მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოქცეული დაუკრძალავთ. საინტერესოა მიცვალებულისათვის ჩატანებული სამარხეული ინვენტარის განთავსება: სახის წინ მოთავსებული იყო რკინის შუბისპირი, მკერდის არეში – სვასტიკის გამოსახულებიანი ბრინჯაოს ბალთა, მიცვალებულის ფეხებთან კი თიხის ბადია [Мунчаев, 1963: 145].

მუჟიჩის სამაროვანზე გამოვლენილ იქნა 7 წყვილადი სამარხიც. №12 და №73/137 სამარხებში მიცვალებულები ერთმანეთისაკენ სახით იყვნენ მოქცეული. აქედან №73/137 სამარხში მოზარდები ყოფილან დაკრძალული. №41/105 სამარხში კი ორივე მიცვალებული (ქალი და მამაკაცი) მარჯვენა გვერდზე ყოფილა დასვენებული, თავით სამხრეთ-დასავლეთის მხარეს ორიენტირებული [Мунчаев, 1963: 164]. აღსანიშნავია, რომ №27/91 წყვილადი სამარხიდან, პირველი ჩონჩხი, რომელიც ინვენტარის მიხედვით მდედრობითი სქესისა უნდა ყოფილიყო, მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული იყო მოთავსებული. მეორე ჩონჩხის ძვლების ანატომიური განლაგება დარღვეული ყოფილა და მიხვეტილი იყო თავის ქალასთან, ხოლო მენჯის ძვლები ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ყოფილა მოქცეული. ინვენტარის მიხედვით ეს ჩონჩხიც ქალს უნდა კუთვნებოდა, რომლის ძვლებიც, მეორე მიცვალებულის დაკრძალვისას სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში მიუხვეტავთ [Мунчаев, 1963: 156].

მუჟიჩის სამაროვნის ყველა ზემოთ მოყვანილი წყვილადი სამარხი, სავარაუდოდ, საოჯახო განსასვენებელს უნდა წარმოადგენდეს, რომელშიც ერთი ოჯახის წევრებს სქესისა და ასაკის განურჩევლად ასაფლავებდნენ. ძეგლზე განსაზღვრული ყოფილა მათი თავით რომელიმე მხარეს ორიენტირების წესი, რადგან უმეტესად სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოქცევის ჩვეულება გვხვდება. თუმცა, ეს არ შეიძლება ითქვას მიცვალებულთა რომელიმე გვერდზე მოთავსების შემთხვევაში, რადგან აქ სქესისა და ასაკის მიხედვით კანონზომიერება, ჩვენი აზრით, არ შეინიშნება, თუმცა ქვაყრილით დაფარულ

ინდივიდუალურ ორმოსამარხებში მარცხენა გვერდზე ძირითადად მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს მარხავდნენ. მამაკაცის მარცხენა გვერდზე მოთავსების ფაქტი მხოლოდ №38/102 სამარხშია დადასტურებული. მიცვალებულის დაკრძალვისას ხშირად სრულდებოდა აღაპის წესი, რისი მანიშნებელიცაა №№ 51/115, 52/116, 62/126, 75/139 სამარხებში მიკვლეული წვრილფეხა საქონლის (ცხვრის) ოსტეოლოგიური მასალა.

ნესტეროვსკაიას სამაროვანი, რომელიც მუჟიჩის სიახლოვეს მდებარეობს, არა მარტო სამარხი-კონსტრუქციების, არამედ დაკრძალვის წესითაც მჭიდრო კავშირს ავლენს მასთან, რაც მათი ტერიტორიული სიახლოვით უნდა ყოფილიყო განპირობებული, თუმცა თვალში საცემია მთელი რიგი სხვაობები. ეს, პირველ რიგში, მიცვალებულთა თავით რომელიმე მხარეს ორიენტირებაზე შეიძლება ითქვას. თუ მუჟიჩის სამაროვანზე სამხრეთ-დასავლეთის მხარეს მოქცევა დომინირებდა, ნესტეროვსკაიაზე მსგავსი დადგენილი წესი არ გვხვდება. აქ, სამარხთა საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილში, მცირე გამონაკლისის გარდა, უპირატესად მიცვალებულთა თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებაა გავრცელებული.

ნესტეროვსკაიას სამაროვანზე საკმაოდ ხშირად გვხვდება წყვილადი დაკრძალვის ფაქტებიც. მათ გარდა ძეგლზე კოლექტიური სამარხიცაა (№8) გამოვლენილი, რომელიც 6 ადამიანის განსასვენებელს წარმოადგენდა. ყველა მათგანი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, ერთმანეთზე რიგრიგობით, ზემოდან იყო დაკრძალული. ზედა ორი ჩონჩხი ქალებს, ხოლო ქვედა ოთხი მამრობითი სქესის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ. ინვენტარის კუთხით, სამარხი მრავალრიცხოვან იარაღ-სამკაულს შეიცავდა [Крупнов, 1960: 406]. ის წყვილადი სამარხების მსგავსად, საოჯახო კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს, რომელშიც ოჯახის წევრებს რიგრიგობით ასაფლავებდნენ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ნესტეროვკაიას სამაროვანზე ცალკეულ შემთხვევებში მიცვალებულებს სამარხის ძირზე სპეციალურად მოწყობილ საგებზე ათავსებდნენ. ამაზე მიანიშნებს №47 სამარხის წვრილი კენჭებით მოწყობილი ძირი. საინტერესოა № 49 სამარხიც, რომელშიც თავით სამხრეთისაკენ ორიენტირებით, მდედრობითი სქესის წარმომადგენელი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში იყო დაკრძალული. მის ფეხებთან კი იდენტურ პოზაში, ოღონდ თავით აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული მცირეწლოვანი ბავშვი დაუმარხავთ [Крупнов, 1960: 415]. სამარხის ძირის

დონეზევე კონცენტრირებული იყო დიდი ოდენობით კერამიკული ჭურჭელი და ცხოველის ძვლის ფრაგმენტები, რაც აღაპის წესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, თუმცა მუჟიჩის სამაროვნისაგან განსხვავებით, მის ნარჩენებს უშუალოდ სამარხში კი არა, არამედ მის სიახლოვეს ათავსებდნენ.

ყობანური კულტურის დისპერსიის დასავლეთ ნაწილში მსგავსი კონფიგურაციის სამარხები გამოვლენილია აულ ყუმუშთან (ყარაჩაი-ჩერქეზეთი) და მინერალნიე ვოდის (სტავროპოლის მხარე) სამაროვანზე. ყუმუშის ქვაყრილიანი სამარხი დაკრძალვის წესით რადიკალურად განსხვავდება ნესტეროვსკაიასა და მუჟიჩის სამარხებისაგან, თუმცა დათარიღებულია ერთი პერიოდით, ძვ.წ. VI-V საუკუნეებით [Алексеева, 1982: 11]. სამარხის ძირზე მიცვალებულის დამწვარი ძვლები ცხოველის ძვლებთან და სამარხეულ ინვენტართან ერთად ყოფილა მოთავსებული, რაც კრემაციის წესის მანიშნებელია. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, აღნიშნულ ინვენტარს და ცხოველის ძვლებს ეტყობოდათ თუ არა ცეცხლის კვალი, რაც მოგვცემდა იმის დადგენის საშუალებას, მიცვალებულის კრემაციის პროცესში მოათავსეს ისინი სამარხში, თუ კრემაციის შემდეგ.

რაც შეეხება მინერალნიე ვოდის სამაროვანს, აქ ქვაყრილით დაფარულ №4 სამარხში მიცვალებულის დაკრძალვის წესის განსაზღვრა ვერ მოხერხდა, რადგან სამარხი დარღვეული იყო, ხოლო ოსტეოლოგიური მასალა – არეული [Егоров, 1955: 57].

ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხების გავრცელების ტერიტორია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოიცავს ყობანური კულტურის აღმოსავლურ და დასავლურ ვარიანტებს. მებელნაია ფაბრიკას სამაროვნის გამოკლებით, რომლის ქვაყრილიანი ორმოსამარხიც დარღვეული იყო, მათ შორის დიდი სხვაობა შეინიშნება.

ყუმუშის სამაროვანზე დადასტურებული კრემაციის წესი უცნობია თანამედროვე ინგუშეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი II ტიპის სამარხთათვის. ზოგადად, კრემაციის ტრადიცია არა მარტო ამ ტიპის სამარხებისათვის, არამედ მთლიანად აღმოსავლური ვარიანტისათვის უცხო მოვლენას წარმოადგენს. ის არ არის დადასტურებული არც თანამედროვე ინგუშეთისა და არც ჩეჩნეთის ტერიტორიებზე. კრემაციის წესი დამახასიათებელია ყობანური კულტურის ცენტრალური და დასავლური ვარიანტებისათვის, თუმცა ძეგლების რიცხვი, რომლებზეც აღნიშნული წესი გვხვდება, რაოდენობრივად ძალზედ მცირეა.

საერთოდ, კრემაციული სამარხები ყობანური კულტურის ადრეულ ეტაპს მიეკუთვნებიან. თუმცა მიცვალებულთა კრემირების ტრადიცია შედარებით მოგვიანო ძეგლებზეცაა წარმოდგენილი, კერძოდ მუკულანსა (ჩეგემის ხეობა) და ბულუნგუზე (ბაქსანის ხეობა). მათზე მსჯელობა მხოლოდ იმ მწირი ინფომაციის მეშვეობითაა შესაძლებელი, რომელთა მიხედვითაც ამ ძეგლებზე შემთხვევით იქნა გამოვლენილი ადამიანის დამწვარი ძვლები და წიდად ქვეული სამარხეული ინვენტარი [Чеченов, 1969: 38]. აღნიშნულ სამარხთა თაობაზე მსჯელობა და სხვა ძეგლებთან მიმართებაში განხილვა შეუძლებელია. მაგრამ შესაძლებლობა გვაქვს დავინახოთ მიცვალებულთა კრემაციის წესის გავრცელების გეოგრაფიული სურათი.

III – *ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხები.*

III ტიპის სამარხები წარმოდგენილია ულუბაღანალის სამაროვანზე (ყარაჩაი-ჩერქეზეთი), თუმცა დაკრძალვის წესზე საუბარი, სამარხი-კონსტრუქციის დეტალების მსგავსად, შეუძლებელია. ძეგლი 1977-79 წლებში ითხრებოდა ვ. კოვალევსკაიას მიერ. ეშკაკონის ხეობა, სადაც აღნიშნული სამაროვანი მდებარეობს, ქ. კისლოვოდსკიდან დასავლეთით 18 კმ-ის, თვითონ ძეგლი კი 30 კილომეტრის დაშორებითაა. სამაროვანი მდინარე ეშკაკონის მარჯვენა შენაკადის ულუბაღანალის (მურთაზ-ყოლ-აიღი) მიერ ფორმირებულ კონუსისებრ შემაღლებაზე იყო მოწყობილი, რომლის სიგრძე 30მ, ხოლო სიგანე 10 მ-ია. სამაროვანს სამი მხრიდან სამოსახლო ესაზღვრებოდა, რომლისგანაც სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ქვის ყორით ყოფილა გამოყოფილი [Ковалевская, 1984: 32]. საერთო ჯამში, შესწავლილი 24 სამარხიდან, 11 მამაკაცის, 6 ქალისა და 5 ბავშვის კუთვნილებას, ხოლო დანარჩენი 2 კენოტაფს წარმოადგენდა.

ულუბაღანალის სამაროვანი ვ. კოვალევსკაიას მიერ ძვ.წ. VII საუკუნის მესამე მეოთხედითა და ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისით არის დათარიღებული [Ковалевская, 1984: 49] და მასზე მიცვალებულთა ინჰუმაციის წესია გაბატონებული.

ცნობათა სიმწირის გამო, შეუძლებელია ულუბაღანალის დეტალური განხილვა სხვა ძეგლებთან მიმართებაში. ყობანური კულტურის აღმოსავლურ ვარიანტში, ქვებით კედლების შემოწყობა დადასტურებულია ნესტეროვსკაიას სამაროვანზე, სადაც ულუბაღანალის მსგავსად მიცვალებულთა ინჰუმაციის ტრადიციაა გავრცელებული. მათ ქვაყრილით დაფარულ ორმოსამარხთა განხილვისას შევეხეთ და დაკრძალვის წესის მხრივ სხვა ტიპის სამარხთაგან არაფრით განსხვავდებიან.

IV – *სამარხი-აკლდამები.*

აღნიშნული ტიპის სამარხები ყობანური კულტურის განვითარების ადრეულ საფეხურზე გვხვდება და წარმოდგენილია ზემო რუთხასა (ოსეთი) და ტერეზეს (ყარაჩაი-ჩერქეზეთი) სამაროვნებზე. ზემო რუთხას სამარხი-აკლდამა ძვ.წ. I ათასწლეულის დამდეგითაა დათარიღებული, რომელშიც 50-მდე ინდივიდის, მათ შორის ბავშვების, სანახევროდ კრემირებული ძვლები იქნა აღმოჩენილი. სამარხი დიდი ოდენობით ინვენტარს შეიცავდა, რომელთა უმრავლესობა ცეცხლის ზემოქმედების შედეგად დაზიანებულა [Кривицкий... 1976:131]. როგორც ჩანს, მიცვალებულთა კრემირება თანმხლებ ინვენტართან ერთად უშუალოდ აკლდამაში ხდებოდა.

ძეგლის გამთხრელის მიერ შემოთავაზებული დაკრძალულთა რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, ზემო რუთხას კოლექტიურ სამარხი-აკლდამის შემთხვევაში, საქმე, შესაძლოა, ერთი გვარის ან უფრო ფართო წრის წარმომადგენელთა განსასვენებელ აკლდამასთან გვქონდეს, რომლის მოსაწყობად გამოყენებული ქვით ნაგები კონსტრუქცია სამარხის დიდი ხნის განმავლობაში ფუნქციონირებაზე უნდა მიუთითებდეს.

ყობანური კულტურის სამარხეული ძეგლებიდან გამორჩეული ადგილი უჭირავს ტერეზეს სამაროვანს. აქ გამოვლენილია ორი კოლექტიური სამარხი-აკლდამა, რომლებიც მოზრდილი ბრტყელი ქვებისაგან იყვნენ ნაგები. მათ კვადრატული ფორმა ჰქონდათ და სიგრძესა და სიგანეში 6 მეტრს აღწევდნენ. ისინი კოლექტიურ სამარხ-კონსტრუქციებს წარმოადგენდნენ, რომლებშიც ჯერ

კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდან მიცვალებულთა კრემაციისა და ინჰუმაციის წესი ერთდროულად იყო გავრცელებული.

ტერეზეს №1 სამარხ-აკლდამაში მიცვალებულთა ძლიერ დამწვარი ძვლები სპეციალურად ამოღრმავებულ ოვალური ფორმის ორმოებში მოუთავსებიათ. სამარხში არანაკლებ 27 ინდივიდის კუთვნილი ფრაგმენტირებული ძვლები დაფიქსირდა. სამარხ-აკლადამაში დაკრძალული იყო ორივე სქესის 13 მოზრდილი ადამიანი და 14 ბავშვი (1 – ახალშობილი, 5 – 4-6 წლამდე ასაკისა, 5 – 11-15 წლამდე ასაკის, ხოლო ერთიც 15-16 წლის მოზარდი) [Козенкова 2004: 22]. №1 სამარხ-აკლდამაში მიცვალებულთა საკრემაციოდ ცალკე კამერა იყო გამოყოფილი, განსხვავებით №2 აკლდამისგან, სადაც ადამიანთა კრემაცია, მათ თანმხლებ ინვენტართან ერთად, პირდაპირ სამარხში ხდებოდა. საერთო ჯამში, №2 სამარხ-აკლდამაში 500-მდე ნივთი გამოვლინდა, მათ შორის 20 ერთეული მთელი ჭურჭელი [Козенкова 2004: 34]. აღნიშნულ სამარხში ვ. კოზენკოვამ 21 კომპლექსი გამოჰყო. რაც შეეხება ქრონოლოგიურ ჩარჩოს, ვ. კოზენკოვამ ამ ორი სამარხი-აკლდამის ფუნქციონირების პერიოდი ძვ.წ. XII-VIII საუკუნეებს შორის მოათავსა [Козенкова, 2004: 149-155].

მესამე სამარხი, რომელიც ამავე ტიპს განეკუთვნება №2 სამარხიდან 16 მ-ით იყო დაშორებული. სამარხის მოფილაქნებულ ძირზე ორი მიცვალებული ყოფილა მოთავსებული, ერთმანეთის მიმართ ზურგშექცევით [Козенкова, 2004: 60-63]. მამაკაცი მარცხენა გვერდზე, ოდნავ მოხრილი, ხოლო ქალი მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი განისვენებდა. სამარხში, რომელშიც მრავალრიცხოვან ინვენტართან ერთად ორი მიცვალებულისა და ცხენის ჩონჩხი აღმოჩნდა, ვ. კოზენკოვას მიერ ძვ.წ. VIII საუკუნის II ნახევრით არის დათარიღებული [Козенкова, 2004: 137].

როგორც ვხედავთ, ტერეზეს სამაროვანზე დადასტურებულია მიცვალებულთა როგორც კრემაციის, ასევე ინჰუმაციის წესი. კრემაციული სამარხი-აკლდამები ყობანური კულტურის ადრეულ საფეხურს განეკუთვნება, თუმცა საეჭვოა მათი გამოყენება საუკუნეთა მანძილზე მომხდარიყო, რადგან შეუძლებელია რამდენიმე ათეული მიცვალებული ასეთი დიდი დროის განმავლობაში ერთი კონსტრუქციის შიგნით მოექციათ. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ №1 სამარხ-აკლდამაში ნახევარზე მეტი 16 წელზე უმცროსი ასაკის ინდივიდი იყო დაკრძალული. წარმოუდგენელია როგორ უნდა მომხდარიყო 27 ინდივიდის, მათგან ნახევარზე მეტი ბავშვის განმარხვა, 3-4 საუკუნის მანძილზე.

სავარაუდოდ, აღნიშნული კრემაციული სამარხი-აკლდამები ერთმანეთთან ნათესაობრივად დაკავშირებული ჯგუფის წარმომადგენელთა განსასვენებლად გამოიყენებოდა და მათი ფუნქციონირება რამდენიმე ათწლეულს შეიძლება გაგრძელებულიყო, თუ რომელ პერიოდში ამას მომავალი კვლევა აჩვენებს და ამ ეტაპზე რაიმე დასკვნების გაკეთება თითქმის შეუძლებელია.

საკმაოდ რთულია მსჯელობა IV ტიპის სამარხ-კონსტრუქციათა და მათში დადასტურებული დაკრძალვის წესის (სრული ან ნაწილობრივი კრემაცია) წარმომავლობის თაობაზე მსჯელობა. თუ გავითვალისწინებთ ბრილის სამაროვნის მონაცემებს, მათი წარმოშობა და დამკვიდრება ცენტრალური კავკასიის მთიანეთში უნდა მომხდარიყო, რადგან კავკასიისა და მოსაზღვრე რეგიონების სხვა მხარეებში მსგავსი, ან მიახლოებული სახის ადრეული პერიოდის კონსტრუქცია/დაკრძალვის წესი არსად გვხვდება.

V – *ქვაყუთები.*

V ტიპის სამარხები – ქვაყუთები, ყობანური კულტურის ცენტრალურ და დასავლეთ არეალში გვხვდება და ჩვენ ისინი 3 ქვეტიპად დავყავით:

1. *წაგრძელებული.*
2. *კვადრატთან მიახლოებული.*
3. *ტრაპეციის მაგვარი.*

I ქვეტიპის ქვაყუთები მიკვლეულია შემდეგ ძეგლებზე: ყობანი, ელკუში, ბერეზოვკა III, ულუბადანალი, ინდუსტრია I, სულტან-გორა III, ტამგაციკი.

ყობანის სამაროვანი ჩრდილოეთ კავკასიაში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ეტალონურ ძეგლს წარმოადგენს, თუმცა მასზე გავრცელებული დაკრძალვის წესზე მსჯელობა მხოლოდ რამდენიმე სამარხის მეშვეობითაა შესაძლებელი. მიცვალებულებს აქ მოხრილ მდგომარეობაში, უპირატესად

მარჯვენა გვერდზე მოთავსებულებს მარხავდნენ, რომელთაც ყოველდღიურ გამოყენებაში მყოფ ნივთებთან ერთად, დიდი ოდენობით საბრძოლო იარაღსა და სამკაულს ატანდნენ. ე. შანტრი მის მიერ შესწავლილ სამარხებში ნივთიერ მასალას სამ ძირითად ქვეტიპად ჰყოფდა [Chantre, 1883: 206-208]:

1) საბრძოლო იარაღი.

2) სამკაული და ჰიგიენური საშუალებები.

3) ჭურჭელი.

ე. შანტრის მიერ გამოვლენილი სამარხებიდან მიცვალებულის თანმხლები ინვენტარის მრავალფეროვნებით გამოსარჩევია №1 სამარხი (ტაბ. XXIII). შემდეგში ეს სამარხი გადანომრილ იქნა და სამეცნიერო ლიტერატურაში შესულია როგორც №9 სამარხი [Bedianashvili, Bodet: 281-284]. ქვაყუთში ინვენტარის მიხედვით, მდედრობითი სქესის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო დაკრძალული. მიცვალებული ოდნავ ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე მოუთავსებიათ. მრავალრიცხოვანი სამარხეული ინვენტარის ფონზე გამოსარჩევია სამარხში მიკვლეული ცხვრის, ღორის ძვლები და 5 ნიჟარა [Chantre, 1882: 244-245].

საქონლის ძვლების ჩატანება აღაპის რიტუალს უნდა უკავშირდებოდეს და ყობანური კულტურის ცენტრალურ ვარიანტში კომაროვოს შედარებით მოგვიანო პერიოდის სამაროვანზეცაა დადასტურებული, თუმცა იმ ძეგლზე ქვაყუთები არ არის მიკვლეული და მხოლოდ მარტივი კონფიგურაციის მქონე ორმოსამარხებია გამოვლენილი [Абрамова, 1974: 195]. როგორც ვხედავთ, ყობანის სამაროვნის მეცნიერული გზით შესწავლილი ყველა სამარხი ინჰუმაციურია და კრემაციის წესი არ დასტურდება.

ყობანისაგან განსხვავებით, მიცვალებულთა კრემაციის ტრადიციის არსებობა დადასტურებულია ზემო რუთხას სამაროვანზე. ჩვენს მიერ ზემოთ განხილული კრემაციული სამარხი-აკლდამის გარდა, 1889 წელს ვ. დოლბეჟევის მიერ გათხრილ ორ სამარხში მიცვალებულის ძვლებსა და სამარხეულ ინვენტარს ცეცხლის ძლიერი ზემოქმედების კვალი ეტყობოდა [Козенкова, 1982: 17-18].

ზემო რუთხას სამაროვანზე ე. კრუპნოვის მიერ შესწავლილი ქვაყუთების უმრავლესობა კი დაზიანებული ყოფილა და მხოლოდ ცალკეული ინვენტარი იყო შემორჩენილი. ოსტეოლოგიური მასალა შედარებით უკეთესად №19 სამარხში იყო დაცული. მიცვალებული აქ თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ

მოქცეული მოუთავსებიათ [Крупнов, 1960: 230]. ზემო რუთხას ქვაყუთებში დაკრძალვის წესის სრული სახით რეკონსტრუირება შეუძლებელია, თუმცა, როგორც ჩანს, აქ მიცვალებულთა ინჰუმაციისა და კრემაციის წესი ერთდროულად ყოფილა გავრცელებული და ქრონოლოგიური კუთხითაც მათ შორის სხვაობა არ შეინიშნება.

დაკრძალვის ინჰუმაციური წესი გვხვდება სხვა ძეგლებზე მიკვლეულ I ქვეტიპის ქვაყუთებშიც. ინდუსტრია I-ზე (ქ. კისლოვოდსკი, სტავროპოლის მხარე) მიკვლეულ სამარხებში მიცვალებულები როგორც მარჯვენა გვერდზე (მამაკაცები), ისე მარცხენა გვერდზე (ქალები) ყოფილან მოთავსებული. სამარხეული ინვენტარი სხვადასხვა ტიპის ნივთებით იყო წარმოდგენილი. ყველაზე მრავალრიცხოვანი ინვენტარი დაფიქსირდა №7 სამარხში (ტაბ. XXXVII, 1), რომელშიც მდედრობითი სქესის წარმომადგენელი დაუკრძალავთ [Афанасьев, 1981: 165-167]. სამარხში მიკვლეულ იქნა: თავსამკაულის დეტალები, ხატისუღელი, სამაგრები, საკიდები, ბალთები, 85 მძივი (ბრინჯაო, სარდიონი, აქატი, მინა), ბრინჯაოს ღილები, თიხის ქოთანი, ლანგარი და სხვ.

ინდუსტრია I-გან განსხვავებული სიტუაციაა ელკუშის სამაროვანზე. აქ გამოვლენილ I ქვეტიპის ქვაყუთში ნივთიერი მასალა არ დაფიქსირდა. ელკუშის სამაროვანზე გათხრილი სამარხებიდან ინვენტარი მხოლოდ შვიდ ქვაყუთში გამოვლინდა და ისიც ძირითადად მცირე ოდენობის კერამიკის, ბრინჯაოს დანებისა და სამკაულთა ფრაგმენტების სახით იყო წარმოდგენილი, რომელთა საფუძველზეც ძეგლი ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს [Погребова, 1970: 108].

მიცვალებულთა თანმხლები ინვენტარი, როგორც დავინახეთ, I ქვეტიპის ქვაყუთთა შემცველ ძეგლებზე არათანაბარი ოდენობითაა წარმოდგენილი. საკმაოდ დიდია იმ ძეგლების რიცხვი, სადაც ნივთიერი მასალა მცირე რაოდენობით, ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი. ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, გამორიცხავს ქვაყუთებში სოციუმის დაწინაურებული წევრების დაკრძალვის ტრადიციის არსებობის შესაძლებლობას, თუმცა ამ ფაქტორის არგათვალისწინებაც უმართებულო იქნებოდა.

საინტერესო ფაქტია დაფიქსირებული სულთან-გორა I-ზე გამოვლენილი მასიური კონსტრუქციის შიგნით მოწყობილ ქვაყუთებში. აქ, სამარხების ირგვლივ, ძირის დონეზე მრავლად დაფიქსირდა ცეცხლის კვალი, კერამიკის ფრაგმენტები და ცხოველის ძვლები, რაც გარკვეული სახის რიტუალზე

მიანიშნებს. 3 სამარხი ინდივიდუალური იყო, რომლებშიც მიცვალებულები მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე განისვენებდნენ, თავით დასავლეთისაკენ ორიენტირებულნი. ერთ სამარხში მამაკაცისა და ქალის სახით ერთმანეთისკენ მიმართული ჩონჩხი აღმოჩნდა. მამაკაცი მარჯვენა, ხოლო ქალი მარცხენა გვერდზე ყოფილა დაკრძალული [Членова, 1977: 101]. როგორც ყობანური კულტურის სხვა ტიპის სამარხებში დადასტურებული დაკრძალვის წესზე საუბრისას აღინიშნა, ცხოველის ძვლებისა და კერამიკის ფრაგმენტების აღმოჩენა აღაპის რიტუალს უნდა უკავშირდებოდეს და სხვადასხვა ტიპის სამარხებში მისი გავრცელება მიუთითებს მათში დამარხულ ინდივიდთა კულტურულ სიახლოვეზე. სულთან-გორაზე დაფიქსირებული წყვილადი დაკრძალვის შემთხვევაც ყობანური კულტურის მრავალ ძეგლზეა დადასტურებული.

II ქვეტიპის, კვადრატთან მიახლოებული მოყვანილობის ქვაყუთები გამოვლენილია ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის შემდეგ ძეგლებზე: ადაიდონი, ისპრავნაია, ინდუსტრია I, ელკუში, სულთან-გორა I, ტამგაციკი, ულუბაღანალი, ბერეზოვკა I.

ადაიდონის სამაროვნის (დიგორი) გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხებში მიცვალებულებს ხელფეხმოკეცილებს, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე ათავსებდნენ, თავით სამხრეთისაკენ, აღმოსავლეთისაკენ ან დასავლეთისაკენ ორიენტირებულებს [Чшиев, 2008]. ამ კუთხით, ის რადიკალურად განსხვავდება ყობანური კულტურის ცენტრალური ვარიანტის სხვა ძეგლებისაგან და კოლხური კულტურის სამაროვნებისაგან, კერძოდ თლიასაგან, სადაც მიცვალებულთა თავით დახრა უპირატესად ჩრდილოეთის მხარეს ხდებოდა.

ყობანური კულტურის არეალის დასავლეთ ნაწილში მდებარე ბერეზოვკა I-ის ინდივიდუალურ სამარხებში მამაკაცები მარჯვენა, ხოლო ქალები მარცხენა გვერდზე იყვნენ დაკრძალული. კერამიკული ჭურჭელი, რომელიც ყველა სამარხში იქნა დადასტურებული, ყოველთვის მიცვალებულის სახის წინ იყო მოთავსებული. 25 სამარხიდან 6 შემთხვევაში, მიცვალებულები თავით აღმოსავლეთისაკენ იყვნენ ორიენტირებულნი, ხოლო 19 შემთხვევაში – სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ [Виноградов, 1976: 41].

მამაკაცების მარჯვენა, ხოლო ქალების მარცხენა გვერდზე მოთავსება არ წარმოადგენს ყობანური კულტურისათვის უცხო მოვლენას. დასავლურ ვარიანტში მსგავსი წესი გვხვდება ყიზილ-ყალასა და ბელორეჩენსკის ორმოსამარხებში და ინდუსტრია I-ის ქვაყუთებში, თუმცა სხვა ძეგლებზე მსგავსი დადგენილი წესი, როგორც ჩანს, არ მოქმედებდა, რადგან ხშირია მამაკაცთა მარცხენა, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა მარჯვენა გვერდზე მოთავსების ფაქტები (ტერეზე, ქვემო ჯულათი).

რაც შეეხება ყობანური კულტურის დასავლეთით გავრცელების ბოლო პუნქტს, სტანიცა ისპრავნაიას მახლობლად გამოვლენილ სამაროვანს, აქ გათხრილი სამარხების დიდი ნაწილი ინდივიდუალურ ქვაყუთებს წარმოადგენდა. 11 სამარხიდან მხოლოდ ოთხში დადასტურდა წყვილადი დამარხვის წესი (სამარხები №№ 6, 7, 10, 13). მიცვალებულები მოხრილ მდგომარეობაში, ძირითადად მარჯვენა გვერდზე განისვენებდნენ, მათ შორის წყვილად სამარხებშიც. მხოლოდ 3 სამარხში (№№ 1, 2, 14) მიცვალებულები მარცხენა გვერდზე იყვნენ დაკრძალული. მიცვალებულთა თავით ორიენტირება, მსგავსად ყობანური კულტურის სამაროვნების დიდი ნაწილისა, არაერთგვაროვანია, თუმცა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დახრა სჭარბობდა.

აღაპის რიტუალის შესრულების დამადასტურებელია ისპრავნაიას სამაროვნის II ქვეტიპის ქვაყუთები, სადაც №№ 1, 6 და №13 სამარხების სახურავის ფილებზე მოთავსებული იყო შინაური და გარეული ცხოველის ძვლები [Козенкова, Найденко, 1980: 195 – 280]. მსგავსი ფაქტი არ გვხვდება ყობანური კულტურის სხვა ძეგლებზე, სადაც მიცვალებულის სახელზე დამზადებული საკვების ნაშთები უშუალოდ სამარხებში (კომაროვო, მუჟიჩი) ან მათ სიახლოვეს არის მიკვლეული (ნესტეროვსკაია).

ზოგადად, როგორც ისპრავნაიას სამაროვანზე, ისე II ტიპის ქვაყუთების შემცველ სხვა სამაროვნებზეც დაკრძალვის ინჰუმაციური წესია გაბატონებული და მკვეთრად არ განსხვავდება I ქვეტიპის ქვაყუთების შემცველი ძეგლებისაგან. თუმცა, ორივე ქვეტიპის სამარხებში გვხვდება ცეცხლის კვალი, რაც მიცვალებულის სამარხში მოთავსებამდე ჩატარებულ გარკვეულ რიტუალს უნდა უკავშირდებოდეს.

III ქვეტიპის ქვაყუთებში გავრცელებული დაკრძალვის წესის შესახებ საკმაოდ მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება, თუმცა უნდა ვივარაუდოთ ინჰუმაციის

წესის არსებობა (უჩქულანი), რადგან ცეცხლის კვალი დადასტურებული არ ყოფილა.

ქვაყუთების შემცველ ძეგლთა მნიშვნელოვან ნაწილზე საკმაოდ მწირი ცნობები გაგვაჩნია, რაც ართულებს ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის აღნიშნული ტიპის სამარხებში დაკრძალვის წესის თაობაზე მსჯელობას. იმ ცნობების მეშვეობით, რომელთა დამუშავება და ანალიზიც მოხერხდა, შეიძლება სხვადასხვა სახის დასკვნების გაკეთება.

ყობანური კულტურის არეალში ქვაყუთები მხოლოდ ცენტრალურ და დასავლურ ვარიანტებში გვხვდება და უცნობია თანამედროვე ჩეჩნეთისა (აღმოსავლეთ ნაწილის გამოკლებით) და ინგუშეთის ტერიტორიებისათვის. ქვაყუთები, როგორც სამარხის ერთ-ერთი დომინანტური ტიპი ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ყალიბდება და ფართოდ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში ვრცელდება. მოგვიანო პერიოდში ისინი უკვე აღარ თამაშობენ მნიშვნელოვან როლს და საკმაოდ მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი.

დაკრძალვის წესის მხრივ ქვაყუთების აბსოლუტური უმრავლესობა ინჰუმაციურია, თუმცა გვხვდება კრემაციის ტრადიციაც. ამ ორი რადიკალურად განსხვავებული ჩვეულების გავრცელება დამოკიდებული არ უნდა ყოფილიყო გეოგრაფიულ, თუ მიკროკულტურულ სხვაობაზე, რადგან დადასტურებულია ერთი სამაროვნის მასშტაბით. ამის ნათელი მაგალითია ზემო რუთხას სამაროვანი, სადაც თანაარსებობდა მიცვალებულთა ინჰუმაციისა და კრემაციის წეს-ჩვეულება. აღსანიშნავია, რომ მათი გავრცელების კუთხით ქრონოლოგიური სხვაობა არ შეინიშნება და ე. კრუპნოვის მიერ ისინი ერთი პერიოდით, ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით არიან დათარიღებული [Крупнов, 1960: 230].

ერთ სამაროვანზე ასეთი მკვეთრი სხვაობა, შესაძლოა, სოციუმის წევრთა შორის რწმენა-წარმოდგენათა არაუნიფიცირებით ყოფილიყო განპირობებული. ეს ფაქტორი, არა მარტო ზემო რუთხას, არამედ ყობანური კულტურის ძეგლთა მნიშვნელოვან ნაწილზე და მათ შორის კოლხური კულტურის სამაროვნებზეცაა თვალში საცემი.

კონფესიური კუთხით სხვაობის გამომხატველია ერთი მიკროკულტურული წრის შიგნით დაკრძალვის წესის მრავალფეროვნებაც. მაგალითად, როგორც სამარხ-კონსტრუქციათა განხილვისას აღვნიშნეთ, ყობანური კულტურის ცენტრალურ ვარიანტში ქვაყუთების ტიპების გავრცელების მხრივ გეოგრაფიული კანონზომიერება ნაკლებად შეინიშნება, რაც ნათლად გამოჩნდა

ყობანისა და ადაიდონის სამაროვნების სამარხ-ნაგებობათა განხილვისას (ყობანში წაგრძელებული მოყვანილობის, ხოლო ადაიდონზე კვადრატთან მიახლოებული ფორმის ქვაყუთები არის გავრცელებული). იგივე შეიძლება ითქვას დაკრძალვის წესზეც. აქ, ერთმანეთისაგან გეოგრაფიულად არცთუ ისე დიდი მანძილით დაშორებულ ძეგლებზეც კი, მიცვალებულთა თავით რომელიმე მხარეს დახრის, პოზისა და სხვადასხვა ელემენტების კუთხით არაერთგვაროვანი სურათი გვაქვს. ეს, ჩვენი აზრით, სწორედ რწმენა-წარმოადგენათა არაუნიფიცირებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ყობანური კულტურის ქვაყუთების შემცველ ძეგლებზე, სამარხის მხოლოდ აღნიშნული ტიპი როდია გავრცელებული. მინერალნიე ვოდის სამაროვანზე ქვაყუთების გვერდით გვხვდება მარტივი კონფიგურაციის მქონე და ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხები. ასეთი სხვაობის გამომწვევ მიზეზთა შორის შესაძლოა მოგვესაზრებინა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი, თუმცა სამარხეული ინვენტარი ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს და მისი მეშვეობით სოციალურ დიფერენციაციაზე საუბარი მიზანშეუწონლად მიგვაჩნია.

ყობანური კულტურის ჩვენს მიერ განხილულ სამარხთა შორის ქვაყუთები დაახლოებით 16,4%-ს შეადგენენ. რაოდენობირვი კუთხით მათ მესამე, ხოლო გეოგრაფიული გავრცელების კუთხით მეორე ადგილი უკავიათ. დაკრძალვის წესის მხრივ კი შეიძლება ითქვას, რომ სხვა ტიპის სამარხ-კონსტრუქციებისაგან მე-5 ტიპად გამოყოფილი ქვაყუთები რაიმე განსაკუთრებული მახასიათებლებით არ გამოირჩევიან.

VI – *ყორღანული სამარხები.*

სამარხის VI ტიპის გავრცელება ყობანური კულტურის შედარებით მოგვიანო ეტაპზე ხდება და ჩრდილოეთის სტეპების კულტურათა ზეგავლენას უკავშირდება. პირველ ეტაპზე გვხვდება კომბინირებული სამარხები, რომლის თვალსაჩინო მაგალითია ზაიუკოვოს და კამენომოსტის სამაროვნებზე (ყაბარდო-ბალყარეთი) გამოვლენილი ყორღანული ყრილის ქვეშ მოქცეული ინჰუმაციური

ქვაყუთები [Чеченов, 1969]. ეს, გარკვეულწილად, ადგილობრივი და მოსული კულტურული ელემენტების შერწყმით უნდა ყოფილიყო განპირობებული. შედარებით მოგვიანო ეტაპისაა კარაბაშევოს სამაროვანი, სადაც ყორღანული ყრილის ქვეშ მოწყობილ კამერაში მიცვალებულის ძვლებს კრემაციის კვალი ეტყობოდათ [Алексеева, 1982: 12].

ყორღანული სამარხები ასევე წარმოდგენილია თანამედროვე ოსეთის, ინგუშეთისა და ჩეჩნეთის ტერიტორიებზე: მოზდოკი, ნესტეროვსკაია, მუჟიჩი, ანი-ირზო, ბოისი-ირზო. ყველა აღნიშნული ძეგლი ძირითადად ძვ.წ. VI–V საუკუნეების მიჯნითაა დათარიღებული და განეკუთვნება ყობანური კულტურის ფინალურ სტადიას.

დაკრძალვის წესით ყორღანული სამარხების შემცველი ყველა ზემოთ ნახსენები სამაროვანი ერთმანეთის იდენტურია და დიდად არ განსხვავდებიან ყობანური კულტურის სხვა ტიპის სამარხებისაგან. მუჟიჩისა და ნესტეროვსკაიას სამაროვნების შემთხვევაში, ყორღანული სამარხები ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხების გვერდით თანაარსებობენ და როგორც დაკრძალვის წესის, ისე სამარხეული ინვენტარის კუთხით მათ შორის არსებითი განსხვავება არ შეინიშნება.

მუჟიჩის სამაროვანზე ყორღანული ტიპის მხოლოდ 2 სამარხი იქნა გამოვლენილი, თუმცა დაკრძალვის წესის დადგენა ორივე სამარხის შემთხვევაში შეუძლებელი გამხდარა, რადგან ეტყობოდათ დაზიანების კვალი. მაგალითად, №88/152 ყორღანულ სამარხს ოსტეოლოგიური მასალა და ინვენტარის ნაწილი ყორღანულ ყრილში ყოფილა მოქცეული [Мунчаев, 1963: 196].

მუჟიჩის სამაროვნისაგან განსხვავებით, ნესტეროვსკაიას ყორღანულ სამარხებში დაკრძალვის წესის თაობაზე მსჯელობის საშუალება ერთი ყორღანული ყრილის მიხედვით შეგვიძლია (ტაბ. XXX, 1-6; XXXI, 1), რომლის შიგნითაც, სხვადასხვა დონეზე 13 სამარხი იყო მოწყობილი: №№ 15, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 36, 37, 38, 39, 40.

ნესტეროვსკაიას სამაროვნის აღნიშნული სამარხები დაკრძალვის წესის მხრივ არაფრით განსხვავდებოდნენ ამავე ძეგლის სხვა ტიპის სამარხებისაგან. მათი უმეტესობა ძლიერ დაზიანებული იყო და დაკრძალვის წესის თაობაზე მსჯელობა მხოლოდ მცირე ნაწილის მეშვეობითაა შესაძლებელი. მიცვალებულებს ძირითადად ხელ-ფეხმოკეცილებს, მარჯვენა ან მარცხენა

გვერდზე ათავსებდნენ, თავით უპირატესად ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. სამარხეული ინვენტარი სიმწირით გამოირჩეოდა, წარმოდგენილი იყო ძირითადად კერამიკული ჭურჭლის სახით, ხოლო №24 და №40 სამარხები საერთოდ ივენტარული მასალის გარეშე იყვნენ. გვხვდება კოლექტიური სამარხიც, კერძოდ, №21, სადაც 2 მიცვალებული მოხრილ მდგომარეობაში, ერთმანეთისაკენ ზურგშექცეულნი დაუკრძალავთ, ხოლო მესამე, ყველაზე ადრე გარდაცვლილი ინდივიდის ძვლები სამარხის აღმოსავლეთ კუთხეში მიუხვეტავთ [Крупнов, 1960: 410].

ყორღანული სამარხები წარმოდგენილია ანი-ირზოსა და ბოისი-ირზოს ძეგლებზეც (ჩეჩნეთი, გუდერმესის რაიონი). ორივე ძეგლი დაკრძალვის წესის მხრივ ერთგვაროვნებით ხასიათდება. მიცვალებულებს თანმხლებ ინვენტართან ერთად, ხელ-ფეხმოკეცილებს, უპირატესად მარჯვენა გვერდზე ათავსებდნენ. სქესობრივი ნიშნით მათი რომელიმე გვერდზე მოთავსება არ ხდებოდა, რადგან ბოისი-ირზოს №1 სამარხში (1900 წ.). მდედრობითი სქესის წარმომადგენელი თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული, მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ. ფეხებთან ჩადგმული ჰქონდა თიხის სასმისი. ფალანგებზე ბრინჯაოს 6 ბეჭედი ეკეთა, ხოლო ხელებზე ბრინჯაოსავე 4 სამაჯური. მიცვალებულს ასევე ბრინჯაოს 2 ფიბულა და ბრინჯაოსა და მინის მძივები ჰქონდა ჩატანებული [Вертепов, 1902: 57]. მიცვალებულთა თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირება მხოლოდ აღნიშნულ სამარხში გვხვდება და მთლიანად სამაროვანზე მიცვალებულთა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დახრა დომინირებდა. რაც შეეხება ანი-ირზოს, აქ ყობანური კულტურის სხვა ძეგლებისათვის დამახასიათებელ ელემენტებს ვხვდებით. კერძოდ, სამარხში საქონლის ძვლების მოთავსების ტრადიციას, რაც მიგვანიშნებს აღაპის რიტუალის არსებობაზე.

როგორც აღვნიშნეთ, ყორღანული სამარხები მიჩნეულია სკვითური გავლენის მანიშნებლად, თუმცა ამის თქმა დაკრძალვის წესის მიხედვით შეუძლებელია, რადგან ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილი და ადრეული რკინის ხანით დათარიღებული ამ ტიპის სამარხები დაკრძალვის წესის მხრივ არ განსხვავდებიან ყობანური კულტურის სხვა სახის ინჰუმაციური სამარხების შემცველი ძეგლებისაგან.

საინტერესოა, რომ ყობანური კულტურის არეალში ყორღანული სამარხები სხვა ტიპის სამარხთა გვერდით არიან წარმოდგენილი (ზაიუკოვო, მუჟიჩი, ნესტეროვსკაია). ამ შემთხვევაში, შესაძლოა, გვევარაუდა სოციალური ფაქტორი,

კერძოდ, ყორღანულ სამარხებში სოციუმის დაწინაურებულ წევრთა დაკრძალვის ტრადიცია, რომ არა სამარხეული ინვენტარი, რომელიც არაფრით განსხვავდება სხვა ტიპის სამარხებისაგან და შეიძლება ითქვას, რომ მათი იდენტურია. ეს მსგავსება არა მარტო მიცვალებულის თანმხლები ინვენტარის ტიპოლოგიურ ერთგვაროვნებაზე, არამედ სამარხებში მათი გადანაწილების პრინციპზეც ნათლად შეიმჩნევა.

ჩვენი აზრით, გამორიცხული არ არის, რომ ყორღანული სამარხების გავრცელება უკავშირდებოდეს კავკასიის რეგიონში სხვა კულტურული წრის მატარებელთა (სკვითები) შემოსვლას და ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციის პროცესს. საგულისხმოა ის მომენტიც, რომ ყორღანული სამარხები ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის მთიან ნაწილში არაა გამოვლენილი და მხოლოდ მთისწინა და დაბლობ ზოლში გვხვდება, თუმცა მათი ზეგავლენა არქეოლოგიური მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არა მარტო ყობანური, არამედ კოლხური კულტურის ძეგლებზეც თვალში საცემია. აქ, სკვითური ტიპის ნაწარმი, პირველ რიგში კი საბრძოლო იარაღი (აკინაკები, ისრისპირები) ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით დათარიღებულ სამარხებში ერთ-ერთ დომინანტურ როლს თამაშობს.

VII – *კრომლეხით შემოსაზღვრული სამარხები.*

VII ტიპის სამარხები მხოლოდ მუჟიჩის სამაროვანზეა (ინგუშეთი, სუნჟის რაიონი) დადასტურებული და გვხვდება II და VI ტიპის სამარხების გვერდიგვერდ. სამივე კატეგორიის სამარხებში დაკრძალვის წესის კუთხით ჩვენ ძირეულ განსხვავებებს ვერ ვხედავთ და ინჰუმაციის ერთგვარი წესია გაბატონებული. როგორც სამარხ-კონსტრუქციათა განხილვისას აღვნიშნეთ, კრომლეხიან სამარხებს სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე ეკავათ. 4 შემთხვევაში (სამარხები №№ 8, 30, 48, 50) კრომლეხები წრიული ფორმისანი იყვნენ და დიამეტრი საშუალოდ 5,5 მეტრისა ჰქონდათ. კრომლეხები რიყის ქვების წყობით ყოფილან შედგენილი. №№ 10, 12, 23, 38 და №40 სამარხების შემთხვევაში, მათ ნახევარწრიული კრომლეხები ერტყათ გარს, რომლებიც რიყის

ქვათა მხოლოდ ერთი რიგის წყობით იყვნენ კონსტრუირებული. ორ შემთხვევაში ერთი კრომლეხის შიგნით ორი სამარხი იყო მოწყობილი (№56-57 და №65-66).

დაკრძალვის წესის მხრივ კრომლეხით შემოსაზღვრული სამარხები არ განსხვავადებიან ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხებისაგან. სამარხეული ინვენტარიც კრომლეხიან და უკრომლეხო სამარხებში ერთგვაროვანია და მათში დაკრძალულ ინდივიდთა სოციალურ დიფერენციაციაზე არ მიგვანიშნებს. ის, რომ №56/120-57/121 და №65./129-66/130 სამარხებთან მიმართებაში საქმე გვაქვს საოჯახო განსასვენებლებთან, უდავოა, თუმცა კრომლეხთა დიდი ნაწილი ერთ სამარხს საზღვრავდნენ, მათ შორის ყორღანულსაც (№84/148). ეს ფაქტი კიდევ უფრო ართულებს კრომლეხთა დანიშნულების განსაზღვრას.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კრომლეხიანი სამარხები მუჟიჩის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იყვნენ თავმოყრილი. მათი ასეთი განცალკევებით კონცენტრირება სამაროვნის მხოლოდ ერთ მონაკვეთზე, თუ რა ტიპის სხვაობაზე უნდა მიანიშნებდეს, ამის თაობაზე მსჯელობა საკმაოდ რთულია. შესაძლოა, ეს გარკვეულ მსოფლმხედველობით მომენტს უკავშირდებოდეს, რადგან სამარხთა სხვა ელემენტებში (ინვენტარი, დაკრძალვის წესი) ეთნიკური, სოციალური თუ კულტურული სხვაობა ჩვენს მიერ ვერ იქნა შემჩნეული. მნიშვნელოვანია, რომ მუჟიჩის სამაროვანზე შედარებით ერთფეროვანია მიცვალებულთა თანმხლები ინვენტარი, რაც ჩვენი აზრით, უნდა გამორიცხავდეს აღნიშნული ტიპის სხვაობებს. საერთოდ, ამ საკითხებზე გადაჭრით მსჯელობა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ეპოქასთან მიმართებაში უმართებულო იქნებოდა, განსაკუთრებით კი წერილობითი წყაროების გარეშე, რომლებიც ჩვენ საკვლევ პერიოდსა და რეგიონთან მიმართებაში არ გაგვაჩნია.

როგორც დავინახეთ, ყობანური კულტურის გავრცელების საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე დაკრძალვის წესი შედარებით ერთგვაროვნებით გამოირჩევა და არ გვხვდება კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვნება. სამარხ-კონსტრუქციათა ძირითადი ტიპები მათში შესრულებული დაკრძალვის წესის მიხედვით არსებითად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუ არ ჩავთვლით სამარხ-აკლდამებს, რომლებიც, შესაძლოა გარკვეული ჯგუფის წევრთა კოლექტიურ განსასვენებელს წარმოადგენდნენ.

შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ ყობანური კულტურისათვის დომინანტურ დაკრძალვის წესს მიცვალებულთა ინჰუმაცია წამოადგენს, რომლის გვერდითაც თანაარსებობს კრემაციის წესი, თუმცა მასთან შედარებით არ აქვს ფართო გეოგრაფიული თუ ქრონოლოგიური გავრცელება. ყობანური კულტურის განვითარების უკანასკნელ სტადიაზე ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ვრცელდება სამარხის ახალი ტიპები, თუმცა სამარხ-კონსტრუქციებისაგან განსხვავებით, მიცვალებულთა დაკრძალვის წესი რადიკალურ ცვლილებებს არ განიცდის.

თავი V

კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთმიმართების საკითხი სამარხ-კონსტრუქციათა და დაკრძალვის წესის მიხედვით

კოლხური და ყობანური კულტურების სამარხ-კონსტრუქციათა და დაკრძალვის წესის ზედმიწევნით დეტალურმა ანალიზმა, შესაძლებლობა მოგვცა ვიმსჯელოთ დაკრძალვის წესის სრული სპექტრის (სამარხ-კონსტრუქციის და დაკრძალვის რიტუალის) განხილვის შედეგად აღნიშნულ კულტურათა ურთიერთმიმართების და მათი იდენტურობის შესაძლებლობის შესახებ. ჩვენს მიზანს ამ კულტურათა ძეგლებზე გამოვლენილი სამარხების სრულყოფილი შესწავლა, მათი კომპარატიული გააზრება და ერთ ნაშრომში თავმოყრა წარმოადგენდა.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე კოლხური კულტურის ზოგიერთ, ხოლო ყობანური კულტურის შედარებით მრავალ ძეგლზე დაკრძავლის წესის შესახებ მხოლოდ ზედაპირული აღწერა გაგვაჩნია, რაც მნიშვნელოვანწილად აბრკოლებს ამ ორი ფენომენის კულტურული იდენტობის პრობლემის გარკვევას. თუმცა, ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ მათ საერთო კონტექსტში მოქცევას ძირითადი ძეგლების სამარხ-კონსტრუქციათა და დაკრძალვის წესის დეტალური მიმოხილვით. მიუხედავად ამისა, არის ძეგლების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა შეტანა აღნიშნულ ნაშრომში ვერ მოხერხდა, პირველ რიგში, ქრონოლოგიური დიაპაზონის არასანდოობისა და სადავო კულტურული კუთვნილების გამო. ამიტომ, ჩვენ მიზანშეუწონლად მივიჩნიეთ მათი შემოტანა აღნიშნულ ნაშრომში, რათა არ დაგვეშვა მცდარი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა. ეს ეხება როგორც კოლხური და ყობანური კულტურის გავრცელების არეალის მოსაზღვრე ძეგლებს (სტირფაზი, ზანდაკი, ალეროი და სხვ.), ასევე მათ შიგნით გამოვლენილ ძეგლებს, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო დაუდგენელია, ან მათი სიზუსტე ეჭვქვეშაა (სტირფაზი, გალიათი, დონიფარსი და სხვ.). ამის გამო, ვთვლით, რომ კოლხური და ყობანური კულტურების სამარხეული ძეგლების ურთიერთმიმართებითი ანალიზისას აღნიშნული ძეგლების განხილვა არ იქნებოდა მართებული. კოლხური და ყობანური კულტურების სამარხეული

ძეგლების შედარებითი ანალიზისას ვეყრდნობით სამარხ-კონსტრუქციათა იმ ძირითად ტიპებსა და ქვეტიპებს, რომლებიც ჩვენს მიერ იქნა განსაზღვრული და მათზე დადასტურებულ დაკრძალვის ტრადიციას.

კოლხური კულტურის არეალში ჩვენს მიერ გვიანბირნჯაო-ადრერკინის ხანის სამარხთა 9 ძირითადი ტიპის, ხოლო ყობანურ კულტურაში 7 ტიპის გამოყოფა მოხერხდა. მათი საკმაოდ დიდი ნაწილი დამატებით რამდენიმე ქვეტიპს აერთიანებს. ორივე კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა შედარებითი ანალიზისას თითოეული ტიპის კონსტრუქციისა და დაკრძალვის წესის განხილვით, შევეცდებით საერთო და განმასხვავებელი ძირითადი ელემენტების განსაზღვრას. პირველ რიგში, შევეხებით სამარხთა იმ ძირითად ტიპებს, რომლებიც ორივე კულტურისათვის საერთო მოვლენას წარმოადგენს და, აგრეთვე იმ განმასხვავებელ ნიშნებსა თუ ელემენტებს, რომლებიც ამ ტიპებში გვხვდება, როგორც კონსტრუქციის, ისე დაკრძალვის წესის კუთხით.

I – *მარტივი კონფიგურაციის მქონე ორმოსამარხები.*

მარტივი კონსიგურაციის მქონე ორმოსამარხები ორივე არქეოლოგიურ კულტურაში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, რადგან ისინი დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილი. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კოლხურ კულტურაში მათი პროცენტული რაოდენობა 33,44%-ს, ხოლო ყობანური კულტურის არეალში 43,2%-ს აღწევს. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამარხის აღნიშნული ტიპი არ წარმოადგენს მხოლოდ ამ კულტურათა განმსაზღვრელ რაიმე გამორჩეულ მოვლენას.

სამარხის ეს ტიპი, როგორც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის, ასევე წინარე და მომდევნო ეპოქების არქეოლოგიურ კულტურათა ერთ-ერთი დომინანტური სახე-სხვაობა, როგორც კავკასიაში, ასევე ოიკუმენეს საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილში ფართოდ გავრცელებული მოვლენაა. მიუხედავად ორმოსამარხების ასეთი ფართო დისტრიბუციისა, კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთმიმართებით კონტექსტში განხილვისას, აშკარა ხდება, რომ მათი რაოდენობიდან და ორივე კულტურის მასშტაბით ფართო

დისტრიბუციიდან გამომდინარე, ამ ტიპს ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფუნქცია ეკისრება კოლხური და ყობანური კულტურების თავისებურებათა დადგენის თვალსაზრისით.

კოლხურ კულტურაში ჩვენ მარტივი კონფიგურაციის მქონე ორმოსამარხთა 3 ქვეტიპი გამოვყავით:

ა) ოთხკუთხედთან მიახლოებული.

ბ) წრიული.

გ) ოვალური.

ყობანურ კულტურაში კი მხოლოდ ორი ქვეტიპის გამოყოფა მოხერხდა:

ა) ოვალური.

ბ) სწორკუთხა.

როგორც ვხედავთ, კოლხური და ყობანური კულტურებისთვის მოყვანილობის მხრივ მხოლოდ ორი ქვეტიპი (ოვალური, სწორკუთა) არის საერთო მოვლენა, ხოლო წრიული ორმოსამარხები მხოლოდ კოლხურ კულტურაში, ისიც მისი გავრცელების დასავლეთ არეალშია (გურია, აფხაზეთი) წარმოდგენილი. ორივე კულტურისათვის დამახასიათებელი ორმოსამარხების ქვეტიპები კოლხურ კულტურაში გვხვდება საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, როგორც ყობანური კულტურისაგან დაშორებულ (აფხაზეთი, გურია), ასევე სასაზღვრო ზოლში (თლიას სამაროვანი).

სამეცნიერო ლიტერატურაში არის დამოწმებული ორმოსამარხთა აღმოჩენის შემთხვევები, როცა მათი მოყვანილობის ზუსტი აღწერილობა (მოყვანილობა, ზომები) არ არის წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში აღნიშნულ ორმოსამარხთა თავისებურებების და ზუსტი მონაცემების დადგენა და, შესაბამისად, მათი გარკვეულ ქვეტიპში შეყვანისათვის აუცილებელი ინფორმაცია ჩვენ ხელთ არ გაგვაჩნია.

ორმოსამარხთა დისპერსიის კუთხით, გეოგრაფიული კანონზომიერება ჩვენს მიერ არ იქნა შენიშნული, რადგან გვხვდება როგორც მთიან (ბრილი, თლია, ყობანი, გუნდელენი, ბაქსანი), ასევე მთისწინა, დაბლობ და ზღვისპირა ზოლში (ყულანურხვა, წითელი შუქურა, გაგრა, აჭანდარა, შუბარა, სოხუმის მთა, პალური, ქორეთი, კურზუ, გორაძირი, ყობანი, ნიკოლაევსკი, სერჟენ-იურტი,

ფსედახი, ზემო ჩეგემი, გუნდელენი, ზაიუკოვო, ქვემო ქურფი, ნალჩიკი, ტერსკი, აბუ-ყაბაკი, “მებელნაია ფაბრიკა”, ბერეზოვკა I, ბელორეჩენსკი, ულუბაღანალი...).

რაც შეეხება დაკრძალვის წესს, საერთო ელემენტებთან ერთად, ჩვენ აქ რადიკალურ განმასხვავებელ ნიშნებსაც ვხვდებით. საერთო მომენტებიდან გამოსარჩევია ინჰუმაციის წესი, რომელიც ყობანური კულტურის ორმოსამარხთა უმეტეს და კოლხური კულტურის აღნიშნული ტიპის სამარხთა მნიშვნელოვან ნაწილზეა დადასტურებული. პირველ რიგში, ეს ეხება მიცვალებულთა ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში მოთავსებას, როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა გვერდზე. ყობანური კულტურის ზოგიერთ ძეგლზე (კომაროვო, ისტი-სუ) მიცვალებულთა რომელიმე გვერდზე მოთავსება მათი სქესის მიხედვით ხდებოდა. მაგალითად, კომაროვოს სამაროვანზე მამაკაცებს მარჯვენა, ხოლო ქალებს მარცხენა გვერდზე ასვენებდნენ [Абрамова, 1974: 195].

დაკრძალვის მსგავსი წესი გვხვდება თლიას სამაროვანზეც, თუმცა მარცხენა გვერდზე აქ ხშირად მამაკაცების დაკრძალვა ხდებოდა. საერთოდ, თუ გადავხედავთ ჩვენს მიერ მოყვანილი ძეგლების აღწერილობას, როგორც კოლხური, ისე ყობანური კულტურის არეალში, ინჰუმაციურ ორმოსამარხებში მიცვალებულთა რომელიმე გვერდზე მოთავსების და მათი თავით რომელიმე მხარეს მოქცევის მკაცრად განსაზღვრული ტრადიცია არ არსებულა. როგორც ჩანს, ეს წესი მიკროკულტურულ ერთეულებს შორის გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ყოველ სამაროვანს, სადაც მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხებია გავრცელებული, სამარხთა მოწყობის, მიცვალებულთა დაკრძალვისა და მათთვის ინვენტარის ჩატანების თავისი დადგენილი წესი ჰქონდა, თუმცა თითქმის ყველა სამაროვანზე გვხვდება სამარხები, რომლებიც აღნიშნული წესის ფარგლებში არ თავსდებიან და ზოგჯერ რადიკალურადაც კი განსხვავდებიან სხვა სამარხებისაგან.

აღნიშნული ფაქტები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ კოლხური და ყობანური კულტურების შიგნით მიცვალებულთა დაკრძალვის ერთიანი წესი არ ყოფილა შემუშავებული და მისი რეგულირება მცირე ტერიტორიული გაერთიანებების (ჯგუფების) შიგნით უნდა ყოფილიყო განხორციელებული. მაგრამ მათ შორისაც იყო განსხვავებები, რაც, ჩვენი აზრით, პირველ რიგში, განპირობებული უნდა ყოფილიყო არა ეთნიკური თუ

სოციალური, არამედ რწმენა-წარმოდგენათა არაუნიფიცირებით, ანუ ერთიანი სისტემის არარსებობით.

კოლხური კულტურის ორმოსამარხებს, ყობანური კულტურისაგან ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც განასხვავებთ. ეს არის მიცვალებულთა კრემაციის წესი, რომელიც კოლხური კულტურის არეალის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილისთვისაა დამახასიათებელი (გუადიხუ). ყობანურ კულტურაში კრემაციის წესი ტერეზესა და ზემო რუთხას აკლდამებისა (დიგორი, ოსეთი) და კარაბაშევოს (ყარაჩაი-ჩერქეზეთი) ყორღანული სამარხების გარდა, გვხვდება ეშკაკონის (ყარაჩაი-ჩერქეზეთი), მუკულანისა (ჩეგემის ხეობა, ყაბარდო-ბალყარეთი) და ბულუნგუს (ბაქსანის ხეობა, ყაბარდო-ბალყარეთი) ძეგლებზე, თუმცა სამარხთა რომელი ტიპია აქ გავრცელებული, ამის თაობაზე ცნობები სამეცნიერო ლიტერატურაში არ გვხვდება [Чеченов, 1969: 38].

მიცვალებულთა კრემაციის წესის გარდა, მეორადი დაკრძალვის რიტუალი, რომელიც გაგრის [Бжания, 1991], წითელი შუქურას [Трапш, 1969], ჯანტუხისა [Шамба, 1990] და ურეკის [მიქელაძე, 1985] ინდივიდუალურ ორმოსამარხებში გვხვდება, საერთოდ არაა ცნობილი ყობანური კულტურის როგორც მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხებისათვის, ასევე სხვა ტიპის სამარხთა შორისაც. ეს მომენტი მნიშვნელოვანწილად ნათელყოფს იმ ძირეულ სხვაობებს რომელიც კოლხურ და ყობანურ კულტურათა შორის დაკრძალვის წესში არსებობდა და რომელთა არგათვალისწინება მათი ურთიერთდამოკიდებულების კვლევისას დაუშვებელია.

II – *ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხები.*

ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხები წარმოდგენილია როგორც კოლხურ ასევე ყობანურ კულტურაში. კოლხური კულტურის არეალში მსგავსი ტიპის სამარხები 3 სამაროვანზეა გამოვლენილი: თლია (ცხინვალის რეგიონი), ხუცუბანი (აჭარა), ერგეტა I (სამეგრელო), ხოლო ყობანურ კულტურაში ისინი 4 ძეგლზე გვხვდებიან: ყუმუში (ყარაჩაი-ჩერქეზეთი), მინერალნიე ვოდი (სტავროპოლის მხარე), ნესტეროვსკაია და მუჟიჩი (ინგუშეთი).

კოლხური და ყობანური კულტურების ქვაყრილით დაფარულ ორმოსამარხთა საერთო და განმასხვავებელი ნიშნების განხილვამდე, საჭიროა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კოლხური კულტურის აღნიშნული ტიპის სამარხები ქრონოლოგიური კუთხით სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნებიან. თლიას სამაროვანზე ისინი წარმოდგენილი არიან როგორც ადრეულ, აგრეთვე მოგვიანო ეტაპზე. ხუცუბნის სამაროვანი, ზოგადად, ასევე ადრეული პერიოდის ძეგლადაა მიჩნეული [იოსელიანი, 1973: 107], ხოლო ერგეტა I მოგვიანო პერიოდს, დაახლოებით ძვ.წ. VII-VI საუკუნეებს განეკუთვნება [Микеладзе… 1985: 40]. რაც შეეხება ყობანურ კულტურას, აქ ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხები ასევე გვიანდელი პერიოდით, ძვ.წ. VI-V საუკუნეების მიჯნით თარიღდებიან [Мунчаев, 1963: 202] [Алексеева, 1982: 11].

ასეთი ფართო დიაპაზონი, როგორც ქრონოლოგიური, ასევე ტერიტორიული თვალსაზრისით, შესაძლოა გამორიცხავდეს აღნიშნულ ძეგლებს შორის რაიმე კავშირს, თუმცა მაინც შევეცდებით გამოვყოთ ის ძირითადი ნიუანსები, რომლებიც მათ ერთმანეთთან აკავშირებთ, ან ანცალკევებთ. წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ განმასხვავებელი ელემენტები გაცილებით სჭარბობს საერთო ნიშან-თვისებებს.

პირველ რიგში, ეს ეხება ქვაყრილთა მოწყობის ტექნიკას. ხუცუბანში გათხრილ სამარხებს გააჩნდათ ოთხკუთხედის მოყვანილობის ქვაყრილი, რომლებიც ამავე ფორმის ორმოებს ფარავდნენ. ოთხკუთხედთან მიახლოებული ფორმა ჰქონდა მუჟიჩის სამაროვანზე გამოვლენილ სამარხთა ნაწილს, დანარჩენი კი ოვალური ან ასიმეტრიული მოყვანილობისანი იყვნენ. დაუდგენელია ერგეტა I-ის ინდივიდუალური სამარხის ქვაყრილისა და ორმოს მოყვანილობა, ხოლო თლიას სამაროვანზე გამოვლენილი ქვაყრილით დაფარული სამარხები მნიშვნელოვანწილად დაზიანებული ყოფილა, რადგან განფენილი იყვნენ რამდენიმე იარუსად, რაც განაპირობებდა მათი მთლიანობის რღვევას.

თანამედროვე ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე ყუმუშთან გამოვლენილი სამარხის ქვაყრილს წრიული მოყვანილობა გააჩნდა. მისი სიმაღლე 0,35-0,40 მ-ს შეადგენდა, ხოლო დიამეტრი 6,5 მ-ს, რაც მნიშვნელოვანწილად აღემატება ორივე კულტურის დანარჩენ ძეგლებზე შესწავლილ სამარხთა ქვაყრილებს.

სამარხთა მოწყობის გარდა, საინტერესოა დაკრძალვის წესი, რომელიც ქვაყრილით დაფარულ ორმოსამარხთა შორის გვხვდება. ნესტეროვსკაიასა და

მუჟიჩის სამაროვნებზე მიცვალებულთა ინჰუმაციის თითქმის ისეთივე ტრადიცია იყო გავრცელებული, როგორიც თლიას სამაროვანზე. მუჟიჩის სამაროვანზე მიცვალებულებს, როგორც წესი, მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში მარხავდნენ, თავით უპირატესად სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებით [Мунчаев, 1963: 201]. ნესტეროვსკაიაზე კი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დახრა სჭარბობდა. თლიას სამაროვნის აღნიშნული ტიპის სამარხებში კი მიცვალებულებს თავით ძირითადად ჩრდილოეთისაკენ მოქცეულებს ასაფლავებდნენ, როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა გვერდზე. რაც შეეხება ერგეტა I-ის ინდივიდუალურ სამარხს, აქ მიცვალებული მოუთავსებიათ მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული. ამ მხრივ ერგეტა I-ის №1 სამარხი მუჟიჩის სამაროვანთან ავლენს მსგავსებას, თუმცა გეოგრაფიული და ქრონოლოგიური დაშორების გამო, ეს კავშირი შეიძლება პირობითად მივიჩნიოთ.

მუჟიჩისა და ნესტეროვსკაიას სამაროვნებზე საკმაოდ ხშირად გვხვდება წყვილადი დაკრძალვის შემთხვევებიც, რაც თლიას სამაროვანზეცაა დადასტურებული, თუმცა არა ქვაყრილით დაფარულ ორმოსამარხებში.

განხილული ძეგლებისგან დაკრძალვის წესის მხრივ რადიკალურად განსხვავდება ხუცუბნის სამაროვანი (აჭარა), სადაც მიცვალებულთა კრემაციის წესი ყოფილა გაბატონებული. აქ მიცვალებულთა ძვლები სამარხებში არ დაფიქსირებულა, რაც მათი სრული კრემაციით უნდა იყოს განპირობებული. სამარხებში და მათ ირგვლივ დიდი ოდენობით ნახშირის გამოვლენა კი მიცვალებულთა სამარხებშივე კრემაციაზე მიგვანიშნებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ინვენტარის ნაწილი ცეცხლის ძლიერ კვალს ატარებდა [იოსელიანი, 1973: 112].

მიცვალებულთა კრემაციის წესი ყობანური კულტურის ძეგლზე – ყუმუშის სამაროვანზეცაა დადასტურებული. აქ სამარხის ძირზე მიცვალებულის დამწვარი ძვლები, ცხოველის ძვლებთან და სამარხეულ ინვენტართან ერთად ყოფილა მოთავსებული. ეს ფაქტი გარკვეულ კავშირზე შეიძლება მეტყველებდეს, თუმცა, როგორც აღინიშნა, ქრონოლოგიური დიაპაზონი რომლებშიც აღნიშნული ძეგლები არიან მოთავსებული, საკმაოდ დაცილებულია ერთმანეთისაგან, რადგან ხუცუბნის სამაროვანი დაახლოებით ძვ.წ. I ათასწელულის I მეოთხედს, ხოლო ყუმუში ძვ.წ. VI-V საუკუნეებს განეკუთვნება

[Алексеева, 1982: 11]. ასეთი ფართო ქრონოლოგიური და ტერიტორიული დაშორება კი რაიმეს გადაჭრით მტკიცების უფლებას არ გვაძლევს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ზემოთ განხილული ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხები გარკვეულწილად სტეპების კულტურათა გავლენას განიცდიან, რაც მიცვალებულისთვის ჩატანებულ ინვენტარშიც შეინიშნება, თუმცა ისინი მაინც ყობანური კულტურის ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ.

მუჟიჩისა და ნესტეროვსკაიას სამაროვნებს თლიასთან კიდევ ერთი საერთო მახასიათებელი გააჩნიათ, რაც აღაპის წესში გამოიხატება. აღაპის რიტუალის ნაშთები ძირითადად წვრილფეხა საქონლის ოსტეოლოგიური მასალითაა წარმოდგენილი, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, ასევე სამხრეთ კავკასიის მთიან ზოლში, რაც ჩვენ მეცხვარეობისა და მეღორეობის დიდი როლის დამადასტურებლად მივიჩნიეთ. მესაქონლეობის აღნიშნული დარგების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები და მათ შორის სიახლოვე, აღნიშნული რეგიონების მჭიდრო ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს უსვამს ხაზს.

III – *ქვაყუთები.*

ქვაყუთები წარმოადგენენ ყობანური კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა ეტალონურ ტიპს და მათი გავრცელების არეალი საკმაოდ ფართოა, თუმცა არ გვხვდება ამ კულტურის დისპერსიის აღმოსავლეთ ნაწილში, თანამედროვე ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორიებზე. კოლხურ კულტურაში კი ისინი წარმოდგენილი არიან ბრილისა და თლიას სამაროვნებზე. ყობანურ ძეგლებთან ურთიერთმიმართებისთვის საუკეთესო ძეგლს სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს, რადგან ბრილის სამაროვნის ქვაყუთებზე მსჯელობა დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, ნაკლებად დამაჯერებელი იქნებოდა. თლიას სამაროვნის სამარხების უმეტესობა კი თითქმის სრულადაა გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურაში, რაც სამხრეთ კავკასიის მთიანეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური

ნაწილის აღნიშნული ტიპის სამარხთა კონსტრუქციისა და დაკრძალვის წესის ურთიერთმიმართებაზე მსჯელობის საფუძველს გვაძლევს.

სანამ უშუალოდ სამარხეული ძეგლების განხილვას შევუდგებით, აუცილებელად მიგვაჩნია გავაკეთოთ აღნიშნული ტიპის სამარხთა დისპერსიის ზონების მოკლე გეოგრაფიული მიმოხილვა. კოლხურ კულტურაში ისინი მხოლოდ მთიან მხარეში, თანამედროვე რაჭისა (ბრილი) და ცხინვალის რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილშია (თლია) წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ამ რეგიონებში ხელსაყრელი ბუნებრივი რესურსების არსებობა აღნიშნული ტიპის სამარხ-კონსტრუქციათა გამოყენებას უწყობდა ხელს, თუმცა ყობანური კულტურისაგან განსხვავებით, მას არ ჰქონდა დომინანტური როლი.

ბრილის სამაროვანზე გამოვლენილი ქვაყუთები ადგილობრივი ფიქლის ფილაქვებისაგანაა შედგენილი, რომლის მასალაც სამაროვნის მახლობლად, რამდენიმე ასეულ მეტრში მდებარეობს და მისი მოპოვება გვიანბრინჯაოს-ადრერკინის ხანაში დიდ სირთულეებთან არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მთარაჭასთან ბუნებრივ-გეოგრაფიულ სიახლოვეს თუ გავითვალისწინებთ, თლიას სამაროვანზე დაკრძალულ ინდივიდთა სოციუმს ქვაყუთების მოსაწყობად საჭირო მასალა აგრეთვე სამაროვნის სიახლოვეს უნდა მოეპოვებინა, რომელთა დამუშავებაც შესაძლოა ადგილზევე, ან უაშუალოდ სამაროვანზე ხდებოდა. ამ კუთხით საინტერესოა ყობანური კულტურის არეალში ქვაყუთების გავრცელების გეოგრაფიული პრინციპი. აღნიშნული კულტურის ცენტრალური ვარიანტის მთიან მხარეში მდებარეობს ზემო რუთხას, ადაიდონისა (დიგორი) და ყობანის სამაროვნები (ყობანის ხეობა, ოსეთი), ხოლო დასავლეთ ნაწილში ქვაყუთები ძირითადად მთისწინა ზოლშია კონცენტრირებული. ისინი განსაკუთრებით დიდი ოდენობით წარმოდგენილი არიან თანამედროვე სტავროპოლის მხარის სამხრეთ ნაწილში, ქ. კისლოვოდსკსა და მის შემოგარენში (ინდუსტრია I, სულთან-გორა I, სულთან-გორა III, ბერეზოვკა I, ბერეზოვკა II, ბერეზოვკა III, ბერეზოვკა IV და სხვ.), ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის მთისწინა ზოლში (ზაიუკოვო, ტამგაციკი, უჩქულანი, ელყუში, ულუბაღანალი, ისპრავანაია და სხვ.)

სამარხის აღნიშნული ტიპის ტერიტორიული გავრცელების რუკას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ყობანურ კულტურაში მათი გავრცელება არ არის გამოწვეული გეოგრაფიული ფაქტორით, არამედ, პირველ რიგში,

ქვაყუთების მოსაწყობად საჭირო მასალის არსებობა-არარსებობით უნდა იყოს განპირობებული.

გეოგრაფიული ფაქტორის გამორიცხვით, ჩვენ ვაწყდებით კიდევ ერთ პრობლემატურ საკითხს, თუ რას უნდა უკავშირდებოდეს ის ფაქტი, რომ ყობანური და კოლხური კულტურების საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, სადაც აღნიშნული სამარხ-კონსტქრუქციათა მოწყობისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსები მრავლადაა, ისინი საერთოდ არ არიან წარმოდგენილი (აფხაზეთი, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთები და ა.შ.). აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად საჭირო არქეოლოგიური მონაცემები ჩვენ არ გაგვაჩნია, რადგან ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთიანი რაიონები არქეოლოგიური კუთხით სუსტადაა შესწავლილი. აქედან გამომდინარე, სანამ არქეოლოგიური მონაცემები სრული სახით არ იქნება წარმოდგენილი, საკმაოდ რთულია ამ პრობლემატიკის ირგვლივ რაიმეს გადაჭრით მტკიცება. აქვე, არ არის გამოსარიცხი კულტურული და სოციალური ფაქტორი, რადგან ქვაყუთების მოსაწყობად აუცილებელი მასალის მოპოვება და მისი დამუშავება/კონსტრუირება გარკვეულ მატერიალურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ამ პროცესში ჩართული უნდა ყოფილიყო მთელი გვარი ან მისი ნაწილი, თუმცა ყველას როდი ექნებოდა ქვის მასიური ფილების მოპოვების, დამუშავებისა და ტრანსპორტირების ტექნიკური და მატერიალური შესაძლებლობა. ამიტომ, თუ თანამედროვე და ეთნოგრაფიულ მონაცემებს მოვიშველიებთ, არაა გამორიცხული, რომ ამ პროცესში მონაწილეობას იღებდა ადამიანთა გარკვეული კოლექტივი, რომელიც აწარმოებდა აღნიშნულ სამუშაოებს.

თლიას სამაროვანზე გამოვლენილი ქვაყუთები მოწყობის ტექნიკის მხრივ საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათი უმრავლესობა სამაროვნის მრავალიარუსიანობის გამო დაზიანებული ყოფილა. შედარებით უკეთ იყო დაცული №№22, 248 და №263 ქვაყუთები. №22 სამარხი ბავშვის საკუთრებას წარმოადგენდა და კონსტრუირებული იყო ქვის მთლიანი, დამუშავებული ფილებისგან, ხოლო №28 და №263 ქვაყუთების შედგენისას გამოიყენეს შედარებით უხეში, დაუმუშავებელი კეცი.

საერთოდ, თლიას სამაროვნის ქვაყუთების აბსოლუტური უმრავლესობა მსგავსი, ე.წ. შედგენილი ტიპისა იყო, განსხვავებით ყობანური კულტურის ცენტრალური ნაწილის სამაროვნებისგან (ზემო რუთხა, ყობანი, ადაიდონი),

რომლებიც მისგან არცთუ ისე დიდი მანძილით არიან დაცილებულნი და შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული დვალეთისა და რაჭისთვის დამახასიათებელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები გააჩნიათ. ასეთი სხვაობის მიუხედავად, ჩვენ გაგვაჩნია ცნობები იმის თაობაზე, რომ როგორც ყობანის, ასევე ადაიდონის სამაროვნებზე წარმოდგენილი იყო უხეში, დაუმუშავებელი ფლეთილი ქვებისა და კეცებისგან შედგენილი ქვაყუთები, რომელთა ქრონოლოგიურ დიაპაზონზე, სამწუხაროდ, ინფორმაცია არ გაგვაჩნია [Уварова, 1900: 9-11], თუმცა ადაიდონის სამაროვნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სადაც ისინი ქვედა იარუსზე იყვნენ მოქცეული, მათი არსებობა, შესაძლოა, ყობანური კულტურის ადრეულ საფეხურს უკავშირდებოდეს [Чшиев, 2008].

ე. კრუპნოვი ხაზს უსვამდა ყობანური კულტურის დასავლეთ ვარიანტში გამოვლენილი ქვაყუთების განსხვავებას ყობანის სამაროვნისაგან და ამ განსხვავებას ლოკალური ვარიანტების დამახასიათებელ ნიშნებად მიაჩნდა. ეს განსხვავება გამოიხატებოდა იმაში, რომ დასავლეთით უმეტესად კვადრატთან მიახლოებული, ხოლო ყობანის სამაროვანზე წაგრძელებული მოყვანილობის ქვაყუთები იყო გავრცელებული [Крупнов, 1960:77].

ე. კრუპნოვის ზემოთ მოყვანილი მოსაზრება, 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, ახალგამოვლენილი ძეგლების ფონზე, შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს, რადგან ყობანური კულტურის დასავლეთ ნაწილში მრავლად გამოვლინდა წაგრძელებული მოყვანილობის ქვაყუთებიც (სულთან-გორა, ბერეზოვკა III, ისპრავნაია, ინდუსტრია I და სხვ.). ამის მიუხედავად, კვადრატთან მიახლოებული ფორმის სამარხთა სიჭარბე, შესაძლოა, მართლაც გარკვეულ ლოკალურ მოვლენაზე მიგვანიშნებდეს, რომელიც დღევანდელი ოსეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ადაიდონის სამაროვნისთვისაა დამახასიათებელი.

კოლხურ და ყობანურ კულტურებში ქვაყუთებში გავრცელებული დაკრძალვის წესი შედარებითი ერთგვაროვნებით ხასიათდება. ეს გამოხატულია მიცვალებულთა ინჰუმაციის წესში, როდესაც მათ მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე მოთავსებულებს მარხავდნენ.

აღსანიშნავია, რომ კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ორივე მხარის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებზე ქვაყუთებში მიცვალებულთა ზურგზე, გაშოტილ პოზაში დასვენების ფაქტი დადასტურებული არ არის. მარჯვენა გვერდზე მოთავსების შემთხვევები სჭარბობდა თლიას სამაროვნის

ქვაყუთებში, მსგავსად ყობანისა და ადაიდონის სამაროვნებისა, თუმცა აქაც გვხვდება მარცხენა გვერდზე დაკრძალვის ფაქტი [Чшиев, 2008].

მსგავსი სიტუაციაა ყობანური კულტურის დასავლურ ვარიანტში, სადაც აღსანიშნავია შემდეგი სახის თავისებურებანი, მაგალითად, თუ კოლხური და ყობანური კულტურების ქვაყუთების შემცველ ძეგლთა უმრავლესობაზე მიცვალებულის რომელიმე გვერდზე მოთავსება სქესის მიხედვით არ ხდებოდა (მარჯვენა გვერდზე უპირატესად მამაკაცები არიან დაკრძალული), ბელორეჩენსკის სამაროვანზე ეს მკაცრად იყო განსაზღვრული და მარჯვენა გვერდზე მხოლოდ მამაკაცებს, ხოლო მარცხენაზე ქალებს ათავსებდნენ [Дударев, 1978: 124-125]. ბრილის სამაროვანზე ქვაყუთებში ასევე ძირითადად მამაკაცებს მარხავდნენ. ერთ-ერთ ქვაყუთში დაფიქსირდა ქალისა და კაცის წყვილადი დაკრძალვის ფაქტიც [საქართველოს არქეოლოგია, 1959: 196-197].

ჩვენს მიერ უკვე იქნა აღნიშნული, რომ კოლხურ და ყობანურ კულტურებში მიცვალებულთა თავით ორიენტირების ერთი წესი არაა გავრცელებული და ყოველ სამაროვანს თავისი სპეციფიკა გააჩნია, რომლის დაცვაც ყოველთვის როდი ხდებოდა. გამონაკლისს არც ქვაყუთებში დამარხული ინდივიდების თავით რომელიმე მხარეს დახრის ტრადიცია წარმოადგენს და ამ მხრივ ისინი არ განსხვავდებიან სამარხთა სხვა ტიპებისაგან. თლიას სამაროვანზე ქვაყუთებში მიცვალებულების თავით ჩრდილოეთისაკენ მიმართვა დომინირებდა, ადაიდონზე კი სამხრეთისაკენ, აღმოსავლეთისაკენ ან დასავლეთისაკენ ორიენტირებულებს ასაფლავებდნენ. ასეთივე სიტუაციაა ყობანური კულტურის სხვა ძეგლებზეც, რომლებზეც ამ კუთხით გარკვეული კანონზომიერება ჩვენს მიერ ვერ იქნა შენიშნული.

როგორც ჩანს, სამაროვნის დიდი ხნით ფუნქციონირების შემთხვევაში, ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც იქ იკრძალებოდა, გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა თავის რწმენა-წარმოდგენებში, რაც ასახვას დაკრძალვის წესშიც ჰპოვებდა, კერძოდ, მიცვალებულთა თავით რომელიმე მიმართულებით მოქცევაში. შესაძლებელია ეს მრავალფეროვნება არა კონფესიური გარემოებებით, არამედ მისი არქონით იყოს განპირობებული. მაგრამ როდესაც მიცვალებულის თავით რომელიმე მხარეს დახრა დომინირებს (თლია), ეს ამ კუთხით გარკვეულ ჩამოყალიბებულ რწმენა-წარმოდგენებზე მიანიშნებს, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არ განიცდიდა

ცვლილებას, თუმცა მას აღნიშნული მიკროკულტურული ერთობის ყველა წევრი შესაძლოა არც კი იცავდა.

ბრილის სამაროვანზე მიკვლეულ ქვაყუთს, რომელიც მამაკაცისა და ქალის წყვილად სამარხს წარმოადგენდა, ანალოგიები ეძებნება ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ ისპრავნაიას სამაროვნის №10 და №13 სამარხებში. ბრილის აღნიშნული სამარხის ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია, ამიტომ რაიმე კავშირზე საუბარი ამ ეტაპზე შეუძლებელია. წყვილადი სამარხები ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ ჩრდილოეთ კავკასიის მრავალ ძეგლზეა დადასტურებული, თუმცა არა ქვაყუთის ტიპის სამარხებში. ბრილისა და ისპრავნაიას წყვილადი სამარხები ჩვენ საოჯახო განსასვენებლებად მიგვაჩნია. ამავე კატეგორიისა უნდა იყოს თლიას სამაროვნის №129 სამარხი, რომელიც მართალია ქვაყუთს არ წარმოადგენს, მაგრამ იმეორებს ისპრავნაიას სამაროვნის წყვილად სამარხებში დადასტურებულ დაკრძალვის წესს [Техов, 1985: 19-20].

საოჯახო განსასვენებელს წარმოადგენს სულთან-გორა III-ში გამოვლენილი ქვით ნაგები მასიური ნაგებობა/ღობე, რომლის შიგნითაც სხვადასხვა ზომის, შედგენილობისა და მოყვანილობის ქვაყუთები იყო მოწყობილი. მსგავს კონსტრუქციას ანალოგიები არც ყობანური და არც კოლხური კულტურის სხვა ძეგლებზე არ მოეპოვება და უნიკალურ კონსტრუაციას წარმოადგენს [Членова, 1977: 101]. კონსტრუქციის შიგნით მიკვლეული 3 ქვაყუთი ინდივიდუალურ სამარხს წარმოადგენდა, რომლებშიც მიცვალებულები მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე განისვენებდნენ, თავით დასავლეთისკენ მოქცეულები. ერთ სამარხში კი მამაკაცისა და ქალის ერთმანეთისაკენ სახით მიმართული ჩონჩხები აღმოჩნდა. მამაკაცი მარჯვენა, ხოლო ქალი მარცხენა გვერდზე განისვენებდა [Членова, 1977: 101]. ამ მხრივ სულთან-გორა III მჭიდრო კავშირს ავლენს ბრილისა და ისპრავნაიას სამაროვნებთან, რაც დაკრძალვის წესში საერთო ელემენტების არსებობის დამადასტურებელია.

კოლხური კულტურის საკონტაქტო ზონებში, აღნიშნული ტიპის სამარხები გვხვდება ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე, კერძოდ ბორჯომის ხეობაში (ჩითახევი) [კვირკვაია, 2009: 19]. ქვაყუთები ყობანური კულტურის აღმოსავლეთით, თანამედროვე დაღესტნისა და აღმოსავლეთ ჩეჩნეთის ტერიტორიებზე გავრცელებულ კაიაკენტ-ხოროჩოის არქეოლოგიურ კულტურაშიც მრავლად გვხვდება და სამარხის დომინანტურ ტიპს წარმოადგენს.

ჩეჩნეთის აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლენილი ზანდაკისა და ალეროის სამაროვნები გარკვეულ კავშირს ავლენენ კაიაკენტ-ხოროჩოისა და ყობანურ კულტურებს შორის.

კოლხური და ყობანური კულტურების სამარხ-კონსტრუქციებისადმი მიძღვნილ თავში ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ჩვენს მიერ გამოყოფილ იქნა ქვაყუთების 3 ქვეტიპი. ასეთი მრავალფეროვნება კოლხური კულტურისათვის უცნობია და აქ ქვეტიპების გამოყოფა არ ხერხდება, თუმცა მოწყობის ტექნიკის კუთხით მათ შორის შეინიშნება გარკვეული მსგავსება.

როგორც დავინახეთ, ქვაყუთებს ყობანური კულტურის სამარხთა ტიპებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირვათ, განსხვავებით კოლხური კულტურისაგან, სადაც ისინი ლოკალური დისპერსიით ხასიათდებიან და მხოლოდ ორ სამაროვანზე არიან წარმოდგენილი (თლია, ბრილი).

IV–*ყორღანული სამარხები.*

ყორღანული სამარხები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ყობანური კულტურის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე გვხვდება, რასაც ვერ ვიტყვით ჩრდილო-დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, სადაც ისინი მხოლოდ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე გორაძირის სამაროვანზე არიან გამოვლენილი. ძეგლის გამთხრელები გორაძირის ყორღანულ სამარხებს, სამარხეული ინვენტარის საფუძველზე ძვ.წ. VIII ს-ის II ნახევრით ათარიღებენ [გოგაძე, 1981: 21]. ყობანურ კულტურაში ამავე პერიოდითაა დათარიღებული სამარხები, რომელთა მოწყობის ტექნიკაშიც შეიმჩნევა ადგილობრივი მოსახლეობისა და უცხო კულტურული ელემენტების შერწყმის მცდელობა. ესენია ზაიუკოვოსა და კამენომოსტის ყორღანული ყრილის ქვეშ მოქცეული ქვაყუთები [Чеченов, 1969]. ძვ.წ. VI-V საუკუნეების ყორღანული სამარხები წარმოდგენილია კარაბაშევოს, მუჟიჩის, ნესტეროვსკაიასა, ანი-ირზოსა და ბოისი-ირზოს ძეგლებზე. დაკრძალვის წესი აღნიშნულ სამაროვნებზე თითქმის ერთმანეთის იდენტურია, გარდა კარაბაშევოს

სამაროვანზე მიკვლეული სამარხისა, სადაც ა. ალექსეევა კრემაციის წესის არსებობას ვარაუდობდა [Алексеева, 1982: 12].

კრემაციის წესი დადასტურებული არის გორაძირის სამაროვანზეც, თუმცა ინდივიდუალურ ორმოსამარხებში და არა ყორღანულ სამარხებში [გოგაძე, დავლიანიძე, 1981: 8]. უნდა აღინიშნოს, რომ გორაძირის ყორღანებში ცეცხლის კვალი იქნა დაფიქსირებული, რაც ხის დანახშირებულ ფრაგმენტებში გამოიხატებოდა. მკვლევრებმა ეს ფაქტი ხის კონსტრუქციის არსებობით ახსნეს, რომელიც სამარხი-კამერის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა [გოგაძე, დავლიანიძე, 1981: 7]. საინტერესოა, თუ რას უნდა გამოეწვია ამ ხის კონსტრუქციის დანახშირება. არ გამოვრიცხავთ, რომ მიცვალებულთა კრემაციის წესი გორაძირის სამაროვნის ყორღანულ სამარხებშიც არსებობდა.

აღსანიშნავია გორაძირის კავშირი კარაბაშევოს სამაროვანთან, სადაც სამარხი-კამერა მოწყობილი იყო ყორღანული ყრილის ცენტრში და კედლები ფილაქვებით ჰქონდა ამოყვანილი, ხოლო ძირი რიყის ქვებით მოწყობილი. სამარხის კამერის გარდა, დიდი ოდენობით ნახშირისა და ნაცრის კვალი გამოვლინდა უშუალოდ ყრილშიც [Алексеева, 1982: 12].

გორაძირის სამაროვნის ყორღანული სამარხების ცუდი დაცულობა, კარაბაშევოს სამაროვანთან კიდევ უფრო დეტალური კავშირის გამოვლენის საშუალებას არ გვაძლევს, თუმცა საერთო ელემენტები საკმაოდ მრავლადაა. აქვე კიდევ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ გორაძირისა და კარაბაშევოს ყორღანები ერთმანეთის ასინქრონულია, პირველი ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრით, ხოლო მეორე ძვ.წ VI-V საუკუნეებითაა დათარიღებული, რაც გამორიცხავს მათი შემქმნელი მიკროკულტურული ერთობის წარმოამდგენელთა შორის პირდაპირ კავშირს.

თვალს თუ გადავავლებთ ყორღანული სამარხების გავრცელების რუკას, დავინახავთ, რომ ისინი თავმოყრილი არიან თითქმის ყველა გეოგრაფიულ ზონაში. ზოგადად, აღნიშნული ტიპის სამარხების გავრცელება ყობანური კულტურის მოგვიანო პერიოდს ემთხვევა და დაკავშირებულია ე.წ. სკვითურ ექსპანსიასთან, რომელთა კულტურული ელემენტებიც ადრეული რკინის ხანის თითქმის მთელ კავკასიაშია დადასტურებული, არა მარტო მრავალრიცხოვანი სამარხეული ძეგლებითა და დაკრძალვის რიტუალით, არამედ სხვა სახის არქეოლოგიური მასალითაც.

სკვითური ტიპის მატერიალური კულტურის ნიმუშები განსაკუთრებით მრავლად გვხვდება ყობანურ კულტურაში, სადაც ისინი ძვ.წ. VII-V საუკუნეებით დათარიღებულ ძეგლებზე საკმაოდ დიდ როლს თამაშობენ. სკვითური ტიპის არქეოლოგიური მასალა ასევე დიდი ოდენობით გვხვდება კოლხური კულტურის ძვ.წ. VII-VI საუკუნეების სამარხების შემცველ ძეგლებზე. როგორც მთიან ზოლში, ასევე დაბლობ და ზღვისპირა ადგილებში მრავლადაა ისეთი ძეგლები, რომლებზეც დადასტურებულია კოლხური და სკვითური ელემენტების თანაარსებობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია თლიას, ბრილისა და ყულანურხვას სამაროვნები, სადაც თვალნათლივ ჩანს მათი ურთიერთმიმართება. მაგალითად, როგორც მ. თრაფში შენიშნავს, ყულანურხვას სამაროვანზე გამოვლენილი 12 სამარხიდან, რომელთაგან ერთი ცხენის სამარხს წარმოადგენდა, 9 სამარხი (№№ 1-3, 6-9, 11, 12) კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი, ხოლო 3 (№№ 4, 5, 10) სკვითური ელემენტების შემცველი ყოფილა. ეს ფაქტი მას მცირე ტერიტორიაზე ორი განსხვავებული კულტურულ-ეთნიკური ჯგუფის თანაარსებობის დამადასტურებლად მიაჩნდა [Трапш, 1962: 76-78].

ყულანურხვას სამაროვანთან მიმართებაში, ასევე საინტერესოა თლიასა და ბრილის ძეგლები. თლიას სამაროვნის მრავალრიცხოვანი სამარხებიდან, ძვ.წ. VII-VI საუკუნეების ფენაში განსაკუთრებით მრავლადაა სკვითური წარმოების მასალა, რომელიც, პირველ რიგში, საბრძოლო იარაღითაა წარმოდგენილი. ბრილის სამაროვნის ძვ.წ. VII-VI საუკუნეების სამარხებშიც ძირითადად საბრძოლო იარაღი არის სკვითური ნიშნების მატარებელი.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თვალს თუ გადავავლებთ ყობანური კულტურის ძვ.წ. VII-V საუკუნეების სამარხეული ძეგლებიდან მომდინარე არქეოლოგიურ მასალას, დავინახავთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ძირითადად საბრძოლო იარაღია სკვითური წარმომავლობის, ხოლო კერამიკა, სამკაული და სხვა სახის ნივთები ადგლობრივი, იმიერკავკასიური წარმოებისაა. ჩვენს მიერ განხილული ყორღანული სამარხები დიდი ოდენობით შეიცავენ სკვითური ტიპის მასალას, რაც გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

ყობანური კულტურის არეალში გავრცელებული ყორღანული სამარხები და დიდი ოდენობით სკვითური ელემენტების შემცველი არქეოლოგიური მასალა მიანიშნებს იმ დიდ გავლენაზე, რომელიც სკვითებს ჩრდილოეთ კავკასიაში

ჰქონდათ. ზოგიერთ სამაროვანზე მხოლოდ ყორღანული სამარხების არსებობა (ანი-ირზო, ბოისი-ირზო) მიგვითითებს მათ არა მარტო კულტურულ "ექსპანსიაზე", არამედ შესაძლო მიგრაციაზეც. ამის გარდა, ინგუშეთის ტერიტორიაზე, ნესტეროვსკაიასა და მუჟიჩის სამაროვნებზე, სადაც ყორღანები სხვა ტიპის (ქვაყრილიანი ორმოსამარხები) სამარხებთან ერთად არსებობდნენ, ჩვენ ორი განსხვავებული კულტურის მატარებელთა თანაცხოვრების დამადასტურებლად მიგვაჩნია, თუმცა მუჟიჩისა და ნესტეროვსკაიას სამაროვანზე ყორღანულ სამარხებში დადასტურებული დაკრძალვის წესი არ განსხვავდება ყობანური კულტურის სხვა ძეგლებისაგან, რაც გამორიცხავს აქ სკვითური მოსახლეობის დომინაციას.

სწორედ მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე ბრილის, თლიასა და ყულანურხვას სამაროვნებზე, სადაც სკვითური ელემენტების გამოჩენა არ ნიშნავს აქ უცხო ეთნიკური ელემენტის მიგრაციას, არამედ იმ დიდ ეკონომიკურ, კულტურულ თუ შესაძლო სამხედრო კავშირზე მიგვანიშნებს, რომელიც ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის მოსახლეობას უნდა ჰქონოდა სკვითებთან. თუმცაღა, ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ანი-ირზოსა და ბოისი-ირზოს სამაროვნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამორიცხული არ არის უცხო ეთნიკური ჯგუფის ნაწილობრივი ინფილტრაციაც.

ჩვენს მიერ განხილული ყორღანული სამარხების ატრიბუციის საკითხი და მასთან დაკავშირებული სკვითური ზეგავლენა, არა მარტო კოლხურ და ყობანურ კულტურათა გავრცელების არეალში, არამედ მთელი კავკასიისა და წინა აზიის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილში დღემდე პრობლემურ საკითხთა შორისაა. მის განსახილველად აღნიშნულ რეგიონებთან ერთად, დღევანდელი აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის არქეოლოგიური მასალისა და მისი შემქნელების დაკრძალვის წესის ზედმიწევნით შესწავლაა საჭირო, რაც ჩვენი საკვლევი თემის ფარგლებს სცდება. ამისდა მიუხედავად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ კავკასიისათვის, კერძოდ კი კოლხური და ყობანური კულტურების გავრცელების არეალისთვის სამარხის ეს ტიპი ძვ.წ. VIII ს-ის II ნახევრიდან იწყებს გამოჩენას და უკავშირდება უცხო კულტურულ ელემენტს, რომელთა ზეგავლენითაც ხდება მისი გავრცელება კავკასიის ქედის ორივე მხარეს და ერწყმის ადგილობრივ ელემენტებს.

V – *ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხები*

ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხები შედარებით მცირე ტერიტორიული დისტრიბუციით ხასიათდებიან. კოლხური კულტურის სამაროვნებიდან მსგავსი სამარხები დაფიქსირებულია თლიასა და გაგრის ძეგლებზე, ხოლო ყობანურ კულტურაში – ულუბაღანალზე. ულუბაღანალის აღნიშნული ტიპის სამარხებზე მსჯელობა მხოლოდ ზედაპირული ცნობების მეშვეობით შეგვიძლია და კოლხური კულტურის სამაროვნებთან პარალელების გავლება საკმაოდ რთულია. ამის მიუხედავად, დაკრძალვის წესზე საუბრისას, ჩვენ შეგვიძლია ზოგადი კავშირის გამოვლენა, რაც სამივე სამაროვანზე აღნიშნული ტიპის სამარხებში მიცვალებულის ინჰუმაციის წესითაა გამოხატული [Ковалевская, 1984: 34-35]. გაგრის სამაროვანი, რომელიც კოლხური კულტურის ადრეულ ეტაპს განეკუთვნება, შედარებითი ტერიტორიული სიახლოვის მიუხედავად, ქრონოლოგიურ კავშირში არ არის ულუბაღანალის სამაროვანთან, რომელიც ვ. კოვალევსკაიას მიერ ძვ.წ. VII საუკუნის მესამე მეოთხედითა და ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისით არის დათარიღებული [Ковалевская, 1984: 49].

ქვებით შემოსაზღვრული ორმოსამარხები მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხთა მსგავსად არ შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ კოლხური და ყობანური კულტურებისათვის დამახასიათებელ სამარხ-კონსტრუქციებად, რადგან მათი დისტრიბუცია კავკასიის მასშტაბით საკმაოდ ფართოა და ქრონოლოგიურად სხვადასხვა ეპოქას მიეკუთვნება. შესაბამისად, აღნიშნული ძეგლების ამ ტიპის სამარხ-კონსტრუქციათა მიხედვით რაიმე დასკვნების გამოტანა რთულია. რაც შეეხება დაკრძალვის წესს, ის არ განსხვავდება კოლხური და ყობანური კულტურებისათვის დამახასიათებელი ტრადიციისაგან, თუმცა გააჩნია ლოკალური მახასიათებლები. ეს ნათლადაა გამოხატული გაგრის სამაროვანზე, სადაც მიცვალებულთა ზურგზე, გაშოტილ პოზაში მოთავსების ჩვეულება ყოფილა გავრცელებული, რაც მას მკვეთრად განასხვავებს თლიასა და ულუბაღანალის ძეგლებისაგან.

ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხების გავრცელება გეოგრაფიული კუთხით საკმაოდ მრავალფეროვანია და გვხვდება, როგორც მთიან (თლია) და ზღვისპირა (გაგრა), აგრეთვე მთისწინა ზოლში (ულუბაღანალი), რაც

გამორიცხავს ამ ტიპის სამარხთა დისტრიბუციის კავშირს გარკვეულ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან. შედარებითი ქრონოლოგიური და ტერიტორიული დაცილება, გარკვეულწილად, ასევე არ მიგვანიშნებს აღნიშნული ტიპის სამარხებში დაკრძალულ ინდივიდთა პირდაპირ კულტურულ კავშირებზე. ამავდროულად, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სამივე ძეგლზე ქვებით შემოწყობილი სამარხები სხვა ტიპის სამარხებთა გვერდით არიან წარმოდგენილი და შედარებით მცირერიცხოვნობით ხასიათდებიან, მათ ლოკალური მნიშვნელობა ენიჭებათ. ეს კი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ერთ სამაროვანზე დაკრძალვის წესის ერთგვაროვნების მიუხედავად, სამარხ-კონსტრუქციათა კონსტრუირების ერთიანი ტრადიცია არ ყოფილა გავრცელებული.

აღნიშნული ფაქტი შესაძლოა სოციალური მომენტითაც ყოფილიყო განპირობებული, თუმცა სამარხეული ინვენტარი ამის მტკიცების უფლებას არ გვაძლევს, რადგან ქვებით შემოწყობილი სამარხებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა, მარტივი კონფიგურაციის მქონე ორმოსამარხთა მსგავსად, თითქმის იდენტურია სხვა ტიპის სამარხებიდან მომდინარე მასალისა, რაც გამორიცხავს სოციალურ თუ ეთნიკურ ფაქტორებს. ეს განსხვავებები ჩვენ რწმენა-წარმოდგენათა არაუნიფიცირებითა და ერთიანი სისტემის არქონის დამადასტურებლად მივიჩნიეთ, რასაც ამ ტიპის სამარხთა გავრცელების მახასიათებლებიც უწყობენ ხელს.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კოლხური და ყობანური კულტურების არეალში ერთ ძეგლზე სამარხთა მრავალი ტიპის გავრცელება თუ რატომ უნდა უკავშირდებოდეს რწმენა-წარმოდგენათა და კულტურის სხვადასხვა ელემენტთა მრავლაფეროვნებას, და არა სოციალურ და ეთნიკურ ფაქტორს, ამას სხვადასხვა პერიოდის სამარხ-კონსტრუქციებთან და დაკრძალვის წესთან დაკავშირებული ფაქტებიც ცხადჰყოფენ. ამ კუთხით, ყურადსაღებია იმ პერიოდის არქეოლოგიური მონაცემები, როცა კავკასიის რეგიონის შესახებ გაგვაჩნია მრავალრიცხოვანი წერილობითი წყაროები. სწორედ მათზე და ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამარხების მრავალფეროვნება, რომელიც მთელ კავკასიას ახასიათებს, უკავშირდება კონფესიურ და მიკროკულტურულ ვარიაციებს და არა ეთნიკურ ფაქტორს. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი არ არის გამოსარიცხი შედარებით ვრცელ კულტურულ არეალზე საუბრისას, თუმცა გვიანბრინჯაო-ადრერკინის

ხანის პერიოდზე, როდესაც, მართალია, გაგვაჩნია წერილობითი წყაროები (ასურული, ურარტული), მაგრამ რაიმეს გადაჭრით მტკიცება მაინც ძნელია.

სოციალური ფაქტორი გარკვეულწილად თვალშისაცემია იმ შემთხვევებში, როდესაც რომელიმე სამაროვანზე ცალკეული სამარხები, როგორც კონსტრუქციის, ასევე ინვენტარის მხრივ გამორჩეული არიან მასიურად გავრცელებული სხვა ტიპის სამარხებისაგან. ასეთი შემთხვევები კი ამ პერიოდის კოლხური და ყობანური კულტურების არეალში იშვიათად გვხვდება, რაც მოსახლეობის მოგვიანო პერიოდთან შედარებით გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში სუსტი ეკონომიკური თუ სოციალური დიფერენციაციით უნდა ყოფილიყო განპირობებული.

კოლხური და ყობანური კულტურების არეალში გავრცლებული სხვა ტიპის სამარხი-კონსტრუქციები ერთმანეთთან ნაკლებ კავშირს ავლენენ. კოლხურ კულტურაში მეხუთე ტიპად გამოყოფილი ***ხის ფიცრებით კონსტრუირებული სამარხები***, რომლებიც მხოლოდ თლიას სამაროვანზე გვხვდება (№№ 129, 293, 300, 301), გარკვეულ მსგავებას ამჟღავნებენ ყობანური კულტურის ძეგლებთან, პირველ რიგში, მუჟიჩის სამაროვნის №6/70 სამარხთან, რომლის კონტურებს ნახშიროვანი ზოლი გასდევდა. რ. მუნჩაევმა ეს ხის კედლების არსებობის მანიშნებლად მიიჩნია [Мунчаев, 1963: 144]. ორივე სამაროვანზე მიცვალებულთა ინჰუმაციის ერთგვაროვანი წესი იყო გავრცელებული. მუჟიჩის №6/70 სამარხი ქვაყრილით დაფარულ ორმოსამარხს წარმოადგენდა. ასეთივე შედგენილი სახის ყოფილან თლიას სამაროვნის №№ 216, 240, 253 სამარხები, რომელთა კონსტრუირებისას ხის ფიცრებთან ერთად, ქვის მასალაც იყო ჩართული [Техов, 1985: 33-39].

კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთმიმართების კუთხით საინტერესოა ***კოლექტიური სამარხების*** გავრცელების საკითხი. კოლხურ კულტურაში ჩვენ გვხვდება *კოლექტიური სამარხი-ორმოები*, თუ დასაკრძალავი მოედნები, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში – *სამარხი-აკლდამები* (ზემო რუთხა, ტერეზე). ჩრდილოეთ კავკასიის აღნიშნული კოლექტიური სამარხები ყობანური კულტურის ადრეულ საფეხურს განეკუთვნებიან, ხოლო კოლხურ კულტურაში ისინი ძვ.წ. X საუკუნიდან იჩენენ თავს და აღნიშნული ტიპის სამარხების შემცველ ძეგლთა უმრავლესობა, ქრონოლოგიურად ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებს შორის თავსდება.

ყობანურ კოლექტიურ სამარხ-აკლდამებსა და კოლხურ სამარხ-ორმოებს აქვთ ერთი საერთო ნიშანი. ესაა მიცვალებულთა ნაწილობრივი თუ სრული კრემაცია. აღნიშნული წესი დადასტურებულია ტერეზეს ორ სამარხ-აკლდამასა და ზემო რუთხას სამაროვანზე. დასავლეთ ამიერკავკასიაში კი ისინი მოიცავენ შემდეგ ძეგლებს: ნიგვზიანი, ურეკი, ჯანტუხი, მერხეული, ფიჩორი, პალური. კოლხური ძეგლებისაგან განსხვავებით, ჩრდილოეთ კავკასიის კოლექტიური სამარხები შედარებით უკეთ არიან დაცული. ამას ქვის კონსტრუქციის არსებობაც განაპირობებდა, რაც კოლხურ კულტურაში მხოლოდ ბრილის სამაროვანზეა დაფიქსირებული [საქართველოს არქეოლოგია, 1959: 190].

კოლხური კულტურის კოლექტიურ სამარხ-ორმოებში გავრცელებული დაკრძალვის წესის სრული სურათის რეკონსტრუქცია დღესდღეობით შეუძლებელია, რასაც, როგორც აღვნიშნეთ, ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო ძეგლების ცუდი დაცულობა განაპირობებს. ყობანური კულტურის ძეგლებზეც (ტერეზე, ზემო რუთხა) დაკრძალვის წესის აღდგენა ასევე საკმაოდ პრობლემატურია. გამონაკლისს წარმოადგენს ტერეზეს სამაროვნის №3 სამარხი-აკლდამა, რომელიც ინჰუმაციურ, წყვილად სამარხს წარმოადგენდა [Козенкова, 2004:60-63]. მას პარალელები არც თვითონ ყობანური, და არც კოლხური კულტურის სხვა ძეგლებზე არ მოეპოვება.

კოლექტიური სამარხი-ორმოების და სამარხი-აკლდამების ურთიერთმიმართების თაობაზე მსჯელობა ზემოთ მოყვანილი ფაქტორების გამო საკმაოდ რთულია. მხოლოდ კრემაციის წესი კი არ არის საკმარისი აღნიშნული ტიპის სამარხებში დაკრძალულ ინდივიდთა შორის პირდაპირი კავშირის დასამტკიცებლად. სამარხ-კონსტრუქციათა მოწყობისა და დაკრძალვის წესის სხვა ელემენტებით კავკასიონის ქედის ორივე მხარის ამ ტიპის სამარხთა შემცველი ძეგლები რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები რაიმეს გადაჭრით მტკიცების უფლებას არ გვაძლევს, რადგან ოიკუმენეს დიდ ნაწილში კრემაციის წესი საკმაოდ ფართო გეოგრაფიული და ქრონოლოგიური გავრცელებით ხასიათდება. შესაბამისად, ჩვენ არ გვაქვს ვ. კოზენკოვას ჰიპოთეზის მიღების, ან საბოლოოდ უარყოფის შესაძლებლობა, რომლის თანახმადაც კრემაციის წესი ყობანურ კულტურაში აღმოსავლეთ ევროპიდან იწყებს გავრცელებას. ყობანური კულტურიდან კი ხდება დაკრძალვის წესის ამ ელემენტის შემოტანა დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. ვ. კოზენკოვა ყობანურ და კოლხურ ძეგლებზე

კრემაციის წესის პირველწყაროდ ე.წ. “ძელურ კულტურას” მიიჩნევს, სადაც ის ანდრონოვოს კულტურიდან უნდა ყოფილიყო შესული [Козенкова, 2004: 153]. ამავდროულად, ავტორი არ გამორიცხავს მისი ფესვების დასავლეთ ევროპაში ძიებასაც [Козенкова, 2004: 153].

მიგვაჩნია, რომ ყობანური კულტურის მხოლოდ ორი ძეგლის მეშვეობით შეუძლებელია ამ საკითხზე გადაჭრით რაიმეს თქმა და საჭიროებს შედარებით უფრო მრავალრიცხოვან მატერიალურ ძეგლებს ანალიზისა და საკითხის საბოლოოდ გადაჭრისათვის.

კოლხურ კულტურაში გავრცელებული სხვა ტიპის სამარხი კონსტრუქციები ასევე ნაკლებად, ან საერთოდ არ არიან წარმოდგენილი ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში. ეს ეხება **ქვებით შემოწყობილ სამარხებსა** და **ოსუარიუმებს**. პირველი სამარხის ტიპი ხასიათდება მიცვალებულთა ინჰუმაციის წესით და ამ მხრივ ყობანური ძეგლებისაგან ნაკლებად განსხვავდება. ოსუარიუმი, როგორც სამარხის ტიპი კი უცხოა ჩრდილოეთ კავკასიისათვის. ასევე უცხოა მასში შესრულებული მიცვალებულთა დაკრძალვის წესი. თუმცა, ოსუარიუმი თვით კოლხურ კულტურაშიც ლოკალური გავრცელებით ხასიათდება და წარმოდგენილია მხოლოდ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე (ეშერა, ვერეშჩაგინის გორა, წითელი შუქურა, პრიმორსკოე, ზვანდრიფში). ოსუარიუმების მსგავსად, ლოკალურ მოვლენას წარმოადგენდა კრომლეხი, რომელიც მუჟიჩის სამაროვანზე გვხვდება და უცნობია სხვა ძეგლებისათვის. ამავდროულად, დაკრძალვის წესის მხრივ, კრომლეხიანი სამარხები არ განსხვავდებიან მუჟიჩის სამაროვნის სხვა ტიპის სამარხებისაგან.

როგორც დავინახეთ, კოლხური და ყობანური კულტურების არეალში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხები ტიპობრივი მრავალფეროვნებით ხასიათდებიან. როგორც ჩრდილო-დასავლეთ ამიერკავკასიის, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში გვხვდება ორივე მხარისათვის საერთო და განსხვავებული ტიპის სამარხი-კონსტრუქციები. მსგავსი სიტუაცია შეინიშნება დაკრძალვის წესის მხრივაც.

უძველესი ცნობების ფონზე, რომელიც ჩვენ შესავალ ნაწილში განვიხილეთ, გასაკვირი არ უნდა იყოს საკვლევი რეგიონის სამარხეულ ძეგლებს შორის დაფიქსირებული არაერთგვაროვნება სამარხ-კონსტრუქციათა მოწყობისა და მიცვალებულთა დაკრძალვის ტრადიციაში. ყოველ ტომს, თუ

სხვა სახის ერთეულს, რწმენა-წარმოდგენათა თავისებური ელემენტები უნდა ჰქონოდა, რაც ნათლადაა ასახული კოლხური და ყობანური კულტურების არეალში გამოვლენილ სამაროვნებზე. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია კოლხურ კულტურაში, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ასეთი მრავალფეროვნება ნაკლებად იგრძნობა.

ორივე კულტურის შიგნით გამოვლენილ ძეგლებს შორის დაკრძალვის წესის არაერთგვაროვნება თუ მიკროკულტურულ მახასიათებლებს უნდა უკავშირდებოდეს, მაშინ რის გამო უნდა იყოს განპირობებული მსგავსი არაერთგვაროვნება ცალკე აღებული რომელიმე სამაროვნის შიგნით? თან თუ ეს სხვაობა დაკრძალვის წესის ორ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ტრადიციას უკავშირდება, კერძოდ, მიცვალებულთა ინჰუმაციასა და კრემაციას. მსგავსი ფაქტები როგორც კოლხური, ისე ყობანური კულტურების არეალში გამოვლენილ ძეგლებზეა დადასტურებული. ამ კუთხით აუცილებელია სამარხეული ძეგლებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალის ზოგადი მიმოხილვა. დასავლეთ ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ერთ რომელიმე ძეგლზე სამარხებში გამოვლენილი ნივთიერი მასალა დაკრძალვის განსხვავებული წესის მიუხედავად ერთგვაროვნებით ხასიათდება, რაც სამაროვანზე დაკრძალულ ინდივიდთა მატერიალური კულტურის ელემენტთა მსგავსებაზე მიგვანიშნებს.

სამარხეული ინვენტარის ერთგვაროვნების ფონზე, ერთ სამაროვანზე დაკრძალვის სხვადასხვაგვარი წესის არსებობა არაა გამორიცხული რწმენა-წარმოდგენათა ერთი ჩამოყალიბებული სისტემის არარსებობით ყოფილიყო განპირობებული. ეს შეიძლება ითქვას როგორც კოლხური, ასევე ყობანური კულტურების სამარხეულ ძეგლებზე.

დასკვნა

კავკასიის ტერიტორიაზე ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარში ჩამოყალიბებული არქეოლოგიური კულტურები საკმაოდ დიდ კავშირებს ავლენენ ერთმანეთთან. განსაკუთრებით კი ეს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხურ და ყობანურ არქეოლოგიურ კულტურებზე შეიძლება ითქვას. მათ შორის მსგავსება იმდენად დიდია, რომ მათი ერთ არქეოლოგიურ კულტურად გაერთიანება მართებული იქნებოდა, თუკი დავეყრდნობოდით მხოლოდ ლითონის იარაღის, ტორევტიკისა და მცირე პლასტიკის ნიმუშებს. კერამიკული ნაწარმის მხრივ კი, რომელიც არქეოლოგიური კულტურის ერთ-ერთი განმსაზღვველი ელემენტია, ჩვენ დავინახავთ დიდ განსხვავებას, რაც მათი ერთიანობის წინააღმდეგ მეტყველებს.

არქეოლოგიურ კულტურათა კიდევ ერთი მახასიათებელი – სამარხი-კონსტრუქციები და დაკრძალვის წესი ძალზედ მნიშვნელოვანი პარალელების გავლების საშუალებას იძლევა, რაც გვეხმარება ჩვენი საკვლევი თემის ირგვლივ საინტერესო დასკვნების გაკეთებაში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლხური და ყობანური კულტურების იდენტიფიცირებისას და მათი ურთიერთმიმართების კვლევისას ამ ელემენტებს, მსგავსად ცალკე აღებული რომელიმე სხვა მახასიათებლებისა (სამოსახლოები, კერამიკა, ლითონის ნაწარმი), ნაწილობრივ აქვს განმსაზღვრელი, მაგრამ არა გადამწყვეტი ფუნქცია. მიუხედავად ამისა, ჩვენ მასზე დაყრდნობით შევეცადეთ გვეჩვენებინა ის საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები, რომლებიც კოლხური და ყობანური კულტურების დაკრძალვის წესსა და სამარხ-კონსტრუქციათა მოწყობის ტექნიკაში შეინიშნება. ეს შედარებით მცირე მოცულობის სამუშაო კი მომავალი კვლევისას, რომელიც კავკასიის რეგიონის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიურ კულტურათა შესწავლისა და მათი ურთიერთმიმართებითი ანალიზის კუთხით წარიმართება, დიდ დახმარებას გაგვიწევს უფრო მასშტაბური პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში.

კოლხური და ყობანური კულტურების კვლევის ამ ეტაპზე არსებული პრობლემები ჩვენს მიერ უკვე იქნა განხილული. შეიძლება ითქვას, რომ დაკრძალვის წესისა და სამარხ-კონსტრუქციათა შესწავლის კუთხით ერთი

პრობლემური საკითხი ნაწილობრივ დაძლეულია და საჭიროებს კულტურის სხვა ელემენტების კომპლექსურ შესწავლას. სწორედ კომპლექსური კვლევა-ძიების შემდეგ იქნება შესაძლებელი მთლიანი სურათის ობიექტურად წარმოსახვა.

ნაშრომში განხილული მასალით ჩვენ შეგვიძლია რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება, რომელიც კოლხური და ყობანური კულტურების სამარხეულ მონაცემთა ანალიზს ეფუძნება. პირველ რიგში, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ცალკეულ შემთხვევებში სამარხთა სხვადასხვა ტიპები, როგორც ყობანური, ისე კოლხური კულტურის ერთი ლოკალური ვარიანტის თუ რეგიონის შიგნით მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ეს დიდწილად გამორიცხავს სამარხ-კონსტრუქციათა მოწყობისას გეოგრაფიული ფაქტორის არსებობას. თუმცა, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია სხვადასხვა გარემოებები, რომელთა შორის ყურადღების გამახვილება უპირატესად ბუნებრივ რესურსებზე უნდა მოხდეს. ეს თვალნათლივ ჩანს ჩვენს მიერ განხილული სამარხთა ერთი ტიპის – ქვაყუთების მაგალითზე. ქვაყუთები ორივე კულტურის არეალში გავრცელებულია მხოლოდ იმ რეგიონებში, სადაც მათი მოწყობისთვის აუცილებელი მასალა მოიპოვება. სამარხის სხვა ტიპების განხილვისას ჩვენ ბუნებრივი რესურსების ფაქტორი ნაკლებ განმსაზღვრელად მიგვაჩნია, მაგრამ მათი კონსტრუირებისას ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებაც უნდა მომხდარიყო.

ბუნებრივი რესურსების გარდა, მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორების გათვალისწინებაც, როგორიცაა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენები და სოციალური სტატუსი. განხილულ სამარხებს თვალს თუ გადავავლებთ, მცირე გამონაკლისების გარდა, დავინახავთ, რომ კოლხური და ყობანური კულტურების არეალში სოციალური ფაქტორი ნაკლებ განმაპირობებელი მომენტი იყო სამარხ-კონსტრუქციათა მოწყობისა თუ მიცვალებულთა დაკრძალვის ტრადიციაში. რა თქმა უნდა, მათი გამორიცხვა არ შეიძლება როცა საქმე შედარებით რთულ კონსტრუქციებთან გვაქვს. მაგალითად, ტერეზეს სამაროვნის №3 სამარხი-აკლდამა თავისი აგებულებით, დაკრძალვის წესით, ინვენტარის რაოდენობითა და ხარისხით ნამდვილად მიგვანიშნებს მასში დამარხულ ინდივიდთა მაღალ სოციალურ სტატუსზე. მაგრამ ნაშრომში მოყვანილი სამარხების აბსოლუტურ უმრავლესობაზე, სამარხ-კონსტრუქციათა მრავალფეროვნება, სამაროვნებზე დაკრძალულ ინდივიდთა

სოციალურ დიფერენციაციაციაზე არ მეტყველებს. ამის ნათელი მაგალითია სამარხეული ინვენტარი. ხშირია შემთხვევები, როდესაც მიცვალებულს მრავალრიცხოვანი ინვენტარი აქვს ჩატანებული, თუმცა სამარხი-კონსტრუქცია საკმაოდ მარტივი კონფიგურაციისაა და პირიქით, როდესაც ინვენტარის სიმცირის ფონზე, სამარხს საკმაოდ რთული კონსტრუქცია ახასიათებს. კოლხური და ყობანური კულტურების სამარხეული მონაცემების ურთიერთშედარებისას ყურადღება გავამაახვილეთ იმ ფაქტზეც, რომ რთული კონსტრუქციის, კერძოდ კი ქვაყუთის მოწყობისას საჭირო იქნებოდა ორგანიზებული სამუშაოს წარმოება, რომელშიც სოციუმის ერთმანეთთან ნათესაობრივად დაკავშირებულ წევრებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

კოლხური და ყობანური კულტურების არეალში გავრცელებული სამარხი კონსტრუქციებისა და დაკრძალვის წესის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებისა და მათი ურთიერთმიმართებითი ასპექტების გამოყოფა, ჩვენი თვალსაზრისით, შეიძლება მოხდეს შემდეგი სახით:

- კოლხური და ყობანური კულტურების სამარხი კონსტრუქციები ამჟღავნებენ როგორც საერთო, ასევე განმასხვავებელ ნიშანებს, რომელთაგანაც განმასხვავებელი ელემენტი დომინირებს.

- სამარხი-კონსტრუქციების მოწყობის კუთხით, ორივე კულტურის შიგნით შეინიშნება გარკვეული სხვაობა, როგორც ორივე კულტურის ცალკეულ რეგიონებში/ლოკალურ ვარიანტებში, ასევე ცალკე აღებულ ძეგლებზეც.

- სამარხ-კონსტრუქციათა და დაკრძალვის წესის მიხედვით, კოლხურ კულტურაში შესაძლებელია გარკვეული ლოკალური ვარიანტების გამოყოფა, თუმცა კულტურის სხვა ელემენტების გათვალისწინების გარეშე ეს უმართებულოდ მიგვაჩნია.

- კოლხურ და ყობანურ კულტურათა უშუალოდ მომიჯნავე რეგიონების არქეოლოგიური ძეგლები ერთმანეთთან უფრო მეტ საერთო ელემენტს ამჟღავნებენ, როგორც სამარხი-კონსტრუქციების, ასევე დაკრძალვის წესის კუთხით.

- სამარხ-კონსტრუქციებთან დაკავშირებით, უმეტეს შემთხვევებში მათ გავრცელებაში არ შეინიშნება გეოგრაფიულ/ოროგრაფიული ფაქტორი, თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც.

- კოლხური კულტურის ფარგლებში, ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილისაგან განსხვავებით, შეინიშნება გაცილებით უფრო დიდი სხვაობები, როგორც სამარხ-კონსტრუქციების, ასევე დაკრძალვის წესის მხრივაც.

- დაკრძალვის წესი, როგორც კოლხური, ისე ყობანური კულტურის ცალკე აღებულ რომელიმე სამაროვანზე, ან ერთმანეთთან ტერიტორიალურად ახლოს მყოფ ძეგლებზე, შესაძლოა რადიკალურად განსხვავდებოდეს.

- სოციალური დიფერენციაცია ორივე კულტურის არეალში ასახული არ არის სამარხთა კონსტრუირებისა და დაკრძალვის წესში.

კოლხური კულტურის არეალში აღნიშნული ტიპის სამარხების ოროგრაფული შეზღუდულობა აშკარაა. ეს არ არის გასაკვირი, რადგან ქვაყუთების მოსაწყობად აუცილებელი მასალა (ფილები) ყველგან როდი გვხვდება. თვალს თუ გადავავლებთ ჩრდილოეთ კავკასიას, ქვაყუთები იქ ძირითადად მთიან და მთისწინა ზოლშია წარმოდგენილი. დასავლეთ ამიერკავკასიაში ისინი გვხვდება ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე (ბორჯომის ხეობა), მაგრამ უცნობია აფხაზეთისათვის, სადაც ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევრიდან მოყოლებული, ვიდრე ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევრამდე დოლმენები იყო გავრცელებული. ამიტომ ქვაყუთების არარსებობა, ცოტა არ იყოს, გასაკვირია. არქეოლოგიური კუთხით შეუსწავლელია სვანეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნები და, შესაბამისად, ამ მხარეზე მსჯელობა დღესდღეობით შეუძლებელია. ლარილარის სამაროვანი კი, რომელზეც კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი კოლექტიური დაკრძალვის წესია დადასტურებული, შედარებით მოგვიანო ეტაპს განეკუთვნება. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ წინარე პერიოდის (გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის) ტრადიციებს იმეორებდეს.

სვანეთისაგან განსხვავებით უკეთესადაა შესწავლილი რაჭის ტერიტორია, სადაც გამოვლენილია ბრილის სამაროვანი, რომელიც საკვლევი პერიოდის სამარხებთან ერთად ადრეული და მოგვიანო პერიოდის კულტურული ფენების შემცველიცაა, რაც სამარხ-კონსტრუქციათა და დაკრძალვის წესის ტრანსფორმაციასა და განვითარებაზე საინტერესო დასკვნების საშუალებას გვაძლევს. მაგრამ დღესდღეობით აღნიშნული ძეგლი არ არის სრულად გამოქვეყნებული და შესაბამისად მის თაობაზე მსჯელობა და განხილვა აღნიშნულ ნაშრომში ვერ მოხერხდა, განსახვავებით თლიას სამაროვნისაგან, რომელიც ცხინვალის რეგიონში, ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე მდებარეობს და ბრილის მსგავსად მრავალი კულტურული ფენის შემცველია და ასევე მთიან ზოლშია განთავსებული.

ბრილისა და თლიას სამაროვნები სამარხ-კონსტრუქციათა მრავალფეროვნებით ხასიათდებიან და მრავალ პარალელს პოულობენ ერთმანეთთან, მათ შორის დაკრძალვის წესშიც, თუმცა ბრილისათვის დამახასიათებელი მიცვალებულთა კრემაციის ტრადიცია საერთოდ უცნობია თლიას სამაროვნისათვის. ასეთი სხვაობა ორ, ტერიტორიულად ერთმანეთთან ახლოს მყოფ ძეგლს შორის მანიშნებელია რწმენა-წარმოდგენათა მრავალფეროვნებისა, რაც არა მარტო ამ სამაროვნებზე, არამედ კოლხური კულტურის სხვა ძეგლებზეცაა თვალშისაცემი.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრილისა და თლიას სამარხები მრავალ საერთო ელემენტს პოულობენ ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ძეგლებთან, რაც როგორც სამარხ-კონსტრუქციების მოწყობის ტექნიკის, ასევე დაკრძალვის წესის კუთხითაც შეინიშნება. მაგრამ არის მნიშვნელოვანი განსხვავებები. მაგალითად, სამარხ-კონსტრუქციათა ტიპოლოგიური ერთგვაროვნების მიუხედავად, თლიას სამაროვნის ქვაყუთები აშკარად განსხვავდებიან ყობანური კულტურის ძეგლებისაგან. ეს თვალშისაცემია მათი მოწყობის ტექნიკის, ფორმებისა და მიცვალებულთა დაკრძალვის წესის სხვადასხვა ელემენტების კუთხითაც.

კოლხური კულტურის აღნიშნულ ორ ძეგლზე ქვაყუთების გავრცელება, შესაძლოა, სწორედ ჩრდილოურ გავლენას უკავშირდებოდეს, რადგან ამ ტიპის სამარხებს აღნიშნულ სამაროვნებზე არ აქვთ დომინანტური როლი, არამედ საკმაოდ მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილი. მაგალითად, თლიას სამაროვანზე ისინი სამარხთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 6,5 %-ს შეადგენენ

(იხ. დანართი I, 1), მაშინ როდესაც ყობანური კულტურის მომიჯნავე ადაიდონის სამაროვანზე ქვაყუთები სამარხ-კონსტრუქციათა დომინანტურ სახესხვაობას წარმოადგენდნენ.

მსგავსი საერთო ელემენტები ჩრდილო-დასავლეთ ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილს შორის გვაინბრინჯაო-ადრერკინის ხანის მჭიდრო კავშირებზე მიგვანიშნებს, რაც სამარხ-კონსტრუქციათა სხვადასხვა ტიპებისა და დაკრძალვის წესის განხილვით გამოჩნდა, თუმცა საერთო ელემენტებთან ერთად ვხვდებით რადიკალურად განსხვავებულ მახასიათებლებს. ეს პირველ რიგში კოლექტიური სამარხების შემთხვევაშია თვალშისაცემი, როდესაც ყობანური კულტურის არეალში ქვით ნაგები, ხოლო კოლხურ კულტურაში, სავარაუდოდ, ხის მასალით კონსტრუირებული კოლექტიური სამარხები უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ამ კუთხით გამონაკლისს ბრილის სამაროვანი წარმოადგენს, სადაც კოლექტიური სამარხების მოწყობისას ქვის მასალაც ყოფილა ჩართული. ამ კუთხით, ის ახლოს დგას ჩრდილოეთ კავკასიის ძეგლებთან (ტერეზე, ზემო რუთხა). სამარხ-კონსტრუქციებთან ერთად მსგავსება შეინიშნება დაკრძალვის წესშიც, რაც მიცვალებულთა კრემირების ჩვეულებითაა გამოხატული.

კოლექტიური სამარხების ქვის მასალით მოწყობის ჩვეულება, როგორც ჩანს, მხოლოდ მთიანი ზოლისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი და ამ კუთხით მათი ოროგრაფიული შეზღუდულობა აშკარაა. ამავდროულად, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სამივე ძეგლზე (ბრილი, ტერეზე, ზემო რუთხა) კოლექტიური სამარხები კოლხური და ყობანური კულტურების შედარებით ადრეულ საფეხურზე არიან გავრცელებული. ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მათ სხვა ანალოგიები არ ეძებნებათ, ხოლო კოლხური კულტურის გავრცელების დაბლობ ზონაში კი მათ, როგორც აღინიშნა, ხის მასალით კონსტრუირებული კოლექტიური სამარხი-ორმოები ცვლიან, რომელთაც დაკრძალვის წესისა და სამარხ-კონსტრუქციათა მოწყობის ტრადიციის არაერთგვაროვნება ახასიათებთ. მაგალითად, კოლექტიური სამარხი-ორმოების ნაწილს ახასიათებს მიცვალებულთა კრემაციის ჩვეულება (ნიგვზიანი, ურეკი, ჯანტუხი, მერხეული, ფიჩორი, პალური), ხოლო ნაწილს კი მათი ინჰუმაცია, მეორადი დაკრძალვის ჩეულებით (მუხურჩა, ცაიში, დღვაბა, ერგეტა I, ერგეტა II, ერგეტა III, ერგეტა IV).

კოლხური და ყობანური კულტურების კოლექტიურ სამარხებს შორის დაკრძალვის წესის კუთხით, მიუხედავად გარკვეული მსგავსებებისა, შეინიშნება რადიკალური განსხვავებებიც, მაგალითად, კოლხეთის დაბლობის ძეგლებისათვის დამახასიათებელი საძვლე ორმოები უცნობია ბრილის სამაროვნისა და ჩრდილოეთ კავკასიის ძეგლებისათვის. თუმცა, აღნიშნული ელემენტი კოლხეთის დაბლობის ყველა კოლექტიურ სამარხსაც როდი ახასიათებს.

კოლხური და ყობანური კულტურების სხვა ტიპის სამარხების შემთხვევაში ჩვენ გარკვეული კავშირი გვაქვს სამარხ-კონსტრუქციათა ტიპოლოგიური მსგავსების სახით, თუმცა ხშირ შემთხვევაში დაკრძალვის წესის მხრივ ორივე კულტურის ძეგლები ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოირჩევიან. ეს თვალნათლივ შეინიშნება მარტივი კონფიგურაციის მქონე ორმოსამარხების შემთხვევაში, როდესაც კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი კრემაციის წესი და მეორადი დაკრძალვის რიტუალი, თითქმის უცხოა ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილისათვის, თუ არ ჩავთვლით ისეთ ძეგლებს, სადაც სამარხთა კონსტრუქციის განსაზღვრა ვერ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ კრემაციის წესი ყობანური კულტურის ადრეული პერიოდის ძეგლებთან ერთად გვხვდება მოგვიანო ეტაპის სამაროვნებზეც, მას არ აქვს მასშტაბური გავრცელება და ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილისათვის დომინანტურია მიცვალებულთა ინჰუმაციის ტრადიცია.

როგორც კოლხურ, ასევე ყობანურ კულტურათა არეალისთვის დამახასიათებელია სამარხ-კონსტრუქციათა ისეთი ტიპების გავრცელება, რომელიც მეზობელი კულტურისათვის უცხო მოვლენას წარმოადგენს. მაგალითად, ოსუარიუმი, როგორც სამარხის ტიპი, უცხოა ჩრდილოეთ კავკასიის ძეგლებისათვის. ასევე უცხოა მასში შესრულებული მიცვალებულთა დაკრძალვის წესი. თუმცა, ოსუარიუმი თვით კოლხურ კულტურაშიც ლოკალურ მოვლენას წარმოადგენს და მხოლოდ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მიკვეულ ძეგლებზეა დადასტურებული (ეშერა, ვერეშჩაგინის გორა, წითელი შუქურა, პრიმორსკოე, ზვანდრიფში). ოსუარიუმების მსგავსად, ლოკალურ მოვლენას წარმოადგენდა კრომლეხი, რომელიც მხოლოდ ყობანური კულტურის აღმოსავლეთ ვარიანტში, მუჟიჩის სამაროვანზეა გავრცელებული და უცნობია კოლხური კულტურისა და ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის სხვა ძეგლებისათვის.

ჩვენს მიერ განხილული კოლხური და ყობანური კულტურების სამარხეული მონაცემების ურთიერთმიმართებითი ანალიზი ხაზს უსვამს ამ ორი კულტურის თვითმყოფადობას და ამავდროულად, მათ შორის მჭიდრო კავშირს, რაც ტერიტორიული და გარკვეული კულტურული სიახლოვითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული. ეს სიახლოვე და კულტურული ერთიანობა თვალნათლივ ჩანს არქეოლოგიური მასალის ნაწილის (ლოთონწარმოების არტეფაქტების) საფუძველზე, თუმცა ჩვენს მიერ განხილული სამარხი-კონსტრუქციები და დაკრძალვის წესი მსგავსი ერთიანობის დამადასტურებლად არ გამოდგება. ამავდროულად, ის მიანიშნებს იმ ახლო კავშირებზე, რომელიც კავკასიონის მთავარი ქედის ორივე მხარის არქეოლოგიურ კულტურებს ჰქონდათ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. ვიმედოვნებთ, რომ შემდგომი კვლევა-ძიება და კომპლექსური მიდგომა ამ საკითხისადმი მეტ ნათელს მოჰფენს კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთ კავშირებს.

დანართი

ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროდ ჩავთვალეთ მისთვის დაგვერთო სპეციალური დამატებანი, რომელიც ცალკეული კონკრეტული საკითხებისადმი მიძღვნილი დანართების სახითა გვაქვს მოწოდებული.

მისი გამოტანა ცალკე დამატებების ფორმატით განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, მასში განხილული სტატისტიკური მონაცემების, პროცენტული მონაცემების დაანგარიშების, სამარხ-კონსტრუქციათა ძირითადი ტიპების გავრცელების რუკების, ქრონოლოგიური კორელაციის სქემის, სამარხათა კატალოგური ნაწილის და სხვა მონაცემთა უკეთ და მკაფიოდ ვიზუალიზაციის მიზნით. გარდა ამისა, ნაშრომის ამგვარი ორგანიზება გამოწვეულია იმითაც, რომ ამ რაოდენობის მასალათა და მონაცემთა ჩართვა სადისერტაციო ნაშრომის ძირითად ნაწილში, ბუნებრივია, გამოიწვევდა ანალიტიკური ტექსტის მნიშვნელოვნად შემცირებას, (სადისერტაციო ნაშრომის ლიმიტირებული ფორმატის გამო) და ნაკლებ საშუალებას მოგვცემდა ჩავღრმავებოდით და გვემსჯელა არსებით პრობლემატიკაზე.

დანართი I მიზნად ისახავს კოლხური და ყობანური კულტურების სამარხ-კონსტრუქციათა ძირითადი ტიპებისა და ქვეტიპების სტატისტიკური მონაცემების შემუშავებას.

დანართი II-ში წარმოდგენილია კოლხურ და ყობანურ კულტურათა ძეგლების ქრონოლოგიური სქემები.

დანართი III-ში მოცემული გვაქვს როგორც კოლხური, ისე ყობანური კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა ძირითადი ტიპების გავრცელების რუკები.

დანართი IV-ში გაერთიანებულია კატალოგური ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული კოლხური და ყობანური კულტურების ძეგლთა აღწერილობათა თავმოყრას.

დანართი I

კოლხური და ყობანური კულტურების სამარხ-კონსტრუქციათა ტიპების სტატისტიკური მონაცემები

I.1. კოლხური კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა ტიპების სტატისტიკური მონაცემები

კოლხური კულტურის სამარხ-კონსტრუაციათა თაობაზე მსჯელობა ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მონაცემების მიხედვით გვქონდა. ნაშრომში სამარხთა ძირითადი ტიპებისა და ქვეტიპების გამოყოფა სწორედ ამ ცნობებს ემყარება. საერთო ჯამში, აღწერილი და თავმოყრილი გვაქვს 26 ძეგლიდან მომდინარე 675 სამარხი.

სამწუხაროდ, სტატისტიკური ანალიზისას ვერ მოხერხდა ისეთი ძეგლების გათვალისწინება, როგორებიცაა, მაგალითად, ბრილის, ქორეთის, ცაიშის, მუხურჩას, ზვანდრიფშის, მერხეულის სამაროვნები, რადგან გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხთა ზუსტი რაოდენობისა და ტიპების დადგენა ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკურ მონაცემებში მათი შეტანა ვერ მოხერხდა, ჩვენ მაინც გავითვალისწინეთ ბრილის, ქორეთის, ცაიშის, მუხურჩა, ზვანდრიფშისა და მერხეულის მასალები დაკრძალვის წესისა და სამარხ-კონსტრუქციათა ანალიზისას.

I ტიპის (მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხები) სამარხების რაოდენობა 212-ს აღწევს. ამ კატეგორიაში არ შეგვყავს თლიას სამაროვნის 181 სამარხი, რომელთა ტიპოლოგიაზე საუბარი შეუძლებელია, თუმცა არაა გამორიცხული ისინი მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხებს წარმოადგენდნენ.

მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხთა შორის I ქვეტიპის 18 სამარხია ცნობილი, რაც I ძირითადი ტიპის სამარხთა 13,14%-ს და საერთო რაოდენობის 2,7 %-ს შეადგენს. II და III ქვეტიპების პროცენტული რაოდენობის გამოთვლა

ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია, რადგან ურეკის სამაროვანზე სამარხები ამ კუთხით არაა გამიჯნული, რაც მათ საერთო კონტექსტში მოქცევას შეუძლებელს ხდის. ორივე ქვეტიპი ერთად კი 138 სამარხითაა წარმოდგენილი და კოლხური კულტურის სამარხთა 20,4 %-ს შეადგენს.

საერთო ჯამში, I ტიპის სამარხები საერთო რაოდენობის 33,44%-ს, ანუ დაახლოებით 1/3-ს შეადგენენ, რაც საკმაოდ დიდი პროცენტული მაჩვენებელია.

II ტიპის სამარხ-კონსტრუქციათა (**ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხები**) თაობაზე მსჯელობა 14 სამარხის მეშვეობითაა შესაძლებელი (8-ხუცუბანი, 1-ერგეტა I, 5-თლია). ხუცუბნისათვის მხოლოდ სამარხის აღნიშნული ტიპია დამახასიათებელი. ერგეტა I-ზე ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხი სამაროვნის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხთა მხოლოდ 10 %-ს, ხოლო თლიაზე 1,7 %-ს შეადგენს. II ტიპის სამარხები კოლხური კულტურის ჩვენს მიერ განხილულ სამარხთა მხოლოდ 2,1 %-ს შეადგენენ.

III ტიპის სამარხ-კონსტრუქციათა (**ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხები**) რაოდენობა 45-ს აღწევს. ამ ტიპის თითო-თითო სამარხია წარმოდგენილი ააგსტაზე და გაგრის სამაროვანზე, ხოლო 44 – თლიაზე (15%). საერთო პროცენტული მაჩვენებელი 6,8 %-ს აღწევს.

IV ტიპის სამარხი-კონსტრუქციები (**ქვაყრილით დაფარული სამარხები, რომელთა კედლებიც ქვებითაა შემოწყობილი**) მხოლოდ თლიას სამაროვანზე გვხვდება. მათი რაოდენობა 37 ერთეულს აღწევს და ჩვენს ნაშრომში განხილული თლიას სამაროვნის გვიანბრინჯაო-ადრერკინის სამარხთა 12,6%-ს, ხოლო მთლიანად კოლხური კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა 5,5%-ს შეადგენენ.

V ტიპის, ხის კონსტრუქციის მქონე სამარხები თლიას სამაროვანზე ყველაზე მცირერიცხოვანი არიან და მათი პროცენტული მაჩვენებელი 2,4%-ს არ აღემატება, ხოლო მთლიანი კოლხური კულტურის მასშტაბით 1,03%-ს.

VI ტიპის კოლექტიური სამარხი-ორმოები ჩვენ ნაშრომში 38 ერთეული გვყავს შეყვანილი. აქ არ არის მოქცეული მერხეულის, მუხურჩის, ბრილისა და ცაიშის სამარხი-ორმოები, თუ დასაკრძალი მოედნები, რადგან არ ვიცით მათი ზუსტი რაოდენობა. სამარხის ეს ტიპი კოლხური კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა 5,63%-ს შეადგენენ.

VII ტიპის სამარხები – **ქვაყუთები**, 19 ერთეულითაა წარმოდგენილი თლიაზე. არ ვიცით მათი ზუსტი რაოდენობა ბრილის სამაროვანზე და, შესაბამისად, მხოლოდ თლიას ქვაყუთების შეტანა მოვახერხეთ. უშუალოდ ძეგლზე ისინი 6,5%-ს, ხოლო მთლიანად კოლხური კულტურის მასშტაბით 2,8%-ს შეადგენენ.

VIII – ოსუარიუმების საერთო რაოდენობა 14-ს აღწევს (8-წითელი შუქურა, 3-ეშერა, 1-ვერეშჩაგინის გორა, 1-ზვანდრიფში, 1-პრიმორსკოე). საინტერესოა წითელი შუქურას სამაროვანი, სადაც მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხთა გვერდით, ოსუარიუმები სამაროვნის გვიანბრინჯაო-ადრერკინის სამარხთა 7,14%-ს შეადგენენ, ხოლო კოლხური კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა საერთო რაოდენობის – 2%-ს.

IX – ყორღანული სამარხები მხოლოდ 3 ერთეულითაა ცნობილი, ისიც კოლხური კულტურის აღმოსავლეთ ნაწილში, გორაძირის სამაროვანზე. ყორღანები ჩვენს მიერ განხილულ კოლხური კულტურის სამარხთა მხოლოდ 0,4%-ს შეადგენს და მიანიშნებს, რომ ის ყველაზე ნაკლებად გავრცელებული სამარხის ტიპს წარმოადგენდა.

კოლხური კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა სტატისტიკური მონაცემებით (ტაბ. XLI), რომელიც აღნიშნულ მიზეზთა გამო არ არის სრული, დავინახავთ, რომ კოლხური კულტურისათვის სამარხის დომინანტური ტიპია მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხი, რომელთა ძირითადი ნაწილი კონცენტრირებულია აფხაზეთის, გურიისა და დასავლეთ ამიერკავკასიის ჩრდილოეთ ნაწილში (თლია, ბრილი). რაც შეეხება სამარხ-კონსტრუქციათა სხვა ტიპებს, მათი გავრცელება თანაბარი ოდენობით ხდება, თუმცა აშკარა უმცირესობაში არიან V, VIII და IX ტიპის სამარხები და ხშირ შემთხვევაში გარკვეული რეგიონისათვის დამახასიათებელ ლოკალურ მოვლენას წარმოადგენენ.

I.2. ყობანური კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა ტიპების სტატისტიკური მონაცემები

დასავლეთ ამიერკავკასიისაგან განსხვავებით ყობანური კულტურის სამარხთა რაოდენობის თაობაზე შედარებით უფრო მწირი ინფორმაცია გვაქვს, რაც მნიშვნელოვანწილად ართულებს მათ ანალიზს. სამეცნიერო ლიტერატურაში დამოწმებული, ყობანური კულტურის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხთა რაოდენობა 763-ს აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ მათი უდიდესი ნაწილის აღწერილობა ჩვენ არ გაგვაჩნია, სტატისტიკური მონაცემების გაკეთება სწორედ საერთო რაოდენობის მიხედვით გადავწყვიტეთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყობანური კულტურის არეალში აღმოჩენილ სამარხთა რაოდენობა გაცილებით მეტია, თუმცა ზოგიერთი ძეგლის თაობაზე, მის გამთხრელს ან სპეციალური პუბლიკაციის ავტორს, საკმაოდ ხშირად გამოყოფილი და მითითებული არ აქვს სამარხთა ტიპები და მათი რაოდენობა. სწორედ ამიტომ, ამ ეტაპზე შეუძლებლად მიგვაჩნია მათი საერთო კონტექსტში განხილვა. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ყობანური კულტურის ძირითადი ტიპების სტატისტიკური მონაცემები მხოლოდ პირობითი ხასიათის იქნება.

I ტიპის სამარხთა (**მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხები**) რაოდენობა 330-ს აღწევს და ყობანური კულტურის სამარხების 43,2 %-ს შეადგენს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მათი დიდი ნაწილი (172) კლინ-იარი III-ის, ხოლო 100-მდე სამარხი სერჟენ-იურტის სამაროვანზეა შესწავლილი. პირველი ძეგლი ქ. კისლოვოდსკში, ყობანური კულტურის დასავლურ ვარიანტში, ხოლო მეორე ინგუშეთში, აღმოსავლური ვარიანტის არეალში მდებარეობს.

II – ქვაყრილით დაფარულ ორმოსამარხთა საერთო რაოდენობა შეადგენს 194 ერთეულს, ანუ ყობანური კულტურის სამარხთა 19,9%-ს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ინგუშეთის ტერიტორიაზეა თავმოყრილი და ამ რეგიონისათვის დომინანტურ სამარხი-კონსტრუქციის ტიპს წარმოადგენს.

III – ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხები გვხვდება მხოლოდ ულუბაღანალის სამაროვანზე, თუმცა ამ ტიპის სამარხთა პროცენტული მაჩვენებლის გამოთვლა ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემებთა მეშვეობით შეუძლებელია.

IV – სამარხი-აკლდამები მხოლოდ 4 ერთეულით არიან წარმოდგენილი, რაც ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის სამარხთა 0,52%-ს შეადგენს.

V – რაც შეეხება **ქვაყუთებს**, რომლებიც ამ კულტურის დამახასიათებელ სამარხ-კონსტრუქციებადაა მიჩნეული, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, მათი რაოდენობა 125-ს აღწევს. აქ, სამარხთა რიცხოვნობის თაობაზე ცნობების არარსებობის გამო, ვერ შევიტანეთ ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლების ქვაყუთები, როგორებიცაა ადაიდონი, ტამგაციკი, კრასნოვოსტოჩნი, ვაკო-ჟილე და სხვ. აღნიშნული სამაროვნების გამოკლებით, ქვაყუთები ყობანური კულტურის სამარხთა საერთო რაოდენობის 16,4%-ს შეადგენენ.

VI – ყორღანული სამარხების რაოდენობა 31-ს აღწევს (4,06%). მათი აბსოლუტური უმრავლესობა (96%) თავმოყრილია თანამედროვე ინგუშეთისა და ჩეჩნეთის ტერიტორიებზე.

VII – ყობანური კულტურის არეალში **კრომლეხით შემოსაზღვრული** მხოლოდ 10 სამარხია ცნობილი. 9 მათგანი მუჟიჩის სამაროვანზეა წარმოდგენილი (5,6%), ხოლო 1 ნესტეროვსკაიაზე (1,9%). ყობანური კულტურის მასშტაბით ისინი სამარხთა საერთო რაოდენობის 1,3 %-ს შეადგენენ.

როგორც ვხედავთ, კოლხური კულტურის სამარხი-კონსტრუქციებისაგან განსხვავებით, ყობანური კულტურის სამარხთა სტატისტიკური მონაცემების შემუშავება საკმაოდ პრობლემატურია. მიუხედავად იმისა, რომ ეს მონაცემები პირობითია, მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ კულტურაში სამარხთა დომინანტური ტიპი მარტივი კონფიგურაციის მქონე ორმოსამარხია. სამარხთა დაახლოებით 16%-ის თაობაზე მსჯელობა შეუძლებელია, ხოლო მარტივი კონფიგურაციის მქონე ორმოსამარხების შემდეგ პროცენტული მაჩვენებლით მეორე ადგილი უკავიათ ქვაყრილით დაფარულ ორმოსამარხებს, მესამე კი – ქვაყუთებს. სხვა ტიპის სამარხთა რაოდენობა უმნიშვნელოა (5,9%) (ტაბ. XLII). ქვაყუთების შედარებით მცირე რაოდენობით აღმოჩენა, სრულებით არ მიანიშნებს მათ მეორეხარისხოვან როლზე. პირიქით, გეოგრაფიული კუთხით, სამარხის ეს ტიპი, ორმოსამარხთა ფონზე, საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას ფარავს და მოიცავს ყობანური კულტურის ცენტრალურ და დასავლურ ვარიანტებს.

დანართი II

კოლხურ და ყობანურ კულტურათა ძეგლების ქრონოლოგიური სქემები

კოლხური კულტურის ძეგლები	XII–X სს.	IX–VIII სს.	VII-VI სს.
თლია	+	+	+
გაგრა	–	+	–
სოხუმის მთა	–	–	+
ეშერა	–	+	–
შუბარა	–	–	–
ყულანურხვა	–	+	+
წითელი შუქურა	–	–	+
გუადიხუ	–	–	+
ჯანტუხი	–	+	+
მერხეული	–	+	+
ფიჩორი	–	–	–
კისტრიკი	–	–	–
მუხურჩა	–	+	+
პალური	–	–	+
ცაიში	–	–	+
ერგეტა I	–	–	+
ერგეტა II	–	–	+
ერგეტა III	–	–	+
ერგეტა IV	–	–	+
დღვაბა	–	–	+
ურეკი	–	–	+
ნიგვზიანი	–	–	+
ხუცუბანი	–	+	–
გორაძირი	–	+	+

ყობანური კულტურის ძეგლები	XII–X სს.	IX–VIII სს.	VII-V სს.
ყობანი	–	+	+
ზემო რუთხა	–	+	–
ადაიდონი	+	+	+
კომაროვო	–	–	+
სერჟენ-იურტი	+	+	–
ისტი-სუ	–	–	+
მუჟიჩი	–	–	+
ნესტეროვსკაია	–	–	+
ფსედახი	–	–	+
ანი-ირზო	–	–	+
ბოისი-ირზო	–	–	+
ტერეზე	+	+	+
ტამგაციკი	–	–	+
ელკუში	–	–	+
კრასნოვოსტოჩნი	–	–	+
ვაკო-ჟილე	–	–	+
ყიზილ-ყალა	–	–	+
უჩქულანი	–	–	+
კარაბაშევო	–	+	+
ყუმუში	–	–	+
ულუბადანალი	–	+	+
ბელორეჩენსკი	–	–	+
ინდუსტრია I	–	+	–
სულთან-გორა III	–	–	+

დანართი III

კოლხური და ყობანური კულტურების სამარხ-კონსტრუქციათა ძირითადი ტიპების გავრცელების რუკები

რუკა 1. კოლხური კულტურის მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხები.



რუკა 2. კოლხური კულტურის ქვაყრილით დაფარული მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხები.



რუკა 3. კოლხური კულტურის ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხები.

რუკა 4. კოლხური კულტურის ქვაყრილით დაფარული სამარხები, რომელთა კიდეებიც ქვებითაა შემოწყობილი.



რუკა 5. კოლხური კულტურის ხის ფიცრებით კონსტრუირებული სამარხები.



რუკა 6. კოლხური კულტურის კოლექტიური სამარხი-ორმოები.



რუკა 7. კოლხური კულტურის ქვაყუთები

რუკა 8. კოლხური კულტურის ოსუარიუმები



რუკა 9. კოლხური კულტურის ყორღანული სამარხები.



რუკა 10. ყობანური კულტურის მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხები.



რუკა 11. ყობანური კულტურის ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხები.



რუკა 12. ყობანური კულტურის ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხები.



რუკა 13. ყობანური კულტურის სამარხი-აკლდამები.



რუკა 14. ყობანური კულტურის ქვაყუთები.



რუკა 15. ყობანური კულტურის ყორღანული სამარხები.



რუკა 16. ყობანური კულტურის კრომლეხით შემოსაზღვრული სამარხები.



დანართი IV

IV.1. კოლხური კულტურის ძეგლები

თლია

თლიას სამაროვანი კოლხური კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს და თავისი მდებარეობით, მასშტაბებით და არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დაგროვილი მასალით ხაზს უსვამს სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის მჭიდრო კავშირს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. თლია მდებარეობს საქართველოში, ჯავის რაიონში, მდინარე თლიდონის ხეობაში, რომელიც დიდი ლიახვის შენაკადს წარმოადგენს. 1880 წელს ყობანის სამაროვნის მძარცველური გათხრის შემდეგ, ხაბოშ კანუკოვი თლიასაც მიადგა და დაიწყო მისი გათხრა. თლიას სამაროვნით შემდეგში ვ. დოლბეჟევი დაინტერესდა. 1890 წლს მან უნგრელ ნატურალისტ ჰეგერთან ერთად დაიწყო გათხრები. 1891 წელს თლიას ესტუმრა პ. უვაროვა და ერთი ხელუხლებელი სამარხი შეისწავლა, ხოლო წინა გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა გამოაქვეყნა.

არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები დიდი ლიახვის ხეობაში ჯერ კიდევ 1955 წელს ჩატარდა. 1957 წლიდან კი ივ. ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს სსრ-ს მეცნიერებათა აკადემიამ აქ ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრები დაიწყო.

თლიას სამაროვანზე გათხრილია 500-ზე მეტი სამარხი, რომელთა უმეტესობა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ეპოქისაა. 1955 წლიდან მოყოლებული, ვიდრე 1980 წლამდე 330 სამარხი, ხოლო 1983-1986 და 1988 წლებში დამატებით კიდევ 150 სამარხი იქნა შესწავლილი [Техов, 2006: 31].

ბ. ტეხოვს თლიას სამაროვანზე 4 ძირითადი ჯგუფი აქვს გამოყოფილი, რომლებსაც ძვ.წ. XVI საუკუნიდან მოყოლებული ძვ.წ. V საუკუნემდე პერიოდში ათავსებს. I ჯგუფში გაერთიანებულია 21 კომპლექსი, რომლებსაც ავტორი ძვ.წ. XVI-XIII საუკუნეებით ათარიღებს. მათგან №29, 42, 45, 46, 58 და №59 სამარხები ბ. ტეხოვის აზრით განეკუთვნება შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს, ხოლო სხვა

სამარხები - ძვ.წ. XIV-XIII სს-ს. I ჯგუფშივე შემავალი დანარჩენი 97 სამარხი ძვ. წ. XII-X სს-ებს, როდესაც "ცენტრალური კავკასიის ბრინჯაოს კულტურა თავისი განვითარების ზენიტშია" [Техов, 1980: 6].

I ჯგუფის სამარხები

სამარხი №12. სამარხი წრიულად შემოკრული და დაფარული იყო რიყის ქვებით. ჩონჩხი – მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ. მარჯვენა ხელი იდაყვში მოხრილი და სახესთან აწეული ჰქონდა. მარცხენა ხელის მტევანი ხერხემლის ქვედა ნაწილში იყო მოთავსებული. თავის ქალა სიმძიმისგან ყოფილა გაჭყლეტილი [Техов, 1980: 15].

სამარხი №14. სამარხის კედლები ქვებით იყო შემოწყობილი და ზემოდან ნახშირ მოყრილი. სამარხში 4 ჩონჩხი აღმოჩნდა. პირველი მიცვალებული მოხრილ მდგომარეობაში ქვის დიდ ფილაზე იყო დასვენებული და თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიმართული. თავის ქალა ქვების ზეწოლისაგან იყო გაჭყლეტილი. ამ ქვებზე ზემოდან ცხვრის თავის ქალა იყო მოთავსებული. თავის ქალის ჩრდილოეთით ჩადგმული იყო ბრინჯაოს ფართოყელიანი ბადია. მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა: ბრინჯაოს სარტყელი, სამაჯური სპირალურად დახვეული ბოლოებით, 18 წითელი სარდიონის მძივი. მეორე ჩონჩხი, რომელიც სახით დასავლეთისაკენ იყო ორიენტირებული, დიდი ფილის ქვეშ გამოვლინდა. მის ინვენტარს ბრინჯაოს სატევრის პირი შეადგენდა. აღნიშნული ქვის აღმოსავლეთით მესამე ჩონჩხის თავის ქალა აღმოჩნდა, სხეულის დიდი ნაწილით ფილის ქვეშ მოქცეული. მეოთხე ჩონჩხის თავის ქალა პირველი ჩონჩხის ფეხებთან იყო მოთავსებული. მისი ინვენტარი შედგებოდა 10 რომბისებური ფორმის ბრინჯაოს ბალთისაგან [Техов, 1980: 15].

სამარხი №16ა. სამარხში ორი ჩონჩხი გაიწმინდა. ორივე მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე. ერთი საკმაოდ დაზიანებული, ხოლო მეორე კი შედარებით უკეთესად შემონახული.

სამარხი №17. სიღრმე – 3,4 მ. 2 ჩონჩხი (ერთი მამაკაცის). ორივე მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში.

სამარხი №18. სამარხი დაფარული იყო დიდი ქვით. სამარხში, რომლის ინვენტარიც საკმაოდ დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, ორი ჩონჩხი აღმოჩნდა. ერთი დაზიანებული, მეორე კი მთელი, რომელიც თავით ჩრდილოეთისაკენ იყო ორიენტირებული [Техов, 1980: 16]

სამარხი №22. ქვაყუთი. კედლები შეკრული იყო 4 მთლიანი ფილისგან. ძირი 3 წვრილი და მოგრძო ფილისაგან იყო შედგენილი. სამარხს ფარავდა 2 დიდი ქვის ფილა. ჩონჩხი მოზარდს ეკუთვნოდა, რომელიც მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული დაუკრძალავთ (ტაბ. IV, 1) [Техов, 1980: 17].

სამარხი №23a. სამარხში 3 ჩონჩხი გაიწმინდა: მამაკაცის, ქალისა და ბავშვის. მამაკაცის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, ფეხებმოკეცილი, თავით ჩრდილოეთისაკენ იყო მოთავსებული. ქალის ჩონჩხი მისგან დასავლეთით აღმოჩნდა, იმავე პოზაში, შედარებით ნაკლებად მოხრილი. ბავშვი, რომლის ქვედა კიდური ძვლები სამარხში არ დაფიქსირდა, მარცხენა გვერდზე, სახით ქალის ჩონჩხისაკენ მოქცეული იყო დაკრძალული. სამარხეული ინვენტარი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო [Техов, 1980: 17].

სამარხი №24. სიღრმე – 3,5 მ. სამარხში ბავშვის ფრაგმენტირებული ძვლები დაფიქსირდა. ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდომარეობაში იყო მოთავსებული.

სამარხი №25. სიღრმე – 3,5 მ. სამარხში 4 ჩონჩხის ფრაგმენტირებული ძვლები დაფიქსირდა. შედარებით უკეთესად მამაკაცის ჩონჩხი იყო შემონახული, რომელიც მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში დაუსვენებიათ.

სამარხი №32. სიღრმე – 2,5 მ. სამარხში, რომელიც ქვაყრილის ქვეშ იყო მოქცეული, მამაკაცის ჩონჩხი, მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ იყო მოთავსებული.

სამარხი №37. სამარხში ძლიერ ფრაგმენტირებული ჩონჩხი დაფიქსირდა – მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ მიმართული.

სამარხი №38. სამარხში მიცვალებულის ძვლები არეული და ერთ გროვად ყოფილა შეჯგუფებული.

სამარხი №39. სიღრმე – 2,15 მ. სამარხის მთლიანობა დარღვეული იყო და ძვლები ძლიერ ფრაგმენტირებული. თავის ქალა და ხერხემლის მალები სამარხის სამხრეთ ნაწილში იყო მოქცეული.

სამარხი №48. სიღრმე – 3,5 მ. სამარხი შემოფარგლული და ამოვსებული იყო ქვებით. ჩონჩხი - მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №50. სამარხი შემოწყობილი იყო რიყის ქვებით. ჩონჩხი – ძლიერ მოხრილი, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ მიმართული. მიცვალებულს ხელის მტევნები ერთმანეთზე დაწყობილი დ სახის არეში აწეული ჰქონდა.

სამარხი №52. სიღრმე – 3,5 მ. ჩონჩხი ძლიერ მოხრილ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული დაფიქსირდა. მარჯვენა ხელის ფალანგები თავის ქალის ქვეშ იყო მოქცეული [Техов, 1980: 20].

სამარხი №55. სამარხს ქვებისაგან შედგენილი ყრილი ფარავდა. მიცვალებული ძლიერ მოხრილი, მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ მოქცეული დაუკრძალავთ.

სამარხი №57. სიღრმე – 2,5 მ. ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მოხრილ პოზაში, თავით ჩრდილოეთისაკენ მიმართული.

სამარხი №63. სიღრმე – 1,25 მ. სამარხში ძლიერ დაზიანებული ჩონჩხი აღმოჩნდა. ქვედა კიდურები ძლიერ მოხრილი იყო, ხოლო თავის ქალა ჩონჩხისგან გამოყოფილი და სახით მიწისაკენ მიმართული.

სამარხი №64. სიღრმე – 1,34 მ. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, მოხრილი, თავით აღმოსავლეთისაკენ მიმართული დაუკრძალავთ.

სამარხი №65. სიღრმე – 2,5 მ. ჩონჩხი, რომლის თავის ქალაც სიმძიმისგან იყო ფრაგმენტირებული, მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული აღმოჩნდა.

სამარხი №66. სიღრმე – 1,65 მ. ჩონჩხი ძლიერ ფრაგმენტირებული იყო – მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №74a. სიღრმე – 1,7 მ. ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ მიმართული.

სამარხი №74b. მიცვალებულის ძვლები ერთად, ერთ გროვად და მთლიანი ჩონჩხის თავის ქალასთან იყო მოთავსებული (№74a).

სამარხი №75. სიღრმე – 2 მ. სამარხი მოქცეული იყო ქვაყრილის ქვეშ. გაიწმინდა ქალის ჩონჩხი, რომელიც მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული იყო დასვენებული.

სამარხი №76. სიღრმე – 1,65 მ. სამარხში ორი, ქვების ზეწოლისგან დაზიანებული ჩონჩხი აღმოჩნდა - ერთმანეთზე დასვენებული, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებულნი.

სამარხი №78. სიღრმე – 1,65 მ. სამარხში დაფიქსირდა არეული ოსტელოგიური მასალა.

სამარხი №79. სიღრმე – 1,70 მ. ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული აღმოჩნდა, მცირედი გადახრით დასავლეთისაკენ. ხელები სახის არეში აწეული, ხოლო ქვედა კიდურები მენჯის ძვლამდე მოკეცილი ჰქონდა.

სამარხი №80. სიღრმე – 1,80 მ. სამახში მხოლოდ მენჯისა და ბარძაყის ძვლები იყო შემორჩენილი. მათი მიხედვით, მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული ყოფილა დასვენებული.

სამარხი №82. სიღრმე – 2 მ. №81 სამარხის ქვეშ. სამარხში აღმოჩნდა 2 ჩონჩხის ერთ გროვად დახვავებული ძვლები.

სამარხი №83. სიღრმე – 1,80 მ. სამარხში დასიქსირებულ იქნა 2 ჩონჩხი. პირველი ჩონჩხი, რომელიც ქალს ეკუთვნოდა, მარჯვენა გვერდზე, მოხრილ პოზაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული(მცირე გადახრით დასავლეთისაკენ) იყო მოთავსებული. ხელები იდაყვის არეში იყო მოხრილი; მარჯვენა ხელის მტევანი სახის არეში ჰქონდა აწეული, ხოლო მარცხენა ხელი – მარჯვენა მხარის ძვლებთან მიტანილი. მისი სამარხეული ინვენტარი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და შედგებოდა: ბრინჯაოს ზოომორფულყურიანი სასმისისაგან, რომელიც თავის ქალის ჩრდილოეთით იყო ჩადგმული; 75 სარდიონისა და 1 მინის მძივისაგან; ვერცხლის სასაფეთქლე საკიდისაგან; ბრინჯაოს სამაჯურებისა და 2 ბეჭდისაგან; 5 რომბისებური ბალთისაგან, მშვილდსაკინძისაგან; წელის არეში მოთავსებული ბრინჯაოს სარტყლისა და აბზინდისგან. მიცვალებულს ფეხებზე ბრინჯაოს რგოლები ეკეთა [Техов, 1980: 24]. მეორე ჩონჩხი პირველისგან აღმოსავლეთით, მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთის მხარეს ყოფილა მოთავსებული. მისი ინვენტარი მხოლოდ თავის ქალის სიახლოვეს ჩადგმული კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებით იყო წარმოდგენილი.

სამარხი №86. სიღრმე – 1,85 მ. სამარხი მოწყობილი იყო ქვის ფილების მსგავსი კეცებისგან. ზემოდანაც მსგავსი ქვებით იყო გადახურული. სამარხში

დაფიქსირდა 2 ჩონჩხი (ქალისა და მამაკაცის). ორივე მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში და თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული.

სამარხი №88a. სამარხში ოსტეოლოგიური მასალა არეული და ერთ გროვად შეჯგუფებული აღმოჩნდა.

სამარხი №88b. ოსტეოლოგიური მასალა არეული და ერთ გროვად კონცენტრირებული დაფიქსირდა [Техов, 1980: 24].

სამარხი №98. სამარხი კოლექტიური ტიპისა იყო; 4 დაზიანებული და 3 შედარებით უკეთესად დაცული ჩონჩხით წარმოდგენილი. მიცვალებულები ერთმანეთზე იყვნენ დაკრძალულნი; მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებულნი. ჩონჩხებისგან დასავლეთით 2 თავის ქალა, ხოლო ჩრდილოეთით ასევე 2 თავის ქალა აღმოჩნდა [Техов, 1980: 25].

სამარხი №99. სიღრმე – 2,62 მ. სამარხ ორმოს ოთკუთხედის მოყვანილობა გააჩნდა, რომელიც შემოწყობილი იყო ქვებით. სამარხში ორი ჩონჩხი აღმოჩნდა: ქალისა და მამაკაცის; ორივე მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ მოქცეული.

სამარხი №100. სიღრმე – 2,45 მ. სამარხში მიცვალებული მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული დაუკრძალავთ.

სამარხი №101. ჩონჩხი – ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. თავის ქალა მუხლის არეში იყო მოქცეული. მარჯვენა ხელი თავის ქალისაკენ ჰქონდა გაშვერილი, მარცხენა კი იდაყვში მოკეცილი.

სამარხი №102. სიღრმე – 4 მ. სამარხის ორმოს ძირი ნაპირებზე ქვებით იყო შემოწყობილი. ჩონჩხი, რომელიც ინვენტარის მიხედვით, ქალს უნდა კუთვნებოდა, მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული იყო მოთავსებული.

სამარხი №105. სამარხის კედლები ქვებით იყო შემოწყობილი და ზემოდან ქვებითვე დაფარული. ქალის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ პოზაში, თავით ჩრდილოეთისაკენ მიმართული დაფიქსირდა. ხელები იდაყვში მოხრილი და გულ-მკერდის არეში დაწყობილი ჰქონდა.

სამარხი №107. სიღრმე – 3,5 მ. ჩონჩხი ძლიერ იყო დაზიანებული. ის მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული იყო. მარცხენა ხელი მენჯისაკენ იყო გაშვერილი, მარჯვენა კი იდაყვში მოკეცილი.

სამარხი №108a. სიღრმე – 3,5 მ. სამარხში აღმოჩნდა 2 ჩონჩხი; ერთი დაზიანებული და ერთიც კარგად შემონახული. დაზიანებული ჩონჩხი მეორის ზურგს უკან იყო მოთავსებული.

სამარხი №112. სამარხში 2 მიცვალებული დაუკრძალავთ. ერთი ჩონჩხი ცუდად იყო შემონახული, რომელიც მარჯვენა გვერდზე, მოხრილ პოზაში, თავით ჩრდილოეთისაკენ მიმართული იყო მოთავსებული. მეორე ჩონჩხის ძვლები კი არეული და პირველის დასავლეთით, ერთ გროვად იყო კონცენტრირებული.

სამარხი №115. სიღრმე – 3,5 მ. სამარხში მიკვლეულ იქნა ბავშვის ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №125. სამარხის ორმო გარშემო ქვებით იყო შემოწყობილი. ქალის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ მიმართული. მარჯვენა ხელი მარჯვენა ფეხის ბარძაყისაკენ იყო გაშვერილი, ხოლო მარცხენა ხელი – იდაყვში მოკეცილი [Техов, 1970: 97].

სამარხი №126. სამარხში ჩონჩხისგან მხოლოდ დაზიანებული ზედა ნაწილი იყო შემორჩენილი, რომლის მიხედვით, მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, მოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული იყო მოთავსებული.

სამარხი №132. სიღრმე – 2,90 მ. სამარხი კვადრატული მოყვანილობისა იყო, ბრტყელი ქვებით შემოფარგლული. აღმოჩნდა ქალის ჩონჩხი, რომელიც მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ მოუთავსებიათ [Техов, 1980: 29-30].

სამარხი №134. სიღრმე – 3 მ. სამარხში აღმოჩნდა ქალის ჩონჩხი, რომელიც მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ პოზაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. მიცვალებულს ხელები მუცლის არესთან ჰქონდა გადაჯვარედინებული, ხოლო ფეხები მუხლის არეში მოკეცილი [Техов, 1980: 30].

სამარხი №137. სიღრმე – 3,12 მ. მამაკაცის ჩონჩხი - მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ მოქცეული. ხელები იდაყვში ძლიერ მოკეცილი და სახისაკენ აწეული ჰქონდა [Техов, 1970: 103].

სამარხი №138a. სიღრმე – 3,1 მ. სამარხში დაფიქსირდა 3 ჩონჩხი. ყველაზე ადრეული იყო ქვედა, მესამე მიცვალებული, რომელიც მეორე ჩონჩხის ძვლებით იყო გადაფარული. მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №146a. სიღრმე – 4,2 მ. ოსტეოლოგიური მასალა არ დაფიქსირდა, მხოლოდ ნივთთა კომპლექსი, რომელიც №146 სამარხში მიკვლეული ჩონჩხის თავის ქალის სიახლოვეს მდებარეობდა, მაგრამ ბ. ტეხოვის მოსაზრებით, მასთან არ ჰქონდა კავშირი [Техов, 1980: 31].

სამარხი №156. ქვაყუთი. მამაკაცის ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. მარცხენა ხელი იდაყვში მოკეცილი და მტევანი მარჯვენა მხარზე დადებული ჰქონდა. მარჯვენა ხელი ბარძაყისკენ იყო გაშვერილი. სამარხეული ინვენტარს შეადგენდა: სარდიონის 14 მძივი; ბრინჯაოს მშვილდსაკინძი; სატევრისპირი; შავი ობსიდიანის ნატეხი [Техов, 1980: 31-32].

სამარხი №158a. სიღრმე – 4,8 მ. სამარხის ორმო ყოველი მხრიდან ბრტყელი ქვებით იყო შემოზღუდული. სამარხში დაფიქსირდა ერთი მთელი და ერთიც დარღვეული ჩონჩხი. მეორისაგან მხოლოდ თავის ქალა, მენჯის ძვლები და ფალანგები იყო შემორჩენილი. მენჯის ძვლები ქვაზე იყო მოთავსებული [Техов, 1980: 32].

სამარხი №159. სიღრმე – 5 მ. სამარხში გაიწმინდა 2 ჩონჩხის ძვლები, რომელთა ფრაგმენტულობის გამო, მიცვალებულთა დაკრძალვის წესის დადგენა ვერ მოხერხდა [Техов 1980: 32].

სამარხი №160. სიღრმე – 4,30 მ. სამარხის ორმო ქვებით იყო შემოფარგლული. ოსტეოლოგიური მასალა ერთ გროვად იყო კონცენტრირებული.

სამარხი №165. სიღრმე – 4 მ. სამარხი შემოწყობილი იყო ქვებით. მამაკაცის ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული. მიცვალებულს ფეხის ტერფები ერთმანეთზე ჰქონდა გადაჯვარედინებული.

სამარხი №167a. სიღრმე – 1,5 მ. სამარხი ქვით იყო შემოწყობილი. დაფიქსირდა 2 ჩონჩხი. ერთი შედარებით უკეთესად დაცული, ხოლო მეორე – ერთ გროვად პირველი ჩონჩხის მუხლებთან კონცენტრირებული [Техов, 1980: 33].

სამარხი №180. სიღრმე – 3 მ. სამარხი ქვებით იყო შემოწყობილი. მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №190. სიღრმე – 2,6 მ. ოსტეოლოგიური მასალა არეული დაფიქსირდა. ხელშეუხებელი მხოლოდ ფეხის ძვლები იყო, რომელთა მიხედვით, მიცვალებული ფეხებმოკეცილი განისვენებდა [Техов, 1980: 33-34].

სამარხი №199. სიღრმე – 5,5 მ. სამარხის ორმო ქვებით იყო შემოზღუდული. მოზარდის ჩონჩი მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული მოუთავსებიათ. ხელის ძვლები ფეხის ძვლებს შორის იყო მოქცეული. თავის ქალას დაკარგული ჰქონდა პირვანდელი მდგომარეობა და სამხრეთისაკენ იყო გადაადგილებული [Техов, 1980: 34].

სამარხი №201. სიღრმე – 1 მ. ბავშვის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ პოზაში, თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული, ქვის ფილაზე იყო მოთავსებული.

სამარხი №202. სამარხს ზემოდან წვრილი ქვებისგან შედგენილი ყრილი ფარავდა. ასეთივე ქვებისგან იყო მოწყობილი სამარხის ძირი. ჩონჩხისგან მხოლოდ თავის ქალა იყო შერმორჩენილი.

სამარხი №206. სიღრმე – 1 მ. ოსტეოლოგიური მასალა უწესრიგოდ იყო შეჯგუფებული. ძვლებზე ზემოდან თავის ქალა იყო მოთავსებული [Техов, 1980: 35].

სამარხი №208. ძლიერ ფრაგმენტირებული ძვლები ერთ გროვად იყო კონცენტრირებული. სამარხი ინვენტარის მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა [Техов, 1980: 35].

სამარხი №210. სამარხში მხოლოდ ბავშვის თავის ქალა და რამდენიმე ძვალი იყო შემორჩენილი. მათი მიხედვით, მიცვალებული ჩრდილოეთისაკენ ყოფილა ორიენტირებული.

სამარხი №213. სიღრმე – 1,1 მ. მიცვალებულის ძვლები არეულ მდგომარეობაში დაფიქსირდა.

სამარხი №214. სიღრმე – 1,5 მ. ძვლოვანი მასალა ძლიერ იყო ფრაგმენტირებული. ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. სამარხს ზემოდან №212 სამარხი ფარავდა, რომლის მოწყობისასაც ძლიერ დაზიანებულა.

სამარხი №215a. სიღრმე – 1,6 მ. აღნიშნული სამარხი №214 სამარხის ქვეშ იყო მოქცეული. დაფარული იყო დიდი და წვრილი ქვებით. ყრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ცხენის თავის ქალა, ხოლო მის აღმოსავლეთით – ცხვრის ძვლები. ბ. ტეხოვის მიხედვით, მათ კავშირი არ ჰქონდათ აღნიშნულ სამარხთან, რომელშიც 2 ერთმანეთზე დასვენებული მიცვალებულის ჩონჩხი იყო მოთავსებული [Техов, 1980: 36].

სამარხი №217. სიღრმე – 1,8 მ. სამარხი ქვებით იყო შემოწყობილი და დიდი ქვის ფილებით დაფარული. სამარხში აღმოჩნდა ქალის ჩონჩხი, რომელიც მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული [Техов, 1980: 37].

სამარხი №219. სიღრმე – 2 მ. სამარხში ძლიერ ფრაგმენტირებული და ერთმანეთში არეული ძვლები აღმოჩნდა.

სამარხი №221. სიღრმე – 1,5 მ. სამარხს ქვაყუთის მოყვანილობა ჰქონდა. დაფიქსირდა მოზარდის ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიმართული [Техов 1980: 38].

სამარხი №222. სიღრმე – 2 მ. შემორჩენილი ძვლოვანი მასალის მიხედვით, მიცვალებული მოუთავსებიათ მარჯვენა გვერდზე, მოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. ხელები იდაყვის არეში მოკეცილი და ყბის არეში აწეული ჰქონდა.

სამარხი №224. სიღრმე – 2 მ. ძვლოვანი მასალა ერთ გროვად იყო კონცენტრირებული.

სამარხი №225. სიღრმე – 2 მ. ოსტეოლოგიური მასალა არეული და ფრაგმენტირებული იყო. სამარხის ძირზე დაფიქსირდა ნახშირის კვალი.

სამარხი №227. სიღრმე – 1,8 მ. სამარხი ქვებით იყო შემოწყობილი. ძვლოვანი მასალა ძლიერ იყო დაშლილი. მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული.

სამარხი №228. სიღრმე – 2,3 მ. სამარხს მომრგვალო ფორმა ჰქონდა და ქვებით იყო შემოწყობილ-დაფარული. მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. ხელები იდაყვში მოხრილი ჰქონდა. მარცხენა ხელის მტევანი მკერდის არეში იყო მოთავსებული. ინვენტარის მიხედვით, სამარხი მამაკაცის კუთვნილება უნდა ყოფილიყო [Техов, 1980: 39].

სამარხი №229. სიღრმე – 2 მ. სამარხს წრიული მოყვანილობა ჰქონდა. შემოწყობილი იყო ვერტიკალურად ჩაწყობილი კეცებით. ზემოდან ფარავდა ქვის ყრილი. სამარხში ბავშვის ჩონჩხი აღმოჩნდა, რომელიც მარჯვენა გვერდზე იყო მოთავსებული, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული (ტაბ. VI, 2). სამარხის ძირზე შეიმჩნეოდა ლაქა, რომელიც ბ. ტეხოვის აზრით, სარეცლის დაშლის შედეგად უნდა წარმოქმნილიყო (ტაბ. VI, 2) [Техов, 1980: 39].

სამარხი №231. სიღრმე – 1,7 მ. სამარხი ქვებით იყო შემოწყობილი. მიცვალებული მოთავსებული ყოფილა მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ. ძვლები ძლიერ იყო ფრაგმენტირებული. სამარხის ძირზე შეიმჩნეოდა სარეცლის კვალი.

სამარხი №234. სიღრმე – 2,7 მ. სამარხი შემოწყობილი იყო მოზრდილი ქვებით. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი ქვების სამი რიგის, ხოლო ჩრდილო-დასავლეთი ორმაგი წყობისაგან შედგებოდა [Техов, 1980: 40].

სამარხი №235. სიღრმე – 2,4 მ. სამარხი ქვებით იყო შემოწყობილი და დაფარული. ძვლოვანი მასალა და სამარხეული ინვენტარი ერთ გროვად იყო კონცენტრირებული. სამარხის კედლებიდან მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე იყო შემორჩენილი. სამარხის დაზიანება №236 სამარხი მოწყობას გამოუწვევია [Техов, 1980: 40-41].

სამარხი №244. სიღრმე – 2,47 მ. დაფიქსირდა ქალის ჩონჩხი; მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიმართული (ტაბ. VII, 1). მიცვალებული მოუთავსებიათ ქვის ფილაზე, რომელზეც შეინიშნებოდა სარეცლის კვალი [Техов, 1980: 41].

სამარხი №249. სიღრმე – 5 მ. სამარხი შემოწყობილი და დაფარული იყო რიყის ქვებით. მამაკაცის ძლიერ მოხრილი ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ იყო მოთავსებული. მიცვალებულს მარჯვენა ხელი ბარძაყისაკენ ჰქონდა გაშვერილი და ფეხებს შორის მოქცეული, ხოლო მარცხენა - იდაყვში მოკეცილი და წინ გაწეული (ტაბ. VII, 4). სამარხის ძირზე, რომელიც ბრტყელი ქვებით იყო მოწყობილი, შეინიშნებოდა ნახშირისა და საგების კვალი [Техов, 1980: 41].

სამარხი №250. სიღრმე – 2 მ. სამარხი შემოწყობილი და დაფარული იყო ქვებით. ჩონჩხი, რომელიც ინვენტარის მიხედვით ქალს ეკუთვნოდა, მოხრილ

მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ იყო მოთავსებული.

სამარხი №254. სამარხი დაზიანებულა №253 სამარხის მოწყობისას. ძვლები კონცენტრირებული იყო ორ გროვად. ხერხემლის რამდენიმე მალა ბრინჯაოს ზოომორფულყურიან სასმისში ყოფილა მოთავსებული [Техов, 1980: 42].

სამარხი №256. სიღრმე – 1,75 მ. სამარხი ქვებით იყო შემოწყობილი. ქალის ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. ხელებიდან მხოლოდ მარცხენა ხელის ძვლები იყო შემორჩენილი, რომელიც იდაყვის არეში იყო მოხრილი. სამარხის ძირზე საგების ნაშთი და დიდი ოდენობით ნახშირის კვალი დაფიქსირდა [Техов, 1980: 42].

სამარხი №259. მოქცეული იყო №255 სამარხის ქვეშ. შემოწყობილი იყო ქვებით. ძირზე შეინიშნებოდა საგების კვალი. მიცვალებული, რომლის ქვედა კიდურების ძვლები არ იყო შემორჩენილი, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული დაუკრძალავთ. სამარხში დაფიქსირდა დიდი ოდენობით ნახშირი [Техов, 1980: 43].

სამარხი №260. ადამიანისა და წვრილფეხა საქონლის ძვლოვანი მასალა არეული და მოთავსებული ყოფილა იმ ქვებზე, რომელიც №259 სამარხის კედელს წარმოადგენდნენ. სამარხში დიდი ოდენობით ნაშირისა და წითელი ოქრის კვალი შეინიშნებოდა [Техов, 1980: 43-44].

სამარხი №261. სიღრმე – 1,7 მ. სამარხის ორმოს კვადრატული ფორმა გააჩნდა და შემოწყობილი იყო ქვებით. ქალის ჩონჩხი მოთავსებული ყოფილა ხის საგებზე, მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. სამარხის ორმო გადაფარული იყო ჯერ მიწით, ხოლო შემდეგ დიდი ქვებით. სამარხში აღმოჩნდა დიდი ოდენობით ნახშირი [Техов, 1980: 44].

სამარხი №262. სიღრმე – 2 მ. სამარხი შემოწყობილი და დაფარული იყო ქვებით. მამაკაცის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული (ტაბ. VIII, 2). სამარხის ძირზე ხის საგების კვალი შეიმჩნეოდა. სამარხში დაფიქსირდა დიდი ოდენობით ნახშირი და წითელი ოქრის ნაშთი [Техов 1980: 44].

სამარხი №266. სიღრმე – 2,36 მ. სამარხის ორმო ოვალური მოყვანილობისა ყოფილა. მამაკაცის ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, ძლიერ

მოხრილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ ორიენტირებული (ტაბ. VIII, 4). ჩონჩხის ქვეშ შეინიშნებოდა საგების ნაშთი. სამარხში მიკვლეულ იქნა ყვითელი ოქრისა და დიდი ოდენობით ნახშირის კვალი [Техов, 1980: 45].

სამარხი №276. სიღრმე – 2 მ. სამარხის ორმოს ოთხკუთხა მოყვანილობა ჰქონდა. შემოწყობილი იყო ვერტიკალურად ჩაწყობილი ქვებით. სამარხის ძირი მოტკეპნილი თიხისაგან იყო შედგენილი. ორმო, ბ. ტეხოვის მიხედვით, ხის ფიცრებით ყოფილა გადახურული, რომლის კვალიც შეიმჩნეოდა სამარხში. ფიცრებს კი ზემოდან, ჯერ 0,25 მ-ის სიმაღლის მიწაყრილი, ხოლო შემდეგ ქვაყრილი ფარავდა. სამარხში დაფიქსირდა ქალის ჩონჩხი; მოთავსებული მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული (ტაბ. IX, 3). ძვლები ძლიერ იყო ფრაგმენტირებული. მიცვალებულის ორივე ხელი ფეხებს შორის ყოფილა მოქცეული [Техов, 1980: 45-46].

სამარხი №287. სიღრმე – 2,3 მ. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კედელს ხის დამწვარი ფიცარი შეადგენდა. მიცვალებულის ძვლები ძლიერ ფრაგმენტირებული და არეული იყო. სამარხის ძირზე შეინიშნებოდა საგების კვალი. დაფიქსირდა ოქრისა და ნახშირის კვალიც.

სამარხი №289. სიღრმე – 3,4 მ. ძვლოვანი მასალა ერთ გროვად ყოფილა კონცენტრირებული. სამარხი დაზიანებულა №281 სამარხის მოწყობისას.

სამარხი №291. სიღრმე – 2,8 მ. ოსტეოლოგიური მასალა ერთ გროვად იყო კონცენტრირებული.

სამარხი №296. სიღრმე – 3 მ. ძვლოვანი მასალა ძლიერ ფრაგმენტირებული იყო. სამარხეული ინვენტარის მიხედვით, ჩონჩხი ქალს ეკუთვნოდა, რომელიც მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ყოფილა მოთავსებული. თავის ქალა სამარხში არ დაფიქსირდა [Техов, 1980: 39].

II ჯგუფის სამარხები

სამარხი №30. სამარხი დაზიანებული იყო. მამაკაცის ძლიერ ფრაგმენტირებული ჩონჩხი მოხრილ მდგომარეობაში ყოფილა მოთავსებული.

სამარხი №51. დაფიქსირდა მამაკაცის მოხრილ მდგომარეობაში მყოფი, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული ჩონჩხი, რომლის დიდი ნაწილი დაშლილი, ხოლო თავის ქალა გადაადგილებული იყო.

სამარხი №97. სიღრმე – 2 მ. სამარხი ბავშვის საკუთრებას წარმოადგენდა.

სამარხი №109. ორმოსამარხში ორი დაზიანებული ჩონჩხი აღმოჩნდა. სამარხის ძირზე ბ. ტეხოვის მიხედვით, შეინიშნებოდა ტყავის საგების კვალი. პირველი ჩონჩხი მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული იყო. ორივე ხელის ფალანგები თავის ქალასთან აღმოჩნდა. მეორე ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული [Техов, 1981: 8].

სამარხი №114. სამარხის ჩრდილოეთ კუთხეში ძვლოვანი მასალა ერთ გროვად იყო კონცენტრირებული. მათ ქვეშ მოთავსებული იყო ბრინჯაოს ბადია, რომელშიც სამარხეული ინვენტარი იყო ჩაწყობილი: ბრინჯაოსა და რკინის სატევრისპირები; ბრინჯაოს ცული; რკინის ნივთი; მძივები; აბზინდა და 2 მშვილდსაკინძი [Техов, 1981: 9].

სამარხი №123. სიღრმე – 1,53 მ. ოსტეოლოგიური მასალა არეული და ერთ გროვად კონცენტრირებული ყოფილა.

სამარხი №131. სიღრმე – 3,1 მ. არეული და დაზიანებული ძვლები ორ გროვად იყო შეჯგუფებული, ერთმანეთისაგან 30 სმ-ის დაშორებით. ორივე გროვა წვრილი კენჭებით ყოფილა შემოწყობილი. სამარხი ზემოდან ქვის ფილებით იყო გადახურული. სამარხში დიდი ოდენობით ნახშირი დაფიქსირდა. [Техов, 1981: 9].

სამარხი №140. სამარხში მიცვალებულის ძვლები ერთ გროვად იყო თავმოყრილი. ინვენტარი მოქცეული იყო როგორც ძვლებს ქვეშ, ასევე ზემოდანაც.

სამარხი №141. სიღრმე – 3,4 მ. სამარხი კვადრატული ფორმის ქვაყუთს წარმოადგენდა, რომლისგანაც მხოლოდ დასავლეთის მხარე იყო შემორჩენილი. შედგენილი იყო ვერტიკალურად ჩაწყობილი კეცებისაგან. სამარხში დაფიქსირდა 3 ჩონჩხი – ერთი მოზრდილისა და ორი ბავშვის. ბავშვები მოზრდილის ფეხებთან იყვნენ დაკრძალული; ერთი მარცხენა, ხოლო მეორე მარჯვენა გვერდზე; ერთმანეთისაკენ სახით მოქცეულნი. მოზრდილი ადამიანის ჩონჩხი მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე იყო მოთავსებული. სამარხის ძირზე დაფიქსირდა საგების კვალი [Техов, 1981: 10].

სამარხი №153. სიღრმე – 4,33 მ. სამარხის სიგრძე – 0,9 მ, სიგანე – 0,7 მ. მიცვალებული ზურგზე, მოხრილ პოზაში ყოფილა დაკრძალული. მარჯვენა ხელი იდაყვში მოხრილი და სახისაკენ აწეული ჰქონდა. სამარხის ძირზე შეინიშნებოდა საგებისა და ნახშირის კვალი.

სამარხი №154. ძლიერ დაზიანებული ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული. სამარხის ძირზე დიდი ოდენობით ნახშირი შეიმჩნეოდა.

სამარხი №176. სიღრმე – 4 მ. სამარხს ქვაყუთის ფორმა ჰქონდა, რომლისგანაც მხოლოდ დასავლეთის მხარე იყო შემორჩენილი. ძვლები საკმაოდ ცუდად ყოფილა დაცული. მიცვალებული მოუთავსებიათ მარჯვენა გვერდზე, მოხრილ პოზაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. სამარხში დიდი ოდენობით ნახშირი აღმოჩნდა. ძირზე საგების კვალი შეიმჩნეოდა. სამარხეული ინვენტარი მხოლოდ ბრინჯაოს სატევრით იყო წარმოდგენილი, რომელიც მიცვალებულს იდაყვის ქვეშ ჰქონდა მოთავსებული [Техов, 1981: 11].

სამარხი №198. სიღრმე – 5,5 მ. ძვლოვანი მასალა დიდი ქვების ზეწოლისაგან იყო დაზიანებული და არეული.

სამარხი №218. სიღრმე – 1,6 მ. სამარხის ორმო წრიულად იყო შემოწყობილი ქვებით და ფილებით გადახურული. მიცვალებულის ჩონჩხი ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ იყო ორიენტირებული.

სამარხი №223. სიღრმე – 2 მ. მამაკაცის ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთის მხარეს ორიენტირებული. თავის ქალის ქვეშ წითელი ოქრის კვალი დაფიქსირდა.

სამარხი №233. სიღრმე – 2,6 მ. სამარხი ძლიერ იყო დაზიანებული. დაფიქსირდა არეული ძვლები, რომლებიც ორ ინდივიდს ეკუთვნოდა.

სამარხი №239. სიღრმე – 3,5 მ. მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული. სამარხის ძირზე შეინიშნებოდა საგებისა და ნახშირის ნაშთები.

სამარხი №241. სიღრმე – 3,2 მ. ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. ძვლები ქვების ზეწოლისგან იყო დაზიანებული. თავის ქალა არ დაფიქსირებულა. მიცვალებული სამარხის ძირზე წვრილი ქვებით მოწყობილ საგებზე ყოფილა დასვენებული [Техов, 1981: 14].

სამარხი №248. სიღრმე – 5,45 მ. სამარხი შემოწყობილი იყო ქვებით და პატარა ფილებით გადახურული. მამაკაცი მარჯვენა გვერდზე, მოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ მიმართული მოუთავსებიათ [Техов, 1981: 14].

სამარხი №252. სამარხს ოვალური მოყვანილობა ჰქონდა და შემოწყობილი იყო ქვებით. გადახურვაც ქვებითვე ყოფილა მოწყობილი. სამარხში მამაკაცის ჩონჩხი ძლიერ მოხრილი, მარჯვენა გვერდზე მწოლიარე დაფიქსირდა. თავის ქალა მიტრიალებული იყო აღმოსავლეთისაკენ. მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარი და სამარხის მოწყობის ტექნიკა, ბ. ტეხოვს ინდივიდის მაღალ სოციალურ სტატუსზე მიანიშნებდა [Техов, 1981: 14-15].

სამარხი №257. სიღრმე – 1,6 მ. ოვალური ფორმის სამარხი შემოწყობილი და გადახურული იყო ქვებით. მამაკაცის ძლიერ მოხრილი ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. ქვედა კიდურების ძვლებთან დიდი ოდენობის წვრილფეხა საქონლის ძვლები აღმოჩნდა. სამარხის მთელ პერიმეტრზე დიდი ოდენობით ნახშირი იქნა დაფიქსირებული. ძირზე შეიმჩნეოდა საგების კვალი [Техов, 1981: 16].

სამარხი №263. სიღრმე – 1,7 მ. სამარხი წარმოადგენდა კვადრატული ფორმის ქვაყუთს. მისი კედლები შეკრული იყო ფილებისაგან და გარედან რიყის ქვებით ყოფილა შემოწყობილი. ქვაყუთი სიგრძეში 0,8 მ-ს, ხოლო სიგანეში 0,5 მ-ს აღწევდა.

ქვაყუთში მცირეწლოვანი ბავშვის ჩონჩხი დაფიქსირდა, რომელიც მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ იყო მოქცეული. ხელები იდაყვებში ჰქონდა მოკეცილი და წინ გაშვერილი. ფეხები ძლიერ მოკეცილ მდგომარეობაში ჰქონდა. ყბის ქვეშ 3 მძივი გაიწმინდა. სამხრეთის კედელსა და ქვედა კიდურებს შორის ჰორიზონტალურად ქვის ფილა ყოფილა დადებული, რომელზეც ზოომორფულყურიანი სასმისი მოუთავსებიათ. თეძოს არეში რკინის სატევრისპირი აღმოჩნდა. მიცვალებულს მარჯვენა ხელსა და ფეხზე ბრინჯაოს რგოლები ეკეთა. ხელებთან კი ბრინჯაოს ცული იყო მოთავსებული. ჩონჩხის ქვეშ შეინიშნებოდა საგების კვალი და ნახშირი (ტაბ. VIII, 3) [Техов, 1981: 16-17].

სამარხი №268. დაზიანდა № 267 სამარხის მოწყობისას. ძვლოვანი მასალა ერთ გროვად იყო კონცენტრირებული.

სამარხი №269. სამარხში ოსტეოლოგიური მასალა არეული და დაზიანებული დაფიქსირდა.

სამარხი №271. მოქცეული იყო №270 სამარხის ქვეშ. თავის ქალა სამხრეთის კედელთან იყო გადაადგილებული. ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ყოფილა მოთავსებული. მიცვალებულს ხელები იდაყვებში ჰქონდა მოკეცილი.

სამარხი №273. სიღრმე – 2,65 მ. სამარხი ქვებით იყო შემოწყობილი და დაფარული. დაფიქსირდა 2 ჩონჩხი. პირველის ძვლები ერთ გროვად იყო კონცენტრირებული. მეორე ჩონჩხი მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული. ხელები იდაყვში ჰქონდა მოკეცილი (ტაბ. IX, 2). სამარხში გამოვლინდა დიდი ოდენობით ნახშირი.

სამარხი №277. სამარხი შემოწყობილი იყო ქვებით. სიგრძე – 1,15 მ, სიგანე – 0,95 მ. სამარხში დიდი ოდენობით ნახშირი აღმოჩნდა. მიცვალებული დასვენებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №278. სიღრმე – 2 მ. სამარხი დაზიანებული იყო. ძვლები ერთად იყო შეჯგუფებული. თავის ქალა მათზე ზემოდან იყო მოთავსებული.

სამარხი №282. სიღრმე – 2,8 მ. მამაკაცის მოხრილი ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებით. ხელები იდაყვის არეში ჰქონდა მოკეცილი. სამარხის ძირზე შეიმჩნეოდა საგების კვალი და ნახშირი.

სამარხი №283. სიღრმე – 2,8 მ. სამარხის მთლიანობა დარღვეული იყო. ძვლებს გადანაცვლების კვალი ეტყობოდათ. დაფიქსირდა ნახშირის ნაშთი. საგების კვალი არ შენიშნებოდა.

სამარხი №295. სიღრმე – 3 მ. ძვლოვანი მასალა ერთ გროვად იყო კონცენტრირებული. თავის ქალა მათზე ზემოდან იყო მოთავსებული.

სამარხი №301. სიღრმე – 3,3 მ. სამარხი ოთხკუთხა მოყვანილობისა იყო და შემოსაზღვრული ყოფილა ფიცრებით, რომელთა კვალი კარგად შეინიშნებოდა. სამარხში ორი ჩონჩხი იქნა მიკვლეული; ორივე მამრობითი სქესისა. მიცვალებულები მოთავსებული იყვნენ მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებულნი. სამარხის ძირზე დაფიქსირდა სარეცლის კვალი.

სამარხი №302. სიღრმე – 3,17 მ. დაზიანებული იყო №300 სამარხის მოწყობისას. ძვლოვანი მასალა ერთად ყოფილა შეჯგუფებული. სამარხში აღმოჩნდა ადამიანის 5 თავის ქალა, რომელთაგან 3 მამაკაცს, 1 ქალს, ხოლო ერთიც ბავშვს ეკუთვნოდა [Техов, 1981: 21-22].

სამარხი №308. სიღრმე – 3 მ. სამარხს მომრგვალო-ოვალური ფორმა ჰქონდა. გადახურული იყო ბრტყელი ქვებით. ქვების ქვეშ, სამარხი მიწით იყო ამოვსებული, რომელიც დიდი ოდენობით ნახშირს შეიცავდა. თიხის გრუნტზე მიცვალებული მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული. მიცვალებულს ხელ-ფეხი ძლიერ მოკეცილი ჰქონდა. თავის ქალა ფრაგმენტირებული იყო.

სამარხი №310. სიღრმე – 4,8 მ. სამარხი შემოწყობილი და დაფარული იყო ქვებით. დაფიქსირდა 2 ერთმანეთზე დასვენებული მიცვალებულის ჩონჩხი; ორივე მოხრილ მდომარეობაში, მარჯვენა გვერდზე. ქვედა ჩონჩხი დასავლეთისაკენ, ხოლო ზედა ჩრდილო-დასავლეთისაკენ იყო ორიენტირებული.

სამარხი №324. სიღრმე – 4,5 მ. შემორჩენილი იყო მხოლოდ ჩონჩხის ნაწილი. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთის მხარეს მოქცეული დაუკრძალავთ [Техов 1981: 23].

სამარხი №331. სიღრმე – 5,6 მ. მიცვალებული (მამაკაცი) მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მოუთავსებიათ. ხელები იდაყვში ძლიერ ჰქონდა მოკეცილი. სამარხში დაფიქსირდა დიდი ოდენობით ნახშირის კვალი და წითელი ოქრის ნატეხები.

III ჯგუფის სამარხები

სამარხი №16b. სამარხი შემოწყობილი იყო ქვებით. მამაკაცის ჩონჩხი მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ იყო მოთავსებული. მარცხენა ხელი იდაყვში მოკეცილი, ხოლო მარჯვენა მუხლისაკენ გაშვერილი ჰქონდა [Техов, 1981: 28].

სამარხი №40b. სიღრმე – 2,6 მ. სამარხი შემოზღუდული იყო ქვებით. დაფიქსირდა 2-3 ჩონჩხის არეული და ერთ გროვად კონცენტრირებული ძვლები.

სამარხი №49. სიღრმე – 2,5 მ. სამარხი შემოწყობილი და დაფარული იყო ქვებით. მიცვალებული დაკრძალული ყოფილა მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. ფეხის ძვლებთან აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის (ცხვრის) ჩონჩხი [Техов, 1981: 31].

სამარხი №53. სიღრმე – 1,5 მ. სამარხი ქვაყუთს წარმოადგენდა. მიცვალებული მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. მარცხენა ხელი სახის არეში, ხოლო მარჯვენა მარცხენა ფეხის მუხლთან ჰქონდა გაშვერილი. [Техов, 1981: 31].

სამარხი №72. სიღრმე – 1,5 მ. სამარხში ბავშვის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული დაფიქსირდა. ჩონჩხი ძლიერ ფრაგმენტირებული, ხოლო სამარხეული ინვენტარი დაზიანებული იყო.

სამარხი №84. სიღრმე – 2,15 მ. სამარხში აღმოჩნდა მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში მწოლიარე, თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული მიცვალებულის ჩონჩხი.

სამარხი №85. სიღრმე – 2,07 მ. სამარხს ოთხკუთხა მოყვანილობა ჰქონდა და ქვებით იყო შემოწყობილი. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთისაკენ დაუკრძალავთ (ტაბ. IV, 2). ჩონჩხის ქვეშ დაფიქსირდა ხის მასალისაგან მოწყობილი საგების ნაშთი.

თავის ქალის ქვეშ აღმოჩნდა ბრინჯაოს ბეჭედი. თავის ქალის პირდაპირ მოთავსებული იყო ბრინჯაოს ცული, რომლის პირთანაც ჩადგმული ყოფილა ძლიერ ფრაგმენტირებული სიტულა. სიტულაში დაფიქსირდა ქერის ნაშთი. კისრის არეში მიცვალებულს ხატისუღელი ჰქონდა გაკეთებული. კისრის არეშივე გაიწმინდა 24 სარდიონის მძივი. წელზე ბრინჯაოს სარტყელი ჰქონდა შემოვლებული, რომლის შესაკრავი აბზინდა მარჯვენა მუხლს ზემოთ იყო მოთავსებული. მარცხენა ხელის სხივის ძვალსა და მენჯს შორის რკინის აკინაკი და რკინისავე პატარა დანა დაფიქსირდა, ხოლო მარცხენა ფეხის ბარძაყის ძვალთან – 3 რომბისებური ბალთა და სალესი ქვის ნატეხი. მარცხენა ბეჭის ძვალზე დადებული იყო ფიბულა. სამარხს მთელ სიგრძეზე კვეთდა მიცვალებულზე ზემოდან მოთავსებული ბრინჯაოს ფირფიტებიანი კვერთხი [Техов, 1981: 33-34].

სამარხი №95. სიღრმე – 2,47 მ. სამარხი მცირეწლოვანი ბავშვის საკუთრებას წარმოადგენდა. ოსტეოლოგიური მასალა თითქმის მთლიანად იყო ფრაგმენტირებული. შეინიშნებოდა საგების ნაშთი.

სამარხი №113. სიღრმე – 3 მ. დაფიქსირდა ძლიერ ფრაგმენტირებული ჩონჩხი, მოთავსებული მარჯვენა გვერდზე.

სამარხი №127. სიღრმე – 2,9 მ. სამარხი ქვაყუთს წარმოადგენდა, რომელიც სამი მხირდან ქვის ფილებით იყო შეკრული. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ დაუკრძალავთ [Техов, 1981: 35].

სამარხი №130. სიღრმე – 2,9 მ. სამარხის მთლიანობა დარღვეული იყო. ძვლოვანი მასალა – ფრაგმენტირებული, არეული და რამდენიმე გროვად კონცენტრირებული. სამარხში დაფიქსირდა 2 თავის ქალა.

სამარხი №144. სიღრმე – 4,2 მ. მიცვალებული დაკრძალული იყო ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ ორიენტირებული. ძვლოვანი მასალა ძლიერ ფრაგმენტირებული იყო. დაფიქსირდა საგების კვალი.

სამარხი №145. სიღრმე – 4,2 მ. სამარხს კვადრატული მოყვანილობა ჰქონდა და ბრტყელი ქვებით ყოფილა შემოწყობილი. მიცვალებული მოუთავსებიათ მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. თავის ქალა გადაადგილებული და ფრაგმენტირებული იყო.

სამარხი №150. სიღრმე – 4,2 მ. სამარხი მცირეწლოვან ბავშვს ეკუთვნოდა, რომელიც მოუთავსებიათ მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ მოქცეული. თავის ქალა გადაადგილებული და ფრაგმენტირებული იყო. მენჯის არეში მიცვალებულს ცხვრის 5 კოჭი ჰქონდა ჩაწყობილი [Техов, 1981: 38].

სამარხი №155. სიღრმე – 4 მ. ჩონჩხი, რომელიც მამაკაცს ეკუთვნოდა, მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული დაფიქსირდა. სამარხის ძირზე შეინიშნებოდა ნახშირის კვალი.

სამარხი №161. სიღრმე – 3 მ. სამარხი გადახურული იყო ქვის დიდი ფილებით, რომელთა სისქე 7 სმ-ს აღწევდა. მიცვალებულის ძვლები არეული და დაზიანებული ყოფილა [Техов, 1981: 38].

სამარხი №162. სამარხში დაკრძალული იყო მოზარდი – მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. ჩონჩხის დიდი ნაწილი ძლიერ ფრაგმენტირებული იყო [Техов, 1981: 40].

სამარხი №163. სიღრმე – 2 მ. მამაკაცის ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ მიმართული. სამარხში ქვდა კიდურის ძვლები არ დაფიქსირებულა. ხელის ძვლები იდაყვის არეში ჰქონდა მოკეცილი. სამარხის ძირზე დიდი ოდენობით ნახშირი გამოვლინდა.

სამარხი №167. სიღრმე – 1,5 მ. სამარხი შემოწყობილი იყო ქვებით და კვადრატული მოყვანილობა ჰქონდა. დაფიქსირდა მამაკაცის მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე მოთავსებული ჩონჩხი, რომელიც თავით ჩრდილოეთისაკენ იყო ორიენტირებული. სამარხის ძირზე გამოვლინდა ნახშირი და საგების ნაშთი.

სამარხი №169. სიღრმე – 2,5 მ. ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული (მცირე გადახრით დასავლეთის მხარეს). ძვლოვანი მასალა ცუდად იყო დაცული. მიცვალებულს ხელები იდაყვებში მოხრილი და თავის არეში აწეული ჰქონდა.

სამარხი №184. სიღრმე – 3,5 მ. სამარხში აღმოჩნდა მამაკაცის ჩონჩხი, რომელიც მაჯვენა გვერდზე, მოხრილი, თავით ჩრდილო-აღმოსვლეთისაკენ ორიენტირებული იყო. სამარხის ძირზე დიდი ოდენობით ნახშირი და საგების ნაშთი დაფიქსირდა.

სამარხი №186. სიღრმე – 3 მ. აღმოჩნდა მოზარდის ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. ხელები იდაყვებში მოკეცილი ჰქონდა. ხელის მტევნებს შორის ცხვრის 27 კოჭი გამოვლინდა, რომელთა ნაწილი გახვრეტილი ყოფილა [Техов, 1981: 42].

სამარხი №188. სიღრმე – 5 მ. (მეორე იარუსი). მოქცეული იყო №187 სამარხის ქვეშ, რომლისგანაც ჰყოფდა 15 სმ-ის სისქის მიწის ფენა. ჩონჩხი, რომელიც მამაკაცს ეკუთვნოდა, მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. ქვედა კიდურები მენჯის არეში იყო აწეული. სამარხის ძირზე დაფიქსირდა საგების კვალი და ნახშირი.

სამარხი №189. სიღრმე – 4,5 მ. სამარხში დაკრძალული იყო მცირეწლოვანი ბავშვი; მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. თავის ქალა გადაადგილებული და დაზიანებული იყო.

სამარხი №191. სიღრმე – 2,8 მ. მიცვალებული (მამაკაცი) მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. თავის ქალა ფრაგმენტირებული. ხელები ბარძაყისაკენ გაშვერილი. სამარხში დიდი ოდენობით ნახშირი, ხოლო მის ძირზე საგების ნაშთი გამოვლინდა.

სამარხი №192. სიღრმე – 3,5 მ. აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებული ჩონჩხი (ქალის), მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მოქცეული.

სამარხი №194. სიღრმე – 5,2 მ. სიგრძეში 1,5 მ-ს, ხოლო სიგანეში 0,68 მ-ს აღწევდა. სამარხის ორმო ქვებით ყოფილა შემოწყობილი. ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ [Техов, 1981: 45].

სამარხი №200. სიღრმე – 5,7 მ. (მეორე იარუსი). სამარხი ქვებით იყო შემოზღუდული. სიგრძე – 1,15 მ., სიგანე – 1 მ. ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ მიმართული. სამარხის ძირზე შეიმჩნეოდა საგების ნაშთი და ნახშირის კვალი.

სამარხი №209. სიღრმე – 1 მ. სამარხს ოთხკუთხა მოყვანილობა ჰქონდა და ქვით იყო შემოწყობილ-დაფარული. ჩონჩხი, რომელიც მამაკაცს ეკუთვნოდა, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ იყო მოთავსებული. დაფიქსირდა ნახშირი და საგების ნაშთი [Техов, 1981: 46].

სამარხი №215a. სიღრმე – 1,6 მ. სამარხი შემოწყობილი და გადახურული იყო ქვებით. ორმოში მოწყობილი იყო ორი სამარხი, რომელთაგან ერთი მთლიანი ხოლო, მეორე დარღვეული ყოფილა. დარღვეულ სამარხში ჩონჩხის ძვლები ფრაგმენტირებული და ერთ გროვად კონცენტრირებული იყო.

სამარხი №236. სიღრმე – 2,4 მ. სამარხი წარმოადგენდა ქვაყუთს, რომელიც ფლეთილი ქვებისაგან ყოფილა შეკრული და ფილებით გადახურული. მოთავსებული იყო ქალის ჩონჩხი; მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული (ტაბ. VI, 3).

სამარხი №267. სიღრმე – 2,5 მ. სამარხი შემოწყობილი იყო ქვებით. დაფიქსირდა მამაკაცის ჩონჩხი; მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ ორიენტირებული. ფეხები ძლიერ ჰქონდა მოკეცილი და ქუსლები მენჯის ძვალთან აწეული. მარცხენა ხელი იდაყვში მოკეცილი, ხოლო მარჯვენა

ბარძაყისკენ გაშვერილი იყო. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში თხის ჩონჩხი აღმოჩნდა. გამოვლინდა დიდი ოდენობით ნახშირი და საგების ნაშთი [Техов, 1981: 48].

სამარხი №270. სიღრმე – 1,7 მ. სამარხი ქვაყუთს წარმოადგენდა. სიგრძე – 0,8 მ. სიგანე – 0,5 მ. ქვაყუთი გარედან მცირე ზომის ქვებით იყო შემოწყობილი. ზემოდან მას ქვის მოზრდილი ფილები ფარავდა. ქვაყუთში დაფიქსირდა ბავშვის ჩონჩხი; მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ მიმართული (ტაბ. IX, 1). ჩონჩხი ქვის ფილაზე ყოფილა მოთავსებული [Техов, 1981: 48].

სამარხი №297. სამარხი დარღვეული იყო. ძვლები კონცენტრირებული იყო ერთ გროვად.

სამარხი №317. სიღრმე – 5,45 მ. სამარხს ოთხკუთხა მოყვანილობა ჰქონდა და ქვებით იყო შემოწყობილი-დაფარული. ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. დაფიქსირდა დიდი ოდენობით ნახშირი.

სამარხი №330. სიღრმე – 5,8 მ. სამარხს ოთხკუთხა ფორმა ჰქონდა. სიგრძე – 1,05 მ. სიგანე – 1,5 მ. ჩონჩხის მთლიანობა დარღვეული იყო. თავის ქალა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში იყო გადაადგილებული.

IV ჯგუფის სამარხები

სამარხი №15. სიღრმე – 2,3 მ. შემოწყობილი იყო რიყის ქვებით. აღმოჩნდა ერთმანეთზე მოთავსებული 2 ჩონჩხი. ორივე მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №21. სიღრმე – 1,8 მ. სამარხის ორმოს წრიულად რიყის ქვები შემოუყვებოდა და რიყის ქვებისაგანვე შედგენილი ყრილი ფარავდა. ჩონჩხი თითქმის მთლიანად იყო დაშლილი.

სამარხი №31. (შუა იარუსი). სამარხი შემოწყობილი იყო რიყის ქვებით. მამაკაცის ძლიერ მოხრილი ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული. ხელები იდაყვში მოხრილი. ორივე ხელის

სხივის ძვლები და იდაყვები ერთმანეთზე გადაჯვარედინებული. თავის ქალა ფრაგმენტირებული იყო [Техов, 1985: 6].

სამარხი №34. სიღრმე – 3,5 მ. სამარხში, რომელიც რიყის ქვებით იყო შემოზღუდული, ერთი მთლიანი და ერთიც დარღვეული ჩონჩხი იყო მოთავსებული. პირველი მათგანი ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული დაფიქსირდა. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა დამწვარი ფიცრის ნაშთი, რომლებიც ბ. ტეხოვის აზრით, სამარხის კედლებს წარმოადგენდნენ [Техов, 1985: 7].

სამარხი №41. სიღრმე – 3,5 მ. სამარხი რიყის ქვებით იყო შემოწყობილი. გაიწმინდა ერთმანეთზე დასვენებული ორი მიცვალებულის ჩონჩხი; ორივე მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე. ზედა ჩონჩხი ქალს, რომელიც შედარებით უფრო ნაკლებად იყო მოხრილი, ხოლო ქვედა მამაკაცს ეკუთვნოდა.

სამარხი №54. სიღრმე – 1,5 მ. რიყის ქვებით წრიულად იყო შემოწყობილი და დაფარული. ჩონჩხის მთლიანობა ნაწილობრივ დარღვეული იყო. მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, მოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №61. სიღრმე – 1,4 მ. სამარხის სიგრძე – 1,3 მ. სიგანე – 0,6 მ. ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, ორიენტირებული ჩრდილოეთისაკენ.

სამარხი №62. სიღრმე – 1,23 მ. ჩონჩხი თითქმის მთლიანად იყო დაშლილი. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ მოუთავსებიათ.

სამარხი №68. სიღრმე – 1,34 მ. სამარხი შეიცავდა ცხენის თავის ქალას, რომლის ქვეშაც დაკრძალული იყო მამაკაცი - მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული. ფეხები ძლიერ ჰქონდა მოკეცილი და ქუსლები თითქმის მენჯამდე აწეული.

სამარხი №69. სიღრმე – 1,5 მ. სამარხის მთლიანობა დარღვეული იყო. აღმოჩნდა 4 ძლიერ დაზიანებული ჩონჩხი, რომელთაგან 2 ჩრდილოეთისაკენ, ხოლო ორიც დასავლეთისაკენ იყო ორიენტირებული.

სამარხი №70. სიღრმე – 1,4 მ. სამარხი უბრალო ორმოსამარხს წარმოადგენდა, რომელშიც ძლიერ მოხრილი მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ დაუსვენებიათ. სამარხი დიდი ოდენობით ნახშირს შეიცავდა.

სამარხი №71. სიღრმე – 1,4 მ. სიგრძე – 1,3 მ. სიგანე – 0,47 მ. სამარხს კვადრატული მოყვანილობა ჰქონდა და ქვებით იყო შემოწყობილ-დაფარული. მამაკაცის ძლიერ მოხრილი ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ მოუთავსებიათ.

სამარხი №81. სიღრმე – 1,8 მ. სიგრძე – 0,85 მ. სიგანე – 0,6 მ. ჩონჩხი ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული დაფიქსირდა.

სამარხი №87. სიღრმე – 2,3 მ. სიგრძე – 1 მ. სიგანე – 0,8 მ. ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული [Техов, 1985: 11].

სამარხი №90. სიღრმე – 2,05 მ. სიგრძე – 1მ. სიგანე – 0,65 მ. სამარხი ქვებით იყო შემოწყობილი და დაფარული. დაკრძალული იყო ორი მიცვალებული; ერთი მოზრდილი ადამიანი, ხოლო მეორე მცირეწლოვანი ბავშვი. მოზრდილი ადამიანი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ მიმართული. მარჯვენა ხელი ბავშვის ქვეშ ჰქონდა მოქცეული. ფეხებმოკეცილი ბავშვი მარჯვენა გვერდზე მოზრდილის მარჯვენა ნეკნებზე ყოფილა დასვენებული [Техов, 1985: 12].

სამარხი №91. სიღრმე – 2 მ. სიგრძე – 1,05 მ. სიგანე – 0,45 მ. ჩონჩხი იყო მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №92. სიღრმე – 2 მ. სამარხი ქვებით იყო შემოზღუდული. ძლიერ დაზიანებული ჩონჩხი – მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ.

სამარხი №93. სიღრმე – 2,55 მ. სიგრძე – 1,3 მ. სიგანე – 0,7 მ. სამარხს ოთხკუთხა ფორმა ჰქონდა და ქვებით იყო შემოწყობილი. მამაკაცის დაზიანებული ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მხორილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ მიმართული (ტაბ. IV, 3).

სამარხი №94. სიღრმე – 2 მ. სიგრძე – 1,3 მ. სიგანე – 0,75 მ. აღმოჩნდა 2 ჩონჩხი – მოზრდილისა და მცირეწლოვანი ბავშვის. მოზრდილი ადამიანი მოთავსებული იყო მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ. ბავშვი დაკრძალული იყო მის ფეხებთან მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ მიმართული [Техов, 1985: 14].

სამარხი №96. სიღრმე – 2,4 მ. ჩონჩხი, რომელიც მარჯვენა გვერდზე, მოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ იყო მოთავსებული, ინვენტარის მიხედვით ქალს ეკუთვნოდა. ძვლოვანი მასალა ცუდად ყოფილა შემონახული. თავის ქალა ძლიერ ფრაგმენტირებული იყო. მიცვალებულს ხელის მტევნები ერთმანეთზე ჰქონდა გადაჯვარედინებული.

სამარხი №103. სიღრმე – 3 მ. სიგრძე – 0,94 მ. სიგანე – 0,5 მ. ჩონჩხი ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილეთისაკენ ორიენტირებული დაფიქსირდა.

სამარხი №104. სიღრმე – 2,5 მ. სიგრძე – 1,07 მ. სიგანე – 0,58 მ. სამარხი შემოწყობილი და დაფარული იყო ქვებით. ჩონჩხი ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, ხელებგადაჯვარედინებული, მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იყო მოთავსებული.

სამარხი №106. სიღრმე – 3 მ. მოქცეული იყო №104 სამარხის ქვეშ. სამარხში დაფიქსირდა ძლიერ ხელ-ფეხმოკეცილი ჩონჩხი, მარჯვენა გვერდზე, ორიენტირებული ჩრდილო-დასავლეთისაკენ (ტაბ. V, 1) [Техов, 1980: 27].

სამარხი №108. სიღრმე – 3,5 მ. გაიწმინდა 2 ჩონჩხი – დაზიანებული და მთლიანი. ეს უკანასკნელი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში.

სამარხი №110. სიღრმე – 3,6 მ. ცუდად დაცული ჩონჩხი, რომელიც ქალს ეკუთვნოდა, მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილი, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მოქცეული.

სამარხი №117. სამარხში დაფიქსირდა ერთმანეთზე დასვენებული რამდენიმე ინდივიდის დაზიანებული და მთლიანი ჩონჩხი. ყველა მათგანი მოუთავსებიათ მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №118. სამარხის სიგრძე – 1,1 მ. სიგანე – 1,25 მ. მიცვალებული დაკრძალული იყო მოკუნტულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, ორიენტირებული ჩრდილოეთისაკენ. ხელები დაწყობილი ჰქონდა მკერდის არეში.

სამარხი №120. სიღრმე – 2,5 მ. დაფიქსირდა მამაკაცის ძლიერ მოხრილი ჩონჩხი, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ მიმართული. სამარხში გამოვლინდა დიდი ოდენობით ნახშირი.

სამარხი №121. სამარხში ოსტეოლოგიური მასალა ერთ გროვად იყო კონცენტრირებული.

სამარხი №122. (ზედა იარუსი) სიგრძე – 1,25 მ. სიგანე – 0,65 მ. სიმაღლე – 0,15 მ. სამარხს ოთხკუთხა ფორმა ჰქონდა და შემოუყვებოდა ფლეთილი ქვები. დაფარული იყო ფლეთილი ქვებითვე. ძვლები დაზიანებული აღმოჩნდა. მიცვალებული მოუთავსებიათ მარცხენა გვერდზე, ძლიერ ხელ-ფეხმოკეცილი [Техов, 1985: 18].

სამარხი №128. სამარხი ქვაყუთის ტიპისა იყო. სიგრძე – 1,2 მ. სიგანე – 0,3 მ. შეკრული იყო მცირე ზომის ფილებისაგან და მსგავსი ქვებითვე გადახურული. გაიწმინდა მამაკაცის ძლიერ მოკუნტული ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მოქცეული (ტაბ. V, 2).

სამარხი №129. სამარხი კვადრატული მოყვანილობისა იყო და მცირე ზომის ქვაყრილი ფარავდა. სიგრძე – 0,8 მ. სიგანე – 1,1 მ. კედლები ხის ფიცრებისაგან ჰქონდა მოწყობილი, რომელთა ნაშთიც კარგად შეინიშნებოდა. გაიწმინდა 2 ძლიერ ფრაგმენტირებული ჩონჩხი; ორივე მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული (ტაბ. V, 3) [Техов, 1985: 19-20].

სამარხი №135. სიღრმე – 3 მ. (ზედა იარუსი). სიგრძე – 1,2 მ. სიგანე - 0,55 მ. ქვებით შემოწყობილ სამარხში მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, მოხრილი, თავით ჩრდილოეთის მხარეს მოქცეული დაუკრძალავთ.

სამარხი №136. სიღრმე – 3,6 მ. (მეორე იარუსი). სიგრძე – 1,2 მ. სიგანე – 0,9 მ. სამარხი ქვებით იყო შემოწყობილი. მას ფარავდა ჯერ მიწის ფენა, ხოლო შემდეგ ქვაყრილი. სამარხი დიდი ოდენობით ნახშირს შეიცავდა. მიცვალებული დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №138b. სიღრმე – 3,1 მ. (ზედა იარუსი) დაფიქსირდა 3 ჩონჩხი. 2 ფრაგმენტირებული, ხოლო 1 შედარებით კარგად შემონახული – მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №139. სიღრმე – 3,8 მ. სიგრძე – 1,15 მ. სიგანე – 0,6 მ. ქვებით შემოწყობილი და დაფარული. გაიწმინდა მამაკაცის ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიმართული. სამარხის ძირზე შეიმჩნეოდა საგების ნაშთი.

სამარხი №142. სიღრმე – 3,9 მ. სიგრძე – 1,15 მ. სიგანე – 0,6 მ. სამარხი ქვებით იყო შემოწყობილი. ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოკუნტულ პოზაში, ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №143. სიღრმე – 3,6 მ. სიგრძე – 1მ. სიგანე – 0,6 მ. მიცვალებული დასვენებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. სამარხში დაფიქსირდა ნახშირის კვალი.

სამარხი №146b. სიღრმე – 4,2 მ. მოწყობილი იყო №145 სამარხის თავზე. გაიწმინდა ქალის მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მგომარეობაში მყოფი ჩონჩხი, ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

სამარხი №147. სიღრმე – 4,5 მ. სამარხი ოთხკუთხა მოყვანილობისა იყო და შემოუყვებოდა ქვების წყობა. დაკრძალული ყოფილა მამაკაცი – მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მოქცეული.

სამარხი №151. სიღრმე – 4,33 მ. სიგრძე – 0,85 მ. სიგანე – 0,65 მ. აღმოჩნდა მოხრილ მდგომარეობაში მყოფი, მარცხენა გვერდზე მწოლიარე ჩონჩხი.

სამარხი №152. სიღრმე – 4,30 მ. ჩონჩხი მოთავსებული იყო მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიმართული.

სამარხი №158b. სიღრმე – 4,8 მ. მოწყობილი იყო ორი სამარხი. კარგად დაცულ სამარხში მიცვალებული (მამაკაცი) დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №164. სიღრმე – 4 მ. სამარხს სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ კიდეებთან შემორჩენილი იყო ქვები, რომლებიც სამარხის კედლებს წარმოადგენდნენ. მიცვალებული მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთის მხარეს ორიენტირებული (ტაბ. V, 4). ქვედა კიდურები არ შემონახულა. სამარხის ძირზე დაფიქსირდა საგების ნაშთი და ნახშირი [Техов, 1985: 19-20].

სამარხი №166. სიღრმე – 2,5 მ. (ზედა იარუსი). ჩონჩხი, რომელიც ქალს ეკუთვნოდა, ძლიერ იყო ფრაგმენტირებული. იგი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. სამარხის ძირზე შეიმჩნეოდა საგების კვალი და ნახშირი.

სამარხი №168. სიღრმე – 3 მ. (ზედა იარუსი). სამარხი შემოწყობილი იყო ქვებით. ჩონჩხი დაფიქსირდა მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. შეინიშნებოდა ხის საგებისა და ნახშირის კვალი.

სამარხი №170. სიღრმე – 3 მ. ქვებით შემოწყობილი. მამაკაცის ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოკეცილი ფეხებით, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. სამარხის ძირზე – საგების ნაშთი და ნახშირი.

სამარხი №171. სიღრმე – 2,3 მ. სამარხი ქვაყუთის ტიპისა იყო, შეკრული ფლეთილი ქვებისგან. მიცვალებული დაუკრძალავთ მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული.

სამარხი №172. სიღრმე – 3,5 მ. ქვაყუთის მსგავსი. მამაკაცის ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. ჩონჩხის ქვეშ დაფიქსირდა ნახშირისა და ხის საგების კვალი.

სამარხი №173. სიღრმე – 3,2 მ. სამარხი ქვაყუთის ტიპისა იყო. აღმოჩნდა მამაკაცის ცუდად დაცული ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, ორიენტირებული ჩრდილოეთისაკენ. სამარხში გამოვლინდა დიდი ოდენობით ნახშირი.

სამარხი №174. სიღრმე – 3,5 მ. (ზედა იარუსი). ბავშვის დაზიანებული ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ყოფილა მოთავსებული.

სამარხი №175. სიღრმე – 3,5 მ. მოზარდის ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ მიმართული.

სამარხი №177. ძვლოვანი მასალა სამარხის მთელ პერიმეტრზე იყო გაფანტული. ძირზე დიდი ოდენობით ნახშირითა და ხის საგების ნაშთით.

სამარხი №179. სიღრმე – 3,5 მ. (ზედა იარუსი). აღმოჩნდა 2 ჩონჩხი: მცირეწლოვანი ბავშვისა და მოზარდის. მოზარდის ჩონჩხი ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული იყო მოთავსებული. მცირეწლოვანი ბავშვი – მარჯვენა გვერდზე, თავით აგრეთვე ჩრდილოეთისაკენ მიმართული [Техов, 1985: 28].

სამარხი №182. სიღრმე – 3 მ. ჩონჩხი - ძლიერ მოკუნტული, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. სამარხი მოზარდს ეკუთვნოდა და ინვენტარს არ შეიცავდა.

სამარხი №183. სიღრმე – 3 მ. სამარხის ორმო ბრტყელი ქვებით იყო შემოწყობილი. აღმოჩნდა მოზარდის ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. მიცვალებულის ფეხებქვეშ ქვის პატარა ფილა იყო მოთავსებული. სამარხის ძირზე შეინიშნებოდა საგების ნაშთი და ნახშირის კვალი [Техов, 1985: 29].

სამარხი №184. სიღრმე – 3,5 მ. ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მოკუნტული, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიმართული. სამარხის ძირზე დაფიქსირდა საგების კვალი და ნახშირი.

სამარხი №185. სიღრმე – 3 მ. მამაკაცის ძლიერ ხელ-ფეხმოკეცილი ჩონჩხი, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ მიმართული. სამარხი შეიცავდა ნახშირს.

სამარხი №187. სიღრმე – 4,6 მ. სამარხი ქვებით იყო შემოწყობილი და გადაფარული. მამაკაცის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, ჩრდილო-დასავლეთისაკენ ყოფილა მოთავსებული. ჩონჩხის ქვეშ შეინიშნებოდა ხის საგების ნაშთი.

სამარხი №193. სიღრმე – 4,5 მ. ქვაყუთის ტიპის სამარხი. სიგრძე – 1,3 მ. სიგანე – 0,75 მ. სიმაღლე – 0,20 მ. გვერდითა კედლები წვრილი ქვებისგან იყო შეკრული. მიცვალებული მოუთავსებიათ მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, ქუსლებით მენჯამდე აწეული.

სამარხი №195. სიღრმე – 5,2 მ. სიგრძე – 1,25 მ. სიგანე – 0,7 მ. სამარხი ქვებით იყო შემოწყობილ-დაფარული. მიცვალებული მოუთავსებიათ მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული [Техов, 1985: 30-31].

სამარხი №196. სიღრმე – 5,15 მ. (მეორე იარუსი). სამარხს ქვების წყობა შემოუყვებოდა და თავზეც ქვებისგანვე მოწყობილი გადახურვა ჰქონდა. ძვლოვანი მასალა არეული და ფრაგმენტირებული იყო.

სამარხი №197. სიღრმე – 5,5 მ. სიგრძე – 1მ. სიგანე – 0,6 მ. სამარხი ქვებით იყო შემოწყობილი და გადაფარული. ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. სამარხის ძირი მოტკეპნილი თიხისაგან ყოფილა მოწყობილი, რომელზეც შეინიშნებოდა საგების ნაშთი.

სამარხი №205. სიღრმე – 1,2 მ. სიგრძე – 1,4 მ. სიგანე – 0,77 მ. გაიწმინდა მამაკაცის ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მოკუნტული, ორიენტირებული ჩრდილოეთისაკენ. დაფიქსირდა საგების კვალი.

სამარხი №212. სიღრმე – 1,2 მ. სამარხი შემოწყობილი იყო ქვებით. ქალის ჩონჩხი მოთავსებული იყო მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ.

სამარხი №216. სიღრმე – 1,84 მ. სიგრძე – 1,4 მ. სიგანე – 0,85 მ. სამარხი სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან ფიცრებით იყო შემოსაზღვრული.

სამარხს ყველა მხრიდან ქვის წყობაც შემოუყვებოდა. ქვებითვე იყო მოწყობილი გადახურვა. ჩონჩხი დაფიქსირდა მარჯვენა გვერდზე, მოკუნტული, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. შეინიშნებოდა საგების ნაშთი.

სამარხი №220. სიღრმე – 1,1 მ. დარღვეული სამარხი შემოსაზღვრული იყო ფლეთილი ქვებით და ქვაყუთის ფორმა ჰქონდა. ძლიერ დაზიანებული ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილი, ორიენტირებული ჩრდილოეთისაკენ [Техов, 1985: 33].

სამარხი №226. სიღრმე – 2 მ. (ზედა იარუსი). მამაკაცის ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთის მხარეს მოქცეული (ტაბ. VI, 1). სამარხში საგების ნაშთი და დიდი ოდენობით ნახშირი დაფიქსირდა.

სამარხი №230. სიღრმე – 2,3 მ. სამარხი შემოწყობილი და დაფარული იყო ქვებით. მიცვალებული დაუსვენებიათ ზურგზე, თავით ქვის ფილაზე. ხელები იდაყვებში მოხრილი ჰქონდა. სამარხი ინვენტარს არ შეიცავდა [Техов, 1985: 34-35].

სამარხი №232. სიღრმე – 2,6 მ. სიგრძე – 1,10 მ. სიგანე – 0,8 მ. სამარხს ოთხკუთხა მოყვანილობა ჰქონდა და ქვებით იყო შემოსაზღვრული. მიცვალებული (მამაკაცი) მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული დაუკრძალავთ. სამარხი დიდი ოდენობით ნახშირს შეიცავდა [Техов, 1985: 35].

სამარხი №237. სიღრმე – 1,55 მ. აღმოჩნდა ბავშვის ძლიერ დაზიანებული ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მოქცეული.

სამარხი №238. სიღრმე – 3 მ. დაზიანებული ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №240. სიღრმე – 3,5 მ. სამარხს ოთხკუთხა მოყვანილობა ჰქონდა და მცირე ზომის ქვებით იყო შემოწყობილი. ჩრდილოეთის მხრიდან ხის ფიცრები საზღვრავდა. ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №242. სიღრმე – 3,5 მ. სამარხში დაფიქსირდა ერთ გროვად კონცენტრირებული ადამიანის ძვლები, რომელთა შორის საქონლის ოსტეოლოგიური მასალაც ყოფილა მოქცეული [Техов, 1985: 36].

სამარხი №243. სიღრმე – 2,33 მ. სამარხი ქვებით იყო შემოწყობილი. მამაკაცის ჩონჩხი მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული. სამარხში დაფიქსირდა საგების კვალი და დიდი ოდენობით ნახშირი.

სამარხი №245. სიღრმე – 4,6 მ. ქვაყუთის ტიპის. შეკრული ყოფილა საშუალო ზომის ქვებისაგან. მიცვალებული ზურგზე იყო მოთავსებული, ორიენტირებული ჩრდილოეთისაკენ. ფეხები ძლიერ მოკეცილი და მუხლები მკერდის არეში აწეული ჰქონდა. ხელები მკერდის არეში ჰქონდა გადაჯვარედინებული [Техов, 1985: 37].

სამარხი №246. სიღრმე – 4,76 მ. ქვაყუთის ფორმის. სამარხში ძლიერ ფრაგმენტირებული ჩონჩხი აღმოჩნდა – მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული (ტაბ. VII, 2). თავის ქალა სამარხში არ დაფიქსირდა.

სამარხი №247. სიღრმე – 5 მ. ქვაყუთის ტიპის. სამარხი თავის დროზე ხის ფიცრებით ყოფილა გადახურული, რომელთა თავზეც მოწყობილი იყო ქვაყრილი. სამარხში დაუკრძალავთ მდედრობითი სქესის წარმომადგენელი – მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიმართული [Техов, 1985: 37].

სამარხი №251. სიღრმე – 4 მ. სამარხი ქვებით იყო შემოწყობილი და დაფარული. ჩონჩხი მოთავსებული იყო ძლიერ მოხრილი მდგომარეობაში, მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიმართული. სამარხი შეიცავდა დიდი ოდენობით ნახშირს [Техов, 1985: 38].

სამარხი №253. სიღრმე – 1,5 მ. სიგრძე – 1,35 მ. სიგანე – 0,83 მ. სამარხს ოთხკუთხა მოყვანილობა ჰქონდა და მუხის ფიცრებით იყო შემოწყობილი, რომელთაც გარედან ქვის წყობა შემოუყვებოდა. ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული. ჩონჩხის ქვეშ დაფიქსირდა საგების ნაშთი.

სამარხი №255. სიღრმე – 1,55 მ. სამარხს ქვის წყობა შემოუყვებოდა და ზემოდან ქვაყრილი ფარავდა. მამაკაცის ფრაგმენტირებული ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული.

სამარხი №258. სიღრმე – 1,6 მ. სამარხი შემოსაზღვრული და დაფარული იყო ქვებით. დაფიქსირდა მამაკაცისა და ქალი ჩონჩხი. ორივე მარჯვენა გვერდზე,

მოხრილ მდგომრეობაში მწოლიარე. მამაკაცი თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ, ხოლო ქალი დასავლეთისაკენ ყოფილა ორიენტირებული (ტაბ. VIII, 1) [Техов, 1985: 39].

სამარხი №265. სიღრმე – 2 მ. სამარხი კვადრატული ფორმისა იყო და ვერტიკალურად ჩადგმული ქვები საზღვრავდა. დაფიქსირდა მოზარდის ძლიერ ფრაგმენტირებული ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული.

სამარხი №269a. ძვლოვანი მასალა კონცენტრირებული იყო ერთ გროვად [Техов, 1985: 40].

სამარხი №272. სიღრმე – 3 მ. სიგრძე – 0,75 მ. სიგანე – 0,35 მ. მიცვალებულის ჩონჩხი წვრილი ქვებით ყოფილა გარშემორტყმული. იგი მოთავსებული იყო ზურგზე, ძლიერ მოკეცილი ფეხებით. მუხლები ჰქონდა მკერდის არეში აწეული, ხოლო ხელები გადაჯვარედინებული. სამარხი ზემოდან ქვებით იყო დაფარული.

სამარხი №274. სიღრმე – 3,6 მ. სამარხი მარჯვენა გვერდზე, მოკუნტულ პოზაში მწოლიარე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებულ ჩონჩხს შეიცავდა. გამოვლინდა საგების კვალი და დიდი ოდენობით ნახშირი.

სამარხი №275. სიღრმე – 3,2 მ. სამარხის ძირი თიხის გრუნტში იყო გაჭრილი და შემდეგ ქვებით მოფენილი. მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. სამარხის მთელ პერიმეტრზე დიდი ოდენობით ნახშირი გამოვლინდა [Техов, 1985: 40-41].

სამარხი №279. სიღრმე – 2 მ. სამარხი შემოწყობილი და დაფარული იყო ქვებით. აღმოჩნდა ბავშვის ძლიერ დაშლილი ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. სამარხის ძირზე შეიმჩნეოდა სარეცლის კვალი. დაფიქსირდა დიდი ოდენობით ნახშირი.

სამარხი №281. სიღრმე – 3,4 მ. დიდი ზომის სამარხში ქალის ჩონჩხი იყო მოთავსებული – მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიმართული [Техов, 1985: 42].

სამარხი №284. სიღრმე – 2,7 მ. .(ზედა იარუსი) სამარხს ქვის დიდი ზომის ფილები ფარავდა. მამაკაცის ჩონჩხი მოთავსებული იყო ზურგზე, ძლიერ

მოკეცილი ფეხებით. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა დიდი ოდენობით ნახშირი.

სამარხი №285. სიღრმე – 2,7 მ. (ზედა იარუსი) კვადრატული მოყვანილობის სამარხი ირგვლივ მცირე ზომის ქვებით ყოფილა შემოზღუდული. ზემოდან დიდი ზომის ფილებისაგან მოწყობილი გადახურვა ჰქონდა. ჩონჩხი მოთავსებული იყო ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ მიმართული. ძვლების სიახლოვეს დიდი ოდენობით ნახშირი გამოვლინდა [Техов, 1985: 43].

სამარხი №286. სიღრმე – 3 მ. (შუა იარუსი) მოქცეული იყო №285 სამარხის ქვეშ. ჰქონდა ქვებისაგან შედგენილი კედლები და გადახურვა. მიცვალებული დაკრძალული იყო ხელ-ფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. სამარხი შეიცავდა დიდი ოდენობით ნახშირს.

სამარხი №288. სიღრმე – 3,4 მ. დაზიანებულ სამარხში მხოლოდ მამაკაცის ჩონჩხის ქვედა ნაწილი იყო შემორჩენილი.

სამარხი №289. სიღრმე – 3,4 მ. სამარხი შეიცავდა მხოლოდ ერთ გროვად კონცენტრირებულ ძვლოვან მასალას.

სამარხი №290. სიღრმე – 3,15 მ. (პირველი იარუსი) სიგრძე – 1,2 მ. სიგანე – 0,74 მ. სამარხს ოთხკუთხედის მოყვანილობა ჰქონდა. ძლიერ ფრაგმენტირებული ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული.

სამარხი №292. სიღრმე – 3,2 მ. მოზარდის ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მოკუნტული, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. სამარხი დიდი ოდენობით ნახშირს შეიცავდა.

სამარხი №293. სიღრმე – 2,2 მ. (მეორე იარუსი) სიგრძე – 1,3 მ. სიგანე – 0,95 მ. ოთხკუთხა მოყვანილობის სამარხი ფიცრებით იყო შემოზღუდული. მიცვალებული (მამაკაცი) დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, მოკუნტული, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №294. სიღრმე – 3 მ. (მესამე იარუსი) სამარხი ქვებით იყო დაფარული. ძლიერ ფრაგმენტირებული ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე ყოფილა მოთავსებული. სამარხი დიდი ოდენობით ნახშირს შეიცავდა.

სამარხი №298. სიღრმე – 3,2 მ. მოზარდის ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ ორიენტირებული. სამარხის ძირზე შეინიშნებოდა საგების ნაშთი და დიდი ოდენობით ნახშირი.

სამარხი №299. სიღრმე – 3 მ. (ზედა იარუსი). სამარხი შემოწყობილი იყო ქვებით. დაფარული იყო მიწის ფენით, რომელსაც ზემოდან დიდი ზომის ქვებისაგან შედგენილი ყრილი ფარავდა.

სამარხი №300. სიღრმე – 3,17 მ. ოთხკუთხა მოყვანილობის. შემოზღუდული იყო ფიცრებით. მიცვალებული, რომელიც ინვენტარის მიხედვით, მამრობითი სქესისა იყო, განისვენებდა მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №302b. ძვლოვანი მასალა გროვებად იყო კონცენტრირებული. თავის ქალების მიხედვით დადგინდა ინდივიდთა სქესი და ასაკი: 2 მამაკაცი, 1 ქალი და 1 ბავშვი.

სამარხი №303. სიღრმე – 3 მ. სამარხს ბრტყელი ქვებისაგან მოწყობილი გადახურვა ჰქონდა. ძლიერ დაზიანებული ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ მოქცეული იყო მოთავსებული. სამარხში დაფიქსირდა დიდი ოდენობით ნახშირი.

სამარხი №304. სიღრმე – 3,7 მ. სამარხს ირგვლივ და ზემოდან ქვები ფარავდა. მამაკაცის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული აღმოჩნდა. სამარხში დაფიქსირდა ნახშირის კვალი.

სამარხი №305. სიღრმე – 3,7 მ. სამარხი დაფარული იყო ქვებისაგან შემდგარი ყრილით. ჩონჩხი მოთავსებული ყოფილა მარჯვენა გვერდზე, მოკუნტულ პოზაში, თავით დასავლეთისაკენ. სამარხში დიდი ოდენობით ნახშირი გამოვლინდა.

სამარხი №306. სიღრმე – 3 მ. სამარხი ოთხკუთხა ფორმისა და წვრილი ქვებით შემოზღუდული იყო. მიცვალებული მოუთავსებიათ მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. სამარხში დაფიქსირდა ნახშირის კვალი.

სამარხი №307. სიღრმე – 3 მ. სამარხში ძვლოვანი მასალა 2 გროვად იყო კონცენტრირებული.

სამარხი №309. დაზიანებულა №304 სამარხის მოწყობისას. ძვლოვანი მასალა არეული იყო.

სამარხი №311. სიღრმე – 4,9 მ. წვრილი ქვებით შემოწყობილი. მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №312. სიღრმე – 5 მ. სამარხი ბრტყელი ქვებით იყო დაფარული. სამარხში გამოვლინდა ქალის ძლიერ ფრაგმენტირებული ჩონჩხი, რომლისაგანაც მხოლოდ ზედა ნაწილი შემონახულა.

სამარხი №313. სიღრმე – 5 მ. სამარხი ქვებით იყო შემოწყობილი და გადახურული. ჩონჩხი იყო ძლიერ მოკუნტული, მარჯვენა გვერდზე მწოლიარე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. სამარხი დიდი ოდენობით ნახშირს შეიცავდა.

სამარხი №314. სიღრმე – 5,45 მ. სამარხს ქვების წყობა შემოუყვებოდა და ქვებითვე იყო გადაფარული. გამოყენებული იყო ხის ფიცრებიც. ჩონჩხი მოთავსებული ყოფილა ზურგზე, ძლიერ მოკეცილი ფეხებით.

სამარხი №315. სიღრმე – 4,4 მ. სამარხი ოთხკუთხა მოყვანილობისა და ქვებით შემოფარგლულ-დაფარული იყო. სიგრძე – 1,5 მ. სიგანე – 0,7 მ. მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №316. სიღრმე – 4,9 მ. სამარხში ძვლოვანი მასალის გროვასთან ერთად დამწვარი ხის კვალი დაფიქსირდა.

სამარხი №318. სიღრმე – 5,55 მ. სამარხი მცირე ზომის ქვებით იყო შემოზღუდული, რომელშიც მოკუნტულ პოზაში მყოფი მოზარდი დაუკრძალავთ.

სამარხი №319. სიღრმე – 3 მ. სამარხი შემოწყობილი და დაფარული იყო ქვებით. ძლიერ ფრაგმენტირებული ჩონჩხი დაფიქსირდა მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №320. სიღრმე – 3,7 მ. (ზედა იარუსი). სამარხს ქვების წყობა ზღუდავდა, რომლის თავზეც მცირე ზომის ქვაყრილი იყო მოწყობილი. სამარხში აღმოჩნდა 2 თავის ქალა და არეული ოსტეოლოგიური მასალა.

სამარხი №321. სიღრმე – 4,5 მ. სამარხი ქვებით იყო შემოწყობილი. ზემოდან წვრილი ქვებისაგან შემდგარი ყრილი ფარავდა. ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ მიმართული.

სამარხი №322. სიღრმე – 4,3 მ. სამარხი ქვებით იყო შემოწყობილი. გაიწმინდა 2 ჩონჩხი; ერთი მორდილ ადამიანს, ხოლო მეორე ბავშვს ეკუთვნოდა.

მოზრდილი მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული დაუკრძალავთ. ბავშვის დაზიანებული ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე იყო მოთავსებული.

სამარხი №325. სიღრმე – 3,5 მ. სამარხი ქვებით იყო შემოწყობილი და დაფარული. მიცვალებული დასვენებული იყო ხელ-ფეხმოკეცილი, ყვითელი თიხისაგან მოწყობილ საგებზე.

სამარხი №326. სიღრმე – 4,9 მ. სამარხს ქვების წყობა შემოუყვებოდა და ქვაყრილი ფარავდა. მამაკაცის ჩონჩხი თიხისაგან მოწყობილ ძირზე, მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული. სამარხი დიდი ოდენობით ნახშირს შეიცავდა.

სამარხი №327. სიღრმე – 5,05 მ. სამარხი შემოწყობილი ყოფილა წვრილი ქვებით. გადახურვა მოწყობილი იყო ფლეთილი ქვებისაგან. სამარხში 2 ბავშვის ჩონჩხი აღმოჩნდა. ორივე მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ იყო მოთავსებული.

სამარხი №328. სიღრმე – 4,5 მ. მამაკაცის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ მოქცეული დაფიქსირდა. სამარხი დიდი ოდენობით ნახშირს შეიცავდა.

სამარხი №329. სიღრმე – 5,5 მ. ოთხკუთხა მოყვანილობის სამარხი შემოწყობილი და დაფარული იყო წვრილი ქვებით. მიცვალებული (მამაკაცი) დაკრძალული იყო ზურგზე, ძლიერ მოკეცილი ფეხებით. მისგან სამხრეთით მოქცეულ ქვის ფილებზე წვრილფეხა საქონლის ძვლები მოუთავსებიათ.

სამარხი №332. სიღრმე – 5,25 მ. სამარხი ქვებით იყო დაფარული. ჩონჩხი, რომელიც ინვენტარის მიხედვით ქალს ეკუთვნოდა, მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით სამხრეთისაკენ მიმართული.

სამარხი №333. სიღრმე – 3,6 მ. დაფიქსირდა ძლიერ ფრაგმენტირებული ჩონჩხი – მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული.

თლიას სამაროვანი თავისი მრავალრიცხოვანი სამარხებით დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს კოლხურ, ყობანურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიურ კულტურებს შორის. საერთოდ, ისტორიული დვალეთისა და შიდა ქართლის ტერიტორია მიჩნეულია ამ კულტურული წრეების შეხების ადგილად, რაც მატერიალური კულტურის ძეგლებში თვალნათლივაა ასახული.

გაგრა

გაგრის სამაროვანი მდებარეობს აფხაზეთში, ქ. გაგრის ტერიტორიაზე. მისი გავრცელების არეალი ზღვის სანაპიროდან 130-150 მეტრს შორის მერყეობდა, ხოლო სიგრძეში 200-250 მეტრს შეადგენდა. მისი ფართობის ზუსტი დადგენა ვერ მოხერხდა, რადგან გავრცელების სავარაუდო მონაკვეთი ნაგებობებით იყო დაკავებული. არქეოლოგიური სამუშაოები გაგრის სამაროვანზე 1963, 1979, 1980 და 1984 წლებში მიმდინარეობდა და გამოვლინდა 78 სამარხი. სამაროვნის შესწავლილი ნაწილის საერთო ფართობი 3600 $მ^2$ –ს აღწევდა.

1963 წლის გათხრები

სამარხი №1. გამოვლინდა არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე. 0,35 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა კერამიკული ჭურჭლის ძირი, რომელიც პირქვე იყო მოთავსებული და ადამიანის თავის ქალას ფარავდა. ინვენტარი არ დაფიქსირდა.

სამარხი №2. აღმოჩნდა არქეოლოგიური ექსპედიციის დაწყებამდე. დაკრძალვის წესი ვერ დადგინდა [Бжания, 1991: 6].

სამარხი №3. დაზიანებული.

სამარხი №4. სიღრმე – 0,65 მ. დაფიქსირდა პირქვე მოთავსებული თიხის ქოთანი. ადამიანის ძლიერ ფრაგმენტირებული ძვლები აღმოჩნდა როგორც ჭურჭლის ქვეშ, ასევე მის ირგვლივ. მისი სიმაღლე შეადგენდა 0,22 მ-ს, პირის დიამეტრი 0,16 მ-ს, ხოლო მუცლის დიამეტრი – 0,20 მ-ს. ქოთნის ქვეშ დაფიქსირდა კენჭების გროვა, რომელიც შესაძლოა საგების ფუნქციას ასრულებდა [Бжания, 1991: 6].

სამარხი №5. დაზიანებული.

სამარხი №6. სიღრმე – 0,68 მ. მიცვალებულის ძლიერ დაზიანებული თავის ქალა კიდურების ერთად კონცენტრირებულ გროვაზე ზემოდან იყო მოთავსებული. უინვენტარო.

სამარხი №7. სიღრმე – 0,6 მ. მიცვალებული დაუკრძალავთ ზურგზე, გაშოტილ პოზაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. მარცხენა ხელი მოთავსებული ჰქონდა მუცლის არეში, ხოლო მარჯვენა გაჭიმული. ოსტეოლოგიური მონაცემებით სამარხი ქალს ეკუთვნოდა. უინვენტარო [Бжания, 1991: 6-7].

სამარხი №8. სიღრმე – 0,8 მ. გაიწმინდა პირქვე მოთავსებული თიხის ქოთანირომლის ქვეშაც მხოლოდ მიცვალებულის თავის ქალა აღმოჩნდა. დანარჩენი ძვლები კი მის გარშემო იყო შემოწყობილი. ქოთანი სფერული მოყვანილობისა იყო, პირი ოდნავ გადმოშლილი ჰქონდა და რელიეფური ორნამენტი ამკობდა [Бжания, 1991: 7].

სამარხი №9. მდებარეობდა №8 სამარხის სიახლოვეს. დაფიქსირდა მხოლოდ კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელიც თავის ქალის სიახლოვეს გაიწმინდა. ოსტეოლოგიური მასალა ერთ გროვად იყო კონცენტრირებული. თავის ქალის ორივე მხარეს ბრინჯაოს სასაფეთქლე ხვიები, ხოლო მარჯვენა მხარეს ბრინჯაოს საკინძის ფრაგმენტი აღმოჩნდა [Бжания, 1991: 7].

სამარხი №10. დაზიანებული.

სამარხი №11. სიღრმე – 0,45 მ. შემორჩენილი იყო მოზარდის ჩონჩხის ფრაგმენტირებული ნაწილები.

სამარხი №12. დაზიანებული.

სამარხი №13. დაზიანებული.

სამარხი №14. დაზიანებული.

1979 წლის გათხრები

სამარხი №1. სიღრმე – 0,62 მ. სამარხს წრიული მოყვანილობა ჰქონდა. დიამეტრი 0,7-0,9 მ. ადამიანის ძვლები ერთ გროვად იყო კონცენტრირებული, რომელთაც კერამიკული ჭურჭელი ფარავდა. ჭურჭლის სიახლოვეს მოთავსებული იყო თავის ქალა და 2 ბრტყელი კენჭი. აღნიშნული ჭურჭელი წარმოადგენდა ღია-მოყავისფრო ფერის მოზრდილ ოსუარიუმს. მას ფართო პირი

და ვიწრო ძირი ჰქონდა. სიმაღლე – 50 სმ. ყელის დიამეტრი – 52 სმ. ძირის დიამეტრი – 12 სმ. [Бжания, 1991: 8].

სამარხი №2. სიღრმე – 0,65 მ. წრიული მოყვანილობის. დიამეტრი – 0,7 მ. ძვლები ერთ გროვად სამარხის ძირზე იყო დაწყობილი, რომლებზეც ზემოდან თავის ქალა იყო მოთავსებული. ინვენტარის მიხედვით, სამარხი ქალს ეკუთვნოდა

სამარხი №3. სიღრმე – 0,65 მ. წრიული მოყვანილობის. დიამეტრი – 0,7 მ. ორმოში თიხის მოზრდილი ზომის ჭურჭელი პირქვე ყოფილა ჩადგმული. იგი მიცვალებულის ძვლებს ფარავდა, რომელთა ქვეშ თავის ქალა იყო მოთავსებული. მუქი-მოყავისფრო ფერის ორნამენტირებული ოსუარიუმი სიმაღლეში 49,5 სმ-ს აღწევდა. პირის დიამეტრი შეადგენდა 45 სმ-ს, ხოლო ძირისა – 17 სმ-ს. სამარხეული ინვენტარი თავის ქალასთან გამოვლენილი ბრინჯაოს ორი საკინძისაგან შედგებოდა [Бжания, 1991: 8-9].

სამარხი №4. სიღრმე – 1 მ. სამარხში ორი თავის ქალა გაიწმინდა. ერთი რიყის ბრტყელ ქვაზე იყო მოთავსებული, ხოლო მეორე მისგან 12 სმ-ის მოშორებით. ძვლოვანი მასალის ნაწილი თავის ქალებზე ზემოდან, ხოლო ნაწილი სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ერთ გროვად იყო კონცენტრირებული.

სამარხი №5. სიღრმე – 0,65 მ. დაზიანებული. მოზრდილი კერამიკული ჭურჭლისა და ადამიანის ძვლის ფრაგმენტები ერთმანეთში იყო არეული.

სამარხი №6. სიღრმე – 0,6 მ. გაიწმინდა მცირე ზომის კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები. ძვლოვანი მასალა არ დაფიქსირდა, რაც ძეგლის გამთხრელის მოსაზრებით, შესაძლოა კენოტაფის არსებობით ყოფილიყო განპირობებული [Бжания, 1991: 9].

1980 წლის გათხრები

სამარხი №1. სიღრმე – 1,2 მ. ოსუარიუმი. ჭურჭლის სიმაღლე – 50 სმ., პირის დიამეტრი – 45 სმ, ძირის დიამეტრი – 16 სმ. მოთავსებული იყო პირქვე. მიცვალებულის ძვლებთან ერთად, მასში მიკვლეული იქნა ბრინჯაოს 2 ფიბულა და სასაფეთქლე საკიდი [Бжания, 1991: 10].

სამარხი №2. სიღრმე – 1 მ. სამარხის კონტურები არ შეინიშნებოდა. ჩონჩხის ფრაგმენტირებული ძვლები არეული და ერთ გროვად იყო მოთავსებული. ინვენტარის გარეშე.

სამარხი №3. სიღრმე – 0,9 მ. სიგრძე – 1,7 მ, სიგანე – 0,6 მ. სამარხს მომრგვალებულკუთხეებიანი ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა. ცუდად შემონახული ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იყო მოთავსებული (ტაბ. X, 1) [Бжания, 1991: 10].

სამარხი №4. სიღრმე – 1,05 მ. სიგრძე – 1,7 მ, სიგანე – 0,7 მ. ორმოს წაგრძელებული ოვალის მოყვანილობა ჰქონდა. ჩონჩხი, რომელიც ცუდად იყო დაცული, ზურგზე, გაშოტილ პოზაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ იყო დასვენებული. მარჯვენა ხელი იდაყვის არეში მოკეცილი და მკერდზე დადებული ჰქონდა. თავის ქალის ზემოთ, სამარხის კიდეზე მოთავსებული იყო ქვა. სამარხში ინვენტარი არ აღმოჩნდა [Бжания, 1991: 10].

სამარხი №5. (ტაბ. X, 2) სიღრმე – 1 მ. სიგრძე – 1 მ, სიგანე - 0,6 მ. სამარხს წაგრძელებული ოვალის ფორმა ჰქონდა. ოსტეოლოგიური მასალა არეული იყო, ძვლებისგან განცალკევებით მოთავსებული ყოფილა თავის ქალა, რომელიც სახით აღმოსავლეთისაკენ იყო ორიენტირებული. მისგან ჩრდილოეთით პირქვე მოთავსებული თიხის ჭურჭელი იყო ჩადგმული, რომელიც მცირე ზომის თავის ქალას ფარავდა. სამარხში, ძვლებს შორის, ბრინჯაოს ისრისპირი იქნა ნაპოვნი [Бжания, 1991: 10].

სამარხი №6. სიღრმე – 1,05 მ. წრიული მოყვანილობის ორმოთი. დიამეტრი – 0,65 მ. უინვენტარო სამარხში ძვლები არეულად და ერთ გროვად იყო კონცენტრირებული.

სამარხი №7. სიღრმე – 1,1 მ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაში, ზურგზე იყო მოთავსებული. თავით სამხრეთისაკენ მიმართული. ძვლები ძლიერ ფრაგმენტირებული დაფიქსირდა. თეძოს არეში გაიწმინდა ბრინჯაოს აბზინდა. სამარხში გამოვლინდა ნახშირის კვალი [Бжания, 1991: 11].

სამარხი №8. სიღრმე – 1,1 მ. წრიული ფორმის. დიამეტრი – 0,6 მ. ძვლები ერთ გროვად იყო შეჯგუფებული. თავის ქალა სამარხის ძირზე, ხოლო სხვა ძვლები მასზე და მის ირგვლივ ყოფილა შემოწყობილი. სამარხში ინვენტარი არ დაფიქსირებულა [Бжания, 1991: 11].

სამარხი №9. სიღრმე – 1,2 მ. წაგრძელებული წრიული ფორმის. სიგრძე – 0,9 მ, სიგანე – 0,5 მ. ადამიანის მკერდისა და ხელის ძვლები სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში ყოფილა მოქცეული. ცენტრალურ ნაწილში სამი ბრტყელი ქვა იყო ჩადგმული. აქვე აღმოჩნდა ქვედა ყბის ძვალი. სამარხის დასავლეთ ნაწილში მცირე ზომის თიხის ჭურჭელი პირქვე იყო მოთავსებული, რომელიც ფარავდა თავის ქალას [Бжания, 1991: 11].

სამარხი №10. სიღრმე – 1,25 მ. სიგრძე – 1 მ, სიგანე – 0,7 მ. სამარხს ელიფსის მოყვანილობა ჰქონდა. სამარხის ძირი თეთრი ფერის კენჭებით იყო დაფარული. ფრაგმენტირებულ ძვლებზე, რომლებიც ერთად იყო კონცენტრირებული, ზემოდან თავის ქალა ყოფილა მოთავსებული. სამარხში ინვენტარი არ აღმოჩნდა [Бжания, 1991: 12].

სამარხი №11. სიღრმე – 1,1 მ. წრიული მოყვანლობის. დიამეტრი – 0,6 მ. ძვლები ერთ გროვად იყო კონცენტრირებული. თავის ქალა სამარხის ძირზე, სახით სამხრეთისაკენ იყო მოთავსებული. უინვენტარო.

სამარხი №12. სიღრმე – 1 მ. სამარხის მთლიანობა დარღვეული იყო. მიცვალებული ზურგზე, გაშოტილ მდგომარეობაში მოუთავსებიათ, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. მარცხენა ხელი იდაყვში მოკეცილი და მკერდზე დადებული ჰქონდა. ჩონჩხის ნაწილი, თავის ქალასთან ერთად, სამარხში არ დაფიქსირებულა. უინვენტარო [Бжания, 1991: 12].

სამარხი №13. სიღრმე – 1 მ. ჩონჩხი – ზურგზე, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მოქცეული. ჩონჩხი ცუდად იყო დაცული. უინვენტარო.

სამარხი №14. სიღრმე – 1,05 მ. სიგრძე – 0,7 მ, სიგანე – 0,45 მ. სამარხს ელიფსოიდური მოყვანილობა ჰქონდა. თავის ქალა სხვა ძვლებისაგან განცალკევებით, სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში იყო მოქცეული. დანარჩენი ძვლები არეულ მდგომარეობაში, სამარხის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა. უინვენტარო.

სამარხი №15. სიღრმე – 1,1 მ. სამარხის ფორმა ვერ დაფიქსირდა. ორმოს ძირი მოწყობილი იყო ბრტყელი კენჭებით, რომლებზეც ოსუარიუმი პირქვე ყოფილა მოთავსებული. ჭურჭელს მუქი-მოყავისფრო შეფერილობა ჰქონდა. პირის დიამეტრი – 26 სმ, სიმაღლე – 31 სმ, ძირის დიამტერი – 11 სმ. ოსუარიუმში მხოლოდ ადამიანის ფრაგმენტირებული თავის ქალა გამოვლინდა.

სამარხი №16. სიღრმე – 1,2 მ. სამარხი სიგრძეში – 0,5 მ-ს, ხოლო სიგანეში 0,4 მ-ს აღწევდა. აღმოჩნდა თავის ქალა, რომელზეც ზემოდან ხერხემლისა და ხელის ძვლები ჰქონდა დაწყობილი. უინვენტარო.

სამარხი №17. სიღრმე – 1 მ. სიგრძე – 1,75 მ, სიგანე – 0,6 მ. სამარხს წაგრძელებული ოვალის მოყვანილობა ჰქონდა. ჩონჩხი – ზურგზე, გაშოტილ პოზაში მწოლიარე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული. ხელები იდაყვებში მოკეცილი და მუცლის არეში დაწყობილი ჰქონდა [Бжания, 1991: 13].

სამარხი №17a. №17 სამარხის გვერდით. წრიული ფორმის ორმოში, მოშავო ფერის კერამიკული ჭურჭელი პირქვე იყო მოთავსებული. პირის დიამეტრი – 19 სმ. ჭურჭელი ადამიანის თავის ქალას ფარავდა. მის გვერდით გაიწმინდა ადამიანისავე ძლიერ ფრაგმენტირებული ძვლები. უინვენტარო [Бжания, 1991: 13].

სამარხი №18. სიღრმე – 1,2 მ. სიგრძე – 0,3 მ., სიგანე – 0,25 მ. გამოვლინდა თავის ქალა და ერთ გროვად კონცენტრირებული ფრაგმენტირებული ძვლები. უინვენტარო.

სამარხი №19. სიღრმე – 1,9 მ. წრიული მოყვანილობის. დიამეტრი – 0,6 მ. ძვლოვანი მასალა თითქმის მთლიანად იყო დაშლილი.

სამარხი №20. სიღრმე – 1,2 მ. სამარხს წრიული ფორმა ჰქონდა. დიამეტრი – 0,8 მ. ძირი მოფენილი იყო წვრილი ბრტყელი კენჭებით, რომლებზეც ორი თავის ქალა იყო მოთავსებული. მათ შორის ძლიერ ფრაგმენტირებული ძვლები გაიწმინდა. უინვენტარო [Бжания, 1991: 13].

სამარხი №21. სიღრმე – 1,2 მ. აღმოჩნდა კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტი. პირის დიამეტრი – 26 სმ. სამარხში ძვლოვანი მასალა არ დაფიქსირდა, რის გამოც, ვ. ბჟანიამ იგი კენოტაფად მიიჩნია [Бжания, 1991: 13].

სამარხი №22. სიღრმე – 1,3 მ. წრიული მოყვანილობის ორმოში პირქვე იყო მოთავსებული მუქი-მოყავისფრო კერამიკული ჭურჭელი. პირის დიამეტრი – 26 სმ, სიმაღლე – 30 სმ. ჭურჭელი თავის ქალას ფარავდა. უინვენტარო.

სამარხი №23. სიღრმე – 1,5 მ. მოყავისფრო ფერის კერამიკული ჭურჭელი პირქვე იყო ჩადგმული. ძვლოვანი მასალა არ დაფიქსირებულა. კენოტაფი [Бжания, 1991: 14].

სამარხი №24. სიღრმე – 1,5 მ. სამარხს წრიული მოყვანილობა ჰქონდა. დიამეტრი – 0,5 მ. უინვენტარო სამარხში ერთ გროვად კონცენტრირებული ძვლები დაფიქსირდა.

სამარხი №25. სიღრმე – 1,45 მ. სიგრძე – 0,9 მ, სიგანე – 0,5 მ. ოვალური მოყვანილობის. ძვლოვანი მასალა არეული იყო. უინვენტარო [Бжания, 1991: 14].

სამარხი №26. სიღრმე – 1,45 მ. სამარხს წრიული მოყვანილობა ჰქონდა. დიამეტრი – 0,45 მ. დაფიქსირდა ადამიანის თავის ქალა. სხვა ძვლები თითმის მთლიანად იყო დაშლილი. უინვენტარო.

სამარხი №27. სიღრმე – 1,45 მ. სიგრძე – 0,5 მ, სიგანე – 0,3 მ. უინვენტარო სამარხში კარგად მხოლოდ მიცვალებულის კბილები იყო შემონახული. ძვლოვანი მასალა თითქმის მთლიანად დაშლილა.

სამარხი №28. (ტაბ. X, 3) სიღრმე – 1,45 მ. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,75 მ. წაგრძელებული ოვალის ფორმის. სამარხს კიდეებზე კირქვის 4 კაჭარი შემოუყვებოდა. მიცვალებული მოუთავსებიათ ზურგზე, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ ორიენტირებული. ორივე ხელი იდაყვებში მოხრილი; მარცხენა ხელი მუცლის არეში, ხოლო მარჯვენა მკერდზე მოთავსებული ჰქონდა. უინვენტარო [Бжания, 1991: 14-15].

სამარხი №29. სიღრმე – 1,6 მ. გაიწმინდა დიდი ზომის პირქვე მოთავსებული კერამიკული ჭურჭელი. სიმაღლე – 58 სმ, დიამეტრი – 52 სმ, ძირის დიამეტრი – 21 სმ. ჭურჭელი ფარავდა ადამიანის ძვლებს, რომელთა შორის დიდი ოდენობით ნახშირი დაფიქსირდა.

სამარხი №30. სიღრმე – 1,57 მ. ორმოში პირქვე ძლიერ ფრაგმენტირებული კერამიკული ჭურჭელი იყო მოთავსებული. ძვლოვანი მასალა არ დაფიქსირდა. კენოტაფი [Бжания, 1991: 15].

სამარხი №31. სიღრმე – 1,57 მ. დაზიანებული. შემორჩენილი იყო მხოლოდ თავის ქალის რამდენიმე ფრაგმენტი. ინვენტარი არ აღმოჩნდა.

სამარხი №32. სიღრმე – 1,5 მ. სიგრძე – 2მ, სიგანე – 0,5 მ. წაგრძელებული ოვალის მოყვანილობის. მიცვალებული ხელებმოკეცილი, ზურგზე, გაშოტილ პოზაში იყო დაკრძალული. მარჯვენა ხელის მტევანი მუცელზე, ხოლო მარცხენა მკერდზე ჰქონდა მოთავსებული. უინვენტარო.

სამარხი №33. სიღრმე – 1,5 მ. ძლიერ დაშლილი ჩონჩხი – ზურგზე, გაშოტილ პოზაში, თავით ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. უინვენტარო.

სამარხი №34. სიღრმე – 1,48 მ. დაზიანებული სამარხი. უინვენტარო [Бжания, 1991: 15].

სამარხი №35. სიღრმე – 1,5 მ. სამარხის ფორმა არ დაფიქსირდა. მიცვალებული დაუსვენებიათ ზურგზე, გაშოტილი, ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული. ძვლოვანი მასალა ცუდად იყო დაცული. უინვენტარო [Бжания, 1991: 15-16].

სამარხი №36. სიღრმე – 1,4 მ. სიგრძე – 1,75 მ. სიგანე – 0,6 მ. ჩონჩხი დაფიქსირდა ზურგზე, ხელებმოკეცილი, გაშოტილ პოზაში მწოლიარე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული. უინვენტარო სამარხს წრიული მოყვანილობა ჰქონდა. დიამეტრი – 0,7 მ. ოსტეოლოგიური მასალის განლაგება ანატომიური უსისტემობით ხასიათდებოდა. უინვენტარო [Бжания, 1991: 16].

სამარხი №37. სიღრმე – 1,3 მ. მიცვალებული დასვენებული იყო ზურგზე, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. მარჯვენა ხელი იდაყვში 90^0-ით იყო მოხრილი, მარცხენა კი ჩონჩხის გასწვრივ გაშვერილი. უინვენტარო.

სამარხი №38. სიღრმე – 1,1 მ. სამარხს წრიული მოყვანილობა ჰქონდა. დიამეტრი – 0,7 მ. ოსტეოლოგიური მასალის განლაგება ანატომიური უსისტემობით ხასიათდებოდა. უინვენტარო [Бжания, 1991: 16].

სამარხი №39. სიღრმე – 0,9 მ. დაფიქსირდა პირქვე დადგმული დაზიანებული კერამიკული ჭურჭელი. მის ქვეშ მოქცეული იყო ადამიანის თავის ქალა. თავის ქალის ფრაგმენტებთან ერთად აღმოჩნდა სარდიონის მძივი. ჭურჭლის პირის დიამეტრი – 36 სმ.

სამარხი №40. სიღრმე – 1,1 მ. წრიული მოყვანილობის. დიამეტრი – 0,7 მ. ერთმანეთისაგან 45 სმ-ის დაშორებით 2 თავის ქალა იყო მოთავსებული. მათ შორის გამოვლინდა ერთ გროვად კონცენტრირებული ძვლოვანი მასალა. უინვენტარო [Бжания, 1991: 16].

სამარხი №41. სიღრმე – 1,45 მ. სიგრძე – 0,8 მ. სიგანე – 0,55 მ. სამარხის ძირი მოწყობილი იყო თეთრი ფერის ბრტყელი კენჭებით. თავის ქალა სამარხის დასავლეთ ნაწილში ყოფილა მოქცეული. დანარჩენი ძვლები არეულ მდგომარეობაში იყო.

სამარხი №42. სიღრმე – 1,6 მ. სიგრძე 1,7 მ. სიგანე – 0,65 მ. ქალის ჩონჩხი მოთავსებული იყო ზურგზე, გაშოტილ პოზაში, ხელებმოკეცილი, თავით

სამხრეთისაკენ ორიენტირებული (მცირე გადახრით აღმოსავლეთის მიმართულებით) [Бжания, 1991: 17].

სამარხი №43. (ტაბ. X, 4) სიღრმე – 1,15 მ. წრიული მოყვანილობის ორმოთი. დიამეტრი – 0,7-0,85 მ. თავის ქალა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა. ძვლოვანი მასალა მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით ანატომიური უსისტემობით იყო განლაგებული. უინვენტარო.

სამარხი №44. სიღრმე – 1,18 მ. წრიული ფორმის. დიამეტრი – 0,6 მ. ძვლოვანი მასალა უსისტემოდ იყო მიმოფანტული. უინვენტარო [Бжания, 1991: 17-18].

სამარხი №45. სიღრმე – 0,68 მ. წრიული მოყვანილობის. დიამეტრი – 0,7-0,8 მ. თავის ქალა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იყო მოქცეული, ქვედა ყბა – ჩრდილოეთ კუთხეში. თავის ქალიდან 25 სმ-ის მოშორებით მენჯის ძვალი აღმოჩნდა. მენჯისაგან არ იყო განცალკევებული მუხლის არეში მოკეცილი ფეხის ძვლები. სამარხში ინვენტარი არ დაფიქსირდა [Бжания,1991: 18].

სამარხი №46. სიღრმე – 0,7 მ. წრიული მოყვანილობის. დიამეტრი – 0,6-0,7 მ. სამარხის დასავლეთ ნაწილში მოთავსებული იყო თავის ქალა. მისგან მოცილებით სხვა ძვლები ერთ გროვად ყოფილა კონცენტრირებული. უინვენტარო.

სამარხი №47. სიღრმე – 0,55 მ. დაზიანებული. პირქვე დადგმული ძლიერ ფრაგმენტირებული კერამიკული ჭურჭლის ქვეშ მოქცეული იყო ადამიანის თავის ქალა. უინვენტარო.

სამარხი №48. სიღრმე – 1,35 მ. წრიული მოყვანილობის. დიამეტრი – 0,48 მ. ოსტეოლოგიური მასალა ანატომიური კუთხით, უსისტემოდ იყო განლაგებული. უინვენტარო.

სამარხი №49. დაზიანებული [Бжания, 1991: 18].

1984 წლის გათხრები

სამარხი №50. სიღრმე – 0,6 მ. სიგრძე – 1,87 მ. სიგანე – 0,7 მ. წაგრძელებული ოვალის მოყვანილობის. მიცვალებული მოთავსებული იყო

ზურგზე, გაშოტილი, ხელებმოკეცილი, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. უინვენტარო [Бжания, 1991: 18-19].

სამარხი №51. სიღრმე – 0,55 მ. ადამიანის თავის ქალა პირქვე დაყენებული ძლიერ ფრაგმენტირებული კერამიკული ჭურჭლის ქვეშ იყო მოქცეული.

სამარხი №52. სიღრმე – 0,6 მ. წრიული ფორმის. დიამეტრი – 1 მ. სამარხის სამხრეთ ნაწილში 2 თავის ქალა იყო მოთავსებული. მათგან მოცილებით ძლიერ ფრაგმენტირებული ძვლები გაიწმინდა, რომელთა შორის ნახშირის კვალი შეიმჩნეოდა. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილი იყო ბრინჯაოს 4 ფიბულით, 6 საკიდით, ბრინჯაოს და მინის მძივებით [Бжания, 1991: 19].

სამარხი №53. სიღრმე – 0,55 მ. წრიული ფორმის. დიამეტრი – 0,6 მ. ძვლოვანი მასალა ერთ გროვად იყო კონცენტრირებული. უინვენტარო.

სამარხი №54. (ტაბ. X, 5) სიღრმე – 0,5 მ. სიგრძე – 1,9 მ. სიგანე – 0,6 მ. ქალის ჩონჩხი – ზურგზე, გაშოტილ პოზაში, ხელებმოკეცილი, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. კისრის არეში აღმოჩნდა 8 მინისა და 2 აქატის მძივი [Бжания, 1991: 19].

სამარხი №55. სიღრმე – 0,55 მ. სიგრძე – 0,8 მ. სიგანე – 0,5 მ. ოვალური მოყვანილობის. ძვლოვანი მასალა არეულ მდგომარეობაში. თავის ქალა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში იყო მოქცეული. უინვენტარო [Бжания, 1991: 19-20].

სამარხი №56. სიღრმე – 0,6 მ. სიგრძე – 0,4 მ, სიგანე – 0,3 მ. ადამიანის თავის ქალა პირქვე დაყენებული მცირე ზომის კერამიკული ჭურჭლის ქვეშ იყო მოქცეული. უინვენტარო.

სამარხი №57. (ტაბ. X, 6) სიღრმე – 0,55 მ. სიგრძე – 1,85 მ, სიგანე – 0,7 მ. წაგრძელებული ოვალის მოყვანილობის. ჩონჩხი მოთავსებული იყო ზურგზე, გაშოტილ პოზაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. მარჯვენა ხელი მოკეცილი და მენჯის არეში მოთავსებული ჰქონდა, ხოლო მარცხენა – ჩონჩხის გასწვრივ გაჭიმული. უინვენტარო.

სამარხი №58. დაზიანებული [Бжания, 1991: 20].

შუბარა

შუბარის მთიანი მასივი მდებარეობს სოხუმის მუნიციპალიტეტში. აქ, საგზაო სამუშაოებისას გვიანბრინჯაოს ეპოქის ორი სამარხი დაზიანდა. 1974 წელს აღნიშნულ სამარხებზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოებით, დაკრძალვის წესისა და სამარხთა ტიპების განსაზღვრა ვერ მოხერხდა. სამარხეული ინვენტარი შედგებოდა მცირე ზომის კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებისაგან, ბრინჯაოს 2 სატევრისაგან, ბრინჯაოს ჭურჭლისა და პინცეტისგან. მიმდებარე ტერიტორიაზე 4 თხრილი გაიჭრა, თუმცა სამაროვნის კვალი არ დაფიქსირებულა [Бжания, 1975: 452-453]. შუბარა გვიანბრინჯაოს ეპოქის პირველი სამაროვანია, რომელიც აფხაზეთის მთიანეთში გამოვლინდა.

სოხუმის მთა

სოხუმის მთა ქ. სოხუმს ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ეკვრის და წარმოადგენს მდ. ჰაქე-ფსისა და ბესლეთის წყალგამყოფ ქედს. მისი საერთო ფართობი დაახლოებით 1 კმ^2-ია. სოხუმის მთაზე შემთხვევით მიკვლეული ნივთებით პირველად ვ. ჩერნიავსკი დაინტერესდა, შემდეგ კი ლ. სოლოვიოვი. პირველი არქეოლოგიური გათხრები აქ 1951 წელს ჩატარდა ალ. კალანდაძის ხელმძღვანელობით.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას სოხუმის მთაზე მიკვლეული №1 კომპლექსი მიეკუთვნება. იგი ორმოსამარხს წარმოადგენდა, რომლის ინვენტარიც მიწის ზედაპირიდან 0,80 მ-ის სიღრმეზე იჩენდა თავს, შავად შეფერილ თიხნარის ფენაში [კალანდაძე, 1953: 24]. მიცვალებულის ძვლები საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში ყოფილა, თუმცა მ. თრაფშის ცნობით, რომელიც ამ სამარხს თხრიდა, მიცვალებულს თავით აღმოსავლეთისაკენ მიმართული, გაშოტილი, ზურგზე მწოლიარე პოზა ჰქონდა. სამარხეული ინვენტარი შედგებოდა 3 კოლხური ცულისაგან, ცალყურა დოქისაგან, კოჭობისა და ბრინჯაოს სამაჯურისაგან [კალანდაძე, 1953: 25]. აღნიშნული სამარხი ალ. კალანდაძემ ძვ.წ.

VIII-VII საუკუნეებით დაათარიღა, ხოლო დანარჩენი კომპლექსები ძვ.წ. V-II საუკუნეებს შორის პერიოდში მოაქცია.

ეშერა

სოფ. ეშერა მდებარეობს აფხაზეთში, სოხუმის მუნიციპალიტეტში, ქ. სოხუმიდან დასავლეთით 10 კმ-ის მანძილზე. 1930 წელს ზემო ეშერაში დოლმენთა ჯგუფი იქნა გამოვლენილი. ამავე დროს ქვემო ეშერაში სამი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხი აღმოჩნდა. მიცვალებულის ძვლები და სამარხეული ინვენტარი დიდი ზომის კერამიკულ ჭურჭელში იყო მოთავსებული, რომლებიც მიწის ზედაპირიდან 0,5 მ-ის სიღრმეზე იყვნენ პირქვე, ქვის ფილებზე დადგმული. სამივე სამარხი ერთმანეთისგან 15 მ-ით იყო დაშორებული. ძეგლის დაზიანების გამო, მხოლოდ ერთი ოსუარიუმის აღდგენა მოხერხდა, რომელშიც ორი მიცვალებულის ძვლოვანი მასალა ყოფილა შემონახული [Иващенко, 1935: 59].

პირველი ოსუარიუმი მონაცრისფრო-მოშავო თიხისაგან დაუმზადებიათ. ზედაპირი ქვიშანარევი ჰქონდა, რომელიც შავად იყო ნაპრიალები. ზედაპირზე დატანილი იყო ნაჭდევები, რომლებიც სამკუთხედის ფორმის ორნამენტს ქმნიდნენ. შიდაპირი პარალელური ხაზებით ყოფილა დაფარული, რაც მისი დამზადებისას ჩარხის გამოყენებაზე მიუთითებს [Иващенко, 1935: 63]. ოსუარიუმის სიმაღლე 1 მ-ს შეადგენდა, საშუალო სისქე – 1 სმ-ს. ყელის დიამეტრი – 40 სმ-ს, ძირის დიამეტრი – 25 სმ-ს; ყველაზე ფართო ნაწილში კი დიამეტრი 80-85 სმ-ს აღწევდა.

მეორე ოსუარიუმი მოწითალო-ყვითელი თიხისაგან იყო დამზადებული და მსხვილი ქვიშის დიდი ოდენობით მინარევს შეიცავდა. შიდაპირი გლუვი და მოწითალო ფერის, ხოლო ზედაპირი შავად ნაპრიალები ჰქონდა. ზედაპირზე დატანილი იყო დაშტრიხული და წიწვოვანი ორნამენტი. კერამიკული ჭურჭლის სისქე 0,5 სმ-ს აღწევდა. მისი ზომისა და ფორმის დადგენა, ფრაგმენტულობის გამო, ვერ მოხერხდა.

მესამე ოსუარიუმი მოყვითალო თიხისაგან დაუმზადებიათ. შიდაპირი გლუვი და მონაცრისფრო ფერის, ხოლო ზედაპირი შავად ნაპრიალები ჰქონდა, ზედ დატანილი ნაჭდევი ორნამენტით. კეცის სისქე შეადგენდა 0,5 სმ-ს.

კედლების სისქისა და კერამიკულ ფრაგმენტთა რაოდენობის მიხედვით, ჩანს, რომ პირველ ოსუარიუმთან მიმართებაში, დანარჩენი ორი შედარებით მომცრო ზომისანი იყვნენ [Иващенко, 1935: 64].

სოფ. ეშერას მახლობლად, ვერეშჩაგინის გორაზე, კიდევ ერთი ოსუარიუმი აღმოაჩინა ბ. კუფტინმა 1934 წელს. აღნიშნული ოსუარიუმი ადრე შესწავლილების მსგავსად, პირქვე, ქვის ფილაზე ყოფილა მოთავსებული. კერამიკული ჭურჭლის ქვედა ნაწილი, სახნავი მიწის ქვეშ იყო მოქცეული, რის გამოც დაზიანებულა. მას ოვალური მოყვანილობა ჰქონდა. სიმაღლე – 67,2 მ. ყელის დიამეტრი – 22 სმ. ძირის დიამეტრი – 24 სმ. კედლის სისქე არ აღემატებოდა 0,7-0,8 სმ-ს. კარგად არ ყოფილა გამომწვარი და საკმაოდ მყიფე იყო [Куфтин, 1949: 180-181]. სამარხეულ ინვენტარს შეადგენდა: ბრინჯაოს ცული, სატევრის პირი, ხატისუღელი, ბრინჯაოსა და რკინის შუბისპირები და 31 ერთეული ბრინჯაოს მძივი.

ყულანურხვა

აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე კოლხური კულტურის ძეგლებიდან უდავოდ გამოსარჩევია სოფ. ყულანურხვას მახლობლად მიკვლეული სამაროვანი, რომელიც გუდაუთის რაიონში მდებარეობს, ქ. გუდაუთას ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარეების გუდოუსა და დახუართას შორის მდებარე შემაღლებებზე. ერთ-ერთი ასეთი შემაღლების – აჯრას (აჭრა?) სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე, რომლის ფართობიც 1400 მ^2-ს შეადგენს, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს გლეხები ხშირად პოულობდნენ სხვადასხვა ბრინჯაოს ნივთებს.

აღნიშნულ ტერიტორიაზე 1948 და 1951-52 წლებში არქეოლოგიურ სამუშაოებს მ. თრაფში ახორციელებდა. ყველა გამოვლენილი სამარხი მარტივი

კონფიგურაციის ორმოსამარხს წარმოადგენდა და მიწის ზედაპირიდან არცთუ დიდ სიღრმეზე იყვნენ მოწყობილი, რაც აგრარული სამუშაოების დროს მათ დაზიანებას იწვევდა.

სამარხი №1 მამაკაცს ეკუთვნოდა (ტაბ. XI, 1). მისი სიღრმე ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან 30სმ-ს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან 20 სმ-ს შეადგენდა. სამარხის სიგანე 80სმ-ს, ხოლო სიგრძე 2 მეტრს აღწევდა. სამარხის ძირი დაფარული იყო ფხვნილის მსგავსი კირით. მიცვალებული ზურგზე განისვენებდა, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ზღვის მხარეს მიმართული. თავი ოდნავ აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა გადახრილი, ხოლო ხელები სხეულის გასწვრივ გაჭიმული. სამარხეული ინვენტარი დიდძალი ოდენობით შეიცავდა ბრინჯაოს სამკაულსა და პასტის მძივებს, ბრინჯაოს 5 ცულს, რომელთაგან ერთ-ერთის ყუას ძაღლის ფიგურა ამშვენებდა [Трапш, 1962: 14-17].

სამარხი №2, რომელიც ქალს ეკუთვნოდა, №1-საგან სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა. მისი ზომები იყო 1 X 1,7 მ-ზე. ორმო ზედაპირიდან 18 სმ-ის სიღრმეზე ყოფილა გაჭრილი. ძვლები საკმაოდ დაზიანებული და არეული იყო, რაც მიცვალებულის პოზის დადგენას შეუძლებელს ხდიდა. მრავლად აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთები მ. თრაფშს №1 სამარხთან სინქრონულობაზე მიანიშნებდა [Трапш, 1962: 17-19].

№3 სამარხი (ტაბ. XI, 2) ასევე ქალს ეკუთვნოდა და №1-საგან სამხრეთ-დასავლეთით 4 მეტრის მოცილებით იყო მოწყობილი. სამარხის სიღრმე ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან 30სმ-ს, ხოლო სამხ-აღმ-ის მხრიდან კი 18 სმ-ს შეადგენდა. ჩონჩხი ზურგზე, გაშოტილ მდგომარეობაში იყო მოთავსებული, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ზღვის მხარეს ორიენტირებული. თავის ქალა სამეურნეო სამუშაოების გამო გაჭყლეტილი ყოფილა. ხელები სხეულის გასწვრივ იყო გაშლილი. სამარხეული ინვენტარი ამ ორმოსამარხშიც მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა [Трапш, 1962: 19-21].

№4 სამარხი №1-სგან ჩრდ-აღმ-ით 32 მეტრის მანძილზე მდებარეობდა. ორმოში, რომელიც ზედაპირიდან 15 სმ-ის სიღრმეზე იყო გაჭრილი, მხოლოდ ცხენი აღმოჩნდა დამარხული, მისთვის დამახასიათებელი სპეციალური აღკაზმულობით, მ. თრაფშის შეხედულებით, სკვითური ნიშნების მატარებელია.

ადამიანის ძვლები ამ სამარხში არ აღმოჩენილა. ცხენის კისრის ძვლებთან მიმოფნატული იყო კერამიკული ფრაგმენტები [Трапш, 1962: 21-23].

№5 მამაკაცის სამარხი №2 სამარხიდან ჩრდილოეთით 7 მ-ში იყო გაჭრილი და მისი ზომები იყო 1 X 2 მ-ზე. მიცვალებული ესვენა ორმოს ძირზე, ზურგზე გაშოტილი და თავით ზღვის მხარეს, სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოქცეული. ოსტეოლოგიური მასალა ძალიან ცუდად იყო დაცული. ინვენტარი, მ. თრაფშის მიხედვით, სკვითური წარმოშობის მასალისაგან შედგებოდა [Трапш, 1962: 23-25].

სამარხი №6 №5-საგან სამხრეთ-აღმოსავლეთით 25 მეტრში მდებარეობდა. ზედაპირიდან 15 სმ-ის სიღრმეზე. (ზომა 1,5 X 2 მ-ზე). ძვლები აქაც ცუდად ყოფილა დაცული, რაც მიცვალებულის სქესის დადგენას შეუძლებელს ხდიდა.

სამარხი №7 №6-ის გვერდით მდებარეობდა, ზედაპირიდან 25 სმ-ის სიღრმეზე. მიცვალებული ზურგზე გაშოტილი დაუკრძალავთ [Трапш, 1962: 25].

№8 სამარხი №7-საგან სამხრეთით 6 მეტრში აღმოჩნდა, ზედაპირიდან 15სმ-ის სიღრმეზე. მისი ზომები იყო 2 X 2 მ-ზე. სამარხი იმდენად იყო დაზიანებული, რომ მიცვალებულის პოზისა და სქესის დადგენა შეუძლებელი გამხდარა. მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით 15 მეტრში №9 სამარხი გაითხარა, მიწის ზედაპირიდან 25-30 სმ-ის სიღრმეზე. ძვლები აქაც დაზიანებული აღმოჩნდა. ინვენტარიდან გამოსარჩევია რკინის 2 დანა, რომლებიც მიცვალებულის მარცხენა ხელთან ეწყო [Трапш, 1962: 26].

№10 სამარხში დადასტურებულია ადამიანისა და ცხენის ერთად დამარხვის ფაქტი. №11 და №12 სამარხები ასევე ძლიერ დაზიანებული აღმოჩნდა. მიცვალებულის პოზა მხოლო №12 სამარხში დადგინდა [Трапш, 1962: 27], კერძოდ გაშოტილი, ზურგზე მწოლიარე პოზა, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებით. №11 სამარხში აღმოჩენილი მასალა მ. თრაფშის აზრით, მსგავსებას ავლენს №№ 1, 2, 6, 7 სამარხებთან, რაც ამ კომპლექსთა შედარებით სინქრონულობაზე მიუთითებს.

როგორც ვხედავთ, ყულანურხვას სამაროვანი საკმაოდ საინტერესო კომპლექსთა ერთობლიობას წარმოადგენს. ყველაზე ადრეული სამარხები, რომლებიც კოლხური კულტურისთვის დამახასიათებელ ნივთებს შეიცავენ, მ. თრაფშის მიხედვით, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით, ხოლო სკვითური ელემენტების შემცველი კი ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით თარიღდება [Трапш, 1962]. ყველა

მიცვალებული ორმოსამარხშია დასვენებული, რომლებიც მოშავო ფერის თიხნარ ფენაში ყოფილან მოწყობილი.

წითელი შუქურა

დასახლება წითელი შუქურა სოხუმის დასავლეთ გარეუბანში მდებარეობს, ქალაქის ცენტრიდან დაახლოებით 5 კილომეტრის მოშორებით. აქ, 1956-1959 წლებში მიმდინარე არქეოლოგიურმა სამუშაოებმა დიდი სამაროვანი გამოავლინა, რომელიც მ. თრაფშმა შეისწავლა და 112 სამარხი ადრეული რკინის ხანით დაათარიღა, კერძოდ კი ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებით, ხოლო დანარჩენი ძვ.წ. V-II საუკუნეებით [Трапш, 1969: 82]. სამაროვანი მნიშვნელოვანწილად დაზიანებულა სხვადასხვა სახის სამუშაოებისა და მეორე მსოფლიო ომის დროს გაჭრილი თხრილების გამო. 1956-1959 წლებში სულ დაახლოებით 800 $მ^2$ ფართობი იქნა გათხრილი, რომელმაც აჩვენა, რომ სამაროვნის დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გავრცელების მიახლოებითი სიგრძე 200 მეტრი, ხოლო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ 30 მეტრი იყო.

სამარხი №1. მომრგვალო ოვალური ფორმის ორმოს წარმოადგენდა (190 X 80 სმ.) და მიწის ზედაპირიდან 1,2 მეტრის სიღრმეზე იყო გაჭრილი. სამარხის ფსკერი ზღვის წვრილი კენჭებით ყოფილა მოფენილი, რომელზეც მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული დაუკრძალავთ. სამარხეული ინვენტარი შედგებოდა შემდეგი ნივთებისაგან: 2 მძივი (სარდიონის და პასტის), ქილის ფორმის ქოთანი, რომელიც მიცვალების თავის ქალის სიახლოვეს იყო მოთავსებული; ფრაგმენტირებული რკინის ფიბულა, ბრინჯაოს ჯიხვის მინიატურული ქანდაკება და საკინძის თავი (ტაბ. XII, 1) [Трапш, 1969: 83].

სამარხი №2. ასევე მომრგვალო ოვალური ფორმის ორმოთი (2 X 0,8 მ.). მისი ფსკერიც, რომელიც მიწის ზედაპირიდან 1,90 მეტრის სიღრმეზე იყო გაჭრილი, ზღვის წვრილი კენჭებით ყოფილა დაფარული. მიცვალებული მოხრილ

მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული დაუსვენებიათ (ტაბ. XII, 2).

სამარხი №3. სიღრმე – 1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 2 მ, სიგანე – 0,8 მ. ძირზე ზღვის წვრილი კენჭებისაგან შემდგარი საგებით. მიცვალებული ზურგზე გაშოტილი, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული დაუკრძალავთ.

სამარხი №4. სიღრმე – 1,2 მ. მომრგვალო-ოვალური ფორმის. სიგრძე – 2 მ., სიგანე – 0,8 მ. ჩონჩხი მოკუნტულ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №5. სიღრმე – 1,1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. სამარხი წაგრძელებული ნაწილით სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე ყოფილა ორიენტირებული. ძირზე კენჭებისაგან შემდგარი საგებით. მიცვალებულის ჩონჩხი არ შემონახულა.

სამარხი №6. სიღრმე – 1,15 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,90 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ძირზე კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო დაცული.

სამარხი №7. სიღრმე – 1,20 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 2 მ, სიგანე – 1,15 მ. ძირზე ზღვის კენჭების საგებით. ჩონჩხის გარეშე.

სამარხი №8. № 7 სამარხის გვერდით. სამარხში მხოლოდ ცხენის თავის ქალა ყოფილა დაცული.

სამარხი №9. სიღრმე – 1,15 მ. ოვალური მოყვანილობის. სიგრძე – 2 მ, სიგანე – 0,8 მ. ზღვის წვრილი კენჭებისაგან მოწყობილი საგებით. მიცვალებული მოკუნტულ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული დაუკრძალავთ.

სამარხი №10. სიღრმე – 1,05 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,90 მ, სიგანე – 0,7 მ. ჩონჩხი მოთავსებული იყო მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მოქცეული. კისრის არეში ეკეთა ბრინჯაოს ხატისუღელი, რომელსაც ფრაგმენტების სახით მოუღწევია. წელის არეში ჩატანებული ჰქონდა სალესი ქვა და რკინის დანა (ტაბ. XII, 3) [Трапш, 1969: 91].

სამარხი №11. სიღრმე – 1,1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძეში – 2 მ, სიგანეში – 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭების საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №12(13). სიღრმე – 1 მ. ოვალური მოყვანილობის. სიგრძე – 2 მ, სიგანე – 0,8 მ. ზღვის კენჭნარის საგებით. ძლიერ ფრაგმენტირებული ჩონჩხი

მარჯვენა გვერდზე, მოკუნტული, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ იყო მიმართული.

სამარხი №13(14). სიღრმე – 1,07 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,95 მ. შემონახული ფრაგმენტების მიხედვით, ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოკუნტული, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული იყო მოთავსებული.

სამარხი №14(15). სიღრმე – 1,1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე - 1,8 მ, სიგანე – 0,7 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ შემონახულა.

სამარხი №15(16). სიღრმე – 1 მ. სიგრძე – 1,90 მ, სიგანე – 0,8 მ. ოვალური ფორმის. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭებისაგან მოწყობილი საგებით. ჩონჩხი არ იყო დაცული.

სამარხი №16(17). სიღრმე – 1,1 მ. ოვალური ფორმის ორმოთი. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე - 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ძირზე ზღვის წვრილი კენჭებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №17(19). სიღრმე – 1,15 მ. ოვალური მოყვანილობის ორმოთი. სიგრძეში 1,8 მ-ს, ხოლო სიგანეში 0,8 მ-ს აღწევდა. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ჩონჩხი მთლიანად იყო დაშლილი. სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოთავსებული ყოფილა ფრაგმენტირებული თიხის ქოთანი, ცენტრალურ ნაწილში, სამარხის ჩრდილოეთ კედელთან კი – ბრინჯაოს სამაჯური.

სამარხი №18(20). სიღრმე – 1,15 მ. ოვალური მოყვანილობის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭების საგებით. ჩონჩხი მთლიანად დაშლილი.

სამარხი №19(21). სიღრმე – 1,05 მ. ოვალური ფორმის. სიგრძეში – 1,8 მ, სიგანეში – 0,7 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ოსტეოლოგიური მასალა არ იყო შემონახული.

სამარხი №20(22). სიღრმე – 1,05 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე - 0,95 მ, სიგანე 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო დაცული. ინვენტარს მხოლოდ ბრინჯაოს ზარაკი შეადგენდა. აღნიშნული ნივთისა და სამარხის ზომების

გათვალისწინებით, მ. თრაფშმა სამარხი ბავშვის კუთვნილებად ჩათვალა [Трапш, 1969: 97].

სამარხი №21(23). სიღრმე – 1,05 მ. ოვალური მოყვანილობის ორმოთი. სიგრძეში – 1,90 მ, სიგანეში – 0,8 მ. ორიენტირებული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი, რომელსაც მრავალრიცხოვანი ინვენტარი ჰქონდა ჩატანებული, არ იყო შემონახული.

სამარხი №22(24). სიღრმე – 1,05 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,90 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭებისაგან შედგენილი საგებით. ჩონჩხი მთლიანად დაშლილი იყო.

სამარხი №23(25). სიღრმე – 1,05 მ. ოვალური მოყვანილობის. სიგრძე – 1,90 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო დაცული.

სამარხი №24(31). სიღრმე – 1,05 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,7 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. საგები შედგებოდა ზღვის წვრილი კენჭებისაგან. ოსტეოლოგიური მასალა მთლიანად იყო დაშლილი.

სამარხი №25(34). სიღრმე – 1 მ. ოვალური ფორმის ორმოთი. სიგრძე 1,8 მ-ს, სიგანე 0,7 მ-ს შეადგენდა. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხისაგან შემონახული იყო თავის ქალისა და ხელის ძვლის ფრაგმენტები, რომელთა მიხედვით მიცვალებული ჩრდილო-დასავლეთისაკენ ყოფილა ორიენტირებული [Трапш, 1969: 102].

სამარხი №26(35). სიღრმე – 1,1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,75 მ. ჩონჩხი ზურგზე გაშოტილი, ხელებით მენჯისაკენ გაშვერილი, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული იყო მოთავსებული.

სამარხი №27(36). სიღრმე – 1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,90 მ, სიგანე – 0,7 მ. კენჭნარის საგებით. ჩონჩხი – ზურგზე გაშოტილი, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ.

სამარხი №28(37). სიღრმე – 1,1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №29(38). სიღრმე – 1,1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე - 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ოსტეოლოგიური მასალა არ იყო დაცული.

სამარხი №30(39). სიღრმე – 1,05 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,7 მ. ზღვის კენჭებისაგან შემდგარი საგებით. ჩონჩხი მთლიანად დაშლილი.

სამარხი №31(44). სიღრმე – 1 მ. ოვალურ ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო დაცული.

სამარხი №32(45). სიღრმე – 1,10 მ. ოვალური მოყვანილობის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო დაცული.

სამარხი №33(46). სიღრმე – 1,1 მ. წრიული ფორმის. დიამეტრი – 0,70 მ. ჩონჩხის კვალი არ დაფიქსირდა [Трапш, 1969: 109].

სამარხი №33-ა(47). სიღრმე – 1,1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე -1,8 მ, სიგანე- 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭების საგებით. ძვლოვანი მასალა მთლიანად დაშლილი.

სამარხი №34(48). სიღრმე – 1 მ. ოვალური მოყვანილობის ორმოთი. სიგრძე – 1,90 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი მთლიანად დაშლილი.

სამარხი №35(51). სიღრმე – 1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძეში – 1,8 მ, სიგანეში – 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხის კვალი არ შეინიშნებოდა.

სამარხი №36(52). სიღრმე – 1,2 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო დაცული.

სამარხი №37(53). სიღრმე – 1,15 მ. ოვალური მოყვანილობის. სიგრძეში 1,8 მ-ს, სიგანეში 0,8 მ-ს აღწევდა. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი მთლიანად დაშლილი.

სამარხი №38(55). სიღრმე – 1,06 მ. ოვალური მოყვანილობის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული. სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კედელთან გაიწმინდა ვერცხლის ორი სასაფეთქლე ხვია, რომელთა მიხედვით მიცვალებული თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ

ორიენტირებული ყოფილა. ხვიების სამხრეთ-აღმოსავლეთით მოთავსებული იყო ქარვის მძივი და ქარვისავე საკიდები, გიშრის 10 მძივი, ბრინჯაოს 2 ფიბულა; სამარხის ცენტრალურ ნაწილში – რკინის ცული, ბრინჯაოს 2 სამაჯური, რკინის დანის ფრაგმენტი; სამარხის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში – 4 კერამიკული ჭურჭელი [Трапш, 1969: 112].

სამარხი №39(56). სიღრმე – 1,15 მ. ოვალური მოყვანილობის ორმოთი. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. ზღვის კენჭნარის საგებით. შემორჩენილი ძვლების მიხედვით, მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, მოხრილ პოზაში, თავით დასავლეთისაკენ მოქცევით მოუთავსებიათ.

სამარხი №40(57). სიღრმე – 1,15 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №41(59). სიღრმე – 1,2 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. ზღვის კენჭნარის საგებით. შემონახული ოსტეოლოგიური მასალის მიხედვით, მიცვალებული ზურგზე გაშოტილი, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიმართული დაუკრძალავთ.

სამარხი №42(60). სიღრმე – 1,1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ოსტეოლოგიური მასალა არ იყო დაცული.

სამარხი №42-ა(61). სიღრმე – 1,1 მ. წრიული ფორმის ორმოთი. დიამეტრი – 0,8 მ. ზღვის წვრილი კენჭებისაგან მოწყობილი საგებით. მიცვალებულის ჩონჩხისაგან მხოლოდ თავის ქალისა და ხერხემლის ფრაგმენტები ყოფილა შემონახული. სამარხის ცენტრში გაიწმინდა კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები [Трапш, 1969: 116].

სამარხი №43(62). სიღრმე – 1,18 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №44(63). სიღრმე – 1,3 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ –

ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო დაცული.

სამარხი №45(64). სიღრმე – 1,05 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ შემონახულა.

სამარხი №46(65). სიღრმე – 1,15 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭნარისაგან შემდგარი საგებით. ჩონჩხი მთლიანად დაშლილი.

სამარხი №47(66). ოსუარიუმი. სამარხის სიღრმე 1,3 მ-ს შეადგენდა, ხოლო დიამეტრი 0,9 მ-ს. მიცვალებულის ჩონჩხის ფრაგმენტირებული ნაშთები და ინვენტარი პირქვე დადგმულ მოზრდილ თიხის ჭურჭელში – ოსუარიუმში ყოფილა მოთავსებული. უორნამენტო ჭურჭელი მოწითალო-მონაცრისფრო ფერის იყო და საკმაოდ თხელი კედელი ჰქონდა.

სამარხი №48(67). ოსუარიუმი. ოსუარიუმი პირქვე მოთავსებული იყო ორმოში, რომლის სიღრმე – 1,2 მ-ს, ხოლო დიამეტრი 0,8 მ-ს შეადგენდა. ჭურჭელი, რომელშიც ადამიანის ძვლების ფრაგმენტები და სამარხეული ინვენტარი იყო, პრეპარაციისას დაიშალა და მისი აღდგენა ვერ მოხერხდა.

სამარხი №49(68). ოსუარიუმი. ორმო, რომელშიც ოსუარიუმი პირქვე იყო ჩადგმული, სიღრმეში 1,3 მ-ს, ხოლო დიამეტრში 0,9 მ-ს აღწევდა. ჭურჭელს მოწითალო-მონაცრისფრო შეფერილობა ჰქონდა; თხელკეციანი და უორნამენტო. საკმაოდ ცუდად გამომწვარი, რის გამოც პრეპარაციისას დაიშალა. ოსუარიუმში მოთავსებული იყო ადამიანის ფრაგმენტირებული ძვლები და სამარხეული ინვენტარი.

სამარხი №50(69). სიღრმე – 1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №51(70). სიღრმე – 1,15 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო დაცული.

სამარხი №52(74). სიღრმე – 1 მ. წრიული ფორმის ორმოთი. დიამეტრი – 0,7 მ. ზღვის წვრილი კენჭებისაგან შედგენილი საგებით. შემორჩენილი იყო თავს ქალისა და ხელის ძვლის ფრაგმენტები. სამარხეული ინვენტარი სამარხის ცენტრალურ ნაწილში იყო კონცენტრირებული [Трапш, 1969: 123-124].

სამარხი №52-ა(75). სიღრმე – 1,1 მ. წრიული ფორმის ორმო. დიამეტრი – 0,7 მ. ზღვის წვრილი კენჭების საგებით. დაცული იყო თავის ქალისა და თიხის ქოთნის ფრაგმენტები.

სამარხი №53(76). სიღრმე – 1 მ. წრიული მოყვანილობის ორმო. დიამეტრი – 0,7 მ. ზღვის წვრილი კენჭების საგებით. ჩონჩხი მთლიანად დაშლილი.

სამარხი №54(77). სიღრმე – 1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,90 მ, სიგანე – 0,70 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №54-ა(79). სიღრმე – 1,20 მ. წრიული ფორმის. დიამეტრი – 0,8 მ. ძირზე წვრილი კენჭებისაგან შედგენილი საგებით. ჩონჩხი არ იყო დაცული და სამარხში მხოლოდ კერამიკის ფრაგმენტები იქნა მიკვლეული.

სამარხი №55(80). ოსუარიუმი. ორმო, რომელში აღნიშნული ოსუარიუმი იყო მოთავსებული, სიგრძეში 1,30 მ-ს, ხოლო დიამეტრში 0,70 მ-ს აღწევდა. ორყურა ჭურჭელი მოწითალო-მონაცრისფრო, თხელკედლიანი და ოდნავ პირგადმოშლილი, პირქვე ყოფილა მოთავსებული. უინვენტარო ოსუარიუმში მხოლოდ ადამიანის ძვლების ძლიერ ფრაგმენტირებული ნაშთები იყო შემონახული.

სამარხი №56(84). სიღრმე – 1,1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,90 მ, სიგანე – 0,70 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №56-ა(85). სიღრმე – 1,1 მ. წრიული ფორმის ორმოთი. დიამეტრი შეადგენდა 0,70 მეტრს. საგებად ზღვის წვრილი კენჭები იყო გამოყენებული. სამარხში ოსტეოლოგიური მასალა და ინვენტარი არ დაფიქსირდა.

სამარხი №57(86). სიღრმე – 1,15 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,80 მ, სიგანე – 0,80 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო დაცული.

სამარხი №58(87). სიღრმე – 1,05 მ. ოვალური მოყვანილობის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ოსტეოლოგიური მასალა არ იყო შემონახული.

სამარხი №59(89). სიღრმე – 1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,80 მ, სიგანე – 0,70 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №60(90). სიღრმე – 1 მ. ოვალური ფორმის ორმოთი. სიგრძე – 1,80 მ, სიგანე – 0,75 მ. ორიენტირებული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო დაცული.

სამარხი №61(91). სიღრმე – 1,10 მ. ოვალური მოყვანილობის. სიგრძე – 1,90 მ, სიგანე – 0,80 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ძვლოვანი მასალა არ იყო შემონახული.

სამარხი №62(92). სიღრმე – 1,2 მ. ოვალური მოყვანილობის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. მოგრძო ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი მთლიანად დაშლილი.

სამარხი №63(93). ოსტეოლოგიური მასალა არ იყო დაცული.

სამარხი №64(94). ადამიანის ჩონჩხის კვალი არ დაფიქსირდა.

სამარხი №65(95). სიღრმე – 1,30 მ. ოვალური მოყვანილობის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭებისაგან მოწყობილი საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №66(97). სიღრმე – 1,05 მ. ოვალური მოყვანილობის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,7 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო დაცული.

სამარხი №66-ა(99). სიღრმე – 1,1 მ. წრიული ფორმის ორმოთი. დიამეტრი – 0,70 მ. ძირზე ზღვის წვრილი კენჭებისაგან მოწყობილი საგებით. შემორჩენილი იყო თავის ქალისა და ბარძაყის ძვლის ფრაგმენტები. დაკრძალვის წესის დადგენა ვერ მოხერხდა.

სამარხი №67(101). სიღრმე – 1,2 მ. ოვალური მოყვანილობის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-

აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №68(102). სიღრმე – 1,05 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №69(106). სიღრმე – 1,05 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. მოგრძო ნაწილით ორიენტირებული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ოსტეოლოგიური მასალა არ იყო დაცული.

სამარხი №70(107). სიღრმე – 1,3 მ. წრიული ფორმის სამარხის ორმოთი. დიამეტრი – 0,8 მ. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №71(108). სიღრმე – 1 მ. წრიული ფორმის. დიამეტრი – 0,8 მ. ზღვის წვრილი კენჭნარის საგებით. ჩონჩხი მთლიანად დაშლილი.

სამარხი №72(109). სიღრმე – 1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,7 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭნარის საგებით. ოსტეოლოგიური მასალა არ იყო შემონახული.

სამარხი №73(110). სიღრმე – 1 მ. წრიული ფორმის ორმოთი. დიამეტრი – 0,8 მ. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №74(111). სიღრმე – 1,2 მ. წრიული ფორმის ორმოთი. დიამეტრი – 0,8 მ. ზღვის კენჭნარის საგებით. უინვენტარო სამარხში ოსტეოლოგიური მასალა არ იყო დაცული.

სამარხი №75(112). სიღრმე – 1,4 მ. წრიული ფორმის. დიამეტრი – 0,8 მ. ზღვის წვრილი კენჭებისაგან შედგენილი საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №75-ა(114). სიღრმე – 1,1 მ. წრიული ფორმის. დიამეტრი – 0,7 მ. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი მთლიანად დაშლილი.

სამარხი №75-ბ(115). სიღრმე – 1,15 მ. წრიული ფორმის ორმოთი. დიამეტრი – 0,8 მ. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №76(118). სიღრმე – 1,2 მ. წრიული მოყვანილობის. დიამეტრი – 0,8 მ. ზღვის კენჭნარის საგებით. ძვლოვანი მასალა არ იყო დაცული.

სამარხი №76-ა(120). სიღრმე – 1,1 მ. წრიული ფორმის ორმოთი. დიამეტრი – 0,7 მ. ზღვის კენჭნარისაგან მოწყობილი საგებით. ჩონჩხი მთლიანად დაშლილი.

სამარხი №77(123). სიღრმე – 1 მ. წრიული ფორმის. დიამეტრი – 0,7 მ. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №78(124). სიღრმე – 1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,7 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭებისაგან მოწყობილი საგებით. ჩონჩხი არ იყო დაცული.

სამარხი №79(125). ოსუარიუმი. სამარხის ორმო, რომელშიც აღნიშნული დასაკრძალავი კერამიკული ჭურჭელი იყო მოთავსებული, სიღრმეში 1,3 მ-ს, ხოლო დიამტრში 0,9 მ-ს აღწევდა. ორნამენტირებული ოსუარიუმი, ზღვის წვრილი კენჭებისაგან მოწყობილ საგებზე პირქვე იყო მოთავსებული. სამარხი უინვენტარო აღმოჩნდა და მასში მხოლოდ ადამიანის თავის ქალისა და ხელის ძვლების ფრაგმენტები იყო მოთავსებული. მისგან სამხრეთით ასევე პირქვე დაყენებული მცირე ზომის თიხის ქოთანი იყო ჩადგმული [Трапш, 1969: 136-137].

სამარხი №80(126). სიღრმე – 1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,7 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №81(127). სიღრმე – 1,2 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭნარის საგებით. ჩონჩხი მთლიანად იყო დაშლილი.

სამარხი №82(128). სიღრმე – 1,2 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. ჩონჩხი, რომელიც თითქმის მთლიანად იყო დაშლილი, ზურგზე, გაშოტილ პოზაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიმართული ყოფილა მოთავსებული. თავის ქალასთან ჩატანებული ჰქონდა მუქი-მოწითალო ფერის უყურო ქოთანი, მარჯვენა ხელზე ბრინჯაოს ორი სამაჯური ეკეთა. სამარხის შუა ნაწილში, ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან მოთავსებული იყო ბრინჯაოს ისრისპირი, რკინის შუბისპირის ფრაგმენტი და რკინისავე დანა.

სამარხი №83(129). სიღრმე – 1,3 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №84(130). სიღრმე – 1,3 მ. ოვალური ფორმის ორმოთი. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-

დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭნარისაგან შედგენილი საგებით. ჩონჩხი არ იყო დაცული.

სამარხი №85(131). სიღრმე – 1,3 მ. ოვალური მოყვანილობის სამარხის ორმოთი. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი, რომლისაგანაც თითქმის არაფერი იყო შემონახული, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ყოფილა ორიენტირებული.

სამარხი №86(132). სიღრმე – 1,15 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭნარის საგებით. ჩონჩხი მთლიანად დაშლილი იყო.

სამარხი №87(133). სიღრმე – 1,05 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,7 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №88(134). სიღრმე – 1,3 მ. ოვალური მოყვანილობის ორმოთი. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №89(135). სიღრმე – 1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. ზღვის კენჭნარის საგებით. ოსტეოლოგიური მასალა ძლიერ დაშლილი იყო, რომელთა მიხედვით, მიცვალებული ზურგზე, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიმართული იყო მოთავსებული.

სამარხი №90(136). ოსუარიუმი. ორმო, რომელშიც ოსუარიუმი პირქვე იყო მოთავსებული, სიღრმეში 1,3 მ-ს, ხოლო სიგანეში 0,9 მ-ს შეადგენდა. ჭურჭელი მონაცრსფრო-მოწითალო შეფერილობისა იყო, თხელკეციანი(სისქე - 8 მმ), ბრტყელი ძირით. შემონახული ნაწილის სიმაღლე – 60 სმ, მუცლის დიამეტრი – 40-45 სმ, ძირის დიამეტრი – 14 სმ. შემონახული იყო ადამიანის ძვლის ფრაგმენტები და სამარხეული ინვენტარი: თიხის სასმისი, ბრინჯაოს დაზიანებული ცული და შუბისპირი, რკინის ნივთის ფრაგმენტი და ბრინჯაოს ლულოვანი სპირალი [Трапш, 1969: 141].

სამარხი №91(137). სიღრმე – 1,3 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. ზღვის კენჭნარის საგებით. ოსტეოლოგიური მასალა ძლიერ

ფრაგმენტირებული იყო. მიცვალებული ზურგზე, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ყოფილა მოთავსებული.

სამარხი №92(138). ოსუარიუმი. სამარხის ორმოს სიღრმე – 1,3 მ, დიამეტრი – 0,9 მ. მონაცრიდფრო-მოწითალო ფერის ორნამენტირებული ოსუარიუმი პირქვე იყო ჩადგმული. შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე – 80 სმ, პირის დიამეტრი – 22 სმ, მუცლის დიამეტრი – 60 სმ. შემონახული იყო ადამიანის ფრაგმენტირებული თავის ქალა და ბრინჯაოს ორი პინცეტი [Трапш, 1969: 143].

სამარხი №93(139). სიღრმე – 1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,7 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭებისაგან მოწყობილი საგებით. ჩონჩხი არ იყო დაცული.

სამარხი №94(140). ოსუარიუმი. ორმო, რომელშიც აღნიშნული ჭურჭელი იყო ჩადგმული, სიღრმეში 1,3 მ-ს აღწევდა. ორნამენტირებული ოსუარიუმი პირქვე იყო მოთავსებული. იგი რუხად გამომწვარი თიხისაგან დაუმზადებიათ, აკლდა პირი და ყელი; ჰქონდა გამობერილი კორპუსი, ყელისკენ და ძირისკენ მკვეთრად დავიწროვებული; ბრტყელი ძირით; ამკობდა ამოკაწრული ორნამენტი – ყელს ქვემოთ მხარზე შემოუყვებოდა დაშტრიხული სამკუთხედებითა და ტეხილი ხაზებით შედგენილი სარტყლები. მონაცრისფრო შეფერილობის, ცუდად გამომწვარი. შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე – 60 სმ, მუცლის დიამეტრი – 50 სმ, ძირის დიამეტრი – 20 სმ. კედლების სისქე – 5 მმ. მიცვალებულის ძვლის ფრაგმენტების გარდა, სამარხში შემდეგი ინვენტარი იქნა მიკვლეული: ბრინჯაოს ფირფიტოვანი ორკაპა, შუბისპირი და ცული, ზედ დატანილი გრავირებული ორნამენტით (ტაბ. XII, 4) [Трапш, 1969: 144].

სამარხი №95(141). სიღრმე – 1 მ. წრიული ფორმის. დიამეტრი – 0,7 მ. ზღვის კენჭნარის საგებით. ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №96(142). სიღრმე – 1,2 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭებისაგან მოწყობილი საგებით. ოსტეოლოგიური მასალა არ იყო დაცული.

სამარხი №97(143). სიღრმე – 1,2 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭებისაგან შედგენილი საგებით. უინვენტარო სამარხში ჩონჩხი არ იყო შემონახული.

სამარხი №98(144). სიღრმე – 1,2 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. მოგრძო ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის კენჭებისაგან მოწყობილი საგებით. ჩონჩხი არ იყო დაცული.

სამარხი №99(145). სიღრმე – 1,3 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭებისაგან მოწყობილი საგებით. ჩონჩხი მთლიანად იყო დაშლილი.

სამარხი №100(146). სიღრმე – 1 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,7 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭებისაგან მოწყობილი საგებით. ჩონჩხი არ იყო დაცული.

სამარხი №101(147). სიღრმე –1 მ. ოვალური მოყვანილობის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,7 მ. ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭებისაგან მოწყობილი საგებით. ჩონჩხი მთლიანად იყო დაშლილი.

სამარხი №102(148). სიღრმე – 1,3 მ. ოვალური ფორმის. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭებისაგან შემდგარი საგებით. ჩონჩხი არ იყო დაცული.

სამარხი №103(151). სიღრმე –1,2 მ. ოვალური ფორმის ორმოთი. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. ზღვის წვრილი კენჭებისაგან მოწყობილი საგებით. ძვლოვანი მასალა არ იყო შემონახული.

სამარხი №104(152). სიღრმე – 1,2 მ. სამარხ ორმოს ოვალური ფორმა ჰქონდა. სიგრძეში 1,9 მ-ს, ხოლო სიგანეში 0,8 მ-ს აღწევდა. მოგრძო ნაწილით ორიენტირებული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. საგებად ზღვის წვრილი კენჭები იყო გამოყენებული. ჩონჩხი მთლიანად დაშლილი ყოფილა, რომელსაც ჩატანებული ჰქონდა შემდეგი ინვენტარი: სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოთავსებული ბრინჯაოს და რკინის შუბისპირები, ბრინჯაოს ხატისუღელი; სამარხის შუა ნაწილში – ბრინჯაოს სარტყელი და ბალთა.

წითელი შუქურას სამაროვანზე გამოვლენილი სამარხები, რომლებიც მ. თრაფშმა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას მიაკუთვნა მოწყობითა და დამარხვის წესით 3 ტიპად იყოფა:

1. ოვალური ფორმის ორმოსამარხები, რომელთა ძირიც კენჭოვანი ფენითაა დაფარული. მათში მიცვალებული გაშოტილ ან მოხრილ მდგომარეობაში იკრძალებოდა და თავით უპირატესად ჩრდილო-დასავლეთისაკენ იყო ორიენტირებული. სამარხის ეს ტიპი აღნიშნულ სამაროვანზე დომინანტურია.
2. წრიული, ჭის ფორმის ორმოსამარხები, რომელთა ძირიც ასევე კენჭოვანი შრისაა. ამ სამარხებში მ. თრაფში მეორადი დაკრძალვის რიტუალს ვარაუდობს. სამარხის აღნიშნული ტიპი სამაროვანზე 19 სამარხითაა წარმოდგენილი.
3. მესამე ტიპის სამარხებად გამოიყოფა დიდი ზომის თიხის ჭურჭელი (ოსუარიუმი) მეორადი დაკრძალვის რიტუალით. წითელ შუქურაზე სულ 8 ასეთი სამარხია გამოვლენილი, რაც გვიანბრინჯაო–ადრეული რკინის ხანის სამაროვნის მხოლოდ 7,5%-ს შეადგენს.

გუადიხუ

გუადიხუ სოხუმის მთის მეზობლად მდებარე შემაღლებას ეწოდება, რომლის ჩრდილოეთი ფერდობის შესწავლა მ. თრაფშის ხელმძღვანელობით 1952 წელს დაიწყო, ხოლო 1953-1954 წლებში სამუშაოები სამხრეთ ფერდობზე გაგრძელდა. არქეოლოგიურმა გათხრებმა საერთო ჯამში 900მ^2 ფართობი მოიცვა, რომელზეც 91 სამარხი იქნა გამოვლენილი. ქრონოლოგიური თვალსაზრისით ადრეულ ჯგუფს მ. თრაფშმა 32 სამარხი მიაკუთვნა, რომელთა ასაკიც ძეგლის გამთხრელმა ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებს შორის პერიოდში

მოაქცია, ხოლო დანარჩენი 59 სამარხი გვიანი პერიოდით, ძვ.წ. V-II საუკუნეებით დაათარიღა [Трапш, 1969: 19].

სამაროვნის მ. თრაფშის მიერ შემოთავაზებულ დათარიღებას მეცნიერთა ნაწილი არ იზიარებს და გუადიხუს უფროსი ასაკის სამარხებს შედარებით უფრო ახალგაზრდა ძეგლებად მიიჩნევს [ბარამიძე, 1977: 65].

სამარხი №1(4). სამარხის ორმო მიწის ზედაპირიდან 0,50 მეტრის სიღრმეზე იყო გაჭრილი და ოთხკუთხა ფორმის, კუთხეებმომრგვალებულ ორმოსამარხს წარმოადგენდა, რომლის წაგრძელებული ნაწილი აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე მდებარეობდა. ნაყარი მიწა დიდი ოდენობით ნახშირსა და ნაცარს შეიცავდა. სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მოთავსებული იყო რკინის ცული; შუა ნაწილში, ჩრდილოეთ კედელთან გაიწმინდა კერამიკის ფრაგმენტები; ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში კი რკინის სამი შუბისპირი. მიცვალებულს, მ. თრაფშის აზრით, ნაწილობრივი კრემაცია ჰქონდა ჩატარებული [Трапш, 1969: 20].

სამარხი №2(5). სიღრმე – 0,5 მ. ოთხკუთხა მოყვანილობის ორმოთი. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 0,9 მ. ორიენტირებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. სამარხის შევსებაში დაფიქსირდა ნახშრისა და ნაცრის კვალი. მიცვალებულის ფრაგმენტირებულ ძვლებს ეტყობოდათ ცეცხლის კვალი.

სამარხი №3(6). სიღრმე – 0,5 მ. წრიული მოყვანილობის ორმოთი. დიამეტრი – 0,55 მ. სამარხში დაფიქსირებულ ძვლების გროვას ეტყობოდა ცეცხლის კვალი. მათ შორის კონცენტრირებული იყო ნახშირი და ნაცარი. ოსტეოლოგიურ მასალაში არეული იყო შემდეგი ინვენტარი: ბრინჯაოს ფიბულა, ზარაკი, ძეწკვი და კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები [Трапш, 1969: 24].

სამარხი №4(7). სიღრმე – 0,5 მ. წრიული მოყვანილობის. დიამეტრი – 0,4 მ. ოსტეოლოგიური მასალის ნაშთები ნახშირსა და ნაცარში იყო არეული. მათზე ზემოდან სამარხეული ინვენტარი იყო მოთავსებული [Трапш, 1969: 24].

სამარხი №5(8). სიღრმე – 0,6 მ. წრიული ფორმის. დიამეტრი – 0,6 მ. ძლიერ ფრაგმენტირებულ ძვლებს ცეცხლის კვალი ეტყობოდათ. დაფიქსირდა დიდი ოდენობით ნახშირი და ნაცარი.

სამარხი №6(9). სიღრმე – 0,5 მ. წრიული ფორმის ორმოთი. დიამეტრი – 0,6 მ. ძვლის ნაშთები ერთად იყო კონცენტრირებული. მათ შორის, ნახშირსა და ნაცართან ერთად, სამარხეული ინვენტარი გაიწმინდა, რომელიც შედგებოდა

ბრინჯაოს ორი ფრაგმენტირებული სამაჯურისა და ფიბულისაგან [Трапш, 1969: 24].

სამარხი №7(10). სიღრმე – 0,6 მ. ოთხკუთხა ფორმის ორმოთი. სიგრძე - 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული იყო აღმოსავლეთ – დასავლეთის ხაზზე. ორმოს შევსებაში დიდი ოდენობით ნახშირისა და ნაცრის კვალი დაფიქსირდა. მიცვალებულის ძვლებს ცეცხლის კვალი ეტყობოდათ [Трапш, 1969: 25].

სამარხი №8(11). სიღრმე – 0,5 მ. მომრგვალებულკუთხეებიანი ოთხკუთხა ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. შევსებაში დაფიქსირდა ნახშირი და ნაცარი. ჩონჩხის ძვლებს ცეცხლის ზემოქმედების კვალი ეტყობოდათ. მიცვალებული ზურგზე, გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ ორიენტირებული იყო. თავის ქალის ჩრდილოეთით, სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მოთავსებული იყო რკინის ცული და თიხის ქილა; კისრის მიდამოებში – გიშრისა და მინის მძივები, მკერდის არეში – ბრინჯაოს ბალთები. მიცვალებულს მარცხენა ხელზე ბრინჯაოს სამაჯური, ხოლო ამავე ხელის ნეკა თითის ფალანგზე ბრინჯაოს ფირფიტოვანი ფეჭედი ჰქონდა გაკეთებული. წელთან მოთავსებული ჰქონდა რკინის აკინაკი და ბრინჯაოს ძეწკვი. მარცხენა ხელი სიახლოვეს გაიწმინდა რკინის დანა და სალესი ქვა. ფეხებთან, სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში რკინის ორი შუბისპირი დაფიქსირდა (ტაბ. XIII, 1) [Трапш, 1969: 19]

სამარხი №9(12). სიღრმე – 0,65 მ. ოთხკუთხა მოყვანილობის. სიგრძე – 2 მ, სიგანე – 0,8 მ. ორმოს შევსებაში ბლომად ნახშირი და ნაცარი დაფიქსირდა. ჩონჩხი, რომელსაც ცეცხლის ძლიერი კვალი ეტყობოდა, ზურგზე, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული [Трапш, 1969: 19].

სამარხი №10(13). სიღრმე – 0,65 მ. ოთხკუთხა მოყვანილობის ორმოთი. მის შევსებაში ბლომად ნახშირი და ნაცარი შეინიშნებოდა. ჩონჩხი თითქმის მთლიანად იყო დაშლილი და მის ფრაგმენტებს ცეცხლის ზემოქმედების კვალი ეტყობოდათ.

სამარხი №11(14). სიღრმე – 0,6 მ. ოთხკუთხა ფორმის. სამარხის ორმოს შევსებაში შეინიშნებოდა ნახშირისა და ნაცრის კვალი. ცეცხლის მოქმდების კვალი ეტყობოდათ მიცვალებულის ძვლებს. ჩონჩხი ზურგზე, გაშოტილ პოზაში, თავით დასავლეთისაკენ ორიენტირებული დაფიქსირდა. თავის ქალის სიახლოვეს, ჩრდილოეთით მოთავსებული იყო რკინის შუბისპირი, კისრის არეში

– ბრინჯაოს ხატისუღელი, ბრინჯაოს 5 და გიშრის 2 მძივი. მიცვალებულს მარცხენა ხელზე ბრინჯაოს სამაჯური ჰქონდა გაკეთებული. სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები გაიწმინდა. (ტაბ. XIII, 2) [Трапш, 1969: 31-32].

სამარხი №12(15). სიღრმე – 0,65 მ. ოთხკუთხა ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული აღმოსავლეთ – დასავლეთის ხაზზე. ჩონჩხი, რომელსაც ცეცხლის ზემოქმედების კვალი ეტყობოდა, თითქმის მთლიანად იყო დაშლილი.

სამარხი №13(55). სიღრმე – 0,60 მ. ოთხკუთხა მოყვანილობის ორმოთი. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. მოგრძო ნაწილით ორიენტირებული იყო აღმოსავლეთ – დასავლეთის ხაზზე. ორმოს შევსებაში დიდი ოდენობით ნახშირი და ნაცარი დაფიქსირდა. ჩონჩხი მთლიანად იყო დაშლილი.

სამარხი №14(56). სიღრმე – 0,5 მ. წრიული ფორმის. დიამეტრი – 0,7 მ. ძლიერ ფრაგმენტირებული ოსტეოლოგიური მასალა, ნახშირსა და ნაცართან ერთად იყო კონცენტრირებული. მათ შორის მოთავსებული იყო შემდეგი ინვენტარი: ბრინჯაოს ფიბულა და 2 სამაჯური, რკინის სამაჯური ფრაგმენტი, ბრინჯაოს ფრაგმენტირებული ბეჭედი [Трапш, 1969: 33-34].

სამარხი №15(57). სიღრმე – 0,55 მ. წრიული ფორმის. დიამეტრი – 0,6 მ. ადამიანის ძლიერ დაშლილი ძვლები ნახშირთან და ნაცართან ერთად იყო შეჯგუფებული. მათზე ზემოდან ბრინჯაოს სამაჯური იყო მოთავსებული [Трапш, 1969: 34].

სამარხი №16(58). სიღრმე – 0,5 მ. წრიული ფორმის ორმოთი. დიამეტრი – 0,6 მ. მიცვალებულის დამწვარი ძვლის ფრაგმენტები ერთად იყო კონცენტრირებული, ნახშირსა და ნაცარს შორის. მათზე ზემოდან თიხის ქილა და ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტი იყო მოთავსებული [Трапш, 1969: 35].

სამარხი №17(59). სიღრმე – 0,6 მ. წრიული ფორმის. დიამეტრი – 0,7 მ. ძვლები, რომელთაც ცეცხლის ზემოქმედების კვალი ეტყობოდათ, ნახშირსა და ნაცარში იყო არეული. მათზე მოთავსებული იყო თიხის ორი პატარა დოქი და ბრინჯაოს სამაჯური, რომელსაც ცეცხლში ყოფნის კვალი ემჩნეოდა [Трапш, 1969: 35].

სამარხი №18(60). სიღრმე – 0,4 მ. სამარხს წრიული მოყვანილობა ჰქონდა. დიამეტრი – 0,6 მ. ცეცხლის ზემოქმედების ქვეშ ნამყოფი ძლიერ ფრაგმენტირებული ძვლები, ნაცარსა და ნახშირთან ერთად, ერთ გროვად იყო

შეჯგუფებული. მათზე ზემოდან მოუთავსებიათ ბრინჯაოს 3 სამაჯური, ფიბულა და თიხის ქოთანი, რომლისგანაც მხოლოდ პირი იყო შემორჩენილი [Трапш, 1969: 35].

სამარხი №19(61). სიღრმე – 0,4 მ. ოთხკუთხა მოყვანილობის ორმოთი. სიგრძე – 2 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული აღმოსავლეთ – დასავლეთის ხაზზე. შევსებაში დაფიქსირდა ნახშირისა და ნაცრის კვალი. ჩონჩხი თითქმის მთლიანად იყო დაშლილი და მის ფრაგმენტებს ცეცხლის კვალი ეტყობოდათ.

სამარხი №20(65). სიღრმე – 0,4 მ. წრიული მოყვანილობის. დიამეტრი – 0,6 მ. სამარხში მოთავსებულ ოსტეოლოგიურ მასალას ცეცხლის კვალი ეტყობოდა. დაფიქსირდა ნახშირისა და ნაცრის კვალი [Трапш, 1969: 36].

სამარხი №21(68). სიღრმე – 0,43 მ. წრიული ფორმის. დიამეტრი – 0,6 მ. სამარხში გაიწმინდა ორი ათეული ძვლის დამწვარი ფრაგმენტი ნახშირსა და ნაცართან ერთად. მათზე ზემოდან მოთავსებული იყო: თიხის სასმისი, ბრინჯაოს კონუსური ფორმის ზარაკი და 15 პასტის მძივი (ტაბ. XIII, 3) [Трапш, 1969: 37].

სამარხი №22(69). სიღრმე – 0,5 მ. წრიული მოყვანილობის. მიცვალებულის ძვლები ძლიერ ფრაგმენტირებული და ნახშირსა და ნაცარში არეული.

სამარხი №23(70). სიღრმე – 0,45 მ. სამარხ ორმოს წრიული ფორმა ჰქონდა. დიამეტრი – 0,7 მ. ძვლებზე, რომლის ფრაგმენტებიც ნახშირსა და ნაცარში იყო არეული, ზემოდან მოთავსებული იყო: ბრინჯაოს ხატისუღელი, 2 ბალთა, ზარაკი, ბეჭედი, სამაჯურის ფრაგმენტი, რკინის 3 შუბისპირი და დანა. (ტაბ. XIII, 4) [Трапш, 1969: 38-39].

სამარხი №24(71). სიღრმე – 0,45-0,50 მ. მომრგვალებულკუთხეებიანი ოთხკუთხა ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. სამარხის ორმოს შევსებაში დაფიქსირდა ნახშირისა და ნაცრის კვალი. ჩონჩხი ფრაგმენტირებული იყო და ცეცხლის ზემოქმედების ნიშნები ეტყობოდა. მიცვალებული ზურგზე, გაშოტილ პოზაში, თავით დასავლეთისაკენ მოუთავსებიათ (ტაბ. XIV, 1) [Трапш, 1969: 39].

სამარხი №25(72). ოთხკუთხა ფორმის. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. შევსებაში ნახშირითა და ნაცრით. ჩონჩხი ზურგზე, გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ იყო დასვენებული და ეტყობოდა ცეცხლის კვალი.

სამარხი №26(73). სამარხ ორმოს ოთხკუთხა მოყვანილობა ჰქონდა. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული იყო

აღმოსავლეთ – დასავლეთის ხაზზე. ორმო შევსებული ყოფილა ბლომად ნახშირითა და ნაცრით. მიცვალებულის ძვლები მთლიანად იყო დაშლილი.

სამარხი №27(75). სიღრმე – 0,5 მ. წრიული მოყვანილობის. დიამეტრი – 0,4 მ. მცირე ოდენობის ოსტეოლოგიური მასალა ნახშირსა და ნაცარში იყო არეული [Трапш, 1969: 43].

სამარხი №28(76). სიღრმე – 0,5 მ. წრიული ფორმის ორმოთი. დიამეტრი – 0,5 მ. ძვლები ნაცარში და ნახშირში იყო არეული. მათზე ზემოდან თიხის ქოთანი და ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტები იყო მოთავსებული.

სამარხი №29(77). სიღრმე – 0,5 მ. მომრგვალებულკუთხეებიანი ოთხკუთხა ფორმის ორმოთი. სიგრძე – 1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული იყო აღმოსავლეთ – დასავლეთის ხაზზე. ჩონჩხს, რომელსაც ცეცხლის ძლიერი ზემოქმედების კვალი ეტყობოდა, ზურგზე, გაშოტილ პოზაში, თავით დასავლეთისაკენ ყოფილა მოთავსებული. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილი იყო რკინის შუბისპირით (სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში); ბრინჯაოს სამაჯუღით, რომელიც მიცვალებულს მარცხენა ხელზე ეკეთა; რკინის დანით, რომელიც მარცხენა ხელის სიახლოვეს გაიწმინდა; თიხის ქოთანი – სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში (ტაბ. XIV, 2) [Трапш, 1969: 43-44].

სამარხი №30(78). სიღრმე – 0,6 მ. ოთხკუთხა ფორმის. სიგრძე -1,9 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. სამარხის შევსებაში დიდი ოდენობით ნაცარი და ნახშირის კვალი დაფიქსირდა. ჩონჩხი მთლიანად დაშლილი იყო.

სამარხი №31(79). სიღრმე – 0,6 მ. ოთხკუთხა მოყვანილობის. სიგრძე -1,8 მ, სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული აღმოსავლეთ – დასავლეთის ხაზზე. სამარხში დიდი ოდენობით ნახშირი და ნაცარი გამოვლინდა. ჩონჩხი მთლიანად იყო დაშლილი.

სამარხი №32(80). სიღრმე – 0,55 მ. ორმოს მომრგვალებულკუთხეებიანი ოთხკუთხა ფორმა ჰქონდა. სიგრძეში 1,9 მ-ს, ხოლო სიგანეში 0,8 მ-ს აღწევდა. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. სამარხის შევსებაში ნახშირისა და ნაცრის კვალი გამოვლინდა. ჩონჩხი მთლიანად იყო დაშლილი. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მოთავსებული იყო თიხის ქოთანი და რკინის ცული; იქვე გაიწმინდა რკინის 2 შუბისპირი.

გუადიხუს სამაროვანზე მ. თრაფშის მიერ გამოყოფილ “უფროსი ასაკის” სამარხი კომპლექსები 2 ძირითად ტიპად შეიძლება დაიყოს:

1. წრიული ფორმის პატარა ორმოსამარხები, რომლებშიც მიცვალებულის ფრაგმენტირებულ ძვლებს ცეცხლის ზემოქმედების კვალი ეტყობოდათ. ეს ფაქტი მიცვალებულის სრულ კრემაციას შეიძლება მიანიშნებდეს.
2. მოგრძო ფორმის, კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხა ფორმის ორმოსამარხები, სადაც აგრეთვე ცეცხლის კვალი შეინიშნებოდა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ჩონჩხი დაცული იყო, რაც განსვენებულის ნაწილობრივი კრემაციით შეიძლება აიხსნას.

როგორც სამარხთა ზემოთ მოყვანილი აღწერილობიდან ჩანს, გუადიხუს სამაროვანზე მიკვლეული 32 სამარხიდან, ორივე ტიპი შედარებით თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი. პირველ ტიპს 15 სამარხი, ხოლო მეორეს 17 სამარხი განეკუთვნება. სხვადასხვა ტიპის სამარხები ჯგუფებად იყვნენ დაყოფილნი, რომელთა შორის მანძილი 4–30 მეტრს შორის მერყეობდა. თვითონ სამარხებს შორის დაშორება 0,5–1 მეტრს შეადგენდა [Трапш, 1969: 20]. მიუხედავად იმისა, რომ სამარხები ერთმანეთის სიახლოვეს იყვნენ გაჭრილი, ერთმანეთს არასდროს კვეთდნენ, რაც მათ შორის დროის მცირე მონაკვეთსა და შესაძლოა მიწისზედა კონსტრუქციებზე მიუთითებდეს, რომელთა კვალიც არ შემორჩენილა.

ჯანტუხი

ჯანტუხი (ჯანთოუ) მდებარეობს სოფელ აკარმარას სამხრეთ-აღმოსავლეთით 1 კმ-ის დაშორებით. მისი მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 700 მეტრია. დაფარულია ხეებითა და ბუჩქოვანი მცენარეებით. სხვადასხვა დროს შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალა იქცევდა მოსახლეობის ყურადღებას და მტაცებლურ გათხრებს აწარმოებდა. ამან სამაროვნის დიდი ნაწილის განადგურება გამოიწვია.

1982 წელს ჯანტუხის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე დაიწყო არქეოლოგიური გათხრები. დაზიანების გამო სამაროვნის საზღვრების დადგენა ვერ მოხერხდა. სამაროვანი 2 იარუსიანი ყოფილა, რომლის ქვედა იარუსიც ინჰუმაციური ორომოსამარხის, ხოლო ზედა კრემაციული ორმოს შემცველი იყო (ტაბ. XIV, 3) [Шамба, 1990: 7]. ძეგლის გამთხრელ გ. შამბას აზრით, სამაროვანი კოლექტიური უნდა ყოფილიყო, სადაც დასაკრძალავად გადაჰქონდათ ძვლები. მიცვალებულებს კრემაციას უკეთებდნენ ან ინჰუმაციური წესით კრძალავდნენ (თუმცა, არაა გამორიცხული, რომ უკანასკნელ შემთხვევაში მეორად დაკრძალვას ქონდა ადგილი) [სულავა, 2006: 47].

ინჰუმაციურ ორმოსამარხს მომრგვალო-ოვალური ფორმა ჰქონდა, რაც, ძეგლის გამთხრელის მოსაზრებით, მას წითელი შუქურის სამაროვნის I ტიპის სამარხებთან აახლოებს [Шамба, 1990: 8]. მისი ფართობი 1 $მ^2$ იყო. ოსტეოლოგიური მასალა სამარხში მხოლოდ ადამიანის 3 კბილითა და ფრინველის რამდენიმე ძვლით იყო წარმოდგენილი. სამარხეული ინვენტარის მიხედვით გ. შამბა ამ სამარხს ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით ათარიღებს [Шамба, 1990: 8].

ზედა იარუსზე, ინჰუმაციური ორმოსამარხის თავზე ძვ.წ. VII–VI სს-ის კრემაციული ორმო იყო მოწყობილი. ეს ორი კომპლექსი ერთმანეთისგან 10-15 სმის სისქის შრით იყო დაცილებული. კრემაციულ ორმოს ოვალური ფორმა ჰქონდა და მოგრძო ნაწილი სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ იყო მიმართული. კრემაციული ორმო თიხოვან-მერგელოვან ფენაში იყო ჩაჭრილი. მისი გვერდები რიყის და კირქვის ქვებით იყო შემოწყობილი. ორმოს სიგრძე 5 მეტრი, ხოლო სიღრმე 2,2 მეტრი იყო. ორმო ქვებით ყოფილა ამოვსებული, რომლებსაც ცეცხლში ყოფნის კვალი ეტყობოდათ. სწორედ ამიტომ ზოგიერთი მათგანი შეხებისთანავე იშლებოდა [Шамба, 1990: 11]. ქვებთან ერთად ოსტეოლოგიური მასალაც (ადამიანის, ფრინველის ძვლები) ქაოტურად იყო მიმოფანტული და არეული. ასეთივე მდგომარეობაში იყო სამარხეული ინვენტარიც. ორმოს ძირზე 5 სმ-ის სისქის კირქვის ფილა იყო მოთავსებული (0,6 X 1,30 მ.), რომლის გვერდებსაც დამუშავების კვალი ეტყობოდათ. გ. შამბას მოსაზრებით, იგი სამსხვერპლოს ფუნქციის მატარებელი იყო [Шамба, 1990: 11]. ფილის ქვეშ ნაწილობრივ დამწვარი და ფრაგმენტირებული ადამიანისა და ფრინველის ძვლები აღმოჩნდა.

მერხეული

აფხაზეთის გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანის ძეგლებიდან აღსანიშნავია მერხეულის პატარა სამაროვანი, რომელიც 1969 წელს იქნა მიკვეული შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო ჯგუფის მიერ. სამაროვანი განთავსებული იყო გულრიფშის რაიონში, მდ. მაჭარის მარცხენა ნაპირის პირველი ბორცვოვანი ზოლის ერთ-ერთ შემაღლებაზე, რომელიც სოფელ მერხეულის ცენტრიდან სამხრეთით, დაახლოებით 300 მეტრის მანძილითაა დაშორებული. ბორცვის სიმაღლე მდინარის დონიდან 60-70 მეტრს აღწევს. ბორცვის ოვალური ფორმის მოკავებულ თხემზე, რომლის ზომებია 150 X 50 მ-ზე, 3 კულტურული ფენა დაფიქსირდა.

სამაროვნის საერთო ფართობი დაახლოებით 40 $მ^2$-ს შეადგენდა. პირველი და მეორე ფენები სამეურნეო სამუშაოებს დაეზიანებინა.. უძრავ ფენაში და მის ზემოთაც მიცვალებულთა ჩონჩხის ფრაგმენტები და სამარხეული ინვენტარი უსისტემოდ იყო მიმოფანტული. ჩონჩხი ზოგიერთ შემთხვევაში ატარებდა ცეცხლში ყოფნის ნიშნებს, თუმცა სრულ დაწვას ადგილი არა ჰქონია, რაც ძეგლის გამთხრელს, მ. ბარამიძეს ძვლის ცეცხლში გატარების ფაქტის არსებობას ავარაუდებინებს. ამ მხრივ მერხეულის სამაროვანი ახლოს დგას პალურის საძვლესთან, სადაც მიცვალებულის მეორადი დაკრძალვის რიტუალში ცეცხლის მონაწილეობაც არის სავარაუდებელი. პალურის მსგავსად, მერხეულის სამაროვანზეც შეუძლებელი გამხდარა ერთი მიცვალებულის კუთვნილი ინვენტარის კი არა, ცალკეული ინდივიდის ძვლების გამოყოფაც კი. მიცვალებულთა ძვლების მსგავსი არეული განლაგება იმ ძეგლთათვისაა დამახასიათებელი, სადაც მკვლევრები მეორადი დაკრძალვის წესის არსებობას ვარაუდობენ.

მერხეულის სამაროვნის ინვენტარის ნაწილს აშკარა ცეცხლის კვალი ეტყობოდა, მაშინ როცა პალურის საძვლეზე მსგავსი რამ საერთოდ არ დასტურდება. ამ კუთხით მერხეული ახლოს დგას გუადიხუს სამაროვანთან, სადაც მეორე ჯგუფის სამარხ-ორმოებში დადასტურებულია მიცვალებულთა და მათი ინვენტარის სრული ან ნაწილობრივი კრემაცია.

მურხეულის სამაროვნის კრანიოლოგიური მასალების ცუდი მდგომარეობის გამო, შეუძლებელი იყო ანთროპოლოგიური კვლევის ჩატარება და მიცვალებულთა სქესის დადგენა. თუმცა სხვა ძეგლებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ აქაც ორივე სქესის დაკრძალვა ხდებოდა ამ წესით.

ფიჩორი

ძეგლი მდებარეობს აფხაზეთში, გალის რაიონის სოფ. ფიჩორთან. 1982 წელს აფხაზეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოვლენილი ნამოსახლარიდან დასავლეთით, 400 მეტრის დაშორებით, ერთი კოლექტიური სამარხი-ორმო შეისწავლა. ჰუმუსოვანი ფენის მოხსნის შემდეგ გამოიკვეთა ელიფსოიდური ფორმის ლაქა, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე იყო წაგრძელებული. მისი სიგრძე 5 მ-ს, ხოლო სიგანე 2,5 მ-ს აღწევდა. ორმოს გარშემო წრიული ქვებისგან შემდგარი წყობა შემოუყვებოდა. აღნიშნული კრომლეხის დიამტერი 10 მ-ს შეადგენდა. სამარხ-ორმოში დიდი ოდენობით ოსტეოლოგიური მასალა, ნაცარი და ინვენტარი დაფიქსირდა. ადამიანის ძვლებსა და ინვენტარულ მასალას ცეცხლის ძლიერი ზემოქმედების კვალი ეტყობოდათ, რაც მ. ბარამიძემ სამარხში კრემაციის წესის არსებობის მანიშნებლად მიიჩნია [Барамидзе, 1985: 43-44]. ოსტეოლოგიური მასალა და ინვენტარი ერთმანეთში ისე იყო არეული, რომ ცალკეულ კომპლექსებად გამოყოფა ვერ მოხერხდა.

კისტრიკი

კისტრიკი მდებარეობს აფხაზეთში, გუდაუთის მუნიციპალიტეტში. 1980 წელს კისტრიკის ნამოსახლარზე წარმოებული სამუშაოების დროს, ერთი

სამარხი იქნა გამოვლენილი. ის №25 თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, 30 სმ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხს წაგრძელებული ოვალის მოყვანილობა ჰქონდა. სიგრძე – 1 მ, სიგანე – 0,5 მ. მიცვალებულის ძვლები არ იყო შემორჩენილი. ინვენტარის მიხედვით, სამარხი მიწის ზედაპირიდან 6-70 სმ-ის სიღრმეზე უნდა ყოფილიყო გაჭრილი [Бжания, 1982: 12].

მუხურჩა

სოფელი მუხურჩა მარტვილის რაიონში მდებარეობს. 1974 წელს ნოსირი-მუხურჩას არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აქ ადრერკინის ხანის კოლხური სამაროვანი შეისწავლა, რომელიც სოფლიდან დასავლეთით 1 კმ-ში მდებარეობდა, მდ. აბაშის მარჯვენა სანაპიროზე. სარწყავი არხის გაყვანამ სამაროვანი მნიშვნელოვანწილად დააზიანა, სტაციონარული არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე დაზიანებული ნაწილი მარტვილის მუზეუმის (დირ. გ. ელიავა) თანამშრომლებმა გათხარეს.

1974 წელს არქეოლოგიური სამუშაოები 4 თვის მანძილზე მიმდინარეობდა, რომლის დროსაც ორი დასაკრძალავი მოედანი გამოვლინდა, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ტერასულად იყვნენ განლაგებული. ზედა დასაკრძალავი მოედანი არხის მარცხენა ფერდობზე მდებარეობდა, მეორეც იმავე ფერდობზე იყო განთავსებული, ოღონდ ქვედა ტერასაზე და არხის სიახლოვეს. ორივე მათგანი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო მნიშვნელოვანწილად იყო დაზიანებული, რაც ართულებს დაკრძალვის წესისა და სამარხ-კონსტრუქციათა მოწყობის ტექნიკის საკითხის შესწავლას.

პალურის “საძვლე”

“საძვლეს” სახელით ცნობილი სამაროვანი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფ. პალურის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, მდ. ენგურიდან სამხრეთით 0,5 კმ-ის დაშორებით. ძეგლზე არქეოლოგიური გათხრები 1964 წელს დაიწყო (ხელმძღ. რ. რამიშვილი), რამაც ფართო მასშტაბები 1965 წელს მიიღო(ხელმძღ. რ. აბრამიშვილი, დ. მუსხელიშვილი). გამოვლინდა კოლხური კულტურის სამაროვანი, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოც ძვ.წ. VIII-V საუკუნეებს შორის დიაპაზონში მოექცა [ოქროპირიძე, 1974: 120].

სამაროვნის ტერიტორია დაფარული იყო რიყის ქვის უსისტემოდ შედგენილი ყრილისგან, რომლის მოხსნის შემდეგაც გამოვლინდა ძეგლის ცენტრალური ნაწილი – მოყავისფრო-მოყვითალო თიხნარისაგან შემდგარი მოტკეპნილი მოედანი, რომელსაც სამი მხრიდან ნალისებური ფორმის თხრილი შემოუყვებოდა (სამხრეთის გარდა). მოედნის ფართობი 80 $მ^2$ იყო. თხრილის სიგანე 2,8-3,5 მ-ს, ხოლო სიღრმე 1,2-1,4 მ-ს შორის მერყეობდა. თხრილის კედლები რიყის ქვით იყო შემოწყობილი. ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან თხრილში შესასვლელი (დრომოსი) იყო მოწყობილი (სიგანე – 2,4მ.). აღნიშნული თხრილი პირამდე იყო ამოვსებული რიყის ქვისგან შემდგარი ყრილით, რომელშიც მიწა, სამარხეული ინვენტარი და ოსტეოლოგიური მასალა ერთმანეთში იყო არეული [ოქროპირიძე, 1974: 97].

თხრილში მიცვალებულთა ძვლების იდენტიფიცირება, გამოყოფა არ მოხერხდა, რადგან ისინი ალაგ-ალაგ გროვებად იყო შეჯგუფებული და ძალზედ ფრაგმენტირებული. ძვლების ნაწილი ცეცხლის კვალს ატარებდა, რაც კრემაციისა ან სარიტუალო ცეცხლის გამოყენების წესის არსებობაზე მიუთითებს, მეორადი დაკრძალვის რიტუალით.

თხრილის გარეთ ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1967 წელს 1, ხოლო 1969 წელს კი 14 სამარხი შეისწავლა, რომელთა ინვენტარშიც რკინისა და ბრინჯაოს იარაღი სჭარბობდა, მაშინ როდესაც თხრილში სამკაული დომინირებდა. აღნიშნული ფაქტი, რომლის გადამოწმება ანთროპოლოგიური მეთოდიკით შეუძლებელია, ძეგლის გამთხრელებს თხრილსა და ინდივიდუალურ სამარხებში დაკრძალულთა გენდერულ დიფერენციაციაზე ავარაუდებინებს;

თხრილის მიღმა მამაკაცები, ხოლო თხრილში ქალები იყვნენ დაკრძალული [ოქროპირიძე, 1974: 98].

ცაიში

ცაიშის სამაროვანი მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ცაიშში. 2001 წელს კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფელში, ე.წ. ცაცხვის უბანში 16 $м^2$ ფართობი შეისწავლა. გამოვლინდა დიდი ოდენობით ადამიანის ფრაგმენტირებული ძვლები და კერამიკული მასალა. ოსტეოლოგიური მასალის ნაწილს ეტყობოდა ცეცხლის ზემოქმედების კვალი. დაფიქსირებულ იქნა "ერთმანეთზე მჭიდროდ მიჯრილი ძვლების გროვა". რ. პაპუაშვილმა არ გამორიცხა შესწავლილ ნაწილზე საკულტო მოედნის არსებობა. ძეგლის თარიღად ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარი არის მიჩნეული [პაპუაშვილი, 2002: 48].

ერგეტა I (ნააკარდამუ)

სამაროვანი ერგეტა I (ნააკარდამუ) გამოვლინდა 1978 წელს კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სოფ. ერგეტას (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) აღმოსავლეთით, დასახლებული პუნქტიდან 1-2 კმ-ის მოშორებით, ტყიან, დაჭაობებულ ადგილას. 1978-85 წლებში სამაროვანზე საკულტო მოედანი, 1 ინდივიდუალური სამარხი და 9 კოლექტიური სამარხი-ორმო იქნა შესწავლილი (ტაბ. XV).

საკულტო მოედანი წარმოადგენდა ქვაყრილიან მოედანს, რომელიც შემორჩენილი იყო სამაროვნის ცენტრალურ ნაწილში. სავარაუდოდ, ქვაყრილი

ყველა სამარხის თავზე იყო მოწყობილი. მისი შემორჩენილი ნაწილის ფართობი 150 მ^2-ს აღემატებოდა. ქვაყრილს შორის მიმოფანტული იყო ადამიანის ძლიერ დაქუცმაცებული ძვლები, თიხის ჭურჭელი, მძივები, ლითონის ინვენტარი. საკულტო მოედნის ნიადაგსაც და ინვენტარსაც აშკარად ეტყობოდათ ცეცხლის ზემოქმედების კვალი.

სამარხი №1. სიღრმე – 1,25 მ. წარმოადგენდა ინდივიდუალურ სამარხს და მოქცეული იყო მცირე ზომის ქვებისგან შემდგარი ყრილის ქვეშ. ჩონჩხი დაფიქსირდა მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. ინვენტარი შედგებოდა კერამიკული ჭურჭლისგან, ბრინჯაოს ცუდად დაცული შუბისპირისა და მძივებისაგან [Микеладзе, 1981: 46].

სამარხი-ორმო №1. წრიული მოყვანილობის. მაქსიმალური დიამეტრი 3 მ-ს აღწევდა. სამარხის დიდი (სამხრეთ-აღმოსავლეთი) ნაწილი მოქცეული იყო საკულტო მოედნის ქვაყრილის ქვეშ. გამოიყო სამარხეული ინვენტარის 4 კომპლექსი. ძვლოვანი მასალა არ დაიქსირდა, რადგან სამარხეული ფენა გრუნტის წყლების ქვეშ იყო მოქცეული [Микеладзе, 1981: 47].

სამარხი-ორმო №2. აღმოჩნდა სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. წრიული მოყვანილობის. მისი მაქსიმალური დიამეტრი 7 მ-ს აღემატებოდა. №2 სამარხი-ორმოს აღმოსავლეთ ნაწილში 0.3 – 0,5 მ. სიღრმეზე დადასტურდა ქვაყრილი. ამ დიდ ორმოში, ინვენტარი ერთ დონეზე, მიწის ზედაპირიდან 1,6 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხეული კომპლექსების გამოყოფა ვერ მოხერხდა, რადგან მთლიანი ფართობი ინვენტარით იყო მოფენილი(ბრინჯაოს 37 სატევრისპირი და 3 ცული; რკინის 2 სატევრისპირი) [Микеладзе, 1982: 89-90].

სამარხი-ორმო №3. გამოვლინდა სამაროვნის დასავლეთ ნაწილში. სამარხი-ორმო ოვალური ფორმისა იყო. სიგრძე - 5 მ. სიგანე - 3 მ. 1 მ-ის სიღრმეზე სამარხის დასავლეთ ნაწილში ერთმანეთზე დაწყობილი ადამიანის რამდენიმე ათეული თავის ქალა დაფიქსირდა. სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში კი უპირატესად ლულოვანი ძვლების ფრაგმენტები აღმოჩნდა [Микеладзе, 1982: 90]. სამარხეული ინვენტარი სხვა სამარხებთან შედარებით, სიმცირით გამოირჩეოდა.

სამარხი-ორმო №4. გამოვლინდა სამაროვნის ცენტრალურ ნაწილში. მოქცეული იყო ქვაყრილის ქვეშ. წრიული მოყვანილობის. მისი მაქსიმალური დიამეტრი 3 მ-ს აღემატებოდა. ძლიერ ფრაგმენტირებული ოსტეოლოგიური

მასალა და ინვენტარი ერთ დონეზე იყო მიმოფანტული, რომელთა გადანაწილებაში კანონზომიერება არ შეინიშნებოდა [Микеладзе, 1982: 32].

სამარხი-ორმო №5. აღმოჩნდა სამაროვნის ჩრდილოეთ ნაწილში. ოვალური მოყვანილობის. სიგრძე - 9 მ. მაქსიმალური სიგანე - 6 მ. ფართობი - 54 მ^2. №5 სიღრმე ჩრდილოეთ ნაწილში – 2 მ., სამხრეთ ნაწილში – 1,5 მ. სამარხი-ორმოს სამხრეთ ნაწილში გამოვლინდა ორმო, რომელიც სავსე იყო ადამინის ძლიერ ფრაგმენტირებული ძვლებით. საძვლე ორმოში დაფიქსირებული ძვლები გამოირჩეოდა სითეთრითა და სიმაგრით. საძვლე ორმოს ერთ ნაწილს ფარავდა ინვენტარის შემცველი ფენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ №4 და №5 სამარხ-ორმოებში, საერთო ჯამში, 183 ინდივიდის ძვლები დაფიქსირდა [Микеладзе, 1982: 32].

სამარხი-ორმო №6. გამოვლინდა სამაროვნის აღმოსავლეთ ნაწილში. ოვალური მოყვანილობის. კონტურები გამოიკვეთა 1 მ-ის სიღრმეზე. მაქსიმალური სიგრძე – 10 მ. სიგანე – 8 მ. სამარხეული ინვენტარი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი იყო და ფრაგმენტირებულ ძვლოვან მასალასთან ერთად სამარხის მთელ პერიმეტრზე იყო გადანაწილებული. სამარხი თ. მიქელაძის მიერ ძვ.წ. VI საუკუნით იქნა დათარიღებული [Микеладзе, 1985: 40].

სამარხი-ორმო №7. დაზიანებული და ჩაჭრილი იყო №6 სამარხის მიერ. სავარაუდოდ, მას წრიული მოყვანილობა გააჩნდა. მისი შემორჩენილი ნაწილი მოქცეული იყვნენ № 6 სამარხი-ორმოს დასავლეთითა და აღმოსავლეთით [Микеладзе, 1986: 16].

სამარხი-ორმო №8. დაზიანებული. აღმოჩნდა სამაროვნის სამხრეთ ნაწილში. მისი ჩრდილოეთი ნაწილი უშუალოდ №6 სამარხს ემიჯნებოდა, რომლის გამართვისასაც დაზიანებულა [Микеладзе, 1986: 16].

სამარხი-ორმო №9. მოქცეული იყო სამაროვნის აღმოსავლეთ ნაწილში. ორმოს, რომლის კონტურები 0,6 მ-ის სიღრმეზე გამოიკვეთა, კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის მოყვანილობა გააჩნდა. სამარხში მხოლოდ კერამიკული ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი და ერთი მთლიანად შემონახული ქოთანი დაფიქსირდა [მიქელაძე... 1991: 9].

როგორც ვხედავთ, ერგეტის I-ის სამარხები, ერთი ინდივიდუალური სამარხის გამოკლებით, წარმოადგენენ კოლექტიურ სამარხ-ორმოებს

რომლებშიც მიცვალებულთა ფრაგმენტირებულ ძვლებთან ერთად ერთდროულადაა განლაგებული სამარხეული ინვენტარი. როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური სამარხი-ორმოები ქვაყრილით იყო დაფარული. ზოგიერთი სამარხი-ორმო თავისი მასშტაბურობით გამოირჩეოდა. მაგალითად, №5 სამარხი-ორმოს ფართობი 54 $მ^2$-ს შეადგენდა. ერგეტა I წარმოადგენს ნიგვზიანსა და ურეკში, სოფ. ერგეტაში გამოვლენილი კიდევ 3 სამაროვნის სინქრონულ ძეგლს. მთლიანად სამაროვნის ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ.წ. VII-VI საუკუნეებშია მოქცეული [Микеладзе, 1985: 40].

ერგეტა II

სამაროვანი ერგეტა II, რომელიც სოფ. ერგეტას დასავლეთით გამოვლინდა, 1980 წლიდან ითხრებოდა კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. ძეგლი სამი მხრიდან ტყით, ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან ჭაობიანი ველით იყო შემოსაზღვრული.

სამაროვანზე (ტაბ. XVI) 1980 წელს დაფიქსირდა ქვაყრილი, რომელიც მიწის თანამედროვე ზედაპირზეც შეინიშნებოდა. ყრილის ქვეშ გამოიკვეთა შავი ფერის ლაქა, რომელშიც დაფიქსირდა არქეოლოგიური მასალა: კერამიკის ფრაგმენტები, მძივები, ბრინჯაოს მცირე პლასტიკის ნიმუშები. აღნიშნული ფენა და ქვაყრილი საკულტო მოედნად იქნა მიჩნეული. კერამიკულ მასალას შორის, როგორც ძეგლის გამთხრელები აღნიშნავენ, დაფიქსირდა იმპორტული კერამიკის ფრაგმენტებიც, რომელთა მიხედვით აღნიშნული მოედანი ძვ.წ. VI–V საუკუნეებით დაათარიღეს [Микеладзе, 1982: 32].

სამარხი-ორმო №1. აღმოჩნდა ე.წ. საკულტო მოედნის ქვეშ. აქ მოხერხდა ინვენტარული მასალის ორი კომპლექსის გამოყოფა. ორივე კომპლექსი მიწის ზედაპირიდან 0,7 მ-ის სიღრმეზე, უშუალოდ ოვალური მოყვანილობის ორმოს ძირზე აღმოჩნდა. ორმოშივე დაფიქსირდა წყლის ზემოქმედებისგან ძლიერ დაშლილი ოსტეოლოგიური მასალა [Микеладзе, 1982: 33].

I კომპლექსი: ბრინჯაოს 2 სეგმენტი, სატევარი, 2 აბზინდა, ცული, 2 საკიდი.

II კომპლექსი: ვერცხლის ბეჭედი; ბრინჯაოს 2 სამაჯური; რკინის 2 დანა, სატევარი, პინცეტი; სალესი ქვა; სარდიონის, პასტისა და გიშრის მძივები.

სამარხი-ორმო №2. სამარხის კონტურები მიწის ზედაპირიდან 0,60 მ-ის სიღრმეზე გამოიკვეთა. მას ოვალური მოყვანილობა ჰქონდა და სიგრძეში 4,25 მ-ს აღწევდა. სამარხ-ორმოში ინვენტარი კომპლექსებად, ერთმანეთისგან 20-30 სმ-ის მანძილზე იყო გადანაწილებული, რომელთაგანაც ერთი ჯგუფი ხის ბრტყელ დაფაზე იყო მოთავსებული. ზოგიერთ ჯგუფთან აღმოჩნდა ადამიანის კბილის ფრაგმენტები [Микеладзе, 1984: 23]. საერთო ჯამში №2 სამარხ-ორმოში თიხის 2 სასმისი, ბრინჯაოს 2 ცული, 2 სატევარი, თოხი, სეგმენტური იარაღი, 2 აბზინდა, ბეჭედი, რკინის სატევარი, 2 დანა, ვერცხლის ბეჭედი და მძივები.

ერგეტა III

სამაროვანი ერგეტა III შესწავლილ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ერგეტას ცენტრში. არქეოლოგიური სამუშაოები აქ 1980 წელს კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ დაიწყო და შესწავლილ იქნა 4 კოლექტიური სამარხი-ორმო (ტაბ. XVII, 1).

სამარხი-ორმო №1. ორმოს თავზე მოწყობილი იყო ქვაყრილი, რომელშიც მძივები, ლითონის ნივთები და ძლიერ ფრაგმენტირებული ოსტეოლოგიური მასალა დაფიქსირდა. თვითონ სამარხი-ორმო არასწორი წრის მოყვანილობისა იყო, რომელშიც არქეოლოგიური მასალა (კერამიკული ფრაგმენტები, რკინის ნივთები, ძირითადად თოხები) ზედაპირიდან 0,5 მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა. ორმოს სიგრძე დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე 4,50 მ-ს, ხოლო ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 4,20 მ-ს შეადგენდა. ორმოს სიღრმეში ნივთები ოსტეოლოგიურ მასალასთან იყო არეული. მის აღმოსავლეთ ნაწილში გაჭრილი იყო შედარებით მცირე ზომის ორმო (სიგრძე – 1,40 მ.), რომელშიც მხოლოდ ძვლოვანი მასალა დაფიქსირდა. №1 სამარხი-ორმო ინვენტარის მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. საერთო ჯამში აღმოჩნდა: რკინის 140 თოხი, 19 სახნისი, 2 სატევარი, 3 აკინაკი, ცული, 7 პინცეტი, ფიბულა; ბრინჯაოს მინიატურული ცული, ლანგარი, ზარაკი,

საკიდი, კაუჭი, 3 დიადემა, 15 ხატისუღელი, 17 სამაჯური, 8 ბეჭედი, 2 ფიბულა, 11 პინცეტი, 11 ძეწკვი; ვერცხლის 26 ბეჭედი, ოქროსა და ვერცხლის საკიდები, ანთიმონის ფიბულა, 9 კერამიკული ჭურჭელი, 31 სალესი ქვა, კაჟის ისრისპირი; დიდი ოდენობით სარდიონის, ოქროს, აქატის, ოპალის, მინისა და სხვ. მძივები. აღნიშნული მასალის მიხედვით ძეგლის გამთხრელებმა №1 სამარხი-ორმო ძვ.წ. VI საუკუნით დაათარიღეს [Микеладзе, 1984: 24].

სამარხი-ორმო №2. მოქცეული იყო №1 და №2 სამარხ-ორმოებს შორის. მისი ფართობი 30 $მ^2$-ს შეადგენდა და ელიფსის ფორმა ჰქონდა. მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მოქცეული იყო 1 მეტრი დიამეტრის მქონე ორმო, რომელშიც ძვლოვანი მასალა დაფიქსირდა. სამარხი-ორმო ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მიწის ზედაპირიდან 0,6-0,7 მ-ის სიღრმეზე მდებარეობდა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი 1,30 მ-ის სიღრმეზე. მრავალფეროვანი ინვენტარი ერგეტა I-ის №2 სამარხ-ორმოს მასალასთან პოულობს ანალოგიებს, რაც თ. მიქელაძის აზრით, მათი სინქრონულობით იყო გამოწვეული [Микеладзе, 1987: 41].

სამარხი-ორმო №3. სამარხს სამხრეთ ნაწილში ოვალური მოყვანილობის ორმო გააჩნდა, რომელიც სიგრძეში 2,6 მ-ს, სიგანეში კი 0,7 მ-ს აღწევდა. აქ აღმოჩნდა სარდიონისა და მინის მძივები, რამდენიმე საკიდი და კბილების რამდენიმე ჯგუფი [Микеладзе, 1986: 23].

სამარხი-ორმო №4. მდებარეობდა სამაროვნის აღმოსავლეთ ნაწილში და ჩაჭრილი იყო თიხნარ ნიადაგში. ფართობი შეადგენდა 64 $მ^2$-ს, რაც კოლხეთის დაბლობზე გამოვლენილ კოლექტიურ სამარხ-ორმოებს შორის უდიდესია [მიქელაძე... 2004: 37]. სამარხს კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის მოყვანილობა გააჩნდა, რომლის კონტურებიც 1,2 მ-ის სიღრმეზე გამოიკვეთა. ამავე დონეზე დაფიქსირდა სამარხეული ინვენტარის ერთი ნაწილი. 1,30-1,40 მ-ის სიღრმეზე კი ინვენტარი უფრო დიდი ოდენობით გამოვლინდა, რომელიც შერეული იყო ძვლოვანი და სხვა ორგანული მასალისაგან წარმოქმნილ სამარხეულ ფენაში. საერთო ჯამში, №4 სამარხ-ორმოში 300-ზე მეტი ნივთი გამოვლინდა, რომლებიც სამარხის მთელ პერიმეტრზე იყო მიმოფანტული და მათ გადანაწილებაში კანონზომიერება არ შეიმჩნეოდა (ტაბ. XVII, 2) [მიქელაძე... 2004: 37].

ერგეტა IV

სამაროვანი ერგეტა IV მდებარეობს სოფ. ერგეტას სამხრეთ-დასავლეთით, მდ. ბუის ნაპირზე, ზღვის ნაპირიდან 2 კმ-ის მოშორებით. არქეოლოგიური გათხრები კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1985 წელს დაიწყო. პირველ წელს გამოვლენილ იქნა ერთი, ხოლო 1986 წელს – 2 კოლექტიური სამარხი-ორმო. 1986-91 წლებში კიდევ 2 სამარხი გაითხარა, რამაც სამაროვანზე, საერთო ჯამში, კოლექტიური სამარხი-ორმოების რაოდენობა 5-მდე გაზარდა (ტაბ. XVIII, 1).

სამარხი-ორმო №1. წარმოადგენდა კოლექსტიურ სამარხს. მისი კონტურები მიწის ზედაპირიდან 0,5-0,6 მ-ის სიღრმეზე გამოიკვეთა. მას ოვალური მოყვანილობა ჰქონდა და წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული იყო სამხრეთ-დასავლეთის – ჩრდილო-აღმოსავლეთის ხაზზე. საერთო ფართობი 50 $მ^2$-ს აღწევდა. სამარხეული ინვენტარი საკმაო მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა და წარმოდგენილი იყო: კერამიკით, ბრინჯაოსა და რკინის ცულებით, სატევრებით, სეგმენტური იარაღით, თოხებით, ბრინჯაოს სამკაულებით, სარდიონის, აქატის, პასტის მძივებითა და ვერცხლის ბეჭდებით. აღნიშნული სამარხი ინვენტარული მასალის მიხედვით, ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით იქნა დათარიღებული [Микеладзе, 1987: 42].

სამარხი-ორმო №2. სამარხის კონტურები მიწის ზედაპირიდან 0,8 მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა. მას არასწორი წრის ფორმა ჰქონდა (ტაბ. XVIII, 2). სამარხი-ორმოს კიდეები გამოკვეთილი იყო ჩრდილო-დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან. სამხრეთით კი, სადაც სარიტუალო მოედანი ესაზღვრებოდა, შედარებით ცუდად. ცალკეულმა სამარხეულმა ინვენტარმა თავი ორმოს კიდეებზე 1 მ-ის სიღრმეზე იჩინა. ორმოს სიღრმე სამხრეთ ნაწილში 1,30 მ-ს აღწევდა, ხოლო ჩრდილოეთით – 1,50-1,60 მ-ს. სამარხი-ორმოს ძირი მოფენილი იყო ტორფისმაგვარი მასით, რომელიც შედგენილი იყო ძვლოვანი მასალით, ქსოვილითა და სხვა ორგანული ნაშთებით [Микеладзе, 1991: 62]. ამ მასაში გამოკვეთილი იყო ადამიანის კბილების რამდენიმე გროვა. სამარხეული ინვენტარი ერთ დონეზე იყო განფენილი, რომელთა კომპლექსებად გამოყოფა, მათი უსისტემოდ გადანაწილების გამო, ვერ მოხერხდა. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმე ნივთი ერთად იყო კონცენტრირებული და თითქოს

ცალკეულ კომპლექსს შეადგენდა. ზოგიერთ ნივთზე, რომელთა დაცულობა, მაღალი ტენიანობის გამო, არადამაკმაყოფილებელი იყო, შეინიშნებოდა ქსოვილის კვალი, რომელშიც ისინი უნდა ყოფილიყვნენ გახვეული. 136 დაფიქსირებული ნივთიდან, დაუზიანებლად მხოლოდ 110-ის ამოღება მოხერხდა. წარმოდგენილი იყო: კერამიკა (11 ერთეული), სეგმენტური იარაღი (9), ბრინჯაოს სატევრისპირი (22), რკინის დანა (8), ბრინჯაოს ცული (1), ბრინჯაოს ბალთა (3), რკინის ფიბულა (1), ბრინჯაოსა (1) და რკინის (2) პინცეტი, ბრინჯაოს ხატისუღელი (4), სამაჯური (29), ბრინჯაოს მცირე პლასტიკის ნიმუში (3), სარდიონისა და რკინის მძივები. მათი მიხედვით სამარხი-ორმო №2 ძვ.წ. VII ს-ის II ნახევრით დათარიღდა [Микеладзе, 1991: 63].

სამარხი-ორმო №3. მდებარეობდა №2-ის დასავლეთით. მისი კონტურები 1 მ-ის სიღრმეზე გამოიკვეთა. ჰქონდა ოვალური ფორმა. №2 სამარხი-ორმოს მსგავსად, მკვეთრად ჩრდილო-დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან იყო გამოკვეთილი, ხოლო სამხრეთით შედარებით ცუდად (სარიტუალო მოედნის მხრიდან). სამარხი-ორმო №3-ის მცირე მონაკვეთი 1985 წელს გათხრილი ორმოს ქვეშ შედიოდა და წარმოადგენდა ე.წ. საძვლეს, ძვლების დასამარხად განკუთვნილ ნაწილს (ტაბ. XIX, 1) [Микеладзе, 1991: 63]. ინვენტარმა თავი მიწის ზედაპირიდან 1 მ-ის სიღრმეზე იჩინა, ხოლო მათი ძირითადი ნაწილი, სამარხი-ორმოს სამხრეთ ნაწილში 1,3-1,4 მ-ის, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილში 1,9 მ-ის სიღრმეზე, ძვლის ფრაგმენტებთან ერთად მდებარეობდა. სხვების მსგავსად, ინვენტარი აღნიშნულ სამარხშიც მთელ პერიმეტრზე იყო მიმოფანტული, მაგრამ შედარებით მცირე რაოდენობით. აღსანიშნავაია, რომ საბრძოლო იარაღი, მხოლოდ ერთი დაზიანებული სატევრისპირით იყო წარმოდგენილი [Микеладзе, 1991: 63-64].

სამარხი-ორმო №4. გამოვლინდა სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში (ტაბ. XIX, 2). ფართობი შეადგენდა 30 მ^2-ს. მისი კონტურები გამოიკვეთა 0,5-0,6 მ-ის სიღრმეზე. სამარხის ძირი სამხრეთ ნაწილში შედარებით უფრო ღრმა იყო და 1,7 მ-ს აღწევდა. სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დაფიქსირდა წრიული მოყვანილობის ორმო, რომლის დიამეტრი 1 მეტრი იყო. ორმოში მხოლოდ ძლიერ ფრაგმენტირებული ოსტეოლოგიური მასალა გამოვლინდა. სამარხის ძირს ფარავდა 15-20 სმ-ის სისქის ფენა, რომელიც შედგენილი იყო ძვლოვანი და სხვა ორგანული მასალისაგან [მიქელაძე... 2004: 37]. ამ მასაში

აღმოჩნდა მძივებისა და სამაჯური ფრაგმენტები. სამარხი-ორმო შევსებული იყო კერამიკული ფრაგმენტებით, რომელთა საერთო რაოდენობა 750 ერთეულს აღწევდა.

სამარხი-ორმო №5. გამოვლინდა სამაროვნის სამხრეთ ნაწილში. ის სხვა სამარხებთან შედარებით მცირე ზომისა იყო და ფართობი 8 მ^2-ს შეადგენდა. სამარხი-ორმოს კონტურები 0,6-0,7 მ-ის სიღრმეზე გამოიკვეთა. 1,7 მ-ის სიღრმეზე კი გამოჩნდა 20-30 სმ-ის სისქის სამარხეული ფენა. №4 სამარხი-ორმოს მსგავსად ეს ფენა აქაც ძვლოვანი მასალისა და სხვა ორგანული მინარევებისგან შედგებოდა, მათ შორის ადამიანის კბილებისგანაც [მიქელაძე... 2004: 38].

როგორც ვხედავთ, სოფ. ერგეტას მიდამოებში გამოვლენილი სამაროვნების მსგავსად, სამაროვანი ერგეტა IV კოლექტიური სამარხი-ორმოებით იყო წარმოდგენილი. მათი ზოგადი ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით არის განსაზღვრული; იმ პერიოდით, რომელიც დასავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო–ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ფინალურ სტადიას განეკუთვნება.

დღვაბა

დღვაბის სამაროვანი კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1985 წელს გამოვლინდა სოფ. თორსა-დღვაბას ცენტრიდან სამხრეთ-დასავლეთით 3 კმ-ის მოშორებით. ოთხწლიანი გათხრების შედეგად დადგინდა, რომ დღვაბის სამაროვანი ორი კოლექტიური სამარხი-ორმოსგან და სააღაპო მოედნისაგან შედგებოდა, რომელზეც დიდი ოდენობით არქეოლოგიური მასალა იქნა დაფიქსირებული. სამარხების თავზე ძირითადად მოზვინული თიხნარი იყო კონცენტრირებული, მოყვითალო-მოყავისფრო ფერის, ჟანგისფერი დანალექებით [მიქელაძე, 1991: 11].

სამარხი-ორმო №1 (ტაბ. XX, 1). სიღრმე – 0,9-1,1 მ. სამარხს ოვალური მოყვანილობა ჰქონდა. სამარხი ორი მხრიდან შემოსაზღვრული იყო

ვერტიკალურად ჩარჭობილი მუხის მოკლე, დამუშავებული თხელი ფიცრების ზღუდით: ჩრდილოეთით 7 ცალი ფიცარი იყო ჩარჭობილი, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი 9 ცალი. (სიმაღლე – 0,3-0,4 მ. სიგანე – 0,2-0,25 მ. სისქე – 0,02-0,025 მ.). იქ, სადაც ფიცრების აღნიშნულ წყობას კუთხე უნდა შეექმნა, კერძოდ, ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, წყვეტილი მონაკვეთია, რომელიც მოფენილი იყო ხის ტოტებით.

სამარხეული ფენა ერთ დონეზე იყო გაშლილი და მისი სისქე 0,3-0,4 მ-ს შორის მერყეობდა. ის ინვენტარისაგან, დამპალ-დაშლილი ძვლებისა და სხვადასხვა ორგანული მინარევებისაგან შედგებოდა. დაფიქსირდა რამდენიმე თავის ქალა. რაც შეეხება სამარხეულ ინვენტარს, ის არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით. აქ წარმოდგენილი იყო: თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სეგმენტები, რკინისა და ბრინჯაოს დანები, ბრინჯაოსა და რკინის სატევრები, ბრინჯაოს ხატისუღლები, სამაჯურები, რგოლები, ბალთა; ოქროს რგოლები, ხვია; მძივები.

სამარხი-ორმო №2 (ტაბ. XX, 2). სიღრმე – 0,4-0,6 მ. აღმოჩნდა №1 სამარხი-ორმოს ჩრდილოეთით. მოქცეული იყო სფერული კვალის ქვეშ; კვალისა, რომლის ზედა შრეებში დაფიქსირდა არქეოლოგიური მასალა (რკინისა და ბრინჯაოს ნივთები, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები). №2 სამარხი-ორმო არასწორი ოვალის ფორმისა იყო. მისი ფართობი 50 $მ^2$-ს არ აღემატებოდა. სამარხი დამხრობილი იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. მისი სიგრძე 8 მ-ს, ხოლო სიგანე 6,3 მეტრს აღწევდა. სამარხეული ფენა, რომელიც ინვენტარის, დამპალ-დაშლილი ძვლებისა და სხვადასხვა ორგანული მინარევებისაგან შედგებოდა. დაფიქსირდა სამი ათეული თავის ქალა, რომლებიც აღებისთანავე იშლებოდნენ.

სამარხეული ინვენტარი 600-ზე მეტ ერთეულს მოიცავდა. წარმოდგენილი იყო: თიხისა და ბრიჯაოს ჭურჭელი, ბრინჯაოს თოხები, რკინის თოხი, ბრინჯაოს ცულები, რკინის ცულის პირი, ბრინჯაოს სატევრები,, შუბისპირები, ისრისპირები; რკინის დანები; ბრინჯაოს ხატისუღლები; რკინის ხატისუღლები, ბრინჯაოს რგოლები და სამაჯურები; ელექტრუმის რგოლები; ბრინჯაოს საყურეები, პინცეტები, საკიდები, საკინძი, ზარაკები და ძეწკვები, მშვილდსაკინძები, ღილები, სარტყლები, მცირე პლასტიკის ნიმუშები, გაურკვეველი დანიშნულების ნივთები; სალესი ქვები; მძივები [Микеладзе, 1995: 41-42].

დღვაბის სამაროვანზე გამოვლენილი ორივე სამარხი ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით თარიღდება [Микеладзе, 1995: 43], რაც მათ სოფ. ერგეტაში გამოვლენილი სამაროვნების სინქრონულს ხდის. აქაც, ერგეტას სამაროვნების მსგავსად, კოლექტიური სამარხი-ორმოებია გავრცელებული.

ურეკი

ურეკის სამაროვნის შესწავლა კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1976 წლიდან დაიწყო. სამაროვანი მდებარეობდა კურორტ ურეკის სამხრეთით, ადგილ წვერმაღალაში, რომელიც ზღვის ნაპირიდან 200 მეტრითაა მოცილებული. ამ ადგილებში მოწყობილი იყო სილის კარიერები და ნავთობის მაძიებელთა მიერ გაკეთებული ჭაბურღილები. ყოველივე ამან სამაროვნის დიდი ნაწილის დაზიანება და მნიშვნელოვანი მონაცემების დაკარგვა გამოიწვია.

გადარჩენილი სამაროვნის შესწავლის შედეგად სამარხთა ორგვარი ტიპი დაფიქსირდა – კოლექტიური სამარხი-ორმოები და ინდივიდუალური ორმოსამარხები. პირველი ტიპის სამარხი კომპლექსები სამაროვნის დასავლეთ ნაწილში იყვნენ მოქცეულნი, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი მხოლოდ ინდივიდაუალური კომპლქსების შემცველი აღმოჩნდა (ტაბ. XXI, 1).

კოლექტიური სამარხი-ორმოები თ. მიქელაძის მოსაზრებით საოჯახო ან საგვარეულო სამარხებს წარმოადგენდნენ, სადაც დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალის შესრულების შემდეგ ასაფლავებდნენ მიცვალებულთა ძლიერ დანაწევრებული ძვლების ნაშთებსა და ნივთებს, უმეტეს შემთხვევაში იარაღ-სამკაულს, საკულტო საგნებს და შედარებით იშვიათად თიხის ჭურჭელს. [მიქელაძე, 1985, 7]

სამაროვანზე საერთო ჯამში 72 სამარხი გაითხარა, რომელთაგანაც 3 სამარხი-ორმო, ხოლო 69 ინდივიდუალური სამარხი იყო. სამარხი-ორმოები სილის კარიერის ცენტრალურ ნაწილში იყვნენ მოქცეულნი და სილის გატანის პროცესში მათი დიდი ნაწილი განადგურდა. №1 და №3 სამარხი-ორმოები ნაწილობრივ დაზიანებულნი იყვნენ. №2 სამარხი-ორმო სილის ფარულმა

გამტანებმა გაანადგურეს. ასევე დაზიანდა ქვაყრილით მოფენილი ფართობი, რომელსაც ექსპედიციის წევრებმა საკულტო მოედანი უწოდეს. მსგავსი საკულტო მოედანი ერგეტის №1 სამაროვანზეცაა დადასტურებული. თუმცა, შესაძლოა, რომ ასეთი ქვაყრილიანი მოედნების სახით საქმე გვაქვს დაკრძალვის კიდევ ერთ განსხვავებულ წესთან.[მიქელაძე, 1985, 8]

№1 კოლექტიური სამარხი-ორმოს დასავლეთი ნაწილი სილის გაზიდვის დროს დაზიანდა. გადარჩენილ ნაწილს კი წაგრძელებული ოვალის ფორმა ჰქონდა. სამარხში მიკვლეულ ნივთებს და ძვლოვანი მასალის დიდ ნაწილს ცეცხლის კვალი ეტყობოდა, ხოლო ზოგიერთ ნივთზე ქსოვილის ნაშთიც კი იყო შემორჩენილი.

№2 კოლექტიური სამარხი-ორმოდან, მიუხედავად მისი განადგურებისა, მაინც მოხერხდა რამდენიმე ნივთის გადარჩენა და მისი კონტურების დაფიქსირება. მიწის ზედაპირიდან 0,9 მეტრის სიღრმეზე ორმოს დიამეტრი 2,16 მეტრი აღმოჩნდა.

№3 კოლექტიური სამარხი-ორმო დასავლეთის მხრიდან ნაწილობრივ დაზიანებული იყო, თუმცა მისი ქვედა ნაწილი ხელუხლებელი აღმოჩნდა. სამარხ ორმოს ზემოდან მოყვითალო ფერის ნიადაგი ჰქონდა, რომელსაც ცეცხლის კვალი ემჩნეოდა. ეს კვალი ორმოს ცენტრში 0,5-0,6 მეტრის სიღრმეზე გრძელდებოდა. ამ ფენის შემდეგ სილის სქელი ფენა წამოვიდა, რომელიც არქეოლოგიურ მასალას არ შეიცავდა. მომდევნო ფენა კი მოტკეპნილი სილისა და თიხნარის ნარევს წარმოადგენდა, რომლის მსგავსიც №1 ორმოს ძირშიც დადასტურდა. ეს ფენა არქეოლოგიური მასალით მდიდარი იყო. მის თავზე მძლავრი ნაცეცხლარისა და კერამიკული ფრაგმენტების მიკვლევა გარკვეული რიტუალის არსებობას მოწმობდა. სამარხ ორმოში მიკვლეული ცალკეული ნივთების ჯგუფებიდან ძლიერ დამწვარი ძვლების ფრაგმენტები ამოვიდა. ზოგიერთ ნივთს ეტყობოდა ქსოვილის ანაბეჭდი, რაც მათ ქსოვილში გახვევას მიუთითებს.

ინდივიდუალური სამარხები თავისი ფორმით მრგვალ, ოვალურ ან არასწორი ოვალის ფორმის ორმო-სამარხებს წარმოადგენდნენ. ძვლოვანი მასალა, ისიც ძლიერ ფრაგმენტირებული, მხოლოდ რამდენიმე სამარხში დაფიქსირდა. დანარჩენი სამარხები კი, სადაც ოსტეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა, მიუხედავად იმისა, რომ არ შეიცავდნენ ფერფლს, თ. მიქელაძე

მაინც არ გამორიცხავს მათ კრემაციულ სამარხებად მიჩნევას. [მიქელაძე 1985, 10]

სამარხთა სიღრმე მიწის ზედაპირიდან 0.15-დან 1,6 მეტრამდე მერყეობდა, ძირის დიამეტრი - 0,3-დან 2,25 მეტრამდე. საშუალო დიამეტრი კი 0,5-0,6 მეტრს შეადგენს. სამარხები ინვენტარის მხრივ ერთგვაროვნობით და კოლექტიური სამარხი-ორმოებისაგან განსხვავებით, შედარებითი სიმწირითაც ხასიათდებოდა.

ინდივიდუალური სამარხები

სამარხი №1. სიღრმე მიწის ზედაპირიდან – 1,47 მ. ორმოს დიამეტრი – 0,8 მ.

სამარხი №2. სიღრმე – 0,8 მ. ორმოს დიამეტრი – 0,4 მ.

სამარხი №3. სიღრმე – 1 მ. ორმოს დიამეტრი – 0,7 მ.

სამარხი №4. სიღრმე – 0,8 მ. ორმოს დიამეტრი – 0,4 მ.

სამარხი №5. სიღრმე – 0,8 მ. ორმოს დიამეტრი – 0,5 მ.

სამარხი №6. სიღრმე – 0,8 მ. ორმოს დიამეტრი – 0,30 მ.

სამარხი №7. სიღრმე – 1 მ. ორმოს დიამეტრი – 0,6 მ.

სამარხი №8. სიღრმე – 1,25 მ. ორმოს დიამეტრი – 0,52 მ.

სამარხი №9. სიღრმე – 1,25 მ. ორმოს დიამეტრი – 0,9 მ.

სამარხი №10. სიღრმე – 1 მ. ორმოს დიამეტრი – 0,85 მ.

სამარხი №11. სიღრმე – 0,75 მ. ორმოს დიამეტრი – 0,75 მ.

სამარხი №12. სიღრმე – 0,75 მ. ორმოს დიამეტრი – 0,68 მ.

სამარხი №13. სიღრმე – 0,75 მ. ორმოს დიამეტრი – 0,75 მ.

სამარხი №14. სიღრმე – 0,9 მ. ორმოს დიამეტრი – 0,75 მ.

სამარხი №15. სიღრმე – 1 მ. ორმოს დიამეტრი – 0,84 მ.

სამარხი №16. სიღრმე – 1,60 მ. ორმოს დიამეტრი – 0,64 მ.

სამარხი №17. სიღრმე – 1,20 მ. ორმოს დიამეტრი – 0,65 მ.

სამარხი №18. სიღრმე – 1,25 მ. ორმოს დიამეტრი – 0,65 მ.

სამარხი №19. სიღრმე – 0,85 მ. ორმოს დიამეტრი – 0,6 მ.

სამარხი №20. სიღრმე – 1,20 მ. ორმოს დიამეტრი – 0,6 მ.

სამარხი №21. სიღრმე – 1,20 მ. ორმოს დიამეტრი – 0,63 მ.

სამარხი №22. სიღრმე – 1,20 მ. ორმოს დიამეტრი – 0,55 მ.

სამარხი №23. სიღრმე – 1,20 მ. ორმოს დიამეტრი – 0,5 მ.

სამარხი №24. სიღრმე – 1,20 მ. ორმოს დიამეტრი – 0,5 მ.

სამარხი №25. სიღრმე – 1,20 მ. ორმოს დიამეტრი – 0,35 მ.
სამარხი №26. სიღრმე – 1,20 მ. ორმოს დიამეტრი – 0,45 მ.
სამარხი №27. სიღრმე – 1,30 მ. ორმოს დიამეტრი – 0,70 მ.
სამარხი №28. სიღრმე – 1,30 მ. ორმოს დიამეტრი – 0,5 მ.
სამარხი №29. სიღრმე – 0,90 მ. ორმოს დიამეტრი – 0,8 მ.
სამარხი №30. სიღრმე – 0,95 მ. ორმოს დიამეტრი – 0,70 მ.
სამარხი №31. სიღრმე – 0,93 მ. ორმოს დიამეტრი – 0,75 მ.
სამარხი №32. სიღრმე – 0,95 მ. ორმოს დიამეტრი – 0,75 მ.
სამარხი №33. სიღრმე – 1 მ. ორმოს დიამეტრი – 0,75 მ.
სამარხი №34. სიღრმე – 1,45 მ. ორმოს დიამეტრი – 0,6 მ.
სამარხი №35. სიღრმე – 0,90 მ. ორმოს დიამეტრი – 0,4 მ.
სამარხი №36. სიღრმე – 0,9 მ. ორმოს დიამეტრი – 0,5 მ.
სამარხი №37. სიღრმე – 1 მ. ორმოს დიამეტრი – 0,45 მ.
სამარხი №38. სიღრმე – 1 მ. ორმოს დიამეტრი – 0,45 მ.
სამარხი №39. სიღრმე – 1 მ. ორმოს დიამეტრი – 0,5 მ.
სამარხი №40. სიღრმე – 1,15 მ. ორმოს დიამეტრი – 0,45 მ.
სამარხი №41. სიღრმე – 1,20 მ. ორმოს დიამეტრი – 0,5 მ.
სამარხი №42. სიღრმე – 0,70 მ. ორმოს დიამეტრი – 0,6 მ.
სამარხი №43. სიღრმე – 0,60 მ. ორმოს დიამეტრი – 0,60 მ.
სამარხი №44. სიღრმე – 1,40 მ. ორმოს დიამეტრი – 0,5 მ.
სამარხი №45. სიღრმე – 1,40 მ. ორმოს დიამეტრი – 0,45 მ.
სამარხი №46. სიღრმე – 1,36 მ. ორმოს დიამეტრი – 0,5 მ.
სამარხი №47. სიღრმე – 1,40 მ. ორმოს დიამეტრი – 0,80 მ.
სამარხი №48. სიღრმე – 1,46 მ. ორმოს დიამეტრი – 0,60 მ.
სამარხი №49. სიღრმე – 1,8 მ. ორმოს დიამეტრი – 1 მ.
სამარხი №50. სიღრმე – 1,2 მ. ორმოს დიამეტრი – 0,70 მ.
სამარხი №51. სიღრმე – 1,85 მ. ორმოს დიამეტრი – 0,60 მ.
სამარხი №52. სიღრმე – 0,15 მ. ორმოს დიამეტრი – 0,5 მ.
სამარხი №53. სიღრმე – 0,85 მ. ორმოს დიამეტრი – 0,70 მ.
სამარხი №54. სიღრმე – 0,50 მ. ორმოს დიამეტრი – 0,65 მ.
სამარხი №55. სიღრმე – 0,60 მ. ორმოს დიამეტრი – 0,5 მ.
სამარხი №56. სიღრმე – 0,60 მ. ორმოს დიამეტრი – 0,40 მ.
სამარხი №57. სიღრმე – 1,20 მ. ორმოს დიამეტრი – 0,40 მ.

სამარხი №58. სიღრმე – 1,20 მ. ორმოს დიამეტრი – 0,45 მ.

სამარხი №59. სიღრმე – 1,35 მ. ორმოს დიამეტრი – 0,5 მ.

სამარხი №60. სიღრმე – 0,85 მ. ორმოს დიამეტრი – 0,85 მ.

სამარხი №61. სიღრმე – 1,5 მ. ორმოს დიამეტრი – 0,5 მ.

სამარხი №62. სიღრმე – 0,5 მ. ორმოს დიამეტრი – 0,45 მ.

სამარხი №63. სიღრმე – 0,5 მ. ორმოს დიამეტრი – 0,4 მ.

სამარხი №64. სიღრმე – 0,5 მ. ორმოს დიამეტრი – 0,5 მ.

სამარხი №65. სიღრმე – 0,5 მ. ორმოს დიამეტრი – 0,55 მ.

სამარხი №66. სიღრმე – 0,5 მ. ორმოს დიამეტრი – 0,60 მ.

სამარხი №67. სიღრმე – 1,30 მ. ორმოს დიამეტრი – 0,55 მ.

სამარხი №68. სიღრმე – 1,80 მ. ორმოს დიამეტრი – 2,25 მ.

სამარხი №69. სიღრმე – 1,60 მ. ორმოს დიამეტრი – 1 მ.

ურეკის სამაროვანზე შესწავლილი ინდივიდუალური სამარხები ინვენტარის მხრივ გამოირჩევა ერთგავროვნებით. მიცვალებულთა სქესი სწორედ ინვენტარის მიხედვით განისაზღვრა. აშკარად მამაკაცის კუთვნილებაა 7 სამარხი, ქალის – 24, ბავშვის – 2. დანარჩენ სამარხებში თუ რომელი სქესის წარმომადგენელი იყო დაკრძალული, ამის შესახებ მსჯელობა ძნელია, რადგან ინვენტარი მხოლოდ კერამიკული ჭურჭლით, ან მათი ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი [მიქელაძე, 1985: 14]

პრობლემური საკითხია, თუ რის გამო იყო განპირობებული სხვაობა ერთ ძეგლზე სამარხ-კონსტრუქციებს შორის. ორივე, კოლექტიური სამარხი-ორმოები და ინდივიდუალური სამარხები ერთი პერიოდით ძვ.წ. VII-VI საუკუნეებითაა დათარიღებული [მიქელაძე, 1985: 10]. რაც შეეხება სამარხეულ ინვენტარს, ოქროს, ვერცხლისა და ელექტრუმის ნაკეთობანი მხოლოდ კოლექტიურ-სამარხ-ორმოებშია დაფიქსირებული. ამ ფაქტის გარდა, სხვა სხვაობა კოლექტიურ-სამარხ-ორმოებისა და ინდივიდუალური სამარხების ინვენტარულ მასალას შორის არ შეინიშნება. როგორც თ. მიქელაძე მიიჩნევდა, ამ სხვაობის საფუძველი არ შეიძლება ყოფილიყო სქესობრივი, სოციალური და რაც მთავარია, ეთნიკური ფაქტორი. ეს სხვაობა შეიძლება უკავშირდებოდეს გარკვეულ რწმენა-წარმოდგენას, მაგრამ გადაჭრით ამის თქმა ძნელია, რადგან დაკრძალვის წესის კუთხით არსებითი სხვაობა არ დაფიქსირებულა. დაკრძალვის წესი კი რწმენა-წარმოდგენათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამომხატველი ნიშანია. როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ სამარხებში

შეინიშნება ე.წ. მეორადი დაკრძალვის წესი, რაც კოლხური კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე გამოვლენილ მრავალ სამაროვანზეა დამოწმებული.

\

ნიგვზიანი

ნიგვზიანის სამაროვანი მდებარეობდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანში ერთ-ერთ შემაღლებულ ბორცვზე, ზღვის ნაპირიდან დაახლოებით 20 კმ-ის დაშორებით. ბორცვის ზედაპირი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გამო დავაკებული იყო. წლების განმავლობაში მოსახლეობა აქ პერიოდულად პოულობდა სხვადასხვა ნივთებს და ძვლის ფრაგმენტებს, ხანდახან სპეციალურადაც კი თხრიდა მიწას. ყოველივე ამან ძეგლის ნაწილობრივი დაზიანება გამოიწვია. არქეოლოგიური სამუშაოები, იქ, კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჩაატარა და 200 $მ^2$ ფართობის გათხრის შედეგად 10 სამარხს მიაკვლია.

ნიგვზიანის სამაროვანზე დადასტურებული ყველა სამარხი კოლექტიურ სამარხ-ორმოს წარმოადგენდა. ყველაზე ადრეული №1 კოლექტიური სამარხი-ორმო უნდა ყოფილიყო, რომელსაც მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით, მკვლევარი ძვ.წ. VII საუკუნის ბოლო პერიოდით ათარიღებდა [მიქელაძე, 1985: 91].

კოლექტიური სამარხი-ორმოები მიცვალებულთა ძვლებით, სამარხეული ინვენტარითა და რიყის ქვით ყოფილან ამოვსებული. რიყის ქვები თ. მიქელაძეს ქვაყრილის ნარჩენებად მიაჩნდა, რადგან ორმოები თირში იყო ამოღებული და რიყის ქვა სხვა ადგილიდან სპეციალურად მოტანილი უნდა ყოფილიყო [მიქელაძე, 1985: 71].

სამარხი-ორმოები ფორმის მიხედვით იყვნენ როგორ ოვალური (№1) ასევე სწორკუთხა ფორმის (№2).

სამარხი-ორმო №1. სიღრმე – 2,75 მ. მას ოვალური მოყვანილობა გააჩნდა და დაფარული იყო ქვაყრილით, რომელიც მიწის ზედაპირიდან 0,30-0,35 მ-ის

სიღრმეზე აღმოჩნდა. ქვაყრილში დიდი ოდენობით კერამიკული ფრაგმენტები და ლითონის ნივთები დაფიქსირდა [მიქელაძე, 1985: 71].

სამარხი-ორმო №2. სამარხს სწორკუთხა ფორმა ჰქონდა და ქვაყრილით იყო დაფარული.

სამარხი-ორმო №3. შედარებით მცირე ზომის. დაფარული იყო ქვაყრილით.

სამარხი-ორმო №4. ქვაყრილიანი. სამარხი შეიცავდა ძლიერ ფრაგმენტირებულ ძვლებსა და კერამიკის ფრაგმენტებს.

სამარხი-ორმო №5. წარმოადგენდა ქვაყრილით დაფარულ სამარხ-ორმოს.

სამარხი-ორმო №6. სიღრმე – 1,75 მ. ქვაყრილიანი.

სამარხი-ორმო №7. სიღრმე – 0,25 მ. ქვაყრილიანი.

სამარხი-ორმო №8. სიღრმე – 0,30-0,75 მ. ქვაყრილიანი.

სამარხი-ორმო №9. ქვაყრილიანი.

სამარხი-ორმო №10(12). ქვაყრილიანი.

სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთით გამოვლინდა ქვაყრილით მოფენილი ფართობი, რომელიც თ. მიქელაძის მოსაზრებით საკულტო მოედანს წარმოადგენდა [მიქელაძე, 1985: 71].

ნიგვზიანის სამაროვნის ქრონოლოგიური ჩარჩო თ. მიქელაძის მიერ ძვ.წ. VII–VI საუკუნებითაა განსაზღვრული [Микеладзе, 1976: 40]. აქ გამოვლენილ კოლექტიურ სამარხებში ძვლოვანი მასალა ფრაგმენტული სახით იყო წარმოდგენილი და ცეცხლის ზემოქმედების კვალს ატარებდა. ამავე დროს, ეს ფრაგმენტები ერთმანეთში ისე იყო არეული, მსგავად ინვენტარისა, რომ კოლექტიურ სამარხ-ორმოებში ცალკეული კომპლექსების გამოყოფა ვერ მოხერხდა.

ხუცუბანი

ხუცუბანის სამაროვანი მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ხუცუბანის მახლობლად, მდ. კინტრიშისა და ურიის ღელეს შესართავთან.

არქეოლოგიური სამუშაოები დაიწყო 1944 წელს და, საერთო ჯამში, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის 8 სამარხი იქნა გათხრილი.

სამაროვნის გათხრის პროცესში დაფიქსირდა ნახშირისა და ნაცრის ფენა. მიწას ცეცხლის ზემოქმედების კვალი ეტყობოდა [იოსელიანი, 1973: 107-108].

სამარხი №1. სიღრმე – 2 მ. სამარხ ორმოს კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის მოყვანილობა ჰქონდა (ტაბ. XXI, 2). დაფარული იყო რიყის ქვისგან შემდგარი ყრილით. სამარხეული ინვენტარი: რკინის შუბისპირი, რკინის სატევრისპირი, კერამიკული ფრაგმენტები.

სამარხი №2. სიღრმე – 2 მ. არასწორი ოთხკუთხა მოყვანილობის ორმოთი (ტაბ. XXI, 3). ქვაყრილიანი. სამარხეული ინვენტარი: ბრინჯაოს ხატისუღელი, კერამიკის ფრაგმენტები, გიშრის 30 და სარდიონის 10 მძივი [იოსელიანი, 1973: 111].

სამარხი №3. სიღრმე – 2 მ. არასწორი ოთხკუთხედის ფორმის (ტაბ. XXI, 4). ქვაყრილიანი. სამარხეული ინვენტარი: ბრინჯაოს ცული, სეგმენტური იარაღი, სამაჯური, გიშრის მძივები (15), კერამიკული ფრაგმენტები.

სამარხი №4. სიღრმე – 2 მ. არასწორი ოთხკუთხა მოყვანილობის ორმოთი (ტაბ. XXII, 1). დაფარული იყო რიყის ქვებისგან მოწყობილი ყრილით. აღნიშნული სამარხი სხვებისაგან ინვენტარის მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. წარმოდგენილი იყო: ბრინჯაოს უმბონი (?), ბალის ფრაგმენტები, ცული, სამაჯური, რკინის სატევრისა და ფიბულის ფრაგმენტები, სარდიონისა და გიშრის მძივები. მრავლად აღმოჩნდა სხვადასხვა ტიპის კერამიკის ფრაგმენტები [იოსელიანი, 1973: 111].

სამარხი №5. სიღრმე – 2 მ. კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის ფორმის ორმოთი (XXII, 2). სამარხეული ინვენტარი: ბრინჯაოს რგოლები, სამაჯური, 40-მდე სარდიონის მძივი; კერამიკული ფრაგმენტები [იოსელიანი, 1973: 111-112].

სამარხი №6. ოთხკუთხა მოყვანილობის (ტაბ. XXII, 3). ქვაყრილიანი. სამარხეული ინვენტარი: ბრინჯაოს ცული, სეგმენტური იარაღი და კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები [იოსელიანი, 1973: 112].

სამარხი №7. არასწორი ოთხკუთხედის მოყვანილობის (ტაბ. XXII, 4). ქვაყრილიანი. სამარხეული ინვენტარი: ბრინჯაოს სეგმენტური იარაღი, რკინის მახვილი, ისრისპირი, გიშრისა და სარდიონის მძივები; კერამიკის ფრაგმენტები [იოსელიანი, 1973: 112].

სამარხი №8. კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის ფორმის ორმოთი (ტაბ. XXII, 5). სამარხეული ინვენტარი შედგებოდა რკინის 4 ზოდისაგან (?), რკინისავე მახვილის, ფიბულისა და კერამიკულის ჭურჭლის ფრაგმენტებისაგან. გამოვლინდა გიშრისა და სარდიონის 60-მდე მძივი [იოსელიანი, 1973: 112].

ცეცხლის კვალი გარდა სამარხთა გარე პერიმეტრისა, ასევე თვითონ სამარხებშიც იქნა დაფიქსირებული. როგორც ა. იოსელიანი აღნიშნავს, ყველა სამარხში შეინიშნებოდა "ნახშირის დანაცრებული ფერფლისა და დამწვარი ფხვიერი მიწის გროვების სიმრავლე და ნივთთა განლაგების ერთგვარი უწესრიგობა" [იოსელიანი, 1973: 112]. აღნიშნული ფაქტი, თუ გავითვალისწინებთ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილ სინქრონულ სამარხეულ ძეგლებს, უნდა მიუთითებდეს კრემაციის წესის არსებობაზე.

გორაძირი

გორაძირის სამაროვანი საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 2 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. 1965 წელს, აქ, დაზვერვითი სამუშაოების დროს ყორღანული ტიპის სამარხები გამოვლინდა. 1967 წელს 3 ყორღანი, ხოლო 1968 წელს კი 4 ორმოსამარხი გაითხარა.

№1 ყორღანული ტიპის სამარხის ყრილი წრიული მოყვანილობისა იყო, დიამეტრი – 10-12 მ. ყრილის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 1–1,2 მეტრის სიმაღლეზე იყო. ყრილი მიწას და საშუალო და მომცრო ზომის ნაგლეჯ ქვებს შეიცავდა [გოგაძე... 1981: 5]. დასაკრძალავი ორმო ყორღანის ცენტრალურ ნაწილში იყო მოთავსებული და ოვალური მოყვანილობა ჰქონდა (2 X 1,3 მ). ორმოს ძირი ჩრდილოეთ მხარეს გრუნტიდან 0,5 მ-ის, სამხრეთ მხარეს 0,7 მ-ის, ყორღანის ზედაპირიდან კი 1,15–1,6 მეტრის სიღრმეზე მდებარეობდა. ორმოს სამხრეთ და აღმოსავლეთ კიდეებზე მოთავსებული ყოფილა 4 დიდი ლოდი. სამარხი დაზიანებულ-გაძარცული იყო, რაც სამარხეული ინვენტარისა და ოსტეოლოგიური მასალის არეულ მდგომარეობაზე შეიმჩნეოდა. აღნიშნული

ყორღანული სამარხი, ძეგლის გამთხრელების აზრით, შესაძლოა კოლექტიური ხასიათისა ყოფილიყო [გოგაძე... 1981: 6].

№2 ყორღანი №1-დან სამხრეთით 30 მეტრის მოშორებით მდებარეობდა. მისი დიამეტრი 11-12 მეტრი, ხოლო ყრილის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 0,5-0,6 მეტრი იყო. ეს ყორღანიც, სავარაუდოდ, კოლექტიური სამარხი უნდა ყოფილიყო [გოგაძე... 1981: 7]. მისი ყრილი შედგებოდა შავი ფერის მიწისაგან, რომელიც მცირე ოდენობით ნაგლეჯ ქვებს შეიცავდა.

№3 ყორღანი გორაძირის დიდი გორიდან ჩრდილოეთით, 30 მეტრის დაშორებით მდებარეობდა. მისი დიამეტრი 2 მეტრი იყო, ხოლო შემორჩენილი სიმაღლე 0,3-0,4 მეტრი. დასაკრძალავი კამერა მკაფიოდ გამოხატული არ ყოფილა [გოგაძე... 1981: 7]. შეინიშნებოდა ხის დანახშირებული ნაშთები, რაც ხის გადახურვის არსებობით შეიძლება იქნას ახსნილი.

აღნიშნული ყორღანული სამარხებიდან დასავლეთით, 50-60 მეტრის დაშორებით, 1968 წელს 4 ორმოსამარხი გამოვლინდა. ყველა მათგანი დაზიანებული, ხოლო ინვენტარი არეული იყო. ისინი ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდ იყვნენ განლაგებული. მათი სიღრმე არ იყო დიდი, რადგან ინვენტარი მიწის ზედაპირიდან 0,3-0,5 მეტრის სიღრმეზე იჩენდა თავს. სამარხთა ზომების დადგენა მხოლოდ ინვენტარის გავრცელების მიხედვით მოხერხდა.

სამარხი	ზომა(მ.)	დამხრობა
№1	2 X 1,3	O - N
№2	1,25 X 0,75	N - S
№3	1,25 X 0,8	NO - SW
№4	2 X 1,5	N - S

ზოგიერთ სამარხში კრემირებული ძვლების მცირე ნატეხები შეინიშნებოდა [გოგაძე... 1981: 8], რაც კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი კრემაციული ორმოების გავრცელებაზე შეიძლება მეტყველებდეს, მაგრამ გორაძირის ორმოსამარხთა ცუდი მდგომარეობა ამ საკითხის ბოლომდე გადაჭრის შესაძლებლობას არ ტოვებს.

გორაძირის მთლიანი მასალის ტიპოლოგიურმა ანალიზმა მკვლევარები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ძეგლი ძვ.წ. VII-VI საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს, გვიანბრინჯაო–ადრერკინის ხანის დასასრულსა და

ადრეანტიკური პერიოდის საწყის ეტაპს, თუმცა არ გამორიცხავენ ყორღანული ტიპის სამარხებიდან მომდინარე და №4 ორმოსამარხის ინვენტარის ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრით ან დასასრულით დათარიღებას [გოგაძე... 1981: 21].

IV.2. ყობანური კულტურის ძეგლები

ცენტრალური ვარიანტი

ყობანის სამაროვანი

აული ყობანი მდებარეობს დღევანდელი ოსეთის ტერიტორიაზე, ქ. ვლადიკავკაზიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 35 კმ-ის დაშორებით, პრიგოროდნის რაიონში (გიზელდონის ხეობა). ყობანი თავიდან ორი დასახლებული პუნქტისაგან, ზემო და ქვემო ყობანისაგან შედგებოდა, რომლებიც დღესდღეობით ერთ სოფლად არიან გაერთიანებული. პირველი აღმოჩენები აქ 1869 წლიდან დაიწყო, როდესაც ადგილობრივმა ფეოდალმა ხაბოშ კანუკოვმა მრავალრიცხოვანი სამარხების გათხრის შედეგად მოპოვებული ინვენტარი მოიპოვა და კავკასიის მუზეუმს მიჰყიდა. 1877 წელს ზემო ყობანის სამაროვანზე გათხრებს აწარმოებდა გ. ფილიმონოვი [Филимонов, 1878]. 1879 წელს კი ვ. ანტონოვიჩმა დამატებით 5 სამარხი შეისწავლა [Антонович, 1879].

ყობანის სამაროვანზე საველე სამუშაოებს სხვადასხვა დროს აწარმოებდნენ ა. უვაროვი, პრ. უვაროვა, ფრ. ბაიერნი, რ. ვირხოვი, ე. შანტრი. ა. ბობრინსკი, ვ. დოლბეჟევი, ა. დრანიცინი, ე. კრუპნოვი და სხვ. ყობანის სამაროვნის პირველი, შედარებით სრულყოფილი პუბლიკაცია დაკავშირებულია ე. შანტრის სახელთან, რომელმაც საერთო ჯამში 22 სამარხი გათხარა. ყობანის სამაროვანისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან აღსანიშნავია პრ. უვაროვას "ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვნები", რომელშიც ფართოდაა განხილული არა მარტო ყობანის, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა პერიოდის ძეგლებიც [Уварова, 1900].

ყობანის სამაროვნის მრავალრიცხოვანი სამარხები მეცნიერული თვალსაზრისით სუსტად არის შესწავლილი, რადგან მათი უმრავლესობა მძარცველური გზით გაითხარა. ამ საქმეში განსაკუთრებით სწორედ ხაბოშ კანუკოვი აქტიურობდა, რომელმაც ასეთი "გათხრებით" 600-მდე სამარხი

გაანადგურა. ამ მძარცველური ფაქტების შედეგად, ყობანის სამაროვნის ურიცხვი არქეოლოგიური მასალა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებში მოხვდა, რომელთა კლასიფიკაცია და დათარიღება მათი უსისტემოდ მოპოვების გამო თითქმის შეუძლებელია.

ძეგლის დიდი ნაწილის განადგურების მიუხედავად, რამდენიმე სამარხის უკეთ გადარჩენის წყალობით, შესაძლებელი შეიქმნა დაკრძალვის წესის დადგენა და შესწავლა. მიცვალებულებს აქ ქვიშაქვის დამუშავებული ფილებისაგან შეკრულ სამარხებში, ე.წ. ქვაყუთებში კრძალავდნენ. ფილების სისქე 12-15 სმ-ს შორის მერყეობდა. სამარხთა სიგრძე საშუალოდ 1,2 მ-ს აღწევდა, ხოლო სიგანე – 0,7 მ-ს. ქვაყუთები დაფარული იყო იმავე ტიპის ფილებით, რომლებიც სამარხთა კედლებს წარმოადგენდნენ. ყობანის სამაროვანზე სამარხის კიდევ ერთ ტიპს, დიდი ზომის ქვებით (კაჭრებით) შემოწყობილი სამარხები შეადგენდნენ, რომლებშიც ხის კონსტრუქციის ნაშთიც გამოვლინდა. სამარხთა უმრავლესობაში, ჩონჩხის ირგვლივ, მიწაში ნახშირის დიდი ოდენობით შემცველობა დაფიქსირდა. მიცვალებულებს ყოველთვის ხელ-ფეხმოკეცილს, უპირატესად მარჯვენა გვერდზე მწოლიარეს მარხავდნენ, რომელთაც თან ატანდნენ დიდი ოდენობით ინვენტარს [Уварова, 1900: 9-11].

ყობანის სამაროვნის სამარხთა ტიპებისა და დაკრძალვის წესზე სრულყოფილად მსჯელობა ე. შანტრის მიერ შესწავლილი სამარხების მეშვეობითაა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ყველა აღნიშნული სამარხი ტიპოლოგიური ერთგვაროვნებით ხასიათდება. გამოსარჩევია ე. შანტრის მიერ გათხრილი №1 სამარხი (ტაბ. XXIII), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მდიდრული ინვენტარით გამოირჩეოდა. შემდეგში ეს სამარხი გადანომრილ იქნა და სამეცნიერო ლიტერატურაში შესულია როგორც №9 სამარხი [Bedianashvili, Bodet: 281-284]. ის ქვაყუთს წარმოადგენდა და კონსტრუირებული იყო 12-15 სმ-ის სისქის ქვიშაქვის დამუშავებული ფილებისაგან. წაგრძელებული ნაწილით მიმართული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სამარხეული ინვენტარის მიხედვით, მასში ქალი უნდა ყოფილიყო დაკრძალული. მიცვალებული ოდნავ ხელ-ფეხმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე მოუთავსებიათ. მრავალრიცხოვანი სამარხეული ინვენტარის ფონზე გამოსარჩევია სამარხში მიკვლეული ცხვრის, ღორის ძვლები და 5 ნიჟარა [Chantre, 1882: 244-245].

სამარხი №2 (12) (ტაბ. XXIV). მდებარეობდა №1 (№9) სამარხის სიახლოვეს, თუმცა ის არ წარმოადგენდა ქვაყუთს. სამარხი გადაფარული იყო შედარებით

მოზრდილი და დაუმუშავებელი ქვებით. ე. შანტრმა სამარხში ხის კონსტრუქციის არსებობაც არ გამორიცხა [Chantre, 1882: 245-246]. მიცვალებული, რომელსაც მრავალრიცხოვანი სამარხეული ინვენტარი ჰქონდა ჩატანებული, მარჯვენა გვერდზე, ოდნავ მოხრილ მდგომარეობაში განისვენებდა. მის ფეხებთან დაკრძალული იყო 8-10 წლის ბავშვი. აღნიშნულ სამარხში ასევე დაფიქსირდა ცხოველის ძვლები [Chantre, 1882: 246].

სამარხი №3. კვადრატთან მიახლოებული ფორმის ქვაყუთში მიცვალებულის ძვლები ძალზედ ცუდად ყოფილა დაცული. სამარხეული ინვენტარის მიხედვით აქ მდედრობითი სქესის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო დაკრძალული [Chantre, 1882: 246-247].

სამარხი №4. ქვაყუთი. შედარებით მცირერიცხოვანი სამარხეული ინვენტარის მიხედვით სამარხი მამაკაცს ეკუთვნოდა. ჩონჩხი თითქმის მთლიანად იყო დაშლილი [Chantre, 1882: 247].

სამარხი №5. ქვიშაქვის ფილებით კონსტრუირებული ქვაყუთი. დაზიანებული. სამარხში დაკრძალული ყოფილა ქალი და მცირეწლოვანი ბავშვი [Chantre, 1882: 247-248].

სამარხი №5ა. ქვაყუთი. მოთავსებული იყო №5 სამარხის გვერდით. ძლიერ დაზიანებული. სამარხი ინვენტარის მრავალფეროვნებით გამოირეოდა, რომელთა შორის იყო მინის 92 მძივი. სამკაულის დომინირება მიანიშნებს, რომ სამარხში ქალი უნდა ყოფილიყო დაკრძალული [Chantre, 1882: 248].

სამარხი №6. სამარხი ქვის ფილებით იყო შეკრული. მიწის ზედაპირიდან 1 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ბავშვის უინვენტარო ჩონჩხი, ხოლო მოზრდილი ადამიანი მისგან 0,3 მ-ის სიღრმეზე იყო მოთავსებული და თან ახლდა დიდი ოდენობით ინვენტარი, მათ შორის ტორევტიკის ნიმუშები [Chantre, 1882: 248-249].

სამარხი №7. ქვაყუთი. დაზიანებული. მიცვალებულის ძვლები და სამარხეული ინვენტარი არეული და გაფანტული ყოფილა [Chantre, 1882: 249].

სამარხი №8. დაზიანებული. მიცვალებულის (ქალის) ჩონჩხი შედარებით კარგად იყო შემონახული. ე. შანტრის მოსაზრებით ეს სამარხი სამაროვანზე ერთ-ერთი ყველაზე მდიდრული იყო. ინვენტარი: მინისა და ბრინჯაოს 40 მძივი, 60 სპირალური ხვია, 30 კაბოშონი, საკიდები, ბეჭდები, სამაჯურები და სხვ. [Chantre, 1882: 250].

სამარხი №9. ქვაყუთი. მიცვალებულის ძვლები თითქმის მთლიანად ყოფილა დაშლილი, ხოლო სამარხეული ინვენტარი შედარებით უკეთესად დაცული.

სამარხი შეიცავდა ისეთ ნივთებს, რომელიც გვხვდება როგორც მამაკაცთა, ასევე ქალთა სამარხებში. ამის გამო მიცვალებულის სქესის განსაზღვრა ე. შანტრმა შეუძლებლად მიიჩნია [Chantre, 1882: 250-251].

აღნიშნული 10 სამარხის გარდა, 12 სამარხის აღწერილობა ე. შანტრის ნაშრომებში არ გვხვდება. როგორც თავად შენიშნავს, აღნიშნული სამარხები ძლიერ იყვნენ დაზიანებული. ხშირ შემთხვევებში მიცვალებულთა ძვლები დაშლილი ყოფილა, ხოლო ინვენტარი ხელუხლებელი, რომელსაც ე. შანტრი სამ ძირითად კატეგორიად ჰყოფს [Chantre, 1883: 206-208]:

1. საბრძოლო იარაღი.

2. სამკაული და ჰიგიენური საშუალებები.

3. ჭურჭელი.

ე. შანტრის მიერ შესწავლილი სამარხების მიხედვით, შესაძლობლობა გვაქვს ვთქვათ, რომ სამაროვანზე დაკრძალვის ინჰუმაციური წესი იყო გაბატონებული. მიცვალებულებს უპირატესად მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილებს მარხავდნენ. სამწუხაროდ, შეუძლებელია იმის თქმა, თუ თავით რომელ მხარეს ხდებოდა მათი მოქცევა. აღსანიშნავია, რომ შანტრის მიერ გათხილ სამარხებში მიცვალებულების რომელიმე მხარეს მოთავსება სქესის მიხედვით არ ყოფილა განსაზღვრული, რაც ყობანურ კულტურაში არ წარმოადგენს იშვიათობას. ამ კუთხით, საინტერესოა კ. ოლშევსკის მიერ ჩახატული ორი სამარხი, რომელთაგან ერთი მამაკაცს (ტაბ. XXV, 1), ხოლო მეორე ქალს (ტაბ. XXV, 2) ეკუთვნოდა. სამარხში მიცვალებულები მრავალრიცხოვან ინვენტართან ერთად ფილებით შეკრულ ქვაყუთებში მოუთავსებიათ, ორივე მარჯვენა გვერდზე, ოდნავ მოხრილ მდგომარეობაში [Уварова, 1900: 8-11].

ყობანის სამაროვნის შესწავლილი სამარხების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამაროვანზე დაკრძალვის წესის ერთგვაროვნება შეინიშნება. თუმცა, განადგურებული სამარხების კონსტრუქციათა და დაკრძალვის წესის შესახებ ინფორმაციის არარსებობის გამო, ამ მოსაზრების მთელ სამაროვანზე განვრცობა უმართებულო იქნებოდა.

საინტერესოა ყობანის სამაროვნის ქრონოლოგიური ჩარჩო. ეს დღემდე გადაუწყვეტელ პრობლემას წარმოადგენს, თუმცა ჩვენ ხელთ გვაქვს რადიოკარბონული თარიღები №1 (№9) და №2 (№12) სამარხებიდან [Bedianashvili, Bodet: 281-284], რომელთა მიხედვითაც ორივე სამარხი ძვ.წ. IX-VII საუკუნეებს შორის შეიძლება მოთავსდეს.

ზემო რუთხა

ოსეთის ტერიტორიაზე მიკვლეული ძეგლებიდან აღსანიშნავია სოფელ ყუმბულთას (დიგორი) მახლობლად გამოვლენილი ზემო რუთხის სამაროვანი. აქაც ძირითადად ქვაყუთები სჭარბობდა. 1889 წელს ვ. დოლბეჟევმა ორი სამარხი შეისწავლა, რომლებშიც მიცვალებულის ძვლებსა და სამარხეულ ინვენტარს ცეცხლის ძლიერი ზემოქმედების კვალი ეტყობოდა [Козенкова, 1982: 17-18].

1937, 1938 და 1940 წლებში ყუმბულთაში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ე. კრუპნოვი. მის მიერ გამოვლენილი 20 კომპლექსიდან, 17 ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისს განეკუთვნებოდა. ყველა სამარხი დაზიანებული ყოფილა და მხოლოდ ცალკეული ინვენტარი იყო შემორჩენილი. შედარებით კარგად დაცული მიცვალებულის ჩონჩხი მხოლოდ №19 სამარხში დაფიქსირდა. მიცვალებული აქ თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მოუთავსებიათ [Крупнов, 1960: 230].

ზემო რუთხის სამაროვანზე კრემაციის წესის არსებობა 1974-76 წლების გათხრებმაც დაადასტურა. არქეოლოგიურმა ექსპედიციამ იქ ძვ.წ. X-VIII სს-ის ქვით ნაგები სპეციალური საკრემაციო კონსტუქცია დააფიქსირა, რომელიც თავისებურ კოლექტიურ სამარხს წარმოადგენდა. ოსტეოლოგიური მასალის მიხედვით, სამარხში 50-მდე სანახევროდ კრემირებული ინდივიდი იყო დამარხული [Кривицкий... 1976:131]. სამწუხაროდ, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული სამარხი-აკლდამის თაობაზე დეტალური ინფორმაცია არ გვხვდება, რაც ართულებს მის სხვა ძეგლებთან მიმართებაში განხილვას.

ადაიდონი

ადაიდონის სამაროვანი ოსეთში, ალაგირის რაიონის სოფლების ცმისა და ქვემო ზარამაგის სიახლოვეს მდებარეობს. ძეგლი ჩრდილოეთ ოსეთის-ალანიის კ. ხეთაგუროვის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა 2006 წელს აღმოაჩინეს. ამავე წელს დაიწყო გათხრები, რომელსაც ჰ. ჩშიევი ხელმძღვანელობდა.

სამაროვნის საერთო ფართობი დაახლოებით 6000 $მ^2$-ია და მოთავსებულია ზარამაგის არიდული ქვაბულის ერთ-ერთ დაბალ ტერასაზე, მდ. ადაიდონის მარცხენა ნაპირას. აქ სხვადასხვა პერიოდის სამარხები 4 იარუსად ყოფილა მოწყობილი. აღსანიშნავია, რომ იარუსები ერთმანეთზე დასავლეთისაკენ საფეხურების მსგავსი პრინციპით იყვნენ მოთავსებული. ოთხივე იარუსის სამარხები ქვით ნაგები და ნიადაგში ჩაჭრილი იყო.

პირველ იარუსზე მოწყობილი ყოფილა კვადრატული ფორმის კოლექტიური სამარხები, ზომით 2,30 X 2,30 მ-ზე. მათი კედლები ლოდებითა და ფლეთილი ქვებით იყო ამოყვანილი. გადახურვა შავი ფერის ფიქალის მასიური ფილებისგან შედგებოდა, რომელთა თავზეც მცირე ზომის ფიქალისავე ფილები ყოფილა მოთავსებული. პირველი იარუსის ყველა სამარხი კოლექტიური იყო და 5-6 ადამიანის ძვლებს შეიცავდა. დაკრძალვის წესის და მიმართულების დადგენა გართულებულია ძვლების არეული მდგომარეობისა და სამარხ-კონსტრუქციათა დეფორმაციის გამო.

მეორე იარუსის სამარხები ფორმით სწორკუთხედს წააგავდნენ და საშუალო ზომა 2,50 X 1,20/1,40 მ-ზე იყო. მათი მოგრძო ნაწილი დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე იყო განთავსებული. სამარხები ერთმანეთისგან საშუალოდ 20-30 სმ-ის მოშორებით იყვნენ მოთავსებული. ყველა მათგანი კოლექტიური იყო, ოღონდ პირველი იარუსის სამარხებისაგან განსხვავებით მიცვალებულთა რაოდენობა 2-4 კაცს არ აღემატებოდა. ამ იარუსზე ხშირად ჩნდებოდა ორდონიანი სამარხები, როცა ქვედა დონის სამარხის ფიქალის ფილებისაგან გაკეთებული გადახურვა ზედა დონის სამარხის ძირს წარმოადგენდა.

ადაიდონის სამაროვნის მესამე იარუსი ორი ტიპის სამარხებით იყო შედგენილი. პირველი ტიპის სამარხ-კონსტრუქციები - ფლეთილი ქვებითა და

ფიქალით ნაგები კედლებითა და ფიქალისავე მასიური ფილებით გადახურული. სამარხების საშუალო ზომა 1,50/1,80 X1,20 მ-ზე იყო. მეორე ტიპის სამარხები ქვაყუთებითაა წარმოდგენილი, რომლებიც ვერტიკალურად დაყენებული მთლიანი ფიქალის ფილებისაგან არიან შეკრული და მსგავსი მასალითვე გადახურულნი. მათი საშუალო ზომა 1,10X1,20მ-ს შორის მერყეობს. მიცვალებულები მოხრილ მდგომარეობაში განისვენებდნენ მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთისაკენ, აღმოსავლეთისაკენ ან დასავლეთისაკენ ორიენტირებულნი.

მეოთხე იარუსის სამარხები საკმაოდ დაზიანებული იყო, თუმცა კონსტრუქციებში ბევრ საერთოს ამჟღავნებდა მესამე იარუსის სამარხებთან.

ძეგლის დათარიღებასთან დაკავშირებით, მისი გამთხრელის მიერ შემოთავაზებულია შემდეგი ქრონოლოგიური ჩარჩო, რომელიც ძირითადად სამარხეულ ინვენტარს ემყარება: I და II იარუსის სამარხები – ძვ.წ. XIV-XII საუკუნეები, III იარუსი – ძვ.წ. XI-VII სს, ხოლო მეოთხე იარუსისა ძვ.წ. V–IV საუკუნეები [Чшиев, 2008].

2009 წელს ზარამაგის ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობის გამო ადაიდონის სამაროვანი, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილი შეუსწავლელი დარჩა, წყლის ქვეშ აღმოჩნდა, რამაც ძეგლის სრული განადგურება გამოიწვია.

კომაროვო

კომაროვოს სამაროვანი მდებარეობს დღევანდელ ჩრდილოეთ ოსეთში, მოზდოკის რაიონის სოფელ კომაროვოს მახლობლად, მდ. თერგის მარჯვენა სანაპიროზე. ძეგლი, რომელიც შემაღლებულ ადგილას იყო მოწყობილი, 1970 წელს მ. აბრამოვას მიერ იქნა შესწავლილი.

სამაროვანზე სულ 10 სამარხი გაითხარა. ყველა მათგანი უბრალო ორმოსამარხს წარმოადგენდა და მიწისზედა კონსტუქციების კვალი არ ეტყობოდათ. სამარხები რიგებად განლაგებული და ერთმანეთისაგან 10-15 მ-ის მანძილით იყვნენ დაშორებული. მათი სიღრმე 0,8-1,3 მ-ს შორის მერყეობდა.

ყველა მათგანი ფორმით ოვალთან მიახლოებული იყო და ინდივიდუალურ სამარხს წარმოადგენდა. მიცვალებულები მოთავსებული იყვნენ მოკუნტულ მდგომარეობაში, როგორც მარჯვენა (მამაკაცები), ისე მარცხენა გვერდზე (ქალები). თავით უმეტესად სამხრეთისაკენ იყვნენ ორიენტირებული, იშვიათ შემთხვევებში კი ოდნავ დასავლეთისაკენ გადახრილი.

სამარხეული ინვენტარი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. იარაღ-სამკაულის გარდა, უკლებლივ ყველა სამარხში 3-4 კერამიკული ჭურჭელი ყოფილა მოთავსებული. აღსანიშნავია, რომ №4 სამარხში (ტაბ. XXV, 3) მიცვალებულს, რომელიც მოკუნტული, მარცხენა გვერდზე მწოლიარე და თავით სამხრეთისაკენ ორიენტირებული იყო, თავთან ჩადგმულ ჭურჭელში ცხვრის ძვლები ჰქონდა ჩაწყობილი [Абрамова, 1974: 195]. ცხვრის ძვლები კერამიკული ჭურჭლის სიახლოვეს №5 სამარხშიც გაიწმინდა. №8 სამარხში დაფიქსირდა ნახშირის კვალი.

მ. აბრამოვა სამარხეული მასალის საფუძველზე სამაროვანს ძვ.წ. VI ს-ის I ნახევრით ათარიღებდა [Абрамова, 1974: 204].

აღმოსავლური ვარიანტი

სერჟენ-იურტი

აული სერჟენ-იურტი მდებარეობს ჩეჩნეთში, შალის რაიონში. 1950-იანი წლების ბოლოს აულიდან სამხრეთ-დასავლეთით 1-1,5 კმ-ის მოშორებით, შემაღლებულ ადგილზე ყობანური კულტურის ფართო დასახლება და სამაროვანი იქნა მიკვლეული, რომლის მეცნიერული შესწავლაც 1958 წელს დაიწყო და ორივე ძეგლი თითქმის მთლიანად იქნა შესწავლილი. სერჟენ-იურტის სამაროვანზე დაახლოებით 100-მდე სამარხია გათხრილი.

პირველი ესქპედიციის დროს (1958 წ. ხელმძღვანელი – მ. მარკოვინი), როცა მას დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა, სერჟენ-იურტის სამაროვანზე 2 სამარხი იქნა გამოვლენილი. ერთი არხის გაყვანისას ყოფილა განდგურებული, მეორე სამარხი კი ექსპედიციის მიერ ჩატარებული სამუშაოების დროს აღმოჩნდა. სამარხის სიგრძე 1,5 მეტრი (ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე), ხოლო სიგანე 2 მეტრი (დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე) იყო. მიცვალებულის ჩონჩხიდან მხოლოდ ფეხის დაშლილი ძვლები იყო შემორჩენილი. სამარხის ძირზე დიდი ოდენობით კერამიკის ფრაგმენტები ყოფილა მიმოფანტული. სამარხში ასევე აღმოჩნდა ბრინჯაოს 4 სამაჯური, რომელთაც უახლოესი პარალელები ლეჩხუმის განძებში მოეპოვებათ [Марковин, 1961:58].

1965 წელს სერჟენ-იურტის სამაროვანზე გაგრძელდა არქეოლოგიური სამუშაოები, რომელთა ძირითადი მიზანიც სამოსახლოს შესწავლა იყო. თუმცა, სამაროვანზე, რომელიც დასახლებიდან 800 მეტრის მანძილზე მდებარეობდა, კიდევ 2 სამარხი იქნა გამოვლენილი. მათი სიღრმე მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 1 მეტრს აღწევდა. სამარხის ორმოს კონტურების დადგენა არქეოლოგებმა ვერ მოახერხეს [Козенкова, 1967: 88]. ერთ სამარხში (№3) ოსტეოლოგიური მასალისაგან მხოლოდ ხელის ძვლები და თავის ქალა იქნა დამოწმებული. მიცვალებული მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ განისვენებდა. მეორე სამარხიდან (№4) კი, რომელიც მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,5 მეტრის მოშორებით იქნა გათხრილი, მხოლოდ ადამიანის კბილები, ბრინჯაოს საკიდი და კერამიკის ფრაგმენტები იყო შემორჩენილი. აღნიშნული სამარხებიდან მომდინარე ინვენტარს ვ. კოზენკოვა ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებს [Козенкова, 1967: 89].

1966-67 წლებში სერჟენ-იურტის სამაროვანზე 24 სამარხი იქნა გამოვლენილი. ძეგლზე შესწავლილ სამარხთა შორის, ინვენტარის მხრივ, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია №24 სამარხი (ტაბ. XXVI), რომელშიც ვ. კოზენკოვას აზრით, მხედართმთავარი უნდა ყოფილიყო დაკრძალული [Козенкова, 1970: 114]. ის ორმოსამარხს წარმოადგენდა, რომლის კონტურებიც ნიადაგის პირობების გამო ვერ დაფიქსირდა. სამარხი აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,1 მეტრის სიღრმეზე. ძირზე ხის საგების ნაშთები დაფიქსირდა, რომელზეც მიცვალებული მარცხენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი იყო დასვენებული, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმართული. სამარხეული ინვენტარის ნაწილი არქაული ფორმების მატარებელია, რომელიც სხვა სამაროვნის ძვ.წ. VIII

საუკუნით დათარიღებულ სამარხებში პოულობს ანალოგიებს (თლია, სამთავრო, ყულანურხვა), თუმცა ვ. კოზენკოვამ №24 სამარხი ძვ.წ. VII საუკუნეს მიაკუთვნა [Козенкова, 1970: 115].

ისტი-სუ

ისტი-სუს სამაროვანი, რომელიც 1937 წელს მუშებმა არხის გაყვანისას შემთხვევით აღმოაჩინეს, მდებარეობს გუდერმესის რაიონში (ჩეჩნეთი). არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომელიც 1937 და 1938 წლებში მიმდინარეობდა, ისტი-სუს სამაროვანზე 19 სამარხი იქნა შესწავლილი. არქეოლოგიურ ექსპედიციას 1937 წელს მ. არტამონოვი, ხოლო 1938 წელს ა. მაჩინსკი ხელმძღვანელობდა [Артамонова-Полтавцева, 1950: 20].

სამარხებს მიწისზედა კონსტრუქციის არავითარი კვალი არ ეტყობოდათ და მათი უმეტესობა მიწის ზედაპირიდან საკმაოდ დიდ სიღრმეზე მდებარეობდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ სამაროვნის ტერიტორიაზე ახ.წ. I საუკუნეში სამოსახლო ყოფილა მოწყობილი, რომლის კულტურული ფენებიც სამაროვანს ზემოდან ფარავდა [Артамонова-Полтавцева, 1950: 22].

სამაროვნის გეგმის (ტაბ. XXVII, 1) შესწავლისას ო. არტამონოვა-პოლტავცევამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სამაროვანზე სამარხები თავიანთი განლაგებით რამდენიმე ჯგუფს ქმნიდნენ. I თხრილში ერთ ჯგუფად იყვნენ გამოყოფილი № 1, 2, 5, 6 და №8 სამარხები, ხოლო მეორე ჯგუფად - № 3, 4 და № 7. II თხრილში(1938 წლის გათხრები) კი ერთ ჯგუფს № 11 და № 13, ხოლო მეორეს № 14, 18 და № 19 სამარხები ქმნიდნენ. სამარხთა ეს ჯგუფები დაახლოებით 7-8 მეტრის დიამეტრის მქონე ფართობს მოიცავდნენ, რომელთა შორის მანძილი 4 მეტრს შეადგენდა. განცალკევებით მდებარე სამარხები ერთმანეთისაგან ამავე მანძილით, 4-5 მეტრით ყოფილან დაცილებული. ამ ფაქტებზე დაყრდნობით ო. არტამონოვა-პოლტავცევამ გამოთქვა მოსაზრება პატარა ყორღანული ყრილების არსებობაზე, რომლითაც სამარხები უნდა ყოფილიყო დაფარული [Артамонова-Полтавцева, 1950: 22-23]. მიუხედავად ძეგლის

გამთხრელის მოსაზრებისა, ჩვენ არ გვაქვს უფლება გადაჭრით ვისაუბროთ ყორღანული სამარხების არსებობაზე.

სამარხი №1 მიწის ზედაპირიდან 0,93 მეტრის სიღრმეზე მდებარეობდა. მიცვალებული მარჯვენა მხარეს, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული მოუთავსებიათ. ჩონჩხი, რომლის ძვლები ცუდად იყო დაცული, მუხლისა და თეძოს არეში იყო მოხრილი. მიცვალებულის თავის ქალა, ტანისა და ხელის ძვლები გადაადგილებული აღმოჩნდა. მიცვალებული ზურგთან მოთავსებული იყო დიდი ზომის ჭურჭელი, რომელმაც მხოლოდ ფრაგმენტების სახით მოაღწია [Артамонова-Полтавцева, 1950: 25].

სამარხი №2. სიღრმე – 0,92მ. აღნიშნული სამარხი ბავშვს ეკუთვნოდა, რომლის ჩონჩხიც მარჯვენა გვერდზე იყო მოთავსებული, მოხრილ მდგომარეობაში. მიცვალებული თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ყოფილა ორიენტირებული. ძვლები ძლიერ დაზიანებული, ხოლო თავის ქალა გაჭყლეტილი იყო. მიცვალებულის წინ ორი ძლიერ ფრაგმენტირებული ჭურჭელი ჩაუდგამთ. თავის ქალასთან და მარცხენა ხელის ფალანგაზე ბრინჯაოს ბეჭდები აღმოჩნდა. სამარხეული ინვენტარი ასევე შეიცავდა აქატის მძივებსა და რკინის ფიბულას.

სამარხი №3. სიღრმე – 1,25 მ. უინვენტარო სამარხი, რომელშიც ბავშვის ძლიერ დაზიანებული ძვლები ყოფილა მოთავსებული. ჩონჩხი – მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში. მიცვალებულს ხელები იდაყვის არეში ჰქონდა მოკეცილი; მარჯვენა ხელი სახესთან, ხოლო მარცხენა მუხლებთან ჰქონდა მიტანილი.

სამარხი №4. სიღრმე – 1,15 მეტრი. მიცვალებულის ჩონჩხი გაშოტილ პოზაში, ზურგზე იყო მოთავსებული. მარჯვენა ხელი იდაყვის არეში მოხრილი და სახესთან მიტანილი, ხოლო მარცხენა თეძოსკენ იყო გაშვერილი. სამარხეული ინვენტარი მოიცავდა რკინის დანას, ფოთლისებური ისრისპირის ცუდად დაცულ ნიმუშებს და 3 კერამიკულ ჭურჭელს.

სამარხი № 5. სიღრმე – 1,05 მ. მოზარდის ცუდად დაცული ჩონჩხი, გაშოტილი ქვედა კიდურებით. თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული. მიცვალებულის პოზის ზუსტი განსაზღვრა ვერ მოხერხდა. ხელები იდაყვის არეში მოკეცილი, ხოლო მტევნები სახის არეში აწეული ჰქონდა. წელის არეში, ძვლებზე წითელი საღებავის კვალი იქნა დაფიქსირებული. სამარხი ასევე დიდი ოდენობით ნახშირს შეიცავდა [Артамонова-Полтавцева, 1950: 27]. ინვენტარი:

ბრინჯაოს 2 ბეჭედი, რკინის ფიბულა, მინისა და პასტის მძივები, თიხის კვირისტავი, თიხის ჭიქა და ქოთანი.

სამარხი № 6. სიღრმე მიწის ზედაპირიდან – 0,90 მ. მოზრდილი ადამიანის ცუდად დაცული ჩონჩხი. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით დასავლეთისაკენ ორიენტირებული მოუთავსებიათ. მუხლებთან თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები გაიწმინდა. სამარხის შევსებაში დიდი ოდენობით ნახშირი იყო მოქცეული.

სამარხი № 7. სიღრმე – 1,10 მ. მოზრდილი ადამინის ჩონჩხი ზურგზე, გაშოტილ პოზაში იყო მოთავსებული (ტაბ. XXVII, 2). ხელები იდაყვებში მოკეცილი და მტევნები თეძოს არეში დაწყობილი ჰქონდა. ძვლები ცუდად იყო დაცული, თავის ქალა კი – გაჭყლეტილი. თეძოს ქვეშ მოთავსებული ყოფილა რკინის დანა და კაუჭი. ბარძაყის ძვლებთან კი – რკინის შუბისპირი. მიცვალებულისათვის მარჯვენა მხართან 3 კერამიკული ჭურჭელი შემოუწყვიათ, რომლებთანაც ცხოველის ძვლები იქნა დაფიქსირებული. მიცვალებულის მარჯვენა ფეხთან, 20 სმ-ის სიღრმეზე ჩადგმული ყოფილა თიხის დიდი ზომის ჭურჭელი [Артамонова-Полтавцева, 1950: 29].

სამარხი № 8. სიღრმე – 0,80 მ. დაზიანებულ სამარხში ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული. ძვლების დიდი ნაწილი არეული და მიმოფანტული ყოფილა. ფეხებთან ჩაუდგამთ თიხის ჭურჭელი, რომლის ფრაგმენტებიც სამარხის სხვადასხვა დონეზე და ადგილას ყოფილა მიმოფანტული. სამარხში ასევე აღმოჩნდა რკინის დანა და საქონლის (ღორის) კბილი [Артамонова-Полтавцева, 1950: 30].

სამარხი № 9. სიღრმე – 1,09 მ. დაზიანებული.

სამარხი № 10. სიღრმე – 1,40 მ. სამარხს კუთხეებმომრგვალებული ტრაპეციის ფორმა ჰქონდა. ზედა ნაწილში სიგანე 1 მ-ს, ხოლო ქვედა ნაწილში 0,75 მ-ს შეადგენდა. მოზრდილი ადამიანის ჩონჩხი ხელ-ფეხმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთ მხარეს ორიენტირებული ესვენა. სამარხი დარღვეული იყო, რაზეც მიცვალებულის ძვლების არეულობა მიუთითებდა. სამარხეული ინვენტარი მხოლოდ თავის ქალის ქვეშ მოთავსებული აბზინდისაგან შედგებოდა.

სამარხი № 11. სიღრმე – 1,11 მ. დაზიანებული სამარხი (ბავშვის). სამარხის კონტური მხოლოდ ნაწილობრივ განისაზღვრა. მოგრძო ნაწილით სამარხი მიმართული იყო სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ზედა

ნაწილში ორმოს სიგანე 0,80 მ-ს შეადგენდა. ძვლები საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში იყო შემონახული. ფეხის ძვლების მდგომარეობა მიუთითებდა, რომ მიცვალებული თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ყოფილა ორიენტირებული. მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს ხატისუღელი, რომელიც კისრის არეში გაიწმინდა [Артамонова-Полтавцева, 1950: 32].

სამარხი № 12. სიღრმე – 1,35 მ. სამარხს ტრაპეციის ფორმა ჰქონდა, მომრგვალებული კუთხეებით (ტაბ. XXVII, 3). მიცვალებული ძლიერ მოხრილი, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული ყოფილა. ორივე ხელი ძლიერ მოკეცილი და მხრებთან მიტანილი ჰქონდა. თავის ქალის პირისპირ ჩადგმული იყო ბადია, რომელშიც ცხვრის ძვლები აღმოჩნდა. მარცხენა ხელის ქვემოთ, მუცლის არეში ცხვრის თავის ქალა და ძვლები იქნა გამოვლენილი. თვითონ ხელთან კი დაწყობილი იყო პასტის მძივები და ბრინჯაოს სპირალისებური საკიდი [Артамонова-Полтавцева, 1950: 34].

სამარხი № 13. სიღრმე – 0,94 მ. სამარხს წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა და მოგრძო ნაწილით დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე იყო მიმართული. მოზრდილი ადამიანის ჩონჩხი მოკუნტულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული დაფიქსირდა. მიცვალებულის ძვლები ძლიერ დაზიანებული და არეული ყოფილა.

სამარხი № 14. სიღრმე – 0,94 მ. დაზიანებული. ძვლები არეული, ხოლო თავის ქალა ამოტრიალებული ყოფილა. შემორჩენილი იყო მხოლოდ ქვედა კიდურების ნაწილი, რომელთა მიხედვით მიცვალებული მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ განისვენებდა [Артамонова-Полтавцева, 1950: 36].

სამარხი № 15. სიღრმე – 0,74 მ. მოზარდის ჩონჩხი ზურგზე, გაშოტილ პოზაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოქცეული დაფიქსირდა. ძვლები ძლიერ დაშლილი და არეული იყო. მარცხენა ბარძაყის ძვალთან მოთავსებული იყო რკინის დანა, ხოლო ქუსლთან – თიხის ქოთანი.

სამარხი № 16. სიღრმე – 1,14 მ. მოზრდილი ადამიანის ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში. ხელები – იდაყვში მოკეცილი და სახის არეში აწეული. მიცვალებულს ორივე ხელზე ბრინჯაოს სპირალისებური სამაჯურები ჰქონდა გაკეთებული. თავის ქალის არეში ნაპოვნი იქნა სარდიონის,

პასტისა და აქატის მძივები. ჩონჩხის უკან ჩადგმული იყო თიხის დიდი ზომის ბადია.

სამარხი № 17. მოზარდის ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში მწოლიარე. ხელები მოხრილი და სახის არეში ატანილი. მიცვალებულს სხვადასხვა ინვენტართან ერთად ფეხის არეში ცხვრის ძვლებიც ჰქონდა ჩატანებული [Артамонова-Полтавцева, 1950: 39].

სამარხი № 18. სიღრმე – 1 მ. მოზრდილი ადამიანი მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაუკრძალავთ. სამარხეულ ინვენტარს მრავალრიცხოვანი კერამიკული ჭურჭელი შეადგენდა.

სამარხი № 19. სიღრმე – 1,80 მ. მოზრდილი ადამიანი მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე დაუსვენებიათ. მიცვალებულის ძვლები ძლიერ ყოფილა დაზიანებული [Артамонова-Полтавцева, 1950: 39].

როგორც დავინახეთ, ისტი-სუს სამაროვანზე სამარხთა საშუალო სიღრმე მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 1 მეტრს შეადგენდა. სამარხთა საშუალო სიღრმე იყო 0,5 მეტრი. ყველაზე ღრმა კი № 10 სამარხი ყოფილა, რომელიც 0,7 მ. სიღრმეზე იყო გაჭრილი. მიცვალებულებს, როგორც წესი, მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, იშვიათად კი მარცხენა გვერდზე ან გაშოტილ პოზაში მარხავდნენ.

მუჟიჩი (ლუგოვოე)

მუჟიჩის სამაროვანზე არქეოლოგიური სამუშაოები 1952, 1955-57 წლებში მიმდინარეობდა, რომლის დროსაც 161 სამარხი იქნა შესწავლილი, აქედან 97 სამარხი 1956-57 წლების სეზონზე გამოვლინდა, როცა ექსპედიციას ე. კრუპნოვი ხელმძღვანელობდა. სამაროვანი მდ. ასას ხეობაში, სოფ. მუჟიჩის მახლობლად მდებარეობს (სუნჟის რაიონი, ინგუშეთი).

სამაროვანზე (ტაბ. XXVIII) სამარხი-კონსტრუქციები ტიპოლოგიური ერთგვაროვნებით ხასიათდებიან. ისინი, როგორც წესი, მიწის ზედაპირიდან 0,2-1

მ-ის სიღრმეზე ყოფილან მოწყობილი (იშვიათად უფრო ღრმად), ხოლო ზემოდან ყრილით დაფარული. ყრილი ხშირად რამდენიმე იარუსისაგან შედგებოდა (1-დან 7-მდე). რამდენიმე სამარხი ყრილის გარეშე იყო, თუმცა მათი არარსებობა სამეურნეო სამუშაოების შედეგად დაზიანებას უნდა უკავშირდებოდეს [Мунчаев, 1963: 201].

მუჟიჩის სამაროვანზე ინდივიდუალური სამარხები სჭარბობენ, კოლექტიური სამარხები იშვიათობაა და მხოლოდ 7 წყვილადი სამარხია წარმოდგენილი. 2 მათგანი გათხრილია 1955 წელს, 1956 წელს – 4 (№№ 12, 27, 41, 48), ხოლო 1957 წელს – 1 წყვილადი სამარხი (№73).

დაკრძალვის წესი, სამარხთა ტიპების მსგავსად, ერთგვაროვნებით ხასიათდება. მიცვალებულნი, როგორც წესი, მარჯვენა გვერდზე განისვენებდნენ, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებულნი [Мунчаев, 1963: 201]. წყვილად სამარხებშიც მსგავსი წესი ბატონობს. მხოლოდ №12 და №73 სამარხებში ჩონჩხები ერთმანეთისაკენ სახით ყოფილან მოქცეული.

მუჟიჩის სამაროვანზე ასევე გვხვდება კრომლეხები, რომელთაც სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე ეკავათ. 4 შემთხვევაში (სამარხები №№ 8, 30, 48, 50) კრომლეხები წრიული ფორმისა ყოფილან და დიამეტრი საშუალოდ 5,5 მეტრი ჰქონდათ. კრომლეხები შედგენილი იყო რიყის ქვის წყობით. №№ 10, 12, 23, 38 და №40 სამარხების შემთხვევაში მათ ნახევარწრიული კრომლეხები ერტყათ გარს, რომლებიც რიყის ქვათა მხოლოდ ერთი რიგის წყობით იყვნენ კონსტრუირებული.

ორ შემთხვევაში ერთი კრომლეხის შიგნით ორი სამარხი იყო მოწყობილი (№№56-57 და №№65-66). კრომლეხები ასევე წარმოდგენილია ნესტეროვსკაიას სამაროვანზე, რომელიც მუჟიჩიდან 40 კმ-ის დაშორებითაა მიკვლეული და მის სინქრონულ ძეგლს წარმოადგენს [Мунчаев, 1963: 202].

მუჟიჩის სამაროვანზე გვხვდება ყორღანული სამარხებიც (№84, №88). №84 სამარხი დაფარული იყო დიდი ქვაყრილით, რომელსაც ძირში კრომლეხი საზღვრავდა. აღნიშნული სამარხი სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ყოფილა მოთავსებული. ყორღანული ტიპის სამარხს განეკუთვნება №88 სამარხიც, რომლის ქვაყრილის დიამეტრი 6 მეტრს შეადგენდა.

იშვიათად, მუჟიჩის სამაროვნის სამარხთა კედლები დამწვარი ხით იყო შემოწყობილი. მაგალითად, 1952 წელს გათხრილი №6 სამარხი. მსგავსი ფაქტები 1955 წლის გათხრების დროსაც დაფიქირდა.

1956-57 წლების გათხრები

სამარხი №1/65. სიღრმე – 0,6 მ. სამარხს მართკუთხა ფორმის მასიური ქვაყრილი ფარავდა, რომელიც ჩრდილო-დასვლეთ – სამხრეთ-აღმოსავლეთის ხაზზე იყო მიმართული. სიგრძე - 1,75 მ, სიგანე – 1,2 მ. ქვაყრილში დაფიქსირდა ნახშირის კვალი. მიცვალებულის ჩონჩხი ცუდად ყოფილა დაცული. იგი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოქცეული.

სამარხი №2/66. სიღრმე – 0,85 მ. ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე ორიენტირებული მართკუთხა ფორმის ქვაყრილი მიწის ზედაპირიდან 0,6-0,75 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა. ქალის ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მოკუნტულ პოზაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №3/67. ოვალური ფორმის ქვაყრილი მიწის ზედაპირიდან 0,2 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხში მიცვალებულის ძვლები და ინვენტარი არ აღმოჩნდა, რის გამოც, რ. მუნჩაევმა იგი კენოტაფად მიიჩნია. [Мунчаев, 1963: 144]

სამარხი №4/68. სიღრმე – 0,5 მ. ქვაყრილი გაიწმინდა მიწის ზედაპირიდან 0,35 მეტრის სიღრმეზე. მას ოვალური ფორმა ჰქონდა და სიგრძეში 1,4 მ-ს, ხოლო სიგანეში 0,85 მ-ს აღწევდა. ჩონჩხისაგან მხოლოდ ძვლის რამდენიმე ფრაგმენტი იყო შემორჩენილი.

სამარხი №5/69. სიღრმე – 0,45 მ. 0,36 მ-ის სიღრმეზე გათხრილ ქვაყრილს მომრგვალო-ოთხკუთხა ფორმა ჰქონდა. სიგრძე – 1,13 მ, სიგანე – 0,8 მ. ქალის ძლიერ დაშლილი ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილი, თავით სამხრეთისაკენ მოქცეული იყო.

სამარხი №6/70. სიღრმე – 0,6 მ. მიწის ზედაპირიდან 0,35 მ-ის სიღრმეზე მომრგვალო-მართკუთხედის ფორმის ქვაყრილით. სიგრძე – 1,52 მ, სიგანე – 1,27 მ. სამარხი ორიარუსიანი ყრილის ქვეშ, 0,6 მ-ის სიღრმეზე იყო მოქცეული. მას მომრგვალებულკუთხეებიანი კვადრატის ფორმა ჰქონდა (1,4 X 1,4 მ.). სამარხის კონტურებს ნახშიროვანი ზოლი გასდევდა, რაც, შესაძლოა ხის კედლების არსებობაზე მიუთითებდეს [Мунчаев, 1963: 144]. მამაკაცის ჩონჩხისაგან მხოლოდ დაზიანებული თავის ქალა და ფეხის ძვლები იყო შემორჩენილი, რომელთა

მიხედვითაც მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, მოკუნტული, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული. ინვენტარს რკინის შუბისპირი და 3 კერამიკული ჭურჭელი შეადგენდა.

სამარხი №7/71. სიღრმე – 0,8 მ. ორიარუსიანი მართკუთხედის ფორმის მასიური ქვაყრილით. სიგრძე – 1,97 მ. სიგანე – 1,4 მ. ქალის ჩონჩხი, რომლის ძვლებიც თითქმის მთლიანად იყო დაშლილი, მოხრილი, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული დაფიქსირდა.

სამარხი №8/72. სიღრმე – 0,5 მ. სამარხი მოქცეული იყო მართკუთხედის ფორმის ორიარუსიანი ქვაყრილის ქვეშ. ზედა იარუსი სიგრძეში 1,77 მ-ს, ხოლო სიგანეში 1,28 მ-ს აღწევდა. ქვედა იარუსი სიგრძეში – 1,4 მ, ხოლო სიგანეში – 0,9 მ. სამარხს ირგვლივ ქვების ერთი რიგის წყობისაგან შემდგარი წრიული კრომლეხი შემოუყვებოდა. კრომლეხი დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე 5,85 მ-ის, ხოლო ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 5,4 მ-ის სიგრძისა იყო. სამარხთან მისასვლელი აღმოსავლეთის მხრიდან მოუწყვიათ. ჩონჩხის ცუდი დაცულობის მიუხედავად, დადგინდა მისი დაკრძალვის წესი. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, ოდნავ მოკუნტული, სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული დაუკრძალავთ. სახის წინ მოთავსებული იყო რკინის შუბისპირი. მკერდის არეში აღმოჩენილ იქნა ბრინჯაოს ბალთა, რომელზეც გამოსახული იყო სვასტიკა. ფეხებთან ქვების ზეწოლისაგან ფრაგმენტირებული ბადია ყოფილა ჩადგმული. სამარხში, რომელიც ინვენტარის მიხედვით, მამაკაცის საკუთრება უნდა ყოფილიყო, დაფიქსირდა დიდი ოდენობით ნახშირის კვალი [Мунчаев, 1963: 145].

სამარხი №9/73. სიღრმე – 0,63 მ. სამარხის თავზე ოვალური ფორმის ორიარუსიანი ქვაყრილით. სიგრძე – 1,68 მ, სიგანე – 1,35 მ. მამაკაცის ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №10/74. სიღრმე – 0,8 მ. სამარხის თავზე მოწყობილი იყო მომრგვალო-მართკუთხედის ფორმის ქვაყრილი. სიგრძე – 1,95 მ. სიგანე – 1,25 მ. სამარხი შემოზღუდული იყო ნახევარწრიული კრომლეხით, რომელიც ქვის ერთი რიგის წყობით ყოფილა შედგენილი. კრომლეხის სიგრძე დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე 4,7 მ-ს შეადგენდა. მანძილი კრომლეხის წყობასა და ქვაყრილს შორის 1 – 1,25 მ-ს შორის მერყეობდა. სამარხში მიცვალებულის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა, რადგან მისგან მხოლოდ ხელ-ფეხის ძვლების ფრაგმენტები და კბილები იყო შემორჩენილი.

სამარხი №11/75. სიღრმე – 0,9 მ. ორიარუსიანი ოვალური ფორმის მასიური ქვაყრილით, რომელიც მიწის ზედაპირიდან 0,37–0,75 მ-ის სიღრმეზე მდებარეობდა. ყრილის ზედა იარუსის სიგრძე – 2,4 მ. სიგანე – 1,4 მ. მოგრძო ნაწილით ორიენტირებული იყო ჩრდილო-აღმოსალეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. მიცვალებულის ჩონჩხი, რომელიც თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო მოქცეული, თითმის მთლიანად დაშლილა. შეინიშნებოდა ნახშირის კვალი. ინვენტარის მიხედვით სამარხი მამაკაცის საკუთრება უნდა ყოფილიყო [Мунчаев, 1963: 148].

სამარხი №12/76. სიღრმე – 0,6 მ. ქვაყრილს მომრგვალო-ოთხკუთხა ფორმა ჰქონდა. სიგრძე – 1,6 მ. სიგანე – 1,58 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ქვაყრილს, მიწის ზედაპირიდან 0,3-0,5 მ-ის სიღრმეზე კრომლეხი შემოუყვებოდა. მას ნახევარწრის ფორმა ჰქონდა და დიამეტრი დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებაზე 5 მ-ს შეადგენდა. სამარხთან მისასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან მოუწყვიათ.

№12 სამარხში გვერდიგვერდ ორი ადამიანი იყო დასვენებული, ორივე მოკუნტული და სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული; ერთი მაჯვენა, ხოლო მეორე მარცხენა გვერდზე, ისე, რომ სახით ერთმანეთისაკენ იყვნენ მოქცეული. სამარხი უინვენტარო იყო, რის გამოც მიცვალებულთა სქესის დადგენა ვერ მოხერხდა. სამარხში შეინიშნებოდა ნახშირის კვალი [Мунчаев, 1963: 148].

სამარხი №13/77. სამარხის თავზე კვადრატული ფორმის ქვაყრილით. სიგრძე – 1 მ. სიგანე – 1 მ. მიცვალებულის ჩონჩხისაგან მხოლოდ ხელისა და ბარძაყის ძვლები იყო შემორჩენილი, რომელთა მიხედვითაც, იგი სამხრეთ დასავლეთისაკენ ორიენტირებული, ხელ-ფეხმოკეცილი დაუკრძალავთ. ინვენტარი შეიცავდა, სავარაუდოდ, თავის სიახლოვეს მოთავსებულ რკინის შუბისპირს, რომლის მიხედვითაც სამარხი მამაკაცის კუთვნილებად შეიძლება მივიჩნიოთ [Мунчаев, 1963: 148].

სამარხი №14/78. სიღრმე – 0,9 მ. ორიარუსიან ქვაყრილს ოვალური ფორმა ჰქონდა და სიგრძეში 2 მ-ს, ხოლო სიგანეში 1,2 მ-ს აღწევდა. მოგრძო ნაწილი მდებარეობდა ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ქვაყრილის ქვეშ მოთავსებული ძვლები ძლიერ დაზიანებულა. გადარჩენილი ნაწილის მიხედვით, მამაკაცის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოკუნტულ პოზაში, თავით

სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოუთავსებიათ. სამარხეული ინვენტარიდან აღსანიშნავია კერამიკული ჭურჭლის ერთი ფრაგმენტი, რომელზეც სვასტიკა არის გამოსახული [Мунчаев, 1963: 149].

სამარხი №15/79. სიღრმე – 0,3 მ. ოვალური მოყვანილობის ქვაყრილი მიწის ზედაპირიდან 0,2 მეტრის სიღრმეზე. სიგრძე – 1,55 მ. სიგანე – 0,85 მ. გამართული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. მიცვალებულის თითქმის მთლიანად დაშლილი ძვლები მიწის ზედაპირიდან 0,3 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. ქალის ჩონჩხი მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული დაფიქსირდა. თავის ქალის არეში ბრინჯაოს ორი სასაფეთქლე საკიდი გაიწმინდა, მის ქვემოთ თიხის ორი კვირისტავი და ბადიის ფრაგმენტები. ბადიის ირგვლივ მინის 60-მდე მძივი ყოფილა გაბნეული. წელისა და ბარძაყის მიდამოებში მოთავსებული იყო რკინის სამაჯური და ანთიმონის 27 მძივი [Мунчаев, 1963: 151].

სამარხი №16/80. სიღრმე – 0,4 მ. სამარხის თავზე მომრგვალო-ოთხკუთხედის ფორმის ქვაყრილი. სიგრძე – 1,7 მ., სიგანე – 1,25 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ დასავლეთის ხაზზე. მამაკაცის ძლიერ ფრაგმენტირებული ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, ოდნავ მოხრილ პოზაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული.

სამარხი №17/81. სიღრმე – 0,5 მ. ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ დასალეთის ხაზზე ორიენტირებულ ქვაყრილს ოვალური ფორმა ჰქონდა. სიგრძე – 2 მ., სიგანე – 0,9 მ. ჩონჩხის შემორჩენილი ძვლების მიხედვით, მიცვალებული მოკუნტულ პოზაში დაუკრძალავთ. ფეხებთან მოთავსებული იყო კერამიკული ჭურჭლისა და რკინის იარაღის ფრაგმენტები.

სამარხი №18/82. სიღრმე – 0,6 მ. სამარხის თავზე მოწყობილ ქვაყრილს ოვალის ფორმა ჰქონდა და ორიენტირებული იყო დასავლეთ – აღმოსავლეთის ხაზზე. სიგრძე – 1 მ. სიგანე – 0,76 მ. მიცვალებულის ჩონჩხი – ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №19/83. სიღრმე – 0, 6 მ. ქვაყრილი მომრგვალო-ოთხკუთხედის ფორმისა იყო. ორიენტირებული სამხრეთ-დასავლეთ – ჩრდილო-აღმოსავლეთის ხაზზე. სიგრძე – 1,7 მ. სიგანე – 1 მ. ძლიერ ფრაგმენტირებული ძვლების მიხედვით, ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ პოზაში, თავით სამხრეთ-დასალეთისაკენ ორიენტირებული იყო მოთავსებული. ინვენტარის მიხედვით,

აღნიშნული სამარხი მამაკაცის კუთვნილება უნდა ყოფილიყო [Мунчаев, 1963: 154].

სამარხი №20/84. სიღრმე – 0,7 მ. ქვაყრილს ოვალური ფორმა ჰქონდა. სიგრძე – 1,36 მ. სიგანე – 0,95 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ჩონჩხი ცუდად იყო დაცული, თავის ქალა გაჭყლეტილი, ხოლო ძვლები ძლიერ ფრაგმენტირებული. სამარხში მათი განლაგების მიხედვით, მიცვალებული ძლიერ მოკუნტული, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოქცეული იწვა. ხელები თავის არეში ჰქონდა აწეული, ხოლო ფეხები მუხლებში ძლიერ მოკეცილი.

სამარხი №21/85. სიღრმე – 0,8 მ. მართკუთხა ფორმის ქვაყრილით. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სიგრძე – 1,45 მ. სიგანე – 0,8 მ. ინვენტარის მიხედვით, სამარხში ქალი უნდა ყოფილიყო დაკრძალული, რომლის ჩონჩხიც ძლიერ იყო დაშლილი და მისი პოზის დადგენა ვერ მოხერხდა [Мунчаев, 1963: 154].

სამარხი №22/86. სიღრმე – 0,8 მ. სამარხის თავზე ოვალური ფორმის ყრილით. სიგრძე – 2,05 მ. სიგანე – 1,88 მ. ქალის ძლიერ დაზიანებულ-დაშლილი ჩონჩხი მოკუნტულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული დაუკრძალავთ. ხელები იდაყვში მოკეცილი და სახის არეში აწეული.

სამარხი №23/87. სიღრმე – 0,5 მ. მომრგვალო-ოთხკუთხა ფორმის ქვაყრილი მიწის ზედაპირიდან 0,4 მ-ის სიღრმეზე იქნა გაწმენდილი. სიგრძე – 1,45 მ. სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სამარხს შემოუყვებოდა კრომლეხი, რომლისგანაც მხოლოდ სამხრეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი იყო შემორჩენილი. კრომლეხის დიამეტრი ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 4 მ-ს აღწევდა. სამარხში მამაკაცის ძლიერ დაშლილი ჩონჩხი მოკუნტულ პოზაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული მოუთავსებიათ [Мунчаев, 1963: 156].

სამარხი №24/88. სიღრმე – 0,7 მ. სამარხი ორიარუსიანი ქვაყრილის ქვეშ იყო მოქცეული. ქვაყრილს მომრგვალო-მართკუთხედის ფორმა ჰქონდა და ორიენტირებული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სიგრძე – 1,6 მ., სიგანე 1,2 მ. ჩონჩხი საკმაოდ ცუდად იყო შემონახული. თავის ქალა გაჭყლეტილი. შემორჩნილი იყო მხოლოდ ხელისა და ფეხის ძვლების

ნაშთები, რომელთა განლაგებაც მიცვალებულიდ მოკუნტულ პოზაზე მიუთითებდა, რომელიც მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ყოფილა მიმართული. ინვენტარი სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში იყო მოთავსებული.

სამარხი №25/89. სიღრმე – 0,5 მ. სამარხის თავზე მართკუთხედის ფორმის ქვაყრილი. სიგრძე – 2მ. სიგანე – 1,1 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. მამაკაცის ჩონჩხი, რომლის თავის ქალაც გაჭყლეტილი იყო, ოდნავ მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ იყო მოქცეული.

სამარხი №26/90. სიღრმე – 0,5 მ. ქვაყრილი, რომელსაც ოვალური ფორმა ჰქონდა, სიგრძეში 1,5 მ-ს, ხოლო სიგანეში 1,33 მ-ს აღწევდა და ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე იყო მიმართული. მიცვალებულის ჩონჩხისაგან მხოლოდ კბილები და თავის ქალის ფრაგმენტები იყო შემორჩენილი. რ. მუნჩაევი აღნიშნულ სამარხთან დაკავშირებით, მეორადი ან ადამიანის დანაწევრებული სხეულის დაკრძალვის რიტუალის არსებობას ვარაუდობდა [Мунчаев, 1963: 156].

სამარხი №27/91. სიღრმე – 0,4 მ. სამარხი მოქცეული იყო ოვალური ფორმის ქვაყრილის ქვეშ. სიგრძე – 1,7 მ. სიგანე – 1,2 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სამარხში ორი ცუდად შემონახული ჩონჩხი გაიწმინდა. პირველი ჩონჩხი, რომელიც ინვენტარის მიხედვით ქალი უნდა ყოფილიყო, მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული იყო მოთავსებული. მეორე მიცვალებულის ძვლების ანატომიური განლაგება დარღვეული იყო. ძვლები თავის ქალასთან მიხვეტილი, ხოლო მენჯის ძვლები ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მოქცეული ყოფილა. ინვენტარის მიხედვით ეს ჩონჩხიც ქალს უნდა კუთვნებოდა, რომლის ძვლებიც I ჩონჩხის დაკრძალვისას სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში მიუხვეტავთ [Мунчаев, 1963: 156].

სამარხი №28/92. სიღრმე – 0,8 მ. სამარხი გადაფარული იყო მომრგვალო-ოთხკუთხა ფორმის სამიარუსიანი ქვაყრილით. სიგრძე – 1,5 მ. სიგანე – 1,34 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. საკუთრივ სამარხს, რომლის ძირიც მიწის ზედაპირიდან 0,8 მ-ის სიღრმეზე მდებარეობდა, მომრგვალებულკუთხეებიანი ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა. სამარხში ოსტეოლოგიური მასალა არ აღმოჩნდა, რაც რ. მუნჩაევს №3 სამარხის

მსგავსად, აღნიშნულის კენოტაფად მიჩნევას აფიქრებინებდა [Мунчаев, 1963: 156]. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში რკინის შუბისპირი, ხოლო ცენტრალურ ნაწილში კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები იქნა მიკვლეული.

სამარხი №29/93. სიღრმე – 0,85 მ. დაშლილი ქვაყრილით. სამარხის სიგრძე – 1,13 მ. სიგანე – 0,55 მ. მამაკაცის დაშლილი ჩონჩხი მოკუნტული, თავით სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

სამარხი №30/94. სიღრმე – 0,5 მ. სამარხს 10 სმ-ის სისქის ქვაყრილი ფარავდა. ქვაყრილს მომრგვალებულ-მართკუთხედის ფორმა ჰქონდა, რომლის სიგრძე 1,55 მ-ს, ხოლო სიგანე 1,3 მ-ს შეადგენდა. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სამარხი შემოსაზღვრული იყო არასწორი წრის ფორმის კრომლეხით. კრომლეხი შედგენილი იყო ერთ რიგად, მიყოლებით ჩაწყობილი რიყის ქვებისაგან. მისი დიამეტრი ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 4,8 მ-ს აღწევდა. სამარხში ჩონჩხი ძლიერ მოკუნტული, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული დაფიქსირდა.

სამარხი №31/95. სიღრმე – 0,66 მ. სამარხს ფარვდა მასიური ორიარუსიანი ქვაყრილი. სიგრძე – 1,75 მ. სიგანე – 1,45 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ჩონჩხის ძვლები თითქმის მთლიანად იყო დაშლილი, ხოლო თავის ქალა – გაჭყლეტილი. მიცვალებული თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ იყო ორიენტირებული. ინვენტარის მიხედვით, სამარხში მამაკაცი უნდა ყოფილიყო დაკრძალული.

სამარხი №32/96. სიღრმე – 0,6 მ. სამარხის თავზე სამკუთხედის ფორმის მასიური ქვაყილით. სიგრძე – 1,79 მ. მაქსიმალური სიგანე – 1,2 მ. სამარხის სიგრძე – 1,5 მ. სიგანე – 1 მ. ძლიერ ფრაგმენტირებული ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოკუნტულ პოზაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოქცეული დაუკრძალავთ [Мунчаев, 1963: 159-160].

სამარხი №33/97. სიღრმე – 0,6 მ. ქვაყრილის გარეშე. სამარხში მიცვალებულის ძვლები არ აღმოჩნდა, რის გამოც აღნიშნული სამარხი რ. მუნჩაევმა მუჟიჩის სამაროვანზე რიგით მესამე კენოტაფად ჩათვალა. სამარხეული ინვენტარი შედგებოდა რკინის ორი სამაჯურისაგან, რკინისავე დაუდგენელი ნივთისაგან, ბრინჯაოს სასაფეთქლე საკიდისა და მინის 14 მძივისაგან [Мунчаев, 1963: 160].

სამარხი №34/98. სიღრმე – 0,8 მ. სამარხსზედა ქვაყრილს ოვალური ფორმა ჰქონდა, რომელიც მიწის ზედაპირიდან 0,4 – 0,6 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა.

სიგრძე – 1,5 მ. სიგანე – 0,75 მ. ორიენტირებული დასავლეთ – აღმოსავლეთის ხაზზე. სამარხი მართკუთხედის ფორმისა ყოფილა. სიგრძე – 0,9 მ. სიგანე – 0,55 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ჩონჩხი, რომელიც მცირეწლოვან ბავშვს ეკუთვნოდა, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოქცეული, მოკუნტულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე იყო დაკრძალული.

სამარხი №35/99. სიღრმე – 0,4 მ. მომრგვალო-მართკუთხედის ფორმის ქვაყრილით. სიგრძე – 1,88 მ. სიგანე – 1,24 მ. ჩონჩხის ძვლებიდან მხოლოდ ხელისა და ფეხის ძვლების ფრაგმენტები იყო შემორჩენილი. მიცვალებული (ქალი) მოკუნტული, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოუთავსებიათ.

სამარხი №36/100. სიღრმე – 0,7 მ. სამარხი მოწყობილი იყო სამიარუსიანი ქვაყრილის ქვეშ. ზედა ფენა ვერტიკალურად დაწყობილი რიყის 9 ქვისაგან შედგებოდა, რომლებიც სამარხის კიდეებს გასწვრივ იყო ჩალაგებული. ყრილის სიგრძე – 1,6 მ. სიგანე – 0,9 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. მიცვალებული (ქალი) მარცხენა გვერდზე, მოკუნტულ პოზაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული.

სამარხი №37/101. სიღრმე – 0,68 მ. სამარხის თავზე ოვალური ფორმის მასიური სამიარუსიანი ქვაყრილი. ზედა იარუსის სიგრძე – 2,2 მ. სიგანე – 1,75 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოკუნტული, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული დაფიქსირდა. სამარხეული ინვენტარის ნაწილი (წელის არეში მოთავსებული რკინის აკინაკი, შუბისპირი) მიუთითებს, რომ სამარხი მამაკაცს ეკუთვნოდა [Мунчаев, 1963: 161-163].

სამარხი №38/102. სიღრმე – 0,9 მ. ოთხიარუსიანი ქვაყრილით. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ზედა ყრილს ოვალური ფორმა ჰქონდა. სიგრძე – 2,2 მ. სიგანე – 1,35 მ. ახალგაზრდა მამაკაცის ჩონჩხი ხელ-ფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული დაუკრძალავთ.

სამარხი №39/103. სიღრმე – 0,9 მ. სამარხი მოწყობილი იყო ხუთიარუსიანი ქვაყრილის ქვეშ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ზედა იარუსს მომრგვალებულკუთხეებიანი ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა. სიგრძე – 1,6 მ. სიგანე – 1,4 მ. მიცვალებულის ჩონჩხი,

რომელიც ინვენტარის მიხედვით, ქალი უნდა ყოფილიყო, მთლიანად დაშლილა. სამარხში შეინიშნებოდა ნახშირის კვალი.

სამარხი №40/104. სიღრმე – 0,4 მ. ორიარუსიანი მართკუთხედის ფორმის ქვაყრილით. სიგრძე – 1,7 მ. სიგანე – 0,9 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ჩონჩხი თავის ქალის ფრაგმენტების გარდა, მთლიანად იყო დაშლილი; ორიენტირებული იყო სამხრეთ-დასავლეთისაკენ. სამარხი უინვენტარო აღმოჩნდა. შეიმჩნეოდა ნახშირის კვალი.

სამარხი №41/105. სიღრმე – 0,8 მ. ქვაყრილის სიგრძე დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე – 2 მ., ჩრდილოეთ-სამხრეთისაზე კი – 2,1 მ. სამარხს წაგრძელებული ტრაპეციის ფორმა ჰქონდა (1,55 X 1,1/1,4 მ.). სამარხში ორი დაშლილი ჩონჩხი გაიწმინდა; ერთი ქალის, ხოლო მეორე მამაკაცის. ორივე მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული [Мунчаев, 1963: 164].

სამარხი №42/106. სიღრმე – 0,95 მ. სამარხის თავზე წრიული ფორმის ორიარუსიანი ქვაყრილი. სიგრძე – 2,2 მ. სიგანე – 1,95 მ. შემორჩენილი იყო მხოლოდ თავის ქალა, მენჯისა და ფეხის ძვლები. მიცვალებული (ქალი) დაუკრძალავთ მოხრილ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული.

სამარხი №43/107. სიღრმე – 0,7 მ. სამარხი მოწყობილი იყო სამიარუსიანი ქვაყრილის ქვეშ, რომლის ფორმაც ვერ დადგინდა. ზედა იარუსის სიგრძე – 2,2 მ. სიგანე – 1,6 მ. მიცვალებულის (მამაკაცი) ძვლებიდან სამარხში მხოლოდ მენჯისა და ბარძაყის ძვლები დაფიქსირდა, რომელთა მიხედვითაც მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში მოუთავსებიათ.

სამარხი №44/108. სიღრმე – 0,95 მ. ოვალური ფორმის ქვაყრილით. სიგრძე – 1,3 მ. სიგანე – 0,9 მ. მიმართულება – ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. უინვენტარო სამარხში ბავშვი იყო დაკრძალული, რომლის პოზაც ვერ დადგინდა [Мунчаев, 1963: 166].

სამარხი №45/109. სიღრმე – 0,4 მ. ქვაყრილი მიწის ზედაპირიდან 0,15 მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა. მას წრიული ფორმა ჰქონდა. სიგრძე – 1,48 მ. სიგანე – 1,35 მ. ქალის ჩონჩხი, რომლის თავის ქალაც გაჭყლეტილი იყო, დაფიქსირდა მარცხენა გვერდზე, ოდნავ მოკუნტულ პოზაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ

მიმართული. ხელები იდაყვში მოხრილი. სამარხის შევსებაში დიდი ოდენობით ნახშირი იყო მოქცეული.

სამარხი №46/110. სიღრმე – 0,95 მ. ხუთიარუსიანი მასიური ქვაყრილით. ქვაყრილს მართკუთხედის ფორმა ჰქონდა. სიგრძე – 2,05. სიგანე – 1,2 მ. მიმართული ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. სამარხს მომრგვალებულკუთხეებიანი ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა. მისი სიგრძე 1,75 მ-ს, ხოლო სიგანე 0,95 მ-ს აღწევდა. ჩონჩხისაგან მხოლოდ თავის ქალა და ფეხის რამდენიმე ძვალი იყო შემონახული. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული დაუკრძალავთ. სამარხში მიკველეული მრავალფეროვანი ინვენტარი, მისი მესაკუთრის მდედრობით სქესზე მიუთითებს [Мунчаев, 1963: 166-167].

სამარხი №47/111. სიღრმე – 0,75 მ. მართკუთხედის ფორმის ქვაყრილით. სიგრძე - 1,4 მ. სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ქალის ჩონჩხი, რომლის თავის ქალაც სამარხში არ აღმოჩნდა, მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოკუნტული, სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული იყო მოთავსებული.

სამარხი №48/112. სიღრმე – 0,8 მ. ოთხიარუსიანი მასიური ქვაყრილით. ზედა იარუსი მიწის ზედაპირიდან 0,15–0,2 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა. ქვაყრილს მომრგვალებულკუთხეებიანი ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა. სიგრძე – 2,7 მ. სიგანე – 2,3 მ. სამარხს ყრილის ქვედა იარუსის დონეზე შემოუყვებოდა კრომლეხი, რომელიც აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხრიდან 3 რიგად ჩაწყობილი ქვებისაგან შედგებოდა. კრომლეხის დიამეტრი ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 6,7 მ-ს აღწევდა. კრომლეხში შესასვლელი დასავლეთის მხრიდან იყო მოწყობილი, რომლის სიგრძე 3,85 მ-ს შეადგენდა. სამარხს მართკუთხედის ფორმა ჰქონდა. სიგრძე – 2,3 მ. სიგანე – 1,35 მ. სამარხში, რომლის ინვენტარიც საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, 2 მიცვალებული (მამაკაცი და ქალი) დაუმარხავთ, რომელთა დაკრძალვის წესის დადგენა ვერ მოხერხდა [Мунчаев, 1963: 169].

სამარხი №49/113. სიღრმე – 0,85 მ. სამარხის თავზე მოწყობილი ქვაყრილი ექვსიარუსიანი ყოფილა. ზედა იარუსი ორიენტირებული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სიგრძე – 1,9 მ. სიგანე – 1,45 მ. სამარხს დაუმთავრებელი წრის ფორმის კრომლეხი შემოუყვებოდა. რომლის დიამეტრიც ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 5,9 მ-ს შეადგენდა. სამარხში

მიცვალებულის ძვლები 0,85 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა. შემორჩენილი ძვლების მიხედვით, იგი მარჯვენა გვერდზე, მოკუნტული, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული განისვენებდა.

სამარხი №50/114. სიღრმე – 0,8 მ. სამარხის თავზე შვიდიარუსიანი ქვაყრილი მოუწყვიათ. ზედა იარუსი მიწის ზედაპირიდან 0,15 მ-ის სიღრმეზე იყო მოქცეული. მისი სიგრძე – 2,6 მ. სიგანე – 1,6 მ. სამარხს შემოუყვებოდა კრომლეხი, რომელსაც წრიული ფორმა ჰქონდა. დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე კრომლეხის დიამეტრი 5,6 მ-ს აღწევდა. მიცვალებულის ძვლები ძლიერ დაშლილა.

სამარხი №51/115. სიღრმე – 0,8 მ. სამარხი გამართული იყო მართკუთხედის ფორმის სამიარუსიანი ყრილის ქვეშ. სიგრძე – 1,4 მ. სიგანე – 1,05 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სამარხის კონტურების გასწვრივ ქვები ვერტიკალურად იყო ჩაწყობილი. ყრილში შეინიშნებოდა ნახშირის კვალი. მიცვალებულის ჩონჩხი დაშლილა. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, იგი მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული იყო მოთავსებული. ინვენტარი მის მედრობით სქესსზე მიუთითებდა. სამარხში ცხვრის ორი ძვალი გაიწმინდა, ერთი თავის ქალის არეში, მეორე კი სამარხის აღმოსავლეთ კედელთან [Мунчаев, 1963: 172].

სამარხი №52/116. სიღრმე – 0,95 მ. სამარხის თავზე მოწყობილი ოვალური ფორმის ოთხიარუსიანი ქვაყრილი სიგრეში 3 მ-ს, ხოლო სიგანეში 1,8 მ-ს აღწევდა. სამარხის სიგრძე ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე 2,2 მეტრი, ხოლო სიგანე – 1,9 მეტრი იყო. ოსტეოლოგიურ მასალას მხოლოდ სამარხის ცენტრში შემორჩენილი ბარძაყის ძვლის ფრაგმენტები და ცხვრის ძვლები შეადგენდნენ. სამარხში დაფიქსირდა ნახშირის კვალი [Мунчаев, 1963: 173].

სამარხი №53/117. სიღრმე – 0,65-0,75 მ. დაუდგენელი ფორმის ორიარუსიანი ქვაყრილით. ჩონჩხი მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოქცეული. ხელები იდაყვში მოხრილი და სახის არეში აწეული.

სამარხი №54/118. სიღრმე – 0,85 მ. სამიარუსიან ქვაყრილს მომრგვალო-ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა. სიგრძე – 1,75 მ. სიგანე – 1,5 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. მიცვალებულის

ჩონჩხიდან მხოლოდ თავის ქალისა და ფეხის ძვლის ფრაგმენტები იყო შემორჩენილი. მათი განლაგების მიხედვით, მიცვალებული ძლიერ მოკუნტული, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ დაუკრძალავთ [Мунчаев, 1963: 175].

სამარხი №55/119. რიყის ქვებისაგან შემდგარ ყრილს მომრგვალო ფორმა ჰქონდა. სიგრძე ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე – 2 მ, დასავლეთ-აღმოსავლეთისაზე – 1,8 მ. ყრილის ქვეშ სამარხის კვალი არ დაფიქსირდა. რ. მუნჩაევის აზრით, აღნიშნული სამარხი კენოტაფს წარმოადგენდა [Мунчаев, 1963: 175].

სამარხი №56/120. სიღრმე – 0,6 მ. ოვალური ფორმის სამიარუსიანი ქვაყრილით. სიგრძე – 1,8 მ, სიგანე – 1,6 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სამარხში შემორჩენილი იყო მხოლოდ ფეხის ძვლის ფრაგმენტები. მათი განლაგების მიხედვით, მიცვალებული თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული დაუმარხავთ. სამარხში დაფიქსირდა ნახშირის კვალი.

სამარხი №57/121. სიღრმე – 0,6 მ. მართკუთხედის ფორმის სამიარუსიანი ქვაყრილით. სიგრძე – 2,1 მ. სიგანე – 1,1 მ. ყრილის მოგრძო ნაწილი დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე იყო მიმართული. სამარხში ქალის ჩონჩხი გაიწმინდა, რომელიც მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოქცეული იყო დაკრძალული. გამოვლინდა დიდი ოდენობით ნახშირი, განსაკუთრებით კი სამარხის კიდეებზე. აღნიშნული სამარხი № 56 სამარხთან ერთად შემოსაზღვრული იყო რიყის ქვების ერთი რიგის წყობისაგან შედგენილი კრომლეხით, რომლისგანაც მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის მხარე იყო შემორჩენილი [Мунчаев, 1963: 181].

სამარხი №58/122. სიღრმე – 0,6 მ. ოვალური ფორმის სამიარუსიანი ქვაყრილი ორიენტირებული იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე. სიგრძე – 4,5 მ. სიგანე 3 მ. სამარხი მოწყობილი იყო ყრილის სამხრეთ-დასავლეთ კუთხის ქვეშ. ჩონჩხი მთლიანად იყო დაშლილი და მხოლოდ კბილები დაფიქსირდა. სამარხეული მასალა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, რომლის მიხედვითაც, სამარხში ქალი უნდა ყოფილიყო დაკრძალული [Мунчаев, 1963: 181-182].

სამარხი №59/123. სიღრმე – 0,5 მ. სამარხი მოწყობილი იყო ოვალური მოყვანილობის ორიარუსიანი ქვყრილის ქვეშ. თავის ქალა გაჭყლეტილი, ხოლო ჩონჩხის სხვა ძვლები დაშლილი ყოფილა. მიცვალებული თავით სამხრეთ-

დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული და ჩატანებული ჰქონდა ორი კერამიკული ჭურჭელი.

სამარხი №60/124. სიღრმე – 0,8 მ. რიყის ქვების სამი რიგისაგან შემდგარი მართკუთხედის ფორმის ქვაყრილით. სიგრძე – 1,9 მ. სიგანე – 1,35 მ. მამაკაცის ჩონჩხი, რომლის თავის ქალაც გაჭყლეტილი იყო, მოთავებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული.

სამარხი №61/125. სიღრმე – 0,65 მ. სამარხის თავზე ორიარუსიანი მართკუთხედის ფორმის ქვაყრილი იყო მოწყობილი. სიგრძე – 1,7 მ. სიგანე – 1,2 მ. ხანში შესული მამაკაცის დაზიანებული ჩონჩხი – ხელ-ფეხმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე მოთავსებული, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული [Мунчаев, 1963: 183-184].

სამარხი №62/126. სიღრმე – 0,85 მ. ოვალური ფორმის ქვაყრილი ოთხიარუსიანი იყო. ზედა იარუსი მიწის ზედაპირიდან 0,2 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა და ორიენტირებული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სამარხს ყრილის ზედა იარუსის დონეზე, სამხრეთის მხრიდან რიყის 6 ქვისაგან შემდგარი კრომლეხი შემოუყვებოდა. მიცვალებულის ძვლები საკმაოდ ცუდად ყოფილა დაცული. იგი მოთავსებული იყო მოკუნტულ პოზაში, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული. სახის წინ, 30 სმ-ის მოცილებით რკინის შუბისპირი აღმოჩნდა, რომლის წვეტიც სამხრეთისაკენ იყო მოქცეული. მის სიახლოვეს მოთავსებული იყო ბრინჯაოს სასაფეთქლე საკიდი. ერთი დიდი ჭურჭელი სამარხის სამხრეთ კედელთან, ხოლო მეორე (ბადია) კი ფეხებთან ყოფილა ჩარდმული. თავის ქალასთან ცხვრის ძვლები დაფიქსირდა [Мунчаев, 1963: 184].

სამარხი №63/127. სიღრმე – 0,95 მ. სამარხის თავზე მოწყობილი იყო წვრილი ქვებისაგან შემდგარი ოთხიარუსიანი მასიური ქვაყრილი. სიგრძე – 2,1 მ. სიგანე – 1,65 მ. მამაკაცის ჩონჩხი ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე მოთავსებული და თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული ყოფილა.

სამარხი №64/128. სიღრმე – 1,25 მ. სამარხის თავზე მოწყობილი ქვაყრილი რიყის ქვების 7 ფენის წყობისაგან შედგებოდა. ზედა იარუსს ოვალის ფორმა ჰქონდა. მას ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან შემოუყვებოდა ნახევარწრიული მოყვანილობის კრომლეხი. სამარხში მიცვალებული ძვლები იმდენად იყო დაშლილი, რომ მათი კვალი ვერ დაფიქსირდა. სამარხის მრავალრიცხოვანი

ინვენტარი მიუთითებდა, რომ აღნიშნული სამარხი მამაკაცის საკუთრებას წარმოადგენდა [Мунчаев, 1963: 184-187].

სამარხი №65/129. სიღრმე – 0,9 მ. №65 და №66 სამარხები ოთხიარუსიანი ქვაყრილის ქვეშ იყვნენ მოქცეული და გარშემო წრიული ფორმის კრომლეხი შემოუყვებოდათ. №65 სამარხი კრომლეხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში იყო მოქცეული.

№65 სამარხს ოვალური ფორმის ყრილი ფარავდა, რომლის სიგრძე 2,15 მ-ს, ხოლო სიგანე 1,5 მ-ს შეადგენდა. ორიენტირებული იყო დასავლეთ – აღმოსავლეთის ხაზზე. სამარხში მიცვალებულის (ქალის) ძვლები ძლიერ დაშლილ მდგომარეობაში დაფიქსირდა. ჩონჩხი, რომლის თავის ქალაც ქვების ზეწოლისაგან გაჭყლეტილა, ფეხებმოკეცილი, მოკუნტულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული ყოფილა.

სამარხი №66/130. სიღრმე – 0,8 მ. სამარხი კრომლეხის ცენტრში იყო მოთავსებული. ფარავდა დაუდგენელი ფორმის ოთხიარუსიანი ქვაყრილი. ოსტეოლოგიური მასალიდან მხოლოდ კბილები იყო შემორჩენილი, რომელიც ჩონჩხის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ორიენტირებაზე მიუთითებდა. სამარხეული ინვენტარი არეულ და გაფანტულ მდგომარეობაში დაფიქსირდა [Мунчаев, 1963: 188].

სამარხი №67/131. სიღრმე – 0,7 მ. ოთხიარუსიანი ყრილით. ზედა იარუსი მიწის ზედაპირიდან 0,29 მ-ის სიღრმეზე გაიწმინდა და მომრგვალო ფორმა ჰქონდა. სიგრძე – 2,1 მ. სიგანე – 2,35 მ. სამარხი ოსტეოლოგიური მასალას არ შეიცავდა.

სამარხი №68/132. სიღრმე – 0,35 მ. ქვაყრილს ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა და ორიენტირებული იყო სამხრეთ-დასავლეთ – ჩრდილო-აღმოსავლეთის ხაზზე. ჩონჩხი, რომელიც მთლიანად დაშლილი და სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული იყო, მრავალრიცხოვანი ინვენტარის მიხედვით, მამაკაცისა უნდა ყოფილიყო.

სამარხი №69/133. სიღრმე – 0,6 მ. სამარხის თავზე მოწყობილი იყო ორიარუსიანი ყრილი. ზედა იარუსი (სიღრმე – 0,29 მ.) არასწორი მართკუთხედის ფორმისა ყოფილა. სიგრძე – 1,8 მ. სიგანე – 1,15 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ჩონჩხისაგან მხოლოდ ფეხის ძვლის ფრაგმენტები შემორჩენილა. მათი განლაგების მიხედვით, მიცვალებული თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული დაუკრძალავთ.

სამარხი №70/134. სიღრმე – 0,8 მ. დარღვეული ქვაყრილით. სამარხს განადგურების კვალი ეტყობოდა და მიცვალებულის ძვლები დაზიანებულ და არეულ მდგომარობაში იყო შემონახული.

სამარხი №71/135. სიღრმე – 0,6 მ. ქვაყრილს ოვალის ფორმა ჰქონდა. სიგრძე – 1,3 მ. სიგანე – 0,8 მ. ორიენტირებული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ძლიერ დაზიანებული ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოკუნტულ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული. ინვენტარის მიხედვით, სამარხი ქალს უნდა კუთვნებოდა.

სამარხი №72/136. სიღრმე – 0,2 მ. ქვაყრილის გარეშე. სამარხი პირდაპირ ჰუმუსოვანი ფენის ქვეშ მდებარეობდა. მამაკაცის დაზიანებული ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ დაუკრძალავთ.

სამარხი №73/137. სიღრმე – 0,8 მ. ოვალური ფორმის ქვაყრილით. სიგრძე – 1,25 მ. სიგანე – 1 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სამარხში ორი მოზარდის ჩონჩხი აღმოჩნდა. ორივე ძლიერ დაზიანებული. ისინი მოკუნტულ პოზაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებულნი; ერთი მარჯვენა, მეორე კი მარცხენა გვერდზე, ერთმანეთისაკენ სახით მიბრუნებულნი დაუკრძალავთ [Мунчаев, 1963: 189].

სამარხი №74/138. სიღრმე – 0,75 მ. სამიარუსიანი ქვაყრილით, რომელსაც არასწორი მართკუთხედის ფორმა ჰქონდა და ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე იყო წაგრძელებული. სიგრძე – 1,9 მ. სიგანე – 1,35 მ. სამარხს მიწის ზედაპირიდან 0,3–0,5 მ-ის სიღრმეზე კრომლეხი შემოუყვებოდა. იგი შედგენილი იყო ერთმანეთის მიყოლებით ჩაწყობილი ქვების ერთი რიგისაგან და არასრული წრის ფორმისა ყოფილა. კრომლეხის დიამეტრი ჩრდილოეთ-საამხრეთის ხაზზე 5,9 მ., ხოლო აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 6,1 მ. იყო. სამარხში მამაკაცის დაზიანებული ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოუთავსებიათ.

სამარხი №75/139. სიღრმე – 0,8 მ. სამარხის თავზე გამართული სამიარუსიანი ყრილით. ზედა იარუსი ოვალური ფორმისა იყო და სიგრძეში 1 მ-ს, ხოლო სიგანეში 1,8 მ-ს აღწევდა. მოგრძო ნაწილით მიმართული სამხრეთ-დასავლეთ – ჩრდილო-აღმოსავლეთის ხაზზე. დაკრძალვის წესი ძვლების ძლიერი დაშლილობის გამო ვერ დადგინდა. სამარხის ჩრდილოეთ კედელთან გამოვლინდა ცხვრის ძვლები [Мунчаев, 1963: 190].

სამარხი №76/140. სიღრმე – 1,3 მ. ექვსიარუსიანი მასიური ყრილით, რომელიც 220-მდე მოზრდილი რიყის ქვისაგან შედგებოდა. ზედა იარუსი ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 3 მ-ის, ხოლო დასავლეთ-აღმოსავლეთისაზე 1 მ-ის სიგრძისა იყო. სამარხში მრავალრიცხოვანი ინვენტარის ფონზე, მიცვალებულის, რომელიც, სავარაუდოდ, მდედრობითი სქესისა იყო, დაკრძალვის წესი ვერ დადგინდა [Мунчаев, 1963: 190].

სამარხი №77/141. სიღრმე – 0,5 მ. არასწორი ოთხკუთხედის ფორმის ქვაყრილით. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სამარხი დარღვეული, ძვლები კი არეული იყო.

სამარხი №78/142. სიღრმე – 0,45 მ. ორიარუსიანი ქვაყრილით. სიგრძე – 3 მ. სიგანე – 1,5 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სამარხი ზედა იარუსის დონეზე კრომლეხით ყოფილა შემოზღუდული, რომლის ცენტრშიც იყო მოქცეული. კრომლეხი შედგენილი იყო ერთ რიგად ჩაწყობილი ქვებისაგან. დიამეტრი – 8,1 მეტრი (ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე). დაკრძალვის წესის დადგენა ვერ მოხერხდა.

სამარხი №79/143. სიღრმე – 0,8 მ. ოვალური ფორმის ყრილით. სიგრძე – 1,3 მ., სიგანე – 0,95 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სამარხს ოვალის ფორმა ჰქონდა. სიგრძე – 1,2 მ. სიგანე – 1 მ. შემორჩენილი იყო ბავშვის თავის ქალის ფრაგმენტები.

სამარხი №80/144. სიღრმე – 0,8 მ. ოვალური ფორმის ყრილით. სიგრძე – 1,7 მ. სიგანე – 0,75 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სამარხი ყრილის მსგავსად ოვალური ფორმისა ყოფილა. სიგრძე – 0,9 მ. სიგანე – 0,7 მ. სამარხში ოსტეოლოგიური მასალა და ინვენტარი არ აღმოჩნდა.

სამარხი №81/145. სიღრმე – 0,6 მ. ორიარუსიანი მართკუთხა ფორმის ყრილით. სიგრძე – 1,85 მ, სიგანე – 1,5 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ჩონჩხი ცუდად იყო დაცული – მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული. ინვენტარი შედგებოდა თავის არეში მოთავსებული ბადიისა და ფეხებთან ჩადგმული ქოთნისაგან.

სამარხი №82/146. სიღრმე – 0,25 მ. მართკუთხედის ფორმის ქვაყრილით. სიგრძე – 1,6 მ. სიგანე – 0,9 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ინვენტარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქალის

ჩონჩხისაგან მხოლოდ ხელისა და ფეხის ძვლის ფრაგმენტები იყო შემორჩენილი.

სამარხი №83/147. სიღრმე – 0,4 მ. ორიარუსიანი მართკუთხედის მოყვანილობის ყრილის ქვეშ. ყრილის სიგრძე – 1,7 მ. სიგანე – 1,1 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სამარხსაც მართკუთხედის ფორმა ჰქონდა, რომელიც სიგრძეში 1,8 მ-ს, ხოლო სიგანეში 1,1 მ-ს აღწევდა. სამარხის ძირი და კიდეები გამომწვარი თიხის ნაგლესის ნატეხებით იყო მოწყობილი. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ქალის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული.

სამარხი №84/148. აღნიშნული სამარხი, რომელიც სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გაითხარა, ყორღანული ყრილით იყო დაფარული. ჰუმუსოვანი ფენის მოხსნისთანავე გამოჩნდა კრომლეხი, რომელიც ყორღანს ძირზე შემოუყვებოდა. იგი ჰორიზონტალურად ჩადებული დიდი ბრტყელი ქვებისაგან იყო შედგენილი. ყორღანის დიამეტრი ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 10,5 მ-ს, ხოლო დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე კი 12 მ-ს აღწევდა. ყორღანის საშუალო სიმაღლე 1,15 მეტრი იყო. ყრილი შედგებოდა მიწის, თიხის, კენჭნარისა და რიყის ქვებისაგან. აღსანიშნავია, რომ კენჭნარი ყორღანის მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იყო კონცენტრირებული და მისი კვალი სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში არ შეინიშნებოდა (ტაბ. XXIX).

ყორღანის ცენტრში მისი ძირისა და კრომლეხის დონიდან 1,5 მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა სამარხი, რომელსაც ოთხკუთხა მოყვანილობა ჰქონდა. სიგრძე – 3 მ. სიგანე – 1,9 მ. სიღრმე მიწის ზედაპირიდან – 2,3 მ. სამარხი დარღვეული იყო და დაკრძალვის წესის დადგენა ვერ მოხერხდა [Мунчаев, 1963: 193-195].

სამარხი №85/149. სიღრმე – 0,4 მ. ორიარუსიანი ყრილით. ზედა იარუსი მართკუთხედის ფორმისა. სიგრძეში – 1,55 მ., სიგანეში – 0,9 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ჩონჩხი დაზიანებული იყო. იგი მოუთავსებიათ მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. სახის წინ ჩადგმული ჰქონდა დიდი ზომის ჭურჭელი, სამარხის შუა ნაწილში – პატარა ქოთანი, მხრის ძვლებთან აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი მძივი და ბალთა, ზედ გამოხატული სვასტიკით. ფეხებთან გამოვლინდა რკინის დანა, ხოლო სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, თავის ქალის უკან – რკინის შუბისპირი [Мунчаев, 1963: 195].

სამარხი №86/150. სიღრმე – 0,4 მ. ქვაყრილიანი. ჩონჩხი მთლიანად დაშლილი. სამარხის ძირი გადაფარული იყო ნახშიროვანი ფენით, რომლის სიგრძე ალაგ-ალაგ 5-6 სმ-ს აღწევდა. სამარხი მართკუთხა მოყვანილობისა იყო. სიგრძეში – 1,7 მ, სიგანეში – 1,1 მ. ივენტარის მიხედვით სამარხი ქალის საკუთრება უნდა ყოფილიყო.

სამარხი №87/151. სიღრმე – 0,7 მ. სამიარუსიანი მასიური ქვაყრილით. ზედა იარუსი (სიღრმე – 0,2 მ.) მომრგვალო-მართკუთხა ფორმისა იყო. სიგრძე – 1,95 მ. სიგანე – 1,4 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ჩონჩხი მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული. სამარხის შევსებაში დაფიქსირდა ნახშირის კვალი. ინვენტარის მიხედვით, სამარხი ქალს ეკუთვნოდა.

სამარხი №88/152. (ყორდანი) სიღრმე – 0,6 მ. დაფარული იყო ოთხიარუსიანი მასიური ქვაყრილით. ზედა ფენა მომრგვალო ფორმისა ყოფილა, რომლის დიამეტრი 6 მ-ს აღწევდა. სამარხს ეტყობოდა დარღვევის კვალი, რადგან ოსტეოლოგიური მასალა და ინვენტარის ნაწილი ყრილში იყო მოქცეული [Мунчаев, 1963: 196].

სამარხი №89/153. სიღრმე – 0,5 მ. სამარხის თავზე ოთხი ბრტყელი ქვიშაქვის ფილა იყო მოთავსებული, რომელთა ზეწოლისგანაც თავის ქალა გაჭყლეტილა. მიცვალებული, რომელიც ახალგაზრდა ქალი უნდა ყოფილიყო, ხელ-ფეხმოკეცილი მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული დაუკრძალავთ.

სამარხი №90/154. სიღრმე – 0,2 მ. მომრგვალო ფორმის ქვაყრილით. სიგრძე - 1,2 მ. სიგანე – 1,1 მ. ცუდად დაცული ქალის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული. მარჯვენა ხელი წინ ჰქონდა გაშვერილი, ხოლო მარცხენა იდაყვში მოკეცილი და წელის არეში მოთავსებული.

სამარხი №91/155. სიღრმე – 0,3 მ. სამარხის თავზე მოწყობილი ქვაყრილი დარღვეული იყო. მისგან მხოლოდ რიყის 4 ქვა შემორჩენილა. სამარხში ოსტეოლოგიური მასალა და ინვენტარი არ დაფიქსირებულა [Мунчаев, 1963: 198].

სამარხი №92/156. სიღრმე – 0,2 მ. ქვაყრილი და სამარხის სამხრეთი ნაწილი დაზიანებული იყო. ირგვლივ რიყის დიდი ქვებით და კენჭნარით შევსებული. ჩონჩხი დაფიქსირდა მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე და თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №93/157. სიღრმე – 0,4 მ. სამარხი გამართული იყო ორიარუსიანი ქვაყრილის ქვეშ, რომელსაც არასწორი მართკუთხედის ფორმა ჰქონდა. სიგრძე – 1,9 მ. სიგანე – 1,3 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. მამაკაცის დაშლილი ჩონჩხისაგან მხოლოდ თავის ქალის, ფეხისა და მხრის ძვალთა ფრაგმენტები შემორჩენილა. მათი მიხედვით, მიცვალებული თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ყოფილა ორიენტირებული. თავის ქალის ფრაგმენტების წინ მოთავსებული იყო თიხის ქოთანი, ბადია და რკინის შუბისპირი; მხრის არეში – ბრინჯაოს ბალთა, ზედ პუნქტირის წესით დატანილი სვასტიკით; წელის არეში – რკინის დანა; სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ფეხებთან კი – გაჭყლეტილი ჭურჭელი [Мунчаев, 1963: 198-199].

სამარხი №94/158. სიღრმე – 0,3–0,5 მ. ორიარუსიანი მომრგვალო-მართკუთხა ფორმის ქვაყრილით. სიგრძე – 1,3 მ. სიგანე – 1,15 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ძლიერ დაშლილი ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოკუნტულ პოზაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული დაფიქსირდა. ინვენტარის მიხედვით, სამარხი ქალის საკუთრებას წარმოადგენდა.

სამარხი №95/159. სიღრმე – 0,2-0,4 მ. ქვაყრილს არასწორი მართკუთხედის ფორმა ჰქონდა. სიგრძე – 1,3 მ. სიგანე – 1,15 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სამარხში მიცვალებულის თავის ქალა გაჭყლეტილი იყო, ძვლები კი დაშლილი. ხანში შესული ქალის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ყოფილა მოთავსებული.

სამარხი №96/160. სიღრმე – 0,3-0,45 მ. მართკუთხედის ფორმის ქვაყრილით. სიგრძე – 1,6 მ. სიგანე – 1,1 მ. ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ჩონჩხი ცუდად იყო შემონახული, თავის ქალა – გაჭყლეტილი. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოქცეული დაუკრძალავთ. ხელის სხივის ძვლების გასწვრივ მოთავსებული იყო რკინის შუბისპირი; წელის არეში – რკინის დანა; სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ფეხებთან – თიხის ქოთანი და ბადია.

სამარხი №97/161. სიღრმე – 1,05 მ. სამარხის თავზე მოწყობილი იყო ექვსიარუსიანი მასიური ქვაყრილი. ზედა იარუსს ოვალური მოყვანილობა ჰქონდა და სიგრძეში 1,8 მ-ს, ხოლო სიგანეში 1,1 მ-ს აღწევდა. მოგრძო ნაწილით

მიმართული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. ახალგაზრდა ქალის ჩონჩხი ძლიერ დაშლილი ყოფილა. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, მოკუნტულ პოზაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული დაუკრძალავთ [Мунчаев, 1963: 200].

ნესტეროვსკაია

ნესტეროვკაიას სამაროვანი მდებარეობს ინგუშეთში, სუნჟის რაიონის სტანიცა ნესტეროვსკაიას მახლობლად. ძეგლი გამოვლინდა მდ. ასას მარცხენა ნაპირზე, სადაც კარიერი იყო მოწყობილი. კარიერზე მიმდინარე სამუშაოებისას, რომლის ფართობიც დაახლოებით 0,5 ჰა-ს შეადგენდა, სამაროვნის საკმაოდ დიდი ნაწილი განადგურდა. ძეგლის გადარჩენილი ნაწილი, რომლის საერთო ფართობი 500მ^2-ს უახლოვდებოდა, 1938-40 და 1946 წლებში ითხრებოდა ე. კრუპნოვის მიერ [Крупнов, 1960: 401].

შესწავლილ იქნა 53 სამარხი, რომელთა უმრავლესობა ქვაყრილით დაფარულ ორმოსამარხს წარმოადგენდა (40), ხოლო მცირე ნაწილი – ყორღანული ტიპის ყრილის სხვადასხვა დონეზე მოქცეულ სამარხს (13). სამარხები მარავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ. მათ დიდი ნაწილს რიყის ქვებისაგან შემდგარი მცირე ზომის ყრილი ფარავდა. უმრავლესობა ინდივიდუალურ, ხოლო მცირე ნაწილი წყვილურ და კოლექტიურ სამარხთა კატეგორიას განეკუთვნებოდა [Крупнов, 1960: 403].

სამარხი №1. სიღრმე მიწის თანამედროვე ზედაპირიდან – 0,23 მეტრი. მიცვალებულის ძვლები ცუდად იყო დაცული. თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ ორიენტირებული. მისი პოზის დადგენა ვერ მოხერხდა. მიცვალებულს თავთან ჩატანებული ჰქონდა სარდიონის ორი მომრგვალო მძივი, ხოლო თეძოს ქვეშ რკინის სატევარი/აკინაკი. ფეხებთან მოთავსებული იყო თიხის ცალყურა სქელკედლიანი უხეში ქოთანი და რკინის ნივთის ფრაგმენტი.

სამარხი №2. სიღრმე – 0,45 მ. ოსტეოლოგიური მასალა არეული და ცუდად დაცული ყოფილა. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ერთ რიგად იყო ჩაწყობილი სხვადასხვა ზომის 10 კერამიკული ჭურჭელი. მცირე ზომისანი უფრო

დიდ ჭურჭლებში იყვნენ მოთავსებული. მათ სიახლოვეს, აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის სხვადასხვა ტიპის იარაღ-სამკაული, რომელთა რაოდენობა ე. კრუპნოვს სამარხში წყვილადი დაკრძალვის შემთხვევას აფიქრებინებდა [Крупнов, 1960: 404].

სამარხი №3. სიღრმე – 0,28 მ. მამაკაცის ჩონჩხი მოკუნტულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ მიმართული დაფიქსირდა. ფეხის ძვლები მუხლის არეში ძლიერ მოკეცილი, ხოლო ხელის მტევნები თავის ქალასთან იყო აწეული. თავის ქალისაგან მარცხნივ გამოვლინდა კერამიკის ფრაგმენტები.

სამარხი №4. სიღრმე – 0,25. ძვლები საკმაოდ ცუდად დაცული და ერთმანეთში არეული იყო. ძვლებს შორის აღმოჩნდა ერთი ისრისპირი და კერამიკის მცირე ფრაგმენტები.

სამარხი №5. სიღრმე – 0,5 მ. ქალის ჩონჩხი, ოდნავ მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე იყო დასვენებული, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული. ხელის მტევნები თავის ქალასთან, სახის არეში იყო აწეული. თავის ქალა ფილაზე ყოფილა მოთავსებული. მიცვალებული საშუალო ასაკისა უნდა ყოფილიყო. სამარხეული ინვენტარი შედგებოდა ბეჭდის ფორმის ვერცხლის საყურეებისაგან, მინის მომწვანო ფერის მძივებისა და თიხის კვირისტავისაგან.

სამარხი №6. სიღრმე – 0,2 მ. ოთხკუთხა ფორმის სამარხი რიყის ქვის ორმაგი ფენით იყო გადაფარული. ორმოს კიდეები, რომელთა სიგრძე 2–2,1 მეტრს აღწევდა, წაგრძელებული ნაწილით ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სახმრეთ-დასავლეთის ხაზზე ყოფილა ორიენტირებული. ყრილის ქვეშ, 0,45 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ადამიანის ძვლები. მათი დიდი ნაწილი არეული და დაზიანებული იყო.

სამარხი №7. სიღრმე – 0,25 მ. სამარხი დაფარული იყო რიყის ქვებისაგან შემდგარი ყრილით, რომლის ზომებიც იყო 2,7 X 1,1 მ-ზე. წაგრძელებული ნაწილით ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული. ჩონჩხი 0,50 მეტრის სიღრმეზე იყო მოთავსებული, მოხრილ მდგომარეობაში, მარცხენა გვერდზე. ხელის მტევნები თავის ქალასთან აწეული ჰქონდა.

სამარხი №8. სიღრმე – 0,42 მ. ქვაყრილი, რომელსაც მართკუთხედის ფორმა ჰქონდა, ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იყო ორიენტირებული. სამარხი შემოწყობილი იყო დიდი ზომის ქვებით და ჩრდილო-

აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართული. სიგრძეში 1,23 მეტრს, ხოლო სიგანეში 0,78 მეტრს აღწევდა. რიყის ქვის კედლების სისქე 0,35 მეტრი იყო.

№8 სამარხი კოლექტიური იყო და მასში 6 ადამიანის ჩონჩხი დაფიქსირდა – მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, ერთმანეთზე რიგრიგობით დაკრძალული. ზედა ორი ჩონჩხი ქალებს, ხოლო ქვედა ოთხი მამაკაცებს ეკუთვნოდათ. აღმოჩნდა დიდი ოდენობით იარაღ-სამკაული [Крупнов, 1960: 406]. სამარხის ძირი დაფარული ყოფილა ხრეშით, რომელიც თიხნარ ნიადაგზე იყო მოყრილი.

სამარხი №9. სიღრმე – 0,4 მ. რიყის ქვებისაგან შედგენილ ყრილს მართკუთხედის ფორმა ჰქონდა (ოდნავ მომრგვალებული კუთხეებით). მისი მოგრძო ნაწილი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ იყო ორიენტირებული. 0,5 მეტრის სიღრმეზე მოწყობილი იყო იმავე ფორმის სამარხი, რომლის ზომებიც შეადგენდა 1,4 X 6 მ-ს. რიყის ქვებისაგან ამოყვანილი კედლების სიმაღლე 0,5 მეტრს აღწევდა. სამარხის შუა ნაწილში მოთავსებული იყო ქალის ჩონჩხი – მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. მარცხენა კუთხეში, თავის ქალის სიახლოვეს ორი თიხის ჭურჭელი ჩაუდგამთ. სამარხეული ინვენტარი ასევე შეიცავდა კვირისტავსა და მინის მძივებს.

სამარხი №10 სიღრმე – 0,2 მ. ქვაყრილი მართკუთხა ფორმისა იყო, მიმართული დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. სამარხის ზომები: 1,45 X 0,7 მ-ზე. კედლები ამოყვანილი იყო რიყის ქვებით, რომელთა სიმაღლე 0,6 მეტრს აღწევდა. მიცვალებული (მამაკაცი) მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დაუკრძალავთ. თავის ქალის სიახლოვეს თიხის ჭურჭელი იყო ჩადგმული, იდაყვებთან კი რკინის შუბისპირი და დეფორმირებული გრძელი დანა.

სამარხი №11. სიღრმე – 0,3 მ. ოვალური ფორმის ქვაყრილით. უინვენტარო სამარხის კედლები რიყის ქვებით იყო ამოყვანილი. სამარხი მიმართული იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ზომები: 1,33 X 0,5 მ-ზე. კედლების სიმაღლე – 0,55 მ. მამაკაცის ჩონჩხი – მოკუნტული, მარჯვენა გვერდზე. მარჯვენა ხელის მტევანი თავის ქალასთან აწეული, ხოლო მარცხენა ხელი იდაყვთან მოკეცილი ჰქონდა.

სამარხი №12. სიღრმე – 0,57 მ. ქვაყრილის გარეშე. მიცვალებული ზურგზე განისვენებდა, ოდნავ მოკეცილი ფეხებით, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ

ორიენტირებული. მარჯვენა ხელი ისე იყო მოკეცილი, რომ ხელის მტევნები გულმკერდის არეში ჰქონდა მოთავსებული, მარცხენა კი თეძოსაკენ გაშვერილი.

სამარხი №13. სიღრმე – 0,77 მ. ქვაყრილის გარეშე. მოზარდის ჩონჩხი – ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, მარცხენა გვერდზე. მარჯვენა ხელი მკერდთან, ხოლო მარცხენა თავის არეში ჰქონდა აწეული. უინვენტარო.

სამარხი №14. სიღრმე – 0,8 მ. სამარხის კონტურები არ შეინიშნებოდა. ერთმანეთზე დამარხული 3 ჩონჩხიდან, ერთი კაცს, ხოლო ორი ქალს ეკუთვნოდა. მამაკაცი ძლიერ მოხრილ პოზაში განისვენებდა და ქალების ჩონჩხების ქვეშ იყო მოქცეული. ზემოდან დასვენებული ქალი – მოკუნტულ პოზაში, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული. ე. კრუპნოვის აზრით აღნიშნული სამარხი საოჯახო განსასვენებელს წარმოადგენდა [Крупнов, 1960: 407].

ნესტეროვსკაიას სამაროვანზე, კარიერის ჩრდილოეთ ნაწილში, რომლის სამხრეთი ნაწილი დაზიანებულა, ჰუმუსოვანი ფენის ქვეშ რიყის ქვებისაგან შემდგარი ფენა გამოვლინდა, რომლის სისქეც 0,5–0,7 მ-ს შორის მერყეობდა (ტაბ. XXXI, 1). ქვაყრილის შემდეგ მოდიოდა ღორღოვანი ფენა. აღნიშნულ ყორღანულ ყრილში და მის ქვეშ შესწავლილ იქნა 13 სამარხი: №№ 15, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 36, 37, 38, 39, 40.

სამარხი №15. სიღრმე – 0,25 მ. გაითხარა ყორღანული ყრილის თავზე. მცენარეული საფარის შემცველი ფენის ქვეშ. მიცვალებულის ძვლები, რომელიც მოკუნტულ პოზაში, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იყო დასვენებული, რიყის ქვების ზეწოლისაგან ძალზედ დაზიანებულა.

სამარხი №16. სიღრმე – 0,90 მ. სამარხში 2 მიცვალებულის ჩონჩხი გამოვლინდა, ორივე ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული. მარცხნივ მოთავსებული ჩონჩხი, მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში დაფიქსირდა. ორივე ხელი თავთან ჰქონდა აწეული. მეორე ჩონჩხი სამარხის აღმოსავლეთ კედელთან იყო მოქცეული. სავარაუდოდ, მის შემდეგ დაკრძალული მიცვალებულისათვის ადგილის გამოსანთავისუფლებლად. სამარხიდან 0,25 მ-ის მოშორებით იმავე სიღრმეზე კერამიკის ფრაგმენტების დიდი ოდენობით კონცენტრაცია შეინიშნებოდა, რომელიც ე. კრუპნოვის აზრით, შეიძლება აღაპის წესის შესრულებას უკავშირდებოდა [Крупнов, 1960: 408].

სამარხი №17. სიღრმე – 0,3 მ. ოვალური ფორმის ქვაყრილით. მიცვალებულის ძვლები 0,6 მ-ის სიღრმეზე დაფიქსირდა. ხანში შესული ქალის ჩონჩხი მარჯვენა

გვერდზე, მოხრილ მდომარეობაში, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იყო მოთავსებული. ხელის მტევნები აწეული ჰქონდა სახის არეში.

სამარხი №18. სიღრმე – 0,5 მ. ქვაყრილიანი. ორმოს სიმაღლე – 0,27 მ. სამარხს ოვალის ფორმა ჰქონდა. მიცვალებულის ძვლები ძლიერ არეული ყოფილა, თუმცა პოზის დადგენა მოხერხდა. იგი მოკუნტულ მდგომარეობაში, ჩრდილოეთისაკენ მიმართული დაუკრძალავთ.

სამარხი №19. (ყორღანი) სიღრმე – 0,46 მ. სამარხის კონტურები არ შეინიშნებოდა. მოთავსებული იყო 2 ქალის ჩონჩხი, რომლებიც გვერდიგვერდ ერთმანეთისაკენ ზურგშექცევით დაუმარხავთ.

სამარხი №20. (ყორღანი) სიღრმე – 0,72 მ. სამარხში საშალო ასაკის მამაკაცის ძვლები გაიწმინდა, რომელიც მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იყო მოქცეული.

სამარხი №21. (ყორღანი) სიღრმე – 0,54 მ. სამარხში 3 ჩონჩხი გამოვლინდა. მიცვალებულები ძლიერ მოკუნტულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მოუთავსებიათ. ორივეს იდაყვში მოხრილი ხელის მტევნები სახის არეში ჰქონდათ აწეული. მესამე ჩონჩხი მათ ქვეშ იყო მოქცეული და მისი ძვლები მიხვეტილი ყოფილა აღმოსავლეთ კედელთან.

სამარხი №22. (ყორღანი) სიღრმე – 0,7 მ. ხანში შესული ქალის სამარხი. მიცვალებული – ძლიერ მოკუნტული, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

სამარხი №23. (ყორღანი) სიღრმე – 0,55 მ. მიცვალებულის ჩონჩხი – მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი, ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

სამარხი №24. (ყორღანი) სიღრმე – 0,45 მ. მოზარდის ჩონჩხი – ხელ-ფეხმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული.

სამარხი №25. (ყორღანი) სიღრმე – 0,6 მ. სამარხში, რომელიც ყორღანული ყრილის ცენტრში იყო მოქცეული, გამოვლინდა მამაკაცის ჩონჩხი, რომლის ცუდმა დაცულობამ, ე. კრუპნოვს მისი პოზის დადგენის საშუალება არ მისცა. ადამიანის ძვლებს შორის აღმოჩნდა ცხვრის ერთი დეფორმირებული კოჭიც [Крупнов, 1960: 410].

სამარხი №26. სიღრმე – 0,4 მ. ქვაყრილით. კარიერზე მუშაობისას მუშებს დაუზიანებიათ აღნიშნული სამარხი, რომლის კედლებიც რიყის ქვებით იყო კონსტრუირებული და მოგრძო ნაწილით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული.

სამარხი №27. სიღრმე – 0,4 მ. ქვაყრილს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული მართკუთხედის ფორმა ჰქონდა, მომრგვალო კუთხეებით. მისი სიგრძე 1,7 მ-ს, ხოლო სიგანე 0,6 მ-ს შეადგენდა. სამარხში ძვლები არეული, ხოლო თავის ქალა მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მოქცეული ყოფილა. ინვენტარის მიხედვით, სამარხი, რომელშიც მინის 46 მთელი და 31 დაზიანებული მძივი შედიოდა, ქალის კუთვნილება უნდა ყოფილიყო [Крупнов, 1960: 410].

სამარხი №28. სიღრმე – 0,3 მ. ოვალური ფორმის ქვაყრილითა და სამარხით, რომლის კედლებიც რიყის ქვებით იყო ამოყვანილი. სამარხის სიგრძე – 1,8 მ. სიგანე – 1 მ. მის აღმოსავლეთით 0,45 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა რიყის ქვების გროვა, კერამიკულ ფრაგმენტთა დიდი ოდენობის კონცენტრაციით. სამარხში მიცვალებულის ძვლები არ აღმოჩნდა. ე. კრუპნოვის აზრით, იგი კენოტაფს წარმოადგენდა [Крупнов, 1960: 411].

სამარხი №29. სიღრმე – 0,75 მ. ქვაყრილის ქვეშ სამარხის კვალი არ შეიმჩნეოდა. თუმცა, ყრილის აღმოსავლეთით, მიწაში ხანში შესული ქალის ჩონჩხი აღმოჩნდა, რომელიც მარჯვენა გვერდზე, მოხრილი, ხელის მტევნებით სახის არეში აწეული დაუკრძალავთ.

სამარხი №30. სიღრმე – 0,7 მ. სამარხში, რომელსაც ქვაყრილი არ ფარავდა, 2 ადამიანის ძლიერ დაზიანებული ჩონჩხი იყო მოთავსებული. ერთი მიცვალებული მარცხენა გვერდზე (ქალი), ხოლო მეორე მარჯვენა გვერდზე (ხნიერი მამაკაცი) დაუკრძალავთ. თავით ორივე სამხრეთ-დასავლეთისაკენ ყოფილა მოქცეული. მამაკაცის დაშლილ თავის ქალას ცეცხლის ძლიერი ზემოქმედების კვალი ეტყობოდა. ჩონჩხის ქვეშ ნახშირი და კერამიკის დამწვარი ფრაგმენტები აღმოჩნდა [Крупнов, 1960: 411].

სამარხი №31. სიღრმე – 0,7 მ. ქვაყრილის სიახლოვეს გაჭრილ სამარხში მიცვალებულის ძლიერ დაზიანებული ძვლები დაფიქსირდა.

სამარხი №32. სიღრმე – 0,76 მ. სამარხს მართკუთხა ფორმა ჰქონდა და ჩრდილო-აღმოსავლეთით იყო ორიენტირებული. სამარხის სიგრძე – 1,5 მ-ს, სიგანე კი ჩრდილოეთ ნაწილში 0,8 მ-ს, ხოლო სამხრეთ ნაწილში – 0,7 მ-ს შეადგენდა. სამარხში 0,80 მ-ის სიღმეზე 3 ჩონჩხი გამოვლინდა. სამივე მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული. ჩონჩხები ერთმანეთზე იყვნენ მიჯრილი. ე. კრუპნოვის

მიხედვით სამარხში პირველი შუაში მიკვლეული ქალის ჩონჩხი დაუკრძალავთ; შემდეგ მის დასავლეთით მდებარე მამაკაცის ჩონჩხი; სულ ბოლოს კი აღმოსავლეთით გამოვლენილი ჩონჩხი, რომელიც შედარებით ახალგაზრდა ქალს ეკუთვნოდა. ქალთა ჩონჩხების კისრის არეში მინის 20, აქატის 4 და პასტის 1 მძივი აღმოჩნდა. მამაკაცის ჩონჩხს თავის ქალასთან ჩადგმული ჰქონია თიხის 2 ჭურჭელი [Крупнов, 1960: 411-412].

სამარხი №33. სიღრმე – 0,8 მ. ქვაყრილის გარეშე. მამაკაცის ჩონჩხი, ზურგზე მწოლიარე დაფიქსირდა. ხელები თეძოსკენ გაშვერილი, ფეხები კი მუხლის არეში ოდნავ მოკეცილი და მაღლა აწეული ჰქონდა.

სამარხი №34. სიღრმე – 0,7 მ. სამარხის ორმოს ლაქა ზედაპირზე არ შეინიშნებოდა. მიცვალებული ჩონჩხი, რომელიც მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული, ძლიერ დაზიანებული ყოფილა [Крупнов, 1960: 412].

სამარხი №35. სიღრმე – 0,65 მ. №34 სამარხის მსგავსად, აქაც არ შენიშნებოდა ორმოს კონტურები. ქალის ჩონჩხი მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ მოქცეული დაფიქსირდა. ხელის მტევნები თავის ქალასთან აწეული, ფეხები კი მუხლის არეში ძლიერ მოკეცილი ჰქონდა.

სამარხი №36. (ყორღანი) სიღრმე – 0,4 მ. მიცვალებულის ძვლებიდან თავის ქალისა და ხელის ძვლების ფრაგმენტების გარდა, არაფერი იყო შემორჩენილი.

სამარხი №37. (ყორღანი) სამარხში ძვლები ძლიერ დაზიანებული ყოფილა. ჩონჩხი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული დაფიქსირდა.

სამარხი №38. (ყორღანი) სიღრმე – 0,46 მ. ჩონჩხი – ძლიერ დაზიანებული, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. მის თანმხლებ ინვენტარს მხოლოდ თიხის ერთი ქოთანი შეადგენდა.

სამარხი №39. (ყორღანი) სიღრმე – 0,45 მ. პირდაპირ ყრილის ქვეშ მოთავსებული ჩონჩხი – დაზიანებული, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №40. (ყორღანი) სიღრმე – 0,66 მ. მამაკაცის ჩონჩხი – ყრილის ქვეშ, მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. უინვენტარო.

სამარხი №41. სიღრმე – 0,6 მ. მცირე ზომის ქვაყრილით. სამარხში ქალის ჩონჩხი, მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ იყო მოქცეული.

სამარხი №42. სიღრმე – 0,35 მ. ქვაყრილს მართკუთხედის ფორმა ჰქონდა. 0,6 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა ქალის ჩონჩხი. მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული (ტაბ. XXX, 1).

სამარხი №43. სიღრმე – 0,4 მ. ქვაყრილით. მიცვალებული ძვლები 0.9 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა. იგი მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ მიმართული დაუკრძალავთ. ჩონჩხი ისე ძლიერ იყო მოკუნტული, რომ მისი სიგრძე 0,8 მ-ს არ აღემატებოდა [Крупнов, 1960: 414].

სამარხი №44. სიღრმე – 0,55 მ. რიყის ქვებისაგან შემდგარი ქვაყრილით. ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული. სამარხი ამოვსებული იყო რიყის ქვებით, რის გამოც მისი კონტურების დადგენა ვერ მოხერხდა.

სამარხი №45. სიღრმე – 0,4 მ. სამარხში ქალის ოდნავ მოხრილი ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე იყო დაკრძალული, ორიენტირებული სამხრეთ აღმოსავლეთის მხარეს. სამარხეული ინვენტარი შედგებოდა თიხის ერთი ქოთნისაგან, თავის ქალასთან გამოვლენილი ბრინჯაოს 2 სასაფეთქლე ხვიისაგან; კისრის არეში მოთავსებული მინის 25 ცისფერი, 1 შავი, 4 ყავისფერი და პასტის 5 მძივისაგან; მარცხენა ხელზე გაკეთებული ბრინჯაოს მასიური სამაჯურისა და ჩონჩხის მარცხნივ, მენჯის გასწვრივ მოთავსებული თიხის კვირისტავისაგან (ტაბ. XXX, 2) [Крупнов, 1960: 414].

სამარხი №46. სიღრმე – 0,85 მ. თითქმის მთლიანად დაშლილი ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №47. სიღრმე – 0,6 მ. სამარხი მოწყობილი იყო უფორმო ქვაყრილის ქვეშ და დარღვევის კვალი ეტყობოდა. დაზიანებული ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იყო მოთავსებული. მიცვალებული დაუკრძალავთ წვრილი კენჭებისაგან შემდგარ საგებზე. იდაყვებთან ჩადგმული ჰქონდა თიხის ქოთანი, მუხლებს ქვემოთ კი – ბადია (ტაბ. XXX, 3).

სამარხი №48. სიღრმე – 0,6 მ. სამარხი მოწყობილი მცირე ქვაყრილის ქვეშ, რომელშიც მრავლად იყო კერამიკისა და ცხოველის ძვლის ფრაგმენტები. ჩონჩხი ასაკოვან ქალს ეკუთვნოდა, რომელიც მარჯვენა გვერდზე, მოხრილ პოზაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ იყო დაკრძალული.

სამარხი №49. სიღრმე – 0,62 მ. ქვაყრილს მართკუთხა ფორმა ჰქონდა, რომლის ქვეშ მოწყობილ სამარხში 2 ჩონჩხი იქნა მიკვლეული – ქალის და ბავშვის. ქალის ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთისაკენ დაუკრძალავთ. მოკუნტულ მდგომარეობაში მყოფს, ხელები იდაყვში მოხრილი და კისრის გასწვრივ მოთავსებული ჰქონდა. ბავშვის დაშლილი ჩონჩხი მის ფეხებთან გამოვლინდა – მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ მიმართული. ინვენტარი შედგებოდა ბავშვის საფეთქლის არეში ნაპოვნი ბრინჯაოს საყურისა და ქალის მენჯთან მოთავსებული რკინის დანის ფრაგმენტისაგან. სამარხის სიახლოვეს, იმავე დონეზე კონცენტრირებული იყო დიდი ოდენობით კერამიკისა და ცხოველის ძვლის ფრაგმენტები (ტაბ. XXX, 4) [Крупнов, 1960: 415].

სამარხი №50. სიღრმე – 0,9 მ. ქვაყრილი მიწის ზედაპირიდან 0,2–0,3 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. მას მართკუთხა ფორმა ჰქონდა და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იყო ორიენტირებული. ქვაყრილის სისქე 0,7 მ-ს აღწევდა, რაც ყველაზე დიდია ნესტეროვსკაიას სამაროვანზე შესწავლილ ქვაყრილებს შორის. ყრილის ქვეშ მამაკაცის ჩონჩხი დაფიქსირდა – მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №51. სიღრმე – 0,85 მ. ნახევარწრიული ფორმის მქონე კრომლეხის მსგავსი კონსტრუქცია მიწის ზედაპირიდან 0,2–0,3 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა. იგი შედგენილი ყოფილა ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად ჩადგმული რიყის საშუალო ზომის ქვების 3 რიგის წყობისაგან. მას დაზიანების აშკარა კვალი ეტყობოდა, რადგან ჩრდილოეთის მხარე მორღვეული ჰქონდა და ქვები გაფანტული იყო. კრომლეხის დიამეტრი არ აღემატებოდა 4 მეტრს. აღნიშნული კონსტრუქციის შიგნით რიყის ქვებისაგან ოვალური ფორმის სხვა წრე იყო შედგენილი, რომელიც წაგრძელებული ნაწილით აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე იყო ორიენტირებული. წრიული კონსტრუქციის სიახლოვეს და მის ჩრდილოეთ ნაწილში, 0,3–0,5 მ-ის სიღრმეზე კერამიკის ფრაგმენტები და ცხოველის დამწვარი ძვლები გამოვლინდა.

სამარხის კონტურები ოვალური კონსტრუქციის ქვეშ, 0,8 მ-ის სიღრმეზე დაფიქსირდა და მასაც ოვალური ფორმა ჰქონდა. მისი სიგრძე 1,8 მ-ს, ხოლო სიგანე 0,6 მ-ს შეადგენდა. საშუალო ასაკის მამაკაცის ჩონჩხი მიწის ზედაპირიდან 0,85 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. სხვა სამარხებისაგან განსხვავებით მიცვალებული ზურგზე, გაშოტილ პოზაში იყო მოთავსებული, ოდნავ მოკეცილი

ფეხებით. ხელები მოთავსებული ჰქონდა მენჯის გასწვრივ. თავით ორიენტირებული იყო დასავლეთისაკენ. სამარხში ინვენტარი არ აღმოჩნდა. მიცვალებული დაკრძალული ყოფილა სპეციალურად მოწყობილ თიხნარ საგებზე (ტაბ. XXX, 5) [Крупнов, 1960: 415-416].

სამარხი №52. სიღრმე – 0,3 მ. ქვაყრილი 0,25 მეტრის სიღრმეზე გამოვლინდა და სიგრძეში 3 მ-ს, ხოლო სიგანეში 2 მ-ს აღწევდა. ყრილის ქვეშ მხოლოდ თავის ქალა დაფიქსირდა, რაც მის დარღვევაზე მიუთითებს, თუმცა ე. კრუპნოვი არ გამორიცხავდა მეორადი დაკრძალვის წესის არსებობას, რომლის დროსაც მიწაში მხოლოდ მიცვალებულის თავის ქალა დამარხეს [Крупнов, 1960: 416].

სამარხი №53. მართკუთხა ფორმის ქვაყრილი მიწის ზედაპირიდან 0,25 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა და ძლიერ დაზიანებული ყოფილა. სამარხის კონტურები 0,8 მ-ის სიღრმეზე გამოიკვეთა და ოვალური მოყვანილობისა იყო. სიგრძეში 2,1 მ-ს, ხოლო სიგანეში 0,7 მეტრს აღწევდა. მამაკაცის ჩონჩხი 0,85 მეტრის სიღრმეზე იყო მოთავსებული – ზურგზე, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული. ხელები მენჯის გასწვრივ გაშლილი, ხოლო ფეხის ქვედა კიდურები ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ჰქონდა. სამარხეული ინვენტარიდან აღსანიშნავია მანეჯის მარცხენა მხარეს მოთავსებული რკინის აკინაკი (ტაბ. XXX, 6) [Крупнов, 1960: 416].

ფსედახი

სოფელი ფსედახი, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სუნჟის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე ვ. დოლბეჟევმა მიაკვლია სამაროვანს, მდებარეობს ინგუშეთში, მალგობეკის რაიონში. ვ. დოლბეჟევმა ძეგლის მიდამოებში სხვადასხვა სახის არქეოლოგიური მასალა შეკრიბა და ორი სამარხი გათხარა (№11 და №12). 1975 წელს ს. დუდარევმა და ვ. პეტრენკომ დამატებით 4 სამარხი შეისწავლეს და სამარხეული მასალის მიხედვით ძვ.წ. VI–V საუკუნეებით დაათარიღეს. იმის გამო, რომ ობიექტს განადგურება ემუქრებოდა, 1976-1977

წლებში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური ინსტიტუტის რაზმმა ფსედახში არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა, რომლის შედეგადაც 7 სამარხი გამოვლინდა. გათხრების საერთო ფართობი 160 მ^2-ს შეადგენდა. სამარხებს არ ეტყობოდათ მიწისზედა კონსტრუქციების კვალი და ერთმანეთისაგან 8 მ-ზე მეტი მანძილით იყვნენ დაშორებული.

სამარხი №1. სიღრმე – 0,45-0,5 მ. სამარხი ნაწილობრივ დაზიანებული ყოფილა. დაკრძალული იყო ორი ინდივიდი, რომელთაგან მხოლოდ თავის ქალის ფრაგმენტები შემორჩენილა. მათი განლაგების მიხედვით, მიცვალებულები მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მოუთავსებიათ. თავის ქალასთან გაიწმინდა ხელის ფალანგები, რაც მიუთითებს, რომ მიცვალებულებს ხელები სახის არეში ჰქონდათ აწეული.

სამარხი №2. სიღრმე – 0,5 მ. სამარხის კონტურები არ შეინიშნებოდა. ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოკუნტული, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იყო მოთავსებული. ხელები იდაყვში მოკეცილი და სახის არეში აწეული ჰქონდა. სამარხის შევსებაში დიდი რაოდენობით ნახშირი დაფიქსირდა. ანთროპოლოგიური მონაცემებით სამარხი 30-40 წლის ქალს ეკუთვნოდა (ტაბ. XXXI, 2) [Козенкова, 1986: 139].

სამარხი №3. სიღრმე – 1,25 მ. სამარხის კონტურები გამოკვეთილად არ შეინიშნებოდა. ჩონჩხის დაცულობა დამაკმაყოფილებელი იყო. იგი მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ მოქცეული იყო. თავის ქალა გაჭყლეტილი აღმოჩნდა. ხელები იდაყვში მოკეცილი და სახის წინ მოთავსებული, ხოლო ფეხები ოდნავ მოკეცილი და ქუსლები ერთმანეთზე მიტყუპებული ჰქონდა (ტაბ. XXXI, 3). თავის ქალაზე და მის ქვეშ ბრინჯაოს საყურეები გამოვლინდა; ყელისა და მკერდის არეში კი ბრინჯაოს სპირალური სამკაულები, მინის და ბრინჯაოს მძივები იყო მიმოფანტული. იქვე სურმისაგან დამზადებული 26 ღილი იყო გაბნეული. მიცვალებულს ორივე ხელის მაჯაზე ბრინჯაოს მასიური სამაჯურები, ხოლო ორივე მტევნის შუა თითზე ბრინჯაოს ბეჭდები ეკეთა. თავის ქალისა და მკერდის წინ ცხვრის ჩონჩხი აღმოჩნდა, რომლის თავის ქალასთან თიხის კვირისტავი იყო მოთავსებული. კერამიკა ფრაგმენტების სახით იყო წარმოდგენილი, რომლებიც მიცვალებულის ხელებქვეშ ყოფილან მოქცეული. ანთროპოლოგიური მონაცემებით აღნიშნულ სამარხში 25-30 წლის ქალი დაუკრძალავთ [Козенкова, 1986: 140].

სამარხი №4. სიღრმე – 0,7 მ. სამარხის კონტურები არ შეიმჩნეოდა. სამარხში აღმოჩნდა ადამიანის თავის ქალა და ძლიერ ფრაგმენტირებული ძვლები. მიცვალებული თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ყოფილა ორიენტირებული. მუხლების არეში თიხის ქილა და ცხვრის თავის ქალა გამოვლინდა. ფეხების სამხრეთით ჩადგმული იყო მოზრდილი დერგი, რომელშიც თიხის პატარა სასმისი იყო მოთავსებული. სამარხში, განსაკუთრებით კი მიცვალებულის ფეხების არეში, დაფიქსირდა ნახშირის კვალი [Козенкова, 1986: 140].

სამარხი №5. სიღრმე – 0,74 მ. სამარხის კონტურები არ შეინიშნებოდა. მის თავზე ქვების კონცენტრაცია დაფიქსირდა. მიცვალებულის თავის ქალა გაჭყლეტილი იყო. ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, ოდნავ მოხრილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ მიმართული ყოფილა. ხელები იდაყვში მოკეცილი და სახის წინ დაწყობილი ჰქონდა. მარცხენა ხელის იდაყვთან მოთავსებული იყო სალესი ქვა, ხოლო თავის ქალის სამხრეთ-აღმოსავლეთით – მოზრდილი დერგი. სალეს ქვასთან ცხვრის ასტრაგალი, ხოლო დერგთან ცხვრის ძვლები გამოვლინდა. ანთროპოლოგიური მონაცემებით სამარხი 60-70 წლის ქალს ეკუთვნოდა (ტაბ. XXXI, 4) [Козенкова, 1986: 142].

სამარხი №6. სიღრმე – 0,93 მ. სამარხის ნაწილი დაზიანებული იყო. ჩონჩხისგან დაურღვევლად მხოლოდ მენჯისა და ფეხის ძვლები იყო დაცული. მათი მიხედვით მიცვალებული მარცხენა გვერდზე, მოკუნტულ პოზაში, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დაუკრძალავთ.

სამარხი №7. სიღრმე – 0,4 მ. სამარხი დაზიანებული აღმოჩნდა. ჩონჩხისაგან მხოლოდ ფრაგმენტირებული თავის ქალა და ხელის ძვლები იყო შემონახული. მიცვალებული თავით აღმოსავლეთისაკენ მოუთავსებიათ. თავის ქალის სამხრეთ-აღმოსავლეთით კერამიკული ჭურჭელი იყო ჩადგმული, რომლის მახლობლადაც ღორის თავის ქალა და ცხვრის ძვლები გამოვლინდა [Козенкова, 1986: 143].

ანი-ირზო

ანი-ირზოს სამაროვანი მდებარეობს ჩეჩნეთში, ურუს-მარტანიდან სამხრეთ-დასავლეთით, 4 კმ-ის დაშორებით. ძეგლი პირველად გ. ვერტეპოვმა აღმოაჩინა 1900 წელს და ძვ.წ. VI-V სს-ის 8 ყორღანული სამარხი შეისწავლა. იგი აღნიშნავდა, რომ ურუს-მარტანის სიახლოვეს მრავალი მსგავსი ტიპის სამარხი იყო, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ იძარცვებოდა [Вертепов, 1902: 54].

სამარხი №1. სამარხი ყორღანული ტიპისა ყოფილა (დაზიანებული).

სამარხი №2. ყორღანის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 1 მ-ს აღწევდა, დიამეტრი კი 7 მ-ს. მიცვალებულის ძვლები 1,35 მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა. ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ იყო მოთავსებული. ფეხები ძლიერ მოკეცილი და მენჯის არეში მიჯრილი ჰქონდა. ბარძაყის ძვალთან აღმოჩნდა რკინის სატევრისპირი და სალესი ქვა, სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში კი ნახშირის მცირე ჩანართები [Вертепов, 1902: 55].

სამარხი №3. ყრილის სიმაღლე – 0,50 მ. დიამეტრი – 5 მ. სამარხი მიწის ზედაპირიდან 1 მ-ის სიღრმეზე მდებარეობდა. მიცვალებულის ჩონჩხის მთლიანობა დარღვეული იყო და მისი ძვლები მსხვილფეხა საქონლისა და ცხვრის ძვლებთან ერთად იყო არეული. სამარხში არ დაფიქსირდა თავის ქალა.

სამარხი №4. ყრილის სიმაღლე 1 მ-ს შეადგენდა, ხოლო დიამეტრი – 7 მ-ს. მისი დასავლეთი ნაწილი დაზიანებული ყოფილა. ყორღანული ყრილის ცენტრალურ ნაწილში, 0,15 – 0,20 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა ცხვრის ძვლები და ნახშირის ჩანართები. მიწის ზედაპირიდან 1,35 მ-ის სიღრმეზე კი აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხი. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, ფეხებმოკეცილი, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული, სახით სამხრეთისაკენ მიმართული იყო მოთავსებული. კისრის არეში დაფიქსირდა დიდი რაოდენობით ბრინჯაოს მძივები, ხოლო ფეხებთან თიხის ფრაგმენტირებული ჭურჭელი, რომლის სიახლოვესაც ნახშირის კვალი და საქონლის ძვლები ყოფილა კონცენტრირებული [Вертепов, 1902: 56].

სამარხი №5. სამარხი დაზიანებული იყო. მიცვალებულის ფრაგმენტირებული ძვლები მიწის ზედაპირიდან 1,30 მეტრი სიღრმეზე იყო მოთავსებული. სამარხში გამოვლინდა საქონლის ძვლები და ნახშირი.

სამარხი №6. სამარხი ყორღანული ყრილის ქვეშ იყო მოქცეული, თუმცა მასში ადამიანის ძვლები არ დაფიქსირებულა. 1,25 – 1,30 მ-ის სიღრმეზე, მის ჩრდილოეთ ნაწილში საქონლის ძვლების გროვა გამოვლინდა. ისინი დიდი ქვის ქვეშ იყვნენ მოქცეული. მათ სიახლოვეს კი მოთავსებული იყო რკინის ფრაგმენტირებული შუბისპირი [Вертепов, 1902: 56].

სამარხი №7. სამარხის თავზე მოწყობილი ყრილი სხვა სამარხებთან შედარებით უფრო მოზრდილი იყო. მიცვალებულის ჩონჩხი 1,30 მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა, რომელიც მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებული მოუთავსებიათ. ბარძაყის ძვლებთან აღმოჩნდა რკინის სატევარი, სალესი ქვა და ბრინჯაოს ისრისპირი, ფეხებთან – რკინის შუბისპირი და კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები. სამარხი ასევე შეიცავდა ნახშირის ჩანართებს [Вертепов, 1902: 56].

სამარხი №8. სამარხი დაზიანებული იყო. 1,50 მ-ის სიღრმეზე მხოლოდ ადამიანის ძლიერ ფრაგმენტირებული ძვლები და თიხის ჭურჭელი გამოვლინდა [Вертепов, 1902: 57].

ბოისი-ირზო

ბოისი-ირზო ურუს-მარტანის სამხრეთით 4 კმ-ის, ანი-ირზოდან კი აღმოსავლეთით 5 კმ-ის დაშორებით მდებარეობს, მდ. მარტანკის მარჯვენა სანაპიროზე. 1900 წელს გ. ვერტეპოვმა აქ 8, ხოლო 1901 წელს 11 სამარხი შეიწავლა. ყველა მათგანი ყორღანული ყრილის ქვეშ იყვნენ მოქცეული. მიმდებარე ტერიტორიაზე მსგავსი ტიპის 100-მდე ყრილი შეინიშნებოდა, რომელთაც მომრგვალო, თაღისებრი ფორმა ჰქონდათ. მათი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ყოფილა დაზიანებული [Вертепов, 1902: 57].

სამარხი №1 (1900 წ.). ყორღანული ტიპის. ჩონჩხი მიწის ზედაპირიდან 1,5 მ-ის სიღრმეზე, მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით

ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებული ყოფილა მოთავსებული. ფეხებთან ჩადგმული ჰქონდა სასმისი. ფალანგებზე ბრინჯაოს 6 ბეჭედი ეკეთა, ხოლო ხელებზე ბრინჯაოსავე 4 სამაჯური. სამარხში აგრეთვე აღმოჩნდა: ბრინჯაოს 2 ფიბულა, ბრინჯაოსა და მინის მძივები. ინვენტარის მიხედვით, სამარხში ქალი უნდა ყოფილიყო დაკრძალული [Вертепов, 1902: 57].

სამარხი №2 (1900 წ.). მცირე ზომის ყორღანი. მიწის ზედაპირიდან 0,5 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა 3 თავის ქალა, ერთმანეთისაგან დაახლოებით 0,75 მ-ის დაშორებით [Вертепов, 1902: 57].

სამარხი №3 (1900 წ.). მცირე ზომის ყორღანი. სამარხში ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, ფეხებმოკეცილი, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, სახით აღმოსავლეთისაკენ მიმართული მოუთავსებიათ. თავის ქალის ორივე მხარეს თიხის ქოთნები, ხოლო ფეხებთან თიხის სასმისი იყო ჩადგმული. ჩონჩხის წინ აღმოჩნდა რკინის შუბისპირი [Вертепов, 1902: 58].

სამარხი №4 (1900 წ.). დიდი ზომის ყორღანი. ჩონჩხი გაიწმინდა 1,5 მ-ის სიღრმეზე – ფეხებმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, სახით კი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმართული. ფეხებთან აღმოჩნდა თიხის ფრაგმენტირებული სასმისი, ბარძაყის ძვალთან – რკინის სატევრისპირი [Вертепов, 1902: 58].

სამარხი №5 (1900 წ.). საშუალო ზომის. ჩონჩხი 1,5 მ-ის სიღრმეზე, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ იყო მოთავსებული.

სამარხი №6(1900 წ.). სიღრმე – 1,5 მ. ჩონჩხი – მოკუნტულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმართული. სახის წინ რკინის შუბისპირი, ხოლო ფეხებთან თიხის სასმისი ჰქონდა ჩატანებული.

სამარხი №7 (1900 წ.). სიღრმე – 1,75 მ. მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული. ფეხებთან აღმოჩნდა თიხის სასმისი, მკერდის არეში – ბრინჯაოს ფიბულა და რკინის დანა.

სამარხი №8 (1900 წ.). სიღრმე – 1,5 მ. ჩონჩხი – მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული.

სამარხი №9 (1901 წ. №1). ჩონჩხი მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოქცეული. თავის ქალის ქვეშ რკინის შუბისპირი, სახის წინ კი თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა.

სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში კი დაფიქსირდა ცხოველის ძვლები [Вертепов, 1903: 90].

სამარხი №10 (1901 წ. №2). ყრილის ზედაპირიდან 0,62 მ-ის სიღრმეზე ნახშირის კვალი გამოვლინდა. სამარხი მიწის ზედაპირიდან 1,77 მ-ის სიღრმეზე იყო მოწყობილი, რომლის ძირი თიხით ყოფილა მოტკეპნილი. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ოდნავ ფეხებმოკეცილი მოუთავსებიათ. მუხლების წინ აღმოჩნდა რკინის სატევარი, თავის ქალის წინ კი ბრინჯაოს ისრისპირი და თიხის ფრაგმენტირებული ჭურჭელი [Вертепов, 1903: 90].

სამარხი №11 (1901 წ. №3). ყორღანული ყრილი რამდენიმე ფენისაგან შედგებოდა. ქვაყრილს თიხის ფენა მოსდევდა, რომლის ქვეშაც სამარხი ყოფილა მოწყობილი. ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე, ფეხებმოკეცილი, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული დაუკრძალავთ. მიცვალებულს ფეხებს შორის რკინის სატევარი, ხოლო თავის ქალის წინ თიხის ქოთანი ჰქონდა ჩადგმული, რომლის ქვეშაც მოთავსებული იყო რკინის შუბისპირი. სამარხში გამოვლინდა დიდი ოდენობით საქონლის ძვლები [Вертепов, 1903: 90].

დასავლური ვარიანტი

ტერეზე

ტერეზეს სამაროვანი, რომელსაც 1977-78 წლებში სწავლობდა ვ. კოზენკოვა, ყარაჩაი-ჩერქეზეთის მალოკარაჩაევსკის რაიონის სოფელ ტერეზეს სამხრეთით მდებარეობს. სამაროვნის დიდი ნაწილი 1977 წელს სამშენებლო სამუშაოების შედეგად დაზიანდა. მასალა, რომელიც ხ. ბიჯიევმა ვ. კოზენკოვას გადასცა, ძეგლს ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით ათარიღებდა [Козенкова, 1978: 123]. გაითხარა ორი სამარხი, რომლებიც მოზრდილი ბრტყელი ქვებისაგან იყვნენ ნაგები. მათ კვადრატული ფორმა ჰქონდათ და სიგრძესა და სიგანეში 6 მეტრს აღწევდნენ.

კოლექტიური სამარხი-აკლდამა №1. სამარხის ძირი მოსწორებული იყო და 10 სმ-ის სისქეზე ცეცხლის ზემოქმედების კვალი ეტყობოდა. სამარხის ცენტრში კვადრატული ფორმის ბრტყელი ქვა იყო მოთავსებული, რომელიც ვ. კოზენკოვამ პრიმიტიულ სამსხვერპლოდ მიიჩნია. ადამიანის ძლიერ დამწვარი ძვლები პატარა წრიულ ორმოებში ყოფილა მოთავსებული, რომელთა დიამეტრი 15 – 20 სმ-ს შორის მერყეობდა. დაფიქსირდა ინჰუმაციური დაკრძალვის წესიც. გაიწმინდა ბავშვის სამარხი, რომლის ჩონჩხისგანაც მხოლოდ ხელის ძვლები იყო შემორჩენილი, ზედ ბრინჯაოს სამაჯურებით. მათ სიახლოვეს ბრინჯაოს 2 საკიდი იყო მოთავსებული. საერთო ჯამში, №1 სამარხ-აკლდამაში 27 კომპლექსი იქნა გამოყოფილი. მათგან 13 მოზრდილი ინდივიდების, ხოლო 14 ბავშვების კუთვნილებას წარმოადგენდა [Козенкова, 2004: 149-155].

კოლექტიური სამარხი-აკლდამა №2. სამარხის მოწითალო ფერის ძირი 30 სმ-იანი ოსტეოლოგიური მასალის შემცველი ფენით იყო გადაფარული. თავის ქალებისა და ხელის ძვლების ფრამენტები სამხრეთ-დასავლეთ კედელთან, ხოლო ფეხის ძვლები კი სამარხის ცენტრალურ ნაწილში ყოფილა მოქცეული. სამარხეული ინვენტარი რამდენიმე კომპლექსად იყო დაყოფილი. როგორც წესი, 2-3 მოზრდილი კერამიკული ჭურჭლის ირგვლივ შემოწყობილი იყო სამკაული და სამუშაო იარაღი, იშვიათად კი საბრძოლოც. ყველა მათგანს ცეცხლის

ძლიერი ზემოქმედების კვალი ეტობოდა. ვ. კოზენკოვას აზრით სამარხში 21 ინდივიდი დაუმარხავთ, რომელთათვისაც ჩატანებული ნივთების რაოდენობა 500-ს აღწევდა [Козенкова, 2004: 34].

ვ. კოზენკოვა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ორი სამარხი-აკლდამა დროის დიდი ინტერვალის განმავლობაში გამოიყენებოდა და მათი ფუნქციონირების პერიოდი ძვ.წ. XII-VIII საუკუნეებს შორის მოათავსა [Козенкова, 2004: 149-155].

სამარხი-აკლდამა №3. მოწყობილი იყო კრემაციული სამარხი-აკლდამებიდან დასავლეთით, დაახლოებით 16 მ-ის მოშორებით. მიწისზედა კონსტრუქციის კვალი არ დაფიქსირდა. სამარხი გადახურული იყო სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვის ფილებით. მოგრძო ნაწილით ორიენტირებული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სიგრძე – 2,15 მ. სიგანე – 1,85 მ. კედლების სიმაღლე 0,95 მ-დან 1,1 მ-ს შორის მერყეობდა. სამარხის ძირი (მიწის ზედაპირიდან 2,13 სმ-ის სიღრმეზე) მოწყობილი იყო 3-4 სმ სისქის ქვის ფილებით. ჩრდილოეთის მხრიდან კედლის სისქე 0,6 – 0,65 მ-ს შეადგენდა და მოწყობილი იყო რიყის ქვების სამი რიგის წყობით [Козенкова, 2004: 62]. დასავლეთი კედელი კი შედგენილი ყოფილა მხოლოდ ერთი რიგის წყობით და სისქეში 0,30 – 0,45 მ-ს შორის მერყეობდა. აღმოსავლეთის მხრიდან კი კედლის სისქე 0,7 – 0,8 მ-ს აღწევდა [Козенкова, 2004: 63]. სწორედ მის ქვეშ აღმოჩნდა ცხენის მთლიანი ჩონჩხი.

№3 სამარხ-აკლდამაში დაკრძალული იყო ორი ინდივიდი. 60 წლამდე ასაკის მამაკაცი მარცხენა გვერდზე, ოდნავ მოხრილ მდგომარეობაში მოუთავსებიათ. მრავალრიცხოვან ინვენტართან ერთად, მიცვალებულის თავთან დაფიქსირდა ცხვრის ძვლები, რაც აღაპის რიტუალთან უნდა იყოს დაკავშირებული [Козенкова, 2004: 74]. სამხრეთით, მამაკაცის ჩონჩხისაკენ ზურგშექცევით, მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილად 40 წლამდე ასაკის ქალი იყო მოთავსებული (ტაბ. XXXII) [Козенкова, 2004: 78]. აღნიშნული სამარხი ვ. კოზენკოვას ძვ.წ. VIII ს-ის II ნახევრით აქვს დათარიღებული [Козенкова, 2004: 137].

როგორც დავინახეთ, ტერეზეს სამაროვანი ვ. კოზენკოვას საკმაოდ ფართო ქრონოლოგიურ ჩარჩოში აქვს მოქცეული, რომელიც ძვ.წ. ძვ.წ. XII-VIII საუკუნეებს შორის პერიოდს მოიცავს.

ტამგაციკი

ტამგაციკის სამაროვანი მდებარეობს მდ. მცირე ზელენჩუკის მარჯვენა სანაპიროდან აღმოსავლეთით 3კმ-ის, აულ ჟაკოდან კი ჩრდილოეთით 3 კმ-ის მოშორებით. ძეგლს ყარაჩაი-ჩერქეზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სწავლობდა, ე. ალექსეევას ხელმძღვანელობით. ტამგაციკში მდებარე გორაკებზე, სხვადახვა პერიოდის სამოსახლო და სამარხები იქნა გათხრილი. სამხრეთ გორაკზე მდებარეობდა წინარესკვითური და ადრესკვითური ხანის სამოსახლო, რომლის კულტურულ ფენაშიც შედარებით უფრო მოგვიანო პერიოდის სამარხები იყო მოწყობილი [Алексеева, 1971: 59]. გორაკის ზედაპირზევე შეიმჩნეოდა ზოგიერთი სამარხი, რომლებიც ქვაყუთებს წარმოადგენდნენ და კირქვის ფილებისაგან და დაუმუშავებელი ზოდებისაგან იყვნენ აგებული.

ორმოებს, რომლებშიც სამარხი კონსტრუქციები იყო მოწყობილი, ფორმა როგორც ოვალური, ისე კვადრატთან მიახლოებული სწორკუთხედისა ჰქონდათ და ნაპირი ქვით ჰქონდათ შემოწყობილი. ქვაყუთები მართკუთხა ფორმისა იყვნენ (ტაბ. XXXIII, 1), იშვიათად კი კვადრატული.

ელკუში

ელკუშის სამაროვანი მდებარეობს ქ. კისლოვოდსკის სამხრეთ-დასავლეთით, 8კმ-ის დაშორებით. 1969 წელს მ. პოგრებოვას ხელმძღვანელობით აქ ორი თხრილი გაიჭრა. პირველ ჭრილში 7, ხოლო მეორეში 2 სამარხი იქნა მიკვლეული. ყველა მათგანი მასიური ქვის ფილებისაგან შეკრულ ქვაყუთს წარმოადგენდა, რომელთა დიდ ნაწილსაც კვადრატულთან მიახლოებული ფორმა ჰქონდა. ისინი, როგორც წესი, ზემოდანაც ქვის ფილებით იყვნენ დაფარული. მათი საშუალო ზომა იყო 1,2 X 1,5 მ-ზე, ხოლო სიღრმე – 0,80 მ. მიმართული იყვნენ ძირითადად ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, თუმცა მცირე განსხვავევებიც დადასტურდა.

მეორე ჭრილში აღმოჩენილი ერთ-ერთი ქვაყუთის ზომა იყო 2 X 1 მ-ზე, რაც სხვა სამარხების ზომებისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა. განსხვავებული იყო მისი მიმართულებაც. ამ სამარხის მოგრძო ნაწილი დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე იყო მოთავსებული. სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა. საერთოდ, ელკუშის სამაროვანზე გათხრილი სამარხებიდან ინვენტარი მხოლოდ შვიდ ქვაყუთში დაფიქსირდა და ისიც ძირითადად მცირე რაოდენობის კერამიკის, ბრინჯაოს დანებისა და სამკაულთა ფრაგმენტების სახით იყო წარმოდგენილი. სამარხეული ინვენტარის საფუძველზე მ. პოგრებოვა ელკუშის სამაროვანს ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებდა [Погребова, 1970: 108].

კრასნოვოსტოჩნი

აული კრასნოვოსტოჩნი ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის მალოკარაჩაევსკის რაიონში მდებარეობს. მის სამხრეთ-დასავლეთით, მდ. კუმის ზედა წელზე, ხ. ბიჯიევმა ძვ.წ. VI-V საუკუნეებით დათარიღებულ სამაროვანს მიაკვლია, რომელზეც სამარხი-კონსტრუქციები წარმოდგენილი ყოფილან ქვაყუთების სახით. აღნიშნული სამაროვნიდან მოპოვებული არქეოლოგიური მასალა არ გამოქვეყნებულა [Алексеева, 1982: 16].

ვაკო-ჟილე

აული ვაკო-ჟილე ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში, ადიღე-ხაბლის რაიონში მდებარეობს. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს მოსახლეობამ შემთხვევით მიაკვლია სამარხებს (ქვაყუთებს). ა. ალექსეევა აღნიშნულ სამარხებს, გადარჩენილი ინვენტარის საფუძველზე, გვიანყობანური პერიოდით, ძვ.წ. VI-V საუკუნეებით ათარიღებდა [Алексеева, 1971: 62].

ყიზილ-ყალა

ყიზილ-ყალის სამაროვანი 1960 წელს ე. ალექსეევას მიერ ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის ცენტრალურ ნაწილში, უსტ-ჯეგუტის რაიონში იქნა შესწავლილი. გაითხარა 9 სამარხი, რომელთაგან 7 სწორკუთხა, ხოლო 2 ოვალური ფორმის ორმოსამარხს წარმოადგენდა. მიცვალებულთა პოზა სამაროვანზე ვერ დადგინდა, რადგან სამარხთა ძირზე მათი ძვლები უსისტემოდ იყო მიმოფანტული; ცხენის კბილებთან, ბრინჯაოს სამკაულებთან, ბრინჯაოსა და რკინის ისრისპირებსა და რკინის სატევრებთან ერთად არეული. სამარხეული ინვენტარის მიხედვით, ყიზილ-ყალის სამაროვანი ძვ.წ. VI საუკუნით თარიღდება [Алексеева, 1982: 10].

უჩქულანი

ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის მალოკარაჩაევსკის რაიონში, აულ უჩქულანის აღმოსავლეთით ნახევარ კილომეტრში, მდ. ხურზუკის მარცხენა სანაპიროზე გამოვლენილ იქნა საკმაოდ დაზიანებული სამარხები, რომლებიც სწორკუთხა ან რომბისებური მოყვანილობისა ყოფილან და აუგიათ ცუდად დამუშავებული ქვებისაგან (ტაბ. XXXIII, 3). მათი ძირები მოწყობილი ყოფილა ქვის ფილებით. სამარხები ორიენტირებული იყვნენ სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, მცირედი გადახრებით აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეს. სამარხები მასშტაბურობით გამოირჩეოდნენ. მათი სიგრძე ზოგჯერ 5 მ-ს აღწევდა, სიგანე კი – 3,5 მ-ს, მიწის ზედაპირიდან სიღრმე კი – 0,95 მეტრს შეადგენდა.

უჩქულანის სამაროვანზე მოპოვებული კერამიკა ა. ალექსეევას მიხედვით, ახლოს დგას ყარაჩაი-ჩერქეზეთის სხვადასხვა ძეგლებზე გამოვლენილ მასალასთან, რომლის საფუძველზეც ძეგლს ძვ.წ. VI საუკუნის ფარგლებში აქცევდა [Алексеева, 1982: 13].

კარაბაშევო

1956 წელს სტავროპოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპედიციამ, რომელსაც ვ. ლიუბინი ხელმძღვანელობდა, ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის ზელენჩუკის რაიონში, სოფელ მარუხასთან მდებარე ადგილ კარაბაშევოში ყოღანული ტიპის სამარხს მიაკვლია. ყრილის სიმაღლე 1 მ-ს აღწევდა, ხოლო მისი დიამეტრი 5 – 6 მეტრს შორის მერყეობდა. ყრილი ძირითადად ქვებისაგან შედგებოდა, რომელთა შორის ლოდებიც კი იყო შერეული. ლოდები ყრილის ქვეშ, მიწის ზედაპირზეც აღმოჩნდა.

სამარხის კამერა მოუწყვიათ ყორღანის ცენტრში. მისი გვერდები შემოზღუდული იყო ფილაქვებით, ხოლო ძირი – რიყის ქვებით. მიცვალებულის ძვლები დამწვარი დაფიქსირდა და თან ახლდა სამარხეული ინვენტარი: ბრინჯაოს ნივთები, რკინის იარაღი, კერამიკა. კამერაში და ასევე მის ზემოთ დიდი ოდენობით ნახშირისა და ნაცრის კვალი გამოვლინდა, რაც მიცვალებულის (მიცვალებულთა) კრემაციაზე მიუთითებს. ინვენტარის საფუძველზე, რომელსაც ანალოგიები ყობანური კულტურის დასავლეთ არეალში მრავლად მოეპოვება, სამარხი ძვ.წ. VI-V საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს [Алексеева, 1982: 12].

ყუმუში

1976 წელს ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის კარაჩაევსკის რაიონში, აულ ყუმუშთან, კავკასიის მთიანეთის ექსპედიციამ, ვ. მარკოვინის ხელმძღვანელობით, ქვაყრილით დაფარული სამარხი შეისწავლა (№1).

მისი სიმაღლე 0,35–0,40 მ-ს შეადგენდა. ყრილი, რომლითაც სამარხი იყო დაფარული, ქვებისაგან შედგებოდა, რომელთა დიდი ნაწილიც ყრილის აღმოსავლეთ ნაწილში ყოფილა კონცენტრირებული. რაც შეეხება უშუალოდ სამარხს, მისი მოგრძო ნაწილი ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე იყო ორიენტირებული. სიგრძე – 1,50/1,40 მ, სიგანე – 1,10/1მ. სამარხის ძირზე

მიცვალებულის დამწვარი ძვლები ცხოველის ძვლებთან და სამარხეულ ინვენტართან ერთად ყოფილა მოთავსებული, რაც ვ. მარკოვინმა კრემაციის შესრულების დამადასტურებელ საბუთად მიიჩნია და ძეგლი ძვ.წ. VI–V საუკუნეებით დაათარიღა, რაც ე. ალექსეევამაც გაიზიარა [Алексеева, 1982: 11].

ულუბაღანალი

ულუბაღანალის სამაროვანი 1977-79 წლებში ითხრებოდა ვ. კოვალევსკაიას მიერ. ეშკაკონის ხეობა, სადაც აღნიშნული სამაროვანი მდებარეობს, ქ. კისლოვოდსკიდან დასავლეთით 18 კმ-ის, თვითონ ძეგლი კი 30 კილომეტრის დაშორებითაა. სამაროვანი მდინარე ეშკაკონის მარჯვენა შენაკადის ულუბაღანალის (მურთაზ-ყოლ-აიღი) მიერ ფორმირებულ კონუსისებრ შემაღლებაზე იყო მოწყობილი, რომლის სიგრძე 30 მეტრი, ხოლო სიგანე 10 მეტრია. სამაროვანს სამი მხრიდან სამოსახლო ესაზრღვრებოდა, რომლისგანაც სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ქვის ყორით ყოფილა გამოყოფილი [Ковалевская, 1984: 32]. სულ 24 სამარხი იქნა გათხრილი, რომელთაგანაც 11 კაცის, 6 ქალის და 5 ბავშვისა ყოფილა, ხოლო დანარჩენი 2 კენოტაფს წარმოადგენდა. ყველა სამარხი პირვანდელი სახით იყო მოღწეული.

ულუბაღანალის სამაროვანზე სამარხ-კონსტრუქციათა რამდენიმე ტიპი გამოიყო: 1) უბრალო ორმოსამარხი; 2) ორმოსამარხი საფეხურებზე დაწყობილი ქვებით; 3) ორმოსამარხი კედლების თავზე ქვების ჰორიზონტალური წყობით; 4) 4 ვერტიკალურად მდგარი ფილებისაგან შეკრული ქვაყუთი; 5) ქვაყუთი შერეული, ვერტიკალური და ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მყოფი ქვის ფილების წყობით; 6) ჰორიზონტალურად რამდენიმე რიგად დაწყობილი ქვებისაგან შედგენილი სამარხები [Ковалевская, 1984: 41].

სამარხები, როგორც წესი, მიწის ზედაპირიდან 0,50–0,70 მეტრის სიღრმეზე იყვნენ მოწყობილი, ხოლო ყველაზე ღრმა 1 მ-ზე. ორმოები, რომლებშიც სამარხი-კონსტრუქციები ეწყობოდა, ხშირად ამ უკანასკნელებზე გაცილებით უფრო ფართო ყოფილა. მაგალითად, №22 სამარხის (ქვაყუთი) მოსაწყობად გაჭრილი ორმო ზომით ქვაყუთზე ორჯერ დიდი იყო. ქვაყუთი (1,20 X 0,85 მ.)

ვერტიკალურად დაწყობილი კირქვის ფილებისაგან შეუკრავთ და ზედაპირზე ირგვლივ ჰორიზონტალურად დაწყობილი ფილები შემოუწყვიათ [Ковалевская, 1984: 34-35]. მსგავსი ფაქტი დადასტურდა №19 სამარხშიც, რომელშიც მცირეწლოვანი ბავშვი იყო დაკრძალული (ტაბ. XXXIV, 1, 2).

ულუბაღანალის სამაროვანი მისი გამთხრელის მიერ ძვ.წ. VII საუკუნის მესამე მეოთხედითა და ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისით არის დათარიღებული [Ковалевская, 1984: 49].

ბელორეჩენსკი

ბელორეჩენსკის სამაროვანი ქ. კისლოვოდსკის ჩრდილო-აღმოსავლეთ გარეუბანში მდებარეობს. აქ, პირველი არქეოლოგიური სამუშაობი 1969 წელს ვ. ვინოგრადოვმა ჩაატარა და 4 სამარხი გათხარა. ყველა სამარხში მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებულნი. №2 სამარხში მიცვალებული ხელ-ფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მოუთავსებიათ (ტაბ. XXXV, 1), კერამიკული ჭურჭელი მას ფეხებთან ჰქონდა ჩადგმული, ხოლო რკინის შუბისპირი – თავის ქალის გასწვრივ [Виноградов, 1976: 49].

1977 წელს ბელორეჩენსკის სამაროვანზე 7 ორმოსამარხი გაითხარა. ყველა სწორკუთხა ფორმისა იყო, რომელთა სიღრმე 0,2–0,8 მ-ს შორის მერყეობდა. 5 სამარხი ერთმანეთის მიყოლებით იყო გაჭრილი. ისინი არასწორ რიგს ქმნიდნენ და აღმოსავლეთისაკენ იყვნენ ორიენტირებული, მცირე გადახრით სამხრეთის მიმართულებით. ერთი სამარხის გარდა, რომელშიც მიცვალებულის ჩონჩხის ძლიერი ფრაგმენტულობის გამო, დაკრძალულის პოზის განსაზღვრა ვერ მოხერხდა, ყველა სამარხში დაკრძალვის ერთი და იგივე წესი იყო გაბატონებული; მამაკაცებს მარჯვენა, ხოლო ქალებს მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში მარხავდნენ.

1977 წელს გათხრილი შვიდივე სამარხის თავზე, მიწის ზედაპირიდან 0,3-0,4 მ-ის სიღრმეზე დამტვრეული კერამიკისა და ძვლის ფრაგმენტები იყო

მიმოფანტული, რაც ს. დუდარევმა სააღაპო რიტუალის მანიშნებლად მიიჩნია [Дударев, 1978: 117]. აღნიშნული სამარხები, მიცვალებულის თანმხლები ინვენტარის საფუძველზე, მის მიერ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით არის დათარიღებული [Дударев, 1978: 118].

1978 წელს ბელორეჩენსკის სამაროვანზე განახლებული სამუშაოების დროს 13 სამარხი იქნა შესწავლილი. აქედან 10 სამარხი მცირე სიღრმეზე გაჭრილ სწორკუთხა და ოვალური ფორმის ორმოსამარხს წარმოადგენდა, ხოლო დანარჩენი სამი - ქვაყუთს. I ჭრილში მიკვლეული სამარხები სამ რიგად იყო მოწყობილი და ორიენტირებული ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. ბელორეჩენსკის სამაროვნის ყველა სამარხი ინდივიდუალურია, მიცვალებულები განისვენებდნენ მოკუნტულ პოზაში, მამაკაცები მარჯვენა, ხოლო ქალები მარცხენა გვერდზე. თავით აღმოსავლეთისკენ მიმართულნი, იშვიათად, მცირედი გადახრით ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით. სამარხეული ინვენტარის მიხედვით 1978 წელს შესწავლილ სამარხებს ს. დუდარევი ძვ.წ. VIII-V საუკუნეებს შორის ათავსებს [Дударев, 1978: 124-125].

ინდუსტრია I

ქალაქ კისლოვოდსკის მიმდებარე ტერიტორია საკმაოდ მდიდარია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებით, პირველ რიგში კი მრავალრიცხოვანი სამარხეული კომპლექსებით. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შემთხვევით, არაარქეოლოგიური სამუშაოების დროსაა მიკვლეული და სამუშაო პროცესის დროს დაზიანებული. 1971 წელს ქ. კისლოვოდსკიდან სამხრეთით 3კმ-ში მდებარე დასახლების, "ინდუსტრიის" ტერიტორიაზე, ხეების დარგვის პროცესში 8 ქვაყუთი გამოვლინდა, რომელთა სიახლოვესაც 1966-1967 და 1969 წლებში მიმდინარეობდა არქეოლოგიური კვლევა-ძიება. სულ 5 სამარხი და 2 კენოტაფი გაითხარა, რომელთა დათარიღების საკითხი დისკუსიის საგანი გახდა. ვ. ვინოგრადოვის მიერ ამ სამარხთა ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად ძვ.წ. VII-VI საუკუნეები განისაზღვრა. ე. კრუპნოვის მიერ კი კისლოვოდსკის მიმდებარე

ტერიტორიებზე მიკვლეული ქვაყუთების დათარიღება ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით მოხდა [Афанасьев, Козенкова, 1981: 161].

1971 წელს მიკვლეული ყველა სამარხი ქვაყუთს წარმოადგენდა, რომლებიც მიწის ზედაპირიდან 20-30 სმ-ის სიღრმეზე მდებარეობდნენ და ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში უნდა ყოფილიყვნენ გაძარცული.

№1 ქვაყუთში (ტაბ. XXXV, 2) ინვენტარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქალი უნდა ყოფილიყო დამარხული, რომელიც მარცხენა გვერდზე, მოხრილ პოზაში იყო დასვენებული. ქვაყუთის ზომები იყო 0,8 X 1,2 მ-ზე, სიღრმე – 0,45 მ. სამხრეთ და დასავლეთ კედლები ერთი მთლიანი ფილისაგან იყვნენ შედგენილი, ხოლო ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კედლები ორ-ორი, შედარებით მოკლე ფილებისაგან. სამარხი თავდაპირველად ფილების ორი რიგისაგან უნდა ყოფილიყო გადახურული, რომელთაგან მხოლოდ 4 ცალი შემოინახა. ქვაყუთის ძირი მიწისა იყო. საერთოდ, ინდუსტრია-1-ის ყველა ქვაყუთს ძირი მიწისა ჰქონდა [Афанасьев, Козенкова, 1981: 161-162].

№2 ქვაყუთი (ტაბ. XXXV, 3), რომელშიც მამაკაცი უნდა ყოფილიყო დაკრძალული, დიდი ზომის ფილებისაგან იყო შეკრული. მისი ზომებია 1 X 1,2 მ-ზე, ხოლო სიღრმე – 0,58 მ. დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლები ერთი მთლიანი ფილისაგან ყოფილან შედგენილი, რომელთა სისქე 8-15 სმ-ს შორის მერყეობდა. სამხრეთ კედელი ორი ფილისაგან შეუკრავთ. ჩრდილოეთი კედელიც მსგავსად უნდა ყოფილიყო მოწყობილი, რომლისგანაც მხოლოდ ერთი ფილა შემორჩენილა [Афанасьев, Козенкова, 1981: 162].

№3 სამარხი მთლიანი ფილებისაგან შეკრულ ქვაყუთს წარმოადგენდა, რომლის წაგრძელებული ნაწილი ჩრდილოეთ–სამხრეთის ხაზზე იყო მიმართული (ტაბ. XXXVI, 1). ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კედლები ერთი მცირე ზომის ფილით იყო დაკავშირებული, რაც ერთგვარ მომრგვალებულ კუთხეს ჰქმნიდა. ფილების სისქე 8-10 სმ იყო. გადახურვა ასევე ფილებისაგან შედგებოდა, რომელიც სამარხში აღმოჩნდა ჩაქცეული. მიცვალებულის ძვლები ძლიერ ფრაგმენტირებული დაფიქსირდა [Афанасьев, Козенкова, 1981: 162].

№4 ქვაყუთი დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე იყო მიმართული. დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლები მთლიანი ფილებისაგან, ჩრდილოეთ კედელი კი ორი, ერთი გრძელი და ერთიც მოკლე ფილისაგან იყო შედგენილი. სამხრეთ კედლის ქვედა ნაწილი ვერტიკალურად ჩასმული ფილებისაგან შედგებოდა, რომელსაც

ზემოდან ჰორიზონტალურად დადებული მომცრო ფილები ფარავდა. ქვაყუთის ზომები იყო 0,65 X 1,2 მ-ზე, სიღრმე კი – 0,42 მ. მიცვალებული, რომლის ძვლებიც ცუდად დაცულა, ინვენტარის მიხედვით ქალი უნდა ყოფილიყო, რომელიც მოხრილ პოზაში, მარცხენა გვერდზე განისვენებდა (ტაბ. XXXVI, 2) [Афанасьев, Козенкова, 1981: 163].

№5 ქვაყუთი მართკუთხა ფორმის სამარხს წარმოადგენდა. მისი კედლები №4 სამარხის სამხრეთ კედლის მსგავსად კომბინირებული იყო, ქვედა ნაწილი ვერტიკალური ფილებისაგან შედგებოდა, რომლებზეც ზედ ჰორიზონტალური ფილები იყო დაწყობილი. მხოლოდ ერთი, ჩრდილოეთ კედლის დასავლეთი ნაწილი იყო მთლიანი, დიდი ფილისაგან შემდგარი. სამარხის ზომები – 1,15 X 1,55 მ-ზე, სიღრმე – 0,5 მ. სამარხი თავიდან მოზრდილი ფილებით იყო გადახურული, რომლებიც შიგნით აღმოჩნდნენ ჩაქცეული. მიცვალებული, რომლის სქესის დადგენა ინვენტარის მიხედვით ვერ მოხერხდა, მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში დაუკრძალავთ (ტაბ. XXXVI, 3 [Афанасьев, Козенкова, 1981: 164]).

№6 სამარხი მოგრძო ნაწილით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართული. კედლების აგებულება იმეორებს №5 ქვაყუთის ფორმებს – ქვედა ნაწილში ფილების ვერტიკალური წყობით და ჰორიზონტალურად დაწყობილი ფილების ზედა რიგით. ფილების სისქე 8-10 სმ-ს შეადგენდა. სამარხის ზომები – 1,04 X 1,14 მ-ზე, სიღრმე – 0,5 მ. ინვენტარის მიხედვით, მიცვალებული აშკარად მამრობითი სქესისა ყოფილა და მარჯვენა გვერდზე, მოხრილ პოზაში განისვენებდა (ტაბ. XXXVI, 4) [Афанасьев, Козенкова, 1981: 164-165].

№7 სამარხის კედლები კომბინირებული წყობისა იყო. ქვედა წყობა ვერტიკალური ფილებისაგან შედგებოდა. ზედა, ფილების ჰორიზონტალური წყობა მთლიანი სახით მხოლოდ ჩრდილოეთ კედელზე იყო შემორჩენილი. დასავლეთ კედელზე ერთი, ხოლო სამხრეთ კედლის წყობაზე ორი, ჰორიზონტალურად დადებული ფილა შემონახულა. სამარხის ზომები იყო 0,8 X 1,15 მ-ზე, სიღრმე – 0,37 მ. ფილების სისქე 10-12 სმ-ს შორის მერყეობდა. მიცვალებული მარცხენა გვერდზე, მოხრილ პოზაში იწვა, თავით დასავლეთისაკენ მოქცეული. სამარხი სხვა ქვაყუთებისაგან ინვენტარის შედარებითი სიუხვით გამოირჩეოდა: თავსამკაულის დეტალები, ხატისუღელი, სამაგრები, საკიდები, ბალთები, 85 მძივი (ბრინჯაო, სარდიონი, აქატი, მინა), ბრინჯაოს ღილები, თიხის ქოთანი, ჯამი და სხვ. აღნიშნული ინვენტარი

მიუთითებს, რომ მიცვალებული მდედრობითი სქესისა იყო (ტაბ. XXXVII, 1) [Афанасьев, Козенкова, 1981: 165-167].

№8 ქვაყუთი შედარებით თხელი ფილებისაგან ყოფილა შედგენილი (4-8 სმ.). მისი ზომები იყო 0,8 X 1,1 მ-ზე, სიღრმე კი – 0,47 მ. აღმოსავლეთ კედელი ერთი მთლიანი ფილისაგან, ხოლო დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლები ორ-ორი ფილისაგან შედგებოდნენ. სამხრეთ კედელი კომბინირებული წყობისა ყოფილა, ვერტიკალურად დადგმულ ფილებზე ჰორიზონტალურად დაწყობილი მცირე ზომის ფილებით. მიცვალებულის ჩონჩხი ძლიერ დაზიანებული იყო, თუმცა ინვენტარი მოწმობდა, რომ სამარხი ქალის საკუთრება უნდა ყოფილიყო (ტაბ. XXXVII, 2) [Афанасьев, Козенкова, 1981: 167].

როგორც ვხედავთ, ინდუსტრია 1-ის სამაროვნის შესწავლილ მონაკვეთში მხოლოდ ქვაყუთებია წარმოდგენილი, რომლებიც სამარხი კონსტრუქციისა და დაკრძალვის წესის მიხედვით ერთმანეთის მსგავსი არიან. გვხვდება როგორც ვერტიკალურად დაწყობილი ფილებისაგან მიღებული, ისე კომბინირებული, ორი რიგის წყობისაგან შედგენილი კედლები, სადაც ქვედა წყობა ვერტიკალურადაა განთავსებული, ხოლო ზედა – ჰორიზონტალურად.

სულთან-გორა III

მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი სულთან-გორა ქ. კისლოვოდსკიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 6 კმ-ის დაშორებით მდებარეობს, მდინარე ოლხოვკის მარჯვენა სანაპიროზე, სულთანის მთის ძირას. 1966 წელს ა. რუნიჩმა სამაროვან სულთან-გორა III-ზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის 2 სამარხი შეისწავლა.

სამარხი №1. ქვაყუთი. წაგრძელებული ნაწილით ორიენტირებული იყო სამხრეთ-დასავლეთ – ჩრდილო-აღმოსავლეთის ხაზზე. მიცვალებული (მამაკაცი) მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული. თავის ქალის წინ ჩადგმული იყო თიხის ბადია, ქოთანი და რკინის შუბისპირი (ტაბ XXXVIII, 1).

სამარხი №2. ქვაყუთი. ქალის ჩონჩხი მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იყო მოთავსებული [Виноградов, 1976: 46].

1976-1980 წლებში სულთან-გორა-ზე არქეოლოგიურ სამუშაოებს ნ. ჩლენოვა აწარმოებდა. გაითხარა მასიური დაუმუშავებელი ქვის ფილებისაგან ნაგები კონსტრუქცია-ღობე (9,8 X 10,8 მ-ზე), რომლის მოგრძო ნაწილიც დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე იყო მიმართული. დასავლეთ კედელი ვერტიკალურად დაყენებული ქვის ფილების ორი რიგისაგან იყო ფორმირებული, ჩრდილოეთ კედელი კი ერთი რიგის მსგავსი ფილებისაგან, რომელთაც ზემოდან მცირე ზომის ფილების რამდენიმე რიგი ეწყოთ, ხოლო გასამაგრებლად ძირზე, გარეთა მხრიდან დიდი ზომის ქვები ჰქონდათ შემოწყობილი [Членова, 1981: 120]. აღმოსავლეთ კედელი ასევე ქვის ფილების ორი რიგის წყობით იყო ამოყვანილი [Членова, 1977: 100]. კონსტრუქციის სამხრეთ კედელი ძლიერ იყო დაზიანებული და წყობის დადგენა ვერ მოხერხდა.

ამ კონსტრუქციის შიგნით 4 სამარხი იყო მოწყობილი. მიცვალებულებს დიდი ქვის ფილებისაგან შეკრულ ქვაყუთებში მარხავდნენ, რომელთაც, როგორც დიდი, ისე მომცრო ზომის ფილებითა და რიყის ქვით ხურავდნენ. ორ ქვაყუთს პატარა ფილების რამდენიმე წყობისაგან შემდგარი ოვალური წრე უვლიდა გარს, ზომით 2,7 X 3 მ-ზე და 2,6 X 3,2 მ-ზე. ორი ასიმეტრული ფორმის ქვაყუთი კი სამხრეთ და აღმოსავლეთ კედლებთან იყო მოწყობილი.

სამარხების ირგვლივ, ძირის დონეზე მრავლად დაფიქსირდა ცეცხლის კვალი, კერამიკის ფრაგმენტები და ცხოველის ძვლები, რაც გარკვეული სახის რიტუალზე მიანიშნებს. 3 სამარხი ინდივიდუალური იყო, რომლებშიც მიცვალებულები მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე განისვენებდნენ, თავით დასავლეთისაკენ ორიენტირებულნი. ერთ სამარხში მამაკაცისა და ქალის სახით ერთმანეთისაკენ მიმართული ჩონჩხი აღმოჩნდა. მამაკაცი მარჯვენა, ხოლო ქალი მარცხენა გვერდზე განისვენებდა [Членова, 1977: 101].

ვ. ვინოგრადოვი 1966 წელს გათხრილ სამარხებს ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით ათარიღებდა [Виноградов, 1976: 46]. ნ. ჩლენოვას კი სულთან-გორას აღნიშნული სამაროვანი ძვ.წ. VI საუკუნით აქვს დათარიღებული. როგორც იგი აღნიშნავდა, ეს დათარიღება ემყარებოდა ქვაყუთებში აღმოჩენილ სკვითური ტიპის იარაღსა და კავკასიური წარმოშობის სამკაულს [Членова, 1977: 101].

ბერეზოვკა I

სამაროვანი ბერეზოვკა I სტავროპოლის მხარეში, ქ. კისლოვოდსკიდან სამხრეთით 7 კმ-ში, მდ. ბერეზოვკის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. 1938 წელს სამეურნეო-სამშენებლო სამუშაოების დროს რამდენიმე ნივთი აღმოჩნდა, რასაც მოსახლეობის მხრიდან მტაცებლური გათხრები მოყვა. პიატიგორსკის მუზეუმის თანამშრომელმა, მხარეთმცოდნე ნ. ეგოროვმა 1938-1939 წლებში სამაროვნის განადგურების შესაჩერებლად მცირე მასშტაბის გათხრები ჩაატარა, რომლის დროსაც 10 სამარხი გამოვლინდა. ყველა მათგანი ქვაყუთს წარმოადგენდა და დიდი ფილებით იყო ნაგები.

ბერეზოვკა I-ის ქვაყუთები არცთუ დიდ სიღრმეზე იყო მოწყობილი. ზოგიერთი მათგანი სამეურნეო სამუშაოების დროსაც კი იჩენდა თავს. ქვაყუთების მიმართულება არასისტემური იყო, თუმცა მოგრძო ნაწილის დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე გამართვა სჭარბობდა. ქვაყუთები ინდივიდუალურ სამარხებს წარმოადგენდნენ, რომლებშიც მიცვალებულები მოხრილ მდგომარეობაში განისვენებდნენ, ძირითადად მარჯვენა გვერდზე. მეორე მსოფლიო ომის დროს, პიატიგორსკის მუზეუმი, რომელშიც ბერეზოვკის სამაროვნის მასალა ინახებოდა საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა და იქ დაცული მასალის დიდი ნაწილი დაიკარგა ან ერთმანეთში იქნა არეული. 1946 წელს ბერეზოვკის სამაროვანზე სამუშაოებს კვლავ ნ. ეგოროვი აწარმოებდა და რამდენიმე სამარხი გათხარა.

1949 წელს ბერეზოვკა I სამაროვნით ე. კრუპნოვი დაინტერესდა, რომელიც შესწავლილი მასალის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული სამაროვანი ძვ.წ. VII-VI საუკუნეებზე ადრეული არ უნდა ყოფილიყო [Крупнов, 1960: 210].

1957 წელს ბერეზოვკის სამაროვანზე ერთი სამარხი გათხარა ა. რუნიჩმა. იგი მასიური ქვის ფილებით იყო ნაგები და კვადრატთან მიახლოებული ფორმა ჰქონდა. გრძივი ფილები 0,86 მ-ის, ხოლო განივი ფილები 0,82 მეტრის სიგრძისა ყოფილა. მოგრძო ნაწილი დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე იყო გამართული. აღნიშნული ქვაყუთი ქალს ეკუთვნოდა, რომლის ჩონჩხიც მოხრილ მდგომარეობაში, მარცხენა გვერდზე იყო მოთავსებული, თავით აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული. სამარხეული ინვენტარი შედგებოდა

შემდეგი ნივთებისაგან: უორნამენტო თიხის ქოთანი, ბრინჯაოს ორი საკიდი, სარდიონისა 42 და პასტის 1 მძივი.

ბერეზოვკა I-ზე ა. რუნიჩისავე მიერ 1958, 1962 და 1963 წლებში 25 სამარხი იქნა გათხრილი. ამ წლებში შესწავლილი სამარხებიდან მხოლოდ 2 (№11 და №12) წარმოადგენდა ორმოსამარხს, ხოლო სხვები ქვაყუთების ტიპისანი იყვნენ. როგორც წინა წლებში გამოვლენილ სამარხებში, აქაც ინდივიდუალური სამარხები დომინირებდნენ. მამაკაცები მარჯვენა, ხოლო ქალები მარცხენა გვერდზე იყვნენ დაკრძალული. კერამიკული ჭურჭელი, რომელიც ყველა სამარხში იქნა დადასტურებული, ყოველთვის მიცვალებულის სახის წინ იყო მოთავსებული. 25 სამარხიდან 6 შემთხვევაში, მიცვალებულები თავით აღმოსავლეთისაკენ იყვნენ ორიენტირებული, ხოლო 19 შემთხვევაში – სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. აღსანიშნავია, რომ ამ წლებში გათხრილ 19 ქვაყუთს მიცვალებულის ფეხებთან ქვის ფილა არ გააჩნდა. აღნიშნული სამარხები ვ. ვინოგრადოვის მიერ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით იქნა დათარიღებული [Виноградов… 1976: 41].

სამაროვან ბერეზოვკა I-ზე გათხრილი 36 სამარხიდან, ორის გამოკლებით, ყველა მასიური ფლებისაგან ნაგებ ქვაყუთს წარმოადგენდა, რომლის სიგრძე და სიგანე, №12 სამარხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 1 მეტრს არ აღემატებოდა და კვადრატული ფორმისა იყო. მიცვალებულები მოხრილ მდგომარეობაში განისვენებდნენ, მამაკაცები მარჯვენა გვერდზე, ხოლო ქალები – მარცხენაზე.

ბერეზოვკა III

სამაროვანი ბერეზოვკა III 1958 წელს ა. რუნიჩის მიერ ითხრებოდა. სამარხთა დიდი ნაწილი დაზიანებული იყო. ხელუხლებლად მხოლოდ ერთი ქვაყუთი იყო შემორჩენილი. ქვაყუთი კონსტრუირებული იყო ვიწრო ქვიშაქვის ფილებისაგან და კვადრატთან მიახლოებული ფორმა ჰქონდა. დაკრძალული ინდივიდის ფეხებთან ქვის ფილა არ დაფიქსირდა. მიცვალებული თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ყოფილა მოქცეული. დაკრძალული იყო ზურგზე, ძლიერ მოკეცილი ფეხებით. მარჯვენა ხელი მუცლის ქვედა ნაწილში ჰქონდა

მოთავსებული, ხოლო მარცხენა – მენჯის არეში. სამარხეული ინვენტარი შედგებოდა თავის ქალის გასწვრივ ჩადგმული თიხის ბადიისაგან და მენჯის არეში აღმოჩენილი სალესი ქვისაგან (ტაბ. XXXVIII, 2). ბერეზოვკა III ვ. ვინოგრადოვის მიერ ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით არის დათარიღებული [Виноградов… 1976: 42].

ბერეზოვკა IV

ბერეზოვკა IV 1963 და 1966 წლებში ა. რუნიჩის მიერ იქნა შესწავლილი. საერთო ჯამში სამაროვანზე 5 სამარხი გამოვლინდა, რომლებიც ქვაყუთებს წარმოადგენდნენ. 4 შემთხვევაში ქვაყუთებს ჩონჩხის ფეხის ძვლებთან ფილა არ გააჩნდა. მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ ხელ-ფეხმოკეცილნი, თავით ჩრდილო-დასავლეთისკენ ორიენტირებულნი, ქალები მარცხენა, ხოლო კაცები მარჯვენა გვერდზე (ტაბ. XXXVIII, 3). სამაროვანის ფუნქციონირების პერიოდად მიჩნეულია ძვ.წ. VIII-VII საუკუნეები [Виноградов, 1976: 42].

ბერეზოვკა V და VI

მდ. ბერეზოვკას ნაპირებზე გამოვლენილ იქნა ადრეული რკინის ხანის კიდევ ორი სამაროვანი, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი არიან, როგორც ბერეზოვკა V და ბერეზოვკა VI. ბერეზოვკა V-ზე 2 სამარხი იქნა შესწავლილი. ორივე ქვაყუთს წარმოადგენდა. ქვაყუთები მოგრძო ნაწილით სამხრეთ-დასავლეთ – ჩრდილო-აღმოსავლეთის ხაზზე იყვნენ ორიენტირებული. ბერეზოვკა VI-ზე კი მხოლოდ ერთი ქვაყუთი იქნა გათხრილი, რომელიც ასევე სამხრეთ-დასავლეთ – ჩრდილო-აღმოსავლეთის ხაზზე იყო გამართული. ორივე სამაროვანი ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით თარიღდება [Виноградов… 1976: 42-43].

“მინერალნიე ვოდი”

ძვ.წ. VII-VI საუკუნეების ძეგლი გამოვლინდა 1952 წელს, ქ. მინერალნიე ვოდიდან ჩრდილო-დასავლეთით, 5 კმ-ის მანძილზე. სამარხთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი დაზიანებული იყო. ა. რუნიჩმა, რომელმაც აღნიშნული ძეგლი მოინახულა, შენიშნა, რომ დარღვეული სამარხები წარმოადგენდნენ როგორც ქვაყუთებს, ასევე უბრალო ორმოსამარხებს და ერთმანეთისაგან 4-5 მეტრის დაშორებით იყვნენ განლაგებული [Егоров, 1955: 55]. 1952 წელსვე აქ 4 სამარხი იქნა შესწავლილი.

სამარხი №1. ქვაყუთი. სიგრძე – 1,1 მ. სიგანე – 0,8 მ. კედლების სიმაღლე – 0,6 მ. ქვაყუთი შედგენილი იყო ქვიშაქვის მასიური ფილებისაგან. გადახურვა მოწყობილი ყოფილა მგავსი ტიპის მცირე ზომის ფილებით. მიცვალებული (ქალი) მოუთავსებიათ მარცხენა გვერდზე, ფეხებმოკეცილი, თავით დასავლეთისაკენ ორიენტირებული. სამარხში აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი, რკინის დანა, ფიბულები, მძივები და ღორის ძვლები [Егоров, 1955: 55-56]. საქონლის ძვლები აღაპის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც მრავლად გვხვდება ყობანური კულტურის მთელ პერიმეტრზე.

სამარხი №2. ქვაყუთი. დაზიანებული. სავარაუდოდ, მამაკაცის სამარხი. მიცვალებული მარცხენა გვერდზე მოთავსებული, თავით ასევე დასავლეთისაკენ უნდა ყოფილიყო ორიენტირებული. სამარხეული ინვენტარი დიდი ოდენობით ისრიპირებს შეიცავდა [Егоров, 1955: 56-57].

სამარხი №3. ორმოსამარხი. მიცვალებული მოთავსებული იყო მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ მოქცეული. სქესის განსაზღვრა ვერ მოხერხდა [Егоров, 1955: 57].

სამარხი №4. დარღვეული. სიღრმე – 1,5 მ. სამარხის თავზე, 1 მ-ის სიმაღლეზე დაფიქსირდა მცირე ზომის ქვაყრილი. მიცვალებულის ძვლები ძლიერ დაზიანებულა [Егоров, 1955: 57].

კლინ-იარი III

სამაროვანი კლინ-იარი III მდებარეობს ქ. კისლოვოდსკის დასავლეთ გარეუბანში. არქეოლოგიური სამუშაოები პირველად 1968 წელს დაიწყო (ვ. ვინოგრადოვი, ა. რუნიჩი) და 60-მდე სარმატული და ადრეფეოდალური ხანის სამარხი გამოვლინდა. 1983-1986 წლებში ძეგლზე ს. კორენევსკი და ვ. ბერეზინი მუშაობდნენ, ხოლო 1988-1996 წლებში არქეოლოგიურ გათხრებს ა. ბელინსკი ხელმძღვანელობდა, რომელმაც აქ ყობანური პერიოდის 181 სამარხი შეისწავლა [Белинский, 2004: 8]. საერთო ჯამში, სამაროვანზე 267 სამარხია შესწავლილი, რომელთაგან ყობანურ პერიოდს 223 სამარხი განეკუთვნება, თუმცა მათი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერჯერობით არ არის გამოქვეყნებული [Белинский, 2004: 8].

კლინ-იარი III-ს სამაროვანზე სამარხი-კონსტრუქციების რამდენიმე ტიპი გვხვდება. ქვაყუთები, რომლებიც ყობანურ კულტურაში საკმაოდ გავრცელებულ ტიპს ქმნიან, კლინ-იარი III-ზე მხოლოდ 19 ერთეულით არიან წარმოდგენილი (7,5%) [Белинский, 2004: 14]. ყველაზე გავრცელებულ ტიპს მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხები შეადგენენ (172 სამარხი, 77,13%), რომელთაც ძირითადად ოთხკუთხედთან მიახლოებული მოყვანილობა ჰქონდათ.

დაკრძალვის წესის მხრივ, სამაროვანზე შედარებით ერთგვაროვნება შეინიშნება. მიცვალებულებს ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე ათავსებდნენ. მარჯვენა გვერდზე უპირატესად მამაკაცებს, ხოლო მარცხენაზე ქალებს მარხავდნენ. ბავშვების სამარხებში კი მსგავსი დადგენილი წესი არ არსებობდა [Белинский, 2004: 22-23].

კლინ-იარი III-ზე ძირითადად ინდივიდუალური სამარხები იყო წარმოდგენილი. ერთ შემთხვევაში (სამარხი №292) ქალისა და ბავშვის ჩონჩხი დაფიქსირდა. №217 სამარხში კი, ქვაყუთის გარე პერიმეტრზე, მამაკაცის ფეხებთან ორი მდედრობითი სქესის წარმომადგენელი ყოფილა დაკრძალული (ტაბ. XXXVIII, 4) [Белинский, 2004: 42-43].

კლინ-იარი III-ის ქრონოლოგიური ჩარჩო საკმოად ფართოა. ა. ბელინსკის გამოყოფილი აქვს სამარხთა 4 ჯგუფი, რომელთაც ძვ.წ. X-VI სს-ს შორის მონაკვეთში ათავსებს [Белинский, 2004: 213].

სტანიცა ისპრავნაია

დასავლეთით ყობანური კულტურის გავრცელების ერთ-ერთ ბოლო პუნქტს ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე სტანიცა ისპრავნაია წარმოადგენს. აქ გამოვლენილი სამაროვანი, რომელიც სტ. ისპრავნაიადან ჩრდილოეთით, დაახლოებით 7 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს, მისი გამთხრელების მიერ ძვ.წ. IX–VI საუკუნეებით არის დათარიღებული [Козенкова, Найденко, 1980: 207]. სამაროვანი ტერასაზეა განთავსებული, რომელიც მდინარე დიდი ზელენჩუკის მარცხენა მხარესაა გაშლილი. გარეგნული დათვალიერების შედეგად სამაროვანს გაძარცვის კვალი ეტყობოდა. ხელუხლებელი მონაკვეთების გამოსავლენად არქეოლოგებმა 4 ჭრილი გაავლეს, რომელთა საერთო ფართობმა 200 კვ.მ. შეადგინა. 2 არქეოლოგიური სეზონის განმავლობაში 14 სამარხი იქნა გამოვლენილი. ყველა მათგანი კირქვის მასიური ფილებისაგან შეკრულ ქვაყუთს წარმოადგენდა, რომლებიც ქვის ფილებითვე იყვნენ გადახურული. ქვაყუთებს მართკუთხა ფორმა ჰქონდათ, ხოლო მათი ზომები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. ფილების საშუალო სისქე 7-8 სანტიმეტრს შეადგენდა.

სამარხები მიწის ზედაპირიდან 1-2 მეტრის სიღრმეზე მერყეობდნენ. ქვაყუთების კედლები 4 (№№ 1, 2, 5, 9, 11-13 სამარხები) ან 6 ფილით (№№ 4, 6, 7 სამარხები) იყო შემოწყობილი. ზოგიერთ შემთხვევაში, ქვაყუთი მცირე, 25 X 30 სმ-ზე ზომის ფილებით იყო აწყობილი და ამავე ზომის ფილებით გადახურული. ზოგჯერ, ქვაყუთის ფილათა შეერთების ადგილები არცთუ კარგად იყო ფიქსირებული, ამიტომ, სამარხის გასამაგრებლად, ფილებს გარედან სხვადასხვა სიდიდის ქვები ჰქონდათ შემოწყობილი (სამარხები №№ 1, 4, 11-13).

სამარხთა ძირის მოწყობისას, უპირატესობა გრუნტის იატაკს ენიჭებოდა. მხოლოდ №12 სამარხის შემთხვევაში, სამარხის ძირი მცირე ზომის ფილებით იყო მოფენილი. საინტერესო დეტალი დაფიქსირდა №6 სამარხის გათხრისას. მისი ზედაპირი რიყის ქვით იყო მოყრილი. სხვა მსგავსი ფაქტი ისპრავნაიას სამაროვანზე არ დასტურდება, თუმცა აღნიშნული წესი ფართოდ იყო გავრცელებული გვიანბრინჯაო – ადრერკინის ხანის კავკასიონის ქედის ორივე მხარეს.

სამარხთა გაჭრისას გარკვეული დისტანცია დაცული ყოფილა, რადგან სამარხები ერთმანეთისაგან 2-3 მეტრით არიან დაშორებული. მხოლოდ ორჯერაა დაფიქსირებული ქვაყუთების ერთმანეთზე მიდგმის ფაქტი. პირველ შემთხვევაში ეს იყო მოზრდილი ადამიანის სამარხი (№4), რომელსაც გვერდზე მინიატურული №5 ქვაყუთი ჰქონდა მიდგმული, პატარა ბავშის ძვლებით. მეორე შემთხევაში კი, №11 და №12 სამარხები ერთმანეთს კუთხეებით ეხებოდნენ. №11 უფრო ადრეული აღმოჩნდა, რადგან №12 სამარხის მოწყობისას იგი დაზიანებულა. ამ სამარხების სხვადასხვა ასაკზე მიცვალებულთა მიმართულებაც მოწმობს. №11 სამარხში ჩონჩხი თავით დასავლეთისაკენ იყო მიმართული, ხოლო №12-ში კი აღმოსავლეთისაკენ.

შესწავლილი სამარხების უდიდესი ნაწილი ინდივიდუალურ ქვაყუთებს წარმოადგენდა. 11 სამარხიდან მხოლოდ ოთხში დადასტურდა წყვილადი დაკრძალვის წესი (სამარხები №№ 6, 7, 10, 13). მიცვალებულები მოხრილ მდგომარეობაში, ძირითადად მარჯვენა გვერდზე განისვენებდნენ, მათ შორის წყვილად სამარხებშიც. მხოლოდ 3 სამარხში (№№ 1, 2, 14) მიცვალებულები მარცხენა გვერდზე იყვნენ დაკრძალული.

ისპრავნაიას სამაროვანზე მიცვალებულთა თავით რომელიმე მხარეს ორიენტირება, მსგავსად კოლხური და ყობანური ძეგლების დიდი ნაწილისა, არაერთგვაროვანია, თუმცა სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე სჭარბობდა. მიცვალებულთა ხელების მდგომარეობაც სხვადასხვაა. ისინი მიდებული ყოფილა როგორც მკერდთან (სამარხები №7, №12), ასევე თავის სიალოვეს.

ისპრავნაიას სამაროვნის დაკრძალვის რიტუალიდან გამოსარჩევია №1 და №11 სამარხებში დაფიქსირებული წესი, სადაც ქვაყუთის ძირები ნახშირით იყო დაფარული და მოწვის კვალი ეტყობოდათ. №№ 1, 6, 13 სამარხთა სახურავის ფილებზე მოთავსებული იყო შინაურ და გარეულ ცხოველთა ძვლები [Козенкова, Найденко, 1980: 195 – 196].

ყველა ის ზემოთ ჩამოთვლილი ნიუანსი, რაც ისპრავნაიას სამაროვანზეა დადასტურებული: ქვაყუთების აგების ტექნიკა, ერთ ძეგლის მასშტაბით მიცვალებულთა თავით რომელიმე მხარეს ორიენტირების შედარებით ერთგვაროვნება, ცეცხლის კვალი, აღაპის ნაშთი და სხვ., დამახასიათებელია ყობანური კულტურის მთელი პერიმეტრისთვის. ზოგადად, მახასიათებელი ნიშნების მიხედვით, ისპრავნაიას სამაროვანი ახლოს დგას ყარაჩაი-ჩერქეზეთის,

ყაბარდო-ბალყარეთისა და სტავროპოლის მხარის სამხრეთი ნაწილის ძეგლებთან.

ბიბლიოგრაფია

1. **აფაქიძე, 2002**. აფაქიძე ჯ. გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია. დისერტაცია ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ხელნაწერი.
2. **ბარამიძე, 1961**. ბარამიძე მ. ბრილის აკლდამა. საქართველოში 1960 წ. ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები. თბილისი. 23-24.
3. **ბარამიძე, 1977**. ბარამიძე მ. მერხეულის სამაროვანი. თბილისი.
4. **ბარამიძე, 1998.** ბარამიძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი. ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში. დისერტაცია ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ხელნაწერი.
5. **გობეჯიშვილი, 1959**. გობეჯიშვილი გ. განვითარებული რკინის ხანის ძეგლები რიონის სათავეებთან. საქართველოს არქეოლოგია. თბილისი. 190-206.
6. **გობეჯიშვილი, 1970**. გობეჯიშვილი გ. გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში. სინ. ტ. 1. თბილისი. 243-311.
7. **გოგაძე, 1980.** გოგაძე ე. კოლხური კულტურა, ქსე. ტ.5, გვ. 596-597
8. **გოგაძე, 1986**. გოგაძე ე., დავლიანიძე ც., ფანცხავა ლ., რამიშვილი რ. ნოსირი-მუხურჩის ექსპედიციის 1980-1981 წ.წ. მუშაობის შედეგები. სსმაე. VIII. თბილისი. 45-53.
9. **დავლიანიძე, 1981**. დავლიანიძე ც., გოგაძე ე., 1981. გორაძირი. თბილისი.
10. **იოსელიანი, 1973**. იოსელიანი ა. ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან. თბილისი
11. **კალანდაძე, 1954**. კალანდაძე ა. სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. სოხუმი.
12. **მიქელაძე, 1974**. მიქელაძე თ. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბილისი.
13. **მიქელაძე, 1978**. მიქელაძე თ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. I. თბილისი.
14. **მიქელაძე, 1985**. მიქელაძე თ. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. II. თბილისი

15. **მიქელაძე, 2004**. მიქელაძე თ., პაპუაშვილი რ., ჩუბინიშვილი ნ., პაპუაშვილი ნ., სახვაძე ე. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები). თბილისი
16. **ოქროპირიძე, 1974**. ოქროპირიძე ნ., ბარამიძე მ., 1974. პალურის საძვლე. მსკა VI. თბილისი. გვ. 96-123.
17. **პაპუაშვილი, 1999**. პაპუაშვილი რ. ერგეტა II სამაროვანი (სამარხი-ორმო №4). ძეგლის მეგობარი №3 (106).
18. **პაპუაშვილი, 2000**. პაპუაშვილი რ. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამაროვანთა აგებულებისათვის. ძიებანი 5. თბილისი. გვ. 55-64.
19. **პაპუაშვილი, 2002**. პაპუაშვილი რ., ესებუა თ., ცაიშის სამაროვანი. ძიებანი №9. თბ.
20. **რამიშვილი, 1974**. რამიშვილი ა. კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი.
21. **საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970**. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.I. საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე. რედაქტ. გიორგი მელიქიშვილი. თბილისი
22. **სულავა, 2006.** სულავა ნ. კავკასიის ფიბულები. დისერტაცია ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.
23. **ფანცხავა, 1988**. ფანცხავა ლ. კოლხური კულტურის მხატვრული ხელოს-ნობის ძეგლები. თბილისი.
24. **ქორიძე, 1961**. ქორიძე დ. შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენა სოფ. კურზუში. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XXII-B.
25. **ქორიძე, 1965**. ქორიძე დ. კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.
26. **ქორიძე, 1969**. ქორიძე დ. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრტყელი ცულების კლასიფიკაცია და გენეზისის საკითხისათვის. სსმმ. XXVIII-B. თბილისი. გვ. 5-28.
27. **ყაუხჩიშვილი, 1957**. სტრაბონის „გეოგრაფია“. ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი.
28. **ჩართოლანი, 1968**. ჩართოლანი შ. ლარილარის სამაროვანი. კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები. თბილისი. გვ. 302-319.

29. **ჯაფარიძე, 1950**. ჯაფარიძე ო. კოლხური ცული. სსმმ. XVI. თბილისი. გვ. 35-89.

30. **ჯაფარიძე, 2003**. ჯაფარიძე ო. საქართველოს ისტორიის სათავეებთან. პირველყოფილი ეპოქა. თბილისი.

31. **Абрамова, 1974**. Абрамова М.П. Памятники горных районов Центрального Кавказа рубежа и первых веков нашей эры. — Археологические исследования на Юге Восточной Европы. М.

32. **Алексеева, 1955**. Алексеева Е. П. Археологические раскопки у аула Жако в Черкесии – КСИИМК. 1955, вып. 60, გვ. 73 – 79.

33. **Алексеева, 1963**. Алексеева Е. П. Карачаевцы и балкарцы – древний народ Кавказа. Черкесск, 1963.

34. **Алексеева, 1967**. Алексеева Е. П. Очерки истории Карачаево-Черкесии, т. I. Ставрополь, 1967.

35. **Алексеева, 1971**. Алексеева Е. П. Древняя и средневековая история Карачаево-Черкесии. Вопросы этнического и социально-экономического развития. М., 1971.

36. **Алексеева, 1982**. Алексеева Е. П. Памятники позднекобанского времени на территории Карачаево-Черкесии. – Проблемы археологии и этнографии Карачаево-Черкесии. Материальная и духовная культура. Черкесск, 1982, გვ. 5 – 58.

37. **Артамонова-Полтавцева, 1950**. Артамонова-Полтавцева О.А. Культура северо-восточного Кавказа в скифский период. - СА. № XIV. 1950.

38. **Белинский, 2004**. Белинский А. Б. Могильник Клин-яр III как источник по изучению культуры населения Кавминвод в раннем железном веке. Ставрополь.

39. **Биджиев, 1974**. Биджиев Х. Х. Исследования в Карачаево-Черкесии. – АО. 1973; 1974, გვ. 98.

40. **Биджиев, Козенкова, 1980**. Биджиев Х. Х., Козенкова В. И. Предметы кобанской культуры из сел. Терезе. – СА. 1980, № 3, გვ. 225 – 231.

41. **Бжания, 1991.** Бжания Д. С. Древний могильник в Гагре. Сухуми.

42. **Вертепов, 1901**. Вертепов Г.А. Раскопки в Урус-Мартане // Известия Кавказского отдела императорского Русского географического общества. 1901. Т.XIV. გვ. 11-21

43. **Вертепов, 1902**. Вертепов Г.А. Отчет о раскопках в Терской области. ОАК, 1900; გვ. 54-60

44. **Вертепов, 1903**. Вертепов Г.А. Отчет о раскопках в Терской области. ОАК, 1901; გვ. 89-92

45. **Виноградов, Марковин, 1966**. – Виноградов В. Б., Марковин В. И. Археологические памятники Чечено-Ингушской АССР. Грозный, 1966.

46. **Виноградов, Михаилов, 1970**. – Виноградов В. Б., Михайлов Н. Н. Новые памятники скифо-сарматского времени в районе г. Кисловодска. – АО. 1969; 1970, გვ. 99.

47. **Виноградов, 1976.** Виноградов В. Б., Рунич А. П., Михайлов Н. Н. Новое о кобанской культуре Центрального Предкавказья.— «Археолого-этнографический сборник». Т. IV. Грозный, 1976.

48. **Воронов, 1969**. Воронов Ю. Н. Археологическая карта Абхазии. Сухуми, 1969.

49. **Воронов, Гунба, 1978**. Воронов Ю. Н., Гунба М. М. Новые памятники колхидской культуры в Абхазии. - Советская археология, № 2.

50. **Дударев, Березин, 1978**. Дударев С. Л., Березин Я. Б. Работы Кисловодского отряда. – АО 1977; გვ. 119.

51. **Егоров, 1955**. Егоров Н.М. Могильник Скифского времени близ г. Минеральные Воды. Ксиимк. №58. 1955. გვ. 53-62.

52. **Иессен, 1934**. Иессен А. А. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. Изв. ГАИМК, вып. 120.

53. **Иессен, 1951**. Иессен А. А. Прикубанский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века. – МИА. 1951, № 23, გვ. 75 – 124.

54. **Ковалевская, 1976**. – Ковалевская В. Б. Раскопки аланской крепости в Карачаево-Черкесии. – АО. 1975; 1976, გვ. 125 – 126.

55. **Ковалевская, 1977**. – Ковалевская В. Б. О работах средневекового отряда Ставропольской экспедиции. – АО 1976; გვ. 102 – 103.

56. **Ковалевская, 1978**. – Ковалевская В. Б. Разведки и раскопки на р. Эшкакон. – АО 1977; გვ. 122.

57. **Ковалевская, 1980**. Ковалевская В. Б. О работах Малокарачаевского отряда – АО 1979; გვ. 111.

58. **Ковалевская, 1981**. Ковалевская В. Б. Северокавказские древности. – Археология СССР. Степи Евразии в эпоху средневековья. М., 1981.

59. **Ковалевская, 1984**. Ковалевская В. Б. Кавказ и Аланы. Москва

60. **Козенкова, 1969**. Козенкова В. И. Раннекобанский могильник у сел. Сержень-Юрт // С А. 1969. №4, ꙋꙋ. 171-183.

61. **Козенкова, 1978**. Козенкова В. И. Погребение Военачальника из Сержень-юртовского могильника. – КСИА. 1970, № 123, ꙋꙋ. 114-116.

62. **Козенкова, 1979**. Козенкова В. И. О работах Учкекенского отряда. – АО. 1978; 1979, с. 129 – 130.

63. **Козенкова, Найденко, 1980**. Козенкова В. И., Найденко А. В. Кобанский могильник близ ст. Исправной Ставропольского края. – СА. 1980, № 1, ꙋꙋ. 145 – 210.

64. **Козенкова, 1982.** Козенкова В. И. Обряд кремации в кобанской культуре Кавказа. – СА. 1982, № 3, ꙋꙋ. 14 – 33.

65. **Козенкова, 1986**. Козенкова В. И. Пседахский могильник Кобанской культуры (по раскопкам 1976-77 гг.) – Новое в Археологии Северного Кавказа. М. 1986

66. **Козенкова, 1989.** Козенкова В. И. Кобанская культура. Западный вариант. – Археология СССР. Свод археологических источников. Вып. 2 – 5. М., 1989.

67. **Коридзе, 1965.** Коридзе Д.Л. К истории Колхской культуры. Тбилиси, 1965.

68. **Крупнов, 1957**. Крупнов Е. И. О происхождении и датировке кобанской культуры. – СА. 1957, № 1, с. 56 – 79.

69. **Крупнов, 1960**. Крупнов Е. И. Древняя история Северного Кавказа. М., 1960.

70. **Крупнов, 1963.** Крупнов Е. И. Древности Чечено-Ингушетии. М., 1963.

71. **Куфтин, 1949**. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, I. Тбилиси

72. **Куфтин, 1950**. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, II. - Тбилиси

73. **Микеладзе, 1981**. Микеладзе Т., Мусхелишвили Д., Хахутайшвили Д. Колхидская Археологическая Экспедиция. Полевые Археологические Исследования в 1978 Году. Тб. 1981.

74. **Микеладзе, 1982**. Микеладзе Т., Хахутайшвили Д. Отчет о полевых исследованиях Колхидской Археологической Экспедиции. Полевые Археологические Исследования в 1979 Году. Тб. 1982.

75. **Микеладзе, 1982В**. Микеладзе Т. Основные результаты полевых исследований Колхидской Археологической Экспедиции. Полевые Археологические Исследования в 1980 Году. Тб. 1982.

76. **Микеладзе, 1984**. Микеладзе Т., Мигдисова Н., Папуашвили Р. Исследования Колхидской Археологической Экспедиции. Полевые Археологические Исследования в 1981 Году. Тб. 1984.

77. **Микеладзе, 1985**. Микеладзе Т., Мигдисова Н., Папуашвили Р. Основные Итоги Полевых Исследований Колхидской Экспедиции. Полевые Археологические Исследования в 1982 Году. Тб. 1985.

78. **Микеладзе, 1986**. Микеладзе Т., Мигдисова Н., Папуашвили Р. О Полевых Исследованиях Колхидской Археологической Экспедиции. Полевые Археологические Исследования в 1983 Году. Тб. 1986.

79. **Микеладзе, 1987**. Микеладзе Т., Мигдисова Н., Папуашвили Р. Чубинишвили Н. О Работах Колхидской Археологической Экспедиции. Полевые Археологические Исследования в 1984-85 Гг. Тб. 1987.

80. **Микеладзе, 1991**. Микеладзе Т., Папуашвили Р., Чубинишвили Н. Колхидская Экспедиция. Полевые Археологические Исследования в 1986 Году. Тб. 1991.

81. **Микеладзе, 1995**. Микеладзе Т., Мигдисова Н., Папуашвили Р., Чубинишвили Н. Исследования Колхидской Археологической Экспедиции. Полевые Археологические Исследования в 1987 Году. Тб. 1995.

82. **Микеладзе, 1997**. Микеладзе Т., Мигдисова Н., Папуашвили Р. Колхидская Археологическая Экспедиция. Полевые Археологические Исследования в 1988 Году. Тб. 1997.

83. **Мунчаев, 1963**. Мунчаев Р. М. Древности Чечено-Ингушетии. М., 1963.

84. **Найденко, 1972**. Найденко А. В. Раскопки в окрестностях ст. Исправной. – АО 1971; გვ. 161 – 162.

85. **Нечитайло, 1986**. Нечитайло А. Л. Памятники Прикубанской культуры у истоков р. Теберды. – Новое в археологии Северного Кавказа. М., 1986, გვ. 124 – 133.

86. **Погребова, 1970**. Погребова М. Н. Исследования в районе Кисловодска. – АО. 1969; 1970, გვ. 107 – 108.

87. **Рунич, 1971**. Рунич А. П. Скальные захоронения в окрестностях Кисловодска – СА. 1971, № 2, გვ. 167 – 178.

88. **Рунич, 1973**. Рунич А. П. О конской сбруе из района Пятигорья. – СА. 1973, № 1, გვ. 163 – 170.

89. **Рунич, 1975**. Рунич А. П. Разведки у Кисловодска – АО. 1974; 1975, გვ. 12в – 129.

90. **Техов, 1977**. Техов Б. В. Центральный Кавказ в XVI – X вв. до н.э. Москва.

91. **Техов, 1980.** Техов Б.В. Тлийский могильник (комплексы XVI-X вв. до н.э.). Тбилиси.

92. **Техов, 1981.** Техов Б.В. Тлийский могильник, II (комплексы IX- первой половины VII до н.э.). Тбилиси.

93. **Техов Б.В., 1985**. Тлийский могильник, III (комплексы второй половины VII в. до н.э.). Тбилиси.

94. **Уварова, 1900**. Уварова П. С. Могильники Северного Кавказа. – МАК, Т. 8.

95. **Чеченов, 1969**. Чеченов И. М. Древности Кабардино-Балкарии. Нальчик.

96. **Шамба, 1990**. Шамба Г.К., Шамба С.М. Археологические памятники верховья реки Галидзга (Джантух). Тбилиси.

97. **Bedianashvili, Bodet**, **2010**. Bedianashvili G., Bodet C. Koban Necropolis, Tombs 9 and 12: The Late Bronze to the Early Iron Age of the Northern Caucasus. Türkish Academy of Sciences-Journal of Archaeology. N13.

98. **Chantre, 1882**. Chantre, E. "La nécropole de Koban en Osséthie (Caucase)", Materiaux pour l'histoire primitive et naturelle de l'homme XVIIIe annee -2e serie, tomeXIII: ȣȣ. 241-264.

99. **Chantre, 1883**. Chantre, E. Rapport sur unemission scientifique dans l'Asie occidentale et spécialement dans les régions de l'Ararat et du Caucase. Impr. nationale.

100. **Chantre, 1886**. Chantre, E. Recherches anthropologiques dans le Caucase: Tome second, Période protohistorique.

101. **Kossack, 1983.** Kossack G. "Tli Grab 85: Bemerkungen zum Beginn des skythenzeitlichen Formenkreises im Kaukasus", Beiträge zur allgemeinen und vergleichenden Archäologie 5: 89-177

102. **Reinhold, 2007**. Reinhold, S. Die Spätbronze- und früheisenzeit im Kaukasus: Materielle Kultur, Chronologie und überregionale Beziehungen.

ტაბულების აღწერილობა:

I. კოლხური და ყობანური კულტურების გავრცელების რუკა.

II. კოლხური კულტურის სამარხეული ძეგლები.

III. ყობანური კულტურის სამარხეული ძეგლები.

IV. თლია. 1 - სამარხი №22; 2 - სამარხი №85; 3 - სამარხი №93.

V. თლია. 1 - სამარხი №106; 2 - სამარხი №128; 3 - სამარხი №129; 4 - სამარხი №164.

VI. თლია. 1 - სამარხი №226; 2 - სამარხი №229; 3 - სამარხი №236.

VII. თლია. 1 - სამარხი №244; 2 - სამარხი №246; 3 - სამარხი №248; 4 - სამარხი №249.

VIII. თლია. 1 - სამარხი №258; 2 - სამარხი №262; 3 - სამარხი №263; 4 - სამარხი №266.

IX. თლია. 1 - სამარხი №270; 2 - სამარხი №273; 3 - სამარხი №276.

X. გაგრა. 1 - სამარხი №3 (1980წ.); 2 - სამარხი №5 (1980წ.); 3 - სამარხი №28 (1980 წ.); 4 - სამარხი №43 (1980წ.); 5 - სამარხი №54 (1984წ.); 6 - სამარხი №57 (1984წ.).

XI. 1 – ყულანურხვა, სამარხი №1; 2 – ყულანურხვა, სამარხი №3; 3 – ააგსტა, სამარხი №1.

XII. წითელი შუქურა. 1 – სამარხი №1; 2 – სამარხი №2; 3 – სამარხი №10; 4 – სამარხი №94.

XIII. გუადიხუ. 1 – სამარხი №8(11); 2 – სამარხი №11(14); 3 – სამარხი №21(68); 4 – სამარხი №23(70).

XIV. 1 – გუადიხუ, სამარხი №24(71); 2 – გუადიხუ, სამარხი №29(77); 3 – ჯანტუხი. ა) სამარხი-ორმოს ზედხედი, ბ) ჭრილი.

XV. ერგეტა I (ნააკარდამუ). სამაროვნის გეგმა.

XVI. ერგეტა II. სამაროვნის გეგმა.

XVII. ერგეტა III. 1 – სამაროვნის გეგმა; 2 – სამარხი-ორმო №4.

XVIII. ერგეტა IV. 1 – სამაროვნის გეგმა; 2 – სამარხი-ორმო №2.

XIX. ერგეტა IV. 1 – სამარხი-ორმო №3; 2 – სამარხი-ორმო №4.

XX. დღვაბა. 1 – სამარხი-ორმო №1; 2 – სამარხი-ორმო №2.

XXI. 1 – ურეკი, სამაროვნის გეგმა; 2 – ხუცუბანი, სამარხი №1; 3 – ხუცუბანი, სამარხი №2; 4 – ხუცუბანი, სამარხი №3.

XXII. ხუცუბანი. 1 – სამარხი №4; 2 – სამარხი №5; 3 – სამარხი №6; 4 – სამარხი №7; 5 – სამარხი №8.

XXIII. ყობანის სამაროვანი. სამარხი №1(9) (ე. შანტრი).

XXIV. ყობანის სამაროვანი. სამარხი №2(12) (ე. შანტრი).

XXV. 1 – ყობანი, მამაკაცის სამარხი (პრ. უვაროვა); 2 – ყობანი, ქალის სამარხი (პრ. უვაროვა); 3 – კომაროვოს სამაროვანი, სამარხი №4.

XXVI. სერჟენ-იურტი. სამარხი №24.

XXVII. ისტი-სუ. 1 – სამაროვნის გეგმა; 2 – სამარხი №7; 3 – სამარხი №12.

XXVIII. მუჟიჩი (ლუგოვოე). სამაროვნის გეგმა.

XXIX. მუჟიჩი. ყორღანული სამარხი №84.

XXX. ნესტეროვსკაია. 1 – სამარხი №42; 2 – სამარხი №45; 3 – სამარხი №47; 4 – სამარხი №49; 5 – სამარხი №51; 6 – სამარხი №53.

XXXI. 1 – ნესტეროვსკაია, ყორღანული ყრილი; 2 – ფსედახის სამაროვანი, სამარხი №2; 3 – ფსედახი, სამარხი №3; 4 – ფსედახი, სამარხი №5.

XXXII. ტერეზე. სამარხი-აკლდამა №3.

XXXIII. 1 – ტამგაციკის სამაროვნის ქვაყუთი; 2 – ქვაყუთი ელკუშის სამაროვნიდან; 3 – უჩქულანი, ქვაყუთი.

XXXIV. ულუბაღანალი. 1 – სამარხი №19; 2 – №19 სამარხის გადახურვა.

XXXV. 1 – ბელორეჩენსკი, სამარხი №2; 2 – ინდუსტრია I, სამარხი №1; 3 – ინდუსტრია I, სამარხი №2.

XXXVI. ინდუსტრია I. 1 – სამარხი №3; 2 – სამარხი №4; 3 – სამარხი №5; 4 – სამარხი №6.

XXXVII. 1 – ინდუსტრია I, სამარხი №7; 2 – ინდუსტრია I, სამარხი №8; 3 – სულთან-გორა, 1976-1980 წლების გათხრების გეგმა (ვ. კოზენკოვა).

XXXVIII. 1 – სულთან-გორა, ქვაყუთი (1966 წელს ა. რუნიჩის მიერ შესწავლილი მამაკაცის სამარხი); 2 – ბერეზოვკა III, სამარხი №1; 3 – ბერეზოვკა IV, სამარხი №4; კლინ-იარი III, სამარხი №217.

XXXIX. ისპრავნაია. 1 – სამარხი №1; 2 – სამარხი №3; 3 – სამარხი №6; 4 – სამარხი №8; 5 – სამარხი №10.

XL. ისპრავნაია. 1 – სამარხი №12; 2 – სამარხი №13; 3 – სამარხი №14.

XLI. კოლხური კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა ტიპების სტატისტიკური მონაცემები.

XLII. ყობანური კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა ტიპების სტატისტიკური მონაცემები

I



II


ბაგრა
ეკიბალანგ
ოლიმპიადა
ბრიმბოლსკოე
ოლიმპიადა
ეკიბალანგ
ოლიმპიადა
ოლიმპიადა
ოლიმპიადა

III


ისპრავნაია
ქ. ვისლოგოლსკის ძეგლები
ბაბაცეკი
სულთან-გორა
ყიზილ-ყალა
ულუბლიანლი
ურბნისი
ელაკელი
ბერეზე
ზალეკიდი
ბურნეული
ბაბეიდი
ბურბანი
ბაბეიდი
ბურბანი
ბურბანი
ბურბან

IV



1.



2

3

V



1



2

3



4

VI



1



2



3

VII



1

2

3



4

VIII



1



2



3



4

IX



1



2



3

X









XI

1

2



3

XII

1



2



3



4

XIII



1



2



3



4

XIV



1



2



3

XV



XVI



XVII



1



2

XVIII



1



2

XIX



1



2

XX



1

2

XXI

1



2



3

4

XXII

1



2



3

4

5

XXIII



XXIV

XXV

1

2



3

XXVI



XXVII



1



2



3

XXVIII


N
1 – 1956 წლის გათხრების საზღვარი
2 – 1957 წლის გათხრების საზღვარი
3 ხანძრი
4 – ვიოწდელები
5 ლოდები
0 2 4 6 8 10 m

XXIX



XXX



1



2

3



4



5



6

XXXI



1



2



3



4

XXXII



XXXIII



1



2



3

XXXIV



1



2

XXXV



1



2



3

XXXVI



1



2



3



4

XXXVII



1



2



3

XXXVIII



1



2



3



4

XXXIX



1



2



3



4



5

XL



1



2



3

XLI



კოლხური კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა ტიპების სტატისტიკური მონაცემები.

XLII


ყიბანური კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა ტიპების სტატისტიკური მონაცემები
43%
20%
0%
1%
16%
4%
1%
15%
I ტიპი
II ტიპი
III ტიპი
IV ტიპი
V ტიპი
VI ტიპი
VII ტიპი
დაუდგენელი